

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი

სიმონ ჯანაშია

შ რ ლ მ ე ბ ი

III

სარედაქციო კოლეგია: ქ. ლომთათიძე,
ვ. თოფურია, ლ. ჯანაშია

შ ი ნ ა ა რ ს ი

	83
✓ 1. თბალ-თაბალი, ტაბარენი, იბერი	1
Тубал-табал, табарен, ибер (резюме)	75
2. სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები	81
Сванско-адыгейские (черкесские) языковые встречи (резюме)	113
3. ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმოლოგიაში	117
Черкесский (адыгейский) элемент в топонимике Грузии (резюме)	123
4. უზენაესი ღვთაების აფაზური სახელწოდების ფორმისათვის	124
5. კადვე ერთი ნაშთი ხანტულებისა თანამედროვე ქართულში	128
✓ 6. საქართველოს ისტორიის უძველესი ქრონოლოგიიდან ენობრივი მასა- ლების მიხედვით	130
7. ახალი ხანა ქართულმეტყველებაში	136
8. მრავლობითი რიცხვის -თა/თ- სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის	142
9. ცხორებაჲ საბა ასურისაჲ	156
Vie de Saba de Syrie (résumé)	185
10. ხეტების ისტორიისა და ენის საკითხისათვის	186
11. К вопросу о языке и истории хеттов	197
12. ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის წინა- სიტყვაობა	203
13. К истории афхасского языка	211
14. აფხაზური ენის ისტორიიდან	213
15. აფხაზური ენა	223
16. ქართული ლიტერატურული ენის საკითაები	228
17. რით უნდა ვიხელმძღვანელოთ ძართლქერისა და სალიტერატურო ენის ნორმების დადგენასა	235
18. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ერთიანი სავალდებუ- ლო ნორმების დადგენის პრინციპები	257
19. მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნებენი	259
20. მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან	273
21. ფუძენასესები ზედსართავეების გაფორმებისათვის ქართულში	284
22. -ურ და -იურ ზედსართათა მმარებისათვის ნასესებ სიტყვებში	292
23. გერმანული ei დიფთონგის გადმოცემის საკითხისათვის ქართულში	296
24. გერმანული ei დიფთონგის გადმოცემისათვის ქართულში (მოსსენე- ბის დებულებები)	302
25. საშუალი თუ საშვალი	306
26. -მდე თუ -მდის	306
პირთა საძიებელი	311
შრომებში განხილულ პირთა სახელების საძიებელი	317
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი	324

შრომებში განხილულ გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი	330
ტომობრივ სახელთა საძიებელი	336
შრომებში განხილულ ტომობრივ სახელთა საძიებელი	340
ენათა და დიალექტთა საძიებელი	344
სიტყვათა, ძირთა და აფიქსთა საძიებელი	347
აკად. ს. ჯანაშიას „შრომების“ III ტომში მოთავსებულ შრომათა ბიბლიოგრაფია	363
რედაქციისაგან	369

თუბალ-თაბალი, ტიბარანი, იბერი¹

ქართული კულტურის ფესვები ღრმად არის გადგმული შორეულ საუკუნეებსა და სივრცეებში. მსოფლიოს ცნობილ მეცნიერთ, ფრ. ჰომელს, ედ. მაიერს, კიპერტს, ლემან-ჰაუპტს, ლენორმანს, აკად. ნ. მარს, აკად. ტურავეს და მრავალს სხვას არა ერთგზის გამოუთქვამთ მოსაზრება რომ ქართველი ტომები მემკვიდრეობითს კავშირში იმყოფებიან წინააზიის იმ უძველეს მოსახლეობასთან (სუმერები, ხეთები, მიტანიელები, ხალდები და სხვ.), რომელმაც შექმნა საკაცობრიო კულტურის ყველაზე ადრინდელი კერები. მართლაც, ქართული კულტურის ისტორიულად მოცემული შედგენილობა ამჟღავნებს აღნიშნული კავშირის მრავალგვარსა და მრავალრიცხოვან ფაქტებს. ქართული კულტურის მეცნიერული შესწავლა ამიტომ შეუძლებელია ამ კულტურის წყაროსთვის (სათავის) ყოველმხრივი გათვალისწინების გარეშე.

აქ ჩვენ გვინდა წარმოვადგინოთ, ხეთურ-ქართული ნათესაობის საკითხისათვის, ერთი საბუთი, ამოღებული სატომო² სახელწოდებათა სამყაროდან, რომელსაც ჩვენ უაღრესად კრიტიკულად და ისტორიულად ვუდგებით, რადგანაც შეგნებული გვაქვს ამ კატეგორიის ტერმინთა დიდი მიდრეკილება მრავალმხრივი ცვალებადობისადმი.

ქართველი ტომების წარმომადგენლები ამჟამად არიან³: საკუთრივ ქართველები, ანუ, როგორც მათ ზოგჯერ ეძახიან, ქართვები („ქართველი“ იმავე დროს საერთო სახელწოდებაა ამ მონათესავე ტომებისათვის), მეგრელები, ქანები, სვანები.

ეს სატომო სახელები ყველა ერთი ისტორიული ხანის პროდუქტი არ არის, ისევე, როგორც ისინი არც ერთგვარი აღნაგობისა და წარმოშობისა არ არიან. — მათი მორფოლოგიის თვალსაზრისით (და არა ფუძეთა ისტორიის მიხედვით) უძველესი,

¹ მოხსენდა ენიმკი-ს ისტორიის განყოფილებას 1937 წ. 15. I. იბეჭდებდა ფარდობითი სახით.

² ვგულისხმობთ რომ იყენენ ისეთი ქართველი ტომებიც, რომელთაც, არა ხელსაყრელ პირობების წყალობით, ისტორიულ დრომდე ვერ მოაღწიეს.

ზემოთჩამოთვლილ სახელთა შორის, არის, უეჭველად, სვანი და კანი. პირველი, მოცემული ფორმით, *Σιάνες*, ცნობილია უკვე ანტიკური მწერლობისათვის, ჩვენა ერამდე¹. ბერძნულმა და რომაულმა მწერლობამ იცის ამ სახელის სიუა დაწერილობაც, რომელიც კიდევ უფრო ახლოს დგას ქართულთან: ასე მაგ., პტოლემე, გეოგრა., წ. V, თ. VIII, SC, 239: *Σιαχνόιοιχαι*, თუ აქ მართლაც სვანები იგულისხმებიან; პლინიუსი, *Nat. hist.*, SC, II, 178, VI, 14, *Suani* (თუ ესეც საეჭვო არ არის) და უკვე სრულიად უეჭველი, გვიანდელ ავტორთა, ცნობები; იხ. მაგ., პრისკე პანიელთან, *გოთ. ისტორია*, 41, SC, I, 845, *τὸ Σιαχνύαυ ξίφος; τῶν Σιαχνύαυ*, იქვე, 846 და სხვ. ამავე სახელწოდებით იცნობენ სვანებს მეზობელი ტომებიც (ქართ. სვან-ი. მეგრ. შონ-ი, აფხ. ა-შან-უა² და სხვ.) და ასევე უწოდებენ თვით სვანებაც თავიანთ თავს.

სიტყვა „შტან“ ამჟამად როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში თვით ქვეყანას, სვანეთს აღნიშნავს, მაგრამ ეს, უეჭველია, მეორეული მოვლენაა. თავდაპირველად იგი სატომო სახელი იყო, რათქმაუნდა. ამის საბუთია მოცემული ფუძის სხვა წარმოებანი და ანალოგიური ზოვლენები სატომო სახელების სფეროდან. ზოგიერთი ზოგადი ხასიათის მოსაზრებაც ამასვე უქერს მხარს. ასე, თუ „სვანი“ ამჟამად „მუშტან“ (ზ. სვ.) და „მუშტნი“ (ზ. სვ.) ფორმებით გამოიხატვის, მრავლობითში უკვე ფუძე წმინდად აღიდგენს თავს — „შტანარ“ (ზ. და ქვ. სვ.). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მართო მორფოლოგიური მოვლენა არ არის. მრავლობითისათვის ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი ძალიან საინტერესო ფორმა — „შტანლარ“, სვანები (ქვ. სვ.). „სვანეთის“ აღსანიშნავად საკუთარი ფორმებია „ლაშტან“, „სასვანო“ (ქვ. სვ.), „ლემშტანიერა“ (ზ. სვ.) და „ლემშტნერა“ (ქვ. სვ.). უკანასკნელი ფორმები თვით სვანებს ესმით როგორც „მთელი სასვანო, მიწა-წყლითა და მოსახლეობით“³. გარდაამავალი, ტომიდან ქვეყანაზე, მნიშვნელობა ტერმინისა ჩანს ისეთს ხალხურ თქმებში, როგორცაა: „მურგუშალ შტან ანჯალ“ — „ყოველი

¹ სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, § 14 და 19, მაინეკეს გამოც. 1925, გვ. 698 და 701.

² Н. Ма рр, Абхазско-русский словарь, ამ სიტყვის ქვეშ.

³ მაღლობით უნდა აღნიშნოთ რომ ეს ცნობები მოგვაწოდეს ა. დავითიანმა (ლახაშვილიდან) და სხვა სვანებმა. ალბათ, გაუგებრობით ამტიკებს სტოიანოვი — რომ „შვან“, „შვანარ“ ნიშნავს „სვანეთს“, „მუშარ“ („მუშენი“) — სვანს, СМОМПК, X, сг. II, Словарь к песням. — გრენი კიდევ სვანეთისათვის უჩვენებს „შვან“ ფორმას, იქვე, Словарь к текстам, собранным Гревом.

სვანი (მთელი სვანეთი) მოვიდა“, „მურგუპლ შჷან ანხუპტ ეჷმშჷ“¹ — „მთელი სვანეთი (ყოველი სვანი) ეამით ამოწყდა“. სემანტიკური განვითარების ხაზი ასეთია: „სვანი“ (ისე როგორც სხვა სატომო სახელები, თუში, მაგ.) თავდაპირველად აღნიშნავს მთელ ტომს, როგორც გარკვეულს საზოგადოებრივ კავშირს, კრებულს. ტომის ცალკეული წარმომადგენელი, ინდივიდი, აღინიშნება როგორც „შვილი“ ამ ტომისა, „სახლის შვილის“, „სახლის წულის“ ენობრივ-ფსიქოლოგიურ ყაიდაზე. საზოგადოდ, კრებითი მნიშვნელობა უფრო ადრინდელია სატომო სახელებში, ვიდრე კერძობითი, საინდივიდო².

სათანადო ფაქტები დღემდე შერჩენილია ქართულს ხალხურ პოეზიაში, სადაც ვხვდებით ისეთს დიდად საინტერესო ფორმებს, როგორიცაა: „ქართლიშვილები“³, „ქისტისშვილები“ ან „ქისტიშვილები“⁴, „ფშავლიშვილები“ (ან „ფშავლისშვილები“, „ფშაველთშვილები“)⁵, „ქარელთშვილები“⁶, „ოსმალში თათარი თარაქამაისშვილი“⁷ („ოსმალში თათარს აქებენ თარაქამაის შვილსაო“, შემდეგ იგი და მისი ამხანაგები იწოდებიან როგორც) „თათრიშვილები“⁸, „თუშიშვილები“⁹, „ხევსურთშვილები“¹⁰, „ლექისშვილები“¹¹. ამ ტერმინებში ჩვენ, რათქმუნდა, მეორეული წარმოებანი გვაქვს, ოღონდ ისინი ძველი ნორმების მიხედვით არიან გამართულნი

მ. იცემულს სტადიაზე, სატომო სახელი შეიცავს მიწა-წყლის მნიშვნელობის მომენტსაც, ან არა და, უკანასკნელი გამოიხატება

¹ იმავე ცნობით.

² აკად. ნ. მარის მოსახრებები ტერმინ „სვანის“ შესახებ იხ. მის *Из поэзнок в Сванети*, ХВ, т. II, вып. I, განსაკუთრებით გვ. 32 შენიშ. ავტორი აქ იმ აზრისკენ იხრება რომ სვანურის ძირითადი შემადგენლობის მატარებელი ხალხი თავდაპირველად არ ატარებდა „სვან“ სახელწოდებას. — იაფეტური ეთნიკური სახელწოდება სვანებისა იყო „აბასხი“— იხ. გვ. 34.

³ ა. ჩიქობავა, ხ-ს დასუსტება ქიზიყურში [ენიმიკი-ს მოამბე, I, ტფილისი 1937], გვ. 68.

⁴ ფშავური ლექსები, შკერებილი დ. ბიზანაშვილის მიერ, ტფ. 1887, გვ. 24, 71, 90, 91.

⁵ იქვე, გვ. 25, 30, 39, 56, 57, 67, 72, 77, 81, 153.

⁶ „ „ 48.

⁷ „ „ 51.

⁸ „ „ 52.

⁹ „ „ 53.

¹⁰ „ „ 57.

¹¹ „ „ 68.

— ასეთივე ფაქტები იხ. ბესარიონ გაბუჯორი, ხევსურული ტექსტები, გამოც. აკ. შანიძის მიერ, „წელიწდული“, I—II.

სათანადო ტერმინით, რომელიც სატომო სახელთან საზღვრულის. როლში გამოდის¹. მხოლოდ ძალიან გვიან, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ, ჩნდება მოთხოვნილება, ამ ახალს საზოგადოებრივ-ტერიტორიულ კავშირს მოეძებნოს ახალი სახელიც². ეს უკანასკნელი ჩვეულებრივად არის იგივე სატომო სახელწოდება, გაფორმებული ადგილსათავისის აღმნიშვნელ აფიქსის საშუალებით (ქართ. სა — თ, -ეთ, თავისი გვიანდელი მნიშვნელობით). ამ საფეხურზე ძველი კრებითი მნიშვნელობის ტერმინი უკვე ცალკეული ინდივიდის აღნიშვნის ფუნქციას კისრულობს. — კერძოდ, „სვანი“ ტერმინის ისტორიის კარგ ანალოგიას გვაძლევს ქვემოთ ნაჩვენები ისტორია „ზანისა“ (— მეგრული) სვანურშივე³.

ქანების სახელიც, ამ ფორმით, საკმაოდ ადრე ჩნდება უცხოურ მწერლობაში. კერძოდ, პროკოპი კესარიელს, VI ს. ცნობილს ბიზანტიელ მწერალს, დაცული აქვს ეს ფორმა, Τζαυი (უქველია რომ გრაფიკული კომპლექსი ძღ ბერძნული ენისთვის უცხო ბგერას, ამ შემთხვევაში, ქართულ აფრიკატს გადმოსცემს, იხ. ქვემოთ), იმ რწმენასთან ერთად რომ ქანები ძველად სანებად, Σαυი, იწოდებოდნენ⁴. ეს აზრი შემდეგში განმტკიცდა ბიზანტიურ მწერლობაში, რომლის წარმომადგენელთაგან ზოგნი იმასაც ფიქრობდნენ რომ „ქანი“ მხოლოდ მდაბიური ფორმაა „სანისა“, რო-

¹ შადრ. ქართ. ლიტ. ფსევდონიმი: „ქართველი ოსებში ნამყოფი“, რაც ნიშნავს „ოსების ქვეყანაში ან ოსეთში ნამყოფს“.

² ამ საკითხისათვის იხ. აგრეთვე ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე.

³ საინტერესოა, რომ ძველმა რუსულმა „სვანეთის“ მნიშვნელობით Соинი შეითვისა (გაგებულია როგორც მრავლობითი რიცხვის ფორმა): იხ. И с л о к у - р о в, Материалы для русской истории, М. 1888, ელჩინისა და ხაზარების ელჩობა სამეგრელოში 1639—1640 წ.წ.: «ис Карачаев до Соиней шли 5 дней, а от Соиней до Дидьянской земли шли 5 дней», გვ. 302; პარალელურად იხმარება Совская земля: «... прямою дорогою на Соини и Дидьянскую землю: а; от Халукв до Совской земли три дни ходу», გვ. 304; იხ. აგრეთვე 310, 318, 357 («в Соини и в Черкаские Кабарды и в Кумыкии»); ტერმინი იმავე დროს აღნიშნავს თვით ტომს, სვანებს: «... с ними Соини воюют», გვ. 310. ადვილად შესაძრწევია რომ ამ შემთხვევაში ტერმინი იტევს ეთნიკურსა და ტერიტორიულ აზრს, ერთდროულად, სწორედ ჩვენ მიერ აღნიშნული წესის თანახმად.

⁴ BG, VIII, 1, პროფ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., გეოგრაფია, 90; BP. I, 15, იქვე, 25—26.

მელიც, ამავე მწერალთა მტკიცებით, თითქოს XII საუკუნეშიაც-კი, ახ. წელთაღრიცხვით, ცოცხალი ფორმა უნდა ყოფილიყო¹.

საყურადღებოა, რომ ქანები, პროკოპისავე ცნობით, მრავალ ტომად იყოფოდნენ; პროკოპის, სხვათა შორის, დასახელებულნი ჰყავს ოკენიტისა და კოქსილინის ქანები². უეკველია, იყვნენ სხვებიც. ქანების მრავალტომიანობის თანამედროვე გამოხატულებაა ქანური კილოს მრავალდიალექტიანობის ცნობილი ფაქტი.

თუმცა შემდეგში სახელწოდება „ქანი“ ძირითადად განდევნილ იქნა ტერმინ „ლაზის“ მიერ (ამის ისტორია ჩვენ სხვაგან გვექნება განხილული), მაგრამ მთლიანად იგი მაინც არას დროს არ გამქრალა: „ქანი“ და „ქანეთი“ უკანასკნელ დრომდე შეინახა ქართულმა მწერლობამ და ხალხურმა თქმამ; უცნობი არ უნდა იყოს იგი, ამჟამადაც, თვით ქანებისათვისაც³.

ძირეულად განსხვავდება, განხილულ სახელწოდებათაგან, როგორც თავისი აღნაგობის, ისე წარმოშობის მხრივ, ტერმინები „ქართველი“ და „მეგრელი“. ჩვენ აქ არას ვამბობთ ამ სახელწოდებათა ფუძეების (ქართ-, -ეგრ-) შესახებ, — მათი ისტორია თავისთავად უაღრესად საყურადღებოა. ჩვენ მხოლოდ მათი მორფოლოგიური ნიშნეულობის მიხედვით ვადასტურებთ, რომ „ქართველი“ და „მეგრელი“ ტერიტორიულ-პოლიტიკურ წარმომავლობის ტერმინებია, მაშინ როცა „სვანი“ და „ქანი“ წმინდა სატომო სახელებია. მართლაც: ქართ-ველ-ი, ისტორიულ ხანის დასაწყის მომენტში, აღნიშნავდა იმ სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელსაც ძველი ბერძენ-რომაელი მწერლები ეძახდნენ „იბერიას“, უახლოესი მეზობლები, სომხები, „(ი)ვირ-ქ“-ს (*Ἰβηρ*) და რომელიც ადგილობრივ „ქართ-ლ“-ად იწოდება. თვითონ „ქართლს“, როგორც ვთქვით,

¹ ასეთი მტკიცება მოეპოვება ევსტათი თესალონიკელს დიონისეს განმარტებაში, რომელიც გამოცემული უნდა იყოს XII ს. სამოცდაათიან წლებში. ევსტათი ამბობს: „მაკრონები, პონტოელი ზალხი, — ვებირების სამხრეთით. მათ ჩვენ ეხლა ვუწოდებთ სანებს ანუ, უფრო მდებარეობს, ქანებს (Τζάνους)... სანების ქვეყანასაც ქანიკეს ეძახიან ისინი, ვინც მდებარე ფორმას ხმარობს“, 765, SC, I, 208. ეს „ქანიკე“ უდრის ძველ „სანიკეს“, რომელიც, მაგ. მეხუთე საუკუნის ანონიმის ცნობით, მდებარეობს ტიბარენიასა და კოლხეთს შორის (Τιβηρηνίης και Σανικίης και Κολχίδα), § 55, SC, I, 277.

² De aedificiis, III, 6, იქვე, 182—188. კაენების (Caenarum) ტომს მდინარე თერმოდონტისა და ქალაქ კოტიორის რაიონში ასახელებს უკვე პლინიუსიც, §. VI, § 11.

³ ასე უწოდებენ თავის თავს ვინას (კერასუნტს დასავლ.) რაიონში მცხოვრები ქანები, ზეპირი ცნობით.

თავისი საკუთარი წინასწარი ისტორია აქვს, მაგრამ ამ საკითხს ჩვენ აქ არ ვეხებით და იგი სხვაგან იქნება განხილული.

„მეგრელი“-ც, მ-ეგრ-ელ-ი, თავდაპირველად აღნიშნავს იმ დასავლურ ქართულ სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც უცხოურ მწერლობაში იწოდება „ლაზიკა“-დ, ქართულ მწერლობაში — „ეგრ-ის“-ად, სომხურში კიდევ — „ეგერ“-ქ (*Եգիք*). სწორედ ამ ქვეყანა-სახელმწიფოს სახელწოდების ფუძიდან („ეგრ“) ნაწარმოებია, ძველი ქართული ნორმების სრულ შესაბამისად, მ-ეგრ-ელ-ი (შეადრ. მეგვიპტელი — ეგვიპტიდან, მაწყვერელი — აწყვერიდან, მაქარელი — აქარიდან, მატანელი — ატენიდან, მარადელი — არადეთიდან, მროველი — რუისიდან, მარგველი — არგვეთიდან და სხვ.). იგივე ფუძე, სხვა ახმოვანებით, აწარმოებს ადგილობრივს „მ-არგ-ალ“-ს (თავდაპირველ მ-აგრ-ალ-იდან¹), აფხ. აგრ-უა-ს, ძველ-სომხურს ეგერ-აცი-ს (*Եգիբացի*).

იყო თუ არა ტერმინები „ქართველი“, „მეგრელი“, რომლებიც, როგორც ვთქვით, დაკავშირებულია ამ გარკვეულ ისტორიულ-პოლიტიკურ წარმონაქმვებთან, ერთად-ერთი და იმ თავითვე მოცემული სატომო სახელები ამ ქართველი ტომებისათვის? რათქმუნდა, არა.

მეგრელთა ნამდვილი სატომო სახელი „ჯან-ი“ უნდა იყოს, რაც მრავალი ჩვენებით მტკიცდება.

დავიწყოთ უცხოური წყაროების ცნობებით, სადაც ჩვენ ფორმა „სანან“-ი გვაქვს. ცნობილი რომელი მწერალი პლინიუს სეკუნდი (გარდ. 79 წ., ახ. წ.) პირდაპირ ასახელებს ასეთ ტომს სამეგრელოს ტერიტორიის ძირითად რაიონში. აღწერს რა და-

¹ ეს მეგრული ფორმა უნდა ვიცნათ, როგორც ჩანს, პტოლემეს „მან-რალეში“: „კოლხეთის ზღვისნაპირა ნაწილში მოსახლეობენ ლახები. ზემოვანში-კი — მანრალეები და ხალხები, რომელნიც ცხოვრობენ ვერეტიკის ქვეყანაში“, — ამბობს განთქმული გეოგრაფი, იხ. გეოგრაფია, წ. V, თ. IX, § 5. SC, I, 241. *Μανραλοι* ფორმაში *νρ* ჯგუფი ალბათ მიღებულია *νρ* ჯგუფისაგან, ან პალეო-გრაფიულად, ან ამ კომპლექსის ჩვეულებრივი ბერძნული წაკითხვის ნიადაგზე წარმოშობილი მიზეზების შედეგად. ქვეყნის სახელი *Λαζαρχαζαχ*, ბერძნული სუფიქსის ჩამოშორებით, გვაძლევს ფუძეს „ეკრეკტ“, რაც აგრეთვე ეგრისის სახელწოდების ადგილობრივი ფორმის მცირედ დამანინჯებული გადმოცემაა. ამ ფორმის, ერთი დღემდე შემონახული გარდმონაშთი უნდა იყოს ზუგდიდის რაიონში დაცული „ეკრეტა“ (← ეგრეტა, მეგრულისათვის ჩვეულ მეტათეზის შედეგად), ანაკლიის მახლობლად, აღმოსავლეთით. პლინიუსის ტექსტში, *Nat. hist.*, წ. VI, § 14 ეს გეოგრაფიული სახელი მოცემულია ახალი ფორმით — *Cegritice*: აქ ფუძის უკანასკნელი მარცვალი განთავისუფლებულია ზორცმეტისაგან, რომელიც გადასულია თავში.

წერილებით მდ. ფაზისს, პლინიუსი განაგრძობს: „შემდეგ — სხვა მდინარე ხარიენტი (Charien), სალტიების ტომი (gens Saltiae), რომელსაც ძველნი ფთიროფაგებს უწოდებდნენ, და სხვა სანნები (alia Sauni); მდინარე ხობი კავკასიდან სუანებზე (სუანების ქვეყანაზე) გამდინარე (per Suanos fluens); შემდეგ როანი (Rhoan), კეგრიტიკის სანახები (regio Cegritice), მდინარეები სიგანია, თერსი, ასტელფი, ხრისოროასი, აბსილების ტომი, ციხე სებასტოპოლისი“¹. ... დასახელებულ გეოგრაფიულ ობიექტების ლოკალიზაცია, რაც შედარებით ადვილად ხერხდება, არკვევს პლინიუსის სანნების ტერიტორიასაც. მდ. ფაზისი ეს რიონ-ყვირილაა; მდ. ხარიენტი უდრის მდ. ცივს, რომლის ეს ძველი სახელწოდება, სოფელზე გადასული, ამჟამადაც შენახულია, მდ. ხობის მარცხენა ნაპირას, ხორგას ქვემოთ, „ქარიატა“-ს ფორმით; ხობი თანამედროვე ხობია; როანი. საფიქრებელია, რიონი იყოს; სიგანია ინგურის ძველი სახელია, ასტელფი კიდეც — მდ. კოდორისა; სებასტოპოლისი უდრის ძველ ცხუმსა და თანამედროვე სოხუმს². აზრიგად, პლინიუსისა თუ მისი წყაროს წარმოდგენით, სანნები კოლხეთის იმ ნაწილში მოსახლეობენ, სადაც დის ცივი, ხობი, ენგური. ადვილად შესაძლებელია, ზემოთმოტანილი საკითხავი, რომლის მიხედვითაც კავკასიდან გამომდინარე ხობი შემდეგ სუანების მიწა-წყალსა სჭრის, დამახინჯებული იყოს და თავდაპირველ ტექსტში აქ „სუანების“ მაგიერ იგივე „სანნები“ წერებულებიყოს³. საქმის რეა-

¹ Nat. hist., VI, § 14, SC, II, 179. — საძიებელია, რით აიხსნება ორი ნ-ს გაჩენა ამ სახელში. უნდა გათვალისწინებული იყოს ისიც რომ, როგორც პროკოპი კესარიელის ზემოთმოტანილი ცნობებიდან ჩანს, „სან“-ის ერთნარიანი დაწერილობაც არსებობდა.

² ეს ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხები ავტორის სპეციალურ მონოგრაფიაში აქვს განხილული, რომელიც მოხსენდა ვნიშკ-ის ისტორიის განყოფილებაში 1936 წ. იენისის 19-ის სხდომაზე.

³ შესაძლოა, ასეთივე ხასიათის შეცთომა სავარაუდებელი იყოს პტოლემეს „სუანოკოლხებ“-ში, ნამდვილი „სანოკოლხებ“-ის ნაცვლად, წ. V, თ. VIII, სადაც წერია: „მონტოს გასწვრივ (ცხოვრობენ) ახეები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები“ (Σουανόκαλοι). ასეთს შესწორებას ის საუფუძველიც ექნებოდა რომ თავის ადგილს დაუბრუნებდა მოცემული ტერიტორიის ძირითად ტომს. ძველ კოლხებს, პტოლემეს-დროინდელ სანებს (ამ მნიშვნელობით უნდა გაგვეგოს ეს ეთნიკური კომპოზიტიც), რომელნიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულიად მოუხსენებელნი დარჩებოდნენ. ჩვენს კონიექტურას ვერ დაარღვევს ძველი სომხური მწერლობის ცნობილი პარალელი პტოლემეს განმარტებული ჩვენებისა, რადგანაც სომხური ცნობა მწიგნობრული წარმოშობისა ჩანს და იმავე პტოლემემდე დადის

ლურ ვითარებასთან, ისე როგორც ცნობის სხვა ელემენტებთან, ასეთი მტკიცება უფრო შეთანხმებული იქნებოდა. წინააღმდეგ შეპთხევევაში უნდა მიგველო, რომ სხვანები, ამ ცნობის წარმოშობის დროშიაც (უძველესი პერიოდისათვის ეს გარემოება ექვს არ იწვევს), გაცილებით უფრო შორს ვრცელდებოდნენ სამხრეთისაკენ, ვიდრე ფეოდალურ ხანაში.

სამეგრელოს ტერიტორიაზე, სანნების გარდა, პლინიუსი მხოლოდ სალტიებს ასაიელებს, როგორც ვნახეთ. ამ ფორმით ეს სახელი ჩვენ სხვაგან არსად გვხვდება¹, და, შექველია, იგი დამახინჯებული უნდა იყოს მეტნაკლებად. მაინც, აქ წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი, თავის ფუძით, იმავე „სან“-ს უნდა უახლოვდებოდეს, თუ -ti-ს გავიგებთ, როგორც ქართველურ სუფიქსს (წარმოდგენილს, სხვათა შორის, ზემოთგანხილულ „ეკრი-ტ-იკე“-შიაც) -თა -თი-ს². სანნების ტონს პლინიუსი უჩვენებს ტრაპეზუნტის ოლქშიაც, მაგრამ იქ იგი მათ ჰენიოხებს უკავშირებს: „ტომი სანნებისა ჰენიოხებისა“, gens Sannorum Heniochorum³. სანებსა და სანიებს შორის კავშირს აბამს იპოლიტე პორტელი, III ს. (აბ. წ.) პირველი ნახევრის ავტორი, რომლის თხზულების ბერძნული დედანი დაკარგულია, მაგრამ შენახულია მისი ლათინური

ადგილობრივი კომენტარის ნიადაგზე რამდენადმე სახეცვლილი. ვგულისხმობთ ფავსტოს ბიხანტიელის *ἑξ ἑρσιου λην*-ს (ტრ. გამოც. 1913 წ., გვ. 24). ფავსტოსის ცნობაში ისაა საყურადღებო რომ ბერძნ. კოლხ-ს სომხ. ეგერ- შეესატყვისება.

¹ Chronicon Paschale, I, p. 61, 3, CB, ჩვენ ასეთ ცნობას ვხვდებით: „კაპადოკიელთა მიღმა, მარჯენი, ცხოვრობენ სომხები, იბერები, ბერბანები სკიოთები, კოლხები და ბოსფორანები; შემდეგ ეგრეთწოდებული სალლები ანუ სანიტები (Σανιτοιχοι και Σανιται), რომელნიც პონტომდე არიან გავრცელებულნი, სადაც იმყოფება სიმარგე აფსარე და სებასტოპოლისი და ისინი ნავთსადგური და მღინარე ფაზისი“⁴. შეიძლებაოდა გვეფიქრა რომ „სალლები“ პლინიუსის „სალტიებს“ უდრიან. მაგრამ რადგანაც „ქოონიკონ პასკალე“-ს ეს ცნობა უეკველ კავშირში იმყოფება იპოლიტე პორტელისა და სხვათა ანალოგიურსავე თხრობასთან, ამიტომ, საფიქრებელია, „ქრ. პ.“-ს ტექსტი დამახინჯებულია და მისი აღდგენა უნდა მოხდეს, ყრძოდ, იპოლიტეს საკითხავის (იხ. ქვემოთ) ნიადაგზე. მაშინ მივიღებთ რომ „ქრ. პ.“-ს „სალლების“ ანუ სანიტების“ ნაცვლად დედანში უნდა ყოფილიყო „სანნები ანუ სანიგები“, რადგანაც იპოლიტესა და მასზე დამოკიდებული წყაროების ტექსტში გვაქვს: „სანნები, რომელნიც სანნიკებად იწოდებიან“ (იხ. ქვემოთ). „ქრ. პ.“-ს საკითხავი საინტერესოა, როგორც იმის ილუსტრაცია, თუ როგორ მახინჯდებოდა ცნობები, დროთა ვითარებაში, გადამწერელთა ხელში.

² სალტიები რალაც კავშირში არიან უთუოდ ტატიტუსის მიერ მოხსენიებულ ტომთან, სედოხეზებთან, რომელთა ტერიტორია იმავე მდ. ხობთან ურთიერთობაში ირკვევა, *Historiae*, III, 47, SC, II, 249.

³ იქვე, წ. VI, § 12.

თარგმანი. იპოლიტე, „წარმოკველობის წიგნში“, ჯერ ერთი, საკუთარ ენის მქონე ხალხებს (*gentes*) შორის ასახელებს ჩვენთვის საინტერესო ჰიბერებს (*Hiberi*), კოლხებს (*Colchi*), სანნებს (*Sanni*), ხოლო ტერიტორიული განსაზღვრისას ამბობს: „სანნები, რომელნიც სანნიკებად (*Sannices*) იწოდებიან და ვრცელდებიან პონტამდე, სადაც არის აბსარის (*Abarus*) გასასვლელი და სებასტოპოლისი და ჰისულიმენი (ეს ნავთსადგურია) და მდინარე ფაზიდი. ეს ტომები ვრცელდებიან ტრაპეზუნტამდე“¹. აქ დაახლოებით კოლხეთის მიწა წყალია მოხაზული — აბსარი კოროხის შესართავთანაა საძიებელი, სებასტოპოლისი ცხუმ-სოხუშია, მდ. ფაზისი — რიონი, ჰისუს ნავთსადგური („ლიმენი!“) კიდევ შავი ზღვის ნაპირზე მდებარეობდა, ტრაპეზუნტს აღმოსავლეთით (პირველი ნავთსადგური ტრაპეზუნტს შემდეგ; 134 წ., ახ. წ., აქ რომაული გარნიზონი იღვა. იხ. არიანეს პერიპლი, § 4). მაშასადამე, იპოლიტეს მიხედვით, „სანი“ არის კოლხეთის ძირითადი მოსახლეობის სახელწოდება და ეგვეკე ხალხი „სანიკადაც“ იწოდება; „სანი“ უდრის „სანიკს“. ლათინური ზ ბერძნულ „სიგმას“ გადმოგვეცემს და ისევე როგორც სანიგში, სანშიაც თავკიდური ბგერა ჩვენ სწორედ „ს“-დ უნდა წაეკითხოთ (შეადრ. სანიგი თამარ მეფის ისტორიკოსთან, აქვე, ქვემოთ, შენწ., გაითვალისწინე ისიც, რომ „სანიგს“ სხვანაირად არავენ არ კითხულობს).

იპოლიტეს ცნობას იმეორებს ევსევი კესარიელიც, იმ განსხვავებით, რომ ევსევისთან ტექსტი კიდევ უფრო დამახინჯებულია, საფიქრებელია, მეტწილად, გადამწერთა მიერ. ევსევისაც ერთა ფილიაციაში კოლხებისა (*Colchi*) და სანნებისათვის (*Sanni*) ცალცალკე აღვნიშნავთ აქვს მიჩენილი, ხოლო სხვა ადგილას განმარტებული აქვს: „სანნები, რომელნიც აგრეთვე სანნიგებად (*Sannigii*) იწოდებიან, რომელნიც პონტამდე ვრცელდებიან, სადაც არის შეკრება (*congregatio*; შესართავი?) აფსარისა და სებასტოპოლისისა და კაუსოლიმინი და მდინარე ფაზისი, ვიდრე ტრაპეზუნტამდე“².

ამ ცნობაში, სანებისა და სანიგების კავშირის შესახებ, ის ამბავი მაინც უახლოვდება ისტორიულ სინამდვილეს რომ სანიგები, რომელთა შესახებაც ჩვენ არა ერთი სხვადასხვა დროის

¹ SC, II, 446 — 7.

² SC, I, 668.

ისტორიული ჩვენება მოგვეპოვება¹, ყოველთვის დაკავშირებული არიან სებასტოპოლის-ცხუმთან, თანამედროვე აფხაზეთთან და,

¹ 134 წ., ახ. წ., არიანე ადასტურებს სანიგების სამეფოს არსებობას, აბასგების ჩრდილოეთით; სანიგების ქვეყანაში მდებარეობდა მაშინ, არიანეს მტკიცებით. ქ. სებასტოპოლისი (ცხუმ-სოხუმი), § 15. მე მ ნ ო ნ ი (I ს. დამლევი და II ს. დამდეგი, ახ. წ.), პონტოს ჰერაკლეს მკვიდრი, რომლის ცნობები წინ უსწრებს, როგორც ჩანს. არიანესას, ამბობს, რომ პონტოს შინაგანი სანახებნი დასახლებულია სანეგებითა (Σανηγες) და ლახებით², SC, I, 510. — არიანეს მერმინდელი (V ს.) უსახელო რედაქტორი ამტკიცებს რომ სანიხები (Σανιχες) ცხოვრობენ მდ. ახენტიდან მდ. აბასკამდე, § 57. სტეფანე ბიზანტიელი, რომელიც სათანადო სიტყვის ქვეშ იძლევა, როგორც ფიქრობენ, ელი ეროდიანეს (II ს., SC, I, 575—8) ცნობას და, იქნებ, ნაწილობრივ, არიანესაც იმეორებს, — ამბობს: „Σανιχαι, სკიითური ომი, აბასგების მეზობლად მცხოვრები“. ძალიან საყურადღებოა, რომ სანიგებს იცნობს თამარ მეფის ისტორიკოსიც, რომელიც ამბობს, რომ გიორგი რუსის მხარეს გადასულს ვარდან დადიანს „შეეყარა ყოველი სვანეთი, აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკურთი და არგუეთი და, მომრთველმან ს ა ნ ი გ თ ა და ქ ე შ ი გ თ ა მ ა ნ, აფიცა რუსისა გამეფებისა და მისი მეფე ყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი...“ ქტხ. მარ., 435. ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ვარდანმა, რომელიც, ფეოდალური წესით, „ლიხთ იქით ნიყოფსამდის უცილობლად“ მქონებელი იყო (იქვე), მოახერხა თავისი კანდიდატის მხარეზე მთელი ლიხთ-იმერეთის, ე. ი. დასავლეთ საქართველოს, დიდებულთა და ლაშქართა გადაყვანა; ავტორი ამ ახრის კონკრეტიატივისათვის ჩამოთვლის დას. საქართველოს ყველა პროვინციას: არგვეთი (ზემო იმერეთი შორაპანს აღმოსავლეთით), სამოქალაქო (ვაყ იმერეთი), რაჭა, თაკურთი (ლეჩხუმი), გურია, საეგრო (სამეგრელო), სვანეთი და აფხაზეთი. მაგრამ გარდა ამისა, ვარდანს, როგორც ჩანს, ჩრდილოეთ-კავკასიელი ტომებიც გადმოუყვანია, რომელნიც უკვე სხვაგვარ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ მისგან (უკანასკნელი გარემოება მგლანდება, ნაწილობრივ, დასახელების წესში: ეს მოკავშირენი დასახელებულნი არიან სწორედ როგორც ტომები, სანიგნი და ქეშიგნი, და არა ადმინისტრაციულ-პროვინციულ დაყოფის თვალსაზრისით (არგვეთი, საეგრო...)). ვინ არიან ეს ტომები? ზელნაწერებში მოცემული სახელები საკმაოდ დამახინჯებულია. ქეშიგის მაგიერ ზოგ ზელნაწერში „ჯაშმაგი“-ა, სხვაში კიდევ — „ჯაბმათაგი“. უკანასკნელი ფორმების (ჯაშმაგი, ჯაბმათაგი) სატომოლსახელები ჩვენ სხვაგან არსად გვხვდება, და ისინი კიდევ უფრო დამახინჯებულად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე ქეშიგი (ბ-სა და შ-ს არევა ხომ ადვილად ასახსნელია). სამაგიეროდ ჯაშმაგის საკითხავი ასწორებს ქეშიგს; რომლის ნაცვლადაც თავდაპირველად „ქაშაგი“ უნდა ყოფილიყო. „ქაშაგი“ ძველ ქართულ მწერლობაში ხშირად გვხვდება, იგი შეესატყვისება ძველ რუსულ Кашор-ს, თანამედროვე ოსურ ქასანგ-ს, და ჩერქეზებს აღნიშნავს. სანიგები, თამარის ისტორიკოსის წარმოდგენით, მაშასადამე, რაღაც კავშირში იმყოფებოდნენ ჩერქეზებთან. — ცნობა უალრესად საყურადღებოა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას რომ ერთგვარი ეპეი მაინც გვჩვენებს—ხომ არ არის აქ რაიმე მწიგნობრული ელემენტი ხელოვნურად ჩართული, რადგანაც „ისტორიანი და ახმანი“-ს ავტორი დიდად განათლებული პირია, რომელიც კარგად იცნობს

საერთოდ, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან. ამიტომ შეიძლება გვეფიქრა, რომ „სანიგი“ არის „სანისავე“ ფუძიდან ნაყარი ვარიანტული სახელწოდება იმ მეგრული მოდგმის ტომისა, რომლის არსებობა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, აქ აფხაზეთა დამკვიდრების უწინარეს, უქვევლობით არის საგულისხმებელი, როგორც ეს ჩვენ მიერ სხვაგან იქნება ნაჩვენები.

ამდენადვე შეიძლება სანებისა და სანიგების გაიგივება იპოლიტე-ეგსევის თვითნებობად არ მიგვეჩნია. მაგრამ საკითხი სანიგების შესახებ მაინც რთულია და მისი გადაწყვეტისათვის დამატებითი მასალებია საჭირო.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს V ს. პირველი ნახევრის მწერლის, თეოდორიტე კვირელის, ცნობა, თავისთავადაც ძალიან საინტერესო. თეოდორიტე ამბობს: „... ბერს, ნონობის უღელში შემბულსაც, არ შეუძლია თავის დამმონებელთა კანონების მიხედვით ცხოვრება. ხომ არც ეგვიპტურ თებას მოსაზღვრე ეთიოპები, არც ისმაიტელთა მრავალრიცხოვანი ტომები, არც ლაზები (Λαζαί), არც სანები (Σάνοι), არც აბაზგები (Αβασγοί), არც სხვა ბარბაროსები, რომელნიც დაემორჩილნენ რომაელთა ბატონობას, ხელშეკრულებას არ სდებენ ურთიერთშორის რომაულ კანონების მიხედვით“¹.

რადგანაც აქ ლაზები და სანები ურთიერთშორის განსხვავებულ ტომებად არიან ნაგულისხმევი, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ „სანებში“ თეოდორიტე გულისხმობს არა ეგრისის მოსახლეობას, რომელიც მის დროს უკვე ლაზების სახელითაა ცნობილი, არამედ ქანებს, რომელნიც ამჟამად უკვე ლაზებად იწოდებიან უპირატესად.

ამრიგად, კლასიკური ავტორები ჩვენთვის საინტერესო ტომის სახელად „სან“-ს უჩვენებენ, როგორც ვნახეთ. ჩვენ-კი ვთქვით რომ მეგრელთა ნამდვილი სატომო სახელი „ზანი“ უნდა იყოს. თავკიდური ბერის სხვაობას ამ ფორმებში და მის წარმოშობას ჩვენ სხვაგან შევხებით, აქ კი უნდა აღვნიშნოთ რომ „ზან“ ფორმას ადგილობრივი მასალები უქერს მხარს.

ჯერ ერთი, ეთნიკური მნიშვნელობით ეს ტერმინი დღესაც შენახულია სვანეთში. სვანეთის მთელ რიგ თემში (ეცერი, ფარი,

ძველ ბერძნულ მწერლობასაც. ამიტომ დამატებითი მასალა საჭირო იმის გამოსარკვევად, რამდენად ცოცხალია სახელწოდება „სანიგი“ მეთორმეტე საუკუნეში.

1. სიტყვა მე-9, „კანონთათვის“, SC, I, 783.

ლახამულა) მეგრელს ეძახიან „ზან“, რაც ქვემო ინგურის სვანეთში სამეგრელოსაც ნიშნავს¹; ჩოლურში იმავე მნიშვნელობით იხმარება „ზან“ (მრ. ზანარ); „მეგრელისავე“ მნიშვნელობით ხმარებული პარალელური ფორმებია იმავე ეცერის, ფარის, ლახამულის თემებში „ჰუ-ზნი“, რაც, რათქმაუნდა, მეორადი წარმოებაა („მეზანე“!); ამ მეორადი წარმოების ვარიანტებია მუჟალ-მულახური „მე-ზან“, ფარული — „მე-ზნ-ი“; ამავე ფუძიდანაა ნაწარმოები „ლუ-ზნ-უ“ — მეგრული (ეცერი, ფარი, ლახამულა)². სვანებისათვის ცნობილია ტერმინი „მეგრელიც“, მაგრამ იგი, აშკარაა, ქართულიდანაა შეთვისებული.

„ზან“ ფუძე თითქოს ჩრდ. კავკასიაშიაც, კერძოდ ყაბარდოში, უნდა გვხვდებოდეს (უთუოდ სვანური გზით შესული)³. „ზან“ ფუძე შენახულია სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელებში: სოფ. ზანათი (მდ. აბაშაზე, სუჯუნის მეზობლად)⁴, სოფლები დიდი და პატარა ზანა, მდ. ცივის ხეობაში (უშაფათის დასავლეთით), და იქვე მიმდინარე ხობის მარცხენა შენაკადი ზანა⁵ (რუსულ ხუთეგრისიან რუკაზე „ზანა“ ამ მდინარეს ეწოდება სათავეებისაკენ, ქვემო წელზე-კი „Занадага“?). ძალიან საინტერესოა ამ ფუძიდან ნაწარმოებ სახელწოდებათა არსებობა თანამედროვე სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ფარგლებს გარეთ. მაგ.: მდ. ცხენისწყალზე, მდ. ხოფურის (ესეც საყურადღებოა!) შესართავს ცოტა ზემოთ, ცაგერის ჩრდილოეთით, არის სოფ. ზანაკარი⁶. ხომ არ მიუთითებს ეს ტოპო-

¹ მაგ., გრენის მიერ შეკრებილს სვანურ ტექსტებში — ზან, СМОМПК X, განყ. II; იხ. აგრეთვე ლექსიკონი, იქვე

² Н. М а р р, Извлечение из сванско-русского словаря, სათანადო სიტყვის ქვეშ.

³ А. Д и р р, Современные названия кавказских племен. — პალასის ცნობით, აბაზები (პირიქითელი აფხაზები) და ჩერქეზები სამეგრელოს „დოლ“-ს (Dol) ეძახიანო, Pallas, Voyages, II, P. 1788, p. 120, n. I. ცნობა ეუთუნის XVIII ს. დამლევს.

⁴ ი. ყიფშიძეს თავის ლექსიკონში ეს სოფელი „ზანატის“ სახელით აქვს მოხსენებული, Грам. мушгр. №. 1, 236, მაგრამ ფორმა „მზანათი“ ჩვენ გვხვდება. უკვე ლევან დადიანის 1628 წ. სიგელში, დას. საქ. საეკლ. საბ., I, 43. „ზანათი“ აქვს ვლ. გაგუას, СМОМПК, X, განყ. I, 102. აღნიშნული აქვს არქანჯელო ლამბერტისაც (XVII ს. დამდეგი, იხ. „სამეგრელოს აღწერა“, თარგმ. ალ. კკონიასი, ტფ. 1901) თავის რუკაზე Zannati-ის სახით.

⁵ ი. ყიფშიძე, იქვე. — სოფლის სახელის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო აქაც „ზანათი“, რაც დოკუმენტურად დადასტურებულია ლამბერტის რუკაზე — Zennati.

⁶ ყურადღებას იქცევს მაღლა, იმავე რაიონის, მთებში მდებარე „წანაში“-ც აქ ხეობის მნიშვნელობაზე მკაფიოდ მიუთითებს ზანაკარს ქვემოთ მდებარე გან-

ნიმიკური ფაქტი ძველს ეთნიკურ-პოლიტიკურ საზღვარზე? თუ ამ კითხვაზე გადაკრილი პასუხის გაცემა ძნელია, სამაგიეროდ ასეთივე ხასიათის მოვლენა ჩვენ უყოყმანოდ შეგვიძლია ვუჩვენოთ სხვაგან, აღმოსავლეთით, ზემო იმერეთში. ვგულისხმობთ უკანასკნელის დიდი სოფლის, საზანოს, სახელს. ზემო და ქვემო საზანოები მდებარეობს ძველი ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს აღმოსავლეთის საზღვარზე, რომელიც თითქმის უცვლელად ნრავალი საუკუნის განმავლობაში შორაპანსა და სკანდაზე გამავალ ხაზს მიჰყვებოდა. სკანდა და შორაპანი იყო ეგრისის სანაპირო ძლიერი ციხე-ქალაქები. ამით აღმოსავლეთით უკვე ქართლის (იბერიის) ტერიტორია იწყებოდა. სკანდასა და შორაპანს შუა, არამცირედი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობის ადგილი უნდა სჭეროდა საზანოსაც, რამდენადაც ასეთი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია ფეოდალური ხანის ცნობების მიხედვით, როდესაც საზანოზე გადის იმერეთ-ქართლის მაგისტრალის ერთი მნიშვნელოვანი ვარიანტთაგანი¹ და როდესაც აქ არსებობს, ვახუშტის სი-

თქმული ციხეები ორბელი (თუ: ორბეთი), დევირი და. განსაკუთრებით, მური. მათ შესახებ ვახუშტი ამბობს: „ამ ქვეზედ არს ციხე ორბეთისა, კლდესა ზედა შენი, ფრიად მაგარი. ამ ქვეს ზეით, ლეჩხუმის საშუალს, ცხენისწყლის კიდეზედ არს ციხე კლდესა ზედა შენი, დევირი, თაჲი თაჲერისა: რამეთუ რომელსა უყარავს იგი, მორჩილებასა შინა მისსა არიან სულიად. ამის სამკრით და ცხენისწყლის აღმოსავლით არს ცაგერს ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი, ზის ეპისკოპოსი მწყემსი ლეჩხუმისა და სუანეთისა. ამას ზეით არს მონასტერი, წოდებული მაქსიმე აღმსაარებელისა და მუნ არს მაქსიმე აღმსაარებელი დაფლული... მას ზეით, ცხენისწყალზედ, არს კავასის ძირს მურის ციხე, არვისგან შემუსვრილ-აღებული: მუნიდამ გარდავაღს სვანეთს გზა“, გეორგ., ჯან. გამ., 263—265. სწორედ ამ სვანეთისაკენ გარდამავალ მეტად მნიშვნელოვან გზას ჰკეტავდნენ ეს ციხეები და, პირველ რიგში, მურის ციხე. უკანასკნელი ცნობილია ბიზანტიური წყაროებისათვისაც. აქ იყო დაპატიმრებული ბიზანტიის მთავრობის მიერ ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, მაქსიმე აღმსაარებელი (VII ს.). მაქსიმეს ბიზანტიელი ბიოგრაფი ამ საპატიმრო ადგილს ლაზიკას მიაკუთვნებს. ეგორის მიათელის მურის ციხეს იუსტინიანეც თავის 31-ე ნოველაში, გეორგია, II, 198. აქვე, ცაგერს ქვემოთ მდებარე, ლასურიაში უნდა იყოს ის „ლოსთორინის“ ციხეც, რომელიც აგებულ იქნა იუსტინიანეს მიერ, პროკოპი კესარიელის ცნობით, გეორგ., II, 189 და რომელიც იხსენიება თვით იუსტინიანეს ზემოთდასახელებულ ნოველაშიაც „ლისთორი“-ს (თუ „ლუსორი“-ს) ფორმით. — უკანასკნელ საუკუნეებშიაც ეს რაიონი დადიანებს ეკუთვნოდა. მურის გ. რადღემ აღწერა დადიანების სახლი და სამი ციხე, რომელთაგანაც ერთ-ერთში მან იპოვა ზარბაზანი 1554 წ. ლათინური წარწერით, ЗКОРГО, кн. VII, вым. I, Т. 1866 г., 52—55.

¹ აი, მაგ. შარდენის მარშრუტი (1672 წ. დეკემბერში): ტფილისი-გორი-ალი-კორბოული-საზანო (შარდენი სწერს „სუზანო“-ს); მარჯვნივ რჩება სკანდა-ჩხარი (ქართ. თარგმანში გაუგებრობით—ჩიკარისი)-ქუთაისი. იხ. შ ა რ დ ე ნ ი, მოგზაურობა საქართველოში, ტფ., 1935 წ., გვ. 62—66.

ტყვით რომ ვთქვათ, „საზანოს ციხე, კლდესა ზედა შენი, კარგი“. ამრიგად, „საზანო“, ქართული წარმოების სახელი, შერქმეულია ძველი ქართლის ამ რაიონის, არგვეთის, მოსახლეობის მიერ, რომელიც უშუალოდ ემეზობლებოდა ეგრისს და აღნიშნულ სახელწოდებაში გამოჰხატავდა ეგრისის (ლაზიკის) ეთნიკურ შინაარსს. „საზანო“ იგივე „სამეგრელო“, და სკანდა-საზანო შორაპანის ხაზს ქვემოთ სწორედ ზანების ანუ მეგრელების ქვეყანა (საზანო-სამეგრელო) იწყებოდა. ამ ისტორიულ-ეთნოლოგიურ მითითებაში, რომელიც ასე საუცხოოდაა დაცული სახელწოდება „საზანო“ ში, ვხედავთ ჩვენ მოცემული ტოპონიმიკური ფაქტის განსაკუთრებულს მნიშვნელობასა და ინტერესს. დასასრულ, გაკვრით ვიტყვი, რომ ჩვენ არ მიგვაჩნია შეუძლებლად ამავე ბუდესთან იყოს დაკავშირებული სამცხისა და ქართლის „ზანავ“-ებიც, მაგრამ ამ კავშირის რეალურ ხასიათს მომავალი კვლევა-ძიება გაარკვევს.

აღნიშნულით არ ამოიწურება მოცემული ეთნიკური ტერმინის ადგილობრივი ვარიაციები. უკანასკნელთა რიცხვს მივაკუთვნებთ ჩვენ აფხაზურ „წან“-საც, რომელიც იქ ისტორიულ გარდმონაშთის სახითაა დაცული. აფხაზთა ხალხური გადრმოცემით, ძველთა-ძველ დროში აფხაზეთის მთებში ცხოვრობდა ხალხი, რომელიც ეკუთვნოდა წან-ის (აფხაზური ფორმაა) ანუ წანია-ს (სამურხაყანული ფორმაა) გვარს. იმ ბედნიერ დროში არ იცოდა არც წვიმა-თოვლი, არც ქარი და სიცივე, არც ღღე-ღამე იყო ერთმანეთში გარჩეული. წანები (აფხ. წანაა) მეჯოგეები იყვნენ, თავს რქეულითა და უმი ხორცით ირჩენდნენ. მაგრამ რადგანაც წანები უსჯულონი იყვნენ და ღმერთს არაფრად აგდებდნენ, ღმერთმა ისინი დასაჯა. ერთხელ როცა წანები წრეში ისხდნენ, ერთმა მათგანმა შეამჩნია რომ იქვე მდგომ თხას წვერი ერხეოდა. ეს ღმერთმა პირველად გამოგზავნა ქვეყნად ქარი. ქარს მოჰყვა შავი ღრუბლები და ბამბის წვიმა. ბამბამ თოვლივით დაჰფარა მთელი მიწა. შემდეგ ღმერთმა ცეცხლი გაუჩინა ბამბას და მასთან ერთად უსჯულო წანებიც გადაბუჯა.

ეს გარდმოცემა დაკავშირებულია აფხაზეთის თავისებურ არქეოლოგიურ ნაშთებთან, რომელნიც ნახევრად ციკლოპურ-მეგალითურ ხასიათისა არიან და ვრცელდებიან ბზიფიდან ენგურამდე. ეს ძეგლები გვხვდება მთებში 2133-დან 228მ მეტრის სიმაღლეზე და წარმოადგენენ ყოველად ნაგებ ოთხკუთხედს ან არასწორი წრის სახის მქონე „ბაკებს“ (გარეგნული დახასიათებით). მათ

აფხაზები „წან-იგუარა“-ს ეძახიან, რაც „წანის სადგომს“ ნაშნავს¹.

ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია რომ წანიც ზანისა და ჭანის ბუდეს ეკუთვნის, მაგრამ რას უნდა გულისხმობდეს რეალ-ისტორიულად თვით გარდმოცემა? სხვაგან ჩვენ ვუჩვენებთ რომ საკუთრივ აფხაზებს, მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე, წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა, ერთი მხრით, სვანური შტოსი, მეორე მხრით — ჭანურ-მეგრულისა. მოყვანილ გარდმოცემაში, ჩვენი აზრით, სწორედ ამ ფაქტის ანარეკლი ვეაქვს. „წანი“, ამ შემთხვევაში, ჭანურ-მეგრულ ფენას გულისხმობს. ჩვენ ვფიქრობთ რომ ეს იყო ერთ-ერთი ტომთაგანი, ჭანურ-მეგრული განშტოებისა, და არა საკუთრივ ზანები (დღევანდელი მეგრელები) და ან, მით უმეტეს, ჭანები. ამაში გვარწმუნებს სახელწოდება „წან“, რომელიც შეუძლებელია მიჩნეული იყოს ზან ის ან ჭანის აფხაზურ გამოთქმის ფაქტად. აფხაზურ ვარიანტად. ასეთი ფონეტიკური გადასვლისათვის აფხაზურში ჩვენ საფუძველს ვერ ვხედავთ, იმიტომ რომ აფხაზურს თავისუფლად შეეძლო შეეთვისებინა როგორც ზან, ისე ჭან ფორმები.

უკანასკნელი დაცულია კიდევაც აფხაზურ გვარის სახელში ჭან - ბა, რაც ქართულს. ჭანი შვილს უდრის. აფხაზურ-ქართველური ბგერითი შესატყვისობისათვის, ამ თვალსაზრისით, იხ. ისეთი ნასესხობანი აფხაზურში ქართულ-ქართველურიდან (ან უკანასკნელის გზით), როგორიცაა: აჰანდარ = ჭანდარი, აჰარხალ = ჭარხალი, აჰარამ = ჭერამი, ადაჰ = ჯაჰვი, აჰაბერზაკ = ხაბურზაკი, ამზზ = მიზეზი, აგრეთვე აზაკუან (შეიძლება შესული იყოს რუსულიდანაც). ზოგჯერ განსაკუთრებულს ბგერითს (ხმოვნურ) გარემოში, ქართ. ზ + ვ აფხაზურში გვაძლევს ე-ს: ერზგით = ზურგდიდი, ერზაბ = ზურაბი, შეადრ. აგრეთვე აფხაზური გამოთქმა გვარის სახელისა ზვანბაია = აერანბა². აფხაზურ-ქართველურ გენეტურ შესატყვისობათა შორის ჩვენ ვპოულობთ შემდეგს საყურადღებო პარალელებს:

აფხ. ა-წაა (მლაშე,) (მწარე) — ქართ. მწარე	
ა-წხ (ლაშე) — ქართ. მწუხრი (შდრ. წუხელ)	
ა-წარა (სწავლა) — სწავლა	

¹ ეს ძეგლები პირველად აღწერა ლიტერატურაში და გარდმოცემა გამოაქვეყნა ნ. ალბოვმა, იხ. მისი Ботанико-географические исследования в Зап. Закавказьи в 1898 г., ЗКОРО, кн. XVI, 144—145.

² იხ. П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, 10—17.

აფხ. ა-წარა (წერა, დაწერა, წარწერა) — წერა
 ა-წა (ტილი) — წილი
 ა-მწ (ბუზი) — მწერი

არის ერთი შემთხვევა, როცა აფხ. წ შეესატყვისება მეგრ. ჯ-სა და ქართ. ძ-ს:

ა-წლა (ხე) — ჯა(ლი) — ძელი¹.

ამრიგად ჩვენ იძულებული ვართ დავასკვნათ რომ ფორმა „წან“ აფხაზურმა მზამზარეულად შეითვისა, და არა გადააკეთა თავის ფონეტიკის ყაიდაზე.

როცა აფხაზური წანის ისტორიულ მნიშვნელობაზე ვფიქრობთ, შეუძლებელია სანიგები არ მოგვაგონდეს. წანი სანიგს ხომ არ უდრის? არიანეს 134 წ. (ახ. წ.) დოკუმენტური ცნობით, მის დროს სანიგები აბასკების გვერდით (ჩრდილო-დასავლეთით, როგორც ყველაფრიდან ჩანს) ცხოვრობდნენ და მათს ქვეყანაში იღო ქალაქი სებასტოპოლისი², ე. ი. თანამედროვე სოხუმი. ამ ქალაქის სახელების ისტორიაც საესებით ნიშანდობლივია: ბერძნულს დიოსკურიასა (უძველესი სახელია, იქნებ არაწმინდა ბერძნული წარმოშობისა, არამედ გაბერძნულებული; მიაქციეთ ყურადღება სახელწოდების მეორე ნახევარს, სადაც შეიძლება გვქონდეს ცნობილი მეგრული ტოპოგრაფიული ტერმინი „სკური“) და სებასტოპოლისს (შემდეგ შერქმეული სახელია) აქ შეესატყვისება ქართ. ცხომ || ცხუმი (შეადრ. სვანური თემის „ცხუმარ“-ის სახელწოდება; ცხუმიდან მომდინარეობს ქართ. გვარები ცხომ-ელიძე და ცხუმ-არია) და აფხაზურადილეური აყუა. ქართული ცხუმი შემდეგ თურქებმა, რომელთაც არც ც ბგერა აქვთ და არც ორი თანხმოვნის გამოთქმა შეუძლიათ სიტყვის თავში, გადააკეთეს „სუხუმ“-ად და ამ სახით შევიდა ეს სახელი ევროპულ ენებში. ამრიგად, აფხაზეთის დედაქალაქის სახელიც მეტყველი მოწმეა ეთნიკურ გადაჯგუფებათა სიზშირისა ამ რაიონში.

სანიგ-წანის წარმოდგენილ დაახლოებას იმდენად მკარცვლის გაქრობა არ აბრკოლებს აფხაზ. ფორმაში (ეს შესაძლებელია), რამდენადაც სხვა გარემოებანი, კერძოდ თამარ მეფის ისტორი-

¹ პ. ჭარაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 18 შემდ. პ. ჭარაია აფხ. წგნის („წარწან“) პირველ მარცვალშიაც ქართ. წელის შესატყვისისა ხედავს, გვ. 45.

² პერიოლი, § 15; SC, I, 222.

კოსის ზემოთგანმარტებული ცნობა, თუ იგი რეალ-ისტორიული ჩვენებაა¹.

წან ზან.ქანის შესატყვისობის თვალსაზრისით საყურადღებოა ერთი მდინარისა და პუნქტის სახელწოდება ცენტრალურ სამეგრელოში. ვახუშტი ამბობს: ხეთას „ჩრდილოთ დის ქანის წყალი, წოდებული ქელენ-ჯიხის გამო. გამოსდის მასვე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ დასავლეთად და მიერთვის ზღვას ხოფს“². ნამდვილად, ქანისწყალი არის მდ. ხობის მარჯვენა შენაკადი, როგორც ეს აღნიშნულია უკვე XVII ს. დამდეგის სამეგრელოს რუკაზე, რომელიც ლამბერტის ეკუთვნის. მართალია, ლამბერტისაც ქანისწყლის შესართავი თითქმის ზღვის პირამდე ჩაუტანია, მაგრამ ეს მურო მისი კარტოგრაფიის ნაკლი ჩანს, ვიდრე რეალური ამბავი³. ლამბერტის რუკაზე მოცემული ფორმაც მდინარის სახელწოდებისა, *Cianeus Fl. incolis Cianis* მოწმობს, რომ ამ იტალიელ მისიონერს სიტყვის თავში ესმოდა აფრიკატი, და ისიც შეშინა და არა სისინა: ჯგუფი *ei* სწორედ აფრიკატს აღნიშნავს, ჩ-ს ან ჭ-ს. წ-ს ლამბერტი, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, სხვაგვარად გადმოსცემს, მაშასადამე, *Cianis* უნდა წაიკითხოთ „ჩანის“ (იგულისხმე: „ქანის“). ასე გაიგონეს რუსებმაც ეს სახელი XIX ს. დამდეგს. მაგალითისათვის აქ აღნიშნავთ რომ მურავიოვი, რომელმაც მოიარა სამეგრელო XIX ს. ორმოციან წლებში, ასახელებს „ქანის-წყალს ანუ ლაზების მდინარეს“ (Чани-цкани или река Лазов⁴).

უეჭველია, ეს ცნობა მურავიოვს მიღებული აქვს სამეგრელოს მთავრის ძმის, ცნობილი პოეტისა („კოლბიდელი“) და ქარ-

¹ ლიტერატურაში არის ცდები სანიგთა ვინაობის სხვაგვარი ახსნისაც. კლაროთი, მაგ., ფიქრობდა რომ „სანიხი“ ცნობილი ჩერქეზული ტომის ქანის სახელია, *Asia Polyglotta*, P. 1831, 129—130; Ш. Б. Ногмоу, История Адыгейского народа, Т. 1861, стр. 17, прим. 1. — ზოგი კიდევ სანიგებში ხედავენ საძვების აფხაზურ ტომს (მოსახლეობდა მდ. ბზიფიდან მოყოლებული ვიდრე უბიხების საზღვრამდე), იხ. მაგ. Дьячкова-Тарасова, Гагры и их окрестности, ЭКОРГО, кн. XXIV, вып. 1, стр. 43, прим. 32.

² გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის გამოც., გვ. 300.

³ არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმ. აღ. ჭყონიასი, ტფ. 1901, რუკა; ტექსტი, გვ. 183, 189. საინტერესოა რომ მდინარის სახელს ლამბერტიც „ქანს“ უკავშირებს: „ჩემის აზრით, ეს სახელი იმიტომ ეწოდება ამ მდინარეს, რომ მასთან მოდის სავაქროდ თავისი პატარა ნაევბით და ჩერდება ერთი მუხობელი ხალხი, რომელსაც ჰქვია ქანი“, გვ. 189.

⁴ Грузия и Армения, СПб. 1848, ч. III, 276—277.

თულ სიძველეთა დიდი მცოდნე-მოყვარულის, გრიგოლ დადიანი-საგან, რომელიც იყო მურავიოვის მეგზური, თანამგზავრი და ინტერპრეტატორი ამ მოგზაურობაში. ფორმა ჰანის-წყალი, ჰანი-წყარი, ცოცხალია დღესაც. მაგრამ, იმავე დროს, და ეს ჩვენთვის ძალიან საყურადღებოა, გვხვდება პარალელური ფორმები ჰენი-წყარი და წენი-წყარი¹. ფორმა წენი-წყარი ანუ წენ-წყარი ამჟამად ადგილობრივ გაბატონებულიც კი უნდა იყოს, რამდენადაც ვიცით. წ-ს გაჩენას ჰ-ს მაგიერ, სიტყვის თავში, პროფ. ი. ყიფშიძე რეგრესული ასიმილაციით ხსნის (შეადარეთ სქა-სერი ← შქა-სერი)², მაშასადამე, სათანადო „წენიან“ ფორმასაც მეორეულ მოვლენად სთვლის. შეადრ. მართლაც ისეთი ფაქტები, როცა ქართ. ჰ მეგრულში წ-ს გვაძლევს: ქირისუფალი → წირისუფალი... ჩვენთვის საკმარისია თვით შესატყვისობის დადგენა.

ასეთივე შესატყვისობა გვაქვს ჩვენ ჰალენ-ჯიხა-ში (ვახუშტის ქელენჯიხა). ასეთი ფორმა გვხვდება ენლაც, მაგრამ გაბატონებული კია წალენ-ჯიხა (ამჟამად ამ სახელს ატარებს არა მარტო დაბა თავისი ისტორიული ძეგლებით, არამედ მთელი რაიონიც). კიდევ უფრო საყურადღებოა რომ არის პარალელური ფორმა წენ-ღიხა³. ი. ყიფშიძეს შესაძლებლად მიაჩნია „წენ“ „ჰანის“ ექვივალენტად მიიღოს და მთელი სახელწოდება გაიგოს როგორც ჰანის ქვეყანა (ციხე)⁴. თუ ამ სახელწოდების „ჰ-იანი“ ფორმა ვახუშტის აქვს დაცული, „წ-იანი“ ფორმა, უკვე XVII ს. დამდეგისათვის, დადასტურებული აქვს იმავე ლამბერტის, რომელიც თავის რუკაზე, სწორედ წალენ-ჯიხის ადგილას, აღნიშნავს Scalingichas: sc, ვფიქრობთ, წ-ს გულისხმობს, და არა ჰ-ს: ჩვენ აქ ყურადღებას ვაქცევთ იმ გარემოებას, რომ sc ჯგუფი ხმოვნის წინ დგას. „ჰა“ აქ გადმოცემული იქნებოდა cia-თი და ამიტომ ჩვენი წაკითხვის საწინააღმდეგო საბუთად ვერ გამოდგება იმავე რუკის Scandidi—კონდიდი. ასეთს ფონეტიკურ კონტექსტში (თანხმოვნის, კერძოდ, ყ-ს წინ) წ-ც, კიდევ უფრო ჩვეულებრივად, იმავე ს-ითაა გადმოცემული (მაგ. მეგრ. „წყარს“ ლამბერტი გადმოსცემს scari-თ: Marmar-Scari, Heti-scari, ან schari-თ: Moquis-Schari, Scheni-schari). S-ითა აქვს გადმოცემული ლამბერტის ც-ც თანხმოვნის წინ, მაგ. Scheni-schari — ცხენისწყალი⁵.

¹ И. К и п ш и д з е, Грам. мушгр. яз., лексиконы, „ჰანი“ სიტყვის ქვეშ.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ რუკა.

ქართული ბგერების ლათინურ-იტალიური ტრანსკრიფციის ისტორიისათვის, რასაც ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ქვემოთ კვლავ იქნება ნაჩვენები, საინტერესო მასალა მოიპოვება მ. თამარაშვილის მიერ გამოცემულს იტალიურ საბუთებში. „წალენჯიხა“, კერძოდ, ლამბერტისებურად აქვს ტრანსკრიბირებული ქრ. კასტელის, 1642 წ. სამეგრელოდან რომს გაგზავნილ წერილში (Scalencichelle = წალენჯიხელი) ¹.

სხვა იტალიელ მისიონერთა 1555 წლის წერილში იგივე ფუძე გადმოცემულია Scalingichelli ². ჰკი აქვე ც-თია გადმოცემული, კერძოდ, ცნობილ თავადთა საგვარეულო სახელში, კილაძე-ში (Cilazze) ³. საინტერესოა რომ წ ზოგჯერ z-ითაა გადმოცემული; ასე ლეევან დადიანის ცნობილი ვაზირის, პაატა წულუქიძის („წუწკის“), გვარი აქ იწერება Zulochia ⁴ და Zulachia ⁵.

აფხაზური ტერმინის წან-ის ეთნიკურ მნიშვნელობას შუქსა ჰფენს და ტერმინის ვარიაციების ისტორიისათვის ძალიან საყურადღებოა ერთი მეგრულივე ფაქტი, საკმაოდ მოულოდნელ კონტექსტში შენახული: სამხრეთის ქარა სამეგრელოში წანი-ბორიას, ე. ი. წანის ანუ ქანის ქარს, ეძახიან. ამ გამოთქმის სწორი გაგებისათვის გასათვალისწინებელია სხვა ქართა ისეთი მეგრული სახელები, როგორიცაა: გურული-ბორია — გურული ქარი, ჯვარული-ბორია — ჯვარის ქარი და სხვ. ⁶

რიონ-ენგურის სან-ზანების შესახებ მსჯელობისას შეუძლებელია სიტყვა არ ჩამოვარდეს ლაზ-ებზედაც. ცნობილია რომ, გარკვეული დროიდან მოყოლებული, ამ რაიონის მოსახლეობის აღსანიშნავად ბერძნულ-რომაული მწერლობა უპირატესად ტერმინ ლაზ-ს ხმარობს, თვით ქვეყანა-სახელმწიფოს კიდევ ლაზიკას უწოდებს.

თუ სტრაბონისა და მისი წყაროებისათვის ეს ეთნიკური სახელწოდება ჯერ კიდევ უცნობია, იგი ჩნდება უკვე პლინიუსთან (გარდ. 79 წ. ახ. წ.) და, თუ არ ვცდებით, ვგონებ პირველადაც

¹ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 644, თარგმ. 185.

² იქვე, 652, თარგ. 199.

³ იქვე, 177, 640 (მ. თამარაშვილი აქ იმომეებს ლამბერტის „სამეგრელოს აღწერის“ იტალიურ ტექსტს, რომელიც ჩვენ ხელთ არა გვაქვს).

⁴ იქვე, 173 (ლამბერტი).

⁵ იქვე, 643 და 183.

⁶ ი. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი, „ბორია“ სიტყვის ქვეშ.

დასავლურ ლიტერატურაში¹. მაგრამ ძალიან საინტერესოა (და ამისათვის არავის მიუქცევია ყურადღება) რომ პლინიუსის ლაზები საკუთრივ ეგრიისის ფარგლებს გარეთ იგულისხმებიან. აი რას ამბობს პლინიუსი: „140 000 ნაბიჯის მანძილზე ტრაპეზუნტიდან მდ. აბსარია და იმავე სახელის მქონე ციხე შესართავთან. ამ ადგილებში მთების გადაღმა (eius loci a tergo montium) ჰიბერიაა, ხოლო ნაპირის გასწვრივ (მოსახლეობენ) ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები (Lazi), მდინარეები აკამფსეონ, ისის, მოგრუს, ბათუს (ლრმა), კოლხთა ტომები, ქალაქი მარტიუმ, მდინარე ჰერაკლეუმ, იმავე სახელწოდების კონცხითურთ და უსახელოვნესი პონტოს (მდინარეთაგან) — ფასის“². ლაზების ტერიტორიას კარგად განსაზღვრავს პლინიუსის მიერ დასახელებული გეოგრაფიული ობიექტები. აბსარს სენ-მარტენი რიზესთან ეძებდა, მულერი — ხოფასთან, კიპერტი — მაკრიალთან. აკად. თ. უსპენსკის აბსარის ციხე გონიოდ მიაჩნია. ჩვენც ამავე აზრისა ვართ და ვფიქრობთ, მის სასარგებლოდ, ანგარიშგასაწვევი საბუთები გვაქვს მოტანილი³. მდ. აკამფსეონი ყოველ ექვს გარეშე ქოროხია, ისიდი, მოგრი და ბათი აქარა-ქობულეთ-გურიის მდინარეებია, რომელნიც ზღვას ერთვიან ქოროხსა და რიონს შორის. ეს მდინარეები დასახელებული აქვს არიანესაც, მაგრამ სხვა რიგით: ბათუსი, აკინასასი (როჰელიც პლინიუსს ნახსენები არა აქვს), ისისი და მოგრი. აქ ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს იმ რთული საკითხის გადაწყვეტას, თუ როჰელ მდინარეს აქარა-ქობულეთ-გურიისას შეესატყვისებიან პლინიუს-არიანეს ბათუს-ისის-მოგრი (მთავარი პრეტენდენტები, რათქმაუნდა, ბათომის წყალი (კორონისთავი), ნატანები და სუფსა იქნებოდნენ). ჩვენთვის საკმარისია ის საზღვრებიც, რომლებიც უკვე მოიხაზა და რომლებსაც კიდევ უფრო კარგად არკვევს პლინიუსის ცნობის უკანასკნელი ფრაზა, მოცემული ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილოეთ მიჯნად მდ. ფასის-რიონს რომ ასახელებს. მაშასადამე, პლინიუსის წარმოდგენით, ჰენიოხები, ამპრევტები, ლაზები და კოლხების ტომები ცხოვრობენ შავი ზღვის

¹ რომაელივე მწერალი, სახელგანთქმული ტ. ლივიუსი, რომლის ცხოვრების დრო ნახევარი საუკუნით წინ უსწრებს პლინიუსისას, როცა პომპეუსის მოქმედებას ასწერს, აღმ. ამ.-კავკასიაში იხსენიებს ჰიბერებსა და ალბანელებს. დას. ამ.-კავკასიაში-კი — კოლხებსა და ჰენიოხებს, SC, II, 50—51.

² Nat. hist., lib. VI, § 12.

³ იხ. ჩვენი ზემოთდასახელებული ნარკვევი კოლხეთის ისტორიულ გეოგრაფიიდან.

სანაპიროზე, ქობროხის შესართავის რაიონსა (ან უკიდურეს შემთხვევაში — მაკრიალიდან მოყოლებული ჩრდილოეთით) და თანამედროვე აპარა-გურიის მიწა-წყალზე. ლაზებს აქ თითქოს შუა ადგილი უპირავთ — მათ ზემოთ „კოლხების ტომები“ ცხოვრობენ. „კოლხების ტომები“ ამ სახით მოხსენება, შემდეგ ჰერაკლეუმის მდინარის და კონცხის დასახელება ამ ადგილას, მოწმობს იმას რომ პლინიუსის საერთოდ ნიშანდობლივი, კონკრეტული და კარგი, ცნობა ნაკლისაგან თავისუფალი არ არის და მას ერთგვარი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ.

საკონტროლოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პლინიუსისავე თხრობის მომდევნო ნაწილს, რომელიც ზემოთ გვქონდა განხილული და რომელიც ფასის-რიონის აღწერილობით იწყება (§ 13 და 14). როგორც ცნობის ანალიზმა დაგვარწმუნა, მდ. ფასის-რიონის ჩრდილოეთით პლინიუსისათვის უკვე ახალი ტერიტორიულ ეთნიკური ოლქი იწყება, რომლის მოსახლეობაში იგი უჩვენებს მხოლოდ სალტიებს, სანებს, სვანებს, აბსილებს, სანიკებს და, დასასრულ, ჰენიოხთა ტომებს.

რიონის ჩრდილოეთით, როგორც ვხედავთ, ლაზების ხსენებაც-კი არ არის, და პლინიუსის ტექსტისათვის ეს გარემოება, ჩანს, შემთხვევითი არაა.

თუ კვლავ § 12-ს და მის ჩვენებებს, ლაზების შესახებ, დავუბრუნდებით, საკმაო საფუძვლით შეგვიძლია მივიღოთ რომ, პლინიუსის გეოგრაფიულ წარმოდგენაში, ლაზებს ქობროხის ხეობის ქვემო ნაწილი ეჭირათ, ე. ი. ის მხარე, რომელიც ქართველების, სომხების და სხვა ადგილობრივი ხალხების პირში ყოველთვის კლარჯეთად იწოდებოდა. ამიტომ ბუნებრივად შეიძლება დაიბადოს კითხვა, ხომ არ უდრის პლინიუსის „ლაზ“-ი ქართ. „კლარჯ“-ს, როგორც რეალ-ისტორიულად, ისე სიტყვიერადაც? ქართ. ჯგ აფრიკატის გადაცემა ლათ. z-ათი შეუძლებელი არ არის. რ-ს მეტ-ნაკლებობაც აიხსნებოდა; გაცილებით უფრო რთულია საკითხი თავკიდური კ-ს დაკარგვის შესახებ. დამატებითი მასალის საჭიროება საბოლოო დასკვნისათვის აქ თვალსაჩინოა.

სულ სხვა სურათს გვაძლევს არიანეს ცნობა, რომელიც 134 წ. ეკუთვნის (ახ. წ.). ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე, არიანეს ცნობით, მოსახლეობენ (სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ): უმეფო სანები, მაკრონები და ჰენიოხები (ერთ სამეფოდ), ზიდრიტები (თუ ზუდრიტები), ლაზები, აფსილები, აბასკები, სანიგები. მაკრონ-ჰენიოხებსავეთ ზიდრიტებს, ლაზებს, აფსილებს, აბასკებსა და

სანიგებს თავიანთი განცალკევებული სამეფოები აქვთ (§ 15). ამ სამეფოების ტერიტორიული განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს არიანესავე შემდეგ ცნობებს. თანამედროვე ქანეთის მდინარეების ჩამოთვლისას (§ 8) არიანე, სხვათა შორის, ასახელებს მდინარე „პრუტანისს“, 40 სტადიონის მანძილზე ქ. ათინიდან (ჩრდილოეთისაკენ) და თანაც დასძენს რომ ამ მდინარეზე „არის ანხიალის სასახლე“ (παραλίεα), § 15-ში-კი არიანე გვამცნობს რომ მის დროს მაკრონებისა და ჰენიოხების მეფედ იყო ანხიალი. უეჭველია, ამ ანხიალის „სასახლეს“ უჩვენებს არიანე მდ. პრუტანისზე. პრუტანისი, უოკელ ექვს გარეშე, არის თანამედროვე მდ. ფურტუნა. რადგანაც საფიქრებელია რომ მეფის რეზიდენცია დიდად დაშორებული არ უნდა ყოფილიყო სამეფოს ცენტრალურ რაიონს, ამიტომ შეიძლება მივიღოთ რომ არიანეს მაკრონ-ჰენიოხებს ეჭირათ თანამედროვე ქანეთის ნაწილი ცენტრით, დაახლოებით, ქ. ათინასთან. მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორიის ფარგლების დაზუსტებისათვის უნდა დაეუბრუნდეთ კვლავ პლინიუსს და მოვიგონოთ მისი „ტომი სანების-ჰენიოხებისა“ gens Sannorum Heniochorum, § 12¹. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პლინიუსი და არიანე ერთიდაიმავე მოსახლეობის შესახებ ლაპარაკობენ, იმ განსხვავებით, რომ არიანეს სანნები შეუცვლია, ალბათ, თვითნებურად, მაკრონებით. საფუძველი ასეთი ხელოვნური კონსტრუქციისათვის, საფიქრებელია, იყო ჰეკატეს (VI ს. ძვ. წ.) განმარტება, რომ „მაკრონები ამჟამად სანნები“ არიან (ფრ. 191)², განმარტება, რომელსაც ასეთი ხალისით იმეორებს ყველა მომდევნო ძველი ბერძენი და რომაელი მწერალი. მოტივი-კი „სანნების“ შეცვლისათვის მაკრონებით შეიძლებოდა ის ყოფილიყო რომ სანნებს არიანე უჩვენებს უფრო სამხრეთით, ტრაპეზუნტისაკენ, როგორც უმეფო ტომს, სან-ჰენიოხებს-კი, არიანეს ცნობით, უკვე სამეფო ხელისუფლება მოეპოვებათ. სანნების ეს ორი ნაწილი, მაშასადამე, სხვადასხვაგვარ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში იმყოფებიან.

პლინიუსის ცნობით, სან-ჰენიოხების მოსახლეობა თითქოს მდ. პიქსიტიდან იწყებოდა (... Flumen est Pyxites, ultra vero

¹ ყურადღება მისაკცევია რომ პლინიუსი ორჯერ იხსენიებს ჰენიოხებს-ერთხელ სანნებთან დაკავშირებით, მეორედ-კი — ცალკე, ამპარეცტებისა და ლახების რიგში.

² რომ არიანე ძველ ავტორებს იცნობს და იყენებს, ეს მის მიერ ფორმალურადაც დადასტურებულია ამავე მე-15 §-ში, სადაც იგი ხან იმოწმებს და ხან ეკამათება ქსენოფონტეს (V ს.).

gens Sannorum Heniochorum, § 12). მაგრამ, პლინიუსით, თვით პიქსიტი თითქოს ტრაპეზუნტს სამხრეთითაა, მაშინ როცა არიანეს პერიპლით პიქსიტი გაცილებით უფრო ჩრდილოეთითაა ნაჩვენები, ზემოთდასახელებულ მდინარე პრუტანის-ფურტუნასა და არკაბეს შუა, თვითეულისაგან 90 სტადიონის დაშორებით (§ 8). პიქსიტი უნდა იყოს ვიწვე-წყარი (ვიწვე-სუ) ან აბუ-წყარი (უფრო საეპკოა). თუ პლინიუსის თხრობაში სათანადო, საკმაოდ დიდი, ზეცთომის შესაძლებლობას დავუშვებდით, მაშინ უნდა მიგველო რომ ამ ცნობაში დასახელებულია სან(მაკრონ)-ჰენიოხების ტერიტორიის ჩრდილოეთი საზღვარი, რომელიც, დაახლოებით, თანამედროვე ვიწვესთან, ან ამ უკანასკნელთან ცოტა ჩრდილოეთით გადიოდა. ხოლო, ამ შემთხვევაში, ზემონათქვამის საფუძველზე (ათინა ცენტრია მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოსი), ამ სამეფოს სამხრეთი საზღვარი დაახლოებით რიზესთან უნდა გავეტარებინა. შემდეგ ქალ. სებასტოპოლისს (სოხუმს) არიანე სანიგების ტერიტორიაზე უჩვენებს (§ 15); ხოლო სანიგებსა და მაკრონ-ჰენიოხებს შორის ათავსებს ზიდრიტების, ლაზების, აფსილებისა და აბასკების სამეფოებს. ამ ოთხი სამეფოდან მაკრონ-ჰენიოხების მიწა-წყალს უშუალოდ „ენეზობლებოდა“ ზიდრიტების¹ მიწა-წყალი, რომელიც, მაშასადამე, დაახლოებით ვიწვეს ჩრდილოეთით იწყებოდა. ამ ოთხ სამეფოს რომ თვითეულს იმდენივე ტერიტორია მიეუზომოთ, რამდენიც, ჩვენი ანგარიშით, თითქოს მაკრონ-ჰენიოხებს უნდა სჭეროდათ, მივიღებდით, რომ ზიდრიტების ტერიტორია თავდებოდა სადღაც აქარა-ქობულეთის საზღვართან, შემდეგ იწყებოდა ლაზების მიწა-წყალი, რომელიც ვრცელდებოდა დაახლოებით მდ. ხობის რაიონამდე, ხოლო შემდეგ უკვე აფსილების სამეფო იყო გადაქიმული. მაგრამ ცხადია, ეს მეთოდი მეტად პრიმიტიულია და ჩვენ მას ვერ დავეყრდნობით, ვიდრე სხვა ცნობებსაც არ გავითვალისწინებთ.

ლაზების შემდგომი ხსენება მოეპოვება პტოლემეს. ცნობილი გეოგრაფი ამის შესახებ ამბობს: „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები (Λαζοι), ზეგანში-კი — მანრალეები და ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ ეკრიკტიკეს ქვეყანაში“, გეოგრ., წ. V, თ. IX, § 5. მაგრამ რადგანაც თვით კოლხეთი პტოლემეს ძველ-

¹ ფორმალურად (დასახელების რიგის მიხედვით) გამოდის, რომ არიანეს ზიდრიტები უდრიან პლინიუსის ამპრეეტებს. რეალური ურთიერთობის გარკვევა, ზიდრიტ-ამპრეეტებს შორის, მომავლის საქმეა.

ბურად ესმის (კოლხეთის სამხრეთი საზღვარი მას კაბადუკიის პონტომდე ჩააქვს), ამიტომ მისი ცნობა ჩვენი საკითხისათვის არაფერს გვაძლევს, გარდა იმისა, რომ თითქოს მიუთითებს სახელწოდება „ლაზის“ გაზრდილ მნიშვნელობაზე, რომელიც ეხლა, საფიქრებელია, უფრო ფართო მოსახლეობას გულისხმობს, ვიდრე თუნდაც არიანეს დროს, რომელიც რამდენადმე წინ უსწრებს პტოლემესას. პტოლემეს განხილული ცნობის მართებული გაგებისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი მეორე ჩვენება, ჩართული სარმატიის მოსახლეობის საერთო აღწერილობაში: „პონტოს გასწვრივ (παρὰ τὴν Ἰόνιον), — ამბობს პტოლემე, — (ცხოვრობენ) ახეები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები“¹. რას ნიშნავს ეს ცნობა? პონტოს სანაპიროს რომელ ნაწილს გულისხმობს იგი? თუ მხოლოდ იმას, რომელიც საკუთრივ სარმატიას ეკუთვნოდა და კოლხეთის ჩრდილოეთით მდებარეობდა, • თვით პტოლემესავე განსაზღვრით (ე. ი., დაახლოებით, მდ. ბზიფის ხეობიდან მოყოლებული ქერჩის სრუტემდე), მაშინ რანაირად მოხვდნენ იქ, კოლხეთის გარეთ, ეს „სუანოკოლხები“? თუ „სუანოკოლხების“ ადგილსამკვიდრებელი აქ შეცთომითაა განსაზღვრული და ისინი სანაპიროს უფრო სამარეთით მდებარე ნაწილში, კოლხეთის ტერიტორიაზე, უნდა გადაეყვანოთ, მაშინ ნეტარი ყოფილა აგრეთვე პტოლემესავე ზემომოყვანილი ცნობა, რომ „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები“. ერთი სიტყვით, პტოლემეს არ ჰქონდა, როგორც ჩანს, მთლად ნათელი წარმოდგენა კოლხეთის მოსახლეობაზე. — სტეფანე ბიზანტიელის განმარტებით, „ლაზები (Λαζοί) სკვითური ტომია“², მაგრამ ასევე სკვითურ ტომად სთვლის სტეფანე აფსილებს და სანიგებსაც. რაზეა დამყარებული ასეთი გაგება, არ ჩანს.

გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოებაც რომ, გარკვეული დროიდან მოყოლებული (ბიზანტიურ ხანაში თითქმის უკლებლივ), ძველ ბერძენსა და რომაელ მწერლებს „ლაზი“ კოლხების ახალ სახელად მიაჩნდათ, და ამ სახელწოდებათა მატარებელ ტომებს ერთსადაიმევე ხალხად სთვლიდნენ. ასე მაგ., არიანეს უსახელო რედაქტორი მეხუთე საუკუნისა (ახ. წ.) ამტკიცებს: „დიო-

¹ გეოგრ., წ. V, თ. VIII, § 24.

² ლესიკონი, სიტყვის ქვეშ. XII ს. მწერალი იოანე ცეცე კიდევ ამტკიცებს, რომ „კოლხები ინდოელი სკვიტები არიან, იწოდებიან აგრეთვე ლაზებად და ცხოვრობენ აბასგების მეზობლად“, SC, I, 400, აგრეთვე 404, 405 („კოლხები ლაზური ტომია“).

სკურიდიდან ანუ სებასტოპოლიდან ზღ. აფსარამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი, რომელიც იწოდებოდა კოლხებად და რომელსაც ახლა შეერქვა ლაზები (Λαζεις)¹.

მემნონი, რომელიც, როგორც ფიქრობენ, I—II სს. მიჯნაზე ცხოვრობდა, მითრიდატისა და რომაელების ბრძოლის ისტორიაში მოგვითხრობს, რომ როცა ლუკულმა ალყა შემოარტყა სინოპს და სანოვაგე მოუწყვიტა გარემოცულებს, ამ უკანასკნელთაგან ის პირები, რომელთაც ხელისუფლება ჰქონდათ ქალაქში მითვისებული, თავის შევლის მიზნით „ხომალდებით გაიქცნენ პონტოს შინაგან ადგილებში, რომლებიც დასახლებულია სანიგებითა და ლაზებით“². სამწუხაროდ, არც ეს, სხვა მხრივ ფრიალ საყურადღებო, ცნობა იძლევა მტკიცე დააყრდენს ჩვენი ტერიტორიული საკითხის გადაწყვეტისათვის. თუ ტერმინს „პონტ“-ს აქ ადმინისტრაციული მნიშვნელობა აქვს, მაშინ ეს ოლქი სრულიად გარკვეულ ადგილას უნდა გვედებნა. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ესაა ნათელი.

საინტერესოა რომ ზემოხსენებული იპოლიტე პორტელი თავის „შთამომავლობათა წიგნში“ იაფეტის ტომთაგან იხსენიებს კოლხებს, საკუთარ ენის მქონე ტომთა შორის კიდევ — კოლხებსა და სანებს, ხოლო ლაზებს — არსად³. ასევე იქცევა ევსევიც⁴. სამაგიეროდ ეპიფანე, რომელიც თანამედროვეა ევსევისა, მხოლოდ ცოცხლობს ევსევიზე დიდხანს (ეპიფანე დაიბ. 314 წ. მასლობლად, გარდ. 403), ლაზებს საპატიო ადგილს უთმობს ერთა ფილიაციაში (სემის შთამომავალთა შორის), სამაგიეროდ სანებს სულ არ იხსენიებს (კოლხები იაფეტუიანთა შორის ჰყავს მოქცეული)⁵. საყურადღებოა რომ ეპიფანეს მოხსენებული აქვს უკვე ქვეყნის სახელი ლაზია (Λαζία), რომელიც, უკურო იშვიათად, გვხვდება შემდეგშიაც (სხვათა შორის, იგი ნახმარი აქვს თამარ მეფის ისტორიკოსსაც), იმიტომ რომ გაბატონებული ფორმა არის „ლაზიკე“. — პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ტერმინს „ლაზები“ . ეპიფანესთან შემდეგ

¹ ანონიმის პერიპლი, § 48, SC. I, 275. იხ. აგრეთვე წინა შენიშვნა.

² LIV, SC. I, 510.

³ SC, II, 445—7.

⁴ იქვე. I, 667—9.

⁵ SC. I: 707—8. ეს სიები ეპიფანეს თავისებური წესით აქვს შედგენილი: მოსინიკები (სანებს ზომ არ გულისხმობენ ისინი?) მოხსენებულნი არიან როგორც სემის, ისე ქამის და ისევე იაფეტის შთამომავალთა შორის, ლაზები ორჯერ იხსენიებიან ერთ სიაში და სხვ. თვით ეპიფანე ამას ხსნის საერთო საზღვრებით, მიგრაციებით და ქამის ძალმომრეობით, იქვე.

ფრაზაში, სადაც ეპიფანე კითხულობს: ვინ იცის, თუ რამდენი მწვალებლური დასია „ქასპიაში... ან სარმატიაში... ან ზიკხებთან, ამაზონელებთან, ლაზებთან, იბერებთან“...¹ თეოდორიტე კვირელი (V ს. პირველი ნახევარი), როგორც უკვე ვნახეთ ზემოთმოტანილ ციტატაში, ჯერ კიდევ ერთმანეთში არჩევს ლაზებსა და სანებს. მაგრამ მეხუთე საუკუნეში მაინც საბოლოოდ დამკვიდრდა „ლაზის“ ახალი მნიშვნელობა ტერმინ „ლაზიკესთან“ ერთად: „ლაზი“ უდრის თანამედროვე „მეგრელს“, „ლაზიკა“ კიდევ აღნიშნავს საკმაოდ დიდ სამეფოს, რომელიც შეიცავდა გურიას, ქვემო იმერეთს, რაქალეჩხუმს, სამეგრელოს, სვანეთსა და აფხაზეთს, და რომელიც ჩამოყალიბდა IV ს. დამლევს. ამ გარემოებამ განსაზღვრა, ძირითადად, მოცემული ტერმინების სემანტიკური ფუნქციის ახალი ფარგლები². ამის შემდეგ სანიცა და ზანიც, სამეგრელოს ტერიტორიის მიმართ, უკვე სავსებით ან მეტწილად, ქრება: პირველი (და, მასთან ერთად, სხვა, ზემოთგარჩეული ტერმინებიც) ჩაყლაპა ლაზმა, მეორე — მეგრელმა-მარგალმა. ზანი მხოლოდ სვანურს შერჩა. შემდეგ ხდება კიდევ ერთი საინტერესო ამბავი: უკვე ლაზიკის სამეფოს დაშლის შემდეგ ტერმინი ლაზი გადადის ქანებზე, რომელნიც მანამდის ასე არასოდეს არ იწოდებოდნენ. ეს უკვე სხვა რიგის ისტორიული საკითხია, და მის შესახებ ჩვენ სპეციალურ ნარკვევში გვექნება საუბარი.

აქ მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ რომ ტერმინი „ლაზის“ ორიგინალური ეტიმოლოგია თავის დროზე წარმოდგენილი ჰქონდა აკად. ნ. მარს. ამ განმარტებით „ლაზი“ არის ელინიზებული ფორმა „ზანების“ ქვეყნის სახელწოდებისა, „ლაზი“ მოდის „ლა-ზან“-იდან, ეს უკანასკნელი-კი არის ადგილის სახელის სვანური ფორმა³. გეოგრაფიულ-ტერიტორიულმა ტერმინმა ეთნიკური მნიშვნელობით „მუუსაბამო“ (несуразное) გამოყენება ჰპოვა არა იაფეტილებში, არამედ ბერძნებშიც, ამტკიცებდა მარი⁴. გარდა ამისა, მარი ფიქრობდა რომ ლაზი და მეგრელი ერთიდაიგივე არ არის, რომ

¹ SC, I, 710.

² ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი „გურისის სამეფოს წარმოშობა“, ტფ. უნ. შრომები, V.

³ Н. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и алаванов... ЗВО, XVI (1905), 165—166; მისივე. Из поездки в Турецкий Лазистан, ИАН, 1910, 571; მისივე, Из поездок в Сванию, XV, т. II, вып. I, 32, შენშ.

⁴ Из поездок в Сванию, 23, შენშ.

ტერმინი *san'ic-კი*, *ს-ს z-დ* გამეღერებით, გადატანილი იყო ჩრდილოეთში, მეგრელებზე¹. შემდეგში მარმა რადიკალურად უარყო ეს ეტიმოლოგია, რომელსაც იგი, როგორც ვნახეთ, მრავალი წლის სიგრძეზე იცავდა; ავტორმა წინანდელი ახსნა შეცთომად აღიარა და „ლაზ“ ეხლა უკვე „ლაზ-გ“-ისა (ლეკისა) და „პე-ლას-გ“-ის ფუძის ერთ თავისებურ სახედ მიიჩნია².

ჩვენ არადამაჯერებლად მიგვაჩნია როგორც პირველი, ისე მეორე ეტიმოლოგია. პირველისთვის მთავარი დაბრკოლება ისაა, რომელსაც თავის დროზე მარი აღიარებდა — ტერიტორიულ-გეოგრაფიულ ტერმინის გადაქცევა ეთნიკურად. ამგვარი ტრანსფორმაციის უტყუარი ფაქტების დასახელება ადვილად შეიძლება. აი, თუნდაც ქართული „სვანეთი“, „ჯიქეთი“ და მისთანანი რუსებმა რომ სატომო სახელებად აქციეს: XIX საუკუნეში რუსული მწერლობა ძალიან დიდხანს ხმარობს *сванет-ს*, სვანის მნიშვნელობით, *джикет-ს*, ჯიქის მნიშვნელობით, და ა. შ. მოცემულ ახსნის საწინააღმდეგოდ, უწინარეს ყოვლისა, ისტორიული უკუთქმები ჩნდება: ასახსნელია (თუ აუხსნელი), როგორ მოხდა, რომ ზღვისპირა ტომის, სან-ზანების, სახელწოდებისათვის ბერძენ-რომაელთა მწერლობამ, ამ დროს (I—II სს., ახ. წ.) უკვე ზანების მიღმა, მთებში მცხოვრები, სვანების ტერმინი შეითვისა, და არათვით სან-ზანების საკუთარი სახელწოდება? კიდევ უფრო მიუღებელია, ისტორიულად, მოქალაქეობრივ სარბიელზე ეთნიკურ ტერმინზე ადრე ტერიტორიულის გამოყვანა: როცა ტერმინი ლაზი პირველად ჩნდება მწერლობაში, მაშინ ეს ტომი ისეთს საზოგადოებრივ ფორმაციაში იმყოფება, რომ მისი ტერიტორიის აღსანიშნავად ეთნიკურის (მორფოლოგიურადაც!) ტერმინის ხმარებაა მოსალოდნელი, და არა ტერიტორიულ-გეოგრაფიულისა. განა დამახასიათებელი და ანგარიშგასაწევი გარემოება არ არის ის, რომელიც აღნიშნული აქვს თვით აკად. მარს რომ ფორმა „ლა-ზან“-დღესაც უცნობია სვანებისათვის და რომ სამეგრელოს ისინი მარტივად „ზან“-ს ეძახიან? ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის, არამედ უძველესი ხანის გარდმონაშთია, როცა მოცემული სტრუქტურის ტერმინს კრებითი სატომო სახელის მნიშვნელობა ჰქონდა და იმავე დროს ტომის გავრცელების არესაც აღნიშნავდა. ჯერჯერ-

¹ Крещенов, 166; Из поездки, 32, შენშ.

² ნ. მარი, რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება? 1923 წ., გვ. 38.

რობით დაუსაბუთებლად მიგვაჩნია ჩვენ აგრეთვე ლაზის დაკავშირება ლაზგსა და პელაზგთან¹.

რა ურთიერთობაა მეგრულთა სატომო სახელის ამ ძველს, ადგილობრივ და უცხოურ, ფორმათა შორის? აქ უწინარეს ყოვლისა, გასარკვევია ზან-ისა და ბერძნ.-ლათ. სანნ-ის ურთიერთდამოკიდებულება, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ის მიმართება, რომელიც არსებობს ამ სიტყვების თავიკიდურ თანხმოვანთა შორის. აქ თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ რომ ბერძნ. σ-სა და ლათინ. s-ის გადმოცემა ქართ. ს-ანით უბრალო ტრანსლიტერაციაა. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა ბგერითს შინაარსს სდებდნენ ამ ასოში ბერძნები და რომაელები უცხო ენის უფრო მდიდარი ფონეტიკური მასალის გადმოცემისას თავისი ნაკლული (ამ უცხო ენის ფონეტიკის თვალსაზრისით) ანბანით. σ-სა და s-ს შეიძლებოდა ეტვირთა ქართველური ენების როგორც მარტივი სპირანტების, ისე რთული აფრიკატების გამოსახვა. თუ რომელი მათგანისა, სახელდობრ, ეს საძიებელია. ადგილობრივი მასალები, როგორც ვნახეთ, არჩევანს შექმდევ 3 ბგერაზე მიაგდებს: ზ, წ, ჭ. აფრიკატებში, ჩვენ ვფიქრობთ, სისინათა შანსები, ამ შემთხვევაში, მეტია, ვიდრე შიშინათა. გასათვალისწინებელია რომ ბერძნულს (და ლათინურსაც) არ ჰქონდა არა მარტო შიშინა აფრიკატები, არამედ ამ უკანასკნელთა ძირითადი კოჰპონენტიც — ბგერა შ. შიშინა აფრიკატები ბერძნ-რომაელთათვის აკუსტიკურად ორმაგად რთული უნდა ყოფილიყო. ამიტომაა რომ როცა სახელწოდება „ჭანი“ შედის ბერძნულ მწერლობაში, ჭ-ს აქ ორი ასოთი, ო, გადმოსცემენ. ასევეა, როგორც ვნახეთ, ლათინურის შემკვიდრე იტალიურშიაც, სადაც ქართ. ჭ-ს (ხმოვნის წინ) გადმოცემას აგრეთვე ლიგატურით რჩებობენ². რაც შეეხება წ-ს, მისი აღნიშვნის მოვალეობა-კი შეიძლებოდა ეკისრათ „სიგმა“ — „ეს“-საც. ამის მშვენიერი მაგალითია პტოლემეს Σαυα-ραι (წ. V, თ. VIII, § 25), რომელიც უდრის ქართულს „წანა-

¹ მყარს საფუძველს მოკლებულია აგრეთვე ისეთი დაახლოებანი, როგორიცაა: აზრა || აგრუა (მეგრული), ხაზრან (მასუდი) || კაძარ (ვითომც მეგრულთა თვითწოდება) || კაჯარ (?), აქარ, სადაც გაუგებრობას შემთხვევითობა ემატება და ფაქტიური მასალაც სინამდვილეს ძალიან დაშორებულია, იხ. ბ რ უ ნ ი ს შენიშვნები ველის თარგმანისათვის, ЗООИД, IX (1875), 173.

² იტალიურში ქართულ შ-საც ლიგატურით sc, ან კიდევ უფრო რთულად — scī გადმოსცემენ: sciausces უდრის „შავშელს“, მეგ. იხ. მ. თამარა-ცივილი, გვ. 420 და 786 და სხვ.

რებს¹. საინტერესოა რომ არაბებიც ამ ფუძეს *صا* სახით გადმო-სცემენ², სადაც ქართულ წ-ს და ბერძნ. *σ*-ს უდრის არაბ. *ص*. სა-ეპოლ მიგვაჩნია ჩვენ აგრეთვე *σ* || *σ*-თი ქართ. ზ გადაეცათ. ამი-სათვის უფრო შესაფერისი იყო ბერძნ. *ζ* და ლათ. *z*, ეს ფაქტი-ურადაც ასეა. უკვე სტრაბონის გეოგრაფიაში ქართ. „ალაზანი“ გადმოცემულია *Ἀλαζάνης* სახით³, ხოლო ქართლის დედაქალაქის არმაზის ანუ არმაზის-ციხის სახელი *Ἀρμαζαχί*-დ⁴. აქ ორივეგან, მაშასადამე, ზ = *ζ*. ლათინური შესატყვისებიდან *σ* = *ζ* = ზ პლინიუს-თან, ალაზნის სახელში, რომელიც მას საერთოდ დამახინჯებულად აქვს მოცემული (*Ocazane*)⁵.

ამიტომ, ვფიქრობთ ჩვენ, ბერძნების და რომაელების „სანნი“ ზანად არ უნდა წაეიკითხოთ. რაც შეეხება „წანის“ საკითხავს, ის, როგორც ვთქვით, შეუძლებელი არ არის, მაგრამ ზემოთმოტანილ მასალებს უნდა დავერწმუნებინეთ რომ ეს ფორმა ადგილობრივი გავრცელების ყველაზე მცირერიცხოვან, სხვა ფორმებთან შედარებით, ფაქტებშია გამოხატული. ისეთი აზრიც გავიციანით, რომ წ მეორეულ ნოვლენად და *ჭ*-ს განვითარებად არის მიჩნეული.

ყოველივე თქმულის ნიადაგზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საკითხი საბოლოოდ ჯერ ვერ გადაწყდება, მაგრამ მოცემული ფაქტიური მასალის მიხედვით ყველაზე ბუნებრივი ჩანს ბერძნ.-რომ. „სანნ“ სწორედ ასე წაეიკითხოთ. ამ შემთხვევაში მივიღებ-დით რომ ბერძნ.-რომაულ მწერლობას შემონახული აქვს სატომო სახელწოდების უფრო ადრინდელი საფეხური, მეორე საფეხური-კი ადგილობრივი ზან-ია: *ს*-ს განვითარება *ზ*-დ შეუძლებელი არ არის. შეადრ. მეგრ. სიტყვა || ზიტყვა, ზაზანდარი (აქ ასიმილა-ციის წესიც მოქმედებდა ალბათ), ზირტუა — სხლეტა, ზისხირი — სისხლი.

¹ ნ. მარი „წანარ“-საც სვანების სახელად სთვლის, Из поездки в Сван-შიო, 32, შენშ., მაგრამ ეს დებულება დაუმტკიცებელი რჩება. რაც შეეხება ავტორის განცხადებას, წანარ-ს სვანებს ეძახდნენო, იქვე, ეს უკვე ფაქტიურადაც არ არის სწორი.

² იხ. მაგ. ბალაძორი, ეუხეს გამოც., ბაქო, 1927, გვ. 4.

³ Strabo, Geographica, ed. Meineke, L., B. T., 1925, წ. XI, თ. 3, § 2. გვ. 702; აგრეთვე თ. 4, § 5, გვ. 706. — ქვემოთ ყველგან ეს გამოთქემა ნა-გულიანმევი.

⁴ იქვე, § 5, გვ. 703.

⁵ Nat. hist., VI, 29. რომ აქ მართლაც ალაზანი იგულისხმება, უძველია, რადგანაც იგი საზღვრადაა გამოცხადებული იბერებსა და ალბანელებს შორის. — რაც შეეხება არმაზის სახელწოდებას რომაელ ავტორებთან, ამის შესახებ სპე-ციალური მსჯელობაა საჭირო.

ზემოთაღნიშნული ფაქტები მკიდროდ აკავშირებენ, — სატომო სახელთა სფეროშიაც, სადაც ყველაზე ძლიერია ცვალებადობა, — ჩრდილოეთისა და სამხრეთის „მეგრელებს“, ანუ საკუთრივ მეგრელებსა და დღევანდელ ლაზებს (ქანებს). ცხადი ხდება, რომ ამ არსებითად ერთს, მთლიანს, ტომს, თავის დროზე სატომო სახელწოდებაც ერთი ჰქონდა.

ამ მხრივ ყველაზე ადრე ყურადღებას იქცევს ისეთი უძველესი ლიტერატურული ფაქტი, როგორცაა მეექვსე საუკუნის (ძვ. წ.) ცნობილი ბერძენი მწერლის, ჰეკატეს, ჩვენება რომ „მაკრონები ანემად სანნები (Σαννί)“ არიანო (ფრ. 191). როგორც ზემოთ ვთქვით, ეს ცნობა მეტად პოპულარული გახდა შემდეგდროინდელს ბერძნულ-რომაულ მწერლობაში. როგორც მაკრონთა შესახებ არსებული ცნობები (მაგ. მეხუთე საუკუნის დამლევის ქსენოფონტეს აღწერილობა), ისე მერმინდელ მწერალთა და კომენტატორთა განმარტებანი გვაგულისხმებინებენ რომ ჰეკატეს სანები სამხრეთ კოლხეთში არიან საგულეებელნი, და არა ჩრდილოეთში. სტრაბონი, მაგალითად, პირდაპირ ამბობს რომ ტრაპეზუნტსა და ფარნაკიას ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები (Τιβαρανοί), ხალდეები (Χαλδαίοι) და სანნები (Σαννί), რომელთაც წინეთ მაკრონებს (Μακρονας) ეძახდნენ¹. პლინიუსი, როგორც ვნახეთ, პირდაპირს ეთნიკურ კავშირს აბამს კოლხეთის მოსახლეობის ამ ორ დიდ ნაწილს შორის, როცა ასახელებს სანნებს როგორც სამხრეთში (იქ ისინი ჰენიოხებთან კავშირში იმყოფებიან), ისე ჩრდილოეთშიაც. ანალოგია თავს იჩენს იმ მოვლენაშიაც, რომ სახელწოდება „სანნ“-მა, ს-იანი ფორმით, ვერ გასძლო სამხრეთშიაც: თუ ჩრდილოეთში იგი თითქოს ადგილს უთმობს „ზანსა“ და „ლანს“ (უცხოელთა ნონენკლატურაში), სამხრეთში მემკვიდრის როლში ქანი გამოდის, სადაც თავიიდური აფრიკატი ძველ ბერძნ. მწერლებს ძვ-თი აქვთ გადმოცემული. ზემოთვე მოტანილი და განმარტებული სხვა ცნობებით ძველი მწერლებიდან ჩვენ შეგვეძლო სამხრეთისათვისაც განვითარების თითქმის იგივე რიგი დაგვედგინა, თითქოს, რაც ჩრდ. კოლხეთისათვის მივიღეთ: სანი — (ზანი, ეს ფორმა იქ არ შენახულა, მაგრამ საგულისხმებელია) — ქანი. მაგრამ ჩვენ აქ ერთი შენიშვნა უნდა გავაკეთოთ: ჰეკატეს ძვ-ისათვის შეუძლებელია იმის მტკიცება რომ მეექვსე საუკუნის (ძვ. წ.) ამ მწერლის ტექსტში არ შეიძლება აღნიშნავდეს უცხოურ ზ-ს: სპეციალისტები ამტკი-

¹ გეოგრ., XII, 3, 18, დასახ. გამოც., გვ. 770.

ცებენ რომ მეხუთე საუკუნის დამლევამდე, ძვ. წ., ჯერ კიდევ არ ჰქონდა ზ-ს მნიშვნელობა (იგი აღნიშნავდა „ღჴ“ კომპლექსს) და ამიტომ უცხოურ ზ-ს იმდროინდელი ბერძნები „სიგმათი“ გადასცემდნენ¹. მხოლოდ ის გარემოება რომ მერმინდელი ბერძენი მწერლებიც იმ ხანაში, როცა ჯ უეჭველად უდრის ზ-ს, დაჟინებით სწერენ თ-ს ამ სიტყვაში, ჯ-ს-კი — არასოდეს, გვაფიქრებინებს რომ ზ ბგერა ბერძნებს აქ არ ესმოდათ არც მერმინდელსა და არც აღდრინდელს, ჰეკატეს, დროში.

სამხრეთული ფაქტების სია სრული არ იქნებოდა, თუ აქ არ მოვიგონებდით მოსინიკებს, კარგად ცნობილთ ანტიკურ მწერლობაში, რომელთაც ჩვეულებრივად ქართველ ტომად სთვლიან². შესაძლებელია მართლაც ამ სახელის ფუძეც ჩვენს ბუდეს ეკუთვნოდეს, ხოლო თავსართოვანი მარცვლი ცნობილი ქართველური პრეფიქსი მა || მე || მო || შუ იყოს, რომელიც, როგორც ზევით ვნახეთ, დღესაც სვანურში სატომო სახელიდან საინდივიდო, კერძობითს, ფორმას აწარმოებს (მუშუან = ერთი სვანი, მე-ზან || მე-ზნი — ერთი მეგრელი). ასეთი გაგებისათვის საკურადლებო საარგუმენტაციო მასალა იქნებოდა სკილაკისა (IV ს., ძვ. წ.) და პლინიუსის მიერ დაცული ფორმა ამ სახელისა. სკილაკი, ტიბარენების ჩრდილოელ მეზობლებად, იხსენიებს „მოსსუნ“-ებს (Μοσσυνας, 86-87, SC, I, 86), ხოლო პლინიუსი, მდ. თერმოდონტს ჩრდილოეთით, ჩვეულს ეთნიკურ წრეში, ასახელებს ტომს Massyni, რომელსაც ტანი მოხატული ჰქონია (VI, § 11)... ექვს გარეშეა რომ ეს ქსენოფონტეს მოსინიკები არიან, რომელთაც, ქსენოფონტეს ცნობით, ტანი აგრეთვე მოხატული ჰქონიათ (V, 4—32). საკურადლებო ამ ორ ცნობაში ის არის, რომ სატომო სახელს აქ ჩამოცილებული აქვს -ი- დაბოლოება, რომელიც არც ერთს ზემოგანხილულ ფორმაში ჩვენ არ შეგვხვედრია. მაგრამ სათანადო ფუძეში — ძთჴ³ განსამარტავი რჩება ორი ძთ, რომელიც შესაძლებელია ბერძნული-სათვის უცხო სპირანტს ან აფრიკატს აღნიშნავდეს, და, განსაკუთრებით რთული, ს-ს საკითხი. ჩვენს ხელთ არსებული მასალები ს-ს აღდილობრივ კანონზომიერ შესატყვისს არ იძლევა.

¹ М. Фасмер, Исследование в области древне-греческой фонетики, М. 1914, გვ. 10, 23, 29, 43 და სხვ. ამ სპეციალურ მონოგრაფიაზე მიმითითა პრაფ. გრ. წერეთელმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

² ივ. ჯაქეაზი შვილი, ქართ. ერ. ისტ., I², 25.

³ ქსენოფონტე, ანაბაზისი, V, თ. 4.

შემდეგ საყურადღებოა სატომო სახელი კ ა ე ნ ი. იგივე პლინიუსი (VI, § 11) მდინარე თერმოდონტის ჩრდილოეთით პირველ რიგში ასახელებს „კაენების ტომს“, genus *Caenarum*. ბიზანტიელი ცწერლები, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, იცნობენ კანების ერთ-ერთ შტოს — კანებს ოკაენიტებს, სადაც თითქოს იგივე ფუძე ჩნდება, ტოპონიმიკური ფორმით (ო-) შემოსილი. ლიტერატურაში პროკოპი კესარიელის „ოკაენიტების“ სახელი სწორედ ასეა განმარტებული¹.

ჩვენთვის საინტერესო სატომო სახელწოდების პარალელებიდან სამხრეთ-კოლხეთში აღენიშნავთ აქ მხოლოდ „წან“-ს, რომელიც სამხრეთელ კანების მიმართ ჯერჯერობით მხოლოდ სამეგრელოშია დაცული (იხ. ზემოთ)² და აქაურსავე „ქანთან“ ერთად გვავდება³, და შემდეგ ძველი სომხური მწერლობის ცნობებს, რომლებშიაც „ქან“ ფუძე გართულებულია -იგ სუფიქსით, რომელიც, როგორც სამართლიანად აღნიშნული აქვს აკად. ნ. მარს, მრავლობითი რიცხვის ნიშანი უნდა იყოს⁴, ადგილობრივი წარმოშობის ფორმანტი. ეს ფორმა დაცული აქვს მოსე ხორენელს, იმპერატორის ტაციტის მოკელის შესახებ თხრობაში. მოსეს თქმით, იმპერატორი მოუკლავთ „პონტოს კანივში, რომელნიც არიან ხალდები“-ო⁵. თუმცა სინტაქსურად ტექსტის ეს მტკიცება მთლად

¹ Адонн, Армения в эпоху Юстиниана, 63, 64, სადაც გამოთქმულია მოსახრება რომ „ქანა“ „ქან“-ის უფრო ძველი ფორმაა და რომ უკანასკნელი მიღებულია პირველისაგან კ-ს პალატალიზაციით. ვ, კ, ქ-ს პალატალიზაცია და ამ გზით აფრიკატების მიღება ამკამად ახასიათებს კანურის ათინურ კილოკავის ზოგიერთ უბნებს, ა. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, 15, 26. მაგრამ კანურის თანამედროვე ფაქტები კ-სა და ქ-ს შენაცვლების სფეროდან მრავალ შემთხვევაში თითქოს პალატალიზაციის გარეშე დგას. შეადრ. კახი || კახი — ბელურა, კაკი || კაკი — თხილის ნედლი ჩენო, კრფი || მკეფი — კანაფი, კობა || მკობა — კუბი (მკუბე ყურძენი); კ-სა და წ-ს შენაცვლებიდან: კამწამი || წამწამი — წამწამი. პალატალიზაციის გზა ნათლად ჩანს ისეთ ფაქტში, როგორიცაა: კაფფუ || კაფფუ — ტურა. იხ. Н. М а р р, Грам. язн. яз., ლექსიკონი.

² ისე კი წ-სა და ქ-ს შენაცვლება თვით კანურში საკმაოდ ჩვეულებრივი ამბავია. შეადრ. წარხა || კარხა || ჩარხი (სპ.), წიწი || კინკყვლა — შიგნეული, წუკალი || ტუკანი — დიდი ქვაბი, წუბუტი || ტუბუტა — პაწაწა, წუტა || ტუტა — პატარა. კანური წ შეესატყვისება მეგრ.-ქართ. კ-ს: წუ — მეგრ. კა — ჩალა, წიპა — ქართ. კიპი. იხ. Н. М а р р, Грам. язн. яз., ლექსიკონი.

³ კანი — ტერმინში „კანური“, რაც სამეგრელოში სპილენძის ქვაბს აღნიშნავს: Н. К и п ш и д з е, Грам. мингр. яз., ლექსიკონი, სიტყვა „ქანი“.

⁴ О положении афр. яз. среди яфетических, 17.

⁵ *ჟამთაყქრე ჯყოე, შიოსჯა შორხსაეჩი*, გვ. 215.

ნათელი არ არის, მაგრამ ყველაზე ბუნებრივია ვიფიქროთ რომ აქ ხალდები ჰანებთან არიან გაიგივებულნი, რაც საყურადღებო ცნობაა თავისთავად¹. შემდეგ ისევე, როგორც ჩრდილოეთში მოცემული ფუძის ე.იანი ვარიანტები დავადასტურეთ (ჰენ, წენ), ასევე შესაძლებელია ამ ფორმის არსებობა სამხრეთშიაც ვიგულოვოთ. აქ გასათვალისწინებელია, ლიტერატურაში მრავალგზის განხილულ-კომენტირებული, გარდმოცემა ძველი სომხური მწერლობისა ნახარარ მამიკონიანების წარმოშობის შესახებ. ამ გარდმოცემით, მამიკონიანები შთამომავლობით ჰენ-ები არიან, ამ ფეოდალურ საგვარეულოს წინაპარი სომხეთში მამგუნი ჰენ-ია, „ჰენ-გვარის“ ანუ „ჰენ-თესლისა“ (*ძესაჲს*)². თუმცა უეჭველია რომ ამ გარდმოცემის უშუალო მომთხრობელთ „ჰენ“ აქ ესმით, როგორც „ჩინ“-ი და ეს ფუძე ძველ სომხურ მწერლობაში მართლაც ჩინეთსა და ჩინელზე მიუთითებს, მაგრამ საფუძვლიანი უნდა იყოს ლიტერატურაში არა ერთგზის გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს მწიგნობრული კონსტრუქციაა, სადაც ხალხური თქმულების რეალური „ჰანი“ შეცვლილია „ჰენ“ ო „ჩინ“-ით, რისთვისაც, დავუმატებთ ჩვენ, იქნებ ხელი შეეწყოს „ჰანი“-ის ადგილობრივს ცოცხალ ვარიანტს „ჰენ“-საც. მამიკონიანები რომ მართლაც წარმოშობით ჰანები იყვნენ, ეს სავსებით სარწმუნოა: ამას გვარის სახელის ფუძის მა მიკის (← მამა + კინობითი სუფიქსი³) გარდა დაბოლოება -ონ, ჰანურ-მეგრული აფიქსი, ადასტურებს.

ამრიგად, მოცემული სატომო სახელის ისტორიული ფორმების განხილვა უკვე ამჟღავნებს იმ უმკიდროესს კავშირს, რომელიც ჩრდილოეთისა და სამხრეთის კოლხებს, მეგრელებსა და ლაზებს, შორის არსებობს. სატომო სახელის ამ ფორმათა მრავალნაირობა შემდეგნაირად ჯგუფდება:

I. ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი: ხან-ჰან-წან, და დიალექტური ვარიანტები: ჰან, ჰენ, წენ (?)

II. ს ა მ ხ რ ე თ ი: სან-ჰან — (კან, კან?), და დიალექტური ვარიანტები: ჰენ, წან? აქ ჩვენ იმის რკვევას ვერ გამოვუდგებით, თუ როგორი იყო ამ ფორმების განვითარების ძირითადი ხაზი

¹ სხვა მკვლევარნი ამას უყოყმანოდ ჩადიან. ვინი, მაგ., ასე სთარგმნის: „в Джанике Понтийском, т. е. в Хахтике“, — Ист. Арм. М. Хоренского, М. 1893, გვ. 122.

² მ. ხ ო რ ე ნ ე ლ ი, სომხ. ტექსტი, იქვე, გვ. 99, 221—223, 227.

³ ეს ფუძე ქართველურ წარმოშობისად და მამიკონიანებიც ჰანებად მიჩნეულია, მაგ., ნ. აღონციის მიერ.

(ეს ჩვენი ამოცანისათვის ამჟამად საჭირო არ არის), ვიტყვიტ მხოლოდ რომ თითქოს ყველაზე უფრო სარწმუნო უნდა იყოს: 1. ამოსავალი ფორმა არის „სან“, 2. ჩვენი წვლთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ყალიბდება, როგორც საკუთარი სატომო სახელები, ჩრდილოელი კოლხებისათვის, ზანი, სამხრეთის კოლხებისათვის — ჭანი.

ბუნებრივი იქნებოდა ამიტომ ამ ორი შტოს საერთო სახელად სანი მიგვეჩნია, ენისათვის კიღვე — ს ა ნ უ რ ი ¹.

ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საყურადღებოა ამ სატომო სახელების სტრუქტურა. ძნელი შესამჩნევი არ არის რომ დასაველელ ქართველი ტომების სახელწოდებათა ყველა განხილულ ფორმას ერთნაირი აღნაგობა აქვს: ფუძე + ან, ვარიანტებით. ფუძის სახით, ერთი მხრივ, გვევლინება სუ || შუ, მეორე მხრივ, ს, ზ, კ, და ამათი ვარიანტები წ, კ (?) ². სახელწოდების მეორე ნაწილი თავიდანვე აფიქსის შთაბეჭდილებას ახდენს. რა აფიქსია იგი?

აქ შესაძლებელია ორგვარი პასუხი: 1. ეს არის ცნობილი ქართ. წარმოშობის სუფიქსის, -ელ-ის, ვარიანტი; შეადრ. ყვითელ-ი, მო-ყვით-ან-ო, ყვიც-ი-ან-ი; წით-ელ-ი, მო-წით-ან-ო... ასეთი განმარტება ჩვენ ნაკლებ დამაჯერებლად მიგვაჩნია. გაცილებით უფრო სარწმუნოა რომ ეს არის 2. ქართველურ ენებში ფართოდ გავრცელებული -ან სუფიქსი (ფონეტიკურ ვარიანტების მქონე, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები), რამდენიმე, ურთიერთშორის მკიდროდ დაკავშირებული მნიშვნელობით: ა) კრებითობისა, მრავლობისა, კორპორაციული, ბ) თვისების ქონებისა (კითხვაზე: რიანი?), გ) წარმოშობა-სადაურობისა, დ) ტოპონიმიკური, ე) სიტყვათწარმოებითი, კერძოდ, კინობითობისა.

სიტყვათწარმოების გექანიზმის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს რომ -ან სუფიქსი უკავშირდება ფუძეს ზოგჯერ უშუალოდ,

¹ ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამ. ანალიზი, ასეთს ფუნქციას „ზან“ ტერმინს აკისრებს. რამდენადაც ტერმინოლოგია პირობითია, აქ მთავარია, რათქმუნდა, შეთანხმება, რომლის ნიადაგზე ზან-ტერმინის ასეთ ხმარებას ხელს არაფერი შეუშლის, მხოლოდ: 1. ისტორიულად ტერმინი „ზანი“ სამხრეთისათვის არც ერთი წყაროთი დამოწმებული არ არის; 2. ზან-ის საერთო, ზოგად, ტერმინად მიღებისას საკუთარი სახელი კვლავ დაეკარგებოდა ჩრდილოეთის შტოს. სანს-კი ამ მხრივ ისყარა უპირატესობა აქვს; იგი საერთო სახელია ზანებისა და ჭანებისათვის, ისევე როგორც სანურიის განატრტები იქნებოდა ჭანური და ზანური.

² ცალკე უნდა დაისვას საკითხი სუ- (შუ-) და ს- ფუძეების ურთიერთობის შესახებ.

უმეტეს წილად-კი — ი, ე, ო, უ ინფიქსების საშუალებით. ამ ინფიქსებსა და სუფიქსს შორის ხშირად ჩნდება თანხმოვანი ვ, რომელიც ზოგჯერ შეცვლილია ბ-თი.

სუფიქსის ფონეტიკურ ვარიანტებში განსაკუთრებით აღსანიშნავია -ონ ფორმა, ხოლო შემდეგ — -ენ-იცა და -უნ-იც.

რადგანაც ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას დეტალურად განვიხილოთ აქ -ან სუფიქსის საკითხი¹, ამიტომ ქვემოთ წარმოდგენილი იქნება მხოლოდ საერთო და წინასწარი ხასიათის ანალიზი.

სუფიქსის ნნიშვნელობათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა პირველი — კრებითი. ამ მნიშვნელობის გამოხატვაში ჩვენ ვხედავთ სუფიქსის პირვანდელსა და უძველეს ფუნქციას, ეს მნიშვნელობა ფორმანტისა ნათლად არის წარმოდგენილი ქართველურ გვარის-სახელებში, რომელთაც სათანადო დაბოლოება მოეპოვებათ. გვარისსახელების ეს დაბოლოება თავდაპირველად გავრცელებული იყო, ჩანს, ყველა ქართველ ტომში, და ქართველურს პატრონომისტიკულ მორფოლოგიაში იგი ერთი ყველაზე ადრინდელ მოვლენათაგანია. დროთა ვითარებაში ეს ფორმა ზოგს ქართველ ტომში დასუსტდა, ზოგან თითქმის მთლად დაიკარგა. ყველაზე კარგად ამჟამად იგი სვანეთშია დაცული, სადაც საერთოდ ბევრი არქაული ფორმა ინახავს თავს. აი სვანური გვარების ნიმუშები:

-ან: ჩარკელან, ლეჩლან, მარგველან (შეადრ. ქართ. მარგველაშვილი), ფანგან, ხეისტან, ქალდან, ხეიბლან, ფირცხელან (შეადრ. ქართ. ფირცხელიაშვილი, ფიცხელაური), გიგან, გვიდან, გოშტელან, ჩართოლან, ნაკან (შეადრ. ქართ. ნაკაიძე), ხოჯელან, გულედან, ფილფან, ხაფთან, ნანსყან, აბდელან, გაზდელან, ცალან, გაბულდან, ცინდელან, კიბოლან, დაჩქელან, პაკელან, მილდან, გადრან.

-ი-ან: რატიან, ჩარკეიან, დავთულიან, ასათიან, ხარზიან, გასვიან, ჩოფლიან, ავალთან, გიგლემიან, თამლიან, ანსიან, კეებლიან, ლეჩჩიყიფიან, გუჯეჯიან, მარგიან, ნავერიან, ზურებიან, კახიან, ქოჩგიან, ჯაჭვლიან, დევდერიან, იოსელიან, ეორეოლიან, ქურდიან, გაბლიან, ბერიან, მიტულიან, ხერგიან, მუშკედიან, ფალიან, ქედლიან, გვარლიან, უდესიან, მერლიან, წიფიან,

¹ -ან სუფიქსი, ისე როგორც სხვა ანალოგიური სუფიქსები, ავტორს განხილული ექნება სპეციალურ ნარკვევში. — ფენეტიკური თვალსაზრისით, მაგ., შესაძლოა სულ სხვაგვარად გაშუქდეს ინფიქსური ვ, ბ, მაგრამ ამის შესახებ სხვაგან.

ფარჯინან, გირგვლიან, წერედინან, კვანჭიან, გვიქიან, სილიან (შეადრ. მეგრ. სიდავა), ივეჩიან, ნიკლეზიან (= ნიკოლოზიანი, ნიკოლოზი-შვილი), ჩორგოლიან, თამლიან, კვიციან (შეადრ. მეგრ. კუციას), შომპრინან, ვერცკიან, ვიბლიან, გერლიან, გურჩიან, უმფრიან, მურღვლიან (შეადრ. მეგრ. მურღულია), არღვლიან, გუგუ-სიან, ჩხეტიან (შეადრ. ძველი ჩხეტის-ძე და თანამედრ. მეგრ. ჩხეტია), ჩხვიმიან, მიქიან (შეადრ. მეგრ. მიქია, მიქავა, ქართ. მი-ქაძე, მიქიაშვილი), წულუკიან (შეადრ. ქართ. წულუკიძე, მეგრ. წულიკია), დავითიან.

-ვ-ან: გელვან (აქედან — ქართ. გელოვანი), დოდვან, ხორ-გვან (?) || ხორგვან, დაღვან (შეადრ. ქართ. დაღვაძე), შუქვან, გოშ-ვან (შეადრ. ქართ. გოშაძე, მეგრ. გოშუა), უშხვან.

ამ ფორმებში ზოგან ვ შესაძლოა ფუძისეულიც იყოს, ამის ცალკე ჩხრეკა საჭიროა.

სვანეთში არის თითქოს -ენ-ზე დაბოლოებული გვარისსახე-ლიც — ვეზდენ, თუ ეს შემთხვევითი ფაქტი არ არის¹.

სვანურ გვარისსახელებში მოცემული დაბოლოება სავსებით გაბატონებულია, და ეს ფორმები იქ უკვე XI—XII ს-იდან არის დადასტურებული, ისეთ გვარებში, როგორცაა დადიანი, ფარჯა-ნიანი და სხვ. შტო-გვარისსახელები სვანეთში სხვაგვარად იწარ-მოება, მაგრამ მათი ფორმა ჩვენთვის ამჟამად საინტერესო არ არის.

იშვიათი არ არის ასეთი გვარები ქართულში:

-ი-ან: ბაგრატიანი (ძველი ფორმა ბაგრატიონისა), ავალიანი (შეადრ. ავალიშვილი), ასათიანი (შეადრ. ასათისძე, თამარის მე-ფობაში), იოსელიანი, კახიანი (შეადრ. კახიძე, კახაძე, კახიშვილი), ბერეფიანი, ქურდიანი (შეადრ. ქურდაძე, ქურდოვანიძე), ჟორჯო-ლიანი (შეადრ. ჟორჯოლაძე), ყიფიანი, ორბელიანი (ორბელისძე, ორბელიშვილი) და სხვ.

-ო-ვ-ან: ბაგრატოვანი (ბაგრატიონის ერთ-ერთი ვარიანტთა-განი), გელოვანი, ჩიქოვანი || ჩიქუანი.

-ო-ონ: ბაგრატიონი (ყველაზე ახალი ფორმაა ამ გვარის-სახელის ვარიანტებიდან; უძველესია ბაგრატიონიანი).

-ონ: გაბაონი (გაბაშვილი, როგორც ჩანს, ხელოვნურად გა-კეთებული ფორმაა).

¹ აქ გასათვალისწინებელია სვანურში ძლიერად მოქმედი რედუქციის წესი და მისი შედეგები, კერძოდ, ფუძის შეკუმშვა. ა-ს გაგრძელებაც მეორადი ფონეტი-კური მოვლენა უნდა იყოს.

ამ წარმოების გვარების განსაკუთრებული გავრცელება დასავლ. საქართველოში, ყველაზე მეტად სვანეთთან ახლო მდებარე რაიონებში (მაგ. ლეჩხუში), ზოგიერთი მათგანის აშკარა წარმომავლობა სვანეთიდან (ყიფიანი, გელოვანი, ჟორჯოლიანი, ბერეჟიანი...), ზოგის კიდევ ნათელი სვანური ეტიმოლოგია (ბერეჟიანი: ბერეჟ სვან.— რკინა), ისტორიული მოსაზრებები (თავისუფალი მთიელების დაწინაურება სამეფო სამსახურის გზით, კერძოდ, იმერეთის მეფის კარზე, და აზნაურობამდე აღზევება) ადამიანს აფიქრებინებს რომ -ან (-ონ)-ზე დაბოლოებული ყველა გვარი სვანური წარმომავლობისაა. მაგრამ ასეთი დასკვნა არ იქნებოდა სწორი. ჯერ ერთი, ზემოთხამოთვლილ გვარებშიაც არის ისეთები, რომელთა ისტორიასაც ჩვენ კარგად ვიცნობთ (ისინი, ასე ვთქვათ, ჩვენი ისტორიული მხედველობის არეში ჩამოყალიბდნენ) და რომელთა შესახებაც გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მორფოლოგიურად მთლიანად ქართულ ნიდაგზე არიან აღმოცენებულინი. ასეთებია, მაგ., ორბელიანი — ბარათაშვილების ერთი შტოს სახელწოდება; ასეთი ფორმა საბოლოოდ ჩამოყალიბებულია არა უადრეს მე-18 საუკუნისა, წინათ გვარი გაფორმებულია სხვაგვარად (ორბელისძე, ორბელიშვილი), ბაგრატიონი, გაბაონი. მოცემული გვარის სახელის ფორმა ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული საკუთრივ ქართველებშიაც, და იგი აქ ფეოდალიზმმა (ფეოდალურმა ინდივიდუალიზმმა) ანოაგდო, როდესაც, კერძოდ, ფეოდალური საკუთრება საბოლოოდ დამკვიდრდა. ამის უტყუარი საბუთია არაოფიციალური, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხმარება ამ ფორმისა იმ შემთხვევაში, როცა საგვარეულო მთლიანად, კრებით, კორპორაციულად, არის წარმოდგენილი.

ასეთი წარმოება საყოველთაოდ გავრცელებულია, როგორც ცნობილია, მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ამ ფუნქციით, ფორმანტის ყველა ვარიანტული სახეობა გვხვდება:

-ან: ოთარაანი („ოთარაანთ ქერივი“), თოროზაანი („თოროზაანთ თეკლე“). მაყაანი (მაყაშვილები), გიგაანი (გიგას შვილები, გიგას შთამომავლობა) და მრავალი სხვა.

-ი-ან: ჯაგაბიანი (ჯაგაბიშვილები), თარხნიანი (თარხნიშვილები), ციციანი (ციციშვილები)¹. ფორმა „ციციანი“ დაედო

¹ მაგ. ხალხურ ლექსში: ციციანთ სუფრა შერცხვეს,
ჯაგაბიანთ გალობაო,
კარებამდის არ მიყვება
თარხნიანთ წყალობაო.

საფუძვლად რუსულ „ციციანოვს“. ამავე ფორმით, „ციციანი“, შეითვისა ამ საგვარეულოს სახელწოდება გულდენშტედტმა, მისი ქართლში ყოფნისას მე-18 ს. სამოცდაათიან წლებში.

ხშირია ძალიან -ან ფორმის გამოყენება შტო-გვარისსახელებისათვის. აი, მთიულეთის მაგალითები:

ჩოხელთა შტოები: ლაზარიანი და შელლიანი.

ბუჩუქურთა შტოები: ოქრუანი (-ან!), მამუციანი, ბერიანი, ქუშიანი, ქოჩიანი, ობლიანი...

ამირიძეთა შტოები: ხუტიანი (შეადრ. ჰეგრული ხეცია), პაპიანი, გივიანი, მჭედლიანი.

კობაიძეთა შტოები: ბეჟანიანი, მგლიანი, მახარიანი, ლაბიანი...

ბურდულთა შტოები: პოვლიანი, შიუკიანი, ხოსრიანი, ვარდანიანი, კაბუკიანი (ტექსტში ალბათ შეცთომით: კაბუკინი), კიკლიანი, ვეიკიანი, ბეჟანიანი, თადულიანი, აფთიანი, ლეგიანი...

წამალაძეთა შტოები: ყაზბეგიანი, მახარობლიანი, ბიანი, ყატყვიანი, აეწიანი, ჯაბიანი...

ქავთარაძეთა შტოები: ხიზანიანი, ათილიანი, დეგილიანი, ქოჩორიანი, გორძიანი, ვერთაულიანი, გოჭიანი, თადლიანი, სეხნიანი...

გიგაურთა შტოები: გოგიანი, სიჯანაანი, ნადირიანი.

წიკლაურთა შტოები: ლომიანი, ნატიანი, ვაიდაგიანი, კოტორიანი.

აფციურთა შტოები: მირიანიანი, ივანიანი, ბასილიანი, ასპანიანი (შეადრ. ძვ. ქართ. ფეოდალ. საგვარეულო სახელი ასპანისძე), მამუციანი...

ბექაურთა შტოები: აფთარაანი, გულოიანი, შარვანიანი, ბაინდურიანი, დათვიანი, ლომიანი, ბატარაანი¹. ადვილად შესამჩნევია, რომ ზოგი ამ სახელთაგან საოცრად იმეორებს სვანურ გვარებს, მაგრამ, რათქმუნდა, დამოუკიდებლადაა წარმოშობილი.

ეს ფორმა ნაკლებ გავრცელებულია დას. საქართველოში (კერძოდ იმერეთსა და გურიაში), უფრო ხშირია იგი იქ ჩრდილოეთის რაიონებში, კერძოდ, რაჭაში, სადაც გვხვდება -ენ ვარიანტიც. მთა რაჭაში, მაგ., გვხვდება შემდეგი შტო-გვარისსახელები:

-ე-ენ: ლობჯანიძეების საგვარეულოში: ლაშხენი, ზვიადენი, ჯოტენი, სვანენი.

¹ ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ. 1930, გვ. 78—79.

გობეჯიშვილების საგვარეულოში: ერმილენი, გოგენი, ნინენი, დეტუენი.

გავაშელიშვილების საგვარეულოში: ქაოზენი, ნასხიდეენი, ქუტუნენი, ჯამოენი, ოთუკენი.

გოგრიკიანების საგვარეულოში: ჩხუტენი, გოჩიენი, ლეჩხუმელენი, საგიენი.

ცხადია, ამგვარი ფორმების წარმოებაში მნიშვნელოვანი როლი დაკისრებული აქვს ასიმილაციის წესს.

აქვე გვხვდება ჩვეულებრივი -**ი-ან** ფორმები:

-**ი-ან**: გვარისსახელი გოგრიკიანი და მისი შტო-გვარისსახელი მამუჩიანი.

გავაშელაშვილების შტო-გვარისსახელები: გოტოიანი, გივიტიანი.

გობეჯიშვილების შტო-გვარისსახელებიდან: შალიკიანი.

ლობჯანიძეების შტო-გვარისსახელები: ხოშიტიანი, ნანუკიანი¹.

ამ კატეგორიის მაგალითების გამრავლება ადვილად შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობთ, ზედმეტია.

აღსანიშნავია რომ როცა ამ საგვარეულო კოლექტივებს შიგნით ცალკე ინდივიდის აღნიშვნა ჰსურთ, მაშინ ზემოთწარმოდგენილი გვარის ფორმები ძველი მრავლობითის ირიბ ბრუნვათა -**თ** სუფიქსს დაირთავენ²: ოთარა-**ან-თ** ქვრივი. ზოგჯერ ეს ორმაგ-სუფიქსიანი სახელები თითქოს ცალკე არსებობის უნარსაც იძენენ. დიდი რაოდენობით ვხვდებით ჩვენ ამ ფორმებს წერილობითს ძეგლებშიც³.

¹ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთის რაქა, ტფ. 1930, გვ. 37.

² აქ ჩვენ არ ვიზილაეთ ისეთ შემთხვევებს, როცა -**თ** უშუალოდ აწარმოებს გვარისსახელებს. ამ კატეგორიის ფაქტი მრავლად გვაქვს დადასტურებული როგორც ისტორიულად (მაგ. ლიპარიტეთ/თი, კლდე-კარის ვრისთავების, ბალუაშთა ერთი შტოს სახელი), ისე ეთნოგრაფიულად, აღმ. საქართველოში და მესხეთში (მესხური, მაგ. თამარათი ← თამარაშვილი: თუშური: ქოთილთა განა = განა ქოთილთაძე, შველათ კოკაურ = კოკაურ შველიაძე, ჩეთათ გორგაი = გორგა ჩეთაძე, ბეჭურათ ქალი = ბეჭურაძის ქალი, გულუხვათ ბიჭები = გულუხვაძის ბიჭები და სხვ. იხ. „ხალხური სიტყვიერება“, ტ. I, გამოც. საქართველოს საისტ. და საეთნ. საზ-ბისა, წ. I, დამატება, გვერდი 16.

³ იხ. მაგ. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ გამოცემული ძველი ქართული და იტალიური საბუთები XVII—XVIII სს.. სადაც ბევრია ასეთი ფორმები: ტლუკანთ, ბალინანთ, ჯიგინანთი, ორბელიანთ, გოდაკანთი, თუმანიანთი, ხუციანთი, ხოჯოანიანთ ბატონჯანა, ვარამანთი და სხვ. იტალიურ ტრანსკრიპციაში: Davitanti (Antonio, ანტონ კათალიკოსი; დავითიან-ბაგრატიონი), Gabanti, Navrozanti და სხვ., „ისტორია კათოლიკობისა“, გვ. გვ. 343—356, 372—382, 388—421 და სხვ.

გაბატონებული უნდა ყოფილიყო გვარისსახელების ეს ფორმა სამეგრელოშიაც, მაგრამ იქ შემდეგში (და საკმაოდ ადრე, როგორც წერილობითი ძეგლები ადასტურებს) ამ სუფიქსმა იმდენად იცვალა სახე, რომ მას დღეს ვეღარავინ ცნობილობს. ვგულისხმობთ მეგრული გვარების ჩვეულებრივ დაბოლოებებს -*აა-სა* და -*გა-სა*. ნ. მარი მათ უყოყმანოდ აფხაზურიდან შენათვისებ ელემენტებად სთვლიდა, — მეგრულ ნიადაგზე სახეცვლილი აფხაზური სიტყვაა *ბა || ფა* („ძე“) არისო. მეგრულ -*გა-სა* სრულ სახედ მარს ვარ მი-აჩნდა¹.

ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია. ჯერ ერთი, არ არის ნაჩვენები ნაგულისხმევი გადასვლის ფონეტიკური კანონზომიერება. შემდეგ, ანგარიში არ ეწევა მოცემულ ფორმანტების ფუნქციონალურ სხვაობას: აფხაზურში იგი აღნიშნავს გვარისსახელის მხოლოდ მამრობითი სქესის მატარებელს, მეგრულში-კი. — ორივე სქესისას. დაბოლოს, არც სესხების ისტორიული პირობებია გარკვეული — როდის უნდა ყოფილიყო შესაძლებელი ასეთი წამლეკავი გავლენა აფხაზურისა მეგრულზე?

ნამდვილად, როგორც ვთქვით, აქ საერთო ქართველური ფორმანტია, რომელიც, სხვათა შორის, საფიქრებელია, აფხაზურშიაც იჩენს თავს გვარისსახელთა კრებითობის ფორმის აფიქსში -*აა* (თუ: ა), მაგ., კოზმაა (კოზმავები), ენიაა (ეენიები), მარშანაა (მარშანიები) და სხვ.

1. მეგრ. -*ია* -*იან-ის* ნაშთია. ეს ცხადი ხდება, კერძოდ, ცნობილ გვარისსახელთა ისტორიულ (და მასთან ერთად, ლიტერატურულ) და ცოცხალ ფორმათა შედარებით. ამრიგად, ისტორიულსა და ლიტერატურულს დადიანს, ლიპარტიანს, რატიანს, ბედიანს მეგრულს ცოცხალ მეტყველებაში უდრის: დადია, ლიპარტია, რა-ტია, ბეღია. ისტორიული ფორმები დაცული აქვს ქართულს არა მარტო იმიტომ რომ იგი მწერლობასთან ახლოს იდგა, არამედ იმიტომაც რომ იგი საერთოდ მთლიანი სახით იცავს თვით სუფიქსს სხვა შემთხვევებშიაც. საგულისხმოა აგრეთვე მეგრულ-ქართული და მეგრულ-სვანური შესატყვისობანი გვარისსახელთა სფეროში. ასე, მაგ.:

¹ О положении анхаз. яз. среди нареческих, გვ. 5: რეცენზია ი. ყიფშიძის მეგრულ გრამატიკაზე, ЗБОРАО, т. XXIII, 214 დასვ. მარისაზრი გაზიარა ყიფშიძემაც. იხ. გრამ. ლექსიკონი, ვა → ა.

მეგრ. კუცია — სვან. კეციან

მეგრ. ჩხეთია — ქართ.-სვან. ჩხეთიანი(ი)

მეგრ. ჯაშყელა¹ — სვან. დაღშყელან, ქართ. დაღშყელიანი

მეგრ. ჯორჯოლა (იწერებიან ქართულად: ჟორჯოლიანი²) =
= სვან. ჟორჯოლიან

მეგრ. გაბელია = სვან. გაბლიან და სხვ.

არნ. ჩიქობავამ მიაქცია ჩვენი ყურადღება იმ ფაქტს, რომ ქართ დარეჯანს მეგრულში უდრის დარჯა. ეს შემთხვევა, ბოლოკიდურ ნ-ს დაკარგვა, ნიშანდობლივია მეგრულისათვის. -ნ (და არა მარტო იგი, არაჰედ -ლ-ც) იკარგება ჩვეულებრივად ზმნის ფორმებში: რენ ფორმამ მოგვცა რე და მისთ. -ლ-ს დაკარგვისათვის შეადრ. ისეთი ფორმები, როგორცაა: ჯა, უძველესი ჯალ-ის ნაცვლად (ძველი ფორმა აღდგება მრავლობითში: ჯალეფი), სქუა || სქუალი (სქუალეფი) და მრავ. სხვა, რაც კარგადაა ცნობილი ლიტერატურაში.

-ია-ც სწორედ ამ გზითაა მიღებული -იან-ისაგან. ასეთივე წარმოებისაა, ჩვენი აზრით, მეგრულ გვარების -ვა დაბოლოება: აქ უკვე შეკვეცილი ვან უნდა გვქონდეს. ამრიგად, ფალავა, გალდავა და მისთანების ისტორიული სახე იქნება: ფალავან, გალდავან³... თუ რატომ ეკვეცება ამჟამად მეგრულ გვარებს ეს ვა დაბოლოება ცოცხალ მეტყველებაში, საინტერესო საკითხია, მაგრამ ჩვენს თემას არ ეხება და მას აქ ვერ განვიხილავთ. ცხადია მხოლოდ, რომ ეს მოვლენა მეორადი ხასიათისაა.

-ან სუფიქსს, როგორც კრებითობის, მრავლობის, ფორმანტს, აქვს -ონ და -უნ ვარიანტებიც. გვარისსახელებშივე ჩვენ ვპოულობთ ისეთ ფორმებს, როგორცაა ხუხუნი (მეგრული გვარი), გაბუნია (ორმაგი სუფიქსაციით) და მისთანებს. კრებითობის ფორმანტია -ონ სუფიქსი ისეთ ფორმებში, როგორცაა: მაყრიონი, ვარიანტული ფორმა ნაკლებ გავრცელებულის მაყრიანისა — მაყართა კრებული, მძლიონი — ქალის „მაყარი“ (სულხან-საბა, ლექსიკონი, სიტყვის ქვეშ). საყდრიონი (აღბათ საყდრიშვილების მნიშვნელობით), ჯვარიონი — „ჯვარის ანუ ხატის მოსამსახურენი საზოგადოდ“, ხევსურეთში, ხატიონი — ხატის მსახურთა კრებული ხევსურეთშივე⁴.

¹ არნ. ჩიქობავას ცნობით, ასეთი ფორმა იხმარება სოფ. ჯვარში.

² არნ. ჩიქობავას ცნობით.

³ არის ერთეული ფაქტები, რომელიც საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა; შეადრ. ჩიქვანი.

⁴ ბ. გაბუური, ხევსურული მასალები, ლექსიკონი, შედგენილი ა. შანიძის მიერ, „წელიწდული“, I—II.

2. -ან სუფიქსი სხვადასხვა წინამავალი ხმოვნით, და მისი ვარიანტები, აღნიშნავს თვისებას. ეს კარგად ცნობილი ფორმანტია და ჩვენ აქ მკირეოდენი მაგალითებით დავეკმაყოფილდებით.

-ა-ან: მზიანი, ღრუბლიანი, ყვავილიანი...

-ო-ან: ლერწმონი¹, სახელოანი², იმედოანი³, დარბაზოანი⁴, ოქროანი⁵.

-ო-გ-ან: მეტად ჩვეულებრივია — ყვავილოვანი, სახელოვანი, გულოვანი...

-ე-გ-ან: სახარულევანი (ჩვეულებრივი ფორმა ძველი ქართული სათვის)⁶.

-ონ ქანურში და მეგრულში. ქანურში: ბულტონი — ღრუბლიანი, ილონი — ძვლიანი, შექერონი — შაქრიანი, ჯუშონი — მარილიანი და სხვა მრავალი⁷. ეგევე სუფიქსი დადასტურებულია მეგრულშიაც არნ. ჩიქობავას სპეციალური გამოკვლევით; ავტორის სათანადო მაგალითებია: გვიმარონი, ჭუბურონა (აღგ. სახ.), კორთონა, ქველეთონა (აღგ. სახ.), ქვალონი (აღგ. სახ.)⁸. ამ მაგალითების გამრავლება ადვილად შეიძლება. ტეხურის ხეობაში, მაგ., ჩვეულებრივია სიტყვა „ჯალონი“ („ჯალი“ || „ჯა“ — ხე) ხეებით დაფარული ადგილის, ტყის მნიშვნელობით. ბლომად გვხვდება აღნიშნული აღნაგობის გეოგრაფიული სახელებიც (მაგ. მდინარის სახელი „ქეიშონი“⁹). ივ. პეტროვის ტექსტებსა და ლექსიკონში დადასტურებულია ისეთი ტერმინები, როგორიცაა: „თხუშონა“ — თხმელის ტყე (თხომუ = თხმელას), „ხეიშონა“ — ხურმის ტყე (?), „ნეძონა“ — კაკლის ტყე (ნეძი = კაკალი, ნიგოზი), „ქყონა“ — მუხის ტყე (ქყონი — მუხა; ფორმა ალბათ მიღებულია „ქყონონ“¹⁰. ისაგან¹⁰.

¹ ჯ უ ა ნ შ ე რ ი, მარ., 176, ორჯერ.

² ისტორიანი და ახმანი, მარ., 446, 451.

³ იქვე, 460.

⁴ იქვე, 511.

⁵ იქვე, 391.

⁶ იბ. მაგ., ამილახვრების სიგელი XVI ს. დამღვევისა, ისტ. საბ., II, 47; სვიმონ მეფის სიგ. 1595 წ., ისტ. საბ., III, 84.

⁷ Н. М а р р, Грам. уаиаск. языка, 73 და ლექსიკონი.

⁸ არნ. ჩიქობავა, ონ სუფიქსი მეგრულში, ტფ. უნ. მოამბე, VI, 306.

⁹ ლ ა გ ე ი ლ ა ვ ა, „წინ მივდივართ“, გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ., 8 დეკემბრის № 281.

¹⁰ СМОНПК, т. X, стл. II, ტფ. 1890 წ. — საყურადღებოა არნ. ჩიქობავას მოსახრება რომ ქართლის ცნობილი ველის „ტირიფონას“ სახელი ამავე სუფიქსით შეიძლება იყოს ნაწარმოები (ტირიფისაგან), დასახ. წერ., 306.

-უნ ვარიანტია ქანურ-მეგრულ -ონ-ისა. გვხვდება ისეთს ქანურ ტერმინებში, როგორიცაა: ბინებეფუნა — სავენახე, ვენახოვანი, თხირეფუნა — სათხილე, თხილოვანი, ლიმხვანაფუნა — საგვიმრე, გვიმრიანი, სადაც არნ. ჩიქობავას სავსებით სამართლიანი განმარტებით, ფუძედ უკვე მრავლობითი რიცხვის ფორმაა აღებული¹.

-უ-ან გვხვდება მეგრულში: გემუანი — გემრიელი. აქ -უ-ან შეესატყვისება ქართ. -ოან-ს.

თვისებისა და წარმოშობის, წარმომავლობის, ნიშანთა გარჩევა ზოგჯერ ქირს, ან პირველი მეორის შედეგია. ამიტომ ესევე სუფიქსი წარმოშობასა და წარმომავლობას აღნიშნავს. სუფიქსის ამ მნიშვნელობის განვითარებას უთუოდ ხელს უწყობდა მისი პატრონომისტიკული ფუნქცია, როდესაც კრებითობის ფორმანტი იმავე დროს რეალურად საერთო წარმოშობაზედაც მიუთითებდა. წარმოშობას, წარმომავლობას, აღნიშნავს სუფიქსი თავისი ვარიანტებით შემდეგ შემთხვევებში:

-ო-ან: ნერსიანი ნერსე, ადარნასიანი ადარნასე, ჯუანშერიანი ჯუანშერ²; ეს ნამდვილი გვარისსახელები ჯერ კიდევ არ არის, აქ მხოლოდ სათანადო პირთა შთამომავლობაა აღნიშნული. იმავე ავტორის მიერ მოხსენებულ აზნაურთა სახელი „გოდერძიანი“³ ასეთივე ხასიათისაა (შეადრ. რომ მათივე გვერდით იხსენიებიან „ტბელნი“), ჩანს, თუმცა აქ საგვარეულო სახელად გადაქცევისაკენ მეტი მიდრეკილებაა უკვე გამოქვეყნებული. „გორგასლიანი“ = გორგასლისეული, „დავითიანი“ = დავითისეული (იგულისხმება დავით აღმაშენებელი, თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობაში რომ მეფემ „მოიღო დროშა სვიანად ჳმარებული გორგასლიანი და დავითიანი“)⁴.

-ე-ან: მამეანნი: „მოვიდეს ღამესა მას გოდერძიანი, ტბელნი, მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მამეანნი“⁵.

-ო-ვ-ან: „მეფენი ხუასროვანნი“⁶, ე. ი. ხუასროს შთამომავალი მეფეები; ან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობაში რომ

¹ დასახ. ნაშრომი, 306—307.

² ჯუანშერი, მარ., 208, 215.

³ იქვე, 215.

⁴ მარ., 516.

⁵ იქვე, მარ., 215.

⁶ იქვე, 214.

დავითმა გელათს შესწირა „ხუასროვანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი“¹.

-**ო-ონ** ხევსურულში, ჩვეულებრივი ქართ. - ელ სუფიქსის ფუნქციით:

ამლიონი — ამლელი

არხოტიონი — არხოტელი

როშკიონი — როშკელი

შატილიონი — შატილელი².

ზოგჯერ, როგორც ვთქვით, თვისებისა და წარმოშობის ნიშანთა გარჩევა ქირს. ციხონი || ციხოვანი; მაგ., ძველ ქართულში ნიშნავს როგორც „ციხიან“-ს, ისე აგრეთვე „ციხეში მდგომ“-ს, „მეციხოვნეს“ (ახ. ქართ.)³. აქ პროფესიონალური ნიშანია გამოხატული.

ქრისტეანი (ძვ. ქართ.) || ქრისტიანი (ახ. ქართ.) — ქრისტეს მიმდევარი. შეადრ. ქანური დაციხვითი „მუნდიკუნდონი“ (= „ქრისტიანი“).

სანატრიონი = სანატრელი, შეეთელის ლექსში: „აქვს მას ტრიონი სანატრიონი საწმისისაგან სამოსად გარეთ“⁴.

მსოფლიონი, ძველ ქართულში, სოფელის მნიშვნელობით.

უკვე ზემომოტანილ მაგალითებშიაც ჩვენ შეგვხვდა ტოპონიმიკური სახელები, ნაწარმოები მოცემული სუფიქსითა და მისი ვარიანტებით. მართლაც, მათი რაოდენობა ძალიან დიდია:

-**ო-ან**: ვაზიანი, თელიანი...

-**ო-ან**: ქუმელოანი, ხლოანი⁵, წყალშატროანი⁶, წაბლოანი⁷, კრცხილოანი⁸ (კრცხილოვანი, ქცხილვანი, ცხიხვალი).

-**ო-ვ-ან**: გოროვანი⁹, წეროვანი, თელოვანი (|| თელოვნა), თხი-

¹ მარ., 294.

² ბ. გაბუური, დასახ. შრ., ლექსიკონი, გვ. 278.

³ „ციხონი“ ფორმა იხ., მაგ., „ქართლ. ცხ.“, მარ., 267, სადაც „ციხოვნა“ ციპარალელურად გვხვდება. უკანასკნელი ნახ., აგრეთვე, იქვე, 227, 266 და სხვ.

⁴ აბდულმესიანი, მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოც., 1915 წ., გვ. 27 (ხანა 21).

⁵ ნიკორწმინდის სიგ. XI ს., ქონკ., II, 47.

⁶ გიორგი III სიგ. 1170 წლ., საქ. სიძვ., III, დამატ., გვ. 5—6. 1806 წ. ეს ადგილი უკვე „წყალშეტრონ“-ად იწოდება, შიო-მღვიმის საბ., 87.

⁷ როსტომ მეფის სიგ. 1642 წ., საქ. სიძვ., II, 234.

⁸ ამირეჯიბ სიმონ გაბელისძის სიგ. 1451 წ., ისტ. საბ., 8—9, აქ ფორმა „კრცხილოანი“ ნახმარია 3-ჯერ.

⁹ გიორგი III-ის სიგ. 1170 წ., საქ. სიძვ., III, დამატ., 3.

ლოვანი (|| თხილოვანა, -ა აქ მასუბსტანტივებელი ნაწილაკია)¹,
წაბლოვანა².

-ე-ვ-ან: რატევანი, სოფ. ქართლის სომხითში³, მეთრევეანა,
სოფ. თრიალეთზე⁴, ბარევეანი⁵.

-უ-ვ-ან: სხლუვანი, სოფ. კლარჯეთს⁶.

-ვ-ან: სხლოვანი, იმავე კლარჯეთის სოფლის სახელის დია-
ლექტური ფორმა, როგორც ჩანს⁷; ბალახვანი (შეიძლება მოდიო-
დეს „ბალახოვანი“-დან; ასეთი ფორმა მოხსენებულია ფხოტრერის
მთავარანგელოზის ხატის წარწერაში 1646 წ., *Д. Бакрадзе, Сва-
хетия*, 63).

-ი-ონ: საყდრიონი (ერწო), ბახტრიონი (კახეთი), სოფლიონი⁸.

-ონ || -უნ, კანურში და მეგრულში, როგორც ზემოთ იყო
ნათქვამი და ნაჩვენები, ბევრს გეოგრაფიულ სახელს აწარმოებს.
აქ ჩვენ დაეუმატებთ მხოლოდ რომ ტოპონიმიკაშიაც ზოგჯერ ონ
მრავლობითი რიცხვის ფუძეს ერთვის. ასეთია ჯიქეფონი და მი-
ქელფონი (სოფლები ტობანიერისა და საპაიქაოს სასოფლო საბ-
ქოებში)⁹. პირველი იხსენიება უკვე დავით ნარინის სიგელში (XIII ს.
მეორე ნახევარი)¹⁰ და მისი ქართული, წარმოების თვალსაზრისით,
შესატყვისია ჯიქთ-უბანი, აგრეთვე კარგად ცნობილი წყაროებში.
ჯიქეფი = ჯიქთ (ჯიქნი)! ასევეა ნაწარმოები, ჩვენი აზრით, მიქელ-
ფონი ← მიქელეფი (ალბათ, საგვარეულოს სახელი).

გვარისსახელები, საერთოდ, დიდ როლს თამაშობენ ტოპო-
ნიმიკაში, კერძოდ, -ან-იანი სახელებიც. ისინი ზოგჯერ პირდაპირ-
ქვადებიან გეოგრაფიულ (სოფლის; სოფელი = საგვარეულო!) სა-
ხელებად:

¹ კონსტანტინე მეფის სიგ. 1466 წ., საქ. სიძვ., II, 2. აქ „თხილოვანა“ ნახ-
მარია ორჯერ, თხილოვანი — ერთხელ.

² როსტომ მეფის გადაწყვეტილების წიგნი 1634 წ., საქ. სიძვ., II, 231.

³ ბაგრატი მეფის 1468 წ. სიგელი, საქ. სიძვ., II.

⁴ გიორგი მეფის სიგ. 1678 წ., ისტ. საბ., III, 59—61.

⁵ საქ. სიძვ., II, 4.

⁶ მელქისედეკ კათალიკოზის სიგ. XI ს. პირველი ნახევრისა, ქრნკ., II, 33.

⁷ ქრნკ., I, 185.

⁸ იხ. მათ შესახებ ЭКОРГО, кн. XI, вып. 2; Г. Рададе, Хевсурия и хев-
сурь, გვ. 49.

⁹ იხ. საქართველოს ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა, საქ-
ცაის გამოც., 1930 წ., 71.

¹⁰ ქრნკ., II, 162.

-ან: ოზაანი (ოზაშვილები), მელაანი (მელაშვილები, მელაძეები), ტიბაანი (კახეთში), სვიანანი, ქიშბარიანი, შარუმიანი (მთიულეთი) და სხვა მრავალი. ზოგჯერ კი ჰქმნიან კომპოზიტს. ასეთია მთაში (და ბარშიც) მრავლად გავრცელებული სოფლის სახელები, რომელთა ერთს კომპონენტს (საზღვრულს) „კარი“, „სოფელი“, „უბანი“ და მსგავსი სიტყვები შეადგენს, მეორეს (მსაზღვრელს) -კი — გვარის-სახელები, ჩვენი სუფიქსით ნაწარმოები, მაგ., მთიულეთში: ბენიანთ-კარი, ცხოვრობენ ბენიაიძენი, ნადიბანთ-კარი — ნადიბაიძენი¹ და სხვ. ზოგჯერ ასეთ სახელებში საზღვრული სიტყვა იკარგება და რჩება მხოლოდ მსაზღვრელი.

ზემოთმოტანილ მასალაშიაც აქა-იქ შეამჩნევდა წკითხველი, რომ მოცემული სუფიქსი საერთოდ სიტყვათმწარმოებლის როლში გაშლის (მაგ. სანატრიონი). ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის. შეადრ. დიდროანი = დიდრუანი (|| დიდრონი), მაგ., თამარ მეფის ისტორიკოსის ტექსტში: „დიდრუანი სოფლები“².

ჯეროვანი || ჯეროანი (მეორე ფორმა ჩვეულებრივია ძველ ქართულში, იხ. „ქ. ცხ.“, 242), ფეროვანი || ფერვანი (თეთრფერ-ვანი), სახარულევანი (იხ. ზემოთ), მტკივანი (? ტკ ძირიდან), სამწ-დონი („სამწდონნი პატიოსანი“, დ. აღმაშენებლის ისტორიკოსი, მარ., 282) და სხვ.

საყურადღებოა რომ ჰანურში -ონ სუფიქსი აწარმოებს მოქ-მედის სახელს ზმნის ფუძისაგან: ქარონი — მწერალი || მწერელი³.

ამავე კატეგორიას განეკუთვნება მოცემული სუფიქსის, როგორც კნინობითი სახელების ფორმანტის, ფუნქცია:

-ან: ყაჩალანა, ქაჯანა, ცუგანა, გოგუცანა...

-უნ: დათუნა, ციციუნი, ეშმაკუნა⁴...

მოცემული სუფიქსის ასეთი საყოველთაო გავრცელება და მრავალვარიანტიანობა⁵ ქართველურ ენებში მოწმობს რომ იგი ამ ენების საკუთარი მორფოლოგიური ელემენტია. ხოლო როცა ჩვენ მას ვხვდებით უცხო ენებში, ბუნებრივია, რომ იქ ეს სუფიქსი ქართველურ ენებიდან შენაძენად მივიჩნიოთ. ასეთია, მაგ., ძველი

¹ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, 78.

² მარ., 494.

³ ნ. მ ა რ ი, ჰან. გრამ., 73.

⁴ კნინობითობის ფორმანტები ქართულში ავტორს განხილული აქვს სპე-ციალურ ნარკვევში.

⁵ ჩვენ აქ განხვ დავტოვებთ-ოსან სუფიქსის სადაურობის რთული საკითხი: ცხენოსანი და მისთანანი; გვხვდება პირისა და გვარისსახელებშიაც: წითლოსანი საგვარეულო პირისსახელი ქსნის ერისთავებში, წილოსანი, ვარდოსანიძე, კილო-სანიძე და სხვ. განუხილველს ვსტოვებთ აგრეთვე -ბან-იან ვარიანტს.

სომხური გვარისსახელების -იან (მოდის -ენა-იდან) და -უნი ფორმანტები: მამიკონიან, ბაგრატუნი, ფაჰლავუნი და მრავ. სხვ. ასეთივეა ოსური წარმოშობის ფორმანტი -ონ: ქასაგონ = ქაშაგი, ჩერქეზი (ჩერქეზელი!) და მისთანანი, მაგრამ მათ შესახებ სხვაგან.

ბუნებრივია, აგრეთვე ვიფიქროთ რომ მოცემულ სუფიქსთან უმჭიდროეს კავშირში იმყოფება ძველი მრავლობითის -ნ ფორმანტი ქართულში. რიგი მეცნიერნი ფიქრობენ რომ ეს მრავლობითის ფორმანტი თავდაპირველად წინამძვეალი ხმოვნით იყო წარმოდგენილი¹.

მოცემული სუფიქსის „ქართველურობისათვის“, ასე ვთქვათ, საყურადღებო საბუთია კიდევ მისი საოცრად სრული ანალოგიები იმავე დანიშნულების მქონე სხვა სუფიქსებთან (-ელი II -იელი, -ერი II -იერი, -არი და სხვ.). ის გარემოება-კი, რომ -ან სუფიქსის გაბატონებული ვარიანტი ერთგვარი მატერიალური სახისაა ქართველურ ენათა უპრავლესობაში, საყურადღებო და სპეციალური განხილვის ღირსი ფაქტია. იგი, ალბათ, მოწმობს ერთ-ერთი ქართველური ენის კულტურულ უპირატესობასა და ზემოქმედებას გარკვეულს, საკმაოდ ძველს, დროში.

ამრიგად, შეიძლება უეჭველად მივიჩნიოთ რომ რაგი (უმრავლესობა) ქართველი ტომები ატარებდნენ (და ზოგი ეხლაც ატარებს) ისეთს სატომო სახელებს (სე-ან-ი, ზ-ან-ი, ჭ-ან-ი (ჭ-ენ-ი) და მათი პროტოტიპები თუ ვარიანტული ფორმები — ს-ან-ი, წ-ან-ი (წ-ენ-ი) და სხვ.), რომელთაც ერთგვარი სტრუქტურა, კერძოდ ერთგვარი ფორმა, ჰქონდათ. შეიძლება ამიტომ ვიფიქროთ, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე ეს ფორმა საერთოდ ქართველური ფორმა იყო სატომო სახელთა წარმოებისათვის.

რა შეიძლება ითქვას აღმოსავლეთის ქართველების, საკუთარივე ქართების, სატომო სახელის შესაიებ ზემოთგანიილული ფაქტების კავშირში და მათ სინათლეზე? მათი ადგილობრივი, ძირითადი, სატომო, ცნობილი უკვე ისტორიულ ხანაში, სახელწოდება — „ქართველი“, ისეთივე წარმოშობისა და ხასიათისაა, როგორც „მეგრელი“. აქაც ჩვენ პოლიტიკურ-ტერიტორიული წარმოების ტერმინი (ქართ-ველ-ი, შეადრ. მეგრ-ველ-ი) გვაქვს. ამასთან დიდი ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ ტერმინი

¹ Н. Ма рр, Крещение..., გვ. 167: -ნ სუფიქსის სრული ფორმა არისა -ენ. ასეთივე ახრი გამოსტქვა და უფრო ვრცლად დაასაბუთა არნ. ჩიქობავამ, ონ სუფიქსი მეგრულში, 308—309.

„ქართველი“ იხმარებოდა და იხმარება თითქმის მხოლოდ ქართველსავე ტომებში (მეგრ. „ქორთუ“, მეგრული გზით არის აღბათ აგრეთვე შეთვისებული აფხაზური „ა-ქერთ-უა“; საინტერესოა რომ აფხაზებმა მეგრელების მიმართაც მხოლოდ ეს ტერიტორიულ-პოლიტიკურ წარმოშობის ტერმინი — აგრუა — შეინახეს. ეს გარემოება ადვილად აიხსნება ისტორიული პირობებით, რომელიც თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე აფხაზებისათვის საერთო იყო დანარჩენ ქართველ ტომებთან). თვით ფუძე სატომო სახელწოდებისა „ქართველი“ თავისთავად უაღრესად საინტერესოა და სპეციალური განხილვის ღირსია. იგი დიდ სიძველეს აჩენს. ჩვენ აქ მხოლოდ იმას ვამბობთ რომ „ქართველი“ არ დგას ქართველ ტომთა სატომო სახელების ზემოთგანხილულ რიგში, მაშინ როცა ამ წერილში მოტანილი მთელი მასალა უნდა გვარწმუნებდეს რიგის ამ წარმომადგენლის ოდინდელ არსებობაშიაც.

ამ მხრივ, უკვე ის გარემოებაც იქცევეს ყურადღებას რომ ყველა სხვა ხალხი, რომელთათვისაც აღმოს. ქართველები ცნობილი იყვნენ ან არიან, ხმარობს ქართველთა ტომის და ეროვნების აღსანიშნავად არა ტერმინს „ქართველ“-ს, არამედ სხვა სახელწოდებებს, რომლებიც სათანადო ანალიზის შედეგად ყველა ერთ ფუძეზე დადის. ეს არის ი ბ ე რ ი.

ყველაზე ადრე ეს ტერმინი მწერლობაში ბერძნებმა შემოიტანეს. სამწუხაროდ, სათანადო ხანის ბერძნული წყაროები მხოლოდ ფრაგმენტალურად არის ჩვენს დრომდე მოღწეული, და ამიტომ ჯერ-ჯერობით შეუძლებელია იმის ზუსტი განსაზღვრა, თუ კონკრეტულად როდის შეითვისეს ბერძნებმა ხსენებული ტერმინი¹. ყოველ შემთხვევაში უკვე მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვით ეს სატომო სახელწოდება ბერძნულ მწერლობაში შესულია და იქ იგი კავკასიელ ხალხს აღნიშნავს. ეს ჩანს აპოლოდორის (მეორე საუკუნის დამლევი, ძვ. წ.) დიდად მნიშვნელოვანი ცნობიდან, რომელიც შენახულია არა დამოუკიდებლად, არამედ სტრაბონის გეოგრაფიაში (წ. I, თ. 3, § 21). ამ ცნობით „დასავლელი იბე-

¹ კლავდიუსი თავის „კანონებში“, წ. I, თ. IX (SC, I, 361), იხსენიებს „იბერებს“ იმ „შეომარ ხალხთა“ (სკვიტები, სპარსები, კართაგენელები, კელტები, იბერები, თრაკიელები) შორის, რომელნიც სვამენ უწყლო ღვინოს. არისტოტელესი ამბობს („პოლიტიკა“, წ. VII, თ. II, § 6): „იბერების შეომარი ხალხი საფლავის გარშემო იმდენ სარს არკობს ხოლმე, რამდენი მტერიც მოკლული ჰყავს მიცვალებულს“-ო. საფიქრებელია, რომ აქ ქართველები იგულისხმებიან, მაგრამ გადაჭრით ამის თქმისათვის დამატებითი მასალა საჭიროა.

რები (აქ იგულისხმება პირენეს ანუ იბერიის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობა, რომლის შთამომავალნი არიან ბასკები. — ს. ჯ.) გადმოსახლდნენ პონტოსა და კოლხეთს ზემოთ მდებარე ადგილებში, რომელთაც, აპოლოდორის სიტყვით, არმენიისაგან მდინარე არაქსი ჰყოფს“. მაშასადამე, მეორე საუკუნის გარკვეულ პერიოდში, თუ იქნება უფრო ადრე, აპოლოდორის ცნობით, იბერების ტერიტორია სომხეთს მდ. არაქსის ხაზზე ემიჯნებოდა. იმავე დროს ეს ტერიტორია პონტოსა და კოლხეთს ზემოთ, ე. ი. ჩრდილო-აღმოსავლეთით, მოდიოდა. სრულიად ნათელია, რომ აქ გერმინდელი იბერია ანუ ქართლი იგულისხმება. აპოლოდორის ცნობის ხანაში მას მხოლოდ გაცილებით უფრო ვრცელი ტერიტორია სჭერია სამხრეთისაკენ, ვიდრე ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგისათვის, რაც სტრაბონს სპეციალურადაც აქვს აღნიშნული. სტრაბონის ტექსტში მოცემული სატომო სახელი ყველგან „იბერ“ — (Ἰβηρας) ფორმითაა ნახმარი, იბერთა ქვეყანაც, ქართლი, იბერიად. (Ἰβηρίς) იწოდება, იხ. წ. XI¹. ამავე სახელწოდებასა და ამავე ფორმით ხმარობს ყველა მომდევნო ბერძენი მწერალი (მაგ., პლუტარქი, „პომპეოსი“, XXXIV, XXXVI, XLV და სხვ.; პტოლემე, წ. V, თ. VIII, თ. X—XII; წ. VIII, თ. XIX და სხვ.; აბიანე, „მითრიდატეს ომები“, 101, 114 და სხვ.)². ესევე სახელი შეინახა ბერძნულმა მწერლობამ გვიანდელ-ბიზანტიურ ხანაში, და სხვა ტერმინი, ქართველების აღსანიშნავად, ბიზანტიელებს არც მოეპოვებოდათ. ამასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანი გარემოებაა რომ რომაელებმა აგრეთვე თავიდანვე მიიღეს ეს სახელწოდება „ქართველთა“ აღსანიშნავად, მაგრამ ყოველთვის ხმარობდნენ მას თავკიდური ჰ-თი: ჰიბერი. უეპველია, ეს შემთხვევითი ფაქტი არ არის, არამედ იგი რომელიღაც ძველ ტრადიციასაზეა დამყარებული. „ჰიბერი“ ფორმა (Hiberi) აქვს ნახმარი უკვე ტ. ლივიუსს (გარდ. 17 წ., ახ. წ.)³, პომპონიუს მელას (წერდა 44 წლის მახლობლად, ახ. წ.)⁴, პლინიუს სეკუნდს⁵ და ყველა სხვა, მომდევნო ხანის, ავტორს, ვინც-კი ლათინურად წერდა⁶.

¹ მაინეკეს ზემოთაწვენიები გამოცემა, გვ. 690 და შემდ.

² ასევეა გვიანდელ ბერძენ ავტორებთან, იხ. მაგ. თემისტოია, SC, I, 691—3, 695, 697; ევსტათი ანტიოქიელი, იქვე, 700; ეპიფანე კვიპრელი, იქვე, 710; თეოდორიტი ევიროელი, იქვე, 773, 780—1; პრისკე პანიელი, იქვე, 843 შემდ. და სხვ.

³ Periochae, ex lib. CI, SC, II, 50.

⁴ გეოგრაფია, წ. I, § 13; წ. III, § 41; იქვე, 116, 125.

⁵ ნატურ. ისტორია, წ. VI, § 12, 29, 30 და სხვ., იქვე, 178, 181—2...

⁶ იხ. მაგ. ს. იტალიკი; იქვე, 216; ტაციტი, 234—5, 241—3 შემდ;

გრამატიკოსი პრისკიანი პირდაპირ წერს: „საკუთრივ „Hiberes“ იწოდება ჰიბერებისაგან გამოყოფილი ტომი, რომელიც ცხოვრობს არმენიის გადაღმა და რომლის (სახელის) მხოლოდობითი რიცხვის სახელობითი (ბრუნვა იქნება) Hiber, აქედან ნათესაობითი იწარმოება Hiberis, ხოლო ბერძნებთან 'Ιβηρ, (ნათ.) 'Ιβηριος; სხვებს-კი ისინი ეძახიან 'Ιβηριος, (ნათ.) 'Ιβήριος“¹. აქ ავტორი პირდაპირ აღნიშნავს მოცემული სახელის ლათინური და ბერძნული დაწერილობის სხვაობას. შემდეგ იგივე ავტორი ამბობს: „... ითქმის აგრეთვე Hiber, (ნათ.) Hiberi, ესპანელის (Hispanus) მნიშვნელობით, და Hiber, Hiberis, როცა ვლაპარაკობთ იმ ტომზე, რომელიც არმენიელების მახლობლად ცხოვრობს“².

განსაკუთრებით საინტერესოა ის შემთხვევები, როცა ერთსადაიმთხვევე ძეგლში ბერძნულ „იბერს“ შეესატყვისება ლათინური „ჰიბერი“. ასე, მაგ., ისეთს შესანიშნავ ოფიციალურ დოკუმენტში, როგორცაა ეგრეთწოდებული „ანკვირიის ძეგლი“, ე. ი. წარწერა, ამოპრილი ბერძნულსა და ლათინურ ენებზე, პარალელურად, მცირე აზიის ქალაქ ანკირის ტაძრის კედელზე, იმპერატორ ავგუსტუსის (გარდ. 14 წ., ახ. წ.) ბრძანებით. ეს იმპერატორი ამბობს რომ რომაელთა მეგობრობას „თხოულობდნენ“ „აღბანელების, იბერებისა და მიდების მეფეებო“. ლათინურ ტექსტში აქ ფორმა ჰიბერია (Hiber...) ნახმარი, ბერძნულში-კი—'Ιβηρ.... იბერი³. ასევე, ბერძნულიდან ლათინურად ნათარგმნ ძეგლებში ჩვენ იმავე „ჰიბერ“ ფორმას ვხვდებით⁴.

ამიტომ უეჭველია რომ ლათინური ძეგლების „ჰიბერ“ ფორმა შემთხვევითი არ არის.

„იბერ“ ფუძემდე დადის, როგორც ვთქვით, ქართველების თითქმის ყველა უცხოური სახელწოდება, ხმარებული აზიისა და ევროპის ხალხების მიერ. სათანადო ლიტერატურაში აღნიშნულია და უდავოდ უნდა მივიჩნიოთ, მაგ., რომ სომხური „(ი)ვირ-ქ“ (Վիրք) — „ქართველი“, მრავლობითი რიცხვის ფორმით, ამ ფუძის

ი. სოლინი, 273; ე. სპარტიანი, 293; ფლ. ვოპისკი, 305—6; ი. ვალერიუსი, 311; ავრ. გიქტორი, 317; ფესტი, 323; ამ. მარკელინი, 324...; გ. სექსესტრი, 390, და სხვები. „იბერი“ ფორმა ლათინურ ტექსტებში გვხვდება მეტად იშვიათად, ასე აქვს მაგ. ევტროპის, იქვე, 320 და რუფინუსს, 362, თუ აქ გადამწერთა და გამომცემელთა შეცოთმასთან არა გვაქვს საქმე.

¹ გრამატიკოსის სახელმძღვანელო¹ წ. VI, VIII, 44; SC, II, 435.

² იქვე, წ. VII; III, 12, გვ. 435.

³ SC, II, 41.

⁴ იხ. მაგ. ეპიფანეს „თვალთა“-ს ლათინ. თარგმანი, SC, II, 712 და სხვ.

ერთი ნაყართაგანია. ძველი სომხური სახელწოდების ნათესაობითი ბრუნვის ფორმიდან მოდის ახალი სომხური „ვრაცი“. იმავე მნიშვნელობით, სავსებით სამართლიანად, მოცემულ ფუძესთანაა დაკავშირებული აგრეთვე, საკითხის მეცნიერულ ლიტერატურაში, ძველი სპარსული „ვრკ-ან“ და „ვრჯ-ან“ (?), სირიული „გურზ-ან“, ახალი სპარსული „გურჯ“¹, არაბული „ჯურზ“, თურქული „გურჯ“. ირანელებისა და თურქების მეშვეობით ფორმა გავრცელდა მრავალ სხვა ხალხშიაც, კერძოდ, ჩრდილოეთ-კავკასიაში. აქედან მოდის ოსური „გურძ“ (თუ: გურდზ) = საქართველო, „გურძ-იაგ“ = ქართველი და იქნებ „გურჯღ“ — ტანადი, ახოვანი²; ჩერქეზ. „ქურჯღ“ = ტფილისი (ჩვენი ჩანაწერით; შეადრ. მეგრული და აფხაზური „ქართ“ = ტფილისი) და სხვ.

ამავე აღმოსავლური ფორმიდან მოდის რუსული *гѣрз-ни*, რომლის უძველესი ფორმაა *гѣрз-ни*: ასე, მაგ., XVI ს. ერთს რუსულ მატთანურ კრებულში საქართველო წოდებულია „გურზა“-დ, *Гѣрза*³.

უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ ქართველთა ევროპული სახელწოდების წარმომავლობაზე აღნიშნული ფუძიდან, იმიტომ რომ აქ კავშირი ისე ნათელი არ არის. ცნობილია, რომ ქართველებს ევროპელი ხალხები ერთსადაიმევე სახელს ეძახიან, ოღონდ სხვადასხვანაირად გამოთქმულს, ეროვნულს ენობრივ არტიკულაციასა და სათანადო ორთოგრაფიის მოთხოვნილებებთან შეფარდებით. ევროპული ფორმების სათანადო ფუძეებია „გეორჯ“, „ჯორჯ“, „გეორგ“, „გიორგ“ და სხვ. (ფრანგ. *Géorgien*, ინგლის. *Georgian*, გერმ. *Georgier* და სხვ.). ამ ფუძის გარეგნულმა ახლო მსგავსებამ პირისსახელის გეორგ-გიორგის ფუძესთან დიდი ხანია უკვე რაც გააჩინა სახელის სათანადო ხალხური ეტიმოლოგიაც, თითქოს ქართველების ევროპული სახელწოდება წმ. გიორგის სახელთან იყოს დაკავშირებული, კერძოდ, ამ წმინდანის კულტის

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1², 24. — უნდა ითქვას, რომ მიუხედავად აღნიშნული კავშირების თვალსაჩინოებისა, სათანადო გადასვლების ფონეტიკური ისტორია ჯერ დადგენილი არ არის. აღმოსავლურ ფორმებში მოცემული ფუძის ბოლოკიდური „კ“, „ჯ“, „გ“ ალბათ სომხური მრავლობითობის ფორმანტის „ქ“-ს განვითარებაა. ამ შემთხვევაში მივიღებთ რომ ეს ფორმები სომხურზეა დამოკიდებული.

² В. Миллер, *Осетинско-русско-немецкий словарь*, სათანადო სიტყვის ქვეშ.

³ В. Бартольд, *История изучения Востока в Европе и России*, изд. II, Л. 1925 г., 175.

ფართოდ გავრცელების ნიადაგზე საქართველოში, ხოლო, მეორე მხრივ, რადგანაც ადამიანის სახელი „გეორგი“ ბერძნულია (Γεωργιος) და ეტიმოლოგიურად სიტყვა „მიწისმოქმედს“ (γεωργός) უკავშირდება, აქედან ისეთი აზრიც გაჩნდა, რომ ქართველების ევროპული სახელწოდება აღნიშნულ ბერძნულ სიტყვასთანაც არის გენეტურად დაკავშირებული. აი, როგორა აქვს ეს გავრცელებულ აზრი ვახუშტის გამოხატული: „... ქვეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა: პირველად — საქართველო, მეორედ — ივერია, მესამეთ — გიორგია... კვალად გიორგიაცა მკნედ მომპირნეობისა მუშაკობისა ქართველთათა ეწოდა (რამეთუ „გიორგი“ მუშაკად ითარგმნის): კვალად, ვინათგან იცნეს სამება ერთარსება ქეშმარიტი ღმერთი წმიდის ნინოს მიერ, რამეთუ მამა ნინოსი იყო ზაბილონ და ესე ზაბილონ იყო კაბადუკიელი, ნათესავე წმიდისა დიდის მოწამის გიორგისა, ამისთჳს, მიერ ჟამითგან, ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარმოწამის გიორგისანი ყოველსა ივერიასა შინა. რამეთუ არა არიან ბორცუნი ანუ მალალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი. და ესეცა ამის მიერ იწოდა. არამედ ევროპელნი და ბერძენნი უხმობენ ჯორჯიანსა და რუსნი გრუზსა, და მაჰმადიანნი გურჯსა, მათითა ორფოლრაფიის გამო, არამედ დგივე გიორგიავე არს“¹.

ნამდვილად-კი, ევროპული ტერმინის ფუძე ჩნდება, ძირითადი იბერ-ფუძის აღმოსავლური ფორმის ადრინდელ იტალიურ გამოთქმა-ტრანსკრიპციის ნიადაგზე, XII—XIII ს-ში. მანამდის და ზოგჯერ ამის შემდეგაც ევროპელი ხალხებიც იმავე იბერ-იბერიას ხმარობდნენ. ახალი სახელწოდება, როგორც ვთქვით, საშუალო საუკუნეების დამლევისათვის ჩნდება. ასე, მაგ., იოანე დე პლანო კარპინი, პაპი ინოკენტი IV-ის ელჩი, ფრანცისკანელი ბერი, რომ-

¹ გეორგია, მ. ჯანაშვილის გამოცემა, 30—31.—საინტერესოა ვახუშტის დაკვირვება ორთოგრაფიისა და ამ ფორმების ურთიერთკავშირის შესახებ. ჯანაშვილი, იქვე, შენიშნაში, უარჰყოფს ვახუშტის ეტიმოლოგიას და, თავის მხრით, ევროპულ ფორმებს და ქართ. „ქართ“-ფუძეს ერთი ფესვისად სთვლის, რაც დაუმტკიცებელია. განათლებული ავტორი წიგნისა „Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии“, რომელიც გამოვიდა პეტერბურგს (ამჟამად ლენინგრადი) XIX ს. პირველ წლებში, ეპყვს გამოსთქვამს „გეორგიას“ წმ. გიორგისთან კავშირში, რადგანაც გეორგების ტომი უკვე მოხსენებული ჰყავთ პომპონიუს მელასა და პლინიუსსაო, და უფრო, როგორც ჩანს, „მიწისმოქმედის“ ვარიანტისკენ იხრება, გვ. 3—4. ამ საკითხის შესახებ ბევრს უწერია. ლიტერატურის მიმოხილვა ნახე Л. М. Меликсет-бска в, Страна св. Георгия.

მელმაც მონღოლეთში იმგზავრა 1246 წ., საქართველოს უკვე „გეორგიანია“-ს ეძახის, ქართველებს „გეორგიან“-ებს ანუ „ობეზ“-ებს (მოღის „აფხაზ“-იდან)¹. „გეორგიანია“-სთან ერთად კარპინი ხმარობს ფორმა „გეორგიას“-აც², ამავე დროს მისთვის ცნობილია ტერმინი იბერ-იც³, რაც შეიძლება იმერ-იმერელს აღნიშნავდეს. დომინიკანელი ბერი ასცელინი, რომელმაც იმგზავრა მონღოლებთან 1247 წ. იმავე პაპის დავალებით, ქართველებს აგრეთვე „გეორგიან“-ებს (Georgiani) ეძახის⁴.

კიდევ უფრო საყურადღებო ცნობები აქვს დაცული ვილქელმ დე რუბრუკს, რომელიც საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო IX-ის ელჩი იყო და რომელმაც იმგზავრა მონღოლეთში 1253—5 წწ. რუბრუკი ხმარობს ფორმა „გეორგიან“-საც⁵, „გეორგია“-საც⁶, ტერმინ „იბერ“-საც. რადგანაც მისი ცნობით, „იბერია არის გეორგიის ოლქი“⁷ და „იბერები არ ემორჩილებიან თათრებს“⁸, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ იბერია აქ იმერეთს ნიშნავს, ხოლო იბერი — იმერელს. ამასთან ერთად „ქართველის“ აღსანიშნავად რუბრუკი ხმარობს ტერმინს „კურგი“, რომელიც, როგორც ეს მალეინის გამოცემისათვის დართული რუკის ლათინური წარწერებიდან ჩანს, Curgî-ს სახით იწერება. რომ „კურგი“ რუბრუკის ტექსტში მართლაც ქართველს აღნიშნავს, ეს ყოველ ექვს გარეშეა. ერთ ადგილას რუბრუკი ამბობს: „... ჩვენ გავედით უზარმაზარ ველზე, რომელიც მონად იწოდება: აქ დის კურა, Cuga,

¹ П л а н о К а р п и н и, История монголов; Р у б р у к, Путешествие в восточные страны. Введение, перевод и примечания А. И. М а л е н н а, СПб. 1911, გვ. 26, 35, 35 — 36, 50. — ჩვენ, სამწუხაროდ, ხელთ არ გვქონდა ამ ავტორთა ტექსტების დედნები. — საკონტროლოდ, აქვე მოგვეყვას ნაწყვეტი ჩვენი ძველი ამონაწერიდან, რომელიც გაკეთებული გვაქვს კარპინის ძველი რუსული ი ა ხ ი კ ო ვ ი ს ე უ ლ ი გამოცემიდან, Путешествия к Татарам, СПб. 1825, სადაც მოცემულია თარგმანთან ერთად ორიგინალიც: იმ ხალხთა სიაში, რომელნიც ცხოვრობენ, კომანთა მიწა-წყლის ახლომახლო, კარპინი აღნიშნავს «a meridie habet Alanos Circassos... ac terram quoque Cithorum atque Georgianorum, გვ. 24; შეადრ. მ ა ლ ე ი ნ ი, გვ. 50; Obesi sive Georgiani, იხ. ი ა ხ ი კ ო ვ ი, გვ. 190.

² ი ა ხ ი კ ო ვ ი, 34, იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 102; მალეინს ეს ტერმინი პირდაპირ „Гр҃҃҃҃҃҃҃“-დ გადმოუცია, გვ. 54.

³ მალეინი, გვ. 50; ი ა ხ ი კ ო ვ ი, გვ. 24 და აქვე, გვ. 224, შენშ. 2.

⁴ ი ა ხ ი კ ო ვ ი ს დასახ. გამოცემა, გვ. 229 და სხვ.

⁵ მალეინის დასახ. გამოცემა, გვ. 95, 170 და შემდ.

⁶ იქვე, გვ. 66.

⁷ იქვე, გვ. 66.

⁸ იქვე, გვ. 66—67.

რომელმაც სახელწოდება მისცა კურგებს, Curgi, ჩვენ რომ გეორგიანებს ვეძახით. იგი მიმდინარეობს კურგების მთავარი ქალაქის, ტეფილისის, შუა... ამ ველზე მიმდინარეობს არაქსიცი... ამ ულამაზესი ველის დასავლეთით არის კურგია. ველზე წინათ ცხოვრობდნენ კროსმინები. მთების შესავალთან არის დიდი ქალაქი, სახელად განგეს, მათი წინანდელი დედაქალაქი, რომელიც ხელს უშლის კურგებს ჩამოვიდნენ ველზე¹. სავსებით ნიშანდობლივი აღწერაა: მოანის ველი, რათქმუნდა, მულანია, კურა — მტკვარი, ტეფილისი — ტეფილისი, განგესი — განჯა. აქ საინტერესოა მითითება რომ „გეორგიანი“ რუბრუკისათვის დასავლეთ-ევროპული ტერმინია, ხოლო კურგი, როგორც ჩანს, აღმოსავლური. საქართველო, როგორც მოყვანილ ადგილას, ისე სხვაგანაც, იწოდება „კურგიალ“ ან „დიდ კურგიალ“². სხვა ადგილას რუბრუკი იხსენიებს საგენსას (Сагенса, ლათინურ ტექსტში, ალბათ, „საჰენსა“³), „ოდესლაც უძლიერეს კურგს“, რომელიც იმ დროს უკვე თათრების მოხარკე ყოფილა. საჰენსას მამას, ზაქარიას, ეს სომხების მიწა გაუთავისუფლებია სარკინოზებისაგან და შეუძენია. შემდეგ რუბრუკი იხსენიებს საჰენსას შვილს ზაქარიას და საჰენსასავე ციხე-ქალაქს აინი-ს⁴. ცხადია, რომ აქ იგულისხმებიან მხარგრძელები შანშე-შაჰანშა (=საჰენსა), ზაქარია (პაპა და შვილიშვილი), მათი სამფლობელო სომხეთში და, კერძოდ, ქალაქი ანისი⁵.

უკვე კარპინისა და რუბრუკის ზემოთმოტანილ ფაქტებს შეუძლიათ გააჩინონ ბუნებრივი და კანონიერი საკითხი ამ უცხო სახელთა ლათინურ ტრანსკრიპციაში მოცემული ფორმების რეალური ბგერითი შინაარსის შესახებ. მთარგმნელების ტექსტი ამ შემთხვევაში, ბოლოსდაბოლოს, უბრალო ტრანსლიტერაციას წარმოადგენს. ლათინური ანბანის ნაკლოვანება, კავკასიურ, კერძოდ — ქართულ, ფონეტიკასთან შედარებით, გვაფიქრებინებს რომ ამ უცხო გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელების გადმოცემისას ევროპელები ლათინურ ასოებს ახალ ფუნქციასაც აკისრებდნენ, ჩვეულებრივის გარდა. ასე მაგ., შაჰანშა-ში ბგერა შ რუბრუკის

¹ მაღლინის გამოც., გვ. 170.

² იქვე, 170, 171. ვეფრატის სათავეებიც კურგიის მთების ძირთანაა ნაჩვენები, გვ. 171.

³ ამას ადასტურებს ხსენებული რუკის წარწერა Land of Sahensa.

⁴ იქვე, გვ. 173—174.

⁵ შანშე მოხსენებულია მისი ბიძის, ივანე მხარგრძელის, ლათინურ წერილშიც. იქ ეს სახელი იწერება Sanaia! იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 565.

მიერ ვ-თია გადმოცემული, იმიტომ რომ ლათინურს შ არ მოეპოვება. ქალაქის სახელში *Ganges* = განჯა აშკარაა რომ ლათინ. გ, e ხმოვნის წინ, ჯ-ს მნიშვნელობითაა ნახმარი. იქნებ აქ e, ადგილობრივ ა-ს მაგიერ, სწორედ აღნიშნული მიზნითაა გამოყენებული? ამიტომ, საფიქრებელია რომ *Curgi* აღმოსავლურ გურჯი-ს გადმოსცემს და ასევე უნდა იკითხებოდეს ჩვენ მიერაც! ამის შემდეგ საკითხავია, როგორ უნდა წავიკითხოთ ფუძე *georgi*, აქაც ხომ აფრიკატები არა გვაქვს?

სათანადო შუქს დასმულ საკითხს ჰფენს ის მასალა, რომელიც ძველს საქართველოში ნაპოვ და მოქმედ იტალიელ ზისიონერთა მიერ დატოვებულ დოკუმენტებშია დაცული. თუ ძველს ხანაში პაპი საქართველოს იბერიას უწოდებს¹, შემდეგ, XII—XIII სს. უკვე ფუძე *georgi* ჩნდება. ასე, მაგ., რუსუდანი, თამარის ასული, თავის თავს *Rex Georgianorum* უწოდებს². პაპიც, თავის საპასუხო წერილში, 1224 წლისა, ამავე ტერმინს ხმარობს³. შემდეგშიაც იგი ხშირია⁴. მაგრამ ამასთან ერთად ვხვდებით სხვა ფორმებსაც. სხვათა შორის, აქვე ვპოულობთ ზეწოთგამოთქმული აზრის დადასტურებას რომ XIII ს. მეორე ნახევარში ევროპელები იბერიას ეძახიან დასავლეთ საქართველოს, ხოლო გეორგიას — აღმოსავლეთ საქართველოს. ასე, პაპი ნიკოლოზ IV თავის 1269 წ. წერილში იმერეთის მეფეს დავით ნარინს უწოდებს *David Rex Hiberorum*, აღმ. საქართველოს მეფეს დიმიტრი თავდადებულს-კი — *Rex Georgiano-rum*⁵. შემდეგ ჩნდება კიდევ უფრო თავისებური დაწერილობანი. პაპი იოანე XXII, თავის 1328 წ. ლათინურად დაწერილს დოკუმენტში, რომლითაც ტფილისში გადმოტანილ იქნა საეპისკოპოსო კათედრა ქალ. სმირნიდან, ამბობს რომ „ტფილისი, ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერთი სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია“. ლათინურ ტექსტში ვკითხულობთ: ...*locus Thefelicensis in regni Jorgianorum mediterraneo*⁶. უცილობელი უნდა იყოს რომ j, რომელიც გაჩნდა

¹ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ. 1902, გვ. 24 და 575.

² იქვე, 7 და 563.

³ იქვე, 10 და 565.

⁴ ასე, მაგ., 1321 წ. იხსენიება „დიმიტრი ტფილელი, ტომით გეორგიანი“, *natione Georgianus*, იქვე, 29 და 578.

⁵ იქვე, 18—19 და 572. იბერ-მა აღნიშნული გამოყენება პპოვა, უპკველია, „იმერ“-თან გარეგნული მსგავსების გამო.

⁶ იქვე, 32 და 580.

აქ ძველი გ-ს ნაცვლად, მოცემულ სახელში ჩვეულებრივი ლათინური ფონეტიკური მნიშვნელობის (g!) მათარებელი არ არის. ასეთივე ფორმა *joiz-* კვლავ არის განმეორებული იმავე პაპის 1329 წ. ორს სხვადასხვა დოკუმენტში¹. მაგრამ იმავე წელს საქართველოს მეფისადმი მიმართულ წერილში პაპი საქართველოს Georgia-ს უწოდებს². ცხადია, რომ აქ ჩვენ გვაქვს ორთოგრაფიული მერყეობა ერთდამთავრებულ უცხო ფონემის გადმოცემისას. შემდეგ, როგორც ლათინურს, ისე იტალიურ ტექსტებში გვხვდება მესამე ვარიანტიც: *Giorgi...*³

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამსავე დაწერილობაში, *j, ge, gi*, ლათინური ასოებისა და მათი კომბინაციების საშუალებით ამ უცხოელებს, უმეტეს წილ შემთხვევაში — იტალიელებს, უნდოდათ გადმოეცათ ადგილობრივი *ჯ*. მთლიანად, ჩვენი ფუძის ის აღმოსავლური ფორმა, რომელიც საფუძვლად დაედო იტალიელების და, საერთოდ, ევროპელების ფორმას, გამოითქმოდა, როგორც ჩანს, *ჯორჯ* || *ჯურჯ*. თუ სად შეითვისეს ევროპელებმა ასეთი ფორმა, ეს ჯერ კიდევ საძიებელია, მაგრამ წინასწარ შეიძლება ვარაუდით ითქვას, რომ ეს არის უფრო დასავლეთი წინა აზია, იქნებ — მცირე აზია, და რომ პროტოტიპული ფაქტი, თავიდან *ჯ*-ს მიხედვით, უფრო არაბთა მეტყველებას განეკუთვნებოდა, ვიდრე რომელიმე სხვა აღმოსავლეთის ხალხისას, მაგ., ირანელებისას (თურქები გამორიცხულნი არიან, რადგანაც შეთვისება, როგორც ჩანს, ხდება უკვე XII ს-ში, როცა მცირეაზიელი თურქების მნიშვნელობა, კერძოდ კულტურული, მეტად მცირეა). არაბული ფორმა ჩვენი ფუძისა, *ჯურჯ*, ასეთი ფონეტიკური გადასვლის შესაძლებლობას არ უარყოფს. რაც შეეხება ბოლოკიდურ *ჯ*-ს გაჩენას, იქნებ მას საფუძვლად დასდებოდა არაბულ (*ჯურჯ*) და ირანულ (*გურჯ*) ფორმების კონტამინაცია. საყურადღებოა რომ ფორმა „*ჯურჯი*“, ქართველის მნიშვნელობით, დადასტურებული აქვს ჭანეთში ი. ყიფშიძეს (იხ. „ენიმკის მოამბე“, I, გვ. 170). რუბრუკის ფორმა, *curgi*, რაც ჩვენ „*გურჯად*“ წავეიკითხეთ, უკვე ახალ ირანული ფორმიდან მომდინარეობს. ძალიან საყურადღებოა ჩვენთვის, რომ თავიდან *ჯ* რუბრუკს ლათ. *c*-თი აქვს გადმოცემული, და არა *g*-თი!⁴

¹ მ. თამარაშვილი, დასახ. შრომა, გვ. 33 და 581, 35 და 582.

² იქვე, 38 და 584.

³ იქვე, 585, 588, 591, 592 და სხვ.

⁴ გაგრის, ძვ. ქართ. გაგარ-ის, სახელშიც ძველ იტალიურ რუკებზე *g* თითქმის ყოველთვის *c*-თია გადმოცემული, ნ p y n, Чирвоиорье, 4, II.

იმ გარემოებას, რომ აღნიშნული აღმოსავლური ფორმების პირველი შემთვისებელნი ევროპელთაგან იტალიელები იყვნენ, ის მნიშვნელობა აქვს რომ იტალიელებს, რომაელებისა და ზოგ სხვა ევროპელ ხალხთაგან განსხვავებით, ცოცხალ მეტყველებაში ჰქონდათ სათანადო აფრიკატები, კერძოდ ჯ. მათ მხოლოდ, ან ბგერების გამოსახატავად, სპეციალური ასო-ნიშნები არ გააჩნდათ.

რომ ეს ევროპელები, აღებულ შემთხვევაში, არარეალურ ფორმებს კი არ სთხზავდნენ, არამედ ადგილობრივ ტერმინოლოგიას ეგუებოდნენ, ამის საილუსტრაციოდ იმავე მასალაში ერთი მეტად საინტერესო ფაქტია დაცული.

XIII ს. ოციან წლების დამდეგს, დედოფალ რუსუდანთან ერთად, ათაბაგს ივანე მხარგრძელსაც მიუწერია წერილი რომის პაპისათვის. ამ წერილში ივანე თავის თავს „მთელის საქართველოს და სომხეთის მხედართმთავარს“ უწოდებს (თამარაშვილის თარგმანით)¹, დედანში-კი ეს ტერიტორიულ-პოლიტიკური ცნება გამოხატულია სიტყვებით: *totius Bratiae sive Armeniae*. პაპის საპასუხო წერილში-კი ივანეს უფრო მარტივად *Comestabulus Bratiae* ეწოდება, თამარაშვილის თარგმანით — „საქართველოს მხედართმთავარი“². თამარაშვილის თარგმანი სწორია და *Bratia* მართლაც „საქართველოს“ ნიშნავს; ჩვენ ვეთიქრობთ რომ აქ ფუძეა სომხური ნათესაობითი ბრუნვის ფორმა — „ერაც“ (*ერաց*) = ქართველთა. *ti* ჯგუფი აქ ც აფრიკატს გადმოსცემს ბუნებრივად. აღნიშნულ ფაქტს სხვა ინტერესიც ახლავს თან, მაგრამ აქ მასზე ვერ შევიჩერდებით.

საილუსტრაციოდ აღნიშნავთ, დასასრულ, იტალიური ორთოგრაფიის ცნობილი ისტორიის ფაქტებიდან, რომლებიც იმავე მასალაში გვხვდება, რომ ბგერა ჯ თანაბრად არის გადმოცემული *j* და *g*-თი (ეს უკანასკნელი, ამ შემთხვევაში, შესაფერი ხმოვნის წინ დგას) ისეთს ფორმებში, როგორიცაა *Gesū*³ = იესო, *Gesuita*⁴ = იეზუიტი, *Gerusalimme*⁵ = იერუსალიმი, *Genaro*⁶ = იანვარი;

¹ დასახ. გამოც., გვ. 8, დედანი, გვ. 564; რომ ეს მართლაც ივანე მხარგრძელია, იმითაც მტკიცდება რომ წერილში ივანე თავის ძმისწულს „შანშას“, ცნობილ ისტორიულ პიროვნებას, იხსენიებს.

² იქვე, გვ. 11 და 567.

³ იქვე, 707, 720.

⁴ იქვე, 706.

⁵ იქვე, 628.

⁶ იქვე, 685.

ჯ = gi: Giuseppe¹ = იოსები და მრავალი სხვა. რადგანაც ასეთი იყო, საერთოდ, ფონეტიკური ბედი თავკიდური ძ-სა იტალიურში, ამიტომ ქართული „იესე“-ც (კაცის სახელი) Giessé-დ იქცა!²

დასასრულ, შევნიშნავთ რომ „გეორგ“ ფორმა ახალს ევროპულ ენებში (მაგ. გერმანულში) მიღებულ იქნა იტალიური დაწერილობის ლათინური წაკითხვიდან, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო უწყებულ მცთარ ეტიმოლოგიასაც.

ასეთი საყოველთაო გავრცელება იბერ-ფუძისა მოწმობს მისს. დიდ სიძველეს და მნიშვნელობას. თუ, ამის შემდეგ, მოვიგონებთ ჩვენს ზემოთმიღებულ დასკვნას იმის შესახებ, რომ გარკვეულ ხანაში სატომო სახელების საერთო ქართველური მაწარმოებლის როლში -ან სუფიქსი გამოდის, საფუძველი გვექნება ვიფიქროთ რომ ქართვების აღნიშნულ სახელსაც ოდესღაც თან ახლდა ეს ფორმანტი და მთელი სახელი განოთქმოდა, როგორც იბერ-ან-ი თუ ჰიბერ-ან-ი (ლათინურში დატული ფაქტის მიხედვით). იქნებ არ იყოს უცხოური, ქართული მორფოლოგიის თვალსაზრისით, ის -ან სუფიქსიც, რომელიც ამ ტერმინის ზოგიერთ აღმოსავლურ ფორმას ახასიათებს (ვრკ-ან, ვრჯ-ან, გურჯ-ან და სხვ.)? მაგრამ ეს — სხვათა შორის.

მას შემდეგ, რაც ჩვენ ქართვების სატომო სახელწოდების ეს უძველესი -ან-იანი ფორმა მივიღეთ, ბევრად უფრო დამაჯერებელი უნდა გვეჩვენოს ის მოსაზრება, რომელიც მრავალგზის ყოფილა გამოთქმული სხვადასხვა მეცნიერის (პროფ. ივ. ჯავახიშვილი³, აკად. ნ. მარი⁴ და სხვ.) მიერ იბერ-ის ნათესაობის შესახებ ტიბარენ-თან. პროფ. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ენი“ დაბოლოებაა, „ტიბარ“ ფესო არის“-ო. ჩვენ ვნახეთ რომ ასეთი დანაწევრებისათვის საკმაო საფუძველი მოიპოვება. გარდა ამისა, „ტიბარენი“ გაცილებით უფრო დამარწმუნებლად უახლოვდება ჰიბერან || იბერან-ს. ეს სიახლოვე კიდევ უფრო ცხადი გახდება, როცა ტიბარენის ვარიანტებს გავითვალისწინებთ და ამ გზით სახელწოდების ისტორიას აღვადგენთ.

ჯერ ერთი, უნდა შევნიშნოთ, რომ ტიბარენები ის ტომია, რომელიც უკვე შეექვს საუკუნიდან მოყოლებული, ძველი წელთ-

¹ იქვე.

² იქვე, 726 და 317.

³ ქართვ. ერის ისტ., I², 22—23.

⁴ იხ. მაგ. მისი «Абхазоведение и абхазы», სადაც ავტორი ამბობს: «... Кимеры или иберы, они же тубалы, или тибарены», Избр. соч., т. V, 175.

აღრიცხვით, იხსენიება ანტიკურ მწერალთა მიერ, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ქალ. ტრაპეზუნტიდან დასავლეთისკენ. ამავე დროს, სხვადასხვა მწერალს ეს სატომო სახელი სხვადასხვა, ჩვენთვის საინტერესო, ფორმით აქვს მოხსენებული.

უძველესი ამ წყაროთაგან, ჰეკატე მილეთელი (VI ს., ძვ. წ.) 193-ე ფრაგმენტში, რომელიც სტეფანე ბიზანტიელს აქვს დაცული, ამბობს: „ტიბარებს (Τιβάρησι) მზის აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრებიან მოსხნიკები“ (Μοσνησιαι).¹ აქ სახელის ფუძე -ან სუფიქსის გარეშეა მოცემული, და ტიბარები მოსინიკების დასავლეთელ მეზობლებად არიან გამოცხადებული.

ჰეროდოტე-კი (V ს.) შემდეგ ცნობას გვაწვდის: „მოსხებს, ტიბარენებს (Τιβάρηνας), მაკრონებს, მოსინიკებს და მარებს გამოცხადებული ჰქონდათ (ხარკად) 300 ქანქარი; ეს მეცხრამეტე ოლქია“². მაშასადამე, ჰეროდოტეს დროს ტიბარენები აქემენიდასახელმწიფოს XIX ოლქში შედიოდნენ მოსხ-მესხებსა, მოსინიკებსა, მაკრონებსა და მარებთან ერთად. აქ მოცემულია, მაშასადამე, ახალი ცნობები ტიბარენების ტერიტორიის განსაზღვრისათვის: მოსინიკებს გარდა მათ კიდევ სამი სხვა, ჰეროდოტეს მიერ დასახელებული, ტომიც მეზობლობდა. ჰეროდოტეს ცნობაში, გარდა ამისა, ახალია სახელის ფორმაც — აქ პირველად ჩნდება სუფიქსი -ენ.

ტიბარენების ტერიტორიას კიდევ უფრო ნიშანდობლივ განსაზღვრავს ჰეროდოტეს უმცროსი თანამედროვე, ქსენოფონტე, რომელმაც ამ ტომების მიწა-წყალი საკუთარი ფეხით მოიარა 401 წ., ძვ. წ. ქსენოფონტეს ცნობით, ქალაქი ტრაპეზუნტი არის ელინური ქალაქი, სინოპელების კოლონია, კოლხების ქვეყანაში³. შემდეგ ქალაქი კერასუნტიც, სინოპელების მიერ დაარსებული, კოლხეთში მდებარეობს⁴. კერასუნტის შემდეგ, დასავლეთისაკენ უკვე მოსინიკების მიწა-წყალი იწყებოდა⁵. მოსინიკების ტერიტორია ქსენოფონტემ და მისმა რაზმელებმა 8 გა-

¹ SC, I, 3.

² III, 94; SC, I, 9.— ტიბარენებს იხსენიებს ჰეროდოტე აგრეთვე იმ ხალხთა აღწერილობაში, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ქსერქსეს ლაშქრობაში. ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები მოსხებივით ყოფილან შეიარაღებულნი. ამას გარდა, ტიბარენები და მოსხები ერთს სამხედრო რაზმს შეადგენდნენ, VII, 78; იქვე, 57.

³ წ. IV, თ. VIII, § 22; შეადრ. § 23; SC, I, 76—77.

⁴ წ. V, თ. III, § 2; იქვე, 79.

⁵ წ. V, თ. IV, § 1—2; იქვე, 79.

დასვლაში გაიარეს და ხალიბების ქვეყანაში მივიდნენ; ხალიბები მცირე ხალხია, მოსინიკებს ემორჩილება და მისი უმრავლესობა შადნის დაშუშავებით ირჩენს თავსო, ამბობს ქსენოფონტე¹. აქედან ბერძნები უკვე ტიბარენების ქვეყანაში (εἰς Τιβάρηνον) გადასულან. ტიბარენებს უფრო ვაკე ადგილი უჭირავთო. მას შემდეგ, რაც ტიბარენების ტერიტორიაზე შესდგეს ფეხი ბერძნებმა, მათ კიდევ ორი დღის სიარული დასკირდათ, ვიდრე ქალაქ კოტიორამდე მიღწევდნენ. ქ ა ლ ა ქ ი კ ო ტ ი ო რ ა ელინური ქალაქია, სინოპელების კოლონია, ტ ი ბ ა რ ე ნ ე ბ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი ო , — ამბობს ქსენოფონტე. სახელი ტიბარენიც მას ყოველთვის ამ ფორმით აქვს მოცემული, -ენ სუფიქსით². გარდა ამისა, ქსენოფონტეს ცნობით, ტიბარენები და მათი მეზობლები (მოსინიკები, კოლხები, მაკრონები და სხვები) უკვე აღარ ემორჩილებოდნენ მეფეს, ე. ი. ირანის მბრძანებელს³. შემდეგ სკილაკი (IV ს. უკანასკნელი მეოთხედი, ძვ. წ.) იხსენიებს ტიბარენებს და მისი ცნობა, ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია, არ ჩანს წინა წყაროებზე დამოკიდებული. ჩამოსთვლის რა ხალხებს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიყოლებით, სკილაკი ამბობს: „მოსინებს იქით (μὲν δὲ Μοισίνους) ცხოვრობს ხალხი ტიბარენები (Τιβάρηνος). ტიბარენებს იქით ცხოვრობს ხალხი ხალიბები; (აქ არის) დახურული ნავთსადგური გენეტი, ელინური ქალაქი სტამენია და ელინური აკროპოლისი იასონია“⁴. სტრაბონი ხმარობს პარალელურად როგორც ტიბარენ-ს⁵, ისე ტიბარან-საც⁶. ამას გარდა ტიბარენების ქვეყანას სტრაბონი ტიბარანიას (Τιβάρηνου) ეძახის⁷ და ამრიგად მაინც თითქოს უპირატესობას -ან-იან ფორმას აძლევს. სტრაბონი საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავს ტიბარანიის ადგილმდებარეობასაც: ქალ. ტრაპეზუნტი ტიბარანიისა და კოლხეთის საზღვარზე იმყოფება⁸ (შეადარე კოლხებისა და იბერების მეზობლობა კავკასიაში). კავკასიონის ქედი (იგულისხმება სამხრეთის მთაგრეხილი) ეკერის სომხურს, კოლხურსა და

¹ წ. V, თ. V, § 1; იქვე, 83.

² წ. V, თ. V, §§ 1—3; იქვე, 83.

³ წ. VII, თ. VIII, § 25; იქვე, 84.

⁴ 87 და 88; SC, I, 86.

⁵ გეოგრაფია, წ. XII, თ. I, § 3, მაინეკე, გვ. 750; იქვე, თ. III, § 28, გვ. 779 (2-ჯერ), § 29, გვ. 780.

⁶ იქვე, წ. XI, თ. XIV, § 1, გვ. 740; წ. XII, თ. III, § 1, გვ. 759; წ. XII, თ. III, § 18, გვ. 770; წ. II, თ. V, § 31.

⁷ წ. VII, თ. IV, § 3, გვ. 425.

⁸ გვ. 425.

მოსხურს მთებს ტიბარანებამდე¹. მითრიდატ ევპატორის სამეფო-ისაზღვრებოდა მდ. ჰალისით ტიბარენებსა და სომხებამდე². ტრაპეზუნტსა და ფარნაკიას ზემოთ ცხოვრობენ ტიბარანები, ქალდეები და სანები³, ფარნაკიასა და ტრაპეზუნტის სანახებთა ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები და ქალდეები მცირე არმენიამდე⁴, რომლის მფლობელთ ხელქვეით ჰყავდათ ხოლმე აგრეთვე ქალდეები და ტიბარენები, ასე რომ მათი სამფლობელო ვრცელდებოდა ტრაპეზუნტსა და ფარნაკიამდე⁵, სტრაბონის ცხოვრების ხანაში, ტიბარენებსა და ქალდეებს, ვიდრე კოლხეთსა, ფარნაკიასა და ტრაპეზუნტამდე, ჰფლობდა პითოდორიდა⁶. სპეციალური ყურადღების ღირსია, გარდა ამისა, სტრაბონის ცნობა, რომ პირქანის ზღვასა და პონტოს შუა მდებარე ყელს (=ამიერ-კავკასია!) სამხრეთით ძვეს არმენიის უდიდესი ნაწილი, კოლხეთი და მთელი კაბადუკია ევქსინის პონტოსა და ტიბარანულ ხალხებამდე⁷. მაშასადამე, ტიბარანები, სტრაბონისათვის, ხალხთა მთელ ჯგუფს წარმოადგენდნენ.

ტიბარან-თა სახელის აფიქსაციის ორი პარალელური ვარიანტის (-ენ || -ან) რეალურ არსებობას ბერძნულ მწერლობაში ადასტურებს სტეფანე ბიზანტიელი, რომელსაც, გარდა ამისა, მოჰყავს ეფორის ცნობაც, რომ ტიბარენების მეზობლები არიან ხალიბები და ლევკოსირებიო⁸.

ფორმა ტიბარენი ძალიან ადრე გაჩნდა რომაულ მწერლობაშიაც. იგი მოეპოვებათ, მაგ., ოვიდი ნასონსა და პლინიუსს⁹. მაგრამ უკვე პომპ. მელას მოეპოვება ფორმა ტიბარანი (Tibarani¹⁰). მეტიც: მელას აქვს ფორმა ტაბერენი-ც (Tabereni¹¹).

ფორმა ტაბარენი ჰქონია ევსევი კესარიელსაც. სამწუხაროდ, დედანი შენახული არ არის. ლათინურ თარგმანში-კი მოცემულია

¹ გვ. 740.

² გვ. 759.

³ გვ. 770.

⁴ გვ. 779.

⁵ იქვე.

⁶ გვ. 780.

⁷ წ. II, თ. V, § 31.

⁸ ლექსიკონი, სათანადო სიტყვის ქვეშ.

⁹ SC, II, 77 და 178.—პლინიუსიც ტიბარენებს ქალ. კოტიორასთან აკავშირებს.

¹⁰ იქვე, 116.

¹¹ იქვე, 117.

ბერძნ. -ჟ-ს გვიანდელი წაკითხვა **o**-დ (Tabarini)¹. შემდეგ საუკუნეებში ტიბარენების ხსენება თითქოს სულ უფროდაუფრო მწიგნობრულ ხასიათს ატარებს. ამ მხრივ დამახასიათებელია ამ. მარკელინის ცნობა, რომელიც ტიბარენებს რომაელთათვის „სრულიად უცნობი ხალხების“ რიცხვს მიათვლის (ბიზარებსა, საპირებსა, მოსინიკებსა, მაკრონებსა და სხვებთან ერთად)². მიუხედავად ამისა, ცოცხალი სინამდვილიდან მომდინარე მოწმობის შთაბეჭდილებას სტოვებს ევსტათი თესალონიკელის (XII ს.) ცნობა: „ტიბარენები, რომელთაც ჩვენ ტიბარან-ებს ვეძახით, ცხვრითა და საქონლით მდიდარნი არიან“-ო³.

ზემოთმოტანილი ჩვენებები, პირველ წყაროებიდან, იმდენად მრავალფეროვანია თავისი წარმოშობისა და შემადგენლობის თვალსაზრისით რომ შეუძლებელია ეს ვარიანტული ფორმები გადამწერთა შეცთომებს მიეწეროს. უფრო ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, და ამაში ქვემოვანხილული სხვა ფაქტებიც დაგვარწმუნებს, რომ აქ საქმე გვაქვს რეალურ ფაქტებთან. მათი მიხედვით ირკვევა: 1) სუფთქსი წარმოდგენილი იყო ან -ან-ის, ან -ენ-ის სახით; ასეთი შესატყვისობა ჩვენ ზემოთაც დავადგინეთ, ჭან-ზანის სინამდვილეში; 2) პარალელური ფორმები ჰქონდა ფუძესაც — ტიბარ-ისა, ტაბარ-ისა და ტაბერ-ის სახით; დამოწმებულია რედუცირებული ფორმა ტიბრ-იც, ამიტომ დასაშვებია აღნიშნული ფორმების გვერდით, ტიბერ- ვარიანტის არსებობაც (შეადრ. დამოწმებული ტიბარ- და ტაბერ-). ხოლო თუ ეს ასეა, სათანადო ფორმით შემოსილნი, უშუალოდ მიუდგებიან ერთმანეთს, ჩვენ მიერ აღდგენილი, ფაქტები: ჰიბერან (კავკასიაში) და ტიბერან (შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე). მივიღებდით რომ ეს არის ერთისადაიმავე ხალხის ორი ნაწილი.

იმავე ხალხის მესამე ნაწილი, ძველი წელთაღრიცხვის დამლევისათვის, დოკუმენტალურად ნაჩვენებია უკვე, როგორც ადგილობრივი ტომი, მცირე აზიის შუაგულ რაიონში. აქ, 51 წელს ძვ. წ., ციცერონი, როცა იგი კილიკიის პროკონსულად იყო, ეომებოდა ტაბარან-ებს!⁴

ეს ძვირფასი ცნობა, ჯერ ერთი, ადასტურებს ტაბარ ფორმის რეალურ არსებობას (რომ ტაბარანები და ტიბარანები ერთიდაიგივე ხალხია, ეს ხომ ექვს გარეშე უნდა იყოს), და შემდეგ

¹ SC, I, 667.

² SC, II, 325.

³ SC, I, 209.

⁴ E. Forrer, Die hethitische Bilderschrift, 55.

აშუქებს გზებს ამ სამად გაყოფილი ხალხის უძველესი ისტორიის ძიებისათვის.

აქ დაგვრჩენია კიდევ ერთი შენიშვნა: როგორც ვნახეთ, ჰეკატეს მოცემული სატომო სახელი „წმინდა“ ფუძის სახით აქვს წარმოდგენილი („ტიბარ-“). სამწუხაროდ, ეს ფაქტი განცალკევებით დგას და იგი მხოლოდ სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონშია დაცული, რომლის ზოგიერთი ხელნაწერი ამ ადგილას ტიბარენის საკითხავსაც იძლევა¹. ამ ფაქტის დადასტურებისას სხვა გზით, მომავალში, შესაძლებელი გახდება მოცემული მორფოლოგიური მოვლენის მიახლოებითი დათარიღებაც: ან სუფიქსი ამ სატომო სახელში ჩნდება არა უადრეს მეხუთე საუკუნისა, ძვ. წ. ამჟამად ამის გადაჭრით თქმა, ცხადია, არ შეიძლება.

ჩვენთვის საინტერესო სატომო სახელის ფუძის, ზემოთ, დოკუმენტურად, დამოწმებული თუ კანონზომიერად აღდგენილი, ვარიანტები — ტიბარ, ტაბერ, ტაბარ, ტიბერ, ჰიბერ, იბერ და ამ სახელწოდებათა მატარებელი ტომების გავრცელების არე, განსაკუთრებით მცირე აზიის შინაგანი ოლქები, აუცილებლობით და სავსებით დამარწმუნებლად უკავშირდება, ერთი მხრით, „დაბადების“ თუბალ-სა და თობელ-ს, მეორე მხრით, ასურული წარწერების ტაბალ-ს (როგორც ჩვეულებრივად სწერენ), ანუ თაბალ-ს. „დაბადების“ ფაქტები, უკვე დიდი ხანია, რაც სპეციალურ განმარტების საგნად იქცა. ჯერ კიდევ ცნობილი სწავლული ებრაელი, იოსებ ფლაბიოსი (I ს., ახ. წ.), ამტკიცებდა რომ იაფეტის შვილის თუბალ-თობელ-ის შთამომავალი მის დროს იბერებად იწოდებოდნენ². არ ჩანს, ფლაბიოსი ამ მოსაზრებას მარტო სახელთა მსგავსებაზე ამყარებდა, თუ მას სხვა მასალაც რამე ჰქონდა. შემდეგში, ფლაბიოსს ხშირად იმეორებდნენ ძველი მწერლები, განსაკუთრებით, ბიბლიურ გენეალოგიათა განმმარტებელნი. მაგრამ ახალმა მეცნიერებამაც ეს დებულება თითქმის უყოყმანოდ მიიღო. წარსული საუკუნის სახელგანთქმული ორიენტალისტი, ვივიან დე სენ-მარტენი, მაგ., პირდაპირ ამბობს, რომ „დაბადების“ „თუბალს ან თუბელს ბერძნები უწოდებდნენ ტიბარენებად ანუ ტიბარებად“, და როგორც პირველს, ისე მეორეს უკავშირებს იბერ-ს, იბერიას, იმერ-იმერეთსა და ქართველთა ერთ-ერთ ეთნარქს, „ქართლის ცხოვრებით“, — უფლოსს. შავი ზღვის „ტიბარენი“ მას ლაზების

¹ SC, I, 270.

² Flavii Josephi opera, I, P. 1845, თ. VI, გვ. 14; И. К у п ш и д з е, Грам. зингр. яз., XIII.

ძველ, კრებითი მნიშვნელობის, სახელად მიაჩნია¹. ცნობილი კიპერტიც უეჭვოდ აკავშირებს „დაბადების“ თუბალს ტიბარების (ტიბარენების) ქვეყანასთან². უეჭველად მიაჩნიათ ეს კავშირი აკად. ნ. მარს, პროფ. ივ. ჯავახიშვილს, პროფ. ი. ყიფშიძეს და სხვებს, როგორც ეს ქვემოთაც იქნება ნაჩვენები. განსაკუთრებით განმტკიცდა და გამდიდრდა ეს შეხედულება ასურული ლურსმული წარწერების ამოკითხვის შემდეგ. ამ ძეგლებში იპოვეს ვრცელი ცნობები ხალხის „ტაბალ“-ის შესახებ. ჩვენ აქ ამ ცნობებს აღარ მოვიტანთ, — მკითხველი მათ იპოვის პროფ. ივ. ჯავახიშვილთან³. აქ მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ: ასურული ცნობებით ტაბალები 24 „სამეფოდ“ იყოფოდნენ; ამ „მეფეებთან“ მოყვრობას დიდი ასურეთის მბრძანებელნიც არ თაკილობენ; ტაბალების მეურნეობა მაღალ დონეზე დგას — კერძოდ, ძალიან აქებენ ასურელები ტაბალურ ცხენებს; განვითარებული აქვთ ტაბალებს აგრეთვე, როგორც ჩანს, მეტალურგია; მათი მთავორიანი ქვეყანა, გელცერის განმარტებით, რომელიც ასურული ცნობების ანალიზზეა დამყარებული, მერმინდელს დიდ კაბადუკიაზე (შინაგანი მცირე აზია) მოდის. თავისთავად ცხადია რომ ტაბალების ქვეყანა ასე ისაზღვრება ასურული ცნობების ხანისათვის (პირველი ათასეულის პირველი საუკუნეები). როგორია ტაბალების გავრცელება უფრო ადრინდელ ხანაში, ეს ჯერ კიდევ საძიებელია.

ასურული წარწერების „ტაბალი“ მრავალმა მეცნიერმა (პროფ. ივ. ჯავახიშვილი, აკად. ნ. მარი, პროფ. ი. ყიფშიძე და სხვ.) დაუკავშირა ტიბარენს და იბერს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთს დებულებას სრული საფუძველი აქვს, და მის სასარგებლოდ, გარდა ზემოთმოტანილი ახალი მასალისა, გვინდა კიდევ ერთი საბუთი წარმოვადგინოთ.

ცნობილმა თანამედროვე ევროპელმა ორიენტალისტმა და ხეთოლოგმა, ე. ფორერმა, გამოსთქვა მოსაზრება რომ ასურული წარწერების „ტაბალი“ არის საერთო სახელწოდება ყველა იმ ზემოხსენებული 24 სამეფოსი, რომელნიც, ფორერის ლოკალიზაციით,

¹ V. de S.-Martin, Recherches sur les populations du Caucase, ქართ. თარგმანი, ალ. ჭყონია, ისტორიული ნარკვევი, ტფ. 1890, გვ. 98 შემდ.

² H. Kiepert, Manuel de Géographie ancienne, P. 1887, p. 59. — თუბალ-ტიბარ-იბერის კავშირის შესახებ ვრცელი მსჯელობა და სათანადო ლიტერატურის განხილვა იხ. პ. უსლართან, Древнейшие сказания о Кавказе, T. 1881 г., 293—312.

³ ქართ. ერის ისტორია, I², 36 შემდ.

ტავრის მთების ჩრდილოეთით მდებარეობდნენ, და რომ ხეთური ჰიეროგლიფური (ხატოვანი) დამწერლობა სწორედ ამ ტაბალებს ეკუთვნის. როგორც ცნობილია, ხეთური კულტურული საბუთი, დამწერლობის მხრივ, ორ დიდ წრედ იყოფა: ერთი ხმარობს ლურსმულ მარცვლოვან დამწერლობას, მეორე-კი — ჰიეროგლიფებს. ეს ხატოვანი დამწერლობა, მაშასადამე, ფორერის აზრით, ტაბალების დამწერლობაა. ასეთივე აზრი გამოსთქვა პაულე ინგოროყვამ თავის სპეციალურ მოხსენებაში, რომელიც წაქითხული იყო საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში 1931 წ. პ. ინგოროყვამ მაშინ ამ დამწერლობის ქართული წაქითხვის ცდაც წარმოადგინა, მეფე თარხუდიმეს ცნობილი ბეჭდის წარწერის ამოშიფრვის მაგალითზე. დებულება იმის შესახებ, რომ ხეთური ჰიეროგლიფური ძეგლები ტაბალებს უნდა ეკუთვნოდეს, სრულ ლოგიკურ თანხმობაში იმყოფება ყოველივე ინასთან, რაც ზემოთ იყო ნათქვამი.

მაგრამ ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესოა ფორერის ერთი დაკვირვება და მოსაზრება. ფორერმა მიუთითა რომ ტაბალებს ხატოვან წარწერებში, კარხემიშიდან, მთელი მათი ქვეყანა აღნიშნულია იდეოგრაფიით, რომელიც იხსნება, როგორც „წყალი“. მთლიანად ქვეყნის სახელი უნდა ამოშიფრულ იქნას, როგორც „წყლის ქვეყანა“, ხოლო ამ ქვეყნის ხალხის სახელწოდება როგორც „წყლის, ანუ ზღვის, ქვეყნის ხალხი“. იქვე მოცემულია იდეოგრაფიანი კომპოზიტი, რომელიც აგრეთვე იხსნება როგორც „ზღვის ქვეყნის ხალხი“. ამოდის რა იმ მოსაზრებიდან, რომ ასურული წარწერები არ იცნობენ ასეთს ეთნიკურ ტერმინს, თუმცა ისინი სირიულ სანაპიროსა და ზოგჯერ ამ ქვეყნის შინაგან რაიონებსაც „ზღვის ქვეყანას“ ეძახიან, ფორერი, კარხემიშის წარწერის ფაქტების ასახსნელად, იგონებს ცნობილს ძველს სატონო სახელწოდებას „პელასგ“-ი. ფორერის აზრით, ეთნიკური ტერმინი „პელასგ“ ბერძნული ეტიმოლოგიის სახელია სიტყვიდან „პელაგ“-ის, რაც ბერძნულად „ზღვას“ ნიშნავს. პელასგებიც (უძველესი ფორმით — „პელაგ-სკოი“) ამიტომ სწორედ „ზღვის ხალხ“-ად უნდა ითარგმნოსო. ამრიგად, ჰიეროგლიფური წარწერების „ზღვის ხალხი“ პელასგები იყვნენო, დაასკვნის ფორერი. თავისი ჰიპოთეზის ისტორიული დასაბუთებისათვის ფორერს მოჰყავს ორი ძველი ბერძნული გარდმოცემა: 1) მეორე ათასწლეულის დამლევეს, ქრ. წ., ზღვაზე ბატონობენ პელასგები; 2) პელასგების დამწერლობა განირჩეოდა ეთნიკურისაგან, და უძველესი პოეტები, ლინე, ორფეოსი

და პრონაჰიდე, ჰომეროსის მასწავლებელი, სწორედ პელასგიურ დამწერლობას ხმარობდნენო¹.

ფორერის ეს განმარტება მიუღებელია: 1) ისტორიული საბუთიანობა ძალიან სუსტია, არსებითად ის ავტორს არც მოეპოვება: არც ერთი ისტორიული წყარო პელასგებს ხატოვანი დამწერლობის არეში არ უჭევენებს, ხოლო ზღვაზე ბატონობა ჯერ კიდევ სირია-კაბადუქიაში მკვიდრობას არ მოასწავებს; 2) სუსტია ეტიმოლოგიური საბუთიც: პელასგები, როგორც ცნობილია, ინდოევროპული მოდგმისანი არ ყოფილან, და ჯერ ესაა დასამტკიცებელი რომ მათ სახელს მართლაც ბერძნული ეტიმოლოგია ჰქონდა.

გაცილებით უფრო ბუნებრივი იქნებოდა ამ საიდუმლოს გასაღების სხვა გზით ძიება: რაკი, ფორერისავე მიხედვით, ხატოვანი დამწერლობა იმ ხალხს ეკუთვნის, რომელსაც ასურელები „ტაბალს“ ეძახიან, რაკი ამ სახელის ახსნა სემიტურ ნიადაგზე შეუძლებელია, მარტივი ლოგია მოითხოვს ტაბალების ხატოვან დამწერლობაში მოცემული თვითსახელწოდება (თავისთავის აღნიშვნის ტერმინი) და ეთნიკური სახელწოდება ერთმანეთს დაუკავშირდეს, ე. ი. იდეოგრამა „წყლის, თუ ზღვის, ხალხი“ „ტაბალის“ საშუალებით აიხსნას, ხოლო „ტაბალი“ გაგებულ იქნას როგორც „ზღვის, წყლის, ხალხი“.

მსჯელობის განვითარების ამ პუნქტში სრულიად ბუნებრივია ის ახსნა, ჩვენ რომ მუშაობის პროცესში გვიკარნახა პროფ. აკ. შანიძემ, რომელსაც ჩვენს მოსაზრებებს ვუზიარებდით: „ტაბალი“ იშლება ქართ. სიტყვა „ტაბა“-დ; რაც ნიშნავს „ზღვას“ (ძველად), „ტბას“, მაშასადამე, საერთოდ „წყლის დიდ საცავსა“ და „წყალს“, და ქართველურსავე სუფიქს -აღ-აღ.

მართლაც, უეჭველია რომ ქართ. „ტბა“-ს ადრინდელი ფორმა „ტაბა“-ა. ამას მოწმობს ამ ფუძის შესატყვისები სხვა ქართველურ ენებში (იხ. ქვემოთ). ეს ფორმა შენახულია დღემდე საქართველოს ტოპონიმიკაშიც:

„ტაბა-ხმელა“, სამს სხვადასხვა ადგილას, ნიშნავს „აჰომშ-რალ ტბა“-ს; „ტაბაწყური“ ანუ „ტაბისყური“² ეწოდება დიდ ტბას თრიალეთში, და ამ სახელწოდების პირველ ნახევარში ჩვენ იმავე სიტყვას ვპოულობთ; „ტაბაყურა“ ეწოდება ერთ ტბას დასავლ. საქართველოში და სხვ.

¹ Die hethitische Bilderschrift, 57—58.

² ვახუშტი, გეოგ., მ. ჯანაშვილის გამოც., გვ. 55, ამ ტბას „ტბის-ყურს“ ეძახის.

-ალ-იც, თავისი დიალექტური ვარიანტით, -არ-ით (-ელ-იც, უეპველია, ამ ჯგუფს ეკუთვნის) კარგად ცნობილი სიტყვათმაწარმოებელი ქართველური სუფიქსია, რომელიც, კერძოდ, წარმოშობას, წარმომავლობასაც, აღნიშნავს; შეადრ. მალ-ალ-ი, დაბ-ალ-ი, მ-არგ-ალ-ი (მეგრელი), ოპიზ-არ-ი (ოპიზელი), ოდიშ-არ-ი (ოდიშელი), სომხით-არ-ი (სომხითელი), სამშვილდ-არ-ი (სამშვილდელი) და სხვ.¹ ამრიგად, სწორედ ქართველური ენების მასალაზე ტაბალი შეიძლება აბსნილ იქნას, როგორც ტაბელი, ტბელი, ე. ი. ტბის ანუ ზღვის, მაშასადამე, საერთოდ, წყლის კაცო, ხალხი. კარხემის იდეოგრამა ქართულად იხსნება.

უნდა ითქვას, რომ მოცემულ ეთნიკურ ტერმინის ფუძეში სიტყვა „ტბის“ ძირს სხვა მკვლევარნიც ეძებდნენ. მ. ჯანაშვილი, მაგ., სწერდა:

„ტბეთი — ტბიანი ადგილი. ტობა — ტაბა — ტბა და აქედან სახელები ტბათა და სოფელთა... ამავე სახელს ჩვენ ვუკავშირებთ მეშხებების (მესხების) მეზობლად მცხოვრებ ერის ტუბალების (თობელების) სახელს. ტბეთის ეპისკოპოსებს ერქვათ ტბელი, ტბეარი, ძეულის გამოთქმით იქნებოდა ტობელი — ტაბალი და ეს კი უახლოედება ლურსმულ წარწერების ტაბალს — ბიბლიის თობელს (ტუბალს)“² და სხვ. მ. ჯანაშვილის მსჯელობა, რათქმუნდა, ზუსტი არ არის, მაგრამ საერთო მოსაზრება საყურადღებოა.

ასევე აკად. ნ. მარს სახელწოდებანი „შუშერი“, „იბერი“ და მათი მთელი მრავალსახეობა, ტუბელი და სხვა შესაძლებლად ნიანხნდა „წყლის“ მნიშვნელობამდე დაეყვანა. მაგრამ მარს თავისი აზრი მეტად ბუნდოვანი ფორმითა აქვს განოთქმული და ფუძის სემანტიკურ მნიშვნელობათა წრე შეუწყნარებელ ფარგლებადე აქვს გაფართოებული³.

¹ А. Ш а н а д з е, Два чано-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках, СВРАО, т. XXIII (1916).

² ვახუშტი, გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის გამოც., ტფ. 1934 წ., გვ. 412.

³ «Но вместе со спиритными *ti-ba-ti* и *ti-ba-d* сохранили свое существование разновидности сибирянского типа *subar || su-ber*, именно, *tu-bar || tu-bel*, откуда рядом с нарицательным значением 'вода' из 'неба + вода', так в м. *to-ba* 'озеро'. ч. *ti-ba*, а в связи с его космическим значением 'неба' и астрально 'солнца' или 'луны', — племенные названия с сохранением исходного плавного (*l || r*) — *ŋi-bal* (*ŋo-bel*), *ti+bar-ŋi*, все разновидности *šumer'a* или *iber'a*, а затем по связи микрокосма с частями космоса 'глаз-светило', так, напр. г. *ŋo-wal* 'глаз' и г. *ŋo-war-e* 'луна', 'месяц',

მართლაც, ეთნიკური სახელების ამგვარი წარმოშობა შეუძლებელი სრულებით არ არის. სხვა არა იყოს რა, საქართველო და კავკასია ამის მრავალ მაგალითს იძლევა. გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული წარმოშობისაა ისეთი ქართული სატომო სახელები, როგორცაა „მთიული“ — მთისაგან, „მობევე“ — ხევისაგან, იქნებ „ხევსური“ — აგრეთვე ხევისაგან, „იმერელი“ და სხვ. დალისტინის უძლიერესი ტომი, ავარიელები, თავის თავს „მაყარულაუ“-ს ეძახის, რაც ნამდვილად „მთიელს“ ნიშნავს. ამგვარი მაგალითების გამრავლება შეიძლება. მაგრამ ისეთი შემთხვევებიც არანაკლებია, როცა ხალხი შეცთომით ხსნის თავის სახელს, გეოგრაფიული თუ სხვა მნიშვნელობის, ფუძის საშუალებით. აფხაზები, მაგ., დარწმუნებული არიან, რომ „აფს-უა“ — აფხაზი და „აფს-ნე“ — აფხაზეთი დაკავშირებულია სიტყვა აფსე-სთან (სული), რომ აფსნე, ამრიგად, „სულის ქვეყანას“ ნიშნავს. მაგრამ ეს შეცთომაა, სათანადო ფუძეების შემთხვევითი გარეგნული მსგავსების ნიადაგზე აღმოცენებული, როგორც ეს სხვაგან იქნება ჩვენ მიერ ნაჩვენები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთსავე გარეგნულ მსგავსებასთან გაქვეს საქმე ტაბალის შემთხვევაშიაც. კარხემიშის იდეოგრამაში წარმოდგენილი ვაგება უფრო ხალხური ეტიმოლოგიაა, ვიდრე ნამდვილი.

საქმე ისაა, რომ მოცემული სატომო სახელის ფუძის თავიკიდური ბგერა, რიგი ცნობების მიხედვით, არის ფშვინიერი წანანისმიერი თ, და არა მკვეთრი ტ, როგორც ეს წარმოდგენილია „ტბა“-ში. ასეა ეს „დაბადების“ თუბალ-თობელში, საიდანაც იგი ბერძნულმაც შეითვისა „თეტას“ ფორმით, და სხვა ენებმაც, რომელთაც ეს გრაფიკული შესაძლებლობა ჰქონდათ, სათანადო ასოთი გამოხატეს, მაგ. ქართულმა „თან“-ით¹. ასევეა ასურულშიაც. ასურულს ლურსმულ ტექსტებში, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთ მათგანში, რომელზედაც მკვლევარს ტფილისში ხელი მიუწვდებდა,

по увязыванию 'металлов' с 'исбом' в s-pil и 'a+par', что в составе скрепленных слов грузинского s+pil-en+d 'медь' и арм. a+par-an-dan 'срастет (срощивание)', 'сроща' и т. п.), ЯС, VII, 208. — ეს ამონაწერი გადმომცა არ. ჩიკობავამ. რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებ.

¹ იხ. W. Gesenius, Handwörterbuch über das Alte Testament, bearbeitet von D-r F. Buhl, s. v., S. 865. აქ, სხვათა შორის, აგრეთვე აღიარებულია კავშირი ებრ. თუბალ-სა, ასურ. ტაბალსა და ბერძნ. ტიბარენს შორის, ცნობა გეზენიუსიდან, ჩვენი თხზვით, მოგვაწოდა გ. წერეთელმა, რისთვისაც, ისევე როგორც ქვემოთმოტანილი ასურული ლურსმული ტექსტებიდან სათანადო ცნობის ამოღებისათვის, მადლობას მოვახსენებთ.

იკითხება „თა-ბა-ლი“¹. ხალხური ახსნისათვის მოცემული ფუძეების ეს ფონეტიკური სხვაობა დიდ დაბრკოლებას არ შეადგენდა, რეალური ეტიმოლოგიის ძიებისას-კი მას სრული ანგარიში უნდა გაეწიოს. ჩვენ მიერ წარმოდგენილი განმარტება კარბემიშის წარწერის იდეოგრამისათვის, რომელიც, ცხადია, სწორედ ხალხური ახსნის ნაყოფია და არა ლინგვისტური ანალიზისა, ამიტომ მთლიანად ძალაში რჩება.

ასურული წარწერების „თაბალი“ და დაბადების „თუბალ“- „თობელ“ რომ რეალურად ერთსადაიმევე ხალხს გულისხმობს, ეს ჩანს სათანადო გეოგრაფიული წარმოდგენებიდან ამ ხალხის ადგილსამყოფელის შესახებ: თუ ასურელები ათვის თაბალების ტერიტორია ჩრდილო-დასავლეთისაკენ მოდიოდა, ებრაელი ავტორების მიერ თუბალ-თობელთა მიწა-წყალი უკვე ჩრდილოეთითაა ნაგულისხმევი, სმელთაშუა ზღვის მონაპირე ხალხთა მესობლად. ეს ცხადი ხდება სათანადო ბიბლიური ადგილების განაილვიდან, რაც, გარდა ამისა, ააშკარავებს თაბალების სატომო სახელის ახალს დიალექტურ ფორმებს და უაღრესად საყურადღებო ნიშნებს სათანადო ტომთა კულტურული ვითარების შესახებ.

როგორც ცნობილია, ჩვენთვის საინტერესო სატომო სახელი „დაბადებაში“ ჩვენ გვხვდება, უწინარეს ყოვლისა, გენეალოგიურ სიებში. „შესაქმეთა“ წიგნის IV თავში, ადამის მეექვსე შთამომავალს ლამებს ერთი ცოლისაგან ჰყავს შვილები დაბალ და აუბალ, ხოლო მეორე ცოლისაგან ჰყავს ვაჟი თუბალ-კაინი (იგივე თობელი) და ასული ნოეა². ხოლო იმავე წიგნის მეათე თავში წარმოდგენილია უკვე განსხვავებული გენეალოგიური შტო: თუბალი უკვე ლამების უმუშალო შთამომავალი კი არ არის, არამედ მისი შვილის შვილის იაფეტისა. თობელის ძმებადაც აქ მოხსენებული არ არიან დაბალი და აუბალი, არამედ სხვები (მათ შორის იავან და მესები).

მეცნიერებაში უქველად არის მიჩნეული რომ ადამის შთამომავლობის ამ სიებში „შესაქმეთა“ წიგნის შემდგენელნი ცდილობდნენ, განპიროვნებული სახით, წარმოედგინათ ის ხალხები, რომელნიც ცნობილი იყვნენ ძველი ებრაელებისათვის. მეცნიერთ

¹ Une relation de la huitième campagne de Sargon (714 av. J. C.). Texte assyrien inédit, publié et traduit par François Thureau-Dangin, Paris, 1912, p.p. 54—55, 78—79.

² ჩვენ, სამწუხაროდ, დღემდე არ მოგვეპოვება ქართული „დაბადების“ ოდნავ ხეირიანი გამოცემა, ამიტომ იძულებული ვართ სხვა თარგმანებს მივმართოთ ამ ჩვენთვის საყურადღებო სახელების მართლწერის დაცვისას.

არა ერთგვის უცდიათ აგრეთვე ამ ეთნარქების ვინაობის ამოხსნა. ამ ზეცნიერთა უმრავლესობა ფიქრობს რომ კერძოდ „თუბალი“ ტიბარნების წინაპარია. ჰოლციინგერის მტკიცებით. სახელები „ლანცხ“, „აბაღალ“, „აუბალ“ ებრაულში სხვაგან არსად გვხვდება და რომ, კერძოდ, „ლამეხის“ ებრაულად ასხნა შეუძლებელია. გუნკელმა აბაღალ, აუბალ და თუბალ-კაინი მონათესავე სახელებად მიიჩნია და უძველეს სახედ თუბალი გამოაცხადა¹.

საკითხის ერთი უკანასკნელ მკვლევართაგანი, E. Dhorme, რომელმაც იაფეტის შთამომავლობას („შესაქმეთა“, X) სპეციალური გამოკვლევა უძღვნა², ცდილობს ამ მრავალრიცხოვან იაფეტთან იშვებს (გომერ, მაგოჯ, მადაჟ, ავან, თუბალ, მეშექ, თირას) თვითეულს თავისი ისტორიული და ეთნოლოგიური ადგილი მიუჩინოს, კერძოდ, ბიბლიური ცნობების ლურსნული მწერლობის ჩვენებათა საშუალებით ვანმარტეპის ნიადაგზე. აი, ავტორის ზოგიერთი მოსაზრება.

გომერ, ნამდვილად უნდა იკითხებოდეს „გიმირ“ (სებტანტ. „გამერ“, სირ. „გომორ“, ვულგ. „გომერ“ მიუთითებენ რომ ხმოვანთა გამოთქმა არ იყო ერთგვარი), უდრის ლურსნულის „გიმირი“, რაც შემდეგში ბერინებმა „კიმერიელის“ სახით გადმოსცეს (დასახ. ნაშრ.. 29—30).

მადაჟ, ასურ. მადან, მიდიელებს აღნიშნავს. ზოგიერთი მკვლევარის, მაგ., ჰროზნის, ცდას, დაინახონ მადა-ში მიტა, მიტანი, დორმი სახიფათო ეტიმოლოგიების კატეგორიას მიაკუთვნებს (იქვე, 32—35).

იავან იონია. დორმი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას რომ ზოგან სებტ-ს ეს სიტყვა შეცვლილი აქვს „ელადითა“ და „ელინით“. ტრადიცია სცნობდა რომ ებრ. ტექსტის თანხმობენები ავან შეესატყვისება ბერძნ. იონ-სო (იქვე, 35—36). საყურადღებო პარალელია ი. ფლაბიოსის მიერ დაცული ტრადიციისათვის — თუბალ → იბერ!

თუბალ სებტანტა: მიჰელ, მახელ, ზოგჯერ — მიჰერ (sic! ს. ჯ.); ვულგ.: Thubal, რაც მისდევს ებრაულს. ნარამ-სინის ხანაში გვხვდება მთა ტიბა-არ. ტიბარ შესატყვისია სეთური ტექსტების ტიპალ-ის და ასურული ტექსტების ტაბალ-ისა. ბიბლიის „ტუბალ“

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., 30—31.

² Les peuples issus de Japhet d'après le chapitre X de Genèse „Syria“, t. XIII, P. 1932, Premier fascicule. p.p. 28—49.

უნდა გაიგივებულ იქნას იმ ქვეყნებთან, რომელნიც იწოდებიან ტიბარ, ტიპალ, ტაბალ. შემდეგ ავტორი, ასურული ცნობების ანალიზით, მიდის, ტაბალის ტერიტორიის შესახებ, იმავე დასკვნამდე, რომელიც ზემოთ იყო გადმოცემული. დორმს უეჭველად მიაჩნია ტაბალისა და ტიბარენის კავშირი, მიიღო პირველს, ჩანს, ქვეყნის სახელად სთელის, მეორეს-კი — ტომისად. ტიბარენების ეთნიკური ვინაობის შესახებ მას სათქმელი არაფერი აქვს (იქვე, 37—39, 49).

ასევე უეჭველად მიაჩნია დორმს ბიბლ. მეშენის კავშირი ასურ. მუსკუ II მუშკუ-სა და ბერძნ. მოსხებთან. შემდეგში მოსხები ტიბარენების აღმოსავლელი მეზობლები იყვნენ და მათ ეჭირათ არმენიის ჩრდილო-დასავლეთი, პონტოს აღმოსავლეთ საზღვრამდე, და, ჩრდილოეთით, კოლხეთამდეო (იქვე, 39—40, 49). შემდეგ საყურადღებოა რომ თ ი რ ა ს, ჰეროგლიფური ცნობების საწვალებით, დორმს შეაძლებლად მიაჩნია დაუახლოოს ტირსენებს ანუ ტირენებს, ე. ი. ეტრუსკებს (იქვე, 40—41, 49).

დასასრულ აღენიშნავთ რომ დორმით, აშკენაზი საკასკეთს უკავშირდება (41—42), ხოლო თოგარმა (ასურ. „ტილგარიმშუ“, ბოლზ-ქოის ტექსტების „ტეგარამა“, „ტაგარამა“, „ტაკარამა“) საძიებელია კარსემიზისა და ხარრანის მეზობლად, კარსემიზ-ხარრანის დიდი გზის ჩრდილოეთით, იგი უაღლოვდებოდა მელიდისა და ტაბალის ქვეყნებს, და ისტორიულადაც უკანასკნელთან იყო დაკავშირებული (იქვე, 42—44). ავტორის საერთო დასკვნით, იაფეტის სახელს ქვეშ ბიბლაა აერთიანებს ყველა იმ ხალხს, რომელნიც ესაზღვრებოდნენ ფინიკიურ სანაპიროს და რომელთაც ეჭირათ სირიის ჩრდილოეთის სანაპიერი და მესოპოტამიის აღმოსავლეთი, და რომელნიც ამავე დროს განსხვავდებოდნენ სემიტური ტიპისაგან ფიზიკური გარეგნობით, ენითა და ზნე-ჩვეულებით (იქვე, 49). ეს დასკვნა საერთოდ სამართლიანია, რათქმუნდა. ბიბლიის ავტორებს ჩვენ ვერ მოვსთხოვთ ზუსტ ენათმეცნიერულს, ეთნოლოგიურსა და სხვ. განზოგადებას. მიუხედავად ამისა, „დაბადების“ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. ცალკე, ერთმანეთთან განსაკუთრებით ახლო მდგომ, ტომთა ნათესაობის შესახებ ბიბლიის ავტორებს ცნობები უთუოდ ჰქონდათ.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ბიბლიის ორი სხვადასხვაგვარი ცნობის შეთანხმება ძნელი არ უნდა იყოს. ის გარემოება რომ ერთ შემთხვევაში თუბალი მარტოა დასახელებული, ხოლო მეორე შემთხვევაში მას ძმებიც ჰყავს — აბალი და აუბალი,

მოწმობს, ჩვენი აზრით, იმ გარემოებას, რომ პირველად ხალხი მთლიანი სახითაა წარმოდგენილი, მეორედ-კი — თავისი მთავარი ტომების სახით. ადვილად იხსნება თუბალის ორმაგი საბელიც — თუბალ-კაინი და თობელი: „კაინ“ ო „კენი“ აქ ეპითეტია, რომელიც, სათანადო სემიტური ძარის საშუალებით, „მკედელს“ აღნიშნავს¹.

თუბალი ხომ უპირატესად მკედელი და მეტალურგია. შესაძლებელია ისიც (მარი, ჯავახიშვილი) რომ აქ გვეკონდეს სათანადო სატონო სახელის გააზრიანებაც („კაენებს“, როგორც ენახეთ, იხაენიებს პლინიუსი, და შემდეგში ცნობილნი არიან ქანნიოკაენიტნიც).

მეოთხე თავის ცნობაში საყურადღებოა ფუძის ახალი ფორმები, რომლებიც ჩვენ წინათ არ შეგვხვედრია — თავკიდური თ ო ტ-ს ნაცვლად ჰ. ეს, უეკველია, ახალი საფეხურია ან სასელის განვითარებაში. ამ ცნობით მოცემული შესატყვისობანი: თ ო ტ → შ ო ჰ → 0 საფუძველს აძლევენ ივ. ჯავახიშვილსა და ი. ყიფშიძეს თუბალ-თაბალი და იბერი, შუალედი რგოლებით, ერთმანეთს დაუკავშირონ². პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამასთანავე გაჰოსთქვამს მოსაზრებას რომ ტაბალ — ქართების გამოთქმია, ტუბალ-ტობალ — მეგრულ-ქანური, ხოლო ტიბარ სვანურ გამოთქმას უახლოვდებოდ (იქვე).

საკმარისია მოვიგონოთ ასურული ცნობა ტაბალებას 24 საზეფოს არსებობის შესახებ, რომ პარალელური ფორმების ასეთი სიმდიდრე სავესებით ბუნებრივად მივიჩნით და სხვა დაკარგული ფორმებიც ვივარაუდოთ.

თაბალ, თუბალ, ტაბარ-ტიბარ-ის ურთიერთობისათვის საინტერესოა გავითვალისწინოთ სწორედ იმ სიტყვის ისტორია ქართულურ ენებში, რომლის საშუალებითაც, ჩვენი აზრით, კარსენიშის წარწერა ხსნის „თაბალი“-ს მნიშვნელობას.

ახალ-ქართული „ტბა“ მოდის ძველი ქართული „ტაბა“-დან (შეადრ. თაბალი ო ტაბარი!); მეგრულში მას შეესატყვისება „ტობა“ (თობელ-თუბალი!); სვანურში, ფორმა ტომბ-ის (ტბა!) გარდა, გვხვდება ტვიბ (ტუბ), ტვიბრა (ტუბრა) = მდინარე, ღელე, რაც,

¹ R. Eisler, Das Qainszeichen und die Qeniter, „Le Monde Oriental“, 1929, vol. XXIII, fasc. 1—3.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ. I, 23—24; ი. ყიფშიძე, მეგრ. გრამ., XIII—XIV; თავკიდური წინაენისნიერის დაკარგვისათვის ვ. თოჟურიაშვილი წერს ურადღება მიჰქცია ქართ. ტყეშალისა და მეგრ. ყომურის შესატყვისობაზე.

უქველია, ამავე ძირისაა, რომელსაც აქ თავისი უძველესი მნიშვნელობათაგანი, „წყალი“, აქვს დაცული, როგორც კარხეშიშის იდეო-გრამაშია წარმოდგენილი¹, შეადრ. ჟუბალ! ქანურში-კი, ტუბა-ს გვერდით და იმავე მნიშვნელობით, გვაქვს „ტიბა“²; შეადრ. ტიბარ, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა. ყველაფერი გვეჩვენებს რომ ამ გადასვლებისათვის ქართველურ ენებში კანონზომიერი საფუძველი არსებობდა.

დაასრულ, მოვიგონოთ, როგორ აბასიათებს ამ ქართველურს მოძმე ტომებს „შესაქმეთა წიგნი“-ს ავტორი. თობელის ანუ თუბალ-კინის შესახებ აქ ნათქვამია: „ესე იყო ქვერიბი სურთა, მკედელი რვალისა და რკინისა“ (IV, 22). თუ ამას დავუკავშირებთ, თანამედროვე არქეოლოგიის მიერ დადგენილ ფაქტს რომ ბრინჯაოს შექანისწინავე კულტურა, რომელსაც წინათ ყობანის კულტურას ეძახდნენ, ნამდვილად კოლხეთის კულტურაა, რომ ამ კულტურის აყვავების ხანა სწორედ თუბალ-თუბალის ეპოქაზე მოდის, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურა, უახლესი აღმოჩენებით, ვრცელდება შორს სამხრეთით ნეირე აზიისაკენ (გგულისხმობთ ართვინისა და ორდუს განებებს), მაშინ ბუნებრივად შეიძლება დავსვათ საკითხი: ხომ არ არის კოლხური ბრინჯაოს კულტურა ნამდვილად თუბალების ანუ იმავე თუბალ-კანების კულტურა?

მაბალის შესახებ ნათქვამია: „ესე იყო მამა მკვადრთა კარვებისათა, საცხოვარისა მზრდელთა“ (IV, 20). აქ ქართული მესაქონლეობის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობაა მოცემული, რომელიც სპეციალურად უნდა იყოს შესწავლილი.

განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა ჟუბალის შესახებ. აქ, სახელდობრ, ნათქვამია: ჟუბალ „იყო გამოჩაჩინებულ საფსალმუნისა და ებნისა“ („онъ отецъ всехъ израильтинскихъ на гуслахъ и свирилахъ“, IV, 21). უძველეს სამყაროს თვალში, განათლებულ ებრაელთა მოწმობით, ქართველ ტომთა ხელოვნება, კერძოდ, მუსიკა, უმაღლეს საფეხურზე იყო ასული. თუ მოვიგონებთ მკველ ბერძნულ გარდმოცემას, რომ ყველაზე ადრინდელი ბერძენი მწერლები, მათ შორის, ჰომეროსის მასწავლებელი, პელასგიური, ე. ი. იმავე წინააზიური, დაჭერლობით სარგებლობდნენ, ჩვენთვის ცხადი გახდება ამ კულტურის საკაცობრიო მნიშვნელობა და ისიც, თუ რამდენად

¹ სკან. ტვიბრა სრული სემანტიკური შესატყვისობაა ქართ. ხევისა, სადაც აგრეთვე სიტყვა „წყალი“ — ხე მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი

² ნ. მარი, კან. გრამატიკა, ლექსიკონი.

დავალებულია ბერძნულ-რომაული სამყარო წინა აზიის უძველესი ხალხებისაგან.

ამ ხალხების ისტორიაში, რომელთა უმუშალო მემკვიდრენი კაცკასიის იბერები არიან, თაბალ-თუბალური ხანა განვითარების წაოლოდ ერთი ეტაპათაგანია. თაბალ-თუბალური ხანის ეთნიკურ-კულტურული წინაარსის მეშვეობით, კერძოდ თვით ტერმინის თაბალ-თუბალის გზით, ჩვენ ავდივართ უფრო ადრინდელ საფეხურამდე, სუბარ-შუმერამდე, მაგრამ ამის შესახებ — სხვა დროს*.

* ჩვენ აქ არ ვეზებით მრავალ საკითხს, რომელთაც აღიარებს ჩვენს წერილში წამოყენებული მოსაზრებები, კერძოდ ბიბლიის სხვა ეთნარქების ვინაობას. უკანასკნელის საკითხის გამო გაკვირვით ვიტყვი, მხოლოდ რომ არამცირედი ინტერესი ახლავს თან აბაღის, აუბაღისა და თუბაღის მამის ლამების ვინაობას, რაც დღემდე განუმარტებელია. ხომ არ უდრის „ლაშბ“ „სომეხ“-ს, იმ ქართველ ტომს, რომელიც აზნენის უწყვეტს მოსახლეობას შეადგენდა და რომლისგანაც მნიშვნელოვანი კულტურული ფენა შესულია არმენიის მერმინდელ მკვიდრთა, ჭაიების, ენანი? წესაბუნებრივად და სხვა სრულებით არ არის შეუძლებელი ქართველურ ენებში. რთულია ამ „წინსართის“ (?) ფუნქციის საკითხი. მაგრამ რომ ფუძე აქ სწორედ „შბ“-ია, და რომ ეს ფუძე ზოგჯერ წმინდა სახითაც იხმარებოდა, ეს ჩანს მიქელ მოდრეკილის „სავალობელთა“ წიგნის მრავალგზის კომენტარებულ-ფაქტიდან, როცა დაჯინებით „სომეხი“ „შბ-ად“ იწოდება, „სომხური“-კი — „შბ-ურ“-ად, ქრწკ., 1, 112. — ანასთან დაკავშირებით, საყურადღებოა „შესაქმეთა“ წიგნის V თავის ცნობა, რომლის მიხედვითაც ლამებს კიდევ ჰყავს ერთი შვილი — ნოე. ნოე-კი, ბიბლიური ლეგენდით, ასე მკვიდროდ არის დაკავშირებული არმენიის ტერიტორიასა და, კერაოდ, არარატის მთასთან.

ТУБАЛ-ТАБАЛ, ТИБАРЕН, ИБЕР

Резюме

I. Устанавливается общекартвельская структура племенных названий: основа + суфф. -ан || -ен, что аргументируется соответствующим оформлением западногрузинских племенных названий, сохранившихся до настоящего времени или восстанавливаемых путем исторического анализа: св-ан (шху-ан, шю-ан), з-ан (первоначальное название мегрелов), ч-ан (џ-ан, собственное название лазов). Специально обсуждается история и взаимоотношение з-ан'а и чап'а: устанавливаются их варианты: ван (цап, название доабхазского населения Абхазии), ч-ен (џ-ен), ц-ен (џ-ен), ка-ен, и восстанавливается, предположительно, общая форма данного племенного названия с-ан. Исследуется вопрос о происхождении названия «лаз» и его связи с местным термином «клардж» (қларџ). Специально рассматривается вопрос о передаче картвельских звуков (з, ц-џ, ч-џ) в транскрипции различных писателей и устанавливается, в данных названиях, $\sigma = с$, $\zeta \parallel z = з$, $\tau\zeta = ч-џ$ (сан, зан, чап). Привлекаются древние греческие, римские, грузинские, армянские, русские, итальянские и пр. источники, этнографический материал, а также научная литература вопроса (Марр, Джавахшвили, Киншадзе, Чикобава).

II. Рассматривается вопрос о существе суффикса -ан || -ен, который признается собирательным суффиксом картвельских языков, носящим также вторичные значения (обладания определенным признаком, происхождения, топонимического названия), а также словообразовательную функцию (в частности, образования уменьшительных имен). Исследуются указанные значения суффикса, прилагаемого к основе или непосредственно или через посредство инфиксов -и-, -е-, -о-, -у-, -в- (-в-, в данном случае, является развитием одного из указанных гласных); -в- (|| -б-), в большинстве случаев, появляется между данными гласными инфиксами и суффиксом.

1. *-ан*, со своими вариантами, в качестве собирательного (корпоративного) форманта, указывается:

а) в окончаниях картвельских фамильных имен: *соан.*: Калд-ан, Рат-и-ан, Гел-в-ан... *груз.* Орбел-и-ан-и, Багра-т-о-в-ан-и; собирательные: Циц-и-ан-и, Отар-а-ан-и, Звиад-е-ен-и; окончания мегрельск. фамильных имен на *-иа* и на *-ва* рассматриваются, как усеченные *-иаи* и *-ваи* (Гер-иа из Гер-и-ан-и, Чхет-иа из Чхет-и-ан-и, Галд-ава из Галд-а-в-ан-и; ср. мегр. народн. Дадиа, Липартиа и литературно-историч. (ставшие официальными формами) — Даднани, Липартиани...; в этих же окончаниях имеем варианты суффикса *-ои*, *-уи* (Габа-ои-и, Хух-уи-и...).

б) в окончаниях корпоративных обозначений, *-ан* и *-ои*: макр-и-ан-и || макр-и-ои-и, свадебные дружки; хат-и-ои-и, служители «хати», святилища...

2. В качестве форманта обладания признаком:

а) мз-и-ан-и, соличный; имед-о-ан-и, обладающий надеждой; сахел-о-в-ан-и, именитый; сахарул-е-в-ан-и (др.-груз. форма), радостный;

б) вариант *-ои*, в мегрельском и чанском: булут-ои-и, облачный (чан.), гвимар-ои-и, место, покрытое папоротником (мегр.);

в) *-уи*, в мегр. и чан.: бинхеп-уи-а, виноградище.

3. В качестве форманта происхождения:

а) *-и-ан*: Джуаншер-и-ан-и, Джуаншерид;

б) *-е-ан*: Мам-е-ан-и, Мамаев, Маманд;

в) *-(о)-в-ан*: Хуасро-в-ан-и, Хосроид;

г) *-и-ои*: Шагил-и-ои-и, Шатилец (хелсур. ф.).

4. В качестве топонимического форманта:

а) *-и-ан*: Ваз-и-ан-и;

б) *-о-ан*: Цабл-о-ан-и;

в) *-о-в-ан*: Тел-о-в-ан-и;

г) *-е-в-ан*: Рат-е-в-ан-и;

д) *-у-в-ан*: Схд-у-в-ан-и;

е) *-и-ои*: Бахтр-и-ои-и;

ж) *-ои* || *-уи* (в чанск. и мегр.): Квал-ои-и.

Суффикс *-ои* порой нарастает на основу, представленную в форме множественного числа: Джик-ен-ои-и (от Джик-еп-и), ср. Джик-т-убан-и (в груз. оформлении) (ср. 2 в: бинхепуна).

Некоторые географические названия (назв. деревни) являются собой окаменелые фамильные прозвища: Оза-ан-и (от: Оза-швилеб-и), Бен-и-ан-т-кар-и...

5. В качестве словообразовательного форманта:

санатр-и-он-и (Шавтели), ср. санатр-ел-и, желанный; джер-о-а-и-и || джер-о-ан-и, должный; уменьшительные имена: качаган-а (от качаг-и), эшмак-ун-а (от: эшмак-и).

Данный суффикс указывается в некоторых соседних, находившихся в длительном культурном взаимодействии с картвельскими, языках: в армянск. фамильных окончаниях -уни (Багра-т-уни) и -нан (от-еан: Мамиконян) и в осет. суффиксе происхождения -он: касг-он — черкес (ср. др.-русс. — касог).

Предполагается, что с данным суффиксом находится в связи др.-груз. формант множ. ч. -и-, усеченный (Марр, Чикобава) от -ени (|| -ан — С. Д.). Привлекаются исторические (др.-грузинские), диалектологические, этнографические источники.

Цитируются: Марр, Кипшидзе, Чикобава, Шанидзе, Макалатиа и др.

III. Подробно рассматривается история племенного названия восточных грузин, «ибер», с основой которой научная литература вопроса связывает арм. *Վիրք*, др.-перс. *вр-к-ан*, сир-гур-э-ан, н.-перс. *гур-дж*. Указывается происхождение от той же основы, через посредство восточных форм: русск. *грузин* (первонач. «гурз-ин»), осет. *гурдз-наг*, черк. *курджы* и др. Указывается значение (древность) формы, засвидетельствованной римск. источниками — *hibet*. Доказывается происхождение от данной основы новоевроп. названий *грузин* (фр. *Géorgien*, англ. *Georgian*, нем. *Georgier*) и отвергается их греч. этимология (от *γεωργός*). Указывается возникновение этой формы из контаминированной араб.-перс. формы *джурдж* (*ḡurḡ*) через итальянское ее написание: *Georgi*-, *Giorgi*-, *Jorgi*-, что документировано показаниями источников XIII—XIV вв. Латинское чтение итальянского написания кладет начало форме «Георг» (напр., немецкой).

Привлекаются древние греческие, латинские, армянские, итальянские источники.

Цитируются Джавахишвили, Бартольд, Вахуштий, Тамарашвили...

IV. Согласно вышеустановленной общекартвельской структуре племенных названий на *-ан* восстанавливается форма иберан \parallel *liber-an*, что делает более вероятной генетическую связь кавк. иберов с южночерноморскими тибарнами, предполагаемую многими авторами (Джавахишвили, Марр, Сен-Мартен, Киперт, Услар и др.).

Делаются разыскания в области распространения и истории названия «тибарен»-ов и устанавливаются следующие его исторические и диалектологические формы: тибар, тибаран \parallel тибарен \parallel таберен \parallel табарен, тибран, что дает параллельные формы, как для суффикса *-ан* \parallel *-ен*, так и для основы: тибар \parallel табер \parallel табар и, предположительно, тибер.

Устанавливается существование третьей части того же народа, под названием табаран'ов, в I в. до нашей э., во внутренних районах Малой Азии, что рассматривается, как указание на древнейшую территорию расселения племени и подтверждение формы табар.

Привлекаются древние греко-римские и византийские источники. Цитируются Джавахишвили, Марр, Сен-Мартен, Киперт, Услар и др.

V. На основании всего привлеченного материала и восстановленных форм вновь аргументируется связь иберов-грузин, через тибар-табаров, с табал-ани, ассирийских источников, с одной стороны, и тубалами Библии, с другой. Делается попытка объяснить установленный Е. Forger'ом (*Die hethitische Bilderschrift*), — предположившим, что «табал» ассир. клинописн. надписей есть общее название для всех хеттских племен, носителей иероглифического письма, — факт передачи названий своей страны и родного народа, в хеттских иероглифических («табальских») надписях (из Кархемши) посредством идеограммы «воды», «моря» («страна воды, моря», «люди страны воды, моря», «люди воды, моря»). Название, переданное через идеограмму, фонетически звучало, как «табал» (что осталось незамеченным для Форрера), а «табал» (по клинописи и еврейскому тексту, начальн. согласный — *t* придыхательный, а не *ṭ*), по народной этимологии, игнорировавшей различие между *t* и *ṭ*, объяснялся именно, как «человек воды, моря» при помощи картвельского языкового материала: груз. «таба» (древняя форма для современ-

«тба») (озеро, море); мегр. «тоба» — озеро, глубокая вода; чанск. «тоба» || «тиба» — озеро; сванск. «томб» — озеро, «тюрб», «тюрбра» — ущелье, речка; суфр. -ал, вариант -ар, -ел'а — формант происхождения; таба-ал || тоба-ал || таба-ар — человек воды, моря. Отвергается объяснение Форрера, предлагающего читать кархемшскую идеограмму, как «пеласг», с греческой этимологией последнего (от «пеллаг-ос» — море).

Наконец, комментируются библейские генеалогия и характеристики табальских племен («Бытия»: гл. IV, V, X) — Иабала, Иубала и Тубал-Кайна или Тобела, различных ветвей одного и того же народа (24 царства «табалов», по ассирийским сообщениям!). «Кайн» рассматривается, как эпитет «кузнец» (от соответств. семитич. корня), и на основании библейских сообщений о роде запятый Тубала, в свете данных современной археологии (Кобанская бронзовая культура есть, на самом деле, Колхидская — мысль, высказываемая акад. Мешаниповым и др.; находка памятников «кобанско-колхидской культуры в Артвине, Орду...), делается предположение, что, в действительности, «кобанско-колхидская культура есть культура тубалов или тубал-кайнов. Сообщение об Иубале, что он — «отец всех играющих на гуслях и свирели», соотносывается с др. греческим преданием о том, что древнейшие греческие поэты, Дий, Орфей и, учитель Гомера, Пропалид, пользовались отличным от финикийского, пеласгийским (т. е., по существу, древнепереднеазиатским, хеттским) письмом, что рассматривается как указание на высокий уровень, хеттско-табальской культуры и ее роль в формировании греческой и римской цивилизации. Указывается, что «табальская эпоха» есть лишь один из этапов развития данных племен, и что через культурное содержание табало-тубальской эпохи и при помощи самих этнических терминов *tabal* || *tibal* мы восходим к более ранним ступеням развития (к «субарам» и «шумерам»). Наконец, делается предположение, что имя этнарха, Ламеха, отца Иабала, Иубала и Тубала, соответствует грузинскому этническому термину «Сомех», первоначально — названию доармянского населения Армении, перенесенному впоследствии на «хайев»; указывается на употребление чистой основы данного названия «мех» в др.-груз. литературе в значении

«армянини», что делает вероятным формальный характер начального слога «ла», а звуковое соответствие «ла» || «со», с точки зрения сравнительной фонетики картвельских языков, допустимо (остается разъяснить функциональное значение выделяемого префикса).

Цитируются Сен-Мартен, Услар, Киперт, Марр, Кипшидзе, Джавахишвили, Сванидзе, Forger, Джавахишвили, Dhorm, Eisler.

სპანურ-ადიღურის (ჩიჩქეზული) ენობრივი მახასიათებლები

(ძარბაზის-ადიღურის პარალელური I)

(წინასწარი ცნობა)

მას შემდეგ, რაც ჩვენთვის უპეველი გახდა ჩერქეზული (ადიღური) ელემენტის არსებობა ძველ საქართველოში¹, ბუნებრივი იყო დაბადებულიყო საკითხი ქართულ-ჩერქეზული ენობრივი ურთიერთობის შესახებაც, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, შემდეგი საკითხი: ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელ არსებობას საქართველოს ნიჭა-წყალზე, რასაც აღნიშნული ტოპონიმიკური მოვლენა ადასტურებს, ხომ არ დაუტოვებია კვალი თვით ამ ენებში, რაც, თავის მხრივ, ამ ხალხების რეალური კონტაქტის ზოწმობა იქნებოდა.

ზოგი რამ ამ მხრივ ჩვენთვის გაირკვა ლიტერატურული მასალების ანალიზის გზითაც², დანარჩენი კი „იმ საკითხების წრეს მივათვალეთ, რომელთა შესწავლაც ადგილობრივ მიგვაჩნდა საჭიროდ“³.

აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ ეს „ჩერქეზული (ადიღური)“ საკითხი ჩვენთვის განმარტოებით არ მდგარა, იგი უფრო ვრცელი პრობლემის („საქართველოს უძველესი მოსახლეობა!“) ნაწილი იყო მხოლოდ, და, ქართულ-ჩერქეზული ურთიერთობის საკითხის გვერდით, ჩვენს ინტერესს იწვევდა ქართულ-ქისტური („ქისტი“ აქ სიმოკლისათვის = თუშ-ლილიე-ქისტების გვარტომობას), ქართულ-ლეკური („ლეკი“ = დაღისტინის კავკასიელ ტომთა გვარტომობას)... ურთიერთობის საკითხებიც. ამიტომ „ადგილობრივ მუშაობა“ გულისხმობდა მუშაობას კავკასიონის მთელი მთიანეთის ფარგლებში.

¹ ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში, სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის მოამბე, ტ. I, № 8, 1940, გვ. 623—628 = აქვე, გვ. 117—123.

² სათანადო დაკვირვებათა შედეგები (თამადა. ბოზო—ბოზი, ჯვარ—ჯორი, მარჯ და სხვა) გამოქვეყნებული იყო ჩვენს ორ მოხსენებაში, რომლებიც წაკითხული იყო საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომებზე, გ. შარვაშიძის გარდაცვალებიდან 10 წლისთავთან დაკავშირებით 1928 წლის XII 7-სა (ოქმი № 269) და XII 28-ს (ოქმი № 272).

³ ჩერქეზული (ადიღური) ელემენტი, გვ. 625-6.

ეს გეგმა მხოლოდ ნაწილობრივ იქნა შესრულებული, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

1929 წლის გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომით ჩვენ ვიპუშავეთ, აღნიშნული მიზნით, ქვემოადილეურზე ანუ კიახურზე (შავიზღვისპირელ და ყუბანისპირელ შაფსულებთან, ბზადულებთან, ქეგულებთან, მამხელებსა და აბაძახებთან), ადილეს ავტონ. ოლქისა და ჩერქეზთა ავტონომიური ოლქის აბაზეების (პირიქითელი აფხაზების) მეტყველებაზე, შუაადილეურზე, ანუ ბასლინაურზე, ზემოადილეურზე (ყუბანისა და დიდი ყაბარდოს ყაბარდოელების მეტყველებაზე), ქისტურზე, ხუნძურზე, დარგულზე და ლაკურზე¹. ასეთი ვრცელი არის აღება შესაძლებელი გახდა მხოლოდ სამუშაო ამოცანის ერთგვარი შეზღუდვის პირობებში (ჩვენ მაშინ საკითხს უნდაფრეხად ონომასტიკონის მასალაზე ვაკვირდებოდით).

უკვე პირველმა, საგაზაფხულო მოგზაურობამ ქვემო ჩერქეზებში (კიახებში) ბევრი რამ შეგვძინა და ბევრ საკითხს მოჰქინა

1 პირველი მივლინება მოეწყო, თბ. სახ. უნივერსიტეტისა და საქ. განსაკლმის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის სახსრებით, 1929 წ. 22 აპრილიდან ივნისის 3-მდე. აპრილის 25-დან მაისის 10-მდე, შემდეგ იმავე თვის 12—14-ს ვმუშაობდი ქ. კრასნოდარში, სადაც იმავედ თვემყოფი იყო ჩერქეზული ინტელიგენცია და ოლქის მთავარი სასწავლებლები თავისი ინტერნატებით; როგორც მოსწავლე ახალგაზრდობა, ისე მასწავლებლობა და, საერთოდ, ინტელიგენცია ყველა კიახურ დიალექტსა და ყაბარდოულსაც წარმოადგენდნენ, ისე რომ ჩვენ საშუალება გვეძლეოდა ამ თემებსა და მათს მეტყველებას გავსცნობოდათ და საიმედო მთარგმნელების დახმარებაც გამოგვეყენებინა. კრასნოდარშივე შევხვდით აბაზეებსაც. კრასნოდარში მოპოვებული მდიდარი მასალა შემდეგ ჩვენ შევამოწმეთ ადგილობრივ, ძველი ტომებისა და თემების ნაშთებით დასახლებულ აულებში: მაისის 10-სა და 11-ს ყუბანისპირელ შაფსულებში, აულ ადიფსიში, 14—16-ს — ბზადულებში, აულ თლასთონაჰაბლში, 18—19-ს — ქეგუებში, აულ ჯანბეჩიში, 19—21-ს — აულ ულაფში, სადაც გვერდისგვერდ ცხოვრობენ ბასლინაელები და აბაზეები, 21—23 გავატარე აბაძახებისა და მამხელების მონიჯნავე აულეებში, ჰაქურინაჰაბლსა და მამხელში, მაისისავე 24—25-ს ვიპუშავე შავიზღვისპირელ შაფსულების მეტყველებაზე სოფ. აგუიში (ქალ. ტუაფის მახლობლად).

მეორე მივლინება მოეწყო, საქ. განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის სახსრებით, ყაბარდოს ავტონ. ოლქში (1929 წლის ივლისის 31-დან აგვისტოს 15-მდე). აქ ვმუშაობდი ოლქის დედაქალაქ ნალჩიკში ქობ-სამიკითხველოების მუშაკთა კურსებზე როგორც ყაბარდოელებთან (უმთავრესად), ისე ქისტებთან (ჩანჩებთან), აბაზეებთან, ბასლინაებთან, ყარაჩებსა და მალყარებთან. იმავე თვის 14 და 15 გავატარე ყაბარდოულს აულ ნართანში. იმავე წლის აგვისტოს 19-დან სექტემბრის 5-მდე ვმუშაობდი დალისტინის ავტ. რესპუბლიკაში სხვადასხვა ენებზე: დარგულზე (სოფ. ლავაში) — 21—23 აგვისტოს, ხუნძურზე (დუნიზში) — იმავე თვის 24—28, ლაკურზე (სოფ. ლახი-ლუმუქში) — 29 აგვისტოდან სექტემბრის 5-მდე.

ჩვენთვის ნათელი. ამ შედეგების შესახებ ჩვენ მოვახსენეთ თბილისის საო. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს (1929.VI.10-ს), სამივლინებო ანგარიშში, და ჩვენს მეცნიერულ საზოგადოებრიობას საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე¹. მეორე მოგზაურობამ (ყაბარღოში,

¹ 1929 წლის ივნისის 21-ს, იხ. ჩვეულებრივი საზოგადო კრების ოქმი № 287. რადგანაც საზოგადოების ოქმების ბეჭდვა შეწყვეტილია, მოგვყავს აქვე ვრცელი ამონაწერი ოქმიდან. ოქმში აღნიშნულია რომ „მოგზაურობას მიხნდა ჰქონდა ადგილობრივ შეკრება თუ შემოწმება ისეთი მასალებისა ჩერქეზთა მოღვების ტომების ენობრივი და ეთნოგრაფიული სიანმდელიდან, რომელთა საკითხობა მომხსენებელს ჯგერჯნია საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობის დროს. ამასთან ერთად, აფხაზური ენის კვლევასთან დაკავშირებით, მომხსენებელს აიან ტერეგსეზდა თეთვ გრანატციული ბუნება ჩერქეზული ენისა და დიალექტების მდგომარეობა... მომხსენებელი აღწერს თავის ნაპოვნობას, ჩანსლას ქ. კრანსო-დარში და იქ მიღებას, მუშაობის პირობებს. ჩერქ. ტომების წარსულის შესახებ მცირე ექსკურსის შემდგომ მომხსენებელი გადადის ოლქის თანამედროვე მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე (ავტონომიის ისტორია, ოლქის ტერიტორია და ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა და მისი მოძრაობა, ჯანმრთელობის დაცვა, მეურნეობა, სახალხო განათლება და კულტურული დაწესებულებები). შემდეგ მომხსენებელი თავისი კვლევის შედეგებს ალაგებს. სპეციალურად მუშაობდა იგი ჩერქეზულ ონომასტიკონზე, რაკ ცალკე ნარკვევის საგანი უნდა იყოს. 1) მორფოლოგიაში ყურადღებას იქცევს: ზმნა საეცებით „აუზაზუი“ ტიპისა — პრეფიქსულ ელემენტებში გამოსახულია პირი ორი დამატება და მათი რიცხვი; ამას გარდა, ზმნა, ისევე როგორც აფხაზურში, ირთავს სხვა ელემენტებსაც (სხვადასხვა გარემოებათ, თანდებულებს...). სახელთა კატეგორიაში: წინააღმდეგ ლექსე მტკიცებისა 7 ბრუნვის არსებობის შესახებ ჩერქეზულში, საუბარი შესაძლებელია მხოლოდ ორი ბრუნვის (პირდაპირისა და არაპირდაპირის) შესახებ იყოს, და ეს კვლითიკაცია არ შეიძლება საბოლოოდ ჩაითვალოს; განმსახლებელი ნაწილაკი რ არ იმარბება, თუ სიტყვა გაფორმებულია მიჩემებითი ნაცვლასხელოვანი ნაწილაკით; როგორც რ, ისე არაპირდაპირი ბრუნვის (?) ფორმანტი მ არ ერთფიან აგრეთვე საკუთარ სახელეებს; არსებობს ნაწილაკი, რომელიც ბრუნვის ფორმანტად ვერ ჩაითვლება და რომელიც instrumentalis-ის როლს ასრულებს. 2) ფონეტიკაში აღსანიშნავია: წინა დამკვირვებელთა (ლექსე და სხვ.) „რჰ“ უდრის ორს დამოუკიდებელ ბგერას (ღ და ლჰ), რომელიც ლ-ს ლატერალურ ვარიანტებს წარმოადგენენ; არსებობდა იმ ტიპის თ-სი (საშუალო ქართულ თ-ს და ტ-ს შორის), რომელიც აღწერილია პროფ. გ. ახვლედიანის მიერ ოსურში (მესამე ტ); არსებობდა ჯ-სი, რომელიც, როგორც ჩანს, დღემდე მიჩნეული იყო ყ-დ (ჭეწ — ძე) და სხვ. უაღრესად საყურადღებოა კილოების ფონეტიკური ურთიერთობა: შაფსულურის გაპალატლებულ ჰ, ქ, გ-ს უდრის კემგურში გაპალ. ქ, ჩ, ჯ; ბედულური ზოგჯერ ემზრობა კემგურს. ზოგჯერ დამოუკიდებელია (მაგ., შაფს. გ || კემგ. ქ || ბედ. ჯ); შაფსულურის დამოუკიდებლად ახასიათებს ზოგიერთი სპირანტის პალატალიზაცია (შ...), კემგ. გაპალ. ქ-ს აბაძებურში უდრის თავისებური სპირანტი „სი“, და სხვ. ცალკე დგას საკითხი ჩერქეზულის

ზატხულში) გაამრავლა ჩვენი მასალები, გაჰფანტა ზოგი ჩვენი ექვი, შეგვძინა ახალი დასკვნები, მაგრამ ამასთან ერთად აღძრა ახალი საკითხები და დაგვინერგა რწმენა, რომ საჭიროა უფრო ხანგრძლივი, გულდასმითი მუშაობა ჩერქეზულ ენებზე, რათა მიღებულ შედეგებს ჰქონდეს სრული მეცნიერული დამაჯერებლობა და რათა წამოქრილი, მაგრამ გადაუწყვეტელი საკითხები უსიამოვნო ტვირთად არ აწვეს შეგნებას. სამწუხაროდ, ჩრდილოეთ კავკასიის მთის ენებზე მუშაობის განგრძობის შესაძლებლობა ჩვენ შემდეგ აღარ გვქონია. ამიტომ, მეორე მოგზაურობის შედეგები გამოქვეყნებულ იქნა ისევ-ისევ მხოლოდ საჯარო მოხსენებათა სახით¹. ბექდური სიტყვის სტუმარმასპინძლობისადმი მიმართვას ამჟამადაც ჩვენ ჩვენი

ზონათესაობისა და კულტურული ურთიერთობისა აფხაზურსა და ქართულთან აფხაზური გენეტურად უკავშირდება ჩერქეზულს და ამავე დროს მის მეტად დიდ გავლენას განიცდის. ქართულის ჩერქეზულთან ნათესაობის პრობლემა თუ ნაადრევად არ არის, ყოველ შემთხვევაში უკრეჯერობით არ შეიძლება მკაფიოდ დასმულ იქნას. სამაგიეროდ უაღრესად საინტერესოა ფაქტები მათი კულტურული ურთიერთქმედების სფეროდან: ქართ. მოთხრობითი ბრუნვის წარმოშობისა და მისი ფორმანტის ბუნების შესაგნებად უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება ჩერქ. არაპირდაპირი ბრუნვის ფორმანტს. უეჭველია, კავშირში იმყოფებიან სვან. მრავლ. რ. ფორმანტი ხ და ანალოგიური ფუნქციის ჩერქ. 'ხ; ძე. ქართ. კითხვითი ნაწილაკი ა და ასეთივე ა ჩერქეზულში და მრავალი სხვ. შენიშნულია კვალი ქართულის გავლენისა ჩერქეზულზე უკვე ქრისტიანულ ეპოქაში („ჯუღი“...). შემდეგ მოხსენებელმა გაუზიარა საზოგადოებას თავისი ეთნოგრაფიული დაკვირვებები: ა) ისტორიული გრძნობის სიმძაფრე ჩერქეზში: 1) ადილეური მუზეუმის მნახველები, 2) ბრანტი და მისი მუზეუმი, 3) ისტორიული ეპოსი, 4) ისტორიული ინტერესი: ბ) ტოძური თვითშეგნების სიცხველე: გ) „ადღ'ლ'საბზ“ — ადღეური „ჯუღი“: 1) სტუმარმასპინძლობა, 2) პურისჭამა, 3) უფროს-უმცროსობა, 4) ქალის მდგომარეობა, 5) მისაღწების წესები, 6) ქორწინებისა და დასაფლავების წესები, 7) ჭაფში, 8) ჰანცაჯუაში, 9) მიმართვა, 10) ჩაცმულობის წესი და სსე. დასასრულს ჩერქეზული ხალხური შენობებისა და, კერძოდ, ჩერქეზ. ლეკის ფორმის ხოგადი დახასიათების შემდგომ, მომხსენებელი შეგერდა აბაზეხსა (პირიქითილი აბაზეხი) და აბაზურზე. უკანასკნელს მომხსენებელი სწავლობდა ბათალეშინსკელი და ადგილობრივი (ულაფელი) ინფორმატორების შემწეობით. აულ ულაფში მომხსენებელს რამდენიმე დღე დაუყვია და, აბაზურსა და ბასლინაურ ენებზე მუშაობის გარდა, გააცნობია აბაზეხის ყოფა-ცხოვრებასაც“.

¹ თბილისის საბ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის 1933.VI.26-ის საჯარო სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო კ. მარქსის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი, ოთხი უნივერსიტეტის კონფერენციაზე 1936.V.28-ს (იხ. Программа работ научной сессии Тифлисского гос. университета 25—29 мая, Тфл. 1936) და საქ. მეცნ. აკადემიის ვნის ინსტიტუტის განყოფილებათა გაერთიანებულ სხდომაზე 1942 წლის მარტის 9-ს.

შეცნიერი ამხანაგები გვაბედვინებენ. ქვემოთ ჩვენ დავალაგებთ ჩვენი მუშაობის შედეგებს შეეკუმშულად და წინასწარი ცნობის სახით.

ჩვენ მიერ შემჩნეული შეხვედრები ქართველურ და ჩერქეზულ ენათა შორის საშუალებას გვაძლევს ამ ენათა ურთიერთობის ფაქტები სამ კატეგორიად დავაჯგუფოთ: 1) საერთო ელემენტები, 2) გავლენები ქართველური ენებისა ჩერქეზულზე და 3) გავლენები ჩერქეზული ენებისა ქართველურზე. ჩვენ დავიწყებთ ამ მიმოხილვას იმ ფაქტების ანალიზით უპირატესად, რომელნიც, როგორც გვგონია, ჩერქეზულ წვლილს შეადგენენ ქართველური ენების საგანძურში.

* * *

დავიწყებთ გამოცალკეებით სვანურიდან, რადგანაც ვფიქრობთ, სვანურ ენაში, ქართველურ-ადიღურის საერთო ელემენტების გარდა, მთელი ჩერქეზული ფენა შეიძლება გამოიყოს. სვანური ენის ნარეგობის შესახებ ხაზგასმით მიუთითებდა ნიკო მარის მარის სათანადო დებულებები (იმ დროისა, როდესაც იაფეტიდოლოგიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საყოველთაო პრინციპში აყვანილი ენათა ნარეგობა), როგორც ჩანს, ისე უნდა გავიგოთ, რომ ქართველურ ძირეულ ფენასთან ერთად სვანურში წარმოდგენილია მეორე, ასევე ძირეული ფენა, რომელიც სვანურს აფხაზურთან ანათესავენ¹. ნ. მარის აზრის მოძრაობას ამ მიმართულებით

¹ „Речь об одном из двух коренных этнических слоев сванов и о том же этническом слое в абхазии. Слой этот восходит, как выяснено (Н. Марр, Ист. термины „абхаз“, ИАН, 1912, 697—706), к народности масхов (> маскутов || масагетов) или мосхов, собственно мошохов (< мошхов > мосхов), или месхон, даже мехов (< მეღჳ), если назвать вполне спиритичную разновидность термива. В нагмеванцах абхазов (< a-basq || ābasq) подвесь сохранилось это этническое название, сван же успели переименоваться по названию второго составного слоя в их этнической природе, совершенно утратив память о своем родстве с мосхолами, если не считаться с названным одной сванской области Лашх“ (Н. Марр, К дате эмиграции мосхов из Армении в Сваню, ИАН, 1916 г., 1689).

„Намечено гветическое сродство [сванского языка] с одним, именно яфетическим, слоем абхазского языка“ (Н. Марр, Из поездок в Сваню. Отд. отт. из „Христ. Востока“, т. II, вып. 1, 16).

„... Сванский приходится признать типом мешаного языка: один слой, коренной, роднится с абхазским языком, другой, если не столь же коренной, то все-таки основной, с тубал-кайнскими“: *ibid.*

ბიძგი მისცა პეტრე ქარაიამ თავისი ცნობილი ნაშრომით, რომელიც აფხაზურისა და ქართველური ენების მონათესაობას ამტკიცებდა. მარის მიერ ნაჩვენები ფაქტები ქარაიას მიერ მოხაზულს ლექსიკურ წრეს არ სცილდება (იხ. ქვემოთ). მეტიც: მარი აცხადებდა რომ სვანური „წყნარებს სიტყვა-ძირების მატერიალური ნაწილის, რომელიც იაფეტურ ენებში თანხმოვანთა სახით არიან წარმოდგენილნი, და არა ფორმების სესხებას“-ო¹. თუმცა ბრუნების საკითხში ამ აზრს თვითონვე მთლიანად არღვევდა (იხ. ქვემოთ). უფრო ზუსტია ვ. თოფურიას შენიშვნა ამ საგანზე: სვანური „ნარვეი ტიპის ენაა“: მასში შენიშნულია ქანურ-მეგრული (შინა წრის) ფენა (ნ. მარი), აფხაზური ელემენტები..., სომხური და შეიძლება სხვა კავკასური ენისაც²...

სვანურს აფხაზურთან მართლაც მოეპოვება მეტად საგული-სხმო შეხვედრები, მაგრამ ქარაია-მარის მიერ დადგენილი ფაქტები განეკუთვნება ჩერქეზულ ფენას სვანურში. ამ ფენის მნიშვნელობა სვანურის სტრუქტურის თვალსაზრისით უცილობელია, მაგრამ მისი გათანაბრება ქართველურ კომპონენტთან შეც-თომბაა. სვანური ქართველურ ენად რჩება და ეს დებუ-ლება ურყევეია. ჩერქეზული ელემენტი სვანურში მხოლოდ იმის მო-წმობაა, რომ ამ ქართველურს და, ზოგად-ქართველურის თვალ-საზრისით, უაღრესად საყურადღებო ენას რომელიღაც ისტორიულ პერიოდში (შეიძლება ეხლავე დავაზუსტოთ: რიგს ისტორიულ პერიოდებში) მკიდრო და ინტენსიური კონტაქტი ჰქონია ჩერქე-ზულს ენობრივ-კულტურულ სამყაროსთან. ურთიერთობის ინტენ-სიურობისათვის ყოვლის უწინარეს სწორედ მორფოლოგიური ფაქ-ტებია ნიშანდობლივი.

სვანურის მორფოლოგიაში ამ მხრივ განსაკუთრებით საინტე-რესოა ბრუნება. სვანური ბრუნების შესახებ მარმა გამოსთქვა, კატეგორიული ფორმით, შემდეგი აზრი: „სვანურში ამჟამად წარ-მოდგენილი ბრუნება შესდგება ნასესხებ ბრუნვათაგან, რომელთაც მთლიანად ან თითქმის მთლიანად გააძევეს ძირეული სვანური ბრუნება. ნასესხები ბრუნვები, უფრო სწორედ — ბრუნვათა დაბო-

¹ ... სვანურში „допускается заимствование материальной части слов — корней (в яфетических языках согласных), но не форм. Следовательно, такие случаи влияния можно бы подвести под обычную формулу о заимствовании, по которой языкам друг у друга заимствуются только слова, а не грамматика“, Н. М а р и, Из поездки в Сванию, გვ. 18.

² ვ. თოფურიას, სვანური ენა, 1, ზმნა, ტფ. 1931, გვ. IX.

ლოებანი, სვანურმა შეითვისა მონათესავე იაფეტური ენებიდან, სახელდობრ, ქართ-მესხური (კაშდ-მოსოხური) და თუბალ-კაინური ჯგუფებიდან¹. სვანურის სამი ძირითადი ანუ ორგანული ბრუნვა უნდა ყოფილიყო, მართი:

N. [-un]

G. -in

D.+A. -an¹.

ნამდვილად, სვანურ ბრუნებას, ქართულ-ზანურთან შედარებით, მართლაც თავისებურება ახასიათებს. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს რომ სვანურს თითქოს ბრუნების ორი სისტემა მოეპოვება, რომელთაგანაც ერთი, გაბატონებული, ქართველურია, მეორე-კი, დაქვემდებარებული და აშკარად გარდმონაშთის სახით მოღწეული, — „უცხო“. ამ ორი სისტემის ბრუნვათა ფორმები ან წმინდა, დამოუკიდებელი სახით არიან წარმოდგენილნი, ან ერთმანეთს ერწყმიან. რამდენადაც ეს შერწყმული ფორმები არსებობს და „წმინდა უცხო“ ფორმებთან შედარებით უფრო გავრცელებულიცაა, შეიძლება, რათქმაუნდა, მესამე ბრუნების შესახებაც გვესაუბრა. მაგრამ ჩვენი საკითხისათვის ამ კლასიფიკაციას დიდი მნიშვნელობა არა აქვს და ამიტომ აქ მასზე არ ვჩერდებით.

ცხადია, ეს შერწყმული, რთული ფორმები მეორეულ მოვლენას წარმოადგენენ. ამასთანავე ანგარიშგასაწევეა ფონეტიკური მოვლენებიც, როცა ბრუნვათა დაბოლოებანი, კერძოდ შერწყმულ ფორმებში, თავის პირვანდელს სრულ სახეს ვერ ინარჩუნებენ. მაგრამ შეუქვეცელი ფორმების აღდგენა ასეთ შემთხვევებში არავითარ სიძნელეს არ შეიცავს. განვიხილოთ ბრუნვათა დაბოლოებანი ცალ-ცალკე.

¹ ... „в сванском влияние теперь склонение представляет подбор заимствованных падежей, полностью или почти полностью вытеснивших коренное сванское склонение. Заимствованные падежи, точнее — падежные окончания, сванским усвоены из родственных яфетических языков, именно из языков к'арт'-месхской (каша-мосохской) и тубал-каинской групп.“ (Н. Марр, Где сохранилось сванское склонение? ИАИ, 1911. გვ. 1199).

სვანური ამ წერილში წოდებულია „სონ-სომ-სხ“-ური ჯგუფის ენად (გვ. 1200). დასკვნა: „...Три основных или органических падежа яфетических языков в сванском должны были звучать“ (იხ. ზემოთმოცემული სქემა). იქვე, გვ. 1205.

სახელობითი. სვანურ სახელობითს ამჟამად საკუთარა დაბოლოების ფორმა არ გააჩნია, სიტყვა აქ ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

ნათესაობითი. ნისი ჩვეულებრივი ფორმატივია ქართველური -ის, თავისი ფონეტიკური ვარიაციებით. „თავისუფალი სვანის“ მტკიცებით, „ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება არის „ა“. „ა“, „შ“, „იშ“, „ეშ“ და „ნ“¹. ზავადსკი-კი ამ ბრუნვის ნიშნებად უჩვენებს დაბოლოებებს „ი, ე; იშ, ეშ; ა(ე)მიშ“ და ამბობს: „დაბოლოება ეში, ამი, ემიშ, ამიშ გვხვდება მცირეოდენ (в немногих) არსებათ სახელებში და ჩვეულებრივად (обычно) ზედსართავებში“². ზავადსკის მსგავსად ასხვავებდა ამ ფორმებს უურო ადრე, ჩანს, უსლარიც, რომელიც ამბობს რომ ფორმები დაჩაურემი, მუვემი იხმარება თავისუფალ სვანეთში, დაჩაურემიშ, მუვემიშ-კი — სადადიშქელიანოში³. იქვე უსლარი უჩვენებს ოთხს პარალელურ ფორმას სიტყვისათვის მუ 'მამა' ნათესაობითში:

მუვე. მუვეშ, მუვემიშ, მუვემი.

ბალსზემოურში, ვარლამ თოფურიას ცნობით, მუ სიტყვის ნათესაობითში გვექნება:

მუშ || მუვეშიშ,

ხოლო მარე სიტყვისაში:

მარემ-იშ

მიცემითი ბრუნვა. ზავადსკი ამბობს: „არსებითი სახელები მიცემით ბრუნვაში ბოლოვდებიან ს-ზე, ხოლო ზედსართავეები მხოლოებით რიცხვი — აშ, ეშ-ზე; ზოგჯერ მ იკვეცება“ (отрывается, გვ. XXXIII). თავისუფალი სვანი შენიშნავს: „მიცემითი ბრუნვის ჩვეულებრივი დაბოლოება არის ს, თუმცა სხვა ასოებიც გვხვდება. მაგალითად“... მაგრამ ავტორის მაგალითებიდან მხოლოდ ის ჩანს რომ ზოგჯერ აღნიშნული ს იკვეცება (მარა-[ს]—კაცს) („თავისუფალი სვანი“, გვ. 88).

¹ თავისუფალი სვანი, მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა, „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტფ. 1911—1913, ტ. II, განყ. II, გვ. 87 (ქვემოთ ყველგან = „თავისუფალი სვანი“).

² Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. X. Тфл. 1890, წინასიტყვაობა, გვ. XXXII, XXXV (ქვემოთ ყველგან = ზავადსკი).

³ П. К. Услар, Грамматический очерк сванетского языка: Абхазский язык, Отд. II, Тфл. 1887, გვ. 108 (ქვემოთ ყველგან = უსლარი, სვანური).

მოთხრობითი ბრუნვა. „მოთხრობით ბრუნვას (творительный падеж)... აქვს დაბოლოება დ ან ეშ (ეშდ). უკანასკნელი დაბოლოება აქვთ ზოგიერთ არსებით სახელსა და ნაცვალსახელებს“, — ამბობს ზავადსკი (გვ. XXXIII). თავისუფალი-სვანი, რომელიც მოთხრობით ბრუნვას „მეორე სახელობითს“ ეძახის, აცხადებს: „მეორე სახელობითი ბრუნვის დაბოლოებანი არიან „მ“ და „დ“. მაგალითად: მარემ — კაცმა, დოშდულდ — მთვარემ“ (გვ. 88).

მოკმედებითი ბრუნვა ბოლოვდება შვ ან შ*, — ამბობს „თავისუფალი სვანი“ (გვ. 88). ზავადსკით მოქმ. ბრ. აგრეთვე ბოლოვდება შვ ან ოშ-ზე (გვ. XXXIII).

წოდებითი ბრუნვა სვანურს არ მოეპოვება, ხოლო ვითარებითის შესახებ არც ზავადსკი და არც თავისუფალი სვანი არაფერს ამბობენ.

მრავლობითი რიცხვის შესახებ ზავადსკი ამბობს, რომ მას „აქვს იგივე ფლექსიები, რაც მხოლოდობით რიცხვს, ნათესაობ. ბრუნვის გარდა, რომელიც თავდება ე-ზე“-ო (გვ. XXXIV), მაგრამ საბრუნვო დაბოლოებათა ტაბულაზე, რომელიც იქვეა მოთავსებული (გვ. XXXV), მრავლობითი რიცხვის დაბოლოებანი იმ მხრივაც განსხვავდებიან მხოლოდობითის დაბოლოებათაგან, რომ ისინი -მ (-ამ, -ემ...) ელემენტს არ შეიცავენ.

თავისებურება სვანური ბრუნებისა უფრო რელიეფურად გამოჩნდება, თუ აქ პარალელურად წარმოვადგენთ მაგალითებს სამივე შემთხვევისათვის: I. წმინდა ქართველური (ორგანული) ბრუნება, II. წმინდა (ან: თითქმის წმინდა) „უცხო“ ბრუნება და III. შერეული ბრუნება (ამოღებულია ზავადსკის პარადიგმებიდან და ნაწილობრივ შეესებულება მიხივე ცალკეული მაგალითებით).

I

II

III

სახ.	ნათი ნაწილი	ხადა ორმელი	ალ, ალა ვს
მოთხრ.	ნათიდ	ხადემ	ამნემდ, ამნემ
ნათეს.	ნათიჲშ, ნათიი	ხადემი	ამიჲშ, (ამი), ამნემი(შ)
მიცემ.	ნათის	ხადაშ	ალას
მოქმ.	ნათიშვ	ხადაშვ	ამნოშ

„უცხო“ ფორმების სპეციფიკა კიდევ უფრო ნათლად გამოსკვივის ზედსართავი სახელების ბრუნებაში. აი, ორი მაგალითი ზავადსკის მიხედვით (გვ. XL):

ხან.	ხოჩა კარგი	თრთენე თეთრი
მოთხრ.	ხოჩემდ	თრთენემდ, თრთენემ
ნათეს.	ხოჩემიშ, ხოჩემი	თრთენემიშ, თრთენემი
მიცემ.	ხოჩამ	თრთენამ, თრთენა
მოკმ.	ხოჩამშვ	თრთენამშვ ¹
ვითარ.	ხოჩემდ	

მაგრამ ამასთან ერთად ზავადსკის შეუნიშნავს: „ზედსართავი სახელები მეტწილად არსებითი სახელის წინ დგას. უკანასკნელთან დაკავშირებით ირიბ ბრუნვებში ზედსართავი სახელი ინარჩუნებს ერთსადაიმავე ფორმას, სახელდობრ — მიცემითი ბრუნვის დაბოლოებას აშ-ს (ან უ-შ-ოდ). მაგალითად, ხოშა(მ) უდილდ ხაქვე; ხოშა(მ) უდილს ხეკვად, მეშხა მაროლა რაშ და მ. თ.“ (ზავადსკი, გვ. XLI).

კიდევ უფრო საყურადღებოა, როგორც ჩაწერის სიზუსტით, ისე თავისი ფორმებით სვანური ბრუნების მაგალითები ბალსზემოურიდან:

ხან.	ხოჩა კარგი	თვეთნე	თე თვალი
	(ასევე ხოლა ავი)		
მოთხრ.	ხოჩმნმ	თვეთნემ თვეთნემნემ	თედ
ნათეს.	ხოჩმიშ	თვეთნემიშ	თემიშ
მიცემ.	ხოჩამ	თვეთნა	
მოკმ.	ხოჩამშვ	თვეთნოშ	
ვითარ.	ხოჩამდ	თვეთნად	
ხან.	ვოშა რამდენი	ეჯა ის	მეგ ყველა
მოთხრ.	ვოშემ ვოშმნმ	ეჯნემ	ჩიემ
ნათეს.	ვოშმიშ	ეჩნემ	ჩიმიშ ჩიამ
მიცემ.	ვოშამ	ეჩას	ჩი
მოკმ.	ვოშამშვ	ეჯნოშ ეჩნოშ	ჩიამშ ჩიემშ
ვითარ.	ვოშამდ	ეჯნარდ	ჩინარდ

¹ ვარლამ თოფურია მიაქცია ჩვენი ყურადღება, რომ ორთოგრაფია, როგორც ზავადსკის, ისე თავისუფალი სვანის ჩანაწერებში არ არის ხუსტი. ვარლ. თოფურიას მოწმობით ამჟამად არ დასტურდება აგრეთვე ზავადსკის მიერ ნაჩვენები ზოგი გრამატიკული ფორმა. შესაძლოა, რატომღაც, რომ ცალკე შემთხვევებში ზავადსკი ცთებოდეს. ჩვენი მიზნისათვის ამ გარემოებას გარდამწყვეტ მნიშვნელობა არა აქვს.

ხან.	ალა
მოთხრ.	ამნემ
ნათეხ.	ამიშ (ამი — მსაზღვრელად)
მიცემ.	ალას ამის
მოქმ.	ამნოშუ

მაგრამ სრულიად განსაკუთრებულია და ღრმა ინტერესის შემცველი „ხედა“ ნაცვალსახელის ბრუნება ბალსხემოურადვე:

ხან.	ხედა
მოთხრ.	ხედაშნემ
ნათეხ.	ხედაშიშ
მიცემ.	ხედაშ
ღოქმ.	ხედაშუგ ¹

აქ თავისებურება და ინტერესი მდგომარეობს, ჯერ ერთი — ორმაგ სუფიქსაციაში მხოლოდ ქართველური ფორმანტების მეშვეობით (ხედაშიშ...), ხოლო შემდეგ — შერეული ორმაგი სუფიქსაციის ქართველური და „უცხო“ ფორმანტების შებრუნებული რიგით: ქართველური წინ უსწრებს „უცხოს“ და არა პირუკუ, როგორც ეს გვაქვს ყველა დანარჩენ მაგალითში: ხედაშნემ (ჩვენ აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ჩაღრმავებულმა ანალიზმა მომავალში აქ შეიძლება მესამე აფიქსიც -ნ- გამოავლინოს და განმარტოს).

ხედაშნემ ფორმა იმიტაცაა მნიშვნელოვანი, რომ აშკარად მოწმობს: ფორმანტების რიგი არ გამოდგება საკმაო საბუთად „უცხო“ წარმოების სიძველისა და უპირატესობის დასამტკიცებლად სვანურ ბრუნებაში. თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ „უცხო“ წარმოების სიძველე ვერ დამტკიცდებოდა, თუნდაც ეს ფაქტი არ გვექონოდა².

¹ ამ მასალის, ისევე როგორც ცალკეული შენიშვნების მოწოდებისათვის ამხ. ვარლამ თოფურიას გულითად მადლობას მოვასწავებთ.

² არნ. ჩიქობავა საწინააღმდეგო შიზიდულებისა: «ისტორიულად მ აფიქსი უსწრებს დ-აფიქსს სვანურში, სვანურისათვის, — უფრო ზუსტად, სვანურის გარკვეული ფენებისათვის, — პირველი უფრო ძველია. ამას მოწმობს ის შემთხვევები, სადაც მოთხრობითში ორივე აფიქსია ერთად გამოყენებული, მ-ცა და დ-ც: ხოხვრემდ ესვტიხ „უმტროსმა უპასუხა“. იხ. სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და ბრუნების ორფუძიანობა კავკასიურ ენებში, სტალინის სახელმძღვანელო თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XVIII, 1941, გვ. 49.

მოვიტანოთ დამატებით ცალკეული მაგალითები „უცხო“ (და შერეული) ბრუნებისა.

ნათეს. ბრ. თავისუფალი სვანი, რომელიც ამ ბრუნვისათვის ჩვენთვის საინტერესო აფიქსს სრულებით ვერ ამჩნევს, თავის რიცხვმცირე მაგალითებში მას მაინც ფაქტიურად გვაძლევს: „მარე — მარემიშ, კაცისა“ (გვ. 87). ხოლო თავისუფალი სვანის ამ წერილის დასასრულს გამოქვეყნებულ სვანურ ანდაზებში (გვ. 99) ჩვენ ვპოულობთ შემდეგ ფორმებს:

ხოლემიშ ი ხოჩემა მუთარდ მარე ხაკუ — ავის და კარგის შემტყობად კაცი უნდა (ხოლა — ავი, ხოჩა — კარგი; თავის სვანურ-რუსულ ლექსიკონში ზავადსკი უჩვენებს ამ სიტყვებთან: ხოლამდ — хуаи; ხოჩა, ხოჩემი);

ჩიში ნამკახუნ იჩეი — ყველაზე რანე სასარგებლო ითქმის; თემიშ ესერ კვამს ოხვაქვისგნა, გვიმიშ — ჰარაყს — თვალს თურმე კვამლმა ათქმევიანა, გულს — არაყმა;

(თე — თვალი, გვი — გული; თავის სვანურ-რუსულ ლექსიკონში ზავადსკი ამ სიტყვებისთვის საგანგებოდ უჩვენებს ნათ. ბრუნვას: თჷ — თჷმი, გვი, გუ — გვიმი, გუმი).

ზავადსკისთან:

მარემი ფაყვ = კაცის ქული (გვ. XXXVI) (მარე — კაცი, მამაკაცი; ზავადსკის ლექსიკონში: მარე — მარემი).

ნათხვარემი ლზღვ — ნადირის ხორცი (იქვე)

(ნათხვარ — ნადირი).

ზავადსკის დასახელებულ ლექსიკონში, გარდა ამისა, ნაჩვენებია მთელი რაგი სიტყვები ნათესაობითი ბრუნვის „უცხოური“ წარმოებით:

ავეანდ,	-ი,	-ემი — აბეანდა, უზანგი
ამახვ, ამხვჷ,	-აშ,	-ემი — მტერი
ბალე,	-ემი	— ფოთოლი
ვარე,	-ემი	— წვერი
ვოშა,	-ემი	— რამდენი
ლერბეთ,	-ა,	-ემი — ლმერთი
ქვიშე,	-ემი	— ქვიშა
ლარე,	-ემი	— სათიბი
ლეზებ,	-ი,	-ემი — საქმელი
ლეზნე,	-ემი	— სივრცე

ლემღეპნე,	-ემი	— მამული
ლერყუნე,	-ემი	— ცარიელი
ლჯჟე,	-ემი	— რძე
ლემშარე,	-ემი	— შეწუხებული
მანესგარე,	-ემი	— საშუალო
მარე,	-ემი	— ღრუბელი
მახე,	-ემი	— ახალი
მაშანე,	-ემი	— უფროსი
მერმე,	-ემი	— მეორე
	(მუ, მუვე — მამა)	
მუტღვერ,	-ერემი	— შემოდგომა
მუხვბე,	-ემი	— ძმა
ნაგზი,	-ხემი	— კვირეული
ფისე,	-ემი	— ფისი
ფხოლე,	-ემი	— თითი
ყვიყე,	-ემი	— ღვიძლი
ყვითელ,	-ი, -ემი	— ყვითელი
ყურჩა,	-აი, -ემი	— ძალი [ყურშა! ხ. ჯ.]
ტყვე,	-ემი	— ტყვე
თხარე,	-ემი	— მგელი
ხოხერა,	-ემი	— უმცროსი
ხოშა,	-ემი	— უფროსი
ჩიყე,	-ემი	— სიძე
	ში, შიმი	— ხელის მტევანი

ეს ფორმები, რომლებიც მოცემულია ზავადსკის პატარა ვოკაბულარში, ჩვენ ამოვწერეთ იმისათვის, რათა დაეფიქსირებინათ ისინი ზავადსკის განცხადებას, რომ უწყვეტული წარმოება ნცირე-ოდენ არსებით სახელებში გვხვდებაო და აგრეთვე იმის საილუსტრაციოდ, რომ მ-ანიანი წარმოება ეხება, როგორც ძირეულს ქართველურ სიტყვებს სვანურში (ღერბეთ...), ისევე ქართულიდან შეთვისებულ სიტყვებსაც (ყვითელ, ტყვე...).

მოთხრობითი და ვითარებითი ამ გრამატიკოსებს, ჩანს, გაიგივებული აქვთ. ასე, ზავადსკი მოთხრობითისათვის (ТВО-РУМЕЛННХИ) უჩვენებს აშკარად ვითარებითის ფორმებს: ლალირდ = ნიჩბად (გადააქციე), ბერეედ = რჩინად (აქციე), ულუფდ = საკმელად (მოამზადეს) და სხვა. ამათ შორის საინტერესოა ზავადსკის

მიერვე ნაჩვენები ფორმა: ხოჩამდ — კარგად (ხოჩა — კარგი). თუმცა ზავადსკი ამ შემთხვევასაც მოთხრობითს (ქვემდებარის) ბრუნვას მიათვლის, მაგრამ ცხადია, რომ აქაც ვითარებითი გვაქვს და, მაშასადამე, ეს მ ვითარებითშიაც ჩნდება. საკუთრივ მოთხრობითისათვის ზავადსკის მაგალითებიდან შეიძლება აქ მოვიტანოთ:

ხაბეემ — ცოლმა (უთხრა) (გვ. XXXVII).

საყურადღებოა ნაცვალსახელების ბრუნება. აქ ასეთი შთაბეჭდილება იქმნება ზავადსკის მასალების მიხედვით, თითქოს „უცხო“ ფორმანტის გაორკეცებული ხმარების შემთხვევებსაც ჰქონდეს ადგილი. გარდა ამისა, საინტერესოა ცალკე ფორმებიც. მაგალითები (ზავადსკის პარადიგმებიდან ამოღებული):

მიშვი იემი აჯა იგი მისი	ალ. ალა ეს მჯრა	მჯვ ყველა
ნოთხ. მიშვად აჯნ ემ(დ) მიჯნ ემ(დ) აშნემ(დ)	ინნემ	ჩიემ
ნიშვგენნემ		
ნათ. მიშვემი აჩა, შ მიჩა, შ ამე (ამნემი) იშმა, შ: იში(შ) ჩიმა, შ		

ორმაგი სუფიქსაციით ნაწარმოები ჩანს ფორმები მიშვემ-ნ-ემ, ა-მ-ნ-ემ, ა-მ-ნ-ემ (ი)¹. პირველ შემთხვევაში ეს უცილობელია, შეიძლება ექვი განოსთქვან ორი უკანასკნელი ფორმის გამო: ხომ არ ეკუთვნის პირველი „მ“ ფუძესაო? მაგრამ რომ ამ ნაცვალსახელის (ალა) ფუძე სწორედ ალ არის (და არა „ამ“, როგორც კითხვითი ნიშნით ნაჩვენები აქვს ზავადსკის), ეს ჩანს მრავლობითი რიცხვის ფორმებიდან, სადაც ალ ფუძე გაჰყვება ყველა ბრუნვას (ალიარ, ალიარდ, ალიარემ, ალიარს და სხვა), და აგრეთვე მხოლოობითის მიცემითი ბრუნვის ქართულური ფორმიდან — ალას. ამრიგად, შ შეიძლება ფორმანტი იყოს და სათანადო ფორმებში ფუძე გაცვეთილი (ლ დაკარგულა). აქ ჩნდება ერთი საკითხი: სვან. ალ ქართ. ეს¹ის კანონზომიერი შესატყვისია, და ხომ არ არის ქართულის სათანადო ფორმებში: ამან (resp. იმის...), ამის და მ. თ. მ ისეთივე წარმოშობისა, როგორიც სვანურში? ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ქართ. ამ, იმ არ ეწყობა სახელობითს.

სრულიად უცილობელია ორმაგი სუფიქსაციის („უცხო“ ფორმანტის მეშვეობით) ფაქტები მაგალითებში: ხოჩმნემ, თვეთნმნემ, ვომნმნემ.

¹ ცალკე განსახილველია ნ-ს წარმოშობა და ფუნქცია.

განსაკუთრებული ინტერესის შემცველია ხადა 'რომელი' ნაცვალსახელის ბრუნება, რომლის შესახებაც ზავადსკი შენიშნავს: „ბრუნვის ზედსართავების მსგავსად“-ო (გვ. XLIII). ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ ამ სიტყვას გამართული „უცხო“ ბრუნება აქვს, მ ფორმანტი გადაჰყვება მრავლობითშიაც (ბნდბლემიშდ, იხ. ზავადსკი, პარადიგმი, გვ. XLIV) და თვითონაც სიტყვა მთლიანად უცხო წარმოშობისაა.

თუ ჩაუვკვირდებით ზემოთმოცემულ ფაქტებს, უნდა დავასკვნათ, რომ ეს გარემოება — გარკვეული ფორმანტის უცვლელობა ბრუნვათა მთელ წყებაში — თავს იჩენს არა მარტო სახელარსთან შეუღლებული ზედსართავის ბრუნებაში, არამედ იგი ნიშანდობლივია საერთოდ სვანურის „უცხო“ ბრუნებისათვის. ეს ფორმანტი წარმოდგენილია თანხმოვან მ-ს სახით, რომელსაც ზოგჯერ წინ უძღვის ხმოვანი (ა, ე). ფორმანტის წინამაჟღერი ხმოვნის შესახებ ჩვენ ქვემოთ ვიტყვი, ხოლო რაც შეეება მომდევნო ხმოვანს, რომელსაც უსლარი და ზავადსკი ნათესაობით ბრუნვის ვარიანტული დაბოლოების ორგანულ ნაწილად სთვლიან, როგორც ჩანს, იგი ნაშთია ქართველური ფორმანტისა, ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებაში, შერეული (შერწყმული) ბრუნებით.

ამ ბრუნების ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება იქნებოდა:

-შიშ, -ამიშ, -ემიშ

რაც იშლება შენდგენიარად:

-მ-შიშ, -ა-მ-შიშ, -ე-მ-შიშ

ნათესაობითი ბრუნვის ქართველური დაბოლოების შ თანხმოვნის დაკარგვა სვანურში ჩვეულებრივი ამბავია წმინდა ქართველური ბრუნებისას, იგი იკარგება შერეულ (შერწყმულ) ბრუნებაშიაც.

რაც შეეხება წინამაჟღერ ხმოვნებს, უნდა ითქვას შემდეგი:

ჯერ ერთი, არ ჩანს, რომ ისინი მკაფიოდ განსხვავდებოდნენ ბრუნვათა მიხედვით. ეს აშკარაა სათანადო საბრუნველ დაბოლოებათა ზავადსკის მიერ შედგენილ ნუსხიდანაც: მდთნრ. .-ემ..., ნათეხ. -ემ..., -ამ..., მიფემ. -ემ..., -ამ... მასალის განხილვაც გვარწმუნებს რომ ამ გვაქვს მოთხრობითში, ნათესაობითში, მიცემითში („მარამ“ — კაცს, ლენტეხ., აკ. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადული, I—II, ტფ. 1924, გვ. 9; ხმოვნისათვის შდრ. ორგანული

(ქართველური) ბრუნების ფორმა: მარა(ს), რომელიც ჩვეულებრივია, ვითარებითში; ემ გვხვდება მოთხრობითში, ნათესაობითში, მიცემითში. ეს — მხოლოდ გარეგნულად, ვინაიდან აშკარაა, რომ აქ მნიშვნელობა აქვს ფუძის დაბოლოებასაც: ა-ზე დაბოლოებული სახელებისათვის ფორმანტი მეტწილად მხოლოდ თანხმონის სახითაა წარმოდგენილი; ხოჩა, მიცემ. ხოჩამ, მოქმ. ხოჩამშვ, ვითარებ. ხოჩამდ. ასევე: ხნდამ, ხნდამშვ. რაც შეეხება ამგვარფუძიან სახელთა ნათესაობითს, აქ -ემ გვაქვს. შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს ფუძისეული ა-ს სახეცვლილებაა ქართველური -ემ დაბოლოების ზეგავლენით გამოწვეული, ე. ი. -ემი ← -ა-მ-ი-მ. ყოველ შემთხვევაში, ფონეტიკური წესების, რომელთა განხილვას ჩვენ აქ ვერ გამოვეყიდებით, ზეგავლენას ანგარიში უთუოდ უნდა გავწიოს სვანურ ბრუნებაში არა მარტო ნათესაობითი, არამედ სხვა ბრუნვათათვისაც.

რომ ნათესაობითი ბრუნვის საწარმოებლად, უწყებული ფორმანტით, წინამავალი ხმოვანი საკირო არ არის, ეს ფაქტიურად დადასტურებულია ტექსტებში: ჩემი (სახ. ჩჷ) — ცხენისა (ზავადსკი, XLVIII). ეს შემთხვევა საინტერესოა, რამდენადაც თანხმონიანფუძიან სიტყვასთან გვაქვს საქმე; ხმოვანფუძიანებში ხომ ამგვარი ფორმები ჩვეულებრივია: გვი (გუ) — გვიმი (გუმი), ვარე — ვარემი, თო — თომი, თხარე — თხარემი, ში — შიმი.

უფრო საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა ეს დაბოლოება დაერთვის ხმოვანფუძიან სიტყვებს და იმავე დროს ფუძის ბოლოციდური ხმოვანი იკარგება: ეშხვი — ერთი, მოთხრ. აშხვემ, ნათეს. აშხემი(შ)...

უფრო მკვიდრად გრძობს თავს ფორმანტის წინამავალი ხმოვანი თითქოს მოთხრობით ბრუნვაში.

სათანადო ფონეტიკური წესების განხილვა, რომელნიც უეცრად მოქმედებენ საბრუნვო დაბოლოებებზე, ჩვენთვის ამჟამად აუცილებელი არ არის. ვფიქრობთ, ის მაინც ცხადი უნდა იყოს, რომ მოცენულ დაბოლოებათა თავიციდური ხმოვანი ნიშანდობლივი არ არის, კონკრეტული საბრუნვო ფორმის წარმოების თვალსაზრისით, და არც ყოველთვის აუცილებელი.

რა წარმოშობისაა ეს ფორმანტი? ქართული მოთხრობითი ბრუნვის ფორმანტთან იგი ძალიან აბლოსაა მატერიალურად, შეიძლება ითქვას — ეიგივება მას, მაგრამ მკვეთრად განსხვავდება მისგან ფუნქციურად, რადგანაც სვანურში მას ევალება გამოხატოს

არა მარტო ქვემდებარის ბრუნვა, არამედ მთელი რიგი არაპირდაპირი ბრუნვები, მათ შორის — არაპირდაპირი დამატების ბრუნვა.

თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ფორმანტის, როგორც მატერიალურ მხარეს, ისე მის ფუნქციასაც, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ იგი სავსებით ემთხვევა ჩერქეზული (ადიღური) ენების სათანადო მექანიზმის ფორმანტს¹.

ჩერქეზულ ენებს, თავის მონათესავე აფხაზურისაგან განსხვავებით, მოეპოვება ბრუნების სისტემა, მაგრამ ეს ბრუნება უალრესად ორიგინალურია თავისი ხასიათით. სახელი ჩერქეზულ ენებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს განუსაზღვრელი და განსაზღვრული სახით. პირველ შემთხვევაში სახელი მოკლებულია რაიმე სპეციფიკურ ფორმას, იგი ფუძის სახითაა წარმოდგენილი. განსაზღვრული მნიშვნელობით ნახშირი სახელი-კი ირთავს ორ სუფიქსს — რ და მ. რ-ს ფუნქციაა, ქართული სახელობითი ბრუნვის მსგავსად, გამოჰხატოს ქვემდებარე გარდაუვალ ზმნასთან და პირდაპირი დამატება — გარდამავალთან. მ-ს ფუნქციაა გამოხატოს, როგორც ქვემდებარე, ისე არაპირდაპირი დამატება გარდამავალ ზმნებთან. გარდა ამისა, მ აღნიშნავს, თავისებურად, სხვა არაპირდაპირ ბრუნვებსაც და სიტყვათწარმოებაში მონაწილე ბრუნვის ნიშნაც გამოდის. როგორც ზემოთდაბეჭდილი ანგარიშიდან ჩანს, ჩვენ თავდაპირველად ამ ბრუნვებს აღვნიშნავდით პირობითად, როგორც პირდაპირს (rectus) და არაპირდაპირს (obliquus), უკანასკნელს — კითხვითი ნიშნით. მაგრამ რამდენადაც მ ქვემდებარის ბრუნვის ნიშანიცაა, ცხადია, მისთვის ეს სახელი არც კითხვითი ნიშნის თანხლებით გამოდგება. ქვემოთმოტანილი მაგალითები ამოღებულია ჩვენ მიერ ჩაწერილი ქვემო-ადიღური, კიახური, როცა ეს სპეციალურად აღნიშნული არ არის, და ყაბარდოული ტექსტებიდან და აგრეთვე კიახური ანბანის წიგნიდან.

გ ა ნ უ ს ა ზ ლ ვ რ ე ლ ი ფ ო რ მ ა		გ ა ნ ს ა ზ ლ ვ რ უ ლ ი ფ ო რ მ ა	
შ	ცხენი	შრ	ცხენი (ენობილი)
უნ	სახლი	უნრ	სახლი (")
სტოლ	მაგიდა	სტოლრ	მაგიდა (")
თ'ხლ'	წიგნი	თ'ხლ'რ	წიგნი (")

¹ მ-ანიანი მოთხრობითი ბრუნვის შესახებ ამჟამად იხ. აგრეთვე არნ. ჩიქობაეა, სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში, სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XVIII, 1941.

აქედან ჩანს, რომ, თუ ფუძე თანხმობიანზე ბოლოვდება, ბრუნვის აფიქსს წინ ხმოვანი (ჯ) უჩნდება. საესებით იგივე მოსდის მ აფიქსს.

მ-იანი ფორმები:

მოთხოვნიების მნიშვნელობით:

კლამ თ'ხლ'ზრ ათ'ხზ — ყმაწვილი წიგნს (წერილს) სწერს
სიყუბუბში თ'ხლ'ზრ ათ'ხ — ჩემი ძმა წერილს წერს (ყაბ.)
სიყუბუბში მუჯარგს სიფუფუბში აირაფთ — ჩემი ძმა ჩემ დას
ვაშლს აძლევს
(ყაბ., მეორე შემთხვევაში მ ფორმანტი მიცემითს აწარ-
მოებს).

ნათესაობითის მნიშვნელობით:

მარამგუბუბ თჰაშუბუბ ან — დიდი მარამი, დიდი ღმერთის
დედა (რელიქტური განონათქვამი).

ნათესაობით ბრუნვას, ჩენი გაგებით, მ აფიქსი დამოუკიდებლად ვერ აწარმოებს, საზღვრული სიტყვა ამ შემთხვევაში საკიროებს გაფორმებას კუთვნილებითი ნაცვალსახელოვანი ნაწილაკის მეშვეობით.

მიცემითის მნიშვნელობით:

არ ჰმ აბუბ — ის ძალს სცემს
შუბ შუ აბსთლ — ცხენს (ცნობილს) თივა მივეცი
ოსმან დამსმ აბუბ — ოსმანი კითხულობს გაკვეთილს
ზლასი 'ხასმ კუბ (ანდაზა) — ჯერ ისწავლე, შემდეგ
წადი ყრილობაზე. ('ხას).

მიცემითი — ლოკატივი:

ბაჯარ მზუბ 'ხანს, (ბუმის) — მელა ტყეში ზის (ცხოვ-
რობს), (ბუნაგში ზის).

(შდრ. მიცემითის ამგვარივე ხმარება ქართველურ
ენებში).

მოკმედებითის მნიშვნელობით: აქ უწყებული ფორმა საკიროებს ახალი ნაწილაკის დარსებას, რომელიც წარმოშობით დამოუკიდებელი სიტყვაა და ნიშნავს კულს: ნუმჯა (დიალექტურად: ნუმკა, ნუმკა) სწფალ' — მე ვაძაყობ დედით¹.

-მ ფორმანტი საერთოა ყველა ჩერკეზული ენაკავისა და კილოკავისათვის და, ამასთან ერთად ჩანს, — თითქმის საესებით

¹ ადიღური (ჩერკეზული) ბრუნვისათვის ეხლა იხილეთ გ. როგავა, ქვემო ადიღურის ბრუნვათა საკითხისათვის, ენმოქი-ის მოამბე, IV.

ერთიდაიმავე ფუნქციისა. ამავე დროს იგი ჩერქეზული ენების ორგანულ კუთვნილებას წარმოადგენს და ნაცვალსახელოვანი წარმოშობისაა:

მგ (განუსაზ. ფ.), მგრ (განსაზ. ფ. —ეს)
 მგზარ „ „ —ესენი

მგღ აქეთ (შღრ. ჭღა — იქით)
 (შღრ. აგრეთვე ქართ. მანდ, მანდა).

უეჭველია, რომ ეგვენ ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი აწარმოებს აუაიექტის მეაამე პირის ნიშანს ზნებში:

მათხზ — წერს
 მადზ — კერავს
 მაკუზ — მიღის

საყურადღებოა გ. ტურჩანოვის დაკვირვება, რომლის მიხედვითაც მ ფორმანტის ნაცვალად ყაბარდოული ენის დიალექტებში გვხვდება არქაული -მზ ფორმა და რომ ეს უკანასკნელი გვხვდება აგრეთვე გილდენშტედტის, კლაპროტის, ნოლმასა და შეგრენია ჩანაწერებში¹.

ყურადღებას იქცევს რომ მ ფორმანტი ადილურში თავის ფუნქციას, მეტწილ შემთხვევაში, დამოუკიდებლად კი არ ასრულებს, არამედ სხვა ელემენტების დახმარებით. ეს სრულიად თვალსაჩინოა. მაგალითად, ნათესაობისა და მოქმედებით ბრუნვებში: ნათესაობითში მის გვერდით აუცილებელია ნაწილაკი, რომელიც კუთვნილებითი ნაცვალსახელიდან იხ (თუ: მჩ) || გ „მისი“ მოდის, მოქმედებითში ხომ იგი პირდაპირ ირთავს ახალს მატერიალურ ელემენტს. ჩვენ აქ არას ვამბობთ იმ შემთხვევებზე, როცა მ ფორმანტი დასაყრდენს პოულობს ჩერქეზული პოლიპერსონალური ზმნის პირიელ ელემენტებში. აღნიშნულიც საკმაოა იმისათვის, რომ ცხადი გახდეს, თუ რატომ საჭიროებდა ეს მექანიზმი ქართველურ ენაში (სვანურში) ქართველური ნორფოლოგიური ელემენტების დახმარებასაც და თუ როგორ ჩნდებოდა ასეთ შემთხვევებში ორმაგი სუფიქსაცია (ნათესაობითი, მოქმედებითი...). შემდგომნა კვლევამ იქნებ ისიც დაადგინოს, რომ სვანური „შერეული“ ნათესაობითის ბოლოკიდური „ი“ ქართული ფორმანტის ნაშთი კი არაა, როგორც ეს ჩვენ ზემოთ მივიჩნიეთ, არამედ აღნიშნულის ჩერქეზული ნაცვალსახელოვანი ნაწილაკისა.

¹ Г. Турчаинов, М. Цагов, Грамматика кабардинского языка, I, М.-Л. 1940, стр. 57—58.

შეცომა იქნებოდა ზემოთქმულის მიხედვით დაგვესყენა, რომ მოთხრობითი ბრუნვის წარმოება ქართულშიაც აქ განხილულ ჩერქეზულ გრამატიკულ მექანიზმთან არის დაკავშირებული. ეს ურთიერთობა ჩვენ შემდეგი სახით წარმოგვიდგება: ქართული ჩვენებითი ნაცვალსახელი შა- (მიცემ. მახ, მოთხრ. მან) უთუოდ ენათესაება გენეტურად ჩერქეზულს ასეთსავე ნაცვალსახელს მგ- (ამის შესახებ უფრო დავწვრილებით — სხვაგან). მაგრამ მოთხრობითს ქართულში თაკდაპირველად აწარმოებდა -ნ (მისი კანონზომიერი შესატყვისია სვანური -დ), როგორც ეს უკვე გარკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში¹. მეორეული და ორმაგი (შედგენილობით) აფიქსაცია მოთხრობითისათვის - მან ქართულმა ენამ გაიჩინა სრულიად დამოუკიდებლად, შეიძლება ითქვას — ისტორიის თვალწინ. დამოუკიდებელი გზებით ქართული და ჩერქეზული კვლავ დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

უღვლილება

ერთმანეთს ხვდება ჩერქეზული და სვანური ზმნის წარმოებაც ერთ პუნქტში. აქ ჩვენ აღარ დაგვირდება სიტყვის განვრცობა იმიტომ, რომ სვანური ზმნა ამჟამად უკვე გამოწვლილივით მეცნიერულად არის შესწავლილი ვარლამ თოფურიას მიერ, და აგრეთვე იმიტომაც, რომ ეს შეხვედრა ნაწილობრივ უკვე არის შემჩნეული სხვების მიერაც. საქმე ეხება მრავლობითი რიცხვის ხ აფიქსს სვანურ ზმნაში.

სვანურ ზმნაში ჩვენ ვხვდებით მრავლობითის ფორმანტებს -დ-სა და -ხ-ს. როცა საქმე ეხება სუბიექტის გამოხატვას ზმნაში, მაშინ პლურალობის მაჩვენებელია I და II პირისათვის -დ, III პირისთვის — ხ (ვ. თოფურია, სვან. ზმნა, გვ. 1, 4, 5, გვ. 4, ტაბ. I, გვ. 5, ტაბ. II, გვ. 9, ტაბ. III და გვ. 10, ტაბ. IV), ხოლო როცა ობიექტი უნდა გამოიხატოს ზმნაში, მაშინ პლურალობის სუფიქსებად II და III პირში ჩნდება -ხ (ვ. თოფურია, ზმნა, გვ. 15 — 16 და ტაბ. V).

დ აფიქსი ამჟამად სამართლიანად ქართველურ ფორმანტად არის მიჩნეული (შეესატყვისება ქართულ-ზანურს თ-ს), ხოლო ხ-ს შესახებ ვარლამ თოფურია ამბობს: „-ხ განხილულ უნდა იქნას -ყ ნაწილაკთან და კავკასურ ენებში (ჩერქეზულში, აფხაზურში...)“

¹ მოთხრობითი ბრუნვის ნიშნებისა და წარმოშობისათვის ქართველურ ენებში იხ. არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართულურ ენებში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, X, თბ. 1939.

ანალოგიური ფუნქციით აღჭურვილ მსგავს ფორმანტებთან დაკავშირებით (მ. შუსარდტი, *Georgische* № 280. ყე ნაწილაკი, გვ. 68. ქართ. გრამ. 97, შნშ. В АНХАИИО, 322. К БИПРОСУ АНХ. № 14. АНХА. 18, შნშ. 2)* (იხ. სვან. ზმნა, 9).

უეჭველია, რომ ეს არის მრავლობითობის აფიქსი 'ხ (|| 'ხწ), რომელიც ყველა ჩერქეზული ენა-კილოსათვის ამჟამად სათანადო ძირითადი ფორმანტია როგორც სახელებში, ისე ზმნაში.

ზმნაში 'ხ (|| სწ) გამოხატავს როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის მრავლობითობას, ოღონდ მ ფორმანტისა არ იყოს, ეს აფიქსიც ყოველთვის დამოუკიდებლად არ გამოდის. ეს გარემოება აიხსნება პრეფიქსების პრინატიული მნიშვნელობით ზმნის წარმოებაში და ამ პრეფიქსების უნართ გა მოჰსატონ არა მარტო პირი, არამედ რიცხვიც.

მაგალითები:

ვარ და უვ. ზმნა: არ მათ'ხწ — ის წერს (დამატება აღნიშნული არ არის)

ა'ხწრ მათ'ხწ'ხ — ისინი წერენ (დამატება აღნიშნული არ არის)

ვარ დამ. ზმნა: აშ მათ'ხჯ — ის სწერს რაღაცას

ა'ხწმ მათ'ხჯ — ისინი სწერენ „

აშ მათ'იჯ'ხ — ის სწერს ბევრს რასმე

ა'ხწმ მათ'იჯ'ხ — ისინი სწერენ ბევრს რასმე.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ზმნის სუფიქსი 'ხ გამოჰხატავს, როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის მრავლობითობას. ხოლო იმავე წარმოშობის აფიქსი -'ხწ- მრავლობითობას აღნიშნავს ნაცვალსახელებში.

სარწმუნოა, რომ მრავლობითობის ეს ადიღური ნიშანი ენათესავება იმავე ფუნქციის აფხაზურ ფორმანტს -ქჷწ და სომხურ -ქ-ს.

'ხ-სა და ქ-ს ფონეტიკური შესატყვისობისათვის შეიძლება ვუჩვენოთ ჩერქ. 'ხაბზ || 'ხაბზწ — აფხ. ქაბზ მნიშვნელობით „რჯული“ (კანონი), „ადათი“, „წესჩვეულება“.

მრავლობითის ეს სუფიქსივე უნდა გვევლინებოდეს კავკასიურ ეთნიკის ერთი კატეგორიის მაწარმოებლის როლში (მესხი, ტაოხი, ჯავახი და სხვა). ამის შესახებ ჩვენ აპეციალურად გვექნება საუბარი, აქ-კი აღვნიშნავთ შემდეგს: 'ხწ

ჩერქეზულის ყველა ენა-კილოში აწარმოებს გვარის-სახელებს კრებითი მნიშვნელობით (=ქართ. -იანი და მისთანანი); ამ ფუნქციით იგი იმდენად ძლიერი ფორმატივია, რომ უცხო გვარების სახელებში ენაცვლება (ამ სახელების ჩერქეზულად ხმარებისას) უცხო სათანადო ფორმატებს: ნალჩიკში გამოცემულს რუსულიდან ნათარგმნ წიგნზე რუსი ავტორის გვარი აღნიშნულია როგორც „ბელოუს'ხან“, რაც რუსული „ბელოუსოვის“ თარგმანია; ესევე სუფიქსი აწარმოებს ჩერქეზულში სატომო სახელებსაც. ასეთია, პირველ რიგში, აბაძახების სახელი — „აბაძახ'ხან“, „აბაძახ“.

ზმნასთან უნდა განხილულ იქნას კითხვითი ნაწილაკები. კითხვასვანთურ ზმნაში გამოხატულია ზმნის ფორმის ბოლოში დართული ელემენტებით: ა (ჰა), ან ან მო, მიუთითებს ზ ა ე ა დ ს კ ი (გვ. XXI). აა, ალბათ, ფონეტიკურ ნიდაგზე მიღებული ვარიანტია -ა-სი, რომელიც საერთო ქართველური კითხვითი ნაწილაკია (=ძვ. ქ. -ა, მეგრ. -ო). ეს ქართველური -ა ფორმატი გენეტურად ენათესავება ჩერქეზულს -ა სუფიქსს, რომელიც იმავე ფუნქციას ასრულებს როგორც სახელებთან, ისე ზმნასთან:

შათ'ხან — წერს!

შათ'ხან? — წერს? (ასე ყველა პირში!)

ის . — ზის! (ოთახში, ორმოში...)

დანს — ზის! (ბაღში...)

ისა? — ზის? (ოთახში, ორმოში...). ეხლ-

შინ არის თუ არა?

დნსა? — ზის? (ბაღში...) შინ არის

საერთოდ თუ არა?

ზიზვეი ა'ხანშ ადმაჯა? — ზიზვეიცი მათთან ერთად სწავლობს? (კიახური ანბანიდან)

არ ადმაჯა — ის ბევრთან ერთად სწავლობს მშტუ ინგმ ვაშტანჯრ ჯინ! — ძნელია დიდი თივის თიბვა (კიახური ანბანიდან)

მშტუ — თივა

ინჯ — დიდი

ჯინ — ძნელი

ვაშტანჯრ — ცემა, თიბვა (პირიელი გაფორმებით)

მშტუ ინგმ ვაშტანჯრ ჯინა? — დიდი თივის თიბვა ძნელია?

რაც შეეხება -მა ნაწილას სვანურში, მას განსხვავებული მნიშვნელობითი ნუანსი უნდა ჰქონდეს. ზ ა ვ ა დ ს კ ი ს ნ ა გ ა ლ ი თ ი თ :
ონფუშედ-მო? — *впустить-ли?* (გვ. XXI).

უ ს ლ ა რ ი ს მ ა გ ა ლ ი თ ი თ :

მახუში ქორს არი-მო? — *хозяин дома есть-ли?* (дома-ли хозяин)?

ქორს არი! *дома есть* (გვ. 109).

ვ ა რ ლ ა მ თ ო ფ უ რ ი ა ს ც ნ ო ბ ი თ , 'შესაძლებელია აგრეთვე ფორმა „არი მა“

ზემოთ მოტანილი მაგალითები გვაფიქრებინებს, რომ მა||მო ნაწილაკი თუბით (უარყოფით)-კითხვით ფორმას აწარმოებს.

მა||მო ფორმანტი ფორმალურად ძალიან ახლოს დგას აფხაზურთან, სადაც სუფიქსი -მა კითხვითი მნიშვნელობის მატარებელია. მაგრამ აფხაზური -მა ამჟამად წმინდა კითხვას აწარმოებს: უცრმა? — მიღიხარ? ჩაჯმა? — ცხენია?¹ ჩვენ ვამბობთ — ამჟამად, რადგანაც გვაქვს საფუძველი წინამორბედი ეპოქისათვის სხვაგვარი ვითარება ვიგულისხმობთ: ცალკე მ აფხაზურში უარყოფითობის მნიშვნელობას გამოჰხატავს (უცრმ — არ მიღიხარ, ჩაჯ — ცხენი არაა), მაშასადამე, კითხვით მნიშვნელობას -მა აფიქსში სწორედ ა ხ მოვანი ჰქმნის.

რაც შეეხება ჩერქეზულ ენებს, იქ კითხვითი ნაწილაკების სისტემა უფრო ნათელი ჩანს თითქოს. მ||მჯ უარყოფითობის აფიქსია². როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, დადებითი კითხვის აფიქსი არის -ა (ჩვენი მასალები კიაზურიდანაა)³.

ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ ორი აფიქსის შერწყმა მოგვეცემდა თუბით (უარყოფით)-კითხვით ფორმას. სამწუხაროდ, ამჟამად ჩვენ ხელთარსებული მასალები ნაკლოვანია. ამ მასალების მიხედვით, გვაქვს:

-ზ ა ფ ი ქ ს ი .

ჭინ — ძნელია

ჭინბა? — ძნელია არა, განა? (*трудно, не правда-ли?*)

¹ აფხაზურში გვაქვს სხვა კითხვითი ნაწილაკებიც. მათ შორის ყურადღებას იქცევს -უ (უცოფ? ჩაჯ?), რომელიც შესაძლოა ქართ. ა-ს აფხაზურ შესატყვისობას წარმოადგენს (შდრ. მეგრ. -ო).

² ყაბარდოულისათვის ამის შესახებ იხ. გ. ტურჩანინოვისა და მ. ცაგოვის ზემოთდასახ. ნაშრომი, გვ. 92, 117—122.

³ ყაბარდოულში — ტურჩანინოვი და ცაგოვი, გვ. 119.

- არე — ჰო!

არბა? — არა, განა? (не правда-ли? да, нет? რუსული თარგმანები ჩემს კიახელ ინფორმატორებს ეკუთვნის).

ხომ არ მოდის ზა მა-საგან?

კიახურში, ამას გარდა, გვაქვს ფორმანტი -ში:

კინნი — თუმცა ძნელია (хоть и трудно)

კინნი ვაჭუნ — თუმც ძნელია, მოსთიბავ (хоть и трудно, нудешь косить).

ყაბარდოულის შესახებ ნ. იაკოვლევი ამბობს, რომ ამ ენაში „ირიბი ბრუნვა“, ე. ი. დამოკიდებული (придаточное) წინადადება კითხვითი მნიშვნელობით, იწარმოება მა ანუ ნი სუფიქსების მეშვეობით:

Ар к'уаама, са сщ'аркым

Я не знаю, поехал ли он.

Ар к'уанутами, са сщ'аркым

Я не знаю, поехал ли бы он¹.

კილოებში ნ. იაკოვლევი უჩვენებს კითხვითს, თუბით-კითხვითს (сомнительно-вопросительное) და დადებით-კითხვით (подтвердительно-вопросительное) კილოებსაც².

გ. ტურჩანინოვიც ადგენს 3 კითხვით კილოს; ამათგან: 1. კითხვითის ნიშანი ნაწყობში არის „акцентированное временное а“, ხოლო მყოფადში — ასეთივე ხასიათის -უ (მდრ. აფხ. -უ! — ს. ჯ.), აწყობში-კი — რწ. უარყოფითი ფორმის წარმოებისას კითხვით კალოში ჩვეულებრივად ზედ ერთვის მ უარყოფა, რომელიც ზმნის ძარის წინ დაისმის³. ესევე მ ნაწილაკი აწარმოებს უარყოფით ფორმებს ნებათვითს (позволительное), ნატვრითსა (желательное) და პირობით კილოებშიო⁴.

ჩერქეზულის კითხვით ფორმებთან კავშირშია ძველი ქართული -მე ნაწილაკი, მაგრამ ამის შესახებ — ცალკე.

¹ Проф. Н. Ф. Яковлев, Краткая грамматика кабардино-черкесского языка. Вып. I: Синтаксис и морфология, Ворошиловск, 1938, გვ. 64.

² იქვე, გვ. 91.

³ დამოწმებული ნაშრომი, გვ. 119—120.

⁴ იქვე, გვ. 121—122.

კავშირები

სვანურს მოეპოვება სრულიად თავისებური, ქართველურ ენათა თვალსაზრისით, კავშირი **o**. ის ისმის ჩვეულებრივად შესაკავშირებელ სიტყვათ შუა, მაგრამ შეიძლება დაისვას მათ შემდეგაც განწეორებით: სიი მიი — შენ და მე (ზავადსკი, XLVIII). ნ. მარს შენიშნული აქვს, რომ ეს იგივეა. რაც **o** კავშირი აფხაზურში, თუმცა თვით ურთიერთობის ხასიათი გარკვეული არა აქვს¹.

ეს კავშირი საერთოა აფხაზურისა და ჩერქეზულისათვის. კიახურში ის იხმარება, როგორც ქართ. „და“-ს, ისე ქართ. „ც“-ს მნიშვნელობით. აი, მაგალითები ანბანიდან:

ნანო სასი მადნ — დედა (ნან, ნანა) და სასი (სას, სახელია) ჰკერავენ.

ზიზვეი ზაზი ზვეი ზნდაჯანხ — ზიზვეი, ზაზი და ზვეი (ზიზვე, ზაზ, ზვე სახელებია) ერთად სწავლობენ.

ნანვეი დახნე მათხნ — ნანუც (ნანვე, სახელია) ლამაზად წერს.

ლექსიკა

საყურადღებო შეხვედრები ნოვპოვებათ სვანურსა და ჩერქეზულ ენებს ლექსიკაშიაც. ის ფაქტები, რომლებზედაც ნ. მარი ამყარებდა თავის მტკიცებას საერთო ფენის არსებობის შესახებ აფხაზურსა და სვანურში, ლექსიკური ფაქტები იყო: გარდა **o** კავშირისა (იხ. ზემოთ). რომელსაც ჩვენ მისი სინტაქსური ბუნების თვალსაზრისით განვიხილავთ, მარი ნიუთითებდა აგრეთვე თოვლის აღმნიშვნელი საერთო სიტყვის ქონებაზე ამ ორ ენაში. ეს ფაქტი თავდაპირველად პ. კარაიამ შენიშნა² და დაათვას იგი, როგორც ამ ენების ნათესაობის ფაქტი, მარმა-კი აქ დაინახა აფხაზური ფენის შემკვიდრება სვანურში. ამასთან ერთად, მარმა სამართლიანად მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას რომ სოვნა

¹ „Из исследований в моей собственной работе О полож. абх. яз. среди яфетических спешу здесь указать на случаи принятия $i >$ (после гласного) „y“ в выражении მბე-უ, აფე-უ и т. п. на стр. 11, хотя я гадательно, за сурфикс Р. падежа, тогда как в данных примерах это союз и (русск.), наличный в том же виде i и в сванском“ (Н. Марр, Из лингвист. поездки в Абхазию, СПб. 1913).

² П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, СПб 1912.

ზნისათვის სვანურში გამოყენებულია განსხვავებული, უკვე ქართველური, ძირი „შღვ“¹. ვ. თოფურიას გამორკვეული აქვს რომ სვანური შდღუვე „თოვს“ არის კანონზომიერი შესატყვისობა ქართული ფორმისა „თოვს“².

აფხაზურში თოვლის აღმნიშვნელი სიტყვა ამჟამად წარმოღგენილია „სგ“ ფუძით. შეპიტყვებებში ეს ფუძე შეიძლება შეიკვეცოს და მიოლოდ თანზოვანი დარჩეს. ფუძის ამ შედგენილობის თვალსაზრისით ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზური ფუძე ბევრად უფრო დაშორებულია სვანურისაგან, ვიდრე, — შეკველია იმავე ძირის და. — იმავე ცნების აღმნიშვნელი ჩერქეზული ფუძე. სიტყვა 'თოვლისათვის' ჩერქეზულის ლექსიკოგრაფები უჩვენებენ:

ყაბარდოულში — უშხ, ასევეა ჩემი ჩანაწერებითაც, ხოლო
კიახურში — ჭასგ (ჩემი ჩანაწერი, ბზადულურისათვის);
yocce (ლაჟლაჟ).

ამ ფაქტისადმი ინტერესი უფრო გაიზრდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩერქეზულს ხვდება აგრეთვე სვანური.

უჩხა || ჭუჩხა — წვიმა (ძარი, ლექსიკონი), რომელიც უკვე სრულიად დაშორებულია აფხაზურ აქტა-საგან, იმავე მნიშვნელობით.

საინტერესოა, რომ სვანური ენა ზნის ფორმებსაც ამავე ძირიდან აწარმოებს. იგივე ძარი უჩვენებს დიალექტურ ფორმებს სიტყვისათვის 'წვიმებას':

ლა-ჯჩხე, უჩხე. ჯუჩხე.

'წვიმა' სიტყვისათვის ყაბარდოულში ლ. ლოპატინსკი (ლექსიკონი) უჩვენებს:

ошх

ხოლო Русско-кабардинский словарь, გამოცემული სსრკ ხალხთა ცენტრალურ გამომცემლობის მიერ (ქვემოთ ყველგან — რუს.-ყაბ. ლექსიკონი)

uešx

კიახურისათვის ლაჟლაჟ გვაძლევს:

дождь la pluie — Вуошхэ

дождливый pluvieux — Вуошхиле

дождить il pleut — Вуошхэ-нэшхэ

¹ Н. Марр, К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, СПб. 1912, გვ. 28.

² ვ. თოფურია, ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა ქართველურ ენებში, მიმოხილველი, I, გვ. 201 და განსაკუთრებით — 202.

ჩემი ჩანაწერით (აული აფიფსიფი, შაფსულები)

ქაშ'ხგ, მაგრამ აგრეთვე ქუჭუხანგ.

ნ. იაკოვლევი შლის ამ სიტყვას შემდეგნაირად: სიტყვა 'წვიმა' «ქუშ'ხგ» *о/а* სიტყვა-სიტყვით ნიშნავს 'ზეცა' ანუ 'ჭაერი მოდის წვიმად', ხოლო წინადადება 'წვიმა მოდის' *о/а* *оуе/а* სიტყვა-სიტყვით ნიშნავს 'ზეცა წვიმად მომავალი მოდის წვიმად'¹. შდრ. *иџа* *оиџа* წვიმა მოდის (რუს.-ყაბ. ლექს.). იაკოვლევს მხედველობაში აქვს ალბათ ყაბარდოული სიტყვა ზეცის მნიშვნელობით: *уаџе* (ლოპატინსკი), *уаџе* (რუს.-ყაბ. ლექსიკონი). თუ იაკოვლევს ეტიმოლოგია ზართალია, მაშინ იგივე თავიკიდური ნაწილი უნდა დაგვენახა აგრეთვე სიტყვაში ქუასგ და ზოგ სხვა სიტყვაშიაც, რომელთა შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი. ყოველ შემთხვევაში, ზმნის ფორმა თითქოს საშუალებას უნდა იძლეოდეს გამოყოფილ იქნას ძირი შ'ხ(გ), რომელიც უალოვდება ქართულს შხაპი, შხაპუნა, ლეშხი, შხეპი და სხვა, რის შესახებაც — ცალკე. სვანურში სიტყვა მთლიანად შეთვისებული უნდა იყოს ჩერქეზულიდან, ისევე როგორც მუს 'თოვლი'.

'თოვლი', 'წვიმა' სიტყვების ისტორია სვანურში გვაიძულებს დავსვათ საკითხი, ხომ არ უკავშირდება ჩერქეზულს აგრეთვე

ვეფ.

რომელსაც, ნამის მნიშვნელობით, ლაშხურისათვის უჩვენებს მართათვის ლექსიკონში. აქ მერყეობას იწვევს ის გარემოება რომ ნამისათვის ჩერქეზულში ამჟამად სხვა სიტყვა გვაქვს:

ყაბარდოულში — *уосенс* (ლოპატინსკი)

— *ueseps* (რუს.-ყაბ. ლექსიკონი)

კიახური — *уосенс* (ლაჟულაე),

რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს 'თოვლის წყალი'.

სამაგიეროდ, 'სეტყვას' ლექსიკოგრაფები სთარგმნიან ყაბადოულისათვის:

ye (ლოპატინსკი)

ue (რუს.-ყაბ. ლექსიკ.)

კიახურისათვის: *с х и е* (ლაჟულაე).

¹ Краткая грамматика адыгейского (кряхского) языка для школы и самообразования, 1930 (= ქვემოთ, იაკოვლევი, კიახური გრაჟ.), გვ. 43. — ეს წიგნი ჩვენ ვიშოვეთ, ამხ. გ. როგავას თავხიანობის წყალობით, მხოლოდ მას შემდეგ, რაც აწყობილი იყო ამ წიგნის დიდი ნაწილი. ამიტომ მისი გათვალისწინება მორფოლოგიური საკითხების განხილვის დროს სამწუხაროდ ვერ მოხერხდა.

ყაბარდოული ფუნ მატერიალურად ძალიან ახლოს დგას სვანურ ფუნდ-თან, სემასიოლოგიურადაც 'სეტყვა' და 'ნამი' ცნებებს შორის ისტორიულ-გენეტიკური საკავშირო ძაფის გაბმა შეუძლებელი არ უნდა იყოს.

ამ სიტყვებში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ისინი მთავარ ატმოსფერულ მოვლენებს აღნიშნავენ... ცალკე საკვლეფია ამ სესხებათა ფონეტიკური მხარე, რისთვისაც ანეამად ჩვენ მასალა გვაკლია...

აშკარა ნასესხობას წარმოადგენს ჩერქეზულიდან სვანური
 ლემესგ — ცეცხლი.

ნ. მარი (ლექსიკონი) უჩვენებს სიტყვის დიალექტურ ვარიანტებს: ლემესკ, ლემესქ, ლემეს და სირად გამოპყოფს: მსგ > მს. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია რომ ლე- პრეფიქსია.

სიტყვა უკავშირდება ჩერქეზულს

მასკან — ნაპერწყალი (შაფსულური, სოფ. აგუჟ; ჩემი ჩანაწერით)

мас'ке — маска (ყაბ., ლოპატინსკი)

• mask'e — იგივე (რუს.-ყაბ. ლექსიკონი).

'ცეცხლი' ჩერქეზულად იქნება:

ма'фe (ყაბ., ლოპატინსკი)

mafe (რუს.-ყაბ. ლექს.)

მასაჟა (შაფსულური, აგუჟ; ჩემი ჩანაწერით), რაც, იქნებ, იგივე მასკან იყოს, ფონეტიკურად სახეცვლილი სემანტიკური დიფერენციაციის ნიადაგზე.

ასევე პრობლემატურად შეიძლება წარმოვადგინოთ თვით მასკან-ს ეტიმოლოგია დაკავშირებით ზმნასთან 'წვა', რომელსაც ლექსიკოგრაფები სთარგმნიან:

ссых — гореть (ლოპატინსკი)

сын мафem — гореть (რუს.-ყაბ. ლექს., სიტყვა-სიტყვით: 'ცეცხლის წვა!'). აქედან შესაძენ პირის ფორმა 'იწვის' იქნება

მას (ყაბ., ჩემი ჩანაწერით).

ამიტომ, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ: მასკან ← მას+კან = 'იწვის'+ 'კული' → 'ცეცხლის კული', თუ ასეთი სიტყვაწარმოება ზმნის პირიელი ფორმისაგან ჩერქეზულისათვის შესაწყნარებელია.

სვანურში შეთვისებულია სიტყვა მთლიანად სწორედ 'ნაპერწყლის' მნიშვნელობით და აქედან საკუთარი მორფოლოგიური საშუალებებით (ლე-!) გაკეთებულია ლემესგ || ლემესგ 'ცეცხლი' = 'სანაპერწყლე'. ასეთი წარმოება სვანურში (ლე- — ქართ. ზა — რ/ე) ცნობილია: შდიმ, 'ყური' — ლეშდიმ, 'საყურე'; წიფრა, 'წი-

ფელა' — ლეწფერ, 'წიფლნარი', 'სა-წიფელ-ე'... სტრუქტურულ ანალოგიას წარმოადგენს ხომ თვით ქართ. ცეცხლი ← სე-ცხ-ლ-ი, მეგრ. და-ჩხ-ირ-ი...

საყურადღებოა რომ სვანურს იგივე პრეფიქსი გამოუყენებია გაორმაგებითაც ახალი მნიშვნელობის საწარმოებლად:

ლალამესგ/კ — კერა, ე. ი. საცეცხლე; კერიდან წალბებული ცეცხლი მის სხვაგან დასანთებდად; კვეს-აბელი (ლაში.)

ლალმესგ — კერა (ბალსზემოურ კილოებში)

ლალმესგო, ლალმასკ — იგივე დიალექტურად (მარი, ლექსიკონი).

ინტერესს იზიდავს 'კვეს-აბელის' მნიშვნელობა: 'ნაპერწყლის' გამჩენი ეს უძველესი იარაღი შეიძლება ერთს უძველეს გზათაგანს წარმოადგენდეს თვით ლექსიკური ურთიერთობისათვის.

ამ ფუძესთან დაკავშირებით უნდა განხილულ იქნას ჭან. მწყკა, ქართ. ნა-პერწყალი და სხვები, იქნებ აგრეთვე მასკულაციც.

ლემესგ ზემოთმოტანილ ჯგუფთან ერთად ჩვენ განვიხილეთ იმიტომ, რომ მისი მონათესავე (თუ არ ვცდებით) სიტყვები სხვა ქართველურ ენებში ისევ "ზეციურ სამყაროს" უკავშირდებიან.

მკიდროდ არის დაკავშირებული ჩერქეზულ სამყაროსთან სვანური სოციალური ტერმინები ფუსდ და ვარგ, მაგრამ რადგანაც ამ საკითხს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, იგი ჩვენ ცალკე წერილის საგნად გვაქვს გამოყოფილი.

ერთმანეთს ხედებიან სვანური და ჩერქეზული (ადიღური) ენები სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგიის, კერძოდ — შინაური ცხოველების სახელთა სფეროში. ასე, ადიღურიდან უნდა იყოს სვანურში შეთვისებული

ღველიაქ — ცხვარი, ვერძი.

ნ. მარი (ლექსიკონი) ურვენებს ამ სიტყვის დიალექტურ ფორმებს: ღოლიაქ (ლაში.), ღოლჯაქ (ჩოლ. და სხვა), ღოლაქ (ეცერ. და სხვა), ჯელიაქ (იფარ.), ოლიაქ (უშგ.), ოლაქ (ლახამ.). უკანასკნელი სამი ფორმა უეჭველობით ადასტურებს ისედაც სავარაუდებელს (დ ბგერის სათანადო ისტორიის მიხედვით სვანურში) მოსაზრებას, რომ თავკიდური ღ გაჩენილია და რომ სწორედ იფარულ-უშგულურ-ლახამულური ფორმები წარმოგვიდგენენ, ამ მხრივ, ფუძის თავდაპირველ სახეს (სანალოგიოდ შდრ., სხვა ცნობილ ფაქტებს გარდა, ნ. მარის ლექსიკონში იქვე ნა-

ჩვენები ღვაზ 'ვაზი', ღვანა || ონა 'ღრო', ღვეზღ || ვეზღ 'უკან'.
სიტყვა თითქოს ფუძემდგენილი უნდა იყოს:

ტელ (ოლ) + აჰქ (იაქ || აქ).

პირველი ნაწილი იგივეა, რაც ადიღეური 'ცხვარი', 'ვერძი

ყაბ. mel — баран (ლოპატინსკი)

mel — баран (რუს.-ყაბ. ლექს.)

კიახ. melə — овца (იაკოვლევი)

მწლ. || მწლჳ — ცხვარი (ჩემი ჩანაწერი).

-აჰქ უღრის ქართ. სა — ო-ს (აკ. შ ა ნ ი ძ ე, ვ. თ ო ფ უ რ ი ა).
ასე რომ მთლიანად წარმოება ნიშნავს 'სა-ტელ-ო'; რა აზრით?
შდრ. ძვ. ქართ. 'სა-ცხოვარ-ი', საბას განმარტებით — 'ცხვრის არ-
ვე'. ხომ არ ჰქონდა სიტყვას სვანურში ასეთივე მნიშვნელობა? ან
ხომ არა გვაქვს ტავტოლოგიური, ორმაგი. უცხო და მკვიდრი
ფორმანტებით, აფიქსაცია: 'სა-ხორც-ო', თუ მართალია ნ. ი ა -
კ ო ვ ლ ე ვ ი ს ე ტ ი რ ო ლ ო გ ი ა?

ნ. ი ა კ ო ვ ლ ე ვ ი ამ სიტყვაში me-ს პრეფიქსად მიიჩნევს და
ფუძის დარჩენილ ნაწილს ააგივებს [ჰ ძირთან, რაც 'ხორცს' აღ-
ნიშნავს (კიახ. გრამ., 53).

ლ. ლ ო პ ა ტ ი ნ ს კ ი (ლექსიკონი) ყაბარდოულს ამ შემთხვე-
ვაში აახლოებს ბერძნულ τὸ μῆλον-თან.

სიახლოეს აჩენენ

სვან. უინალ

და ყაბ. წყხე (ლოპატინსკი)

წყхе (რუს.-ყაბ. ლექს.)

ორსავე ენაში — 'ბატკნის', 'კრავის' მნიშვნელობით. შდრ. აგ-
რეთვე ჯო 'ცხვარი', ჯა 'ცხვრის ფარა', ჩანურში (У с л а р, Ч е -
ч е н с к и й я з ы к, 174). (აქვე ქართ. 'ჯოგი'?).

ჩერქეზულ-აფხაზური სამყაროსაკენ, უფრო პირველისაკენ —
თითქოს, იხრება სვანური.

ხმ — ღორი (ზავადსკი, დასახ. ნაშრომი, ლექსიკონი).

სათანადო სიტყვას ადიღეურ ენა-კილოებში მრავალი დია-
ლექტური ფორმა აქვს. ჩემი ჩანაწერით:

ყაბ. ვჳჳ

ბასლ. ვჳჳ

აბაძეხ.-მანხ. ვჳჳ

ჰენგ.	ვტჷ
შათს. (აფიფსიფი)	ხტჷ
შათს. (აგუჲ)	ხტჷ, ხჷტჷ

იმავე ძირისაა აფხ. ა-ჰრა. ჩერქეზულსა და აფხაზურს ეენე-ტურად ენათესაებუა ქართ. ლო-რ-ო. სვანური ფორმის წარმომავლობის გზა კი საკვლევია¹.

დასასრულ, სვანურივე ჩჷჷ 'ცხენი' უახლოვდება, როგორც ეს უკვე აღნიშნული აქვს პ. ჰარაიას, დასახ. ნაშრონი, § 10, 128, იმავე ცნების აღმნიშვნელ აფხ. ა-ჩჷ და ჩერქ. შჷ-ს (ყაბ.: шш, ლოპატინსკი, ჰყ, რუს.-ყაბ. ლექს.; კიახ. шш, ლჷულჲე, შჷ, ჩემი ჩა-ნაწერი).

ევეი არ არის, ჩერქეზულიდან შეთვისებული აქვს სვანურს ნაცვალსახელი

ხჷდა которын (ზავადსკი), რომელი.

კიახურში გვაქვს:

хет, хета; pl. хетэх, хетха, 'ვინ' (ამოღებულია „ანბანი-დან“).

ყაბარდოულში:

хет — кто (ლოპატინსკი)

хет — кто (რუს.-ყაბ. ლექსიკ.).

სათუქრებელია, რომ ა ჩერქ. კითხვითი ფორმანტიდან მომდინარეობს. შესაძლოა, ამასთან დაკავშირებით, хет თავდაპირველად მიმართებითი ნაცვალსახელი ყოფილიყო. ლოპატინსკი თავის ლექსიკონში სიტყვა которын-ს ქვეშ აღნიშნავს: „относительного местоимения нст“, კითხვითი ნიშნელობით-კი უჩვენებს дет-хенер?

ჩენი ინფორმატორები ნიუანსს ხელაღდენ ანიანსა და უ-ანო ფორმებს შორის:

хет = кто?

хета = кто это?

გ. ტურჩანინოვი (გრამ., 79; შდრ. გვ. 52) ყაბარდოულში хат-ს უჩვენებს, როგორც კითხვით ნაცვალსახელს 'ვინ'-ის მნიშვნელობით (განეკუთვნება მხოლოდ ადამიანსო). ნ. იაკოვ-

¹ ქართული ჩერქეზულთან ამ შემთხვევაში დაახლოებული ჰქონდა უკვე პ. ჰარაიას, დასახ. თხზ., § 10, 141; მარი-კი იქვე სვანურიდან იგონებს მხოლოდ ყერ-ს.

ლევითა თვის ყაბარდოული ენის გრამატიკაში (გვ. 73) გვაძლევს ტრანსკრიფციას (რუსული ასოებით) хат. იქვე იაკოვლევით ამტკიცებს: „относительных местоимений в кабардинском языке не имеется“.

ამრიგად, დონიანი სახე ამ ნაცვალსახელისა ახალ ლიტერატურაში დადასტურებული არ არის.

მხოლოდ ლაულაე თავის ლექსიკონში იძლევა ასეთ დაწერილობას:

кто, qui — хель.

დიდად საყურადღებოა ჩერქეზულისა და სვანურის შეხვედრა 'მზე' და 'ღლე' ცნებების აღმნიშვნელ სიტყვებში, მაგრამ რადგანაც ეს საკითხი ეხება ყველა ქართველურ ენას, იგი ჩვენ განხილული გვაქვს ჩერქეზულ-ქართულ-ზანური პარალელებისადმი მიძღვნილ წერილში.

დასასრულ, მოვიხსენიებთ ზოგიერთს ჩვენ მიერ შემჩნეულს ნამდვილსა თუ შოჩვენებითს ლექსიკურ შეხვედრას ადილეურსა და სვანურს შორის. მათგან ყველაზე ნაკლებ საექვო გეგონია

სვან. ფაყუ — ქუდი

ფაყუ — ქუდი (ქემგ., ჩემი ჩანაწერი)

კიახ. пагучо — шапка, un bonnet (ლაულაე)

ყაბ. пaa (ლოპატინსკი)

рyè (რუს.-ყაბ. ლექსიკონი).

ამ დაპირისპირებასთან დაკავშირებით ვ. თოფურიამ მიჰქცია ჩვენი ყურადღება მეგრულ გამოთქმას გეფაყუ.

სვან. ჯვოღია — შორეული, ნაჯვღა — დაშორებული (ზავადსკი)

ყაბ. жыже — далекий; нар. жыжо (ლოპატინსკი).

სვან. დადილ — цветок (ზავადსკი)

ქან. დადალი — цветок, цветы (на земле, не на деревьях) ||

დადა; ფერი-დადალი жирная трава (მარი, ქან. ლექს.)

ყაბ. дадиј махьва (ლოპატინსკი).

СВАНСКО-АДЫГЕЙСКИЕ (ЧЕРКЕССКИЕ) ЯЗЫКОВЫЕ ВСТРЕЧИ

Резюме

В статье рассматриваются некоторые факты морфологии, синтаксиса и лексики сванского языка, в свете генетических связей и интенсивных исторических взаимодействий между черкесскими (адыгейскими) и картвельскими языками. По отношению к собственно сванскому языку автор считает возможным утверждать о существовании черкесского (адыгейского) слоя в этом бесспорно коренном картвельском языке. В доказательство этого положения:

1. Дана попытка различное в сванском склонение имен разбить на две основных системы — I. господствующую, ведущую и II. подчиненную, пережиточную; факты двойной (и даже тройной) падежной аффиксации (обычно по схеме: флексия: II системы + флексия I системы; очень редко — в обратном порядке) могли бы послужить основанием для выделения склонения мешаного типа (к этому последнему не могут быть отнесены редкие случаи использования в двойной аффиксации флексии одной и той же системы, обычно — II-ой, реже — I-ой).

Указанные две системы склонения сванского языка различаются не только материально, но и по морфологическому принципу: I система находится в полном соответствии с системой склонения в остальных картвельских языках и потому должна быть признана органической для сванского также; II система резко отличается от системы склонения картвельских языков неизменностью флексии для ряда косвенных падежей (родительного, дательного...), а также для эргативного падежа, причем некоторые различия в форме данного окончания по падежам автор объясняет на фонетической почве; сама падежная флексия данной системы, долженствующей быть признанной, по указанным чертам, «чуждой» с точки зрения морфологии картвельских языков, представлена согласным *m*, которому, в определенных фонетических условиях, предшествует гласный *a* или *e*. Примеры склонений:

I («органической»
системыN. *nati* родственник, доляE. *natiḍ*G. *natiš* || *natii*D. *natis*I. *natišv*

II системы

xāda который*xāḍem**xāḍem**xāḍam**(xāḍamšv)*

мешаного типа

N. *xoča* хорошийE. *xočemḍ*G. *xočemiš* || *xočemi*D. *(xočam)*I. *xočamšv*

(Все примеры — из парадигм Завадского).

Неизменяемость флексии II склонения выдерживается особенно строго при склонении имен прилагательных в сочетании с именами существительными, которым они предшествуют.

Примеры двойной аффиксации флексий

II системы

N. *mišgvi* мой*xoča*E. *mišgvad* || *mišgvemnet**xočēmnet*

Пример двойной аффиксации флексий I системы

(по верхнебабальским наречиям; сообщение В. Т. Топуриа):

N. *xeda* которыйE. *(xedāšnēm)*G. *xedāšiš*D. *xedāš*I. *xedāššv*

форма эргативного падежа из данного склонения *xedāšnēm* сугубо интересна: здесь в двойной аффиксации картвельская флексия (-iš) предшествует «чуждой» (-ēm). Инфикс -n требует особого рассмотрения.

Автор считает, что пестрота и своеобразие сванского склонения объясняется интенсивным взаимодействием сванского языка с другими кавказскими языками и что II система сванского склонения усвоена, как в структурном смысле, так и в материальной части, от одного из адыгейских языков. Флексия II системы *-т* есть флексия *-т* т. н. «косвенного падежа» адыгейских языков.

Этому положению не противоречит гласное и согласное «сопровождение» данной флексии в сванском: предшествующий гласный появляется и в адыгейском при склонении основ с согласным исходом; последующий *i* для родительного п. (остаток картвельской падежной флексии *-iʃ*), а также наращение картвельских формативов в творительном и направительном падежах находят аналогию в структурной особенности адыгейского склонения, где флексия *-т* для производства некоторых косвенных падежей (родительный, творительный) нуждается в дополнительных языковых средствах. При этом автор не исключает возможности объяснить наращенный *i* в родительном падеже сванского склонения мешаного типа воздействием адыгейского притяжательного местоимения *i* || *ij* || *ʒ*.

2. Подчеркивается значение уже отмечавшейся в литературе (Шухардт, Топуриа...) связи суффикса множественности в сванском глаголе *-х* с подобным же суффиксом множественности в адыгейских языках; при этом указывается, что данный суффикс в сванском глаголе выражает как субъект (III лицо), так и объект (II и III лица), что находит себе аналогию в адыгейских языках. Автор считает, что в данном случае мы также имеем заимствование адыгейского морфологического элемента, суффикса множественности имен и глаголов — *'x^a*, в связи с которым должны быть рассмотрены аналогичные суффиксы абхазского (*kwa*) и древнеармянского (*к*), а также одной группы кавказских этнических наименований (*шес-х-i*, *тао-х-i*, *зава-х-i*...).

3. Ставятся в связь с вопросительными частицами в адыгейских (а также — в абхазском) языках вопросительные частицы сванского глагола *а* (*ја*), *то* || *та*; при этом автор *а* (|| *ја*) считает, в качестве утвердительно-вопросительной частицы, общим

достоянием картвельских и западнокавказских языков, а *та* (и его фонетические варианты) рассматривает, в качестве отрицательно-вопросительной частицы, сложным, по происхождению, формантом: отриц. *т* (зап.-кавказ. яз.) + вопр. *а*. Автору кажется, что сложный характер последнего суффикса более убедительно показан на материале адыгейских языков.

4. Признается заимствованным из адыгейского сванским союз *i*, являющийся общим как для адыгейских языков, так и для абхазского; в пользу адыгейского говорит комплекс отношений между данными языками.

5. Указывается на ряд лексических заимствований в сванском из адыгейского:

- a) *mus*, 'снег' — каб. $w^{\circ}s$, кях. *wasə*
- b) *učxa* || *wičxa*, 'дождь' — каб. $w^{\circ}šx$, кях. *wašxə*
- c) *wed*, 'роса' — каб. w° , 'град' (с допущением большей первоначальной семасиологической близости)
- d) *lemesq* || *lemesg* || *lemesk*, 'огонь'; *lalamesq* || *lalmesk*..., 'очаг' (основа — *mesq*, *le* || *la* — префикс назначения, места...) — каб. $mašq^{\circ}$, кях. (шапс.) $mašq^{\circ}$, 'искра' (для адыгейского слова проблематично предлагается этимология «огненный хвост» от глагола *səp*, 'гореть')
- e) *γweljāk* || *weljāk*, 'овца', 'баран' (основа — *wel*) — каб. $m^{\circ}l$, 'баран', кях. $m^{\circ}lə$, 'овца'
- f) *xāda* || *xeda*, 'который' — каб. $x^{\circ}l$, кях. $x^{\circ}t$, $x^{\circ}ta$, 'кто'.

6. Сближаются между собой:

- a) сван. *žipaγ*, 'ягненок' — каб. *žəp^{\circ}*, 'ягненок'
- b) сван. *xāt*, 'свинья' — каб., бессл. *qwa*, чемг., бзед., абадз. qw° , шапс. xw° , 'свинья' (также абх. *a-hoa*, *id.*).
- c) сван. *paγv* — каб. *pə'ā*, кях. *paγvə* (Люлье), 'шапка'
- d) сван. *žvodia*, 'далекий', *pažvda*, 'удаленный' — каб. *žəž^{\circ}*, нар. *žəžə*, 'далекий', 'далеко'
- e) сван. *dadil*, 'цветок' (чан. *dadali*, 'цветок', 'цветы (на земле, не на деревьях)' || *dađa peri-dadali*, 'жирная трава') — каб. *dadij*, 'мальва'.

7. Сближаются между собой также сванские и адыгейские социальные термины (*pusd* — *pəə*, *vərg* — *wərg*), но рассмотрение этого вопроса автором исключено из данной статьи.

ჩერქეზული (ადიღუბი) მღვმანტი საქართველოს ტოპონიმიკაში¹

(ისტორიული პრობლემები ქართული ონომასტიკონის ხინათლეზე. I)

უძველესი, მწერლობამდისეული, ისტორიის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ონომასტიკონს. ისტორიულ წყაროთა ამ კატეგორიის (პირის, გვარის, გეოგრაფიული ობიექტების სახელები...) მნიშვნელობა ადვილად საგრძნობია საქართველოსა და, საზოგადოდ, კავკასიის ისტორიისათვისაც. ტოპონიმიკა, კერძოდ, ერთადერთი წყაროა საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის გასარკვევად იმ ხანისათვის, რომელსაც წერილობითი გარდმოცემის შუქი ვერ სწვდება.

ამავე დროს ტოპონიმიკა მეტად რთული კატეგორიაა ისტორიული წყაროებისა, კერძოდ — თავისი ადვილად ცვალებადი ხასიათის წყალობით, და იმავე მიზეზით მკვლევრისათვის საკმაოდ მესხლელტ გზას წარმოადგენს. საკმაოა აქ დავასახელოთ საქართველოს გეოგრაფიულ სახელთა ცვლილების ორიოდე მაგალითი: 1. ძველი ქართული „ცხუმი“ || „ცხომი“ (აქედან გვარები: ცხომარია, ცხომელიძე) თურქულ მეტყველებაში, რომელიც სიტყვის დასაწყისში თანხმოვანთა თავმოყრას ვერ ითმენს და რომელსაც არც აფრიკატი „ც“ მოეპოვება, სახეს იცვლის „სუხუმ“-ად, რაც ბატონდება კიდევაც; 2. არა ნაკლებ ცნობილი საქართველოს ძველ ისტორიაში პუნქტი, „კლდე-კარნი“ (კლდე-კარი) თურქულივე მეტყველების წრეში იცვლება „გოდაკლჟარ“-ად, რაც მკვიდრდება რუსულ რუკებზე; 3. „ერთაწმინდა“, სახელწოდება თავისი ძველი ტაძრით განთქმული სოფლისა ქართლში (წითელ ქალაქთან), მოდის „ესტატე წმინდა“-დან (წმ. ესტატეს სახელზე იყო აშენებული ხსენებული ტაძარი); განვითარების მთავარი ეტაპები აქ იქნება: ესტატ-წმინდა → ესტა-წმინდა (დადასტურებული გვაქვს დოკუმენტალურად) → ერთა-წმინდა...

¹ ამოღებულია მოხსენებიდან, რომელიც წაკითხული იყო სტალინის სახ. თბ. სახელმწ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის, კ. მარქსის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილს, საჯარო სხდომაზე 1933 წლის 26. VII-ს და ოთხი უნივერსიტეტის კონფერენციაზე 1936 წ. 28 მაისს კ. თბილისში

ცხადია, რომ ტოპონიმია ადვილად შესაძლოა ზღვა შეც-
თომების წყაროდ იქცეს, ზეთოლოლოგიური სიმკაცრის ოდნავი შე-
სუსტების პირობებში. გასაგებია აგრეთვე, რომ ტოპონიმიაში ყვე-
ლაზე დიდ სიფრთხილეს მკვლევრისაგან ინდივიდუალური მოვლე-
ნები მოითხოვს და ყველაზე საიმედო მისთვის ტიპოლოგიური ანა-
ლიზი ჩრება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა
გეოგრაფიული სახელების მორფოლოგია...

საქართველოს ტოპონიმის ტიპური მორფოლოგიის მხრივ
განხილვისას ჩვენი ყურადღება მიიქცია დას. საქართველოს გეო-
გრაფიულმა სახელებმა -ფსა დაბოლოებით, პირველ რიგში —
სუფსა-მ, დიდმა მდინარემ გურიაში. ფორმანტის გამოყოფაში
გვშველიდა იმ მთის (და სოფლის) სახელი, სადაც სათავე აქვს ამ
მდინარეს: სურები. რადგანაც -ებ აქ ქართული მრავლ. რ.
დაბოლოება ჩანს (შეად. ტოლა და ტოლები, გურიაშივე), საფიქ-
რებელი ხდებოდა რომ მდინარემ სახელი მიიღო მთისაგან: სუ-
ფსა ← სურ - ფსა, ე. ი. „სურის (სურების) მდინარე“.

გეოგრაფიულ (მდინარეების) სახელების ეს ფორმანტი და-
დასტურდა აფხაზეთშიაც: ლაშფსჲ (ერთვის ტბას რიწას),
ხეფსჲ || ხჲფსჲ (ერთვის ზღვას გუდაუთის ჩრდ.-დასავლეთით),
ააფსჲ („ბაკლანოვკა“; ერთვის ზღვას გუდაუთის სამხ.-აღმოსავ-
ლეთით), გუმსჲ (მოდის გუმ-ფსჲდან — გუმის წყალი). იგივე ფორ-
მანტი გვაქვს ანაყოფსთა-ს მსგავს წარმოებებში, სადაც ხეო-
ბის სახელი, აფხაზურ -თა ფორმანტით ნაწარმოები, შეცთომით
გადატანილია მდინარეზე (როგორც „გუმისთას“ შემთხვევაში არა-
აფხაზთა მეტყველებაში; ნამდვილად გვაქვს: გუმ — ადგილის სა-
ხელი, გუმფსჲ → გუმსჲ — მდინარის სახელი, გუმფსთა → გუმსთა — ხე-
ობის სახელი). მართალია, აფხაზურში არსებობს დამოუკიდებლად
სიტყვა „აფსთა“ „ხეობის“ მნიშვნელობით, მაგრამ ცალკეულ ხეო-
ბათა სახელები, მდინარეთა სახელების მიხედვით, იწარმოება არა
ამ სიტყვის შეწვეობით, არამედ მარტივად -თა ნაწილაკის საშუა-
ლებით: ბზფთა — ბზიფის ხეობა, კუადგრთა — კოდორის ხეობა და
სხვა.

ახალი არე მოცემულ სტრუქტურის სახელთა გავრცელებისა
და ნათი სიძველე დადასტურებულია ანტიკური და ადრინდელ-
ფეოდალური წყაროებით. კოროხი, მაგ., ანტიკურ მწერლობაში
ზოგჯერ აკამფსი-დ იწოდება¹. მართალია, ძველი მწერლები

¹ Ἄρριανος Περιπλους... § 9: Geogr. gr. min., p. 374.

ცდილობენ ეს სახელი ბერძნული ეტიმოლოგიის მქონედ გამოაცხადონ, მაგრამ აშკარაა რომ აქაც, ისე როგორც სხვა შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ ადგილობრივი სახელის გააზრიანებასთან გვაქვს საქმე. სომხური ანონიმური გეოგრაფია გვაწვდის დიდად საყურადღებო ცნობას, რომ ქოროხს „ეგრისელნი აკამსისს უწოდებენ, ხალდები-კი — „აკამარ“-ს¹. ამ მოწმობით: ა) ფორმა „აკამსისი“, ე. ი. „აკამსისი“ (შეადრ. გუმსა || გუმფსა) ადგილობრივად იხმარებოდა; ბ) ფუძე ამ სახელწოდებისა სხვა გაფორმებითაც იყო მოცემული, ვინაიდან (კ)აკამ-ფს-ის და კაკამ-არ ერთიანიმავე ფესვის ნაყარი უნდა იყოს (საძიებელია -არ ნაწილაკის მნიშვნელობა; ხომ არ არის იგი ნაშთი ქანურ წკარ || წარ-ისა, „წყლის“ აზრით?). ანონიმი ბიზანტიელი გეოგრაფი, რომელმაც არიანეს პერიპლი შეავსო ახალი ცნობებით, ამბობს რომ მის დროს (V ს. ახ. წ.) მდ. ჰიპს (თანამედროვე აფხაზეთში) ლაგუმფსა ეწოდებოდა. ჩერქეზული ტერიტორიისათვის იგივე ავტორი გვამცნობს რომ ძველ ლაზიკაში „არის ამჟამად ეგრეთწოდებული ნიკოფსის, რომლის ახლოდის მდინარე, ამჟამად წოდებული ფსახაფსის-ად“. იქვე ძველ ახეასთან დასახელებულია მდ. ტოფსიდა².

ნიკოფსია, უკეთ — ნიკოფსი კარგად არის ცნობილი საქართველოს ისტორიიდან და ეს სახელი შენახულია დღემდის ადგილობრივ „ნიგეფსუხვა“-ს (Ничефсухо) სახით; მდ. ნიგეფსუხვას სათავეებთანვე იღებს თავის სათავესაც ჩრდილოეთისაკენ მიმდინარე „ფსაქუფსა“ (Псекупс), რომელიც, რათქმუნდა, არის ანონიმის „ფსახაფსის“.

ამრიგად, -ფსა, როგორც მდინარეთა სახელების მაწარმოებელი ფორმანტი, ექვს გარეშე აღმოჩნდა. ასევე უდავო იყო ჩვენთვის რომ ეს ნაწილაკი არის ჩერქეზული სიტყვა „ფსგ“, რომელიც ნიშნავს „წყალი“, „მდინარე“ და რომელიც აწარმოებს მრავალი მდინარის სახელს, ჩერქეზთა ყოფილს ან აწინდელ ტერიტორიაზე (ფუნქციურად შეადრ. ქართ. „წყალი“: „ცხენისწყალი“ და სხვა). ფონეტიკური შესატყვისობა: ა-და ჯ (ფსა, ფსგ) შესაწყნარებელია (აფხაზურისთვის ეს შესატყვისობა წესსაც-კი შეადგენს)-ამგვარი ჩერქეზული სახელების ამოცნობა ძნელი არ არის რუსულ

¹ *Աշխարհացոյց Մովսէսի Խորենացոյ Կոմսիոսածովբ Նախնաց, Վննաթիւ, 1881, 35.*

² *Известия древних писателей, греческих и латинских, о Скифии и Кавказе. Собрал и издал с русским переводом В. В. Латышев, I. 1893, 83-275, 278.*

რუკებზედაც. იხ., მაგ., ხუთვერსიან რუკაზე: მდ. Туапсе, იმავე სახელწოდების ქალაქთან; მათი სამხრეთით მდ. Шенши და მდ. Макопсе; ტუაფსეს ჩრდილოეთით — მდ. Куженс, ერთვის შავ ზღვას, მდ. Псекупс, დის ყუბანისაკენ, და მისი შენაკადები Хотыш და Чепси; იქვე, დასავლეთით, Бзеенс; მდ. Курджис, ქალ. მაიკოპის რაიონში; Чекупс, ყუბანის ქვემო წელზე; მის აღმოსავლეთით მდინარეები Псебс, Хопс, Кунис, Азипс, Афиис და სხვანი, რომელთა შორის კერძოდ უნდა აღვნიშნოთ მდ. Сунс, ქ. კრასნოდარიდან პირდაპირ ხაზზე, სამხრეთით, სტანიცა კალუჟსკაიასთან.

შემდეგ ჩვენი ყურადღება მიიქცია, თავდაპირველად იმავე სუფსის ახლო მდებარე რაიონში, ანალოგიურმა მაწარმოებელმა - ყვა-მ. ამგვარი სტრუქტურის სახელები თავმოყრილი აღმოჩნდა ხინო-დაგვას მთებთან: მდ. აგიდაყვა, ერთვის ბეუჯს, მდ. აქყვა, ქობულეთთან, მასზე სოფ. აქყვისთავი და სოფ. აქყვა, ჩაქეთან, ფოთთან კიდევ — ცნობილი მდ. მალთაყვა; შემდეგ, იმავე აღნაგობის სახელები, მხოლოდ გართულებული ქართული ადგილის -თ- სუფიქსით: ჯურუყვეთი, ნატანებთან, ბობოყვათი, ციხისძირთან, მურყვეთი, ქოროხზე. -ყვა-ს მნიშვნელობასა და ფუნქციას შესანიშნავად არკვევდა შემდეგი ფაქტი: მდ. აქყვას სათავეებთან ჩვენ ვხედავთ სახელწოდება აქ-ს (სოფელია, ზემო და ქვემო): აქედან არის ნაწარმოები აქ-არა-ც, რომელმაც სახელწოდება მისცა ამ მთების სისჯემას — აქარის ქედი — და თვით ოლქსაც; ცხადია, აქყვანიშნავს აქის მდინარეს ისევე, როგორც სუფსა — სურის მდინარეს; მაგრამ ეს ცოტაა: ამგვარს, უკვე ქართულად ნაწარმოებს, მდინარის სახელს ჩვენ ვხედავთ იქვე — „აქისწყალი“. აქიწყალს სათავე აქვს იმავე მთებში, სადაც აქყვაა, ისინი მხოლოდ სხვადასხვა მხარეს დიან. აშკარაა, რომ აქყვა და აქისწყალი ერთიდაიგივე სახელია, სხვადასხვა ენაზე გამოთქმული.

შემდგომმა ძიებამ ამავე ჯგუფის სახელები აღმოაჩინა სხვა რაიონებშიაც: ბოყვა (შეადრ. ბობოყვათი), რაქაში, აყვა (ასე ეძახიან აფხაზები სოხუმს) და აბეაყვა — აფხაზეთში. დოც. იასე ცინცაძემ. ჩვენი მოხსენების გამო მსჯელობისას, მოგვაწოდა ცნობა ლელე ბერეყვას არსებობის შესახებ გურიაში.

საფიქრებელი იყო რომ ყვა-ც ჩერქეზული წარმოშობისაა. მაგრამ რადგანაც ამ ელემენტის წარმომავლობის გარკვევა ლიტერატურული წყაროების საშუალებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე -ფსა-სი, ჩვენ ეს საკითხი იმ საკითხების წრეს მივათვალეთ,

რომელთა შესწავლაც ადგილობრივ მიგვაჩნდა საქიროდ. რამდენიმე მოგზაურობის დროს ჩერქეზებში 1929 წელს (გაზაფხულზე შავიზღვისპირელ შაფსულებში და ადიღეს ავტონომიური ოლქის შაფსულებსა, ბზადულებსა, კემგუეზსა, აბაძახებსა, მამხელებსა, ბასლინაებსა და ყაბარდოელებში, ზაფხულში კიდევ — ყაბარდოს ავტონომიურ ოლქში) გაირკვა, რომ ყვა-ც უდავოდ ჩერქეზული სიტყვაა, „ღლე“¹-ს, „ხევი“-ს, „ხეობა“-ს მნიშვნელობით, დამახასიათებელი ყაბარდოული ენაკავისათვის, და ტოპონიმკური მაწარმოებელი ელემენტი უპირატესად სწორედ ყაბარდოელების ტერიტორიაზე. რუსულ რუკაზე ეს სახელები ისეა გადმოცემული რომ მათი ამოცნობა ძნელია. აი, მაგალითები დიდი ყაბარდოს ტერიტორიიდან: ქეაყუა — ხევი და ადგილი = Чекюк, ხევი დუმაჩყუა = Деменюк, ხევი და მთა ჭანდგყუა = Чандык, ხევი და აული შაქალღყუა = Шаушка, ხევი და მთა ჰაიყუა = Хаюк, ხევი არალაიყუა = Аргаяк, მდ. გადღყუა = Гелюк, რომელიც ასე მოგვაგონებს ქართ. აგიდაყვას, მდ. ჯაქაპაწყუა = Жекпеко, მდინარე და მთა სარჯჯყუა = р. Сарджыко, გ. Сергюко, მდ. მკსრწყუა („დათვისხევი“) და მრავალი სხვა. ასეთივე სახელები გვხვდება აგრეთვე სხვა ჩერქეზი ტომების ტერიტორიაზედაც, მაგრამ ნათზე აქ აღარ შეიჩერდებით.

ამრიგად, უძველესი გახდა რომ დას. საქართველოს „ყვა“-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები აგრეთვე ჩერქეზული წარმოშობისაა. ამ შემთხვევებმა გვაფიქრებინა რომ შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდეს მესამე ჩერქეზული ტოპონიმკური მაწარმოებელიც — „ფა“. ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობაა „ცხვირი“, მეორადი-კი — მრავალი, მათ შორის — „ბოლო“, „შესართავი (მდინარისა)“¹. მდინარის სახელი და ეს სიტყვა ერთად ხშირად აწარმოებენ იმ ადგილების სახელებს, რომელნიც მოცემული მდინარის შესართავთან მდებარეობენ: აული აჭყფსღფ, მდ. აჭყფს-ის შესართავთან, ლაბზღ, მდ. ლაბას შესართავთან = Усть-Лабинская (თარგმანია ჩერქეზულიდან!), სოფ. ულაფ, მდ. ულა-ის შესართავთან, და სხვა. შესაძლებელია, ამ სტრუქტურისა ჩყოს „ბზღფ“ (აფხაზეთში), თავდაპირველი „ა-ბას-ა-ფ(ა)“-დან (შეადრ. მდ. ავასკ-ი არიანესთან). ამ შემთხვევაში უნდა მიგველო რომ „ბზღფ“ თავდაპირველად იყო მდინარის შესართავთან

¹ Н. Яковлев, Материалы для кабардинского словаря, М. 1927, XXVI—XXVII.

მდებარე პუნქტის სახელწოდება და შემდეგ გადავიდა თვით მდინარეზე. ჯერჯერობით ნაკლებ სარწმუნოა „ხოფა“-ს კავშირი ამივე კატეგორიასთან...

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ჩერქეზული ტოპონიმოკა უდავოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს (საცილობელი საკითხები ამ წერილში ჩვენ არც აღგვიძრავს), ეს-კი აქ ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალეია.

აქ უნდა მივუთითოთ რომ საქართველოს გეოგრაფიული სახელები ფსა-ზე (სუფსა, ახჯფს, ააფს, ხჯფს, ლაშჯფს) და ფა-ზე (ხოფა) ამჟამად აღნიშნულია როგორც ჩერქეზული გეოგრაფიული სახელები აგრეთვე აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ¹.

ამასთან დაკავშირებით, გასარკვევია სახელწოდება ფ ა ზ ის ი, რომელსაც, ვგონებთ (სათანადო პუბლიკაცია ამჟამად ხელთ არა გვაქვს), თავის დროზე ს ე ნ - მ ა რ ტ ე ნ ი — ჩერქეზულ ფსჯ-ს უკავშირებდა. საყურადღებოა რომ ფაზისს ბერძნები და შემდეგ ბიზანტიელები ეძახდნენ არა მარტო რიონს, არამედ აგრეთვე ქოროხსაც და არაქსსაც, რაც სათანადო ფუძეს უფრო ზოგად მნიშვნელობას აძლევს². მაგრამ აქ გასათვალისწინებელია შემდეგი: ბერძნულ ფორმათა ჩვენების მიხედვით, ფუძე ნამდვილად აღდგება ფ ა ს ი დ - ის სახით; „ფასიდ“ იმავე ძირისაა, როგორისაც ქართული ფოთი || ფუთი, რადგანაც შესატყვისი ძველი სომხური ფორმა *ფოთ*, „ფოთ“ || „ფუთ“, გვაგულისხმებინებს ქართულშიაც წინამორბედ ფორმას „ფასთ“ (: ს → ჯ || ჰ → 0; ბოლო თანხმოვნებს შორის შესაძლოა ხმოვანი იყო ამოღებული) || „ფო/უსთ“ (მეტად საყურადღებოა სოფლის სახელი „ფუთი“ ზემო იმერეთში: ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ამქაღანებს ფოთ/ფუთ სახელის კავშირს „ფასიდ“-თან და ემოწმება ძველების წარმოდგენას ფასიდის მიმდინარეობის შესახებ: რიონი ყვირილამდე, შემდეგ ყვირილა ძირულამდე და შემდეგ, უკვე ნაკლები სარწმუნოებით, ძირულა-ჩხერიმელა?). ჯერ კიდევ სარკვევია, ამ სახით აღდგენილ სახელს იგივე ჩერქეზული სიტყვა უძევს ფუძედ თუ არა, ე. ი. ემთხვევა თუ არა ფ ა ს ა და ფსა ფუძეები ერთმანეთს?

¹ Акад. И. А. Джавахишвили, Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи, Вестник древней истории, 1939, № 4, გვ. 42—45.

² ამ საკითხების შესახებ უფრო დაწვრილებით — ავტორის დასაბუქდად განზღებულ შრომაში „კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან“.

დადებითი პასუხის შემთხვევაში: ა) ქართული გაფორმება (-თ- სუფიქსი) განეკუთვნება ძალიან ძველ დროს, რომელიც წინ უსწრებს ბერძნულს ლიტერატურულ ტრადიციას კოლხეთის შესახებ; ბ) დამატებითი მასალა შეგვეძინება წინარექართული, ჩერქეზული მოსახლეობის გავრცელების შესახებ (ქოროხისა და არაქსის ხეობათა სათანადო სექტორები).

ცალკე უნდა განხილულ იქნას „ბასიან“-ის (ძვ. ქართ. პროვინცია) სახელწოდების კავშირი ამავე ფუძესთან, სახელწოდება „აქარა“-ს მნიშვნელობა და მისი, ისევე როგორც „ბასიან“-ის, გავრცელების არე.

ЧЕРКЕССКИЙ (АДЫГЕЙСКИЙ) ЭЛЕМЕНТ В ТОПОНИМИКЕ ГРУЗИИ

Резюме

На основе анализа современных и исторических данных по топонимике Грузии, автор считает бесспорным существование, среди географических названий Грузии, двух черкесских (адыгейских) морфологических типов:

1. Названия рек на *psa*, *psə*: р. Супса (в Гурии; от Сур *psa* = Сурская, т. е. Суревская река, имеет истоки в Суревских горах); реки в Абхазии — Лашпсы, Хепсы, Дапсы, Гумсы (от Гумпсы) и другие; исторически данные названия — Акампси = (Чорохи) и Лагумпса (Ипп). Словообразовательный элемент — черк. *psə* = «вода», «река».

2. Названия речек (и местностей) на *qvā*: Агидаква, Ачкава, Малтаква и др. (в Гурии); Боква (в Раче); Аква, Абжаква (в Абхазии); с наращением грузинского локативного суффикса *t* — Джуруквети, Бобоквати, Мурквети (Гурия — Адчара). Словообразовательный элемент — черк. (кабард.) *qvā* = «овраг», «бздка», «ущелье», «речка».

Предположительно высказывается мнение о возможности объяснения структуры названия Бзыл, Вээр (река в Абхазии), при помощи черкесского *rā* = «нос», «конец», «устье реки». При этом допускается возможность последующего перенесения названия местности при устье реки на реку.

Установленные факты толкуются как наследие доисторического черкесского (адыгейского) населения в Грузии.

Оставлен открытым вопрос о связи основы названия Фазид (Фазис) — *fas* с первой категорией имен.

უზენაესი ღვთაების აფხაზური სახელწოდების ფორმისთვის¹

ჯერ კიდევ უსლარმა აღნიშნა², რომ უზენაესი ღვთაების აფხაზურ სახელწოდებას მრავლობითი რიცხვის ფორმა აქვს. მას ზოჰყავს კიდევ ასეთი მაგალითი თავისი აზრის დასასაბუთებლად: ანცაა დეჰჰჰა = ღმერთი ღიღნი, სადაც ზედსართავის მოვლენა მრავლობითი რიცხვის ფორმაში ცხადად მოწმობს, რომ მთქმელის ცნობიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ძველი რელიგიური წარმოდგენები, რომელთა მიხედვით ღმერთი მრავლადია, ასე ვთქვათ, და არა მხოლოდ. ამასთანავე ავტორი შენიშნავდა, რომ „ასე ამბობენ მხოლოდ წარმართნი აფხაზნი“, ქრისტიან და მუსლიმ აფხაზებს კი ღმერთი გარკვეულად ჰყავთ წარმოდგენილი, როგორც მთლიანი და განუკვეთელი არსებაო.

რათქმაუნდა, ეს მტკიცება შეცთობა იყო ნიჰიერი ენათმეცნიერის მხრით, იქნებ ერთნაირი „შესანდობარიც“ ორთოდოქსისა, ვინაიდან სარწმუნოებრივი შეგნების თვალსაზრისით აფხაზების ასეთ ჯგუფებად გათიშვბ შეუძლებელია, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ისინი ან ქრისტიანულ ეკლესიას ეკუთვნიან, ან ისლამს. უსლარის მაგალითი კი ალბათ იმ ბედნიერ შემთხვევათა კატეგორიიდან არის, როცა ჩვეულებრივი სიტყვახმარების დროს უეცრად ამოტივტივდება გარდასულ საუკუნეთა სიღრმეში წარმოებულნი ეროვნული სულიერი შენოქმედების ნაყოფი.

¹ წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1923 წ. 6 მაისს.

² II. K. У с л а р, Абхазский язык, Тифлис, 1887, § 67, გვ. 78.

აფხაზური სიტყვების ტრანსკრიფცია ამ წერილში პირობითია. ამასთან დაკავშირებით უნდა აღნიშნოთ, როგორც სამწუხარო ფაქტი, რომ აფხაზურისათვის საგანგებოდ ჩამოსხმული შრიფტის უქონლობის გამო იძულებული გავხდით ბერძნ. ა გამოგვეყენებინა, აგრეთვე ლაბიალობის აღსანიშნავად ი გვეხმარა, მაგ. მატე-სიტყვაში: ი აღნიშნავს წინამორბედი ასოთი აღნიშნული ბგერის ლაბიალობას, რაიც სპეციფიკურია აფხაზურისთვის. აგრეთვე შინის დარბილება „მარშანაა“ სიტყვაში ნიშნის უქონლობის გამო აღუნიშნევი დარჩა.

შემდეგში იგივე აზრი (ფორმის შესახებ) გამოთქვეს პ. კარაიამ¹ და ნ. ჯანაშიამ². მხოლოდ ესენი ფიქრობდნენ, რომ მოცემული სიტყვა ნაყარი უნდა იყოს იმავე ან-ძირისა, რომელიც აფხაზურში დედა-ცნებას აღნიშნავს.

პროფ. ნ. მარი ამ შეხედულების მხოლოდ პირველ ნაწილს იზიარებს და წერს: „... მეტად საინტერესოა სიტყვა ან — „ღმერთი“, რომელიც აფხაზურში გვევლინება ჩვეულებრივად, როგორც plur. tantum. ანგაა „ღმერთი“, უფრო სწორედ „ღმერთები“³.

საკითხის გარკვევისათვის ეხლა ჩვენ გვინდა წარმოვადგინოთ ის მცირეოდენი მასალა, რომელიც საშუალება გვქონდა შეგვეკრიბა 1921 წლის ზაფხულს აფხაზეთში, სოფ. აძვიბეჯაში (აბუჯა, კოდორის მაზრა), ტფილ. სახელმწ. უნივერსიტეტის მიერ დაკისრებული საენათმეცნიერო მუშაობის დროს.

უპირველეს, ჩვენთვის საინტერესო სიტყვის ფორმის სრული კანონიერება დამტკიცდა ანალოგიური წარმოების აღმოჩენით შ-ძირიან (= გაჩენა, შექმნა; აქედან სახელზმნა აშარა) სიტყვაში აშადან, რომელიც ლეტაების ეპითეტს წარმოადგენს და უდრის ქართულ „გამჩენს“. დამოუკიდებლევ ეს სიტყვა მე არ გამიგონია. ამ ძირისაგან ჩვეულებრივად იხმარება ნამყო დროის მიმღეობა: აფხაზის საყვარელი თქმა არის ანგაა-ჰაზმაზ „გამჩენი ღმერთი“. მაგრამ იმავე დროს ხშირია თქმებიც: აშადან ირმაზ „გამჩენთა (გამჩენის) გაჩენილი“ (მოსაწონ რასმეზე იტყვიან) და აშადან ირმაზ — „გამჩენთა (გამჩენის) გაუჩენელი“ (უღ რასმეზე), რომელშიაც აშადანა, უკვე სახელარსის ფორმა, გაგებულია, როგორც მრავლობითი რიცხვი, რასაც უეკველობით მოწმობს ზმნის ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი რ (ი-რ-მაზ, ი-რ-მმაზ), სუბიექტის (აქ მსაზღვრელი სიტყვის) პლურალობის აღმნიშვნელი. და თუ ეს გამოთქმები ჩვენ შეგვიძლია კომპოზიტებად აღვიაროთ, ხოლო ეს ნაწილაკი შეიძლება მნიშვნელობადაკარგულ, გაქვევებულ, მორთემად მივიჩნიოთ, შემდეგს ფრაზაში: ნახ აშადან ირმაზა ართ (= „განა გამჩენებმა გააჩინეს

¹ П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим [= Материалы по яфетическому языкознанию, IV], СПб. 1912, § 10, გვ. 31, 32—33.

² Н. Джанашия, Религиозные верования абхазов, ХВ, т. IV, вып. I, გვ. 74—75 (სპბი, 1915).

³ Н. Марр, Изъ лингвистической поездки в Абхазию, Изв. Ак. Н., 1913, გვ. 315. აგრეთვე მისივე, Кавказоведение и абхазский язык, გვ. 25, ცალკე ამონაბეჭდი Ж. М. Н. П.-დან, პეტროგრ. 1916.

ესენი⁴-ო, საქონელზე იყო ნათქვამი), — ამანცა წარმოდგენილია პირ-დაპირ, როგორც ქვემდებარე მრავლობით რიცხვში. ამავე დროს, ამ სიტყვას და მასში გამოსახულ ცნებასაც, უნდა განეცადათ იგივე მეტამორფოზა, რომელიც გამოიარა თვით ძირითადმა სახელწოდებამ, ე. ი. ჯერ არსებითი და შემდეგ ფორმალური მნიშვნელობის დაკარგვა, იგი გადაიქცა უბრალო plur. tantumად; მაგ.: ერთგვარი საზეარაკე პირუტყვის საყოველთაოდ გაერთელებულ სახელწოდებაში — ამანცა-მარტი „გამჩენის მსხვერპლი, ზვარაკი“¹, სადაც აფხაზური სიტყვათშეუღლების წესების თანახმად უნდა გექონოდა ამანცა-რმარტი. და ერთის, ჯერ შეუმოწმებელის, მაგრამ სავსებით მოსალოდნელი მაგალითის მიხედვით ასეთი ფორმა იხმარება კიდევაც პარალელურად.

ცხადია, ამ შემთხვევაში ძველსა და ახალს წარმოდგენებს შორის და, მათთან დაკავშირებით, მეკდარსა და ცოცხალ ფორმაციებს შორისაც, გაჩაღებული ბრძოლის შედეგს გაცილებით ნაკლებ გარკვეული შეხედულება აქვს, ვიდრე მაშინ, როცა საქმე შეეხება თვით ანცა-ს. ამ უკანასკნელის მიერ განვლილი პროცესი უფრო სწრაფი იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, აქაც, ენობრივი ინერციის წყალობით, ზოგჯერ ხელში გვეძლევა ისეთი ფაქტები, რომელნიც სიტყვის ანაგობის თავდაპირველ მნიშვნელობას ამჟღავნებენ. ერთი ასეთი ფაქტი, უსლარის მაგალითი, ზემოთ მოვიყვანეთ. არა ნაკლებ საინტერესოა, ჩვენის აზრით, ჩვენი შემთხვევა: ერთი ჩვენ მიერ ჩაწერილი ზღაპრის „ნზეთუნახავი“² ატარებს შემდეგნაირ სახელს — ანცა რთგჳჰ ზანგჳლა, ე. ი. „ღმერთი ღმერთები“-მათი-ასული ხაკჳლა“ = ღმერთის ასული ხაკჳლა (ხაკჳლა — ქალის სახელია). იგივე ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი რ-რ-თგჳჰ) კატეგორიულად აღნიშნავს, რომ მთქმელის შორეული წინაპრებისათვის ღმერთი მრავალ ძალთა კრებულს წარმოადგენდა³.

დასასრულ, სათანადო ლიტერატურაში უკვე აღნიშნული იყო³, რომ ეს თავისებური რელიგიური კონცეფცია, რომლის თანახმად

¹ მეგრულად ოდახადე. იხ. Н. Джанашия, Абхазский культ в быт, XV, т. V, вып. 3, გვ. 168. აგრეთვე Н. Марр, О религиозных верованиях абхазов, XV, т. IV, вып. I, გვ. 132.

² იხ. აგრეთვე პ. კარაიას დასახ. თხზულება, § 10, გვ. 32.

³ Н. Джанашия, Религиозные верования абхазов, XV, т. IV, вып. I, გვ. 75. ისეთი თქმები, როგორიც „ჩემი წილი ღმერთისა“, „ჩემი წილი ხატისა“, აფხაზისათვის ჩვეულებრივია. ამ მხრით საინტერესოა წყველა უმცა ზუ-გააატ = ჩაქრეს შენი წილი ცეცხლისა'-ო. მ. ა. მარღანიას (მ. ა. ა.)

არა მარტო უზენაესი წევრნი ნაციონალური პანთეონისა, არამედ ბუნების სტიქიონნიც, — რათქმუნდა, განსახიერებულნი, — მრავალწილოვანი ძალანი არიან, თვითეულ არსისადმი თავისი განკერძოებული მხრით, განცალკევებული ნაწილით განკუთვნილნი, — საკუთრივ ქართულ ტომთათვისაც პირვანდელი და მშობლიური უნდა ყოფილიყო. ასე, მაგ. 1922 წლის ზაფხულში გორის მაზრის სოფელ ერედვში მე გავიგონე: „ღამინ გაგვიწყრა ჩვენი წილი ღმერთი“-ო, წელს კიდევ ტფილისში, შემთხვევით ქუჩაში: „... ბნელამი გვრ ვიდახი, აი, იხე გენაგვალე ჩემ წილ ღმერთსა“-ო.

1923 წ. 3 მაისი

ტფილისი

გადმოცემით აგრეთვე აბეჯაში მთაში წასული მწყემსები მარშანიების წილ ღმერთს („მარშანაა რენჯაზუგ“) ევედრებიან შვეიდობას, რადგან იმ მთების მფარველი სწორედ ამ გვარის ღმერთი (თუ ღვთის წილი) არისო.

კიდეგ მართი ნაშთი ხანმეტოგისა თანამედროვე პართულში¹

ახალ ქართულში შემოხიზნულ ხანმეტ სიტყვათა იმ მცირე გუნდს, რომელიც ლიტერატურაში აღნიშნულია პროფ. აკ. შანიძის მიერ (ხარ, ხვალ, ხერთვისი, ხუცესი)², ეხლა შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ შემდეგდროინდელ გრამატიკულ ქართა გამანადგურებელ ქროლას გადარჩენილი ერთი ახალი მოწმე, ქართული ენის განვითარების ამ უძველესი პერიოდისა. ასეთია მაკაცის სახელი ხაზარე, რომელიც მე გავიგონე სოფ. ღვარებში (გორის მაზრა, ხიდისთავის თემი).

დღევანდელ საქართველოში ჩვენ საკმაოდ ბლომად გვხვდება ხარ ძირისაგან ნაწარმოები პირადი თუ საგვარეულო სახელწოდებები. მაგ.: გურიაში გვარები მახარაძე და სიხარულიძე, მაკაცის სახელი მახარბელ (← მახარობელი); ჯავახეთში ვაჟის სახელი მახარე/ა და აქედან საალერსო ფორმა მახარიკა; ესევე სახელი გავრცელებულია მთაში და ქართლში, სადაც ამას ვარდა გვხვდება გვარები მახარაშვილი, ხარებაძე და ხარებაშვილი || ხარებოვი (უკანასკნელი ოსური საგვარეულო სახელია, რუსულად გადაკეთებული); სამეგრელოშიაც — გვარები ხარებავა, გვახარია. ამ სახელების ფართო გავრცელება მტკიცდება ისტორიულადაც. ორიოდ მაგალითი. „ხალხის აღწერის დავთრებში“ (XVIII ს.), რომელიც გამოსაცემად იყო დამზადებული (1911—1912 წ. პეტერბურგში) პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ³, მაგრამ ჯერაც არ გამოქვეყნებულა, ხშირად გვხვდება სახელები: გამიხარდი, გამახარე, მახარა, მახარებელი || მახარობელი, სიხარული/ა, ხარება; გვარები: მახარებლისშვილი || მახარობლისშვილი, მახარასშვი-

¹ წაკითხულია მოხსენებად ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე 1924 წლის 18 თებერვალს.

² აკ. შანიძე, ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა. ხმოვნების წინ ქართულ ხმებში, ტფ. უნ-ტის მოამბე, II, გვ. 263 და შემდ. დამისივე, იმავე წიგნში, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო, გვ. 410.

³ ვსარგებლობდი საკორექტურო ფურცლებით.

ლი, განიხარდისშვილი, სიხარულისშვილი, ხარებასშვილი. პროფ. ექვთ. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ მეწინავე დროშისა (საბარათაშვილო-სოცხითისა) და არაგვის ხეობის აღწერებში (აგრეთვე XVIII საუკუნეს ეკუთვნის)¹ კიდევ აახელები: მახარა, გამახარა, გამახარე, გახარდა, განიხარდი, მახარობელი || მახარებელი, სიხარულია, ხარება; გვარები: მახარაშვილი, გამახარასშვილი, ხარებაშვილი, მახარებლაშვილი, მახარებლიშვილი, სიხარულაშვილი, განიხარდისშვილი.

ამავე ძირს უნდა ეკუთვნოდეს, ასე გვგონია, ხაზარეც, რომელიც ქართლს გარდა გვხვდება მთაშიაც: პროფ. აკ. შანიძის მიერ ჩაწერილი (ჯერ დაუბეჭდავი) ერთი გულდამაყრული ლექსის გმირი ამ სახელს ატარებს (ლექსი ასე იწყება: „ხაზარემ ნახა სიზმარი, სიზმარი იყო მკრიანი“). გვხვდება იგი ზემოთდასახელებულ „ხალხის აღწერის დაეთრებშიაც“².

ხაზარე უნდა გაგებულ იქნას, როგორც ხარება ზმნის მოთბრობითი ან ბრძანებითი კილოს ფორმა. პირველ შემთხვევაში ხანს ექნება როგორც მეორე პირის სუბიექტური, ისე მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის მნიშვნელობა, მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ მესამე პირის ობიექტურისა. ორსავე შემთხვევაში მისი პრეფიქსული ბუნება ნათელია.

1924 წ. 15 იანვარი
ტფილისი

¹ ე. თაყაიშვილი, სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ მე-XXVIII ს., თბილისი, 1907.

² იქვე გვხვდება ხახალა, რომელიც შეიძლება ამავე სახელის სააღერსო, ან იქნებ დამახინჯებულ ფორმად ჩავთვალოთ. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ გულდამაყრულ ლექსშიაც უცნობი პოეტი თავის გმირს რამდენიმეჯერ ხახალეს ეძახის.

საქართველოს ისტორიის უძველესი ქრონოლოგიიდან ენოზივი მასალის მიხედვით

1. საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდისათვის მნიშვნელოვან ქრონოლოგიურ ჩვენებებს შეიცავენ სვანურში დაცული ეთნიკური სახელწოდება „სავ“ და სოციალური ტერმინები — „ფუსღ“ (ვარიანტებით), „ბუასღ“ (ვარიანტებითა და ნაწარმოები ფორმებით), „ფარგ“, „გლეს“.

2. „სავ“ „სავრომატ“-ის გარდმონაშთია და იმის მოწმობაა, რომ სვანები თავის დღევანდელ მიწა-წყალზე უკვე დამკვიდრებული არიან არა უგვიანეს V—IV საუკუნეებისა ჩვენ წელთაღრიცხვამდე.

3. უწყებელი სოციალური ტერმინები-კი უნდა განხილულ იქნან ჩერქეზულსა და აფხაზურ სათანადო ტერმინებთან — ფს'გ, ჭნარჯ/ყ (ჩერქეზულში) და ა-ამგსთა ← ამბგსთა (აფხაზურში) შეპირისპირებით. ამ ტერმინების შედარებითი ანალიზი ადასტურებს მათი მატარებელი ეთნიკური კოლექტივების ისტორიული შემდგომადობის რიგს საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ რაიონებში: ჩერქეზები → სვანები → აფხაზები.

ფუსღ:

აქვს რიგი ვარიანტული ფორმები. ნ. მარს, როგორც ჩანს, ძირეულად მიაჩნია ფუსტ (-ს, ფუსტაშ), რომელსაც უჩვენებს ლანჯეთის, ჩოლურის, ლენტეხისა და თავრარის კილოებისათვის მნიშვნელობით: господин, господь, მაგრამ ამავე დროს აღნიშნული აქვს უშგულის, ხალდეს, მუეალ-მულახის, ეცერის, ფარისა და ლაბაშულის კილო-კილოკავებისათვის ფორმა: ფუსღ. ნათესაობითის წარმოებაში ნ. მარი უჩვენებს ახალს, ნ-არიან ვარიანტს: ფუსნაშ (უშგულის, ხალდეს, იფარის, მუეალ-მულახის კილოკავებში)... მას ნააქვს ორიოდე გამოთქმაც: ფუსტა ეზრ (დიალ. ფუსნა ეზრ) — милость господина; ხიად, მიშგვი ფუსტ — радость (моя), мой господин¹.

¹ Н. Марр, Извлечение из сванско-русского словаря: Материалы по фетлическому языкознанию, X, Петроград, 1920, გვ. 39 (ქვემოთ ყველგან: მარი, სვან. ლექსიკონი).

ამ მასალიდან ჩანს, რომ ცვლილება ფუძეში ბოლოკიდურ თანხმოვანს მოსდის. მაგრამ სვანური ისტორიული პოეზიის ძეგლები ადასტურებს რომ ფუძეს შესაძლებელია სახე ეცვალა მოცულობის მხრივაც და ოდესლაც. სიტყვა ხმოვანფუძიანი ყოფილიყო. საეკვაო. ამ ტექსტებში დაცული სიტყვის -ა-ზე დაბოლოებული ფორმები ფუსდა, ფუსნა... მეტრის საპირობით იყოს გამოწვეული. მაგალითები:

ფუსდა:

„ქაშიგო ფუსდა ხელეკარალე,
ქაშიგო ფუსდა ქაე მაწედა“.

ჩერქეზეთის ბატონი ევაკრება,
ჩერქეზეთის ბატონს ვუწახავარ¹.

„მაცხვარ-ფუსდა ყორს მაგენა“

მაცხოვარ-უფალი კარზე მომდგომია (იქვე).

„ეი მიმზრა მაცხვარ-ფუსდა:

ზგიდ ამაჲ, მაცხვარ-ფუსდა“.

მილოცავს მაცხოვარ-უფალი:

„შინ მიმიყვანე, მაცხოვარ-უფალო“ (იქვე, გვ. 30.)

„ქაშიგი ფუსდა ჩუ კურ ემხენდ“

ჩერქეზეთის ბატონი დამიხედა (იქვე, გვ. 32. ტექსტი ჩაწერილია მულახში).

„ფუსდა გუშგვედ, აზნაური,

აზნავირ ბახსანს სგვეჯდა“.

ბატონი ჩენი, აზნაური,

აზნაური ბახსანში ბრძანდებოდა (იქვე, გვ. 42. ჩაწერილია ლენჯერში).

ფუსნა:

„შომვა მკეალ ფუსნა მერა“

როცა მუჟალი ბატონი გაძიადება (იქვე, გვ. 68).

„ფუსნა კასარ, ღომის ნითში“

ბატონო კეისარო, რამე გვირჩიე (იქვე, გვ. 70).

„ფუსნა მკლახ, მეთერი მკეალ!“

ბატონი მულახი, მდარე მუჟალი! (იქვე, ჩაწერილია უშგულში).

¹ სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრებიეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიაძემ, მ. გუჯეჯიანმა: მასალები ქართველურ ენათა შეაწავლისათვის, II, თბილისი, 1939, გვ. 23 (ქვემოთ ყველგან: სვან. პოეზია).

„ფუსნა ოთარ გუნ ჯისგვდი“
 ბატონი ოთარი ძალიან გინზერს (იქვე, გვ. 84) და სხვა.
 ძალიან იშვიათად ამავე ისტორიულ-პოეტურ ტექსტებში
 გვხვდება თანხმომავნუშიანი ფორმებიც:

ფუსდ:

„ვო, მძლიერ ფუსდ თარგლენერ“
 ო, მძლიანო უფალო მთავარანგელოზო (იქვე, გვ. 112).

„ფუსდ თარგლენერ ეი მიმზერა“
 უფალი მთავარანგელოზი მილოცავს (იქვე, გვ. 114, ჩაწერი-
 ლია ხალდეში).

აქედან ნაწარმოებია განყენებული სახელიც — მასდარიც:
ლიფუსდ:

„ლიფუსდს ოთარ ქა ლმბიშდივ“
 ბატონობა ოთარმა ჩამოგართვა (იქვე, გვ. 110, ჩუბეხევი).

მაგრამ საყურადღებოა, რომ ამ მასდარებში გვხვდება ისეთი
 სახეებიც, რომლებშიაც ფუძე კიდევ უფრო გაცვეთილი ჩანს:

ლიფუს:

„ამეი ლიფუსს დეშ ხესკათედ“ (სამჯერ!)
 ასე ბატონობას ვერ გავაწყობთ (იქვე, გვ. 70, უშგული).

ამავე დროს გვაქვს:

ლიფსტენე, რაც ნიშნავს: „ბატონობა“ს (მ. გუჯეჯიანი), „ლა-
 პატრონება“ს (არს. ონიანი და ა. დავითიანი).

სიტყვის ცოცხალ მეტყველებაში ხმარებულ მნიშვნელობათა-
 გან აღნიშნავთ კიდევ:

ფუსნა — სამღვთო, სამსხვერპლო ხარი (არს. ონიანის, მ. გუ-
 ჯეჯიანისა და ა. დავითიანის ცნობით).

ფუსნა — ადამიანზედაც იტყვიან, ამ აზრით: ეს რა განსა-
 კუთრებული ვინმეაო (მ. გუჯეჯიანი).

დასასრულ: ი. ნიქარაძე თავის ლექსიკონში¹ აღნიშნავს მო-
 ცემული სიტყვისათვის ფორმებს „ფუსდ, ფუსთ“ მნიშვნელობით
 властелин, господин.

ამრიგად, დამოწმებულია სიტყვის შეზღვევი ფორმები: ფუს,
 ფუსდ, ფუსტ, ფუსთ (?), ფუსნ, ფუსდა, ფუსნა.

იქმნება შთაბეჭდილება რომ სიტყვა ორ ფუძედ იშლება,
 რომელთაგანაც პირველი, უფრო მკვიდრი, ფუს გამოდის, მეორეს-
 კი საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსვლია და მოსდის.

¹ Русско-сванский словарь, Тифлис, 18.

სემანტიკურად სიტყვა ყველაზე ახლოს დგას ქართულ „უფალ-თან“. მისი მნიშვნელობანია, როგორც ეს ტექსტებიდან და მთარგმნელთა განმარტებებიდან ჩანს; უფალი, ბატონი (ფეოდალური ურთიერთობის აზრითაც), მბრძანებელი, მთავარი. „უფლის“ აზრით სიტყვა განეკუთვნება, როგორც ეპითეტი, ზეციურ ძალებს (ღმერთს, მაცხოვარს, მთავარანგელოზს...).

ბატონყმური ურთიერთობის ვალსაზრისით სიტყვა მიემართება ფეოდალს: „ბეჩოს ლაშქრის“ სიმღერაში მოხსენებულია აზნაური, „ჩვენი ბატონი“ — ფუსდა, რომელსაც თავისი „კაცები“ (ყმები!) ჰყავს (ჩაწერილია ლენჯერში: სვან. პოეზია, გვ. 42).

ამავე მნიშვნელობითაა რომ დადიშქელიანებიც დაეინებით იწოდებიან ფუსნებად თუ ფუსდებად (თუმცა დადიშქელიანებს განსაკუთრებული, მთავრის, მდგომარეობა ჰქონდათ; იგივე, გვ. 84 შემდ., კერძოდ, სიმღერა, რომელშიაც მოთხრობილია, თუ როგორ უნდოდა ფუთა დადიშქელიანს უშგულელების გადაქცევა თავის ყმებად — გლეხებად, გვ. 114—116).

დასასრულ, სიტყვა აღნიშნავს ფეოდალურ ბატონს — სიუზერენს, მთავარს. ისტორიულ ტექსტებში მოხსენებულია „ფუსდი“ ჩერქეზებისა, ჩაჩნებისა, ყუბანისა...

სვანური ფუსდ მკიდროდ უკავშირდება ჩერქეზულს (ადილეურს) ტერმინს, რომელიც ამჟამად ყველა ჩერქეზულს ენაკილოში აღნიშნავს 'თავადს' უპირატესად, მაგრამ აგრეთვე 'ბატონსაც'. ყაბარდოულში ამ ენის ყველა ლექსიკოგრაფი (ლ. ლოპატინსკი, ნ. იაკოვლევი და სხვებ) „თავადისათვის“ უჩვენებენ ერთხმად ფსგ. ასევეა ჩვენი საკუთარი ჩაწერებითაც. ნ. იაკოვლევით ეს არის князь (аналог удельному князю др.-русской истории)¹, ე. ი. ქართული „მთავარი“. ამავე დროს ლ. ლოპატინსკი² უჩვენებს:

господин — псы (собств. князь)

господствовать. — чпцын [აფსუნ]

власть — псыга (княжество) [ფსგა].

ფეოდალური მნიშვნელობა ტერმინისა კარგად არის გამოხატული სიტყვაში ფსგა, — 'ყმაგლები', სიტყვასიტყვით — „ფსგა კაცი“ (ამავე ტერმინს ლ. ლოპატინსკი უჩვენებს 'მონისა' და 'მონობისათვისაც').

¹ Н. Яковлев, Материалы для кабардинского словаря, вып. 1, М. 1927, გვ. 83 (კვეთი: Яковлев, словарь).

² Л. Лопатинский, Русско-кабардинский словарь с указателем: СМОМПК, вып. XII (კვეთი: Лопатинский, словарь).

ბოლო სიტყვის ზოგადი მნიშვნელობა ჩანს 'უფალი', 'ბატონი' ლ. ლოპატინსკის მიერ აღნიშნულ *иҥҥки ფს:зүтүң-ში* (სიტყვასიტყვით — ფს:з-ძე) — *деверь*, ნაზლი (ამავე მნიშვნელობით მოცემულ სიტყვას შეიცავს *Русско-кабардинский словарь*, მოსკოვს გამოცემული ჩვენს დროს. — წიგნი უთარილოა). უეკველია. აქ ჩვენ გვაქვს პიეტეტური სიტყვახმარება (რძლის მხრივ), ჩვეულებრივი კავკასიელ ტომთა საოჯახო ყოფა-რჯულისათვის (შეადრ. აქარული ფა შა 'მამამთილი', აუხაზ. და და პ 'მამა-მთავარი', 'მამა-თავადი' — მამამთილის ძმა).

კიახურისათვის ლ. ლაულაე¹ უჩვენებს:

князь, le prince — *пшиг*

господствовать, commender, gouverner — *пшиг-и-зб сс гха.*

болярни, барни, le seigneur || *господин* — *пшиг* (ბოლოკიდური ხმოვნის სხვადასხვანაირი დაწერილობა ამ სიტყვებში, რათქმუნდა, ავტორის ტრანსკრიფციის ნაკლოვანებას უფრო მიეწერება, ვიდრე რეალურ გამოთქმას).

ჩვენი ჩანაწერებით სიტყვა კიახურში ედერს: ფშუ.

სიტყვის ზოგადი მნიშვნელობისათვის კიახურში საინტერესოა ლაულაეს მიერ ნაჩვენები *тестн, le père de la femme* — *свиюише*, რომლის მეორე ნაწილის გამოცნობა სიძნელეს არ შეადგენს.

ამრიგად, სემანტიკურად სევანური და ჩერქეზული ეს ტერმინები თითქმის სავსებით იდენტურია, ოღონდ ჩერქეზული ამჟამად უფრო თავადის მნიშვნელობისაკენ არის გადახრილი.

სევანურ-ჩერქეზული განხილული ტერმინების ენობრივი ურთიერთობისათვის: სევანური ამ შემთხვევაში უფრო ახლოს დგას ყაბარლოულთან (მეორე თანხმოვანი: ს || ს); ვოკალიზაციის მხრივ (ფს:უ || ფუს) შესატყვისობა დაბრკოლებას არ ხვდება (ჯ || უ), თუ გავითვალისწინებთ მეტათეზისის შესაძლებლობასაც. ცალკეა საძიებელი წარმოშობა და მნიშვნელობა სევანური ტერმინის ბოლო ნაწილისა: დ(ა) || ტ(ა) || ნ(ა). ხომ არ იმალება მასში იმ ჩერქეზული ფუძის ნაშთი, რომელიც ამჟამად მამის ცნებას აღნიშნავს: ყაბ. აღ? მაშინ თავდაპირველად ტერმინის მნიშვნელობა იქნებოდა: უფროსი, უზედაესი მამა, მამაკაცი. მაგრამ ასეთი სიტყვაწარმოება ჩერქეზულისათვის მთლად ბუნებრივი არ უნდა იყოს.

¹ Л. Ляуе, Словарь русско-черкесский для адигский с краткою грамматикою сего последнего языка, Одесса, 1846.

რაც შეეხება თვით ყაბარდოულისა და კიახურის ურთიერთობას, ამ შემთხვევის მიხედვით უნდა დაგვესკვნა რომ ყაბარდოულს უფრო ძველი ფორმა აქვს დაცული. მაგრამ ამ საკითხს ჩვენ ამჟამად ვერ გამოვეყიდებით. ჩვენი ეტიმოლოგიის თვალსაზრისით-კი საკმარისია იმის დადგენა რომ კიახურშიაც ორივე სიტყვა ერთი და იმავე რადიკალებით არის წარმოდგენილი და ერთს ფუძეზე დადის.

საერთოდ უნდა ითქვას რომ ვიდრე ტერმინის უფრო დანაკჷყოფილებელი ეტიმოლოგია წარმოდგენილი არ იქნება, ტერმინის კერად ჩერქეზული სოციალურ-კულტურული სამყარო უნდა იყოს მიჩნეული. ხოლო ეს გარემოება თავის მხრივ რამდენადმე კვერს უკრავს მოსაზრებას მეორე სვანური სოციალური ტერმინის — ვ ა რ გ ი ს — ანალოგიური წარმომავლობის შესახებ.

ლაშხეთში ვ ა რ გ და ბალს ქვემოთ ვ ა რ გ იხნარება თ ა ვ ა დ ი ს მნიშვნელობით. ასე უწოდებდნენ, მაგ., დადიშქელიანებს, გარდაფხაძეებს, გელოვანებს, დადიანებს, შარვაშიძეებს... ლე უ ო გ ე (ლაშხ.) — თავადობა, ვ ა რ გ ი გ ლ ე ბ (ბქვ.) — თავადი და გლეხი, ს ა ვ ა რ გ - ს ა გ ლ ე ბ || ლ ე ვ ა რ გ - ლ ე გ ლ ე ბ (ბქვ.) — სათავადო და საგლეხო (არს. ონიანი. ა. დავითიანი). ბალს ზემოთ ვ ა რ გ იხნარება როგორც ამ მნიშვნელობით, ისე საერთოდ აზნაურის მნიშვნელობით (მ. გუჯეჯიანი). საერთოდ აზნაურის მნიშვნელობა ტერმინს შემონახული აქვს ლაშხეთშიაც, სადაც ლე უ რ გ ა ნიშნავს 'თავადობა, აზნაურობა'ს. ხშირად გვხვდება ეს ტერმინი ხალხური პოეზიის ძეგლებშიაც... სემანტიკური სხვაობანი სვანეთის ისტორიული სინამდვილის პირობებში ჰპოვებს ახსნას: ტერმინი იმ სოციალური ეპოქის ძეგლია, როცა საზოგადოებაში ჯერ კიდევ ორი ძირითადი წოდებაა მხოლოდ წარმოდგენილი. ამრიგად, სვან. ვ ა რ გ უდრის ქართულ აზნაურს მე-12 საუკუნის მნიშვნელობით. ასეთი ვითარება დამოწმებულია სვანეთის უძველესი ისტორიული დოკუმენტებით: ... „დავდევით დაწერალი ესე სრულიად სვანეთისა ქვეისა ვუშქულსა და ლალვერსა შვა სამაგრობელი ჩვენ ერთობილმან ქვემან, ვარგმან და გლეხმან, უფროსმან და უმცროსმან, უზედაესმან, უქვედაესმან, ყველანიან“ (ხაზგასმა ჩვენია.— ს. ჯ.).

ახალი ხანა ქართულმეტყველებაში

პროფ. ივანე ჯავახიშვილის მოხსენება

მიზდინარე თებერვლის 10-ს საისტორიო საზოგადოებაში და ხელწერედ 18-ს პროფ. ივ. ა. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება მის მიერვე აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერებისა და, ამასთან დაკავშირებით, ქართ. დამწერლობის ისტორიის შესახებ. იაე, როგორც ქართ. ისტორიოგრაფიის ყველა დანარჩენ დარგში, ამ შემთხვევაშიაც, სახელოვანი მეცნიერი მოველინა საზოგადოებას, როგორც ფუძემდებელი უმნიშვნელოვანესი დისციპლინის — ქართ. პალეოგრაფიისა. პატივცემული მკვლევარის მიერ აღმოჩენილი ფაქტები და მათი მეცნიერული გაშუქება უთუოდ საეცებით ახალ ხანას ჰქმნიან ქართულმეტყველებაში და ბოწმობენ იმ დაუშრეტ ენერგიას, რომლითაც აღჭურვილია ეს ადამიანი. ვეცდებით მოკლედ გადმოვცეთ მოხსენების შინაარსი.

ქართ. პალეოგრაფია და ეპიგრაფიკა, მიუხედავად მათი უდიდესი მნიშვნელობისა ქართ. ისტორიოგრაფიისათვის, დღემდის ზეტად სუსტად იყო დანუშავებული. მასალა აპისათვის აუარებელია. ქართული ანბანის განვითარების სქენა მოკლედ ასეთია: მთავრული ხუცური, ე. წ. ნუსხა ხუცური და მხედრული. თვითუფ ამ დაქწერლობათაგანს თავისი სახეცვლილებანი და თავისი განვითარების საფეხურები აქვს.

ასე, მაგ., ჩვენ საეცებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მხედრულის თანდათანობითი განვითარება ნუსხა ხუცურიდან, რომელიც თითქმის ხუთი საუკუნის სიგრძეზე წარმოებს (XI და XVI ს.). მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის ასომთავრულის, ამ უძველესი ქართული დამწერლობის განვითარება. ამ დამწერლობის უძველეს ნიმუშს დღემდის ფულების ზედწერილები და კედლის წარწერები წარმოადგენდა.

ზედწერილები სულ რანდენიმე ასოს შეიცავენ, გაცილებით უფრო ვრცელი და საყურადღებო ტექსტის მატარებელნი არიან წარწერები. ამ უკანასკნელთა (ბოლნისის სიონის წარწერა VI ს. და ჯვარის საყდრის წარწერა VII ს-ის პირველ მეოთხედისა) შესწავლა საგულისხმიერო დასკვნებს იძლევა. ამ შემთხვევაში შეჯე-

რებითი დაკვირვება არკვევს, რომ ასო ბ-ანი VI ს-ში თავ შეკრული იწერება (ბოლნისის წარწერა), მაშინ როცა უკვე მეწვეიდე ს-ის დასაწყისში მას თავი გახსნილი აქვს. თავშეკრული მოხაზულობა ჯ-ისი და ყ-არისა დამახასიათებელია ორივე ძეგლისათვის.

მეტად საყურადღებოა, რომ შეკრული ასოების ასეთი თანდათან თავის გახსნა დამახასიათებელია სხვა ერების (განსაკუთრებით სემანთ მოდგმის სხვადასხვა ტომის) დამწერლობისათვისაც. ამავე დროს ეს ჩვენი უძველესი ძეგლებიც კი მრგოლოვან (ე. ი. მრგვალი მოყვანალობის) დამწერლობას ეკუთვნიან, მაშინ როცა ცნობილია, რომ ყველა ძველი ანბანი, თავის წარმოშობისას, კუთხოვანი ფორმისაა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემობას, რომ ჩვენთვის ცნობილ ხანაში ქართ. დამწერლობა ვითარდებოდა სწორედ იმ კანონების მიხედვით, რომელნიც „მოკმედებდნენ სხვა ერთა დამწერლობის განვითარებაზედაც“, სრული უფლება გვაქვს, უუქცევითი მსჯელობის საშუალებით დავასკვნათ, რომ ეს განვითარების გზები წინა დროებშიაც ანალოგიური უნდა ყოფილიყო და ქართული ანბანის თავდაპირველი მოხაზულობა კუთხოვანად უნდა წარმოედიგინოთ.

ამ საკითხების რკვევას მივყავართ ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემასთან. აქ უკვე დიდი სიფრთხილეა საჭირო მკვლევარისათვის, სანამ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ქართული დამწერლობის უძველესი ძეგლები, თუმცა მაინც შესაძლებელია საკაოდ სარწმუნო ჰიპოთეზის წარმოდგენა.

როგორც ვიცით, ამ საკითხის გარშემო საკმაოდ დიდი ლიტერატურა არსებობს და იგი ძველდაც ცხოველი ინტერესის საგანი იყო. ამ ინტერესის ნაყოფია ორი უძველესი თეორია: ერთი — ქართული, ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველისა — და მეორე — სომხური წყაროებიდან მომდინარე. ლეონტი მროველის მოწმობით, ქართული ანბანი ფარნავაზ მეფემ მოიგონა, სომხური თეორია კი ქართული ანბანის შედგენას, სომხურ ანბანთან ერთად, მესროპს მიაწერს...

ამ უკანასკნელი ცნობის პირველ წყაროდ სომეხი ისტორიკოსი კორიუნი ითვლებოდა, მაგრამ ეხლა ირკვევა, რომ კორიუნის თხზულების უძველეს რედაქციაში არაფერი არ არის ნათქვამი ქართული ანბანის მესროპის მიერ გამოგონების შესახებ და ეს ცნობა შემდეგ დროებში უნდა იყოს შეთხზული. მაინც სომხურ თეორიას ახალ დროებშიაც ბევრი მომხრე ჰყავდა; თუმცა თავის-

თავად ცხადი იყო, რომ ეს მოთხრობა მითს წარმოადგენდა, რადგან სრულებით დაუჯერებელი იყო ორი დამთავრებული ანბანის ერთი პირის მიერ შექმნა იმ ხანებში, მით უმეტეს, რომ ქართული და სომხური ანბანები მკაფიოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც რიგით, ისე მოხაზულობით. ამ გარემოებას წინათაც მიაქციეს ყურადღება, მაგრამ განსაკუთრებით ცხადყო სომხური თეორიის წინააღმდეგობანი გერმანელმა მეცნიერმა გარტჰაუზენმა, რომელმაც უძღვნა ამ საკითხს სპეციალური საყურადღებო გამოკვლევა.

მაგრამ გარტჰაუზენმა ის შეცთომა დაუშვა, რომ ქართული ანბანის პირველწყაროდ ბერძნული ალფაბეტი მიიჩნია და იფიქრა, რომ ბერძნული ასოების ქართულ ბგერათა გამოსახატავად გამოყენება ზეხუთე საუკუნეში უნდა მომხდარიყო ქ. შ. ამ აზრის მიღება შეუძლებელია, რადგანაც ბერძნული ალფაბეტის ზოგიერთი ასო, რომელთაც ქართულში თავისი შესატყვისობა მოეპოვებათ და რიგშიაც ერთი და იგივე ადგილი უქირაავთ, გამოსული იყო ხმარებიდან ბერძნულში ჯერ კიდევ VII ს-ში ქ. წ. უფრო საფიქრებელია, რომ ქართული ანბანი წარმოშობილი უნდა იყოს სემიანთა მოდგმის ერთ-ერთი ტომის დამწერლობიდან, რომელსაც თავის მხრივ იგივე ფინიკიური ან. მისი შემდეგდროინდელი სახეცვლილება, არამეული დამწერლობა ედო საფუძვლად. ქართული ანბანის წარმოშობის დროც არა ერთი და ორი საუკუნით უნდა დაშორდეს ქართული დამწერლობის თვით უძველესი შენახული ნიმუშების თარიღსაც. ამას გვაფიქრებინებს ის ზემოხსენებული გარემოება, რომ ქართული დამწერლობა თავდაპირველად კუთხოვანი უნდა ყოფილიყო, მაშინ როცა უკვე მეექვსე საუკუნეში ქართულ ასოებს საეკლესიო დასრულებული სახე და მრგლოვანი მოყვანილობა აქვთ.

ამის შემდეგ მომხსენებელი გადავიდა მის მიერ აღმოჩენილი ძეგლების დახასიათებაზე. ქართული მწერლობის ეს უძველესი ნაშთები ადგილობრივ საგანძურებში ინახება და წარმოადგენენ ეტრატის პალიმფსესტებს, ე. ი. შეიცავენ ახალ ტექსტს ძველ გადარეცხილ ტექსტზე დაწერილს. ასეთი პალიმფსესტის წაკითხვა მხოლოდ გამადიდებელი შუშის შემწეობით დიდ სიძნელეს წარმოადგენს და მხოლოდ ისეთი არაჩვეულებრივი ენერჯის პატრონს, როგორიც არის ივ. ჯავახიშვილი, შეეძლო, სულ მოკლე დროში, 50 გვერდამდის წაეკითხა ეს უმნიშვნელოვანესი ტექსტები.

ორი ფურცელი ასეთი პალიმფსესტისა, ოქსფორდის უნივერსიტეტის საკუთრება, დაბადების ტექსტის (იერემია) შემცველი, გამოსცა პროფ. კოკოვცოვმა, მაგრამ მხოლოდ ეხლა იქმნა წაკითხული პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ.

ადგილობრივი პალიმფსესტები სხვადასხვა ხასიათის ტექსტს შეიცავენ (სახარება, აპოკრიფული საქმე მოციქულთა და სხვა).

როგორც ოქსფორდის, ისე ადგილობრივი პალიმფსესტების ძველი ტექსტი დაწერილია ასომთავრულით, რომელშიაც არა ნართო ჯ-იე და უ-არი, არამედ, ზ-ანიც თავშეკრული მოხაზულობისა არის. ამით სრულის უეჭველობით მტკიცდება, რომ ეს ძეგლები ეკუთვნიან დროს, არა უგვიანეს მეექვსე (VI) საუკუნისა, გარემოება, რომელიც მათ დაუფასებელ მნიშვნელობას ანიჭებს. ხელნაწერების სიძველე მტკიცდება მათი ენის გასაოცარი არქაიზმებით. ეს არქაიზმი ენისა განსაკუთრებით ცხადდება ზმნის წარმოებაში: აქ მეორე და მესამე პირის პრეფიქსებად მტკიცე ერთგვარობით და დასრულებით იხმარება ზ-ანი. მაგ.: ზუყოფდით მათ (= უყოფდით მათ); ზესაეთ მიღებას (= ესაეთ); ზავასხებენ (= ავასხებენ); ნუ დახსჯით, რაჟთა არა დახისაჯნეთ, სხედავთ, ზეტუჯ ძმასა შენსა და სხვ. ლექსიკის მხრივ ირკვევა, რომ მეექვსე საუკუნის შემდეგ მეცხრე საუკუნემდის, რომელსაც ეკუთვნის ადიშის სახარება, ძველ ქართულს თითქმის არაფითარი ცვლილება არ განუცდია. ამას ამტკიცებს პალიმფსესტებში შენახული სახარების ტექსტის შედარება ადიშის ტექსტთან: სხვაობა მხოლოდ ოროგრაფიულია (მაგ. ზ-ანის გაქრობა). ენის სიძველით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ასეთს ძვირფას ძეგლებს შემდეგი თაობები ანადგურებდნენ: მათთვის უკვე გაუგებარი იყო ამ ძველი გრამატიკული ფორმანტებით დატვირთული ქართული.

როგორც უკვე ითქვა, აღნიშნული ძეგლების მნიშვნელობა ფასდაუდებელია. ისინი სრულიად ახალ ნათელს ჰტენენ ჩვენი კულტურის ისტორიის ძირათად საკითხებს და ამ შემთხვევაში გადამკრელ როლს თამაშობენ. მომხსენებელმა აღნიშნა ზოგიერთი დებულება, რომლებიც ახალამოჩენილი ძეგლების შესწავლიდან გამომდინარეობენ:

1) საბოლოოდ ირკვევა, რომ მეექვსე საუკუნისათვის დაბადების ქართული თარგმანი უკვე შესრულებული იყო. ამით ირღვევა ნ. მარის თეორია ბიბლიის ქართული ვერსიის მეშვიდე თუ მერვე საუკუნეში წარმოშობის შესახებ.

2) მტკიცდება, რომ ძველი და ახალი აღთქმა თავდაპირველად სწორედ ქართულ ენაზე იყო თარგმნილი, და არა სვანურზე, როგორც ამას ფიქრობდა იგივე ნ. მარი.

3) ქართული ენაკავებისა და სამწერლობო ენის თავდაპირველი დამოკიდებულება იმ განათებაში გვევლინება, რომელშიაც წარმოდგენილი იყო სალიტერატურო ენისა და დიალექტების ეს გენეტური ურთიერთფარდობა. პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიაში“ მტკიცდება, რომ ქართული სამწერლობო ენა წარმოდგენს ქართველ ტომთა კოლექტიური შემოქმედების ნაყოფს; რომ თავდაპირველად ქართული ენაკავები გაცილებით უფრო ახლო იდგნენ ერთმანეთთან, ვიდრე შემდეგ დროებში; რომ ეს შემდეგდროინდელი დაშორება შედეგია ისტორიული უკულმართობის, როცა, ერთი მხრივ, საქართველოს ცენტრალურ ნაწილში ლიტერატურულმა ენამ ჩანთქა კილოები, ხოლო, მეორე მხრივ, კარჩაეტილობის წყალობით, განაპირებზე ვითარდებოდნენ კიდემსობოლი ძალები. ამას მშვენიერად ამტკიცებს ზ-ანის პრეფიქსალური ხმარება ისეთ სხვადასხვა დროის და ადგილის ძეგლებში, როგორიც არის ჯვარის საყდრისა და ბოლნისის წარწერები და ოქსფორდისა და თბილისის პალიმფსესტები — გარემოება, მაჩვენებელი იმისა, რომ ეს გრამატიკული ფორმა საერთოსა და სავალდებულო ნორმას წარმოადგენდა ძველი ქართულისათვის, და რომ ეს ზ-ანი საერთო იყო აგრეთვე ენაკავებისთვისაც, ამტკიცებს მისი დღევანდლამდე არსებობა ორს, უკიდურესად ერთმანეთზე დაშორებულს, ქართულ ენაკავში: სვანურსა და ხევსურულში. სალიტერატურო ქართულში და დანარჩენ დიალექტებში იგი გადაგვარდა ჯერ ჰ-ად და შემდეგ ხ-ანად, ან სრულებით დაიკარგა.

4) უქმდება ის შეხედულება, რომელსაც ქართული მწერლობისა და კულტურის დასაწყისი მეცხრე საუკუნეში წარმოედგინა. ეს მიჯნა ეხლა გაცილებით უკან, ამ აღმოჩენამდის ბნელით მოცულ, საუკუნეებში გადადის. ამ საუკუნეებს ეხლა ფარდა ეხდება და სახე ერკვევა. აღმოჩენილ ძეგლებში ყველაფერი ერის მაღალ კულტუროსნობასა და ნივთიერ კეთილდღეობას ჰმოწმობს: სავსებით ჩამოყალიბებული და მდიდარი ენა, დიდი და ლამაზი ასოები, სავსებით ჩამოქნილი და დამთავრებული სახისა, საუცხოოდ დამუშავებული ეტრათი, რომელსაც გადამწერი სრულებით არ იზოგავს, დაბოლოს, სასენი ნიშნების სამსაფეხურიანი სისტემა, რომლის ქართულ მწერლობაში პირველად დადგინებას დღემდის ჩვენ ეფრემ მცირეს ვაწერდით.

რასაკვირველია, ამით არ ამოიწურება ამ ძეგლების მნიშვნელობა. მათი სავსებით დაფასება მაშინ იქნება მხოლოდ შესაძლებელი, როცა ისინი მთლიანად იქნებიან წაკითხულნი (2,000 მეტს გვერდს შეიცავენ).

დასასრულ, მომხსენებელი გამოთქვამს რწმენას, რომ ახლო მომავალი კიდევ უფრო დიდ და მოულოდნელ შესაძლებლობათა წიაღ-მატარებელია და რომ ქართულმეტყველებას ჯერ კიდევ მრავალი ახალი გამარჯვება ელის.

მომხსენებას ორივეჯერ აუარებელი ხალხი დაესწრო. აუცილებლად საჭიროა, ჩვენი აზრით, ამ მოხსენების ხელახლა წაკითხვა უფრო ვრცელ დარბაზში, რომ იმათაც, ვინც ვერც ერთჯერ ვერ მოახერხეს მისი მოსმენა, საშუალება ჰქონდეთ გაეცნონ ამ დიდ-მნიშვნელოვან ფაქტებს.

საზოგადოებაზე მოხსენებამ უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა. ლექტორი მხურვალე ოვაციებით გააცილეს.

მინაწერი. მოხსენებას „რუბიკონში“ შენიშვნა გამოუწვევია, რომელსაც, ჩვენი აზრით, თავის მხრივ ეპირება შენიშვნა. წერილის ავტორი ამბობს, თითქოს მომხსენებელი ცდილიყვეს უარეყო ნ. მარის „იაფეტიდოლოგიის მთელი ფილოლოგიური დისციპლინა“ და მისი „მთელი მეცნიერული მემკვიდრეობა“, ნამდვილად კი ივ. ჯაფახიშვილი ნ. მარის ზემომხსენებულ თეორიებს ეკანათებოდა და არაფერი ამის მსგავსი არ უთქვამს. და რას უნდა გამოეწვია წერილის ავტორის მიერ ფაქტიური სინამდვილის დარღვევა, გაუგებარია.

მრავლობითი რიცხვის -თა/თ- სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის

წინამდებარე ეტიუდი წარმოადგენს ცდას პასუხი გაეცეს, ჯერჯერობით უთუოდ ჰიპოთეტური ფორმით, ერთ-ერთს იმ გრამატიკულ საკითხთაგანს, რომლებიც წამოიპყრნენ ჩვენს წინაშე ქართულ საკუთარ სახელებზე მუშაობის პროცესში. ჰიპოთეტურ ხასიათს ჩვენი მსჯელობისას განსაზღვრავს ის, რომ გრამატიკის ისედაც ყველაზე წერყვევი და სახიფათო დარგის — ეტიმოლოგიის — საგანი ამ შემთხვევაში არის მორფოლოგიური ელემენტი, ე. ი. სიტყვის ისეთი ნაწილი, რომელიც, თუმცა მართლაც შესაძლებელია განსაზღვრული ცნების მატარებელი, ოდესღაც დამოუკიდებელი, სიტყვიდან იყოს ამოსული, მაგრამ რომელსაც ყველაზე უფრო აქვს წარხოცილი თავისი პირვანდელი სახე, რადგანაც, თავისი მდგომარეობის გამო, უწინარეს ყოვლისა მას ატყუებოდა თავზე დროთა ვითარების მთელი სიმძიმე. ჩვენი მიდგომა საკითხისადმი გამოწვეული იყო ზოგადი მოსაზრებებით, რომლებიც სხვა მსგავსი ფორმატივების ანალიზის ანალოგიური შედეგებიდან გამომდინარეობს და რომელთა გამომქვავებას ჩვენ სხომის შევეცდებით.

მორფოლოგიური ელემენტი, რომლის ეტიმოლოგიასაც ჩვენ ვეძებთ, ყველაზე ადრე მრ. რ. სუფიქსებს შორის უნდა ვუჩვენოთ. ეს არის ძველი ქართულის თა/თ (უკანასკნელი გვხვდება კომპოზიტებში), რომელიც მსოლოდ ირიბ ბრუნვებში იხმარება, თუ ერთადერთს, არცთუ სავსებით ნათელს, შემთხვევას არ გავითვალისწინებთ: ვი-ეთ-ი ვი-ნ'ისაგან¹. სათანადო ლიტერატურაში ამ სუფიქსის ძირითად ელემენტად თანხმოვანი (თ) არის მიჩნეული², მაგრამ თუ გავიზიარებდით აკად. ნ. მარის აზრს, რომ მრავლობითის ესევე ბოლოსართი შემოუწნაბავს ქანურსაც ნაცვალსახე-

¹ Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка. Материалы по яфетическому языкознанию, XII, § 57.

² იქვე, §§ 51, 52, 55, 57; ასეთისავე აზრისაა არნ. ჩიქობავა, ონ სუფიქსი მეგრულში, ტფ. უნივერსიტეტის მოაზრე, გვ. 308.

ლებში თე'ს ფორმით (ამ + თე-ფე, ჰემ + თე-ფე და სხვ.)¹, მაშინ ეს საკითხი ჯერ გადაუწყვეტლად უნდა ჩაითვალოს.

როგორც Gen. pl. ეს სუფიქსი გვხვდება გეოგრაფიულ სახელებშიაც, რაც ცხადია კომპოზიტებში (გოგათგვერდი თრიალეთში, მუხათგვერდი ალგეთის ხეობაში, ოხერთთავი სამცხეში და მრავ. სხვ.). შესაძლებელია აგრეთვე ამ კომპოზიტების ერთი შემადგენელი ნაწილი, სახელდობრ სასაზღვრი სიტყვა, ზოგიერთ შემთხვევაში დაკარგულიყო და მიგვეღო -თა-ზე დაბოლოებული გეოგრ. სახელები, როგორც ეს სამართლიანად ვარლამ თოფურიასაც აქვს აღნიშნული². მაგრამ ვ. თოფურია ჰქვიტრობს, რომ საზოგადოდ „-თა სუფიქსი ქართულს ნიადაგზე ყოფილა წარმოშობილი და წარმოდგენს მრავლ. რიცხვ. ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებას. მას დროთა ვითარებაში ადგილის სახელის სუფიქსობის ფუნქცია დაუკავშირდა“³. ჩვენ ამ მოსაზრებას არ ვიზიარებთ. გვგონია, რომ ამ კატეგორიაში მოიპოვება ისეთი სახელებიც, რომელთა დაბოლოება ჩვენ სახელობითი ბრუნვის ფორმანტად მიგვაჩნია: ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათი ქართული წარმოშობა საეჭვოა, რადგანაც ისეთს რაიონებში გვხვდება, სადაც ქართველის მოსახლეობის არსებობა ან დაუმტკიცებელია (მაგ. სამეგრელოში: ხეთა, ეინთა, ჰაბურთა და სხვ.), ან საძიებელი (ხორანთა ჰერეთში, ქურთა ჩრდ. ოსეთში და სხ.); შემდეგ იმიტომაც, რომ ამ სახელების ეტიმოლოგია ყოველთვის არ არის იმდენად ნათელი, რომ მათი, როგორც კომპოზიტის ნაშთის, გაგება დაუმტკიცებლად არ ჩაგვეთვალა (თუნდაც იგივე მცხეთა, ვარენტა სამცხეში, ხანძთა შეფეთში, იკორთა ქართლში, გუფთა ქართლშივე, დიდი ლიახვის ხეობაში და სხვ.). დასასრულ, ამასვე გვაფიქრებინებს ჩვენ ქართულ გეოგრაფიულ სახელთა ისეთი სუფიქსები, სადაც ფორმატივი წარმოდგენილია -თი'ს სხვადასხვა, ხშირად გართულბულს, პირობებში. ფუნქციის იდენტობა, ფონეტიკური მსგავსება და

¹ Н. Марр, Грамматика чакского (лазского) языка. Материалы по языческому языкознанию, II, § 48, 3. თვით Е. მარს თე ეთისაჲან მომდინარედ მიაჩნია, მაგრამ დამაჯერებელი საბუთები ამისათვის არ წარმოუდგენია. იხ. მისივე Два яфетических суффикса -те (-ti → -t) в грамматике древнеармянского (хайского) языка, ИАН, 1910, გვ. 1249.

² ვ. თოფურია, გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის ქართულში, კრებ. „ჩვენი მეცნიერება“, № 11—12, ტფილისი, 1924, გვ. 7—10.

³ იქვე, გვ. 10.

აგრეთვე სხვა მოსაზრებები და ფაქტები, რომელთა შესახებ ქვე-
ნით იქნება საუბარი, უფლებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ ჩვენ
აქ ერთისადიმივე სუფიქსის ვარიანტებთან გვაქვს საქმე. გა-
დავდივართ გეოგრაფიულ სახელთა ამ ჯგუფის განხილვაზე.

1) -თი სუფიქსს წინ უსწრებს თანხმოვანი, რომელიც უთუოდ
ფუძეს ეკუთვნის, ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია იგი ამ სუ-
ფიქსის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდეს. მაგალითები: ხანძარ-თი
(კლარჯეთში), პირონ-თი და ღვან-თი (ქანეთში), ტირახ-თი (სპერ-
ში), ლარ-თი (? ქართლში), კინ-თი (თიანეთში)¹.

2) -თი სუფიქსს წინ უსწრებს ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ; ამ
ჯგუფს ეკუთვნის აუარებელი ქართ. გეოგრაფიული სახელი.
ხმოვნის წარმოშობისათვის შესაძლებელია სამი განმარტება: ხმო-
ვანი ეკუთვნის ფუძეს, წარმოადგენს ინფიქსს, ან არა და იგი
არის სუფიქსის ძირეული ელემენტი. ყველაზე ნაკლებ დანაჯერებ-
ლად ჩვენ მიგვაჩნია უკანასკნელი შესაძლებლობა: თუ მივიღებდით
-ათი, -ეთი, -ითი, -ოთი და -უთი სუფიქსების არსებობას, მაშინ
ისინი დიალექტურ ვარიაციებად უნდა ჩაგვეთვალა (ბოლოკიდური
მის საკითხს ჯერჯერობით არ ვეხებით); ამ შემთხვევაში რანდ-
ნადმე გაუგებარი იქნებოდა, რატომ დიალექტური თავისებურება
სუფიქსის მხოლოდ პირველი რადიკალით არის გამოხატული (თან-
ხმოვნის ვარიანტი ჩვენ მოგვეპოვება, როგორც ქვემოთ დავინა-
ხავთ, მაგრამ ის არც ერთ ამ ხმოვანთან დაკავშირებული არ არის
და მერძინდელს, ფონეტიკურს ნიადაგზე განვითარებულს, მო-
ვლენას უნდა წარმოადგენდეს). ამას გარდა, სრულიად აუხსნელი
იქნებოდა ყველა ამ სახეობის ერთსადიმივე, ხშირად ვიწროდ
შემოფარგლულს, რაიონში და ერთსადიმივე დროს საქართვე-
ლოს სხვადასხვა კუთხეში არსებობა. ამასთან დაკავშირებით, უწყ-
ებული სახელების გავრცელება სრულებით არ უდგება ქართვე-
ლური ენების ხმოვანთა შესატყვისობის მიღებულ სქემას (ა ქარ-
თულისათვის, ო/უ მეგრულისათვის, ე სვანურისათვის და სხვ.).

ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ ეს ხმოვნები ზოგიერთ შემთხვე-
ვაში ეკუთვნიან ფუძეს (როგორც ამას ამოწმებს სათანადო სახე-
ლების ეტიმოლოგია, ან კიდევ ის გარემოება, რომ ფუძისათვის

¹ მაგალითები უმთავრესად ამოღებულია პროფ. ივ. ჯავახიშვილის
რედაქციით გამოცემული საისტორიო რუკიდან (ტფ. 1923 წ.) და ვახუშტი
ბატონიშვილის საქ. გეოგრაფიიდან (ბროსეს გამოც., სპგ, 1842).
მთელი სისრულით ამ მასალას ჩვენ წარმოვადგენთ მაშინ, როცა ქართ. ტობონი-
მიკას არსებითად შეეხებით.

მარცვლის შესაქმნელად სხვა ხმოვანი არ გვრჩება), სხვა შემთხვევაში კიდეც ეს ვოკალები უნდა გავიგოთ, როგორც ჩასართი ელემენტები. უკანასკნელი მოსაზრების სასარგებლოდ უნდა გავიხსენოთ, რომ ასეთი ინფიქსები ქართველურ ენებში სხვა პირობებშიაც გვხვდება. ვ. თოფურიამ სამართლიანად უჩვენა, რომ კუთვნილების ე-ან, ე-ან სუფიქსში ე და ე ხმოვნები დამოუკიდებელ ელემენტებს წარმოადგენენ¹. თავის დროზე ჩვენ ვეცდებით ახალი საბუთები მოვიტანოთ ამ შეხედულების სასარგებლოდ. ასეთსავე ინფიქსს წარმოადგენს ი -ე-ერ სუფიქსში (ძლ-ი-ერი, მეცნ-ი-ერი) და ე ზოგჯერ მრავლობითის დაბოლოების -ნი'ს წინ: იგ-ე-ნი მოსალოდნელი იგ-ნი'ს მაგიერ. კერძოდ -ე- შესაძლოა ნათეს. ბრუნვის ხმოვან ნიშანს წარმოადგენდეს.

მოვიტანოთ მაგალითები:

-ა-თი: თეკლათი (სამეგრელო, ქალის სახელისაგან „თეკლა“), აბედათი (იქვე, აბედ-ისგან?), ჯუჰათი (გურია, შეადრ. ქან. ჯუმა = ძმა), დუდნევათი, ზალნათი და მელიათი (ქანეთი), კობლათი (სპერო), თელათი (ტაო, თელა-საგან), მთა ხირხათი (აქარა), გუმათი, გელათი, ფერსათი, ბაღდათი (ზოგჯერ, ასე მაგ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ხსენებულ რუკაზე, შეცთომით ბაღდაღ'ად არის ნაჩვენები), ცუცხვათი, ჯგილათი, გრიგოლათი (გრიგოლა-საგან, ყველა ეს სახელები იმერეთში იპოვება), ლაგვათი (შეიძლება ლაკვა-საგან) და ნაბათი (რაქა), გორათი (გორა-საგან? ქართლი), ვანათი (ქართლში), ვანათი (ქართლშივე, პატარა ლიახვის ხეობაში), ვანათი (კახეთში), ვანათი (სამშვილდის რაიონში), ვანათი (ბოლნისის რაიონში).

-ი-თი (ი ეკუთვნის ფუძეს, ან წარმოადგენს ბრუნვის ნიშანს, უფრო საფიქრებელია ნათესაობითისას, მაგრამ შესაძლოა ვიგულისხმოთ სახელობითიც): ძიმითი (გურია), ჩუქულითი (ქანეთი), ოფიშკვითი, როკითი (როკ-ისაგან), ხრეთი, ღვანკითი, ხორითი (იმერეთი), სხლითი (სხალ-ისაგან, შეადრ. სხლები), ხვითი, ხვითი (ხე-საგან? შეადრ. კლდისი), კულებითი, კვარხითი (ქართლი), ჩიმითი (ჩრდ. ოსეთი), ჩიმითი (კახეთი), მოლითი (თრიალეთი, შეადრ. მოლითი ზემო იმერეთში), ზრბითი (ალგეთის ხეობაში) და სხვ.

¹ გეოგრაფიულ სახელთა -თა სუფიქსისათვის, გვ. 9, შენშ. 1. ავტორს ასეთი შეხედულება ცალკე დებულების სახით არ გამოუთქვამს, მაგრამ ეს ხმოვნები გამოყოფილი აქვს დეფისებით.

-**თ-თი** (საფიქრებელია, რომ -**თ-** უმეტეს შემთხვევაში ფუძისეულია. -**თ-** და -**უ-** ინფიქსები ერთმანეთის ბგერინაცვლებს წარმოადგენენ, შეადრ. ფოთი || ფუთი): ფოთი (სამეგრ.), ბობოთი (ფუძე ექვს გარეშეა არის ბობო-), რუფოთი, კინოთი, დემოთი (იმერეთი), ბელოთი, ქოლოთი, იკოთი (ქართლი), ხეოთი (? ჯაბახ.), ამოთი და ელოთი (ალგეთის ხეობაში), ჯაჯოთი (? კოლა).

-**უ-თი** (ემბრობა წინამორბედ ჯგუფს, ზოგჯერ შესაძლოა -**უ-** უმარცვლო უ-ს განვითარებას წარმოადგენდეს): ფუთი (სამეგრელო, -**უ-** ფუძისეულია), ფუთი (იგივეა, იმერეთი), ლანჩხუთი (ალბათ უდრის 'საძროხეს': ლა-ნ-ჩხუ-თი, ნ განვითარებულია) და ქაჭუთი (გურია), ხუნუთი (სპერი), ჩიკუთი (თორთომი), თალორუთი, ტამრუთი (ტაო), გეგუთი (იმერ.), გეგუთი (დმანისის ხეობა), მუგუთი (დიდი ლიახვის ხეობა), მუგუთი (ქციის ხეობა), კილუთი (კილ-ისაგან? ქსნის ხეობა), თაგუთი (თაგჯ-საგან? დმანისის ხეობა), ქელუთი (ტაშირი), უცუთი (იქვე), აცუთი (ქოქკანის ხეობა, სომხითი).

დასასრულ, უნდა შევხვთ -**ე-თი-ან** სახელებს, რომელთაც, როგორც ცნობილია, ყველაზე დიდი გავრცელება აქვთ მოხვეჭილი. ამ სუფიქსს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ: იგი ითვლება „ქვეყნების, როგორც განსაზღვრული ეთნიკური სახელწოდების მატარებელი მოსახლეობის შემცველი კრებითი ცნებების, სახელწოდებათა მაწარმოებლად“¹. მაგრამ -**ე-თი-თ** დაბოლოებული მრავალრიცხოვანი სოფლებისა და ადგილების სახელები უარყოფენ ამ ეტიკვებას, რადგანაც შეუძლებელია ყველა ამ სახელში ეთნიკური შინაარსი ვეძებოთ. შეიძლება ითქვას მეტიც: ეს სუფიქსი აწარმოებს არა მარტო გეოგრაფიულ სახელებს, რაშიაც ქვემოთ დავრწმუნდებით, საზოგადოდ, -**ე-თი** არსებითად არ განსხვავდება -**თი** ფორმატივის ზემოთ განხილულ სახეობათაგან. ამასთანავე, თუმცა მისი უპირატესი მნიშვნელობა ქვეყნების სახელწოდებათა წარმოებისათვის (ქართულში მხოლოდ) ცხადია, მაგრამ ეს მოვლენა პირვანდელი არ უნდა იყოს. კერძოდ, ამას გვიჩვენებს სახელწოდება „სომხითი“, „სომხეთი“-ს დუბლეტი. პირველი უფრო ძველიც კი არის. უძველესი ქართველი ისტორიკოსები: სტეფანე მტბევარი, ლეონტი მროველი, ჯუანშერი და სხვ. სომხების საკუთარი მიწა-წყლისათვის იცნობენ მხოლოდ პირველ ფორმას. ხუნანის საერისთაოს მერმინდელი სახელიც — „სომხითი“, მეცხრამეტე

¹ Н. М а р р, Грам. др.-лит. груз. яз., § 52 და სხვა მის შრომებში.

საუკუნემდის ხმარებული, რომელიც იმიტომ გაჩნდა, რომ „ხოს-როვანთა შემდგომად დაიპყრეს ბაგრატ მეფისამდე სომხთის შეფეთა ადგილნი ესენი, ... ამისთვის უწოდეს სომხითი“¹, აგრეთვე ამ მოსაზრებას ადასტურებს. „სომხეთი“ შემდეგ გამოყენებულ იქნა სწორედ ამ პროვინციისაგან სადიფერენციაციოდ საკუთრივ ლაქსისათვის, და შესაძლოა ამ ნიადაგზევე იყოს წარმოშობილიც კი.

მაგალითებს ამ სახეობისათვის აღარ დავასახელებთ, რადგან ამ გზით ნაწარმოები სახელები კარგად არის ცნობილი, ვიტყვით მხოლოდ, რომ მათი მატერიალური მხარეც ამტკიცებს, რომ -ე-თი გეოგრ. სახელთა წარმოებაში ზევით ჩამოთვლილ ფორმებსაც ეფარდება, მაგ. გომარეთი || გომართა, ჯავახეთი || ჯავახთა, გორეთი || გორათი, ვანეთი || ვანათი, თელეთი || თელათი, ველეთი || ველათი.

თუ ყველა ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას გავიზიარებდით, შეიძლებოდა საკითხი დაგვესვა: ხომ არა გვაქვს აქ საქმე მრავლობითის ფორმანტის გეოგრაფ. სახელთა საწარმოებლად გამოყენებასთან ყველა ამ შემთხვევაში? კერძოდ -ეთის შესახებ ასეთ აზრს ადგას ნ. მარი², რასაც ენერგიულად ეწინააღმდეგება ვ. თოფურია, ალბათ იმიტომ, რომ მას -ე- სუფიქსისათვის ძირეულად მიაჩნია³. არსებითად გეოგრ. სახელების ასეთი წარმოება საესებით შესაძლებელია. ავიღოთ თუნდაც სრულიად უცილობელი -ეზ-ით ნაწარმოები სახელები: სხლები (დიდი ლიახვის ხეობა, იგივე ძამის ხ., შეადრ. სხალთა და სხლითი), ბოსლები (ყვირილას ხ., იგივე ლუკუნის მთაში, იგივე გვერდისძირში, შეადრ. ბოსლეთი და ბოსელთა), შინდები (დიდი ლიახვის ხ.), ქილები (თრიალ.), შაშვები (ქართლი), ლქარები (წედისის ხ.) და სხვ. ოსები ქართლში იხმარება ოსეთის მნიშვნელობით (სხვათა შორის, გვაგონდება ასეთი ლიტერატურული ფსევდონიმი — „ქართველი, ოსებში ნამყოფი“). მაგალითების გამრავლება (თუნდაც სხვა ენებიდან, მაგ. სომხურიდან) საჭირო აღარ არის.

მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ საკითხი უნდა სხვანაირად გადაწყდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ესევე ფორმანტი აწარმოებს გვარისსახელებსაც. ისეთს ფორმებს რომ

¹ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, ბროსეს გამოც., 1842 წ., გვ. 180.

² История термина „анхаз“, ИАН, 1912, გვ. 703.

³ გეოგრ. სახელთა -თა სუფიქსისათვის..., გვ. 7, 9.

თავი დავანებოთ, როგორც არის ოთარაანთ (ქვრივი, გიორგი თუ სხვა ვინმე) და აქედან ნაწარმოები ნომინატივი ოთარაანთა (უქანასკნელი ფორმა ისტორიულადაც არის დადასტურებული), ჩვენ გვაქვს შემთხვევები, როდესაც უწყებული ფორმატივი უშუალოდ, ან ინფიქსის საშუალებით, ერთვის ფუძეს, რაც ჩვენთვის გაცილებით უფრო საინტერესოა.

რამდენიმე მაგალითი ამ ფაქტის თანამედროვე არსებობიდან: თუშები ხმარობენ ამგვარ ფორმებს: ქოთილთა განა (განა ქოთილადე), შველათ კოქაურ (კოქაურ შველაიდე), ჩეთათ გორგაი (გორგა ჩეთადე), ბექურათ ქალი (ბექურაძის ქალი), გულუხვათ ბიკები (გულუხვაიძის ბიკები)¹.

ამ სიის შემდგენელი დავ. კარიკაშვილი და ივ. ბუჭურაული აღნიშნავენ, ჩამოთვლილ თუშურ ფორმებს ჰგავს ქართლური და მესხური გვარის ფორმები და უჩვენებენ მაგალითებს: ქართლურისათვის „ტლაშაანთ პეტრე“-ს ტიპისას, მესხურისათვის კიდევ დასახელებული აქვთ „თამარათ მიქელ (აქედან: მიქელ თამარათი)“-ო². აქ იგულისხმება ალბათ ცნობილი მეცნიერი პატრი, რომელიც თავის გვარს ევროპულ ენებზე სწორედ ასე სწერდა. მართლაც, ახალციხის მაზრის კათოლიკე ქართველები ხმარობენ აშგვარს ფორმებს, როგორც ეს ჩანს იმ ცნობიდან, რომელიც ჩენი თხოვნით მოგეაწოდა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდ. ა. შანველიშვილმა: ეს მეტსახელები (უფრო სწორედ რომ ვთქვათ, „მეტგვარები“) იხმარება გვარის განაყოფ შტოთა აღსანიშნავად და მცხოვრებნი ერთმანეთს თურმე უმთავრესად ამ სახელებით იცნობენ, ზოგჯერ ალარც კი ახაოვთ ნამდვილი გვარისსახელები, მოვლენა, რომელიც სხვაგანაც კარგად არის ცნობილი, მაგ. ქართლში.

სოფ. ვალეში მანველიშვილები იყოფიან ორ შტოდ: ზაქროთი (ზაქრო-საგან) და გიქორათი (გიქორა ანუ გრიქორა-საგან). ხითარიშვილები კიდევ სამ შტოდ: ჩალლიანთი (ჩალლი-საგან, ა. მანველიშვილის ცნობით, ჩალლი თათრულად ჰნიშნავს ქალარა მოხუცს), პეტოთი (პეტო-საგან, რომელიც წარმოადგენს პეტრე-ს კნინობითს ფორმას წოდებითს ბრუნვაში) და კაკაჩათი (კაკაჩა-საგან, ცნობილია ასეთი სახელი, ა ბოლოკიდური აქ ძირეულია); დიასამიძეებში

¹ დავ. კ ა რ ი კ ა შ ვ ი ლ ი და ივ. ბ უ ჭ უ რ ა უ ლ ი, თუშურს ლექსებში: ნახმარი სიტყვების განმარტება, ძველი საქართველო, ტ. II, განც. V, გვ. 144.

² იკვე.

თურმე ცნობილნი არიან როსტიათი (როსტია-სგან, როსტომის სააღერსო ფორმაა) და სხვ. სოფ. არალში ჩილინგარიშვილებში ცნობილია ორი შტო: ონჯოთი და ჩილინგარიანთი და სხვ. ეს სახელები იხმარება ირიბ ბრუნვებში, მაგ. ზაქროთი ალექსანდრე. ამ შტოს ყველა წარმომადგენელი ერთად ეხლა იწოდება ზაქრო-შვილებად.

ს. მაკალათიას მიერ რაქაში შეკრებილი მასალებიდან, რომელიც მან ჩვენს საზოგადოებას მოახსენა, ჩანს, რომ იქაც გვაქვს ჩვენ ასეთი ფორმები, მაგრამ თავისებური და ჩვენთვის საყურადღებო სახეობის შემცველნი. სოფ. ლებში მაგ. გავაშელი-შვილებში ცნობილნი არიან შემდეგი შტოები: ლაშბენი, ზვიადენი (მიღებულია ზვიადანი და ლაშხანი, ან ლაშხინისგან). ეს ნომინატივში, ნათესაობითში ნ სრულიად იკარგება და მის ადგილს იკერს თ, რომელსაც წინ უძღვის ბმოვანი ე, განსაკუთრებით საინტერესო დეტალი. ანავე რიგს ეკუთვნის ნთიუღეთის ისეთი სოფლის სახელები, როგორც არის ბეგოთკარი, ზაქათკარი, რომლებიც გვარების მიხედვით არის ნაწარმოები.

საბედნიეროდ, ასეთი ფორმები ჩვენ ისტორიულადაც გვაქვს დამოწმებული. უძველესი ამ შემთხვევაში უნდა იყოს ზარზმის ლეთისმშობლის ხატის წარწერის ჩვენება. ეს წარწერა ამოკითხულია პროფ. ექვთ. თაყაიშვილის მიერ¹. აქ მოხსენებულია: „წმიდაო დედოფალო, მეოხ ეყავ წინაშე ძისა შენისა... ყოველთა ლაკაკთა“². აქ იგულისხმება ცნობილი ლაკაკის, რომლის შესახებაც მოგვითხრობს ბას. ზარზმელი, შთამომავლობა. რომ ე. თაყაიშვილის წაკითხვა სწორია და რომ ასეთი ფორმა ამ სახელისათვის იხმარებოდა, ამას ადასტურებს იერუშალიმის ჯვარის მონასტრის აღაპები³, სადაც მოხსენებულია „ლაკაკთა ქალი“: ივლისის 24-ისათვის ძველი ხელით აღნიშნულია: „ამსვე დღესა: აღპი: ქინა: ყოფლსა ქრისტისაჲ: ლაკაკთა: ქლსა შნ: ღნ“ (იხ. აღ. 275).

დიდად საყურადღებო ცნობები შემოუნახავს ნიკორწმინდის განთქმულ საბუთს, რომელსაც გამომცემელი (თ. ჟორდანია) სი-

¹ შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ, ტფ. უნივერსიტეტის მკვლევ. I, გვ. 114—118.

² იქვე, გვ. 116.

³ აღანი ჯვარის მონასტრისანი, ... გამოსცა ნ. მარკიანი, Bibliotheca armeno-georgica, III, ს. 361, 1914.

გელს უწოდებს¹ და რომელიც უფრო მემორიალის ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს. აი, ეს ცნობები საბუთის ავტორის კონტრაგენტების შესახებ: „შუბავეთაგან ვიყიდე... ყანაჲ“ (გვ. 46₂₇₋₂₈); „კლარჯეთ² შემოსწირეს... ყანაჲ“ (47₉₋₁₀); „სქელაეთგან ავიღე ყანაჲ ცხენისა საზღავედ...“ (48₄₋₆); „ლეთის ძ[რო?]ხაჲ საჩხეორს სასკესა დაესხა და დაკოდნა და მისთუ[ი]ნ საზღავედ ავი[ლ]ე საჯიდს სახლი...“ (49₁₀₋₁₁). ეს ფაქტები უმთავრესად იმდროინდელი რაქის სინამდვილიდან არის.

ამ ფორმის სახელით ხშირად იხსენიება აგრეთვე კლდეკარის პირველი ერისთავთ-ერისთავის, IX ს-ის განთქმული მოღვაწის, ლიპარიტის შთანთქმვალობა. „მატიანე ქართლისაჲ“-ში მოთხრობილია: როცა ბაგრატ IV-მ ლიპარიტ ლიპარიტისძისა და ივანე აბაზასძის, ქართლის ერისთავის, მიერ შეპყრობილი ტფილისის ამირა ჯაფარი შეიწყალა და „გაუტევა ტფილისს ზედა ამირად“, „მიერთგან დარჩა მტერობა ლიპ[ა]რიტეთ და ამირას შუა“³. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გვიამბობს: დავითმა ახლად აღშენებულს გელათის მონასტერს შესწირა სოფლები და მათ შორის „მამული ლიპარიტეთი უმკვდროდ დაშთოპილი“⁴. თაძარის ახალი ისტორიკოსი, ბასილ ეზოსმოძღვარი (შეიძლება პირობით ვიხმაროთ ეს სახელი), რომლის თხზულება 1923 წ. არის აღმოჩენილი პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ⁵, იცნობს აგრეთვე ამ ფორმას და ამბობს: „... დაწყებასავე ამისსა მეფობისა მისევე დრკუსა ძირისა ნაყოფთა ლიპარიტეთთა, შეილთა კახაბერთა... იწყეს... ბრძოლად მახლობელთა თუისთა“-ო⁶. როგორც პროფ. ივ. ჯავახიშვილმაც აღნიშნა, აქ სწორედ ამ ლიპარიტის, კლდეკარის პირველი ერისთავთ-ერისთავის შთამომავლობა იგულისხმება⁷. ამ საგვარეულოს ძირითადი გვარისსახელი არის ბალუაში, რასაც სპეციალურად შევხებით სხვაგან.

¹ ქრონიკები, წ. II, გვ. 43—49.

² ან წაკითხვის სისწორე გამომცემელს სპეციალურად აქვს დადასტურებული sic-ის საშუალებით, იქვე, გვ. 47⁶.

³ ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემულია ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1906, გვ. 258₁₀.

⁴ იქვე, გვ. 294₂₁.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III, 1923, გვ. 186—216.

⁶ იქვე, გვ. 209.

⁷ იქვე, გვ. 209—210.

ასეთივე ფორმა უნდა გვხვდებოდეს ლების ეკლესიის წარწერაში: „ღმერთო, გაუმარჯუე შენთ დავითეთ“. ვემყარებით გ. ბოქორიძის წანაკითხს, რომელმაც ადგილობრივ შეისწავლა ეს წარწერა¹.

ეხლა რომ ისევ ჯუარის მონასტრის ალაპებს მივუბრუნდეთ, ვიპოვით კიდევ შემდეგ ცნობებს: ნოემბრის 10-ს დადებულია ლაპი „მარკოზეთ კრიკე“-სთვის (აღ. 55), ცალკე სიაში მოხსენებულია „წირვა-ალაპი საუკუნოჲ ხუაშასი ქიაურთასი“ (გვ. XXVII₃₀) და სხვა, უფრო საკამათო, ადგილები რომ არ დავასახელოთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მ მაისის მინაწერი: „ამწვე ღღესა. პანაშვიდი: არსენი ცონცურიაჲთი“ (= ცონცურიკაჲთისაჲ)... (აღ. 227). აქ ჩვენ სუფიქსი ყოველ ექვს გარეშე გვაქვს სახელობითი ბრუნვის ფორმით. ამ მხრით ზევით მოხსენებულ მაგალითებშიაც საინტერესო მოწმობანი მოგვეპოვება: ცადი ხდება, რომ ამ ბოლოსართიანი სახელი იხმარებოდა წრფელობით ბრუნვაშიაც: „კლარჯეთ შემოსწირეს“ (წრფელობითი აქ ასრულებს მოთარობითის როლს). ციტატა თამარის ახლად აღმოჩენილი ისტორიიდან აგრეთვე ამტკიცებს, რომ სუფიქსი, ძველად სანამ მისი ნაშდელი მნიშვნელობა დაეწიებული არ იყო, იხმარებოდა სახელობითშიაც: „ლიპარიტეთთა“, პირველი თ არის მრავლობითის ფორმანტი, მეორე — მიცემითისა. დასასრულ, ჩემს შეკითხვაზე ა. მანველიშვილმა დამიდასტურა, რომ სამცხის ქართველობა ჰხმარობს ასეთ ფორმას: „ყოველი ზაქროთები“. აქაც იგივე ორმაგი სუფიქსაცია! რას გვეუბნებიან ქართული პატრონიმისტიკის ყველა ეს ძველი და ახალი ფაქტები? იმას რომ აქაც ჩვენთვის საინტერესო სუფიქსის ხმარებაში არაერთარი სხვაობა არ არის გეოგრაფიულ სახელებთან შედარებით: სუფიქსი გვხვდება ყველა ბრუნვის ფორმით, იგი უკავშირდება ფუძეს პირდაპირ, ან არა და ფუძესა და ბოლოსართს შორის ჩნდება ინფიქსი: ე (მარკოზ-ე-თ, კლარჯ-ე-თ და სხვ.), ი → ჯ (ცონცურიკაჲ-თი...) და სხვა.

დავასკვნათ:

მაშასადამე, ჩვენ გვაქვს სუფიქსი, დავუშვათ რომ ღია მარცვლის სახით (c+v): თანხმოვანი უდრის თ'ს, ხმოვნის ვინაობა უფრო ბნელია, ის არ უნდა იყოს ი, ყოველ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ყოველთვის გაგებულა, როგორც სახელობ. ბრ-ის ნიშნეულობა; უფრო შესაძლებელია ხმოვანი იყოს ა, მაგრამ არც ამის მტკიცებ-

¹ გ. ბოქორიძესა და ს. მაკალათიას მასალების გადმოცემიანთის მადლობას ვსწირავთ.

სათვის არსებობს მტკიცე საფუძველი (ძალიან ხშირად ქრება და ეს გარემოება ჰქმნის შესაძლებლობას ა გაგებულ იქნას, სადაც კი ის შემონახულია, როგორც ემფატიკური ნაწილაკი თუ დამოუკიდებელი მორფოლოგიური ელემენტი). აწარმოებს ეს სუფიქსი მრავლობითს რიცხვს, გეოგრაფიულსა და გვარისსახელებს. როგორც მრავლობითის ფორმანტი, ის არ არის მართო ირიბი ბრუნვების ნიშანი, არამედ უკავშირდება სახელობითსაც: გარემოება ფრიალ საგულისხმეო. სუფიქსი ერთვის ფუძეს უშუალოდ, ან სხვადასხვა ინფიქსის მეშვეობით.

როცა ჩვენ ასეთი შედეგები მივიღეთ. იმ საერთო მოსახრებათა გამო, რომელთა შესახებ თავშივე მოგახსენეთ, ვიფიქრეთ, რომ აქ უნდა გვქონდეს ოდესღაც თავისთავად არსებული სიტყვა, რომელსაც საფუძვლად დადებული ექნებოდა „ოჯახის“, „გვარის“ ცნება. სათანადო ძიების შემდეგ ასეთი რამ მართლაც აღმოჩნდა. პროფ. იოს. ყიფშიძე თავის მეგრულ-რუსულ ლექსიკონში უჩვენებს თი სიტყვას, რომელსაც მისი განმარტებით აქვს შემდეგი მნიშვნელობანი: „ოჯახი“, „სახლი“, „სახლ-კარი“ (თუ „კომლი“ = „дом“?), „საგვარეულო“. აქედან: „მიდართუ მუში თიშა“ — წავიდა თავის სახლში, თავისიანებში; „ჩქიმი თი“ = ჩემი ოჯახი; „ჩქიმი თური“ = ჩემიანი, ჩემი ოჯახის წევრი; „თური კათა“ = მეზობლები, სახლიკაცები. აქაც ი ან არ არის ძირეული ან შემდეგში გაგებულ იქნა როგორც სახელობითის ნიშანი.

მეგრული სიტყვის სინამდვილეს და მოცემული განმარტების სისწორეს ადასტურებენ აფხაზური მასალები. იქაც შესაძლებელი ხდება ისტორიულ-შედარებითი გზით ამ სიტყვაშირის არსებობის ფაქტის დადგენა ასეთივე მნიშვნელობით: ნათესაობის ტერმინებში: ა-ფჰა = ასული, აქედან ა-თ-ფჰა = ცირა, გასათხოვარი ქალი ← „ოჯახის, გვარის ასული“; *კჷაჷი = ქალი (მერმინდელი მნიშვნელობით, მაგ. აჰ — მთავარი, აჰ-კჷაჷი = მთავრის ცოლი, კნენა), აქედან ა-თ-კჷაჷი = მოხუცი ქალი ← „ოჯახის ქალი, დიასახლია“ (რომ ასეთი სემასიოლოგია მართლაც შესაძლებელია, ქვევით დავინახავთ); აცა = უფროსი ძმის ცოლი, შილი, აქედან ა-თ-აცა = პატარძალი ← „ოჯახის რძალი“; ა-თ-ნა (ა-ნა-არა = სახლობა [სახელზმნის მნიშვნელობით], ცხოვრება) = ნათესავი, ქირისუჟალი. ოჯახის მნიშვნელობით აფხაზურში დღეს იხმარება სიტყვა ა-თააცა. ფორმით იგი აფხაზურში გავრცელებულს pluralia tantum-ს ჰგავს და თუ -ცია აქ მართლაც მრავლობითის ფორმანტია, მაშინ იქნებ ეს სიტყვაც იმავე ძირისა იყოს, მაგრამ გვაბრკოლებს ორი ა.

აკად. ნ. მარი თავის აფხაზ.-რუსულ ლექსიკონში ამ სიტყვისათვის უჩვენებს ჯგერდულ ვარიანტს ა-თაჰცა (მისი განმარტებით ოჯახს გარდა „სიტყვაბიტყვით“ ჰნიშნავს ოჯახის შეთაურებს, მამასახლისებს! რატომ? სრულიად გაუგებარია), თუ ეს შეცდომა არ არის, მაშინ გვექნებოდა ძირი თაჰ, რადგანაც ა და ჰ ხშირად სცვლიან ერთმანეთს აფხაზურში (მაგ. ზნის პრეფიქსებში). მაგრამ საბოლოო აზრის შედგენა ამ საკითხის შესახებ ჯერ ნაადრევად უნდა მივიჩნიოთ¹. სხვა მაგალითებიდან კი სიტყვის ფორმა შემდეგნაირად გვეხატება: ერთი შექთხევის გარდა, როდესაც კომპოზიტის უკანასკნელი ნაწილი ა-თი იწყება (ა-თ-აჰცა) და ამიტომ გადაქრით არ შეიძლება ითქვას, თვით კომპოზიტში დარჩენილი ა მის როლელს წევრს ეკუთვნის, სხვა საიებელი სიტყვა აღიდგინება თა ან თჷ-ს სააით. თუ გავიხილავთ ამასთანავე, რომ ა-ს აფხაზურში ხშირად სცვლის ჯ, რის შესახებაც ჩვენ ერთხელ შემთხვევა დაგვიჩა ჩვენი საზოგადოებისათვის მოგვეხსენებინა, მაშინ აფხაზურისათვის ამ სიტყვის უპირატეს ფორმად უნდა თა მიგვეჩინა.

ამის შემდეგ შეიძლება ეს ფონეტიკურ-ლექსიკური ოდენობა მორფოლოგიურ ელემენტებშიაც მოვიძიოთ. ყველაზე ადრე ყურადღებას იქცევს ზმნური ინფიქსი -თა-, რომელიც დიდად არის გავრცელებული და აღნიშნავს ნოქმედებას რაიმე საგნის შიგნით, სიღრმეში მიმართვას, მაშასადამე, უდრის დაახლოებით ქართ. შთა-|| ჩა-ს: ა - ქჷ - წა რა = რამეზე (მაგიდაზე) დადება, ა - თა - წა რა = ჩადება (შეადრ. აფხაზურივე ინფიქსი -ჯნ-, რომელიც ა - ჯ - ნ = სახლ'ისაგან არის წარმოშობილი და აღნიშნავს სახლში მყოფობას: დჯ-ჯნ-რუჰ = სახლშია შიგნით; აგრეთვე ქართული თანდებული შინ-ა, რომელიც იმავე წარმოშობისაა). დასასრულ, ესევე ელემენტი აწარმოებს რისამე მოთავსების ცნებას აღმნიშვნელ სიტყვებს: ანხარათა = სასახლე (ადგილი). ადგილსამყოფელი (ანხარათა-საგან = დასახლება), რაც უკვე ძალიან ახლოს დგას გეოგრაფიული სახელების სუფიქსაციასთან.

ამით არ ამოიწურება ჩვენი ფორმატივის ისტორია: სუფიქსის თანხმობიანს აქვს ვარიაცია ტ-ს სახით. როგორც ვამბობდით, ეს მერმინდელი, დიალექტურად განვითარებული მოვლენაა. თ-სა და ტ-ს ასეთი შენაცვლება იცია ქანურმა:

¹ შესაძლოა აგრეთვე ამავე ჯგუფს ეკუთვნოდეს ა-თჷ-ძჷ, ა-თჷგ = კომლი, ოჯახი, მაგრამ ამ სიტყვას სპეციალური გამოკვლევა სჭირდება.

თერი	ტერი	მსგავსი
ასთერი	ასტერი	ამნაირი
მთვერი	მტერი, მტჷერი	ნაცარი
თიკანი	ტიკანი	თიკანი
ოთირონი	ოტირონი (ძირი: თირ)	საკეცე
თავა	ტავა	ტაფა
ოთქუ	ოტკუ	თქმა და სხვ.

ამიტომ, მე ვფიქრობ, ჩვენი სუფიქსის ამ სახეცვალებით უნდა ავხსნათ ისეთი გვარის სახელების დაბოლოებანი, როგორც არის ლლონ-ტი. ელენტი, კორტი, ჯიბუტი. რომლებიც გურიაში გვხვდება. სადაც ქანური მოსახლეობის არსებობა წინათ საეცებით მოსალოდნელია. რომ ქანურში ტი სუფიქსი არსებობდა აგრეთვე როგორც მრავლობითი რიცხვის ნიშანი, ამას გვიმოწმებს სომხური, რომელშიაც ასეთი ფორმანტი არსებობს და ქანურისაგან უნდა იყოს შეთვისებული.

<i>მანიც</i>	— <i>მანსიქი</i>	ყრმა, ყრმები
<i>ბასქ</i>	— <i>ბასქიქი</i>	ხერელი; ხერელები (?)
<i>იასქ</i>	— <i>იასქიიქი</i>	ძვალი, ძვლები
<i>ქიიქ</i>	— <i>ქიიიიქი</i>	მუცელი, ნაწლავები.

ეს სიტყვები ლიტერატურაში აღნიშნულია ნ. მარის მიერ. მას ამ სუფიქსის პირველ სახედ მიაჩნია -ტი და სთვლის მრავლობითობის ერთ-ერთ იაფეთურ მაჩვენებლად, რომელიც უკავშირდება ქართული ჯგუფის -ათ (→ ქართ. -თ)-ს, ხოლო ტუბალკაინურის — -თე (← ეთ)-ს.

ამასთანავე საინტერესოა, რომ ძველს ქართლში ჩვენ გვხვდება -ტი-თ ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები. თუ ამას დავუმატებთ ასეთსავე სახელებს, რომლებიც სხვაგანაც გვხვდება (გერგეტი — ხევში), და გავიხსენებთ პროფ. აკ. შანიძის შენიშვნას, რომ იმავე ხევის ორი სოფლის სახელი, რომელიც XVIII ს-ის ერთს დოკუმენტში -ეთი'ს ფორმით არის მოცემული, დღეს -ეტი-იან სახეს ატარებს, სახელდობრ ფანშეთისა და ტყარშეთის მაგიერ გვაქვს ფანშეტი და ტყარშეტი, მაშინ შეიძლება საკითხი დავსვათ, ასეთ დიალექტურ მოვლენას ხომ არ ჰქონდა ადგილი საქართველოს სხვა კუთხეშიაც.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ რომ ჩვენი სუფიქსის საქართველოა გარეთ გავრცელების ფარგლები სომხეთით არ განისაზღვრება. ჩრდილოეთით ამავე წარმოშობისად ჩვენ მიგვაჩნია ოსური მრავლობითის ფორმანტი -თა, რომელიც ოსური ენის მკვლევა-

რებს ინდოევროპულ ნიადაგზე ვერ აუხსნიათ. ლათინურ ტრანსკრიფციაში თანხმოდანს ჩვეულებრივად გადმოსცემენ t-თი, მაგრამ როგორც პროფ. გ. ახვლედიანმა აღნიშნა და როგორც ქართ. ალფაბეტით დაწერილი ოსური ძველი (მე-18 ს-ის) ტექსტები ამტკიცებენ, აქ ჩვენ გვაქვს ქართ. თ-საგან განუსხვავებელი ბგერა. ჩვენს მოსაზრებას მეტს დამაჯერებლობას აძლევს ის გარემოება, რომ ესევე ფორმანტი მცირეოდენი ცვლილებით (ბმოვანი უახლოვდება მეგრ. ჯ-ს) აწარმოებს ოსური გვარისსახელებს, მაგ. ხუთჰკჷთჷ = ხეთაგური. საკითხი ოსური გვარისსახელების ფორმების შესახებ სათანადო ლიტერატურაში არავის დაუკავშირებია მრავლობითთან. ამიტომ იძულებული ვართ მხოლოდ საკუთარს, მეტად ღარიბს, დაკვირვებაა დავემყაროთ. ასეთი ფორმის გვარისსახელები კრებითი მნიშვნელობისა არიან. ხუთჰკჷთჷ მიეკუთვნება ხეთაგურებს მთლიანად, როგორც საგვარეულოს, ერთი პირის შესახებ კი უნდა ითქვას: ხუთჰჯ-ჰჯრთ (ან ხუთჰკჷთჷ-ლჰჰუ. მნიშვნელოვანი დეტალი!

ქართულს ოსური არ ჩამორჩება იმ მხრივაც, რომ ა) ესევე სუფიქსი აწარმოებს გეოგრაფ. სახელებსაც. საამისო მაგალითები ბლომად მოიპოვება; ბ) რომ დაბოლოება მრ. რ.-ისა ზოგიერთ შემთხვევაში ერთეის ფუძეს ინფიქსის საშუალებით.

ოსურის გზით ჩვენ მივიღივართ ზრდილოეთ კავკასიის ისტორიამდისეული ხანისკენ.

[სამწუხაროდ, მოხსენების ბოლო ნაწილი წერილობით არ არის წარმოდგენილი. დატულია მოხსენებაში გაშუქებულ საკითხთა შემდეგი გეგმა]:

მილერი.

ქურთული, ლურსმ. წ. — ელამიტური.

საერთო მნიშვნელობა.

ქართული და ოსური.

საგვარეულო წყობილების ხანა. კრებითი მნიშვნელობა, გვარდწინ უსწრებს სახელს, გეოგრაფ. სახელებში გვარების ნაშთი.

ღწერთი.

თამადა.

არ ვსევამთ საკითხს: წარმოშობისა,

დაკავშირებულს -და გეოგრ. სახ[ელებ]ისას

და სხვ. (მასალა საკმაო არ არის).

ცხოვრებაჲ საბა ასურისაჲ

წინამდებარე ძეგლი პირველად იბეჭდება იმ ფოტოგრაფიების მიხედვით, რომლებიც ჩვენ გადმოგვცა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა და რომლებიც შესრულებულია მის მიერვე (პროფ. ნ. მარტანი ერთად) ცნობილი სამეცნიერო ექსპედიციის დროს სინას მთაზე 1902 წელს. პროფ. ივ. ჯავახიშვილის აღწერილობით „ცხოვრებაჲ“ მოთავსებულია სინას მთის ეტრატის № 6 ხელნაწერში, რომელიც გადაწერილი ყოფილა 981—2 წ. ცნობილი მწიგნობრის იოანე ზოსიმეს მიერ¹. ამავე ხელნაწერის შესახებ ცნობებს იძლევა პროფ. ალ. ცაგარელი თავის კატალოგში² № 71-ის ქვეშე, მხოლოდ შეცდომებით: იქ ჩვენს „ცხოვრებას“ უდრის: „გ) საბა აღურისაჲ (აღუძისაჲ?) [იგულისხმე: ასურისაჲ] ცუბაჲ“. ამასთანავე ა. ცაგარელის ცნობით იოანე მხოლოდ შემოსველია ხელნაწერისა და გადაწერის თარიღიც უდრის 983 წელს.

პროფ. კორნ. კეკელიძემ მიგვითითა³, რომ ჩვენი „ცხოვრების“ პირველწყაროდ ითვლება თეოდორიტე კვრელის Φαῖσος: ἱστορία, რომლის ბერძნული დედანი, სამწუხაროდ, ტფილისში არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ცნობილია ამ თხზულების ქართ. თარგმანი, რომელიც ეფრემ მცირეს ეკუთვნის⁴. ეს თარგმანი დაცულია ორ პირად: ტფ. სახელმწ. უნივერსიტეტის სიძველეთსაცავში № 682 და № 689 ხელნაწერებში, რომელთა აღწერილობა ეკუთვნის თ. ყორდანიას⁵.

ამ თხზულების ქართ. თარგმანს ასეთი სათაური აქვს: **წმინდარისა: თეოდორიტე: ეპისკოპოსისა: კვროს ქლქისაჲ: ღმრთის:**

¹ მის შესახებ იხ. პროფ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერატურის ისტორია ტ. I, გვ. 158 და შემდ.

² Проф. Ал. Цагарели, Памятники грузинской старины в Св. Земле я на Синае. *Православ. Палестинский Сборник*, т. IV, в. I, С.-Петербург, 1888, гл. 227.

³ პატივცემულ პროფესორს დიდ მადლობას მოვასხენებთ.

⁴ იხ. პროფ. კორნ. კეკელიძე, ქართ. ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 272—3 და თ. ყორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 39—43.

⁵ С. Жордания, Описание рукописей, кн. II.

მოყუარებითი: თხრობაჲ: გინათუ: მოღუაწეთა: მოქლქობაჲ¹. (№ 682, ფ. 80 v; № 689, ფ. 189 r)². სათაურს წინ უძღვის წიგნის სარჩევი, რომლის მოტანა აქვე საკიროდ მიგვაჩნია, რადგანაც, თუმცა იგი გამოქვეყნებულია თ. ჟორდანიას მიერ³, მაგრამ მხოლოდ № 689 ხელნაწერის მიხედვით, სადაც შეტომებიც იპოვება და არც სრულია: „ზანღუკი წიგნისა ამის⁴: დაწყებაჲ და შესავალი სიტყუსაჲ⁵. :ა: იაკობის თს⁶. :ბ: იელიანეს თს⁷. :გ: მარკიანეს თს⁸. :დ: ევსევის თს⁹. :ე: კობლიომს თს¹⁰. :ვ: სკემონის თს ძუშლისა¹¹. :ზ: პალადის თს რისა არს პალადე წჷ¹². :თ: აფრაატის თს¹³. :თ: პეტრეს თს¹⁴. :ი: თეოდოსის თს¹⁵. რლსა არასუსისა თევდოს¹⁶ წჷ უშენებია¹⁷. :იბ: რომანოსის თს¹⁸. :იგ: ზინონის თს¹⁹. :იგ: მაკედონიომს თს²⁰. :იდ: მაისუმამს თს²¹. :იმ: აკეთსიმამს თს²². :ივ: მარონომს თს²³. :იჟ: აბრაჰამის თს²⁴. :იშ: ევსევის თს²⁵. :ით: სალამანის თს²⁶. :იკ: მარის თს²⁷. :იპ: იაკობის თს²⁸. :იჭ: თეალასიომს²⁹ თს და ლიმნასიომს თს³⁰. :იჭ: იენეს თს³¹. :იღ: ზეინამს თს და პოლუზრონიომს თს³². :იქ: ასკლიპიომს თს³³. :იყ: სკემონის თს პალაბელისა³⁴. :იჟ: მარადატის თს³⁵. :იშ: თალელეს³⁶ თს³⁷. :ით: მარანამს თს და კვრამს თს³⁸. :ილ: დომინამს თს³⁹. სიტყჷ სლმსა სიყრლისა თს⁴⁰ მეორე თავში, რომლის სათაურია „იელიანეს თს“ (№ 689 ფფ. 197 r — 204 v; № 682 ფფ. 88 r — 95 r), აღმოჩნდა სწორედ საბა-იელიანეს ცხოვრების აღწერილობა. იგი იწყება ასე: „იელიანე, რლსა მკვდრნი მის სოფლებისანი საბამს წოდებითა პატიე სცემდეს: რ საბა ელადელთა ენითა მოხუცებულად გამოითარგმანების“... (№ 689 ფ. 197 r, № 682 ფ. 88 r). თეოდორიტეს ამ თხზულების შესწავლამ გამოარკვია, რომ თუმცა მასა და ჩვენს „ცხოვრებას“ აღნაგობა ერთნაირი აქვთ და მრავალს დეტალშიაც ეთანხმებიან ერთმანეთს, მაგრამ არსებით სხვაობათაც შეიცავენ. აი, ეს სხვაობანიც:

¹ იხ. აგრეთვე თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 42.

² იქვე.

³ შავად აწყობილი (აქაც და ზევითაც) ხელნაწერში გადმოცემულია სინგურით.

⁴ ეს ფრაზა მხოლოდ № 682-შია.

⁵ № 689 აფრაატეს თს.

⁶ № 689 თეოდოს.

⁷ № 682 მარონამს თს.

⁸ № 689 თალასომს.

⁹ № 689 მალელეს.

1) უპირველეს, უთანხმოება გეოგრაფიულ ცნობებში: ა) ჩვენი „ცხოვრების“ მიხედვით საბა არის ქვეყნიდან, რომელსაც ჰქვია აზინი; მთას, სადაც მან ტალავარი აიშენა, პირველად ერქვა ათორ და შემდეგ ეწოდა ლადიბ. თეოდორიტეს თხზულება არ იცნობს საბას ქვეყნის სახელს და მთის შესახებ ამბობს, რომ მას ძველად ერქვა პართუელთა, ეხლა კი სახელდებულია ოსრონიელთად, მთელს მხარეს კიდევ ეწოდება დიაფინ-იო. ბ) თეოდორიტეს თხზულებით ასტერი აშენებს მონასტერს გინდაროელთა სოფელში, ჩვენს „ცხოვრება“-ში კი განშირის-ად წოდებულ ადგილს. გ) თეოდორიტეს თხზულებით აკაკი 58 წლის განმავლობაში იყო ქალაქ ბერჯახს მღვდელთმოდვარი, ჩვენს ძეგლში კი იგი ამდენსავე ხანს არის ქალ. ჰალაბის მღვდელთმთავარი.

2) თეოდორიტეს თხზულებით ივლიანე სინას მთიდან დაბრუნების შემდეგ გაიგებს „შინებათა თჳს მოსახელისა თჳსისა“ (№ 669 ფ, 201 რ¹), ე. ი. ივლიანე უსჯულოსი, მაშინ როცა ჩვენი „ცხოვრების“ მიხედვით ეს ამბავი სინას მთაზედვე ხდება.

3) არიოზეანთა მძლავრობანი ანტიოქიაში, თეოდორიტეს თხზულებით, გამოიხატენ, სხვათა შორის, იმაშაც, რომ „განიჯადა უკუშ ანტიოქიით დიდი მელეტი“ (201 ვ), მაშინ როცა ჩვენი „ცხოვრებით“ მელეტი მთავარეპისკოპოსი მხოლოდ „ვერ შემძლებელ არს ნებისა ებრ მწყსად“.

4) როცა მწვალებლებმა ანტიოქიაში ხმა დააგდეს, რომ ივლიანეც შეერთო არიოზეანობასაო, თეოდორიტეს თხზულების მიხედვით, ფლაბიანე ანტიოქიის მთავარმა და დიოდორე ტარსუნ კილიკიის მღვდელთმთავარმა აფრაატითურთ (რომლის ცხოვრებაც ამავე წიგნში არის აღწერილი) სთხოვეს აკაკის თავის მოძღვარ ასტერისთან ერთად წასულიყო ივლიანეს მოსაყვანად (202 რ). ჩვენს „ცხოვრება“-ში ასეთი თხოვნით აკაკის მიმართავენ „მღდელნი და წინამძღუარნი“ პავლიოს, დიარუროს და ფარლიტ, „რომლისაჲ მნებაეს აღწერად ცხოვრებაჲ მისი“-ო.

5) როცა ანტიოქიაში ჩამოსულნი ივლიანე და მისნი მოწაფენი ცხოვრობდნენ ქვაბში, რომელშიაც ოდესღაც პავლე მოციქული იმალებოდა, ჩვენი „ცხოვრებით“ აკაკის შეეყარა ერთგვარი ავადმყოფობა, თეოდორიტეს თხზულებაში კი ავად ხდება

¹ თეოდორიტეს ამ თხზულების შესწავლისას ჩვენ ვემყარებოდით მხოლოდ № 689-ს, რადგანაც № 682 ხელნაწერში ივლიანეს შესახები თავი ნაკლულადაა წარმოდგენილი, სამწუხაროდ (სხვაფერვ, ამ ხელნაწერს უპირატესობა უნდა მიეცეს). ქვევით ყველგან № 689 იქნება ნაგულისხმევი.

თვით ივლიანე, რომელსაც შეიპყრობს „ჭურვებაჲ მძაფრი“ (203 v). მოძღვრის ავადმყოფობა ძალიან დაუმძიმდება აკაკის, ივლიანე ილოცავს და „სიმძაფრით ოფლისა მისგან დინებულისა“ განიკურნება.

6) ჩვენი „ცხოვრებით“ ივლიანე ბრუნდება ანტიოქიიდან ანგელოზის ბრძანებით, თეოდორი ტეს თხზულებაში ანგელოზის გამოცხადება მოხსენებული არ არის.

7) ჩვენი „ცხოვრება“ ივლიანეს აზნაურ მოწაფეს უწოდებს ასტრიოზს-ს და კვრელ არიოზიან ეპისკოპოსს ოსტროს-ს, თეოდორი ტეს თხზულება კი პირველს ასტერიოზს-ს და უფრო ხშირად ასტერი-ს, მეორეს კი დევ — ასტერიოზს-ს.

8) ჩვენი „ცხოვრება“ მთავარ მოქმედ პირს უწოდებს ორჯერ ივლიანა-ს და ყველა დანარჩენ შემთხვევაში საბა-ს; თეოდორი ტეს თხზულება კი ყოველთვის ივლიანე-ს, ოღონდ მოიხსენიებს მხოლოდ დასაწყისში, რომ მკვიდრთ მისთვის საბა დაურქმევიათ.

9) კვრელ ეპისკოპოსის სიკვდილის აღწერის შემდეგ თეოდორი ტეს თხზულებაში ასეთს ადგილს ვკითხულობთ: „ხოლო მე თხრობაჲ ამისი მომცა საღმრთო მან და წმიდამან თავებან აკაკი, ზედამიწვევნით ზეცნიერმან ყოველთავე ამის წმიდისა საქმეთა მან“ (204 v). ჩვენს „ცხოვრება“-ში ასეთი წყაროს აღმნიშვნელი ცნობა არ მოიპოვება.

ყველა ეს უთანხმოება დანარჩენ ნაკლებ მნიშვნელოვან სხვაობათა გათვალისწინებით გვარწმუნებს, რომ ეს ორი ძეგლი სხვადასხვა რედაქციებს წარმოადგენენ და მათი ურთიერთობის შესახებ საბოლოო აზრის შესადგენად საჭიროდ მიგვაჩნია „ფილოთეოს ისტორიის“ ბერძნულს დედანსა და სხვა ვერსიებს დავუცადოთ¹. არ ვეხებით ამ ეამად აგრეთვე იმ საკითხს, თუ საიდან უნდა იყოს თარგმნილი „ცხოვრებაჲ“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ხელთ არ იმყოფება ფოტოგრაფია ძეგლის სათაურისა და ტექსტის იმ ნაწილისა, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერის ორ ფურცელზე verso. ეს ადგილი იბეჭდება პროფ. ივ. ჯავახიშვილის გადმოწერილი პირის მიხედვით.

¹ ამ თხზულების ქართული თარგმანი საკმაო სისწორით უნდა გადმოგვემდგეს კი ბერძნულ დედანს, თუ შეიძლება ამის შესახებ ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ ზემოთ მოყვანილი „ზანდუკი“ სავსებით უდგება Н. П. Губинскому-ს მიერ აღნუსხულს შინაარსს ბერძნული დედნისას (იხ. მისი Блаженныи Феодорит, Епископ Киррскый, т. II, стр. 421, Москва, 1890).

ცხოვრება: წდისა: მამისა: ჩნისა: საბა: ასოჯრისაჲ: რლსა:
ეწოდა: ივლიანაჲ:

66 v ისმინეთ ძმანო ჩემნო საყუარელნო ცხოვრებაჲ ესე და
გნგებთაჲ კაცისა ამის ღჲ რლი ანგელოზებრ იქცეოდა ქყნსა
5 ზა ჯორცითა ვა უჯორცოჲ:

ამას ნეტარსა პირვლდ სახელი ეწოდა ივლიანა: და
იყო იგი შვილი პატიოსანთა და შერაცხილთაჲ: და აქუნდა
მთ მონაგებთა სიმრავლჲ აურაცხელი: და ვა იხილა მნ რ
67 r მსწრაფლ: || წარმავალ არს ღბჲ სოფლისაჲ ამის: და მალიად
10 გნქარდების სუფევაჲ მისი: და მყის დაილევის პატივი და
შერაცხილობაჲ საწუთროსაჲ:

და ესე მომატყუებელ არს მერმეთა მთ სატანჯველთა
საუქუნეთა: გნყიდა ყლი მონაგები მისი: და გნუყო გლა-
ხაკთა: და აღილო ჯრი თსი და შეუდგა ქა ვა წერილ
15 არს წსა სახარებასა: ესე ნეტარი იყო ქყნისა: რლსა ეწო-
დების არზინი და იქმნა მნ მთასა ზა მცირჲ ტალავარი და
მუნ დაემკვდრა გნშორებულად კცთა გნ: და ეწოდა მას
მკვდრთა მრ მის ქყნისთა სახელი საბა: რლისა თარგმა-
ნებაჲ არს მოხუცებული: რ ყლსა ბერსა ასურებრ ეწოდე-
20 ბის საბა:.

ესე მთაჲ არს ფდ მალალი და საზღვარი მისი მიაწევს
კიდემდე დიდისა მის მდინარისა რლსა ეწოდების ეფფრატი:
და ესე ესაზღვრების ბერძენთა საცელმწიფოსა და ეწოდების
ათორ: რლი შესდგამს სამეუფოსა სპარსთასა: ესე იყო
25 პირვლდ სახელი ქყნისაჲ მის: ხ უკუნანდსკენლ ეწოდა
მკვდრთა მისთა გნ ლადიბ: ესე ქყნა რლ ვაჯსენე ამას შინა
ნრაველნი ქალაქნი არიან მახლობელად ერთი ერთსა და სიმ-
რავლჲ ერისაჲ მიუწდომელი: და ნაოჯარნიცა არიან მრავალნი
და უდაბნოეცა გნშორებული და ფდ საშინელი:.

30 ესე უდაბნოჲ რლ ვაჯსენეთ ამას შინა გამოიჩრია აღ-
გილი წნ საბა: სამკვდრებელად თჳსა: იყო მუნ კბოდჲ ერთი
მსგავსი ქუბისაჲ: ხ არა დაჰფარვიდა იგი არცა დღისი
v მზისა გნ არცა ღამჲ | სიცვიისა გნ რ არა გამოკუეეთილ
იყო იგი ჯელითა კაცთაჲთა: ად ვა დაბადებულ იყო ღთისა
35 გნ ეგო მას ზა:.

ესე ნეტარი მას ადგილსა დაემკვდრა: და ფდ გნსუე-
ნებულ იყო: და იხარებდა ადგილსა მას დაყუდებულობისა

და დაწყნარებულებისა ზისისა თჲს უფროჲს სამეუფოთა ტა-
ძართა ოქროთა და ვეცხლითა მოლესულთა და მარმარი-
ლოთა მოქმნულთა:.

და საზრდელად მისა იყო პური ქატოჲსა გჲნ ქრთილი-
სა: და ესე მიიღის ერთგზის კვრიაკესა შინა კაპარსა თჲნა 5
დამწნილსა მარალითა: და ოდეს წუენისა კამაჲ გულმჲნ
უთქვს: ნაცვალად წუენისა მიიღის მარლისა ხოშორი: და
წყლითა არა ოდეს სადა გჲნმადლარ იყო: აჲდ მსგავსად
საქმლისა მისისა იყო სასუბელი მისი:.

და იყო საზრდელად მისა და სანოაგედ სამხრად და სე- 10.
რად მისა დავითისა საგალობელნი და ვედრებაჲ ღჲ დაუ-
ცადებელი დღჲ და ღამჲ:.

პურითა არა ოდეს გჲნძღა მუცელი მისი აჲდ ცნობაჲ და
გონებაჲ მისი იყო მჲს ღთისა თჲნა და ყლდევე გალობნ და
იტყუნ: რჲ ტკბილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შჲნი ოჲ უფროჲს 15.
თაფლისა პირსა ჩემსა და კლჲდ იტყუნ გჲნკითხვანი ოჲისნი
ქეშმარიტებით არიან და მართალ მის თჲნა: გულს სა-
თქუმელ არიან იგინი უფროჲს ოქროსა Ⴊ და ანთრაკისა: უტკ- 68r
ბილეს არიან იგინი უფროჲს თაფლისა გოლეულისა:.

და კლდ დაემორჩილე ოჲ და ემონე მას და მან 20.
მოგცეს შჲნ ყლი თხოვაჲ გულისა შჲნისაჲ: და იხარებდით
გულნი რჲნი ეძიებთ ოჲ: და ნეტარ არიან ყნი რჲლთა ეშინის
ოჲისა: და განიცადეთ და იხილეთ რჲ ტკბილ არს ოჲი: და
ჰსურის სლსა ჩემსა შჲნდამი ღოჲ ძლიერო და ცხოველო: და
მიგდევდა შჲნ სლი ჩემი და მე შემეწყნარა მარჯუენემჲნ შჲნჲნ: 25
ვჲ იტყვს წყჲტული ღთ სლითა წდითა: რჲნ ესმოდის
კჲცთა და ზიარ იქმნენ მის თჲნა: შიშსა ღთისსა: და არა
სასოწარკუეითილ იქმნენ: გგრძთვე ესე ნეტარი ღლდჲდა მჲს
ღღჲ და ღამჲ: და სიმშვიდითა და სიმდბლითა მისითა წარმო- 30
ტყუენნა გონებანი კაცთანი: მონებად ღთისა ცხოველისა რჲ
ეგზებოდა შიში ღჲ გულსა მისსა ვჲ საჯუმილი ცჲცხლი-
საჲ:.

და დამთრვალ იყო სლი მისი: და განშორებულ იყო
იგი ყლთა გჲნ საჯმართა ქყნისათა აჲდ შეეყუარა მას ღი
ქეშმარტბისა მოყუარჲ და ღამე მძინარესაცა ეოცებოდა იგი 35
ვჲ ვის ეოცებინ ტრფიალი თჲსი ყლსა ეამსა არა განეშორე-
ბოდა გონებაჲ მისი მის გჲნ: და ვჲ ცხონდებოდა იგი ესრჲთ
მარხვითა ძლიერითა და სათნოებითა გამოუთქუმელითა:.

განითქუა ჰამბავი მისი გარემოას მკვდრთა მის ქცნისთა
 V მახლობელთა და შორიელთა: | და ვა მფრინველნი ყლით
 კერძოვე მოფრინვიდეს მისა და შეურდებოდეს და ლმობიე-
 რად ევედრებოდეს მას რა იყოფვოდიან ფრთეთა ქუეშე
 5 მისთა და იმარხვიდენ და იქცეოდინ მსგავსად მისა: და
 ეზეარნენ საქმეთა მისთა: და ექმნეს მთ მოძღუარ და აღას-
 რულონ საწუთროს ესე ცხორბჲ მის თნა: რ მონადირეთა
 სირისათა ემსგავსენეს კცნი და მოინადირებენ ურთიერთას
 10 ვა ვინ დაუდგის მახშ მფრინველთა და გარემოას მისა დაუ-
 ყარის მარცუალი: და ვა იხილის იგი ერთმნ მფრინველთა-
 გნმნ სიხარულით წარვიდის და სიყუარულითა მოყუასთა
 თსთაჲთა მოუწოდის რა მარცუალი იგი მოკუნიტონ და
 ვა იწყიან კუნეტად შევარდის რლიმე მთ-გნი მახესა მას
 დარწულსა: და ესრშთვე კცნი მოიხდიან საყუარელთა თსთა:
 15 რნიმე სავენებელად და რნიმე საარგებელად მოინადირებენ:
 ესრშთვე წჲ ესე მოიმრეველებდა კცთა ჰამბავითა კეთილითა
 საქმეთა მისთაჲთა: და ნოვიდოდეს რა ზიარ საქმეთა მისთა
 იქმნენ: მო-ოდესმე-ვიდეს მისა ძმანი რიცხვთ ათნი: და შეი-
 წყნარნა იგინი: და კლდ ოთხნი: ერთი: და ორნი: და ხუთნი:
 20 და ფდ შეკრბეს მისა ძმანი რიცხვთ ასნი: და უბრძანა
 მთ ყოფაჲ კბოდის პირსა მას ქუეშე:

და ამცნებდა მთ რა შეურაცხ ყონ ცხორბჲ მთი: და
 მოიძულნენ კორცნი მთნი და აღიღონ მარხვაჲ მისი: და იყოს
 69 r საზრდელად მთდა: || პური ქრთილისა ქატომასა: და ნაცვალად
 25 წუენისა ქამდენ იგინი მარლისა ხოშორსა:

ამისა შემდგომად აღმოსცენდა მხალი ველური და უბრ-
 ძანა კრებაჲ მისი და აღავსეს მათ კოკები და დამწნეს მარი-
 ლითა და წყლითა ჯერისაებრ რა იყოს ესე უძღურთა
 მთთა ნუგეშინის საცემელად და უცხოთა გნსასუენებელად
 30 და დადგეს იგი კბოდისა პირსა მას:

ამისა შემდგომად მატლი დაესხა დალპა და გწირყუნა
 სიცხისა გწ დლისი და ნეფხვისა გწ ლამისა: და შეიწყნა-
 რებდა ყლთა რწნი მოვიდოდეს მისა: მაშინ შეკრბეს ყწნი
 მოწფნი ბერისანი და ევედრებოდეს მას რა უბრძანოს მთ
 35 და აღაშენონ მცირშ სახლი რლსა შინა დადგან კოკები იგი
 მხლისა მწნილისა: და არა უბრძანა:

ზ შემდგომად მისა მოიქსენა სიტყუჲ იგი პავლე მოც-
 ქლისა: არა ზ რლი ჩემდა მარტომასა საჯმარ არს იგი ჯერ

არს ყოფად ად რლი სხუათა: მაშინ მისცა მთ მცირჲ სა-
ზომი სახლისაჲ და უბრძანა მთ რა შეუტაცხად ალაშენონ
იგი:.

ხ იგი წარვიდა გნშორებულადრე მთ გნ ჩუეულე-
ბისაებრ რ იყო უდაბნოჲ იგი ვრცელ და ფდ საშინელ: და 5
ოდესმე გნეშორის ბერი მის ადგილისა გნ ვრ ერგასის
მილიონ და ოდესმე ოცდაათ და ოდესმე ოც: და მუნ ლმო-
ბიერად ევედრებინ იგი ლა ცთა მეუფესა:.

და იყო იგი გნშორებულ ყლთა გნ საქმართა ქყნი-
სათა და ყლსა ეამსა ხედვიდა: | მადლსა ლთისსა გარდამო- 10V
მავალსა მის ზა ვა ვინ იხილის შეუნიერებაჲ პირისა თჳსი-
საჲ სარკითაჲ:.

და ვა პოვეს მწფთა მისთა მიზეზი შენებად სახლისა
მის გარდაჰდეს საზომსა ბერისასა და გნადიდეს სახლი იგი
ფდ და ალაშენეს იგი მტკიცედ და შეუნიერად: მაშინ მო- 15
იქცა ბერი შემდგომად ათისა დღისა მუნვე ადგილად ვა
მოსე მთისა მის გნ ოდეს იგი იხილვიდა ხილვაჲ მას საში-
ნელსა ეგრძთვე მოიქცა ესე ნეტარი და იხილა სახლი იგი
რლი ალაშენეს მწფთა მისთა და იყო იგი უვრცელეს სა-
ზომსა მას რი მიეცა მთლა:.

შეწუნა ამას ზა და ჰქა მწფთა თსთა: ჳ საყუა-
რელნო ჩემნო: მეშინის მე უკუეთუ გნვაფართნეთ სახლნი
ჩნი ქყნსა ზა: დაიწოდენ სახლნი ჩნი ცთა შინა: და რ
ამათ შინა მკვდრობაჲ ჩნი მცირედ ეამ არს: ვა ვინ შევი-
დის ფუნდუქსა გნსუენებად: დილეულით გნ ვე სამხრად- 25
მდე გინა უმეტეს დაყვის ლამშ და დილეულ წარვიდის გზასა
თჳსსა:.

მგრძთ მსწრათლ გნმავალ ვართ სოფლისა ამის გნ
და დაუტეობთ საყოფელთა ჩნთა კეთილნი იყენენ გინა
ჯერნი (sic) ფართონი გინა იწრონი მიეიცვალეებით საუკუ- 30
ნეთა მთ¹ სამკვდრებელთა რლთაჲ დასასრული არა არს:.

მსე ჰქა მწფთა თსთა გნსწავლისა თს და რა მით
მოიზინდეს გზასა ქემბარტბსსა: . ||

და მოივსენა თქმლი იგი მცქლისჲ ვდ არა რლი მე 70 R
მნებაჲს ად რლთა კრებული ცხოვრების: და კლდ ასწავა 35
მწფთა თსთა რა ცისკრისა ლოცვისა შემდგომად გნინი-

¹ დედანში აქ ერთი სიტყვა ამოფხვილია.

ნენ ორ-ორი უდაბნოსა მას და მწუხრისა ეშსა შემოკრბენ მუნვე ადგილად და ზოგად ილოცონ მწუხრისა ეამი და ღამით წართქუან ათხუთმეტი კანონი ღთისა: და უბრძა რა რეს უდაბნოს გარე იქცეოდინ და ილოცვიდენ იყვენ იგინი

5 ზურგმოდრეკით თყნის მცემელ:.

რა დილეულით გნ ვე ექუს ეამამდე ესრჳთ ილოცვიდენ: და მერმე მცირედ განისუენონ: და კლდ ილოცვიდენ მწუხრამდე: ხ წე იგიცა ვალნ უდაბნოთა ადგილთა გწმორებულად: და წარიყვანის ერთი მწფთა თსთა-განი

10 რლი ფდ უყუარდა კეთილთა საქმეთა მისთა თს: რ იყო იგი ნათესავით სპარსი გუამითა გრძელ და ძალითა ძლიერი და ხატითა შუენიერი და სახელი მისი იაკობ:.

რწცა შემდგომად მისა დაიმკვდრა მწყემსობაჲ სამწყსო-
 15 მისთა პირმეტყუელისაჲ და გწითქუა სახელი სათნოებათა მისთაჲ ყლსა მას ქყნსა ასურეთისსა და ცხონდა იგი ას და ოთხ წელ:.

ესე წარიყვანის წნ საბა: და გწმორებულად შეუდგის

V მოძღრსა ვრ უტევან ერთ: | კუალსა მისსა რა არა ზრახ-
 ვიდეს მას და შექცეულ იქმნეს გონებაჲ მთი გალობისა გწ
 20 ღთისა:.

და იყო დღესა შინა ერთსა ვიდოდა რაჲ წე საბა უდაბნოსა გწმორებულსა და მწფთ იგი მისი იაკობ შეუდგა კუალსა მისსა გწმორებულად: გამოვიდა მთით ვეშაპი საშინელი რლისა პირისა გწ გამოვიდოდა ალი ცცხლისა: და

25 აღალო პირი თსი რამცა შთანთქა წე საბა: ხ მწ ვა იხილა იგი აღიპყრნა კელნი თსნი ზცდ ილოცვიდა და იტყოდა:.

* ო შემწყო მოყუარეთა შწთაო და განნაძლიერებელო მოსაეთა შწთაო: რწ მიეც კელმწიფებაჲ მწფთა შწთა:
 30 დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა: და ლომთა და ვეშაპთა და ყლსა ძალსა მტერისისა:.

აწცა ო ღო ჩემო: მოხედენ მონასა შწსა ცოდვილსა ეამსა ამას რა სახელითა შწითა წღითა და ძალითა ჯრისა
 35 შწსითა მოვკლა ვეშაპი ესე რლსა ჰნებაჲს შთანთქმაჲ ჩემი:.

და ვა ესე თქა დასწერა ჯრი ვეშაპსა მას და მუნთ-
 ქუესვე დაეცა და მოკუდა იგი: ადგილსა მას და უშიშად
 თწწარჰქდა წე იგი: და ვა განეშორა შეუდგა მას მწფთ
 მისი იაკობ: და ვა მიეახლა ადგილსა მას იხილა მან ვეშაპი

იგი საშინელი მწოლარჲ ქყენსა ზა ზარი გნჳდა მას და შე-
ეშინა შიშითა დიდითა: და მიჰრიდა და გნეშორა მცირედ
დაღა და ხედვიდა რა წარვიდეს ხ იგი არა იძრვოდა:.

მაშინ მცირედ გნმტყიცნა და აღილო ქვაჲ და სტყორ-
ცა: || რა წარვიდეს: და ვა არა შეიძრა გულისგმა ყო რ 5 71r
მომკუდარ არს: და მიეახლა და იხილა საზარელი იგი ვეშაპი
მომკუდარი: და დაუკარდა ფდ: და გულისგმა ყო ვდ მო-
ძღუარსა მისსა მოუკლავს იგი:.

და ოდეს შემწუხრდა და შეკრბეს ლოცვად მწუხრისა
ჟამსა და ვრ აღასრულეს უბრძანა მოძღუარნნ იაკობს რა 10
დაჯდეს და მცირედ გნისუენოს შრომისა გნ: და ვა დაჯდა
იგი მიუგო და ჰქა მოძღუარსა: გვიდხავ რასმე რლი მე
არა უწყვი და მიბრძანე მმო:.

ჰქა მას წნ მნ იტყოდე რადეა გნებავეს: ჰქა მას
იაკობ: გვედრები მმო რ ვილოდე რადე დლს შემდგომად 15
შნსა ვიხილე მე ვეშაპი საშინელი გზასა ზა და შემეშინა მე
ფდ და ვა გნეიცადე ვპოვე იგი რ მომკუდარ იყო მნებავეს
უკუე რა მაუწყო თუ რამნ მოკლა ვეშაპი იგი საშინელი რ
შნ მარტოჲ ხვლოდე წე ჩემსა და სიჟასა კცთა-გნსა არა
ვის უვლიეს უდბნჲ ესე: 20

მიუგო მას წნ საბა და ჰქა ნუ იკითხავ ურგებთა თს
გამოძიებათა ნუცა იორვი არა საურავთა თს რ არა რას
შეგძინებს ამისი გამოძიებაჲ: ვა ესმა ესე იაკობს მოძღუ-
რისა გნ თსისა დაუძიმდა და შეწუნა ფდ: მაშინ წნ
ვა იხილა მწფმ თსი ფდ შეწუხებულად: დალაკათუ ენება 25
დაფარვად მის გნ სასწაული იგი არავე ინება მწუხარედ
დატევებაჲ მოწფისა თსისაჲ: | რ ფდ უყუარდა იგი მას: v
მიუგო და ჰქა მას მე გაუწყო ესე შეილო ჩემო ად მეფუ-
ცე რა სიცოცხლესა ჩემსა არა ვის კაცთა-გნსა გამოჯცხა-
ლო: ხ შემდგომად სიკუდილისა ჩემისა აუწყე ვისიცა გე- 30
ნებოს:.

და წარმოუთხრა მადლი იგი ღჲ რლი გამოჩნდა მის
ზა: ხ სიქადული არა კეთილ არს მონაზონისა თს: აწ სი-
ყუარულისა შნისა თს გაუწყე ესე შეილო ჩემო: ვიყავ რადე 35
დლს მავალი წე შნსა: გამოვიდა ჩემ ზა ვეშაპი ესე საში-
ნელი და აღალო პირი მისი შთანთქმად ჩემდა: ხ მე მუნთ-
ქუესვე სახელითა ორისა ჩნისა ივ ქეწითა დავსწერე ჯრი

და მყის დაეცა და მოკუდა: და მე ვჰმადლობდი ღა რწ
იყსნა მონანი თსნი:.

5 და ვა ესე წარმოუთხრა წწ საბა მოწაფესა თსსა აღდ-
გეს მუნთქუესვე და მოიქცეს აღგილადვე თჯსა სადა იგი
წკვდრ იყენეს: და კლდცა ენება წწსა საბას გწსლვად უდაბ-
ნოდ ჩუეულებისაებრ:.

10 და იყო მწწფთა შწს მისთა ყრმაჲ ერთი ქაბუკი ძწ
აზნაურთა მშობელთაჲ ნუკევით და შუეებით აღზრდილი და
სახლისა გწ მდიდართაჲსა გამოსრული: ესე ქაბუკი შეურდა
10 წწსა საბას: და ლმობიერად და მოწლედ ევედრებოდა მას
რწა გწნიყვანოს იგი მის თწნა უდაბნოდ: ხწ უდაბნოჲ იგი
72 რ იყო უგზოჲ და ურწყული: || და ფწდ ძნელი და საშინელი
რწ ხუთისა დღისა გზასა არა იპოებოდა წყალი: და სახელი
ყრმისაჲ მის ასტრიოს რწლისა სათნოებანი მისნი გწნითქუ-
15 ნეს ყწლს ამას ქყწსნა:.

მაშინ წწჲ საბა ეტყოდა მას შვილო ჩემო შწნ ვერ შე-
მძლებელ ხწრ სლვად სიინელესა უდაბნოჲსასა რწ ყრმა ხარ
და შუეებით აღზრდილ და ვერ დაუთმობ ქირთა და გწნსაც-
დელთა სიცხისა და წყურილისათა: რწ უდაბნოჲ ესე ფწდ
20 საშინელ არს მოხუცებულთა და გამოცდილთა თს: აცადეთუ
ქაბუკთა ნუკეულთა თს:.

3 და შწნ იყავ აქა ძმათა თწნა და ილოცევედი ვწე ჟა-
მამდე შეძლებისა შწნისა: ხწ ყრმაჲ იგი მრავლითა მჭურვა-
ლებითა ტირილით ევედრებოდა ბერსა წარყვანებად მის
25 თწნა და აღუთქუმიდა ყწლთა ღწწლთა უღწზნასათა დათმე-
ნად ვწს იძლია ბერი ცრემლთა მისთა გწნ და ტირილისა:
და უბრძანა წარსლვაჲ მის თწნა რწ შევედრებულ იყო მისდა
და ფწდ უყუარდა მას მოძლუარი თსი:.

30 და ვა გწწვიდეს უდაბნოდ და ვლეს დღწმ ერთი და
მეორწ და მესამწ სიცხესა მას საშინელსა უდაბნოსა ურ-
წყულსა: იწყო ყრმამან მწნ მოკლებად წყურილისა გწნ და
სიცხისა: და იფარვიდა მოძლურისა გწნ თსისა: აღთქუმუ-
ლობისა მის თს პირველისა ვწს სულმოკლე იქმნა და დაეცა
ქყწსა ზა და იწყო სწლთა აღმოსლვად: რწ დაიწუებოდა: |
35 სიცხისა მის გწწნ შოა ზაფხულისა ვა შეშაჲ ცეცხლისა გწწნ
და ვერ გამოუტხადებდა მოძლუარსა თსსა: და ვა მიეახლა
სულთა აღმოსლვად:.

მაშინ ევედრა მოძღუარსა თვისსა რა შეიწყალოს იგი:
 და ვა მიხედა მას მოძღვრმან მისმან და იხილა იგი ეგე
 ვრსა კირსა შინა: მოეჯაენა მას სიტყუა იგი რლსა ეტყოდა
 მას პირველ გამოსლვისა უდაბნოდ სიინელისა თს მისისა და
 უბრძანა მას რა კლდ იქცეს ადგილადვე საყოფლად თვისა: 5
 დაღაცათუმცა ძლიერად ყოფილ იყო ყრმაჲ იგი ვერცე მია-
 გებდა ვინაჲ იგინი გამოსრულ იყვნეს:.

რ სამი დღე ევლო უდაბნოსა მას გწმორებულსა:
 აცადეთუ ქუე იღვა იგი სიკუდიდ მიახლებული მოუძღურე-
 ბული გუამითა სიმძაფრისა გწ წყურილისა: მაშინ ვა იხილა 10
 იგი ბერმან ეგევრსა შინა უაღურებასა და კირსა შეეწყალა
 იგი და მოიდრიკნა მოკლნი თსნი ქყნდ და ილოცვიდა
 ღთისა მიმართ ყლთაჲსა ლმობიერად მრავალ ეამ:.

და თუალთა მისთა გარდმოდიოდეს ცრემლნი ვა ნაკა-
 დულნი წყლისანი ქყნდ: და მჭურვალედ ევეთრებოდა იგი 15
 ქა რა მოუვლინოს კაბუქსა მას შემწჳ. მაციხოვრბისა მი-
 სისრჲ:.

და ვა იხილა იგი მან რლი მოსცემს თხოვასა მლო-
 ცველთა მისთა ისმინა ვედრებისა მისისაჲ და მუნთქუესვე 20
 ადგილსა მას რლსა ცრემლნი იგი მისნი დამოსდიოდეს აღ-
 ზოეცა: || მძაფრად წყარო ფდ ჰამოჲ და გრილი და აღმო- 73 r
 დიოდა წე კაბუქისა მის შეურეებულისა რლსა მცირედ
 ოდენ ედგნეს სულნი:.

და ვა ესმა ქე მძაფრისა წყლისაჲ აღიხილნა თუალნი
 თსნი და იხილა წყალი იგი: იწყო მადლობად ღთისა და 25
 მოილო და სუა მის გწ და მოექცეს სულნი მისნი მისავე: და
 მუნთქუესვე აღდგა გწძლიერებული: და უკუმოიქცა საყო-
 ფლადვე თვისა ძმათა თნა:.

ხ წყაროჲ იგი დაადგრა ეგრძთვე გამომდინარე ვე
 აქამომდე უდაბნოსა მას და იქმნა ადგილი იგი ნუგეშინის 30
 საცემელად¹ კტთა და სამადლობელ ღთისა და წამებს იგი
 ვე დღენდელად დღედმდე სიწმიდესა და კადნიერებასა წე
 ღთისა წდისა საბაჲსა: ვა მოსე დიდისა მის წწტყლისსა
 რწ იგი კუერთხისა ცემითა კლდისა გწ ვმელისა აღმო-
 უცენა წყალი ერსა მას წყურიელსა უდაბნოსა ზა და ივსნა 35
 იგინი კირისა გწ:.

¹ უკანასკნელი ორი ასო ჩამატებულია ტექსტის ხელით.

კვის ბერისა სასწაული არა უმცირეს არს მოსე
წუტყლისსა რლი ცრემლით ვედრებითა ღთისა მიმართ
ღირს იქმნა წყაროჲსა აღმოცენებად უღბნსა მას ზა უგ-
ზოსა და ურწყულსა ერთისა ხ მის თს კაბუკისა შეურვე-

5 ბულისა წყურილითა:.

მოსე წუტყლმნ აღმოაცენა წყალი ერისა მის თს
ურიცხვსა რლთა წინაუძლოდა ღთისა მრ რა არა მო-
ისრნენ უღაბნოსა ზა რნი იგი ღნ კელითა მტკიცითა და
მკლავითა მალლითა განარინნა მონებისა გნ ფარაოჲსა: და
v 10 დანთქმისა გნ: | ზღუასა მეწამულსა: ხ ნეტარმნ საბა
ერთისა თს სულისა მოილო კადნიერებაჲ ღთისა გნ და
აღმოაცენა წყალი რა არა მოკუდეს კაბუკი იგი მარტოჲ:
რ უნდა რა ამით გნათლდეს გონებაჲ კაბუკისაჲ მის სარ-
გებელად მრავალთა სულთა თა: და შემდგომად რაედენი-
15 სამე ეამისა: გამოჩნეულ იქმნა კაბუკი იგი კრებულსა ზა
წთა მამათასა მამასახლისად:.

რა აცხოვენეს სლნი მრავალნი და მოვიდა ადგილსა
ერთსა რლსა ეწოდა გნშირის და არს იგი საკვლმწიფოსა
ქუეშე ანტიოქიისასა: და მუნ აღაშშნა მონასტერი და შე-
20 კრიბა მას შინა სინრაელჲ ძმათაჲ: და გამოკდეს მის მონა-
სტრისა გნ მრავალნი ქეს მვედარნი შექურვილნი მრავლითა
სათნოებითა: და გამოჩნდა შთ შს წა აგაკიოს მონაზონი
დიდი რლისა სათნოებანი მისნი გნითქუნეს ყლსა ქყნსა:.

და შემდგომად მისა ღირს იქმნა მღვდელთმოძღურობასა
25 და იქმნა მწყემს ქეს სამწყსოსა ზა პირმეტყლსა¹ ქლქსა
ზა ჰალაბისსა აძოვნა კრავნი ქესნი ორმეოცდაათოვანეტ
წელ: და იქცეოდა იგი კეთილითა გნგებითა: და იყვენეს
ქლქსა შინა ჰალაბისისა კაცი მრავალნი რლთა ქეანე
ეწოდა და არა იყვენეს მართალსა ზა სარწმუნბსა: . ||

74 r30 და შეწვენითა და ძალითა ქესითა მოაქცინა იგინი
მართალსა ზა სარწმუნოებასა: და ყა ყლი იგი კრებული
ქლქისჲ ერთსა ზა სარწმუნოებასა მართლმადიდებლობით
და იქმნა ერთ სამწყსო და ერთ მწყემს: და გრძელთა მთ
ნამთა ცხოვრებისა მისისათა ქლქსა მას ზა არა შეცვალა
35 წესი კანონისა თსისაჲ რლი აქუნდა მას უღაბნოს მონას-
ტერსა შინა რაჲ იყო მოლუაწებით:.

¹ დედანში ქარაგმა არ უხის.

ხ ასტრიოს რ ლი იყო პირველ ქაბუკი მოწუჲ წ დისა
 საბაჲსი ფ დ გ ნ ბ რ წყინდა სათნოებითა რ მიჰბადვიდა კე-
 თილთა საქმეთა მოძღურისა თ სისათა: და ფ დ სიყუარული
 აქუნდა მის თ ს და ყ ლთა ეამთა მივიღოდა მის წ ე: და
 ირწყებოდა კეთილთა მით მოძღურებითა მისითა: და რაჲ 5
 წელიწად მიიღის ძმათა თ ს რ ნი იყვნეს საბაჲს თ ნა სამ-
 ჯერ ორ-ორი ტურთი კარაულისაჲ ლელჲ ჰმელი და გ ნ უყვის
 მ თ და ლოცვისა თ ს ევედრებინ:

და თუთ მან აღიკიდის მჯართა თ სთა ზ ა ლელჲ დარ-
 ჩეული ორი მოდი მოძღურისა თ ს რ ა ეყოს იგი წელიწადსა 10
 ერთსა: ამას ყ ლთა ე მთა ჰყოფდა მწ უჲ იგი მოძღურისა
 მოყუარც ასტრიოს:

ხ ერთსა შინა დღესა ე ა იხილა მოძღუარმან მისმ ნ
 წ ნ საბა რ ეტურთა ზას ლელჲიგი მჯართა თ სთა ზ ა მრავ-
 ლითა ოფლითა და მოაქუნდა მოძღურისა: შეწუნნა ფ დ და 15
 ფუცა მან რ ა არა იხილოს გემოჲ ლელჲსაჲ მის: და ესე
 შორჩილ იყო მოძღურისა თ სისა უფროჲს მონისა: და არა
 თუ ხუთისა მილიონისა გზასა | მოაქუნდა გინა ათისასა ა დ
 ორისა დღისა გზასა მოელო მკრითა თ სითა: v

ჰ ქა წ ნ საბა რაჲ მიუგო მე ქ ა ოდეს წარვდგე მის წ ე 20
 ვინაჲთგ ნ სხვსა ოფლითა გ ნ ვისუენებდუ: არა ვიხილო გე-
 მოჲ ლელჲსაჲ ამის და არცა შევიდეს პირსა ჩემსა:

და ე ა ესმა ესე ასტრიოს მოძღურისა გ ნ თვისისა
 კ ლდ ფიცა მ ნცა რ ა არა გარდმოიღოს ძაძაჲ იგი ლელჲსაჲ
 მჯართა გ ნ მისთა ვ ს აღუთქუას მოძღუარმ ნ მისმ ნ ქამად 25
 მის გ ნ:

ხ ე ა ესმა ესე მოძღვრსა და რ დეა იგი მრავლითა
 ოფლითა და ეტურთა მჯართა თ სთა ზ ა ლმობიერ იქმნა
 მის ზ ა და მყის დაჰქნნა ფიცო იგი თ სი და ჰ ქა მას გარდა-
 მოიღე ეგე ქ ყნდ რ ა ექამო აწვე წ ე შ ნსა: რ მიემსგავსა 30
 წ ე ესე თავსა მას მოკქ ლთასა პეტრეს საფუძველსა ეკლე-
 სიათასა: ოდეს იგი მგსნელი ჩ ნი დაჰბანდა ფერჯთა და
 მან ფუცა რ ა არა თავს იღვას ესე:

ხ შემდგომად ე ა ესნა მას სიტ ყე იგი რ ლი ჰ ქა
 ვ დ არა გაქუს ნაწილი ჩემ თ ნა მაშინ მყის მოიქცა იგი და 35
 ითხოვდა დაბანასა ფერჯთა წილ თავისა და ჰ ელთაცა: და
 კ ლდ ნათლისმცემელსა რ ეს უბრძანა მაცხერმ ნ ჩ ნ მან
 ნთ ლისცემემაჲ: ხ მან აღიარა მონებაჲ თ სი და ჰ ქა მე შ ნ

გან მივხვდებით ნათლისღება და შინ ჩემდა მოხუალა: ხ' უკუანა-
 75 r დაბლა || თავი თ'სი და ჩ'ნსიმდაბლისა სახ' დაგვდგა:.

ესრფეთ იყო წ'ე საბა მდაბალ: და ენება რ'ა სსუსა ნაშ-
 5 რომითა არა განისუენებდეს ხ' ვ'ა იხილა მჭურვალ' სიყუა-
 რული და მტკიც' სარწმუნობაჲ მოწუისა თ'სისაჲ მისა მი-
 მართ აღუთქუა მას ქაჲჲ მის გ'ნ:.

და ესე ამის თ'ს გაუწყე თ'ქნ რ'ა იყუარებდეთ ურთი-
 ერთას რ' არა რაჲ სათნობათა-განი არს მსგავს და სწორ
 10 სიყუარულისა ხ' არა ვინებე გ'ნგრძობად ცხორებაჲ ესე
 წ'დისაჲ მის ა'დ მცირითა სიტყუთა შემოკლებ'ლდ ვაქსენე
 აატრიოს რ' იყო იგი მეფეთა თ'ნა შობილ და ესე ვ'რსა
 აჩუენებდა სიმდბ'ლესა და სიყუარულსა: ხ' წ'ე საბა გ'ნშო-
 15 რებულ იყო ყ'ლთა შეენიერებათა და საშუებელთა ქ'ყნი-
 სათა:.

და რ'ლისა თ'ს ესმის ვ'დ არს იგი ამპარტავან და
 ზუავ მიუგლინის მას და ამცნებნ სიყუარულსა: რ'ა განაშო-
 როს მის გ'ნ ამპარტავანებ'ჲ: და მოიპოვოს სიმდბ'ლ' და
 20 სიყუარული და გლახაკთა მოწყალებაჲ და უცხოთა შეწყ'ნრბ'ჲ:.

ამისა შემდგომად აღიძრა იგი გულის სიტყუთა რ'ა წ'არ-
 ვიდეს იგი მთასა სინასა ლოცუად და აღიკაზმნა საძნი მჭ'უთა
 20 ნისთა-გ'ნ'ნი წ'არყვანებად მის თ'ნა: და ვ'ა წ'არემართნეს
 იგინი წ'არვიდეს გ'ზასა უდბ'ნდსსა არა შევიდეს იგინი-
 ქ'ლქსა არცა სოფელსა: ა'დ ვილოდეს იგინი უდაბნოსა გ'ნ-
 25 შორებულსა და ქორცთა სავმარი ეტვრთა ზურგითა მა-
 თითა:.

v პური ქრთილისაჲ კმელი და მარილი ხოშორი: და პი-
 ნაკი ერთი ძელისაჲ: და ღრუბელი ერთი გრძელითა საბლითა:
 წ'ულისა თ'ს რ'ა უკუეთუ პოვონ სიღრმესა შინა წ'ყალი აღ-
 30 მოიღონ ღრუბლითა მით და დაწურონ პინაკსა შინა და ნუ-
 გეშინის იცეხ წ'ყურილსა მ'თსა:.

და ვ'ა მიიწინეს აინად ილოცეს წ'სა მას ადგილსა და
 დაყვეს მუნ ჯამი მრავალი რ' შეუყუარდა მ'თ ადგილი იგი
 ფ'დ დაწყნარებისა და მყუდროებისა მისისა თ'ს და იყენეს
 35 იგინი დამკვდრებულ კლდესა მას შინა რ'ლსა დაემალა მოსე
 წ'წტ'ყლი ოდეს იგი ღირს იქმნა ხილვასა ღ'თეებისა:.

და ვ'ა გ'ნგრძელებულ იქმნა ყოფაჲ მ'თი მუნ აღაშმენეს
 ეკ'ლსა და აკურთხეს ნას შინა საკურთხეველი და მდგომარე

არს იგი ვ'ე აქამომდე: იყო¹ წ'ე საბა გ'ნშორებულადრე მწ'ფთა მისთა გ'ნ და ევედრებოდა ღ'ა: ვ'ა მოიწ'ია მისა ჰამბავი ვ'დ იელიანოზ მ'ფმ უშჯ'ლჲ უთქუანს ქ'ეანეთა მოს-რვასა ჟამსა მას რ'ეს წ'არვიდა იგი ბ'რძოლად სპარსთა: მო- ელოდეს მას ყ'ნი წ'არმართნი მორჩილნი მისნი კერპთმსა- 5 ხურნი კ'ლდ ქ'ეევასა მისსა:.

რ'ა ესრ'მთ წ'არწყმიდნენ ყ'ნი ქ'ეანენი შვილნი წ'დისა კათოლიკე ეკლესიისანი: . ||

მ'ა ესმა ესე წ'სა მას ილოცვიდა ღ'თისა მიმართ ლმო- 76r ბიერად და სამნი ორგოცნი აღასრულნა თუნიერ საზრდე- 10 ლისა და ევედრებოდა ღ'ა რ'ა იცხნეს ყ'ნი ქ'ეანენი ამის გ'ნსადელისა გ'ნ რ'ლსა უთქუამს მ'ფმ იგი უშჯ'ლჲ:.

მას ჟამსა გამოეცხადა წ'სა საბას ანგელ'ზი ო'ე და ჰ'ქა მას მხიარულ იყავ რ' მოიკლა მ'ფმ იელიანე უშჯ'ლჲ ვ'ა ღორი დაიკლა გუნდსა წ'ს თუსა: და ვ'ა ჰ'ქა ესე ანგ'ლზმ'ნ 15 წ'სა საბას: გულის ჯმა ყო რ' ლოცვანი მისნი შ'ეესმნეს ღ'ა: და არა მუნთქუესვე გ'ნწყადა ლოცვაჲ თ'სი: ა'დ ილოცვიდა იგი მყოარ ჟამ მშუდ'ბთ დაცვისა თ'ს ყ'ლთა ქ'ეანეთა:.

და ვ'ა აღასრულა ლოცვაჲ თ'სი მოიქცა იგი მოწ'ფ'თა თ'სთა თ'ნა: და პირი მისი გ'ნბრწყინვებულ იყო ს'ლისა 20 მ'რ წ'დისა: და ვ'ა იხილეს იგი მწ'ფ'თა მისთა გ'ნბრწყინ- ვებ'ლი პირითა ვ'ა მოსე წ'წ'ტ'ყლი და ეუწყა მის მ'რ სიხა- რული და მხიარულებჲჲ გ'ლისა მისისაჲ და უკვ'რდა მ'თ ფ'დ:.

და იწყეს მისა ევედრებად თუ რაჲსა თ'ს არს სიხარული მისი: მიუგო წ'ნ: ² საბა და ჰ'ქა სიხარული ჩემი არს მეფისა 25 მის უშჯ'ლჲსა სიკუდილისა თ'ს რ'ლი მოკლა ღ'ნ ვ'ა ღირს იყო გუნდსა წ'ს თ'სსა ამის' თ'ს იხ'რბს გ'ლი ჩემი და მხი- არულ არს სული ჩემი: რ' შეესმნეს ღ'ა ცრემლით ვედრე- ბანი მორწმუნეთა მისთანი: და მოკლა იგი: ! ბოროტად და ▼ არად სარგებელ ეყენეს მას ეშმაკნი რ'ლთა აღიდებდა ჟამსა 30 სიკუდილ'სსა:.

ამას საკვრველსა ხილვასა ღირს იქმნა წ'ე საბა რ'ლი აუწყა მას ანგ'ლზმ'ნ ღ'თისმ'ნ სადღუნლოჲ (sic) ესე დაფა- რული: და კ'ლდ იქცა წ'ე იგი მოწ'აფეთა მისთა თ'ნა მითთ

¹ ი-ნი დედანში მთავრულია.

² აქედან სტრიქონის ბოლომდე დაუწერულია, რადგანაც ეტრატს ზიანი ჰქონია. ორი წერტილიც ამით აიხსნება.

სინით ადგილადვე თვსა: და კლდ დაიპყრა ჰრომთა მეფობაჲ
 კაცმნ ვინმე რლისა სახელი ვალის:.

5 ამაჲს გარდააქცია სიტყუა წდისა სახარებისაჲ და შე-
 იწყნარა ზაკუებაჲ და ტყუილი წარწყმედელისა არიოზისი:
 რლ იგი ექმნა საფუძველ და მამა ყლთა წარწყმედულთა
 და მტყუართა: და განაპო წჲ ეკლესიაჲ:.

10 ესე მფჳ ფდ ევენებოდა და სდევნიდა ყლთა მართლმა-
 დიდებელთა: და ეკლესიათა გნ გნასხმიდა ყლთა მღდელთა
 და მონაზონთა და ერსა მორწმუნეთასა: და დაუმკვდრებდა
 არიოზიანთა მწვალებელთა: და იყო ეამსა მას მწუხარბჲ
 მიუთხრობელი მართლმადიდებელთა ზა რლსა ვერ შემძლე-
 ბელ ვარ აღწერად ცხორებასა ამას შინა: ხ სხუასა წიგნსა
 მიგიტხრა:.

15 რლი იგი შეემთხვა შვილთა მართლისა სარწმუნოებისა-
 თა: ხ აწ მიგიტხრნე სასწაულნი იგი რნი მადლმნ ლთისამნ
 აჩუენნა კელითა წდისა საბაჲსითა ეამსა მას: რ ყნი მართლ-
 მადიდებელნი რნი იყვნეს ქლქსა შინა დიდსა ანტიოქიასა
 77 r განისხნეს: || არიოზიანთა გნ ეკლესიათა მთთა გნ და იგინი
 დაემკვდრნეს მთ შინა:.

20 ხ მართლმადიდებელნი იქცეოდეს დიდსა შინა მწუხა-
 რებასა და ტკივილსა: და ოდესმე მალვით წარვიდიან კლდისა
 ძირსა და მუნ აღასრულიან ეამის წირვაჲ: და ოდესმე მდი-
 ნარისა კიდესა ილოკიან: და წჲ მელეტი მთავარებისკუპოზი
 ანტიოქიისაჲ ვერ შემძლებელ იყო ნებისა-ებრ მწყსად სამწყ-
 25 სოსა თვსსა: და იყო იგი მწუხარებასა შინა მიუწდომელსა
 ამის თს:.

30 რ არა აუფლებდეს მტერნი იგი ქეშმარიტებისანი
 მართლმორწმუნეთა ადგილსა ერთსა ლოცვად: რ იყო კრე-
 ბული უკეთური ეშმაკისა მრ აღბორგებული წარწყმედასა
 ზა სულთა მთთასა: და სხუათა ყლთასა უკუეთუმცა ვრ
 შეუძლეს და დასთესეს ქლქსა მას შინა ანტიოქიასა თესლი
 უკეთურებისა მათისაჲ:.

35 და თქუეს ვდ მონაზონი წჲ საბა ეზეარა სარწმუნო-
 ებასა მთსა და იქმნა იგი ვა ერთი მთ-განი არიოზის
 შჯულსა ზა: და ვა ესმა ესე კრებულსა მართლმადიდებელ-
 თასა ვდ წჲ საბა მიექცა არიოზიანთა და შეერთო¹ მწვალე-
 ბელთა წარეკუეთა სასოებაჲ მთი და აღივსნეს მწუხარებითა:

¹ დედანში: შეუერთო, უნი შემდეგში წაშლილია.

და განიწირნეს: ვ'დ ყრმათა ჩჩულთა და უცებთა აწ ესმეს
ესე და ისწაონ ყ'ლთა სარწმუნოებაჲ არიოზისი და წარწყმ-
დენ:.

და იყვნეს ჟამსა მას მლდელნი და წინამძღუარნი: |
მორწმუნეთანი კაცნი წ'ნი პავლიოს: და დიარუროს: და 5V
ფარლიტ: რ'ლისაჲ მნებაჲს აღწერად ცხოვრებაჲ მისი: რ'
მრავალნი სასწაულნი აჩუენნა ღ'ნ ჯელითა მისითა:.

მსენი მოვიდეს წ'დისა აგაკისა რ'ლისა სახელი ზემო
ვაქსენეთ და ევედრნეს მას: ლმობიერად: რ'ა წარიყვანოს
მის თ'ნა ძმაჲ მისი ასტრიოს დიდი: ესე ორნივე რ'ნი იყვნეს 10
მოწაფენი წ'დისა საბაჲსნი: და ფ'დ უყუარდეს სათნოებისა
და სიწმიდისა მ'თისა თ'ს:.

ამათ ევედრნეს მლდელნი იგი რ'ა წარვიდენ მოძლუ-
რისა მ'თისა რ'ლი იყო ვარსკულაჲი უდაბნოჲსაჲ და სიქა-
დული მართლმადიდებლობისაჲ: რ'ა ევედრნენ მას და მოვი- 15
დეს ქ'ლქდ დიდად ანტიოქიად: და ილოცოს ღ'თისა მი-
მართ ერისა თ'ს მართლმადიდებელთაჲსა: რ'ა ქ'ლდ აგნეს
იგინი ეკლესიათაჲე თ'სთა: და დაშრიტოს საქუმილი ესე
წვალებისაჲ არიოზიანთაჲ:.

მაშინ წარვიდა წ'ჲ აკაკი და წარიყვანა მის თ'ნა ასტ- 20
რიოს ძმაჲ მისი და წარვიდეს მთიებისა მის გ'ნთიადისა და
ნათლისა ეკლესიათაჲსა წ'დისა საბაჲსსა: და პოვეს იგი
უდაბნოს გარე დაყუდებულად და მოიკითხეს იგი ხ' მან სი-
ხარულით შეიწყნარნა:.

იწყეს სიტყუად მისა და ჰ'რქეს ე'რ უკუე ჯერ გიხს 25
და მოთმინე ხარ: ყ'ლთა ამათ ქირთა და გ'ნსაცდელთა რ'ნი
შეემთხუევიან || მართლმადიდებელთა შვილთა წ'დისა ეკლე- 78 r
სიისათა არიოზიანთა მწვალებელთა მ'რ: რ' გ'ნსხმულ არიან
ეკლესიათა მ'თთა გ'ნ და დაყუდებულ არს ლოცვაჲ და
ღბ'ჲ ღ'ჲ მათ შინა და ვართ ჩ'ნ ყ'ნი მწუხარებასა შინა მი- 30
უთხრობელსა ამის ჯერისა თ'ს:.

მიუგო წ'ნ საბა და ჰ'ქა შეილნო ჩემნო მე ყ'ლითა
გონებითა ჩემითა ს'ლსა თ'ნა ჩემსა მელმის გ'ნსაცდელი ესე
მოწევენული მტერისა მ'რ მორწმუნეთა ზ'ა: და მნებაჲს ღბ'ჲ
და სიმტკიცე მ'თი უფროჲს ს'ლისა ჩემისა და ყ'ლ'დვე გულსა 35
მადგს და ვიგონებ: თუ რ'ლსა აღგილსა წარვიდე ვედრებად
ღ'თისა მრავლითა გულსმოდგინებითა რ'ა მოუვლინოს ღ'ნ

ნუგეშინის მცემელი სამწყსოთა თსთა და წარწყმდნის ურწმუნნი:

5 მიუგო მას წნ აკაკიოს და ჰქა მე გიხუენო წო მამაო უმჯობესი ამისი რლსა ესე შნ ჰყოფ და იგონებ: და რლსა ესე მე გეტყვ არა თუ ჩემითა გულითა რას მოგაქსენებ ად ვა ვისწავე წიგნთა გნ წთა: ოდეს იგი ჰკითხა მქსნელმწნ ჩნმწნ: წსა პეტრეს მცქლსა და ჰქა გიყუარა მე უფროდს ყლთასა: და პირვლ კითხვამდე უწყოდა ონ რ უყუარდა იგი მას: მიუგო მას წნ პეტრე და ჰქა შნ იცი ო რ მიყუარ შნ:

10 და ვა დაამტკიცა სიყუარული ოდ მრჩობლ კითხვასა მას მისსა და იგივე იწამა სიყუარულისა თს მიუგო მქსნელმწნ ჩნმწნ დამწყსენ კრავნი და აძოვენ ცხოვარნი ჩემნი: |

v ესრევე ჯერ არს შნდა ყოფაჲ წო მმო ვინაჲთგნ
15 გიყუარს ქე ჯერ არს შნდა მწყსაჲ პირმეტყუელთა ცხოვართა მისთაჲ: რნი მიახლებულ არიან აღსაქრელად მგეცთა მიძნვარეთა მომსრველთა სლთა და ქორცთა: რ არა რაჲ უყუარს ოა უფროდს სამწყსოთა თუსთასა:

20 რ რლი შნ თდ გიყუარს მას უფროდს უყუარან სა-მწყსონი თსნი და ჯერ არს შნდა რა ჰმსახურო საყუარელთა მისთა რლ იგი შნ გიყუარს: რ არიან იგინი ეამსა ამას მწუხარებასა შინა დიდსა: და არა გიღირს უდებყოფად საქმშ ესე სათანადოდ და საძიებელი:

25 და კლდ ესეცა უწყოდენ სიწმიდემწნ შნმწნ რ განუ-თქუამს მწვალებელთა მთ ქლქსა შინა ანტიოქიასა და გარემოდს სოფლებსა ვდ შნცა ზიარებულ ხარ ბოროტსა მას სარწმუნოებასა მთსა: და აღგიარებდეს შჯლი მთი და ამით იქადიან: და მრავალთა გულთა უმანკოთა შნ ძლით მოინადირებენ წარსაწყმედელად და არა ჯერ არს შნდა ამის
30 თს დუმილი უდაბნოსა ამას: მაშინ¹ ვა ესმნეს სიტყნი ესე წსა საბას აკაკის გნ შეურვებულ იქმნა გონებითა და დაუტევა დაყუდებაჲ იგი უდაბნოსაჲ და მუნთქუესვე წარემართა მთ თანა ანტიოქიად მრავლითა მოსწრაფებითა და არლარას მიხედა და ვა ვლეს დლშ ერთი შემწუხარდა:

35 და შევიდეს დადგრომად ერთსა სოფელსა: და იყო სო-
79r ფელსა მას შინა დედაკაცი ქურივი: || თდ მორწმუნშ და

¹ მ-ანი დედანში მთავრულია.

უცხოთა მოყუარჳ და ვა ეუწყა მას ვლ წა საბა და მწჳთნი მისნი შემოვიდეს სოფლად რა საგანე ყონ ლამესა მას შინა:.

მაშინ სიხარულითა დიდითა და სარწმუნოებითა მოსწრაფედ მიიწია იგი მთლა რამცა ზიარ მადლსა და კურთხევისა მთსა იქმნა: და დავარდა წე წდისა საბაჲსა და 5 ლმობიერად ევედრებოდა მას რა მას ლამესა სახლსა შინა მისა საგანე ყოს:.

მაშინ ვა იხილა წნ საბა მჭურვლჳ იგი სარწმნბჲ დედაკაცისაჲ მის დაემორჩილა და შევიდა იგი ვანად მისა: და დაეყო მას უმრავლჳს¹ ორმეოცისა წლისა ვინაჲთგნ 10 სართულსა ქუეშე არა შესრულ იყო იგი და არცა ენახა პირი დედაკაცისაჲ:.

და ვა შევიდეს სახლსა დედაკაცისა მის მორწმუნისასა მოჰგუარა მთ შვილი თსი ყრმჲ მცირჳ ვრ ექუსისა წლისაჲ რა აკურთხონ იგი და ულოცონ რ იგი ხ იამავერი 15 ესუა მას: და ვა ულოცეს და აკურთხეს ყრმაჲ იგი და სახლი დედაკაცისაჲ მის:

მაშინ მოუეზადა მთ სერი კეთილი და იგი ჰმსახურებდა მთ: და ვა დასხდეს მონაზონნი სერად ენება მტერსა ბოროტსა რამცა შეაწუხნა მონაზონნი იგი და გნუქარვა 20 მთ გნ სარწმნბჲ დედაკაცსა მას: და ვა ვილოდა ყრმჲ იგი მუნ შინა მტერისა მრ შთაეარდა იგი ლაკუასა ფდ ღრმასა რლ იგი იყო მახლობელად მთსა: და იხილეს რაჲ ესე სახლეულთა მისთა შემფოთნეს და იწყეს მწუხარებით ლალადებად და ესმა ესე დედასა მის ყრმისასა: და გამო- 25 ვიდა და იხილა რაჲ ესე იქმნა:.

არა მუნთქუესვე ჩვეულებისა-ებრ დედათაჲსა შვილისა თსისა წარწყმედასა ვმა ყო მან ურიდად და გნტევებულად 30 მწუხარებით და ტირილით: ად მუნთქუესვე კელი გნუხარა ყლთა სახლეულთა თუსთა რა დადუნდენ: და რა არა ესმეს ვა მთი მონაზონთა და შემფოთნენ და რა დაჰბურონ სარქუელი ლაკსაჲ მის და წარვიდეს კცდ კცდი საქმესა თუსსა:.

და ტაბლაჲ დაუგო მონაზონთა მთ და იგი ჰმსახურებდა მთ გულსმოდგინედ: და აკურთხეს ტაბლაჲ: ხ წნ 35 საბა არა მიყო კელი ტაბლასა ად ჰქა დედაკაცსა მას მო-

¹ დედანში ამ სიტყვასაც ქარაგმა უზის.

უწოდე აქა ყრმასა მას შვილსა შნსა რა მიესცეთ მას ნა-
კურთხევი ესე:.

5 მიუგო მას დედაკაცმუნ მუნ მორწმუნემუნ მკურვალეზამუნ
შეიპყრა ყრმად იგი დაუძინებდეს და ვერ შემძლებელ არს
მოსლვდ თქნ წქედ თქნ განისუენეთ და ნურარას მის
თს იურვით:.

10 ხ წნ საბა ჰქა მას არა რაჲსა გემოჲ ვიხილოთ ვს
მოიყვანო ყრმაჲ იგი აქა ჩნ თნა და ვა იხილა დედაკაცმუნ
მუნ მორწმუნემუნ რ არა შეეხნეს საზრდელსა მას და არცა
30 ჰნებაჲს მთ ჰამად ვს მოვიდეს ყრმაჲ იგი: მაშინ დაწყნა-
რებულად აუწყა ბერსა საქმს ყრმისაჲ მის:.

80 r და ვა ესმა ესე წსა საბას მსწრაფლ || აღდგა ტაბლისა
გნ და მივიდა ლაკუად და პოვა რ თავი დაბურვილ იყო
ლაკუსაჲ მის:.

15 უბრძანა¹ აქდაჲ მის და დადგა პირსა ზა ლაკუსასა და
ილოცა ღთისა მიმართ გნგრძნობილად: და ვა თქა ამენი
შთახედა ლაკუასა მას და იხილა ყრმაჲ იგი მჯდომრს წყალსა
ზა და იმღერდა ჯელითა თჳსითა ჰყუდა² წყალსა მას:.

20 და უბრძანა რა შთაუტეონ კაცი საბლითა და აღმო-
იქუან ყრმაჲ იგი: და ვა აღმოიქუეს ყრმად იგი მიისწრაფა
და დაეარდა ფერჯთა ზა ბერისათა: ამბორს უყოფდა მთ
და იტყოდა: ვდ ამას ბერსა ჯელითა თსითა ზე ვეპყარ:
წყალთა მთ შინა და არა მიტევა მე დანთქმად:.

25 და ესე რლ მტერმუნ მწუხარებისა მათისა თს მოაწია
იქმნა იგი მიზეზ სიხარულისა და გნმტკიცნა სარწმნბჲ
მართლმადიდებელთაჲ: და ფდ დაუჟკრდა ყლთა რლთა
ესმა ესე რლსა ღირს იქმნა მიმთხუევად დედაკცი იგი
მორწმუნს წდისა საბაჲს მიერ:.

30 დაუტეოთ ამიერიით გნ რლ იგი იქმნა გზასა მას და
სხუად მივიცვალნეთ: და ვა შევიდა წჲ საბა ანტიოქია
ქლქდ და გნვდა ჰამბაჲი მისი ყნი კცნი მორბიოდეს მისა
რა იხილონ წჲ ესე ღჲ და ევედრებოდეს რა გნკურნეს
ვნებანი მთნი: ხ იგი წარვიდა და დაემკვდრა კლდის ძირსა
ქუაბსა მას შნა რლსა დამალულ იყო ოდესმე წჲ ჰავლე
v35 მტკლი იგი და მწფნი მისნი: და ვა ესმა კაცთა: | მოსლვაჲ

¹ უნი გადმოცემულია მთავრული თ-ნითა და სტრიქონს ზევით ასული
პატარა ჳ-ითი.

² დედანში ასო ე-ნის შემდეგ ორი ასო არის ამოშლილი.

წდისაჲ მის და ვ'დ არს იგი ქუაბსა მას შინა ყ'ლით კერ-
ძოვე მოვიდოდეს მისა და ლოცვითა მისითა გ'ნიკურნებოდეს
უძღურებათა გ'ნ მ'თთა და ჰბადლობდეს ლ'ა:.

ხ' აკაკიოს მოწაფესა ბერისასა ფიცხლად გ'ნმღერებულ
იყვნეს ჯორცნი მისნი: და ვ'ა იხილა ყ'ლი იგი კრებული 5
რ'ნი მოვიდოდეს ბერისასა კურნებისა თ'ს სენთა მ'თთაჲსა
შეწუხნა ფ'დ: ნუ უკუე კ'ცნი ესე მომავალნი დაბრკოლდენ
მოძღურისა მისისა თ'ს და იტყოდიან ვ'დ მწ'ფს მისი ესე
ვ'რითა სენითა ვნებულ არს და ეერ ძალ უც გ'ნკურნებაჲ
მისი:.

ხ' წ'ნ საბა ცნა სულითა მწუხარებაჲ იგი აკაკისი ჰქა
მას ნუ მწუხარე ხარ ამის თ'ს შვილო ჩემო: უკუეთუ კურნებაჲ
გნებაჲს აწვე ეამსა ამას განიკურნო: მაშინ აღდგა წ'ჲ იგი
და აღიპყრნა ჰელნი თ'სნი ზ'ცდ: და ილოცვიდა და თ'ქა:
ო' ლ'ო უკუეთუ აკაკის გ'ნ კურნებაჲ სარგებელ არს ჩ'ნდა 15
და ა'თდა რ'ნი მოვლენ ჩ'ნდა გ'ნკურნე ეგე:

და მუნთქუესვე დაშრტა სიმჭურ'ელს სენისა მისისაჲ
რ'ლი იყო აღგზებულ ჯორცთა მისთა: და მივიდოდეს ყ'ნი
კაცნი და გ'ნიკურნებოდეს ფერად ფერადთა გ'ნ სენთა:.

და მოჰვლიდა იგი ყ'ლთა სახლებთა (sic) მორწმუნე- 20
თასა და ნუგეშინისცემდა მ'თ ყ'ლთა და ღლესა შინა ერთსა
გ'ნვიდოდა წ'ჲ იგი კარისა მის გ'ნ პალატისა: ჯდა მუნ
კაცი: || ერთი დაჯსნილი: ჰელით და ფერჯით რ'ლ იგი ვალნ 81 r
ძრომით მუცლითა ვ'ა გუელი და ითხოვენ ჰვეელის საქმარსა:.

ამან ვ'ა იხილა წ'ჲ საბა მიყო ჰელი მისი და მოეკიდა 25
სამოსელსა მისსა და ევედრებოდა მას რ'ა შეიწყალოს იგი
და გ'ნკურნოს: მიუგო წ'ნ საბა მსგავსად სიტყუსა მის მკსნე-
ლისა ჩ'ნისა ვ'დ მსგავსად სარწმუნოებისა შ'ნისა გეყავენ
შ'ნ: და უპყრა ჰელი და აღადგინა იგი და მუნთქუესვე განუ-
მტკიცნეს ჰელნი და ფერჯნი მისნი და გ'ნძლიერდა და აღდგა 30
და დადგა მყისა შინა ფერჯთა თ'სთა ზ'ა ვიდოდა და ხლდე-
ბოდა და აღიდებდა ლ'ა: და წარვიდა სახედ თუსა ფერჯითა
თ'სითა მსგავსად პირ'ვლისა მის ქუემღებიარისა რ'ლ იგი
აღადგინეს პეტრე და იოვანე ტაძარსა მას შინა:.

მაშინ კრებულ იყო ერი ყ'ლი ქ'ლქისა ანტიოქიისაჲ 35
ადგილსა მას საბრძოლსა დასავალით ქალაქისა მის და ვ'ა
იხილეს დიდი ესე სასწაული რ'ლი ლ'ნ აჩუნა ჰელითა მო-
ნისა თ'სისა საბაჲსითა გ'ნკურნებ'ლნი ჰბადლობდეს ლ'ა:

ბ არიოზის სარწმუნოებისა-გწნი სირცხულეულ იქმნეს მას
 ღლესა შინა: და დაუტევებდეს მრუდსა მას სარწმუნოებასა
 მათსა და მოვიდოდეს კათოლიკე ეკლესიად:.

- მაშინ სიხარული და მხიარულებაჲ მოეფინა ყლთა ზა
 5 შვილთა მართლისა სარწმუნოებისათა: და წარჰყვანდა წე
 საბა კედ კედსა მთსა სარწმუნოებით საყოფლად თჳსა:
 და რლთანი უძღურნი იხხნეს სარეცელთა მთთა ზა კელ-
 7 სა: | დასდებდა მთ ვა წნი მტკლნი და ულოცვიდა და
 აღადგინებდა სარეცელთა გწ მთთა და ჰმადლბდს ღა:.
- 10 იყო ვინმე მუნ შინა კაცი დიდებული რლისა კელსა
 შინა იყო ყლი საკელმწიფოჲ აღმოსავალისაჲ და იყო იგი
 სნეულ შიშითა სენითა და მიახლებულ იყო იგი სულთა აღ-
 მოსლვად: და ვა ეუწყა წდისა მისთს და სასწლთა
 და კურნებათა მისთა თს: მიავლინა მისა სარწმუნოებით და
 15 მოუწოდა სახედ თჳსა რა ულოცოს და გწკურნოს იგი უძ-
 ლურებისა მის გწ:.

- ბ წე საბა არავის შეურაცხ ჰყოფდა რნი ევედრებო-
 ღდეს მას სარწმუნოებით: ად სიზღაბლით მივიდოდა: და
 აღუსრულებდა ნებასა გულისა მთისასა და მივიდა იგი
 20 კცისა მის კელმწიფისა და ულოცა მას და გწკურნა იგი
 და ამცნო მას და ჰქა გრწმენინ ღი მრავლითა¹ მართ-
 ლითა სარწმუნოებითა და სწყალობდ გლახაკთა და ობოლთა
 და უცხოთა:.

- ბ მან სარწმუნოებით აღუთქვა მას ესე ყნი და რნი
 25 სულთა გწ არაწთა იგუემებოდეს გწკურნა იგინი და ეშ-
 მაკნი გწასხნა: და მიერით გწ ცუდ იქმნა სარწმუნოებაჲ
 არიოზის მტბიერისაჲ და გწჰარდა ქლქისა გწ ანტიოქიისა:
 და მორწმწწნი სიხრლთ შეკრბეს კლდ ეკლესიათავე შინა
 მთთა:.

- 30 და აღიდებდეს ღა რწ იჳსნა იგინი გწსაცდელისა
 გწ ლოცვითა წდისა საბაჲსითა: . ||

- 82 r და ყლთა არიოზეანთა ვა იხილნეს სასწაულნი ესე²
 რლთა ღთი იქმოდა კელითა წდისა საბაჲსითა³ დაუტე-

¹ ეს სიტყვა დედანში თითქოს წაშლილია.

² სასწაულნი ესე] მკრთალად არის გამოსული.

³ საბაჲსითა] მკრთალად არის.

ვეს სარწმუნოებაჲ მ^რთი და მოიქცეს მართლმადიდებლობად¹
და ჰმადლოდეს ღ^ა..

და ვ^ა ესე ყ^ლი იყო ეჩუენა წ^სა მას ანგ^ლზი ო^რ
და უბრძანა რ^ა მიიქცეს ადგილადვე თ^სა ვინაჲცა იგი მო-
სრულ იყო მოწაფეთავე თ^სთა თ^ნა; და ვ^ა წარემართებოდა⁵
გზასა თ^სსა შეკრიბნა ყ^ნი მორწმნნი და აქურთხნა იგინი
და მისცა მ^რთ მშჯდ^ბ ღ^თისა მიერი და იჯმნა მ^რთ გ^ნ და
წარვიდა..

და ვ^ა მიიწია იგი ქ^ლედ რ^ლსა ჰრქვან კ^ვროს რ^ლი
არს ჯელმწიფებასა ქ^უეშე ანტიოქიის^სა: შევიდა დადგრომად¹⁰
ეკლესიასა წ^დისა მწ^მისა დიონოსისსა და ვ^ა ესმა მის თ^ს
მოქალაქეთა მღდელთა და წინამძღუართა და ყ^ლსა ერსა
მორწმუნეთასა მუნთქუესვე შეკრბეს წ^დისა მის და ევედრე-
ბოდეს მას ლმობიერად: რ^ა ულოცოს მ^რთ: და იქსნეს იგინი
ღ^ნ გ^ნსაადელისა მის გ^ნ რ^ლსა შინა იყენეს იგინი: და¹⁵
აუწყეს მას და ჰქ^ეს:

ჰაცი ვინმე არს აქა სახელით ოსტროს: რ^ლი აღზუავნა
სიტყვთა ტყუვილისაჲთა: და იქმნა იგი არიოზის სარწმუნო-
ებისა-გ^ნთა თანაშემწე და ღირს იქმნა მ^რთ მ^რ ებისკოპო-
ზობასა და არს იგი ბერი ბოროტად მოხუცებული და მანქა-²⁰
ნებისა მისისა ვერაგობითა აღაესო ქ^ყნად ჩ^ნი სიციბილითა
და სიტყვთა ტყუვილისაჲთა ვ^ა ბადითა მოინადირებს გამო-
უტდელთა კაცთა და გონებასა წრფელთასა: | და მრავალსა^v
მწუხარებასა შინა ვართ მტერისა ამის გ^ნ მართლმადიდებლო-
ბისა:..²⁵

და ვ^ა ესმეს სიტყ^ნი ესე მ^რთნი წ^სა საბას დაადგრა
მ^რთ თ^ნა და უბრძანა მ^რთ რ^ა შეკრბენ ყ^ნი და გ^ნზაონ
მარხვად ლოცვითა და ესე ლმობიერი წაუდგინონ ღ^ა ლა-
მისთევიდა და მღჯდარბითა:..

ზ^ბ ბილწსა მას მოხუცებულსა გამოეთქუა საკითხავი³⁰
სავსე ტყუვილისა წვალებითა და სიციბილითა: და ესე ენება
წარკითხვად ერსა ზ^ა მორწმუნეთასა რ^ა ამით მოინადირ-
ნეს სულნი უმანკონი:..

მაშინ ვ^ა აღასრულეს ლოცვაჲ მ^რთი წ^ნ საბა და
ყ^ლთა მოქალაქეთა: გარდამოჲდა მუნთქუესვე რისხვად ღ^ჲ³⁵
ზ^ცთ ოსტროსის ზ^ა და შეიპყრა იგი სენმ^ნ უკურნებლმ^ნ

¹ დედანში: მართ...] მკრთალად არის გამოსული.

მას დღესა შინა და მიმწუხრი ესმა მას ჳა ზტო ჳ უბად-
რუკო ამას ლამესა ნიგელოს სლი შნი და მიხვდე სიმრავ-
ლესა მას მწარეთა სატანჯველთასა კრებულისა მის თს.
რნი მოინადირენ ტყუვილისა ბადითა და დაანთქენ სიღრ-

5 მესა წარსაწყმედელისასა:.

და მას ლამესა მოკუდა იგი ბოროტად ვა მეფე იგი.
რნ შეაკთუნა ისლი რეს იგი მოუვლინა რნ მამხილებე-
ლად ბალაამ ბოსორელი რლსა იგი კარაული ეზრაბა კაცობ-
რივითა სიტყვათა ვრ იგი ბოროტად მოაკუდინა რნ მეფე

10 იგი: და დაადგინა სხა მეფე რლი ნებისაებრ უძლოდა.

83 r ისლთა: ესრევე შეემთხვა || მოხუცებულსა მას მტყუარსა
ლოცვითა წდისა საბაჲსითა: და განერა ქლქი კვროსი:.

და მიერ წარვიდა აკაკიოს ქყნდ თვსთა სამწყსოთა.
თვსთა თნა რეს მოიკითხა მოძღუარი თსი: ხ წა საბა-

15 წარვიდა საყოფლად თვსა მწფთა თვსთა თანა და დაყო ეამი

რაოდენიმე მთ თნა და ამისა შემდგომად გწვიდა იგი ცხო-
რებისა ამის გნ ეამიერისა და ღირს იქმნა იგი მისღვად¹.

ცხორბსა მას დაუსრულებელსა რთისა თსისა თნა რლიცა
შეიყუარა და ჰმსახურა:.

20 ულთა გულსმოდგინებითა მოსწრაფედ დღე და ლამე

მოუწყინებლდ: ხ შემდგომად მისა მოწაფენი მისნი მი-
ემსგვსნეს სათნოებათა მისთა და აღასრულნეს დღენი მთნი.

მრავლითა გულსმოდგინებითა კეთილთა საქმეთაჲთა მოღუა-
წებით და ქა სათნო ეყვნეს:.

25 ამიერთ გნ ვყო დასასრული ცხორებისაჲ ამის და

ვევედრები რა და რა ჩემსა ივ ქა ზიარ მყვნეს მის თნა.
საქმეთა მისთა კეთილთა და ლოცვითა მის წდისათა გარდა-

მოავლინოს წყალობაჲ მისი ერსა მისსა ზა მორწმუნესა რნი
ადიდებენ მს სახელსა მშისა და ძისა და სლისა წდისასა.

30 რლისა ჰმუნის რბა ქებაჲ და თყნისცემაჲ აწ და მს და-
ოკტი რკე ან:.

ბ ე მ ს ბ ი ს ა თ შ ი ს

§ 1. დაწერილია ძეგლი ნუსხა ხუცურად, გარკვეული და-
ლაშაზი ხელით. დამწერლობის თავისებურებათა შორის აღვნიშნავთ::

¹ ჩამატებულია სტრიქონს ზევით ტექსტის ხელით.

1. ვინს, ორს¹, ქანსა და ჩინს წელი გატეხილი აქვსთ, მაშინ როცა იგი სწორი აქვსთ ენს, ყარსა და წილს.

2. ჩინსა და ორს შორის მხოლოდ ის სხვაობაა, რომ უკანასკნელს ოდნავ კბილი უგრძელდება მარჯვნივ.

3. კანს ქვედა ფეხი მოკლე აქვს და ღანიც ხანდახან ისე იწერება, რომ წინა ფეხი გარკვევით მოკლეა უკანაზე; ამ შემთხვევაში ის ინს უახლოვდება.

4. ღონს ტანი ღია აქვს მარცხენა მხრიდან.

5. უნს თუმცა უმეტეს შემთხვევაში სამი კბილი აქვს, მაგრამ მაინც ეტყობა დამწერელს იგი ესმოდა, როგორც ორი ასო. ამას ამტკიცებს სიტყვა „უფალი“, როცა იგი ქარაგმით გვევლინება: ო^რი = ოზფალი, ო^რ (ჩვეულებრივი ო^რ-ის მაგიერ; ამ შემთხვევაში ო^რს ყოველთვის სამი კბილი აქვს) = ოზფალო, ო^რა, ო^რისა და სხვა. ამას გარდა, თვით ო^რს დამოუკიდებელი უფრო ხშირად ორი კბილი აქვს მხოლოდ.

6. მოსახსენებელია აგრეთვე შვეული პუნქტირის ხაზი, რომლითაც ტექსტში ჩასმულია ხოლმე გამორჩენილი სიტყვა.

§ 2. გადამწერის აშკარა შეცდომებია უნდა მიეკუთვნოს: იგი იგინი¹ს მაგიერ 161,18; უბძანა უბრძანა¹ს მაგიერ 162,27; ვალ ვალნი¹ს მაგ. 164,8; უყუართა უყუარდა¹ს მაგ. 164,10; უბრძნა უბრძანა¹ს მაგ. 165,10; აისტრიოს ასტრიოს¹ის მაგ. 166,14; მის გ^რნი მის გ^რნი¹ს მაგ. 167,26; მჭურელმ მჭურვალმ¹ს მაგ. 170,5; უწყდა უწყოდა¹ს მაგ. 174,8; იხლონ იხილონ¹ის მაგ. 176,32; რ^ნ რ^ნის¹ს მაგ. 177,16; საბაასითა საბაასითა¹ს მაგიერ 177,38; ერთი ღიტოგრაფიული შეცდომაც, გამოწვეული სიტყვის სტრიქონიდან სტრიქონში გადატანით — თ^რსათათა თ^რსათა¹ს მაგიერ 179,5. გამოცემაში ეს შეცდომები გასწორებულია.

§ 3. მართლწერის ნორმები რყევას განიცდიან განსაკუთრებით ნახესხებ სახელებსა და სიტყვებში.

1. აგაკიოს 168,22; აგაკი 173,8; აკაკიოს 174,3; 177,4; 180,13; აკაკი 173,20; 174,31; 177,11.

2. მთავარებისკუპოზი 172,23 და ებისკოპოზი 179,19.

3. მერყევა აგრეთვე ორის ხმარება სიტყვის შიგნით:

ა. ეგრძთვე 161,28; 163,18; ეგრძთ 163,28; ესრძთ 161,37; 164,6; 171,7; ესრძთვე 162,14; 162,16 და ესრეათ 170,4; ესრევე 174,14.

¹ ასე ვუწოდებთ ამ ასოს სიადვილისათვის ზანის და ჯარის ანალოგიით.

ბ. ალაშენონ 162,35; 163,2; შენება 163,13 და ალაშენეს 163,15; 163,19; 170,37; ალაშენა 168,19.

გ. „ისრაელ“ სიტყვაში გვაქვს შრი 180,7; 180,11; მაშინ როცა „ამენი“-ში — ენი 176,16.

დ. ზედსართავი სახელების შედარებით ხარისხში გვაქვს ხან ენი, ხან შრი: უტკბილეს 161,18; უვრცელეს 163,19; უმჯობესი 174,4; და უმეტეს 163,26; უმრავლეს 175,10.

ე. სამაგიეროდ, ე-ფუძიანი სახელების სახელობითი ბრუნვის დაბოლოებაში ყოველთვის გვაქვს შრი.

4. ჯეს ფუნქცია გარკვეულია — იგი გადმოგვცემს უი დიფ-თონგს, რაიცა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ზოგიერთი სიტყვის ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებაში (ფუძისე-ული უმარცვლო უნისა და ბრუნვის ფორმის ონის შეერთება): ლა-კუა 175,22; 176,17 — ლაკუსა 175,32; 176,14; 176,15; სიტყუა 161,15; 173,25 — სიტყუსა 177,27; სიტყვთა 179,18; 179,22 და სხვ. [შეადარე ჰამბავი 162,1; 176,31 — ჰამბავითა 162,16]. ორი შემთხვევა არღვევს მხოლოდ ამ მტკიცე სისტემას: საჯვმილი 161,31 საჯუმილი-ს მაგიერ, რომელი ფორმაც გვხვდება კიდევაც (იხ. 173,18) და სიკვდილი 171,31 სიკუდილი-ს მაგიერ (შეად. იქვე სტრიქ. 26 — სიკუდილისა). ეს ფაქტები ჩვენ კალმის შეცთომად მივიჩნიეთ და გამოცემას ავა-ცილეთ.

§ 4. ფონეტიკურ თავისებურებათა შორის ყურადღებას იქცევს:

1. ვინის დაკარგვა ონსა და სხვა რომელსამე ხმოვანს შორის — სანოაგე 161,10; განზაონ 179,27; მყოარ 171,18; დაუტეოთ. 176,29; დაკარგულა ვინი აგრეთვე „შევრდომა“ სიტყვაში: შეურდებოდეს 162,3; შეურდა 166,9. იკარგება ვინი აგრეთვე, როგორც პირ-ველი პირის სუბიექტური პრეფიქსი უნით დაწყებულ ზმნებში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ძველ ქართულში — უწყი (მე) 165,13; დაუტეოთ (ჩუნე) 176,29.

2. გაჩენა ვინისა — ტყუილი 179,18; 179,22; 179,31; 180,4, თუმცა ერთს შემთხვევაში გვაქვს ტყუილი-ც 172,4.

3. მანის გაჩენა ზედსართავი სახელის თავკიდურად მიმღეობის ანალოგიით — შცბიერი 178,27.

4. უნის მაგიერ ონი — შოა 166,35; მოკლნი 167,12.

5. ონის ვინად დავიწროება — რავდენისამე 168,14.

6. წარ პრევერების მაგიერ ერთხელ გვხვდება მისი ვულგარული ფორმა წა: წაუდგინონ ლ^ა 179,28 (საქიროა მაინც აღინიშნოს, რომ სიტყვა გაკვეთილია გადატანის დროს ფუძის წინ).

7. პრჩობლი ხანისგან ერთის დაკარგვა:

ესმა ესე ასტრიოხ 169,23; სახლსა შინა მიხა სავანე ყოს 175,7 (შეად. მოეკიდა სამოსელსა მისსა 177,25—26).

8. რედუქცია — მოიხდიან მოიხადიან¹ის მაგ. 162,14; მოწფისა 165,27; 170,6; საყოფლად მოსალოდნელი საყოფლად¹ის მაგ. 167,5; 180,15.

9. დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ძეგლი ყოველთვის ხმარობს ვარს სიტყვა „გულისწმაში“. ეს სიტყვა სემასიურად ისეთივე წარმოებისაა, როგორიც „გულისყური“, და ზოგიერთ მკვლევართა აზრი, რომ აქ ხანი უნდა გვეკონდეს¹, წარმოადგენს გაუგებრობას, რომლის სათავე საბა-სულხანის ლექსიკონში² უნდა ვეძიოთ.

§ 5. მორფოლოგია:

1. მღე თანდებული ემატება მეტწილად მიმართულებითი ბრუნვის ნაკლულოვან ფორმას — კიდე-მღე 160,22; ეამა-მღე 164,6; 166,22; მწუხრა-მღე 164,8; კითხვა-მღე 174,8; უფრო იშვიათად სრულ ფორმას — სამხრად-მღე 163,25; დღენდელად დღედ-მღე 167,32.

2. რთული შემასმენლის სახელ-ნაწილი წარმოდგენილია ყოველთვის წრფელობითი ბრუნვის ფორმაში, მაგრამ ერთს შემთხვევაში ეს წესი არ არის ბოლომდის დატული: „... იყო იგი ნათესავით სპარსი გუამითა გრძელ და ძალითა ძლიერი და ხატითა შუენიერი“ 164,10—12.

3. დროის ზმნისზედას აწარმოებენ:

ა. სახელობითი ბრუნვა — ლამშ 160,33; 161,12; დღისი (ფუძედ აღებულია ნათესაობითის ფორმა) 160,32; 162,32; მიმწუხრი 180,1.

ბ. წრფელობითი ბრ. — ლამე 161,35; დღლეულ 163,26.

4. მრავლობითი რიცხვის ფორმატივია 5 ნაწილაკთან ერთად ებ-იც — კოკები 162,27; 162,35. ერთგან სრულიად მოულოდნელი

¹ იხ. Н. Марр, Антиох Стратиг, Пленение Иерусалима персами, С.-П. 1909, გვ. 71 და მისივე, Древнегрузинско-русский словарь к 1-2 главам Евангелия Марка, სიტყვა „გული“ (გულ), გვ. 3. იხ. აგრეთვე К. Кекелидзе, Древне-грузинский Архиператикон, გვ. XXIV და მისივე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმჯრნელ მიტროპოლიტისაჲ, გვ. LXXIX და ლ. მელიქსეთ-ბეგის, ცხოვრებაჲ წმ. გრიგოლ პართელისაჲ, გვ. VII.

² იხ. საბას ლექსიკონში სიტყვა „გულისხმა“.

ვეულგარიზმი გვაქვს — მოქვლიდა იგი ყოველთა სახლებთა მორწმუნეთასა 177,20, თუ ეს კალმის შეტომა არ არის კანონიერი სახლებსა¹ მაგიერ.

5. ერთი-ერთსა ჩეულებრივი ურთი-ერთას¹ის მაგიერ 160,27.
6. მიმღობის იშვიათი ფორმა — ქუმდებიარე 177,33.

§ 6. სინტაქსიდან მოსახსენებელია:

1. შინა თანდებულის შეთანხმება ნათესაობით ბრუნვასთან მიცემითის მაგიერ — მყისა შინა 177,31.

2. თავისებური წყობა — ხოლო აკაკიოს მოწაფესა ბერისასა ფიცხლად გ²ნმღერებულ იყვნეს ჯორცნი მისნი 177,4—5; აუწყე ვიხიცა გენებოს 165,30.

§ 7. ლექსიკაში:

1. კაპარი 161,5 მცენარეა ერთგვარი.
2. ხოშორი 161,7; 162,25; 170,27 „წვრილისა და სხვილისა საშუალი“ (საბა); მარილის ხოშორი — მარილის კენჭი.
3. კუნეტა 162,13 კენკა.
4. დარწული 162,14 „მახე დარწული“, უფრო ჩეულებრივი დარწულელი¹ს მაგიერ, რაიცა ჰნიშნავს დადგმულს, დაგებულს.
5. ჯერი 163,30 ცუდი, უსარგებლო.
6. ნუკევა, ნუკეული 166,8; 166,21 განებივრება. განებივრებული.
7. ძაძაჲ 169,24 ტომარი, პარკი (?).
8. ლაკუა 175,22; 175,32; 176,17 ჯურღმული, ორმო წყლით სავსე¹.
9. განმღერებული 177,4 რომელიდაც სნეულებით დაავადებული. საფიქრებელია, რომ ეს სნეულება უნდა იყოს დღევანდელი მ/ბღერი (მუნი).
10. იამავრი 175,15 ერთადერთი შვილი, „ხოლოდშობილი“ (საბა). როგორც მიმითითა პროფ. აკ. შანიძემ, სიტყვა წარმოადგენს სომხურ *ამამარ*-ს და ქართულში შემოტანილია დიდი ხნით ადრე, როგორც ამას უჩვენებს ფორმა სიტყვისა. საბას² იგი აღნიშნული აქვს ტობიას წიგნში, მაგრამ ქართულად დაბეჭდილი

¹ ამ სიტყვის განმარტებისათვის იხ. Н. М а р р, Антиох Стратиг, Пленение Иерусалима персами, გვ. 13.

² იხ. საბას ლექსიკონი, სიტყვა „იამავრი“.

დაბადების სათანადო თავსა და მუხლში ამ სიტყვის მაგიერ არის:
 „...მე ერთი ვარ მშობელთა თანა ჩემთა“.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ გამოცემაში დაცულია ტექსტის
 პუნქტუაცია და აბზაცები. ოჯ ჯგუფს გადმოვცემთ მარტივ უნით.

Vie de Saba de Syrie.

Résumé

Ce document de l'ancienne littérature géorgienne se trouve dans un manuscrit (a. 981/2), conservé au mont Sinaï. Nous l'imprimons d'après les photographies prises sur ce manuscrit. Ledit document contient la description de la vie de Julien-Saba qui a vécu et manifesté son activité religieuse en Syrie au IV^e s. Ne possédant pas en ce moment l'original grec de la *κλῆμας τοτορία* de Théodoret de Cyr, nous avons comparé notre „Vie“ au chapitre correspondant de la traduction géorgienne faite par Ephrem Mtziré au XI s. Cette comparaison a démontré que ces deux œuvres présentent des rédactions différentes malgré la similitude de construction. Cette publication est intéressante surtout au point de vue de l'histoire de la langue géorgienne.

მარტის 3, 1925 წ.

ხატების ისტორიისა და მისი საკითხისათვის ¹

დეკემბრის პირველი ექვსდღიური აღინიშნა თბილისში საყოფადღებო ლექციებით, რომლებიც სახ. უნივერსიტეტში წაიკითხეს ცნობილმა უცხოელმა სპეციალისტებმა, პროფ. ლენან-ჰაუპტმა და პროფ. ჰროზნიმ. პირველი სპეციალურად ქალღმების ენასა და ისტორიაზე მუშაობს, რანდენინე ხანს ღიდევ გაატარებს თბილისში და ჩვენს საინჟინერო წრეებს არა ერთგზის ექნებათ შესაძლებლობა. მოაწყონ მასთან მეცნიერული ნებეფდრა და სათანადო აზრთა გაკვლა-განოკვლა. პროფ. ჰროზნი კი ეხლა ნოკლე ხნით იყო. საბჭოთა კავშირში ჩამოსული, მან აქ მხოლოდ რანდენინე ლექცია წაიკითხა, და ჩვენ ამ წერილში გვსურს სწორედ პროფ. ჰროზნის დებულებებზე შევიჩრდეთ.

პროფ. ჰროზნი თანამედროვე ევროპული ბურჟუაზიული ორიენტალისტიკის ერთი თვალსაჩინო წარმონადგენელთაგანია. იგი ანგანაღ მუშაობს ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი ჩეხოსლოვაკიის ცენტრალურ — პრაჰის — უნივერსიტეტში. ანიტომ, ინათთვის, ვინც ორიენტალისტურ ლიტერატურას თვალყურს ადევნებს, ან ან დარგში სპეციალურად მუშაობს, მის მოწვევას საბჭოთა კავშირში ცოცხალი კონტაქტის დამყარების მნიშვნელობა ჰქონდა. საბჭოთა მეცნიერება, რომელიც მიზნად ისახავს საკვლევო საქმე შუაღლეს საფეხურზე აიყვანოს ყველა დარგში, აუცილენლად სცნობს კრიტიკულად აითვისოს ყველა მონაპოვარი, რომელიც კაცობრიობის მამიებელ აზრსა აქვს როგორც გარდასულ ეპოქებში, ისე ამჟამად კაპიტალისტურ ქვეყნებში.

¹ რედამსციხისგან. ანას წინათ ცნობილმა ჩეხოსლოვაკელმა ორიენტალისტმა პროფ. ბედრჰიმ ჰროზნიმ თბილისში წაიკითხა ორი ლექცია ხეობის ისტორიისა და მისი შესახებ.

ვაქვეყნებთ პროფ. ს. ჯანაშიას სტატიას, რომელიც შეიცავს პროფ. ჰროზნის ამ ლექციებში წამოყენებულ ზოგიერთი ძირითადი საკითხის საწინააღმდეგო მხარეებებს და გარკვეულ საინჟინერო ინტერესს წარმოადგენს ხეობის, როგორც კაცობრიობის უძველესი კულტურის წარმონადგენელ ისტორიისა და მისი შესწავლის საქმეში [„კომუნისტი“, 1936 წ. 21 დეკემბერი, № 294 (4798)].

მოსკოვისა და ლენინგრადის შემდეგ, თავისი პირველი ლექცია თბილისში პროფ. პროზნიმ წაიკითხა ორ დეკემბერს. აქ მან მოუთხრო თავის აუდიტორიას ხეტოლოგიის ისტორია და თავისი პირველი აღმოჩენების შესახებ ხეტური ლურსმული წარწერების ამოკითხვის საქმეში. ხეტებს მსოფლიო წინათაც იცნობდა ძველი ებრაული, ბერძნული, ეგვიპტური და ასურულ-ბაბილონური წყაროებიდან. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ ჰქონდა შესანიშნავი ასირიოლოგის ჰუგო ვინკლერის აღმოჩენებს, რომელმაც 1905 — 1907 წ.წ. გათხარა სოფ. ბოლახ-კოი, თურქეთის დედაქალაქ ანკარიდან 150 კილომეტრით დაშორებული. აქ ნაპოვნი იქნა უმდიდრესი ბიბლიოთეკა და არქივი, რომლის ფონდები თიხის ფირფიტებისაგან შედგებოდა. ფირფიტებზე ლურსმული ტექსტები იყო ამოკვეთილი. ამ ტექსტების წამკითხველთა რიცხვს ეკუთვნის სწორედ პროზნიც. ამ მკვლევართ წამოაყენეს დებულება, რომ დაფების ტექსტი ერთ ენაზე კი არ იყო შედგენილი, არამედ რვაზე: ორი ამათგან უცხოური, ნეზობელი ხალხების ენა იყო, ექვსი კი ადგილობრივი, ადგილობრივ ენებში კიდევ ორ ჯგუფს უჩვენებდნენ — ერთი ინდოევროპულის ძირს მიაკუთვნეს, მეორე კი — რომელიღაც მათთვის უცნობი მოდგმის ხალხს. პირველი, ინდოევროპული, თითქოს ოთხი ენისაგან შედგებოდა, მეორე კი — მხოლოდ ორი წარმომადგენელით განისაზღვრებოდა. ინდოევროპულ ელემენტებს ხეტურ ენებში უფრო ადრე სხვებიც ეძებდნენ (კნულსონი, ბუგე და სხვ.), მაგრამ ამ თეორიის განსაკუთრებით თავგამოდებული დამცველი ამჟამად პროზნია.

პროზნის აზრით, პირველი ინდოევროპული ენა, რომელიც მან ამოიკითხა ამ დამწერლობის ენებში, ეკუთვნოდა ხეტის სახელმწიფოს გაბატონებულ ხალხს, რომელიც თავის თავს ნესიტებს უწოდებდა, თავის დედაქალაქ ნესასის მიხედვით, სხვები კი ამ ენას კანიზურს ეძახიან. ნამდვილი ხეტები, ანუ უფრო სწორედ, ხატები, ნესიტებზე უფრო ადრინდელი მოსახლეობაა. იგი მკვიდრი ბინადარია ამ ქვეყნისა, სადაც იგი უკვე მესამე ათასეულში ძვ. წ. ცხოვრობს და დიდ კულტურულ კერას ჰქმნის. ნესიტები კი აქ მოდიან მეორე ათასეულის დამდეგს, თითქოს თანამედროვე უკრაინიდან. ხატების ენა, „ხატერი“, ამბობს პროზნი, არ არის ინდოევროპული და შესაძლებელია კავკასიური ენების მონათესავე იყოსო. შემდეგ პროზნიმ, მისივე მტკიცებით, ამ არქივში კიდევ ერთი ინდოევროპული ენა აღმოაჩინა. იგი ეკუთვნოდა ლუიას ქვეყანაში (მცირე აზიის სამხრეთ ნაწილში) მცხოვრებ.

ხალხს და ამიტომ მას ლუვიური უწოდეს. ლუიტები ნესიტებზე ხუთასი წლით ადრე მოვიდნენო. იმავე წარწერებით, ამბობს ჰროზნი, დადასტურებულ იქნა, რომ ჩრდილო სირიასა და მესოპოტომიაში ცხოვრობდა კიდევ ორი ხალხი: ჰურიტები, რომელთა ენაც არ იყო ინდოევროპული ძირისა და, იქნებ, კავკასიურ ენებს ენათესავებოდაო. მეორე ხალხი ალბათ მიტანის სახელწოდებას ატარებდა და სანსკრიტულად ლაპარაკობდაო.

თავის მეორე ლექციაში (4 დეკემბერს) პროფ. ჰროზნი სპეციალურად შეეხო ხეტურ ჰიეროგლიფებს. თუ ზემოთდასახელებული ხალხები ლურსმულ დამწერლობას ხმარობდნენ, მეექვსე ტომს, ხატის ტერიტორიაზე მცხოვრებს, უკვე ხატოვანი დამწერლობა ჰქონდა. ამ ხალხისათვის ჰროზნის საკუთარი სახელი ვერ მოუნახავს და მას პირობითად „ჰიეროგლიფურ ხატებს“ ეძახის. ჰროზნი ამტკიცებს, ეს ხალხიც ინდოევროპული მოდგმისა იყო და შორეულად ენათესავებოდა ნესიტებსო. პროფ. ჰროზნი დარწმუნებულია, რომ მან ამოიკითხა ეს ურთულესი ხატოვანი დამწერლობა. ამ ენის გრამატიკაც შევადგინეო, — აცხადებს იგი.

პროფ. ჰროზნის ლექციები უურადლებით მოისმინა ჩვენმა საზოგადოებამ. ისინი მრავალფეროვან ფაქტიურ მასალას შეიცავდნენ. თანდართულმა დიაპოზიტივებმა თვალსაჩინოდ წარმოადგინეს ხატური ძეგლები. ბევრი დებულება ჩეხოსლოვაკელი ორიენტალისტისა ალბათ შევა მეცნიერების სალაროში, როგორც პოზიტიური მასალა, მაგრამ ბევრი დებულებაც არადამაჯერებელი და საექვოც არის.

სამწუხაროდ, პროფ. ჰროზნის საჯარო განოსვლების ფორმა ჩვენში, სახელდობრ, ლექციები, რომელთაც კამათი თან არ სდევდა, საშუალებას არ აძლევდა ადგილობრივ მუშაკებს აზრთა სათანადო გაცვლა-გამოცვლა მოეწყოთ ლექტორთან. ამ ნაკლის შეესება სცადა მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალმა, რომელმაც თავისი თანამშრომლების წრეში მოიწვია (5 დეკემბერს) ორივე მკვლევარი სწორედ სასაუბროდ. შემდეგ თბილისელი მუშაკები კიდევ ერთხელ შეხვდნენ პროფ. ჰროზნის 10 დეკემბერს, როცა ის აქ გავლით გაჩერდა, ერევნიდან კიევის მიმავალი, და კვლავ ესაუბრნენ მას. აქ, სხვათა შორის, მკაფიოდ განოაშკარავდა ის მეცნიერული აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც ზოგიერთი ძირითადი საკითხის გარშემო არსებობს ჰროზნისა და ადგილობრივ მკვლევართა შორის.

პროფ. ჰროზნის საკუთარ დებულებებში ბევრი რამაა ჯერ კიდევ სავსებით ჰიპოთეტური და დაუსაბუთებელი. მაგ., არ არის დამარწმუნებელი თეორია ინდოევროპელ ტომთა მცირე აზიაში მოსვლის შესახებ თანამედროვე უკრაინიდან. საბუთად იგი ასახელებს „ხატურ“ (გვიანდელ) ენებში -*ოსტ* სუფიქსის არსებობას, რაც სლავური წარმოშობისააო. ეს საბუთი მეტად მცირეა და სათანადო ტომთა პირვანდელ სამშობლოსა თუ მათი მოძრაობის გზებს სრულიადაც ვერ განსაზღვრავს. შემდეგ, მრავალმხრივ საექვოა თეორია არაინდოევროპელი „ხატების“ დაპყრობის შესახებ ინდოევროპელთა მიერ. თუ ამ თეორიას მივიღებთ, მაშინ ბევრი რამ აუხსნელი დაგვრჩება. ხატებისაგან ყველაზე თვალსაჩინო, რაც დაგვრჩენია, ეს არის მათი გამოსახულებანი ბარელიეფებზე. ჰროზნი აღიარებს, რომ აქ გამოსახულ ადამიანთა გაბატონებული ტიპი ინდოევროპული კი არ არის, არამედ ადგილობრივი, „წინააზიური“. რას ნიშნავს ეს? ხომ ცხადია, რომ სათანადო ოსტატებს შეეკეთილი ექნებოდათ გამოესახათ არა დაპყრობილნი, არამედ დაპყრობელები, რომელთაც ვითომც ეკუთვნით ეს ძეგლები?

ჰროზნის აზრით, ინდოევროპელი დამპყრობელები ყველგან წინა აზიაში შეადგენდნენ მეტად თხელ ფენას და ამიტომ ისინი აქ ფიზიკურად გაითქვიფნენ დაპყრობილებში, ენა კი თავისი შეინარჩუნესო. ეს სრულიად დაუჯერებელია. ჩვენ ვიცით დაპყრობის არა ერთი შემთხვევა ისტორიაში და ყველგან სხვა სურათს ვხედავთ. ავიღოთ, მაგ., ნორმანები ევროპაში. საფრანგეთის დაპყრობის შემდეგ მათ ძალიან მალე შეითვისეს ფრანგული ენა. გაფრანგებულებმა მათ დაიპყრეს ინგლისი. იქ, — მართალია, ცოტა უფრო გვიან, — მათ დაივიწყეს უკვე ფრანგული და შეითვისეს ინგლისური. მართლაც, გასაგებია, რომ დამპყრობელთათვის გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თავისი განკერძოებული საზოგადოებრივი მდგომარეობის შენარჩუნებას (რასაც ჩვეულებრივად, სათანადო ქორწინებათა, „მეზალანსის“, აკრძალვით აღწევენ), ვიდრე ენის დაცვას. საკუთარი ენისა და კულტურის დაცვა ინდოევროპელებისათვის იმიტომაც უნდა ყოფილიყო თუ შეუძლებელი არაა, ძალიან ძნელი მაინც, რომ დაძვდურნი მათთან შედარებით გაცილებით უფრო მალა იდგნენ კულტურულად (დამწერლობა ხომ ადგილობრივი შეითვისეს მოსულებმა).

შემდეგ, უნდა აიხსნას თვით დაპყრობის პირობები. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია. თუ ინდოევროპელები ასე მცირერიცხოვანნი იყვნენ, რანაირად მოახერხეს მათ მკვიდრი მოსახლე-

ობის დამორჩილება? პასუხი ასეთია: დამპყრობელები უფრო მალა იდგნენ საზღვდრო ტექნიკის მხრივ. ესეც სრულიად დაუჯერებელი ამბავია: ჩვენ ზედმიწევნით ვიცით, რომ ალბულ ხანაში წინა აზია შეუდარებლად უფრო მალა დგას საწარმოო ძალთა (და, მაშასადამე, სამხედრო ტექნიკის) განვითარების მხრივ, ვიდრე ის ქვეყნები, საიდანაც პროფ. პროზნისა და მის თანამოაზრეებს გამოჰყავს ეს ინდოევროპელი დამპყრობელები (ე. ი. აღმოსავლეთი ევროპა; ეგვიპტის დასავლეთ ევროპაზედაც). სათანადო უდაო ფაქტებს არქეოლოგია გვაწოდის, და ეს საყოველთაოდ ცნობილია, შემდეგ, სრულიად დაუჯერებელია, რომ თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში ბატონობდნენ ეს ინდოევროპელები მცირე აზიასა, ჩრდილოეთ სირიასა და მესოპოტამიაში, მთელი ამ ხნის განმავლობაში შეინახეს თავისი ენები, შექმნეს ამ ენებზე ვრცელი მწერლობა და შემდეგ სრულიად უკვალოდ გაქრნენ (ჯერჯერობით ჩვენ ვერავითარი საამისო კვალი ვერ გვიპოვინიო, — განაცხადა პროზნიმ). ასეთი ამბები ისტორიაში არ ხდება. წინააღმდეგ: უძველესი მოსახლეობის ნაკვალევი დღესაც ჩანს, კერძოდ, წინა აზიის ტოპონიმიკაში, მაგრამ იგი სრულებით არ არის ინდოევროპული ხასიათისა.

არაინდოევროპული ხასიათისაა აშკარად აგრეთვე ამ მეორე ფორმაციის (პროზნის თეორიით, ინდოევროპული მოდგმის) „ხეტების“ მეფეებისა და ღმერთების უმრავლესობის სახელები: ტუტხალია, ხატუშილი (თუ ხატუსილი), პუტუხეპა, ტარხუნდი (საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნეში საქართველოში დადასტურებულია სახელი „თარხუჯი“, რაც ალბათ იგივეა), თეშუბი, სანდონი, აპულუნას (თუ ასეთი ღმერთი მართლაც არსებობდა იქ), რუტას და სხვ. შემდეგ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ, პროზნის მტკიცებით, ეს ინდოევროპელები თავიანთ თავს ეძახოდნენ ნესიტებს, თავიანთ ენას კი — ხატილის, ე. ი. ძველი, არაინდოევროპული ენის სახელს. როგორ მოხდა, რომ ახალს, სტრუქტურულად მრავალი საუკუნის განმავლობაში დაცულს, ინდოევროპულ ენას შეერქვა ძველი, ადგილობრივი, ენის საკუთარი სახელი?

ასეთი გაუგებრობანი, უალრესად სათუო ან აშკარად მიუღებელი თეორიები შედეგია, ერთი მხრით, იმისა, რომ თვით საკვლევო მეთოდი არ არის სათანადოდ გამართული, იგი უმთავრესად ფორმალისტური ხასიათისაა, ხოლო, მეორე მხრით, იმისა, რომ დასავლეთ ევროპის სპეციალისტები ამ საქმეში სათანადო ანგარიშს არ უწევენ, თუ ვერ უწევენ იმ ენებისა და სიძველეების

მნიშვნელობას, რომელთაც ჰროზნი და სხვები არადიფერენცირებულიად „კავკასიურს“ უწოდებენ. ჩვენი აზრით, ამ ენების, პირველ რიგში და უპირატესად, ქართველთა ენობრივი, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური სინამდვილის ღრმა ცოდნის გარეშე შეუძლებელია წინა აზიისა და, ზამსასადავ, ხატების ენებისა და კულტურის ნამდვილი ბუნების მეცნიერული გაგება.

საგაზეთო წერილში შეუძლებელია ამ აზრის სრული გაშლა. საპეციალურ ლიტერატურაში უკვე თავმოყრილია განსაზღვრული საბუთები, ხოლო კიდევ უფრო ვრცელი და დამარწმუნებელი მასალა წარმოდგენილი იქნება ჩვენი მუშაკების შრომებში, რომლებიც ეხლა მზადდება, საიდანაც ჩანს, რომ ეს ტომები მოვიდნენ კავკასიაში წინა აზიიდან და რომ მათ უშუალო კავშირი აქვთ წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან.

სწორედ ამიტომ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველურ ენებსა და ქართველ ტომთა უძველეს კულტურას. ქართული მწერლობის ძეგლები მოღწეულია უკვე მეოთხე-მეხუთე საუკუნიდან და მათი საშუალებით ჩვენ შეგვიძლია ქართული ენის განვითარების კანონზომიერება დავადგინოთ, გავითვალისწინოთ მისი ევოლუციის ტენდენციები არა მარტო ისტორიულ ხანაში, არამედ წინამორბედი ხანისთვისაც გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ ამ მხრივ. აქ, სამწუხაროდ, ჩვენ არც ამ დებულების გაშლა შეგვიძლია, უადგილობის გამო, სასურველი სისრულით. აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს.

ქართული ანბანის მეცნიერულმა შესწავლამ გამოარკვია, რომ იგი შეთვისებული უნდა იყოს მცირე აზიაში არა უგვიანეს მეშვიდე საუკუნისა ქრ. წინ (იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. პალეოგრაფია). ეს არის უალრესად მნიშვნელოვანი საბუთი იმისა, რომ იმ დროს ქართველები ჯერ კიდევ იქ იყვნენ.

თუ მართლაც ქართული ალფაბეტური დამწერლობის სათავე სემიტების დამწერლობის მეზობლად უნდა ვეძიოთ, მაშინ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩვენი ასოების სახელები. მეორე ასოს სახელი „ბან“, მაგ., შესაძლებელია სწორედ იმავე ასოს სემიტური სახელის „ბეთ“ ზუსტი მნიშვნელობითი შესატყვისობა იყოს: სემიტური „ბეთ“ ნიშნავს „სახლს“, ისევე როგორც ქართული „ბანი“ (აქედანაა „ღა-ბანი“, მერმინდელი „დაბა“, „სოფლის“ მნიშვნელობით და „ბანი“), ანუ „ვანი“. მაგრამ მსგავსი ალფაბეტური დამწერლობა შეიძლებოდა მხოლოდ განვითარების გარკვეულ საფეხურზე გაჩენილიყო, მანამდე მცირე აზიაში მცხოვ-

რებ ქართველ ტომებსაც ხატოვანი და ლურსმული დამწერლობა უნდა ეხმარათ. ამ მხრით უალრესად საყურადღებოა ქართული ტერმინი „წერა“; იგი თავდაპირველად „ქრას“, „კვეთას“ ნიშნავს; აქედანაა „წერაქვი“, ე. ი. კვის საქრელი, საკვეთი; „წერა“ ხენის მნიშვნელობით („მიწის ქრა, კვეთა“) მთაში (პროფ. აკ. შანიძის ცნობით) და „წერული“ — „ყანის ნაკრფეი, შეკონვილი“ (სულხან-საბა), „საწერელი“, ე. ი. მკაშელი, მქრელი, თითის ერთგვარი ავადმყოფობა და სხვ. „წერის“ მოცემულ ეტიმოლოგიას ადასტურებს და წერასთან დაკავშირებულ მეორე მნიშვნელოვანი ტერმინის წარმოშობას გვიხსნის „წერტილი“, „წერტა“ ზმნისაგან ნაწარმოები. „წერტაც“ ხომ ჩხვლეტას, ამოკვეთას, ჩაქრას ნიშნავს. მაშასადამე, ორივე ტერმინი იმ ხანისაა, როცა წერა რეალურად იყო რაიმე მაგარ მასალაზე (ქვაზე, თიხის დაფაზე, ლითონზე) ამოჭრის, ამოკვეთის პროცესი.

ჩვენ გვგონია, რომ ქართველთა ტომებმა თავისი უძველესი სამშობლოდან ამიერკავკასიაში მოიტანეს არა მარტო ეს ტერმინები, არამედ თვით სათანადო დამწერლობანიც. თუ ჩვენ, მაგ., ჩაუუკვირდებით იმ სვანურ დალებს, რომლებიც შეგროვებულია ახალგაზრდა ეთნოგრაფის რუს. ხარაძის მიერ, იძულებული ვიქნებით აღვიაროთ, რომ აქ ჩვენ გვაქვს სწორედ ლურსმული დამწერლობის ნიშნები, რომელთაც პირვანდელი ფუნქცია, მართალია, დაკარგული აქვთ, მაგრამ თავისი გარეგანი სახე სავსებით შერჩენიათ. ასეთივე წარმოშობისაა, ალბათ, ქართული (მაგ. ხევსურული) ორნამენტის ზოგი სახეები. დოც. გ. ჩიტაიას დაკვირვებით, ხატოვან დამწერლობასთან კავშირში უნდა იმყოფებოდეს მეტად საყურადღებო აქარული გეაროვნული საკუთრების ნიშნები, რომლებიც შეგროვებულია ეთნოგრაფის ვ. ბარდაველიძის მიერ.

ქართველ ტომთა მემკვიდრეობითი კავშირი წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან მქლავნდება ყველა დარგში. სოციალურ სფეროში, მაგ., ყურადღებას იქცევს უძველესი ტერმინი „მონა“. მას ჩვეულებრივად ირანულიდან ნასესხებ სიტყვად თვლიან, მაგრამ არავის არ უჩვენებია დამარწმუნებლად, რანაირად იქცა ირანული „მანია“ „მონა“-დ. შემდეგ, ის გარემოება, რომ ირანთან ქართველებზე უფრო ახლო მცხოვრები ხალხებისათვის, მაგ. სომხებისათვის, ეს ტერმინი სრულიად უცნობია, კატეგორიულად უარყოფს ამ სიტყვის ირანულობას. ამავე დროს სტრაბონისაგან ვიცით რომ კუნძულ კრეტაზე მონურ მდგომარეობაში მყოფი საზოგადოებრივი წრე „მნოა“-ს სახელწოდებას ატარებდა. უალრესად

დამახასიათებელია, რომ ეს ტერმინი შეინახა მხოლოდ ამ ორ ქვეყანაში, და თვით ფაქტი უეჭველად მიუთითებს იმაზე, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთისა და იმავე ეპოქისა და საზოგადოების შინაგანად დაკავშირებულ ნაწილებთან. კრეტასთან ქართველ ტომებს მრავალი სხვა ძაფიც აკავშირებს.

რელიგიის სფეროში ჩვენ ვხედავთ ასეთსავე ნიშნებს. უძველესი ხატური ქეკა-ქუხილის ღმერთი იწოდება „ტარო“, რაც, უეჭველია, შენახულია ქართულ „ტაროს“-ში. ტაროსი, ამინდი ხომ ქეკა-ქუხილის ღმერთზე მიაჩნდათ დამოკიდებულად. მთვარის კულტი განსაკუთრებული გავრცელებით სარგებლობს როგორც ქართველ ტომებში, ისე მცირე აზიასა და მესოპოტამიაში. წინა აზიის უძველესი ღმერთქალის სახელი — ნანა, ნინი, ინა შენახულია უძველესი ქართული კერპის სახელში აინინა და შემდეგ იგი ქალის ეროვნულ სახელადაც იქცა (ნინო, ნანა). სხვა ფაქტებიც მრავალია, ჩვენ მათზე ეხლა ვერ შევჩერდებით.

უაღრესად საყურადღებო ფაქტებს გვაძლევს ხელოვნება და ხუროთმოძღვრება. მეცნიერებაში დადასტურებულად მიაჩნიათ, რომ კლდის ხელოვნური დამუშავების, მასში დარბაზების, სამარხების და სხვ. ოსტატური გამოკვეთის ცენტრი არის ხატების ქვეყანა. აქედან ეს ხელოვნება შემდეგ გადადის ვანელი ქალების ქვეყანაში, ურარტუში. იმავე ხელოვნების ქემშარტი წარმომადგენლებია საქართველოს შესანიშნავი ძეგლები, როგორცაა, მაგ., უფლისციხე, ვარძია და სხვ. ტყუილად კი არ შეინახეს ქართველმა ტომებმა სათანადო ყველაზე საკირო იარაღის, წერაქვის, სახელი ამ უძველესი ფორმით.

კლდის ასეთი კვეთა განვითარებულ მეტალურგიას გულისხმობს. ამ მხრივ ხომ ცნობილია საყოველთაოდ, რომ ქართველი ტომები და მათი წინაპრები საუკეთესო მეტალურგებად ითვლებოდნენ. სულ უკანასკნელ ხანებში გამოირკვა ერთი უაღრესად საყურადღებო ამბავი: შესანიშნავი ბრინჯაოს კულტურა, რომელსაც წინათ კობანის კულტურას ეძახდნენ, ნამდვილად დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის, საკუთარი კულტურა ყოფილა, და რომ ეს კულტურა ვრცელდებოდა თურმე მცირე აზიაშიაც. აქაც უეჭველი ხდება სათანადო კავშირები და მემკვიდრეობა. უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოებაა ისიც, რომ წინა აზიის ყველა ძველი მდიდარი მადანი და სათანადო მალაროები სწორედ ხეტის ტერიტორიაზე იმყოფებოდა.

საქართველოს უძველეს არქეოლოგიურსა და ხალხური შემოქმედების ძეგლებში ჩვენ ვხედავთ მოტივებს, რომლებიც ამგვარებენ ახლო კავშირს წინა აზიასთან, კერძოდ, ხეტურ ხელოვნებასთან. ასეთია, მაგ., ქართული ჩუქურთმის ზოგიერთი სახეები. ამას გარდა, ზოგჯერ თავს იჩენს სრულიად მოულოდნელი შეხვედრები. მაგ., ხეტების უმთავრესი ქალღმერთი და მისი შვილი ჩვეულებრივად ვეფხეზე მდგომარე არიან გამოსახულნი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ტრადიციის ნიადაგზე აღმოცენდა რუსთაველის შესანიშნავი სახე, ეგრე უჩვეულო მსოფლიო პოეზიისათვის, ვეფხე და მისი ტყავი, რომელიც ტარიელისთვის სახეა მისი მიჯნურისა, ეს უკანასკნელი კიდევ მზე-ღმერთის წილად არის მიჩნეული.

ესლა თუ წინა აზიის ისტორიას მივმართავთ, იქ ვნახავთ ჩვენი აზრის დამამტკიცებელ საბუთებს, თუმცა ჯერ მასალა მცირეა მოპოვებული. მთელი წინა აზიის ტერიტორია უძველეს ხანაში დასახლებულია ისეთი ხალხებით, რომელთაც არა აქვთ არავითარი კავშირი არც ინდოევროპელებთან, არც სემიტებთან, არც თურქულ-მონღოლურ ტომებთან. ყველაზე მნიშვნელოვანნი წინა აზიის ამ უძველეს ხალხთაგან არიან სუმერები, ხატები ანუ ხეტები, მიტანიელები, ურარტუს (ვანის) ქალღმერთი და სხვები. სწორედ ამ ხალხებმა შექმნეს კაცობრიობის უძველესი კულტურული კერა. სუმერებმა შექმნეს, მაგ., პირველად ისტორიაში ლურსმული დამწერლობა, რომელიც მათგან შემდეგში შეითვისეს ბაბილონელებმა. ხატებს, ხალიბებსა და სხვ. განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ლითონის დამუშავებაში. აქვე ხდება მრავალი დღევანდელი კულტურული მცენარის პირველი „მოშინაურება“ და სხვ. შემდეგ ეს ხალხები თითქოს ქრებიან, ნუთუ უკვალოდ? რა თქმა უნდა, არა. სხვა ტომების მოწოლის გამო ისინი იცვლიდნენ ტერიტორიას და ახალ-ახალ კერებს ქმნიდნენ. ყველაზე სამხრეთით მდებარე რაიონებიდან მათ ამოიწიეს მცირე აზიასა და მესოპოტამიაში, აქედან შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებსა და ვანის ტბის რაიონში, იქიდან კიდევ თანამედროვე ამიერკავკასიაში. სატომო სახელების ისტორია ამ მხრივ დიდად საყურადღებო მასალას შეიცავს.

საფიქრებელია, რომ კავშირი არსებობს ხატების, ხალღების, ანუ ქალღმერთების, ხალიბების სახელებს შორის. ძველი ბერძენი მწერლები პირდაპირ ანბობენ, რომ ხალღები წინათ ხალიბებად იწოდებოდნენ. შემდეგ საყურადღებოა, რომ ხალღები ცხოვრობდნენ

როგორც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, ისე ვანის ტბის გარშემო. ცხადია, ეს ერთი ხალხის ორი შტო უნდა იყოს.

ასევე საყურადღებოა ასურულ წარწერებში მოხსენებული მუსკებისა და კასკების სახელები. მუსკები არიან მერმინდელი მოსხები ან მესხები, კასკები კიდევ კოლხები, როგორც ეს აღნიშნულია უკვე პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ.

შემდეგ ჩვენ ვხედავთ უაღრესად საყურადღებო ფაქტს, რომ ამ სახელების უმრავლესობა თავს იყრის სწორედ საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე.

მესხებისა და კოლხების ამბავი ყველასათვის ცნობილია. ფრიად სარწმუნოა იბერების კავშირი ტიბარანებთან და ტაბალთობალთან. ასევე საფიქრებელია, რომ ტერმინი „ქართველი“ დაკავშირებულია ქალღ-თან და, მისი მეშვეობით, სხვა ამავე ძირის წინააზიურ უძველეს სახელებთან. აქ უნდა მოვიგონოთ უძველესი ქართული ტერმინი „ხატი“. ხევსურები უახლოეს ხანაშიაც ამ სიტყვას ხმარობდნენ საერთოდ „ღვთაების“, „კერპის“, „ჯვარის“ მნიშვნელობით. იგი დაკავშირებული უნდა იყოს ურარტუს მოსახლეობის მთავარი ღვთაების, ხ ა ლ დ ის, სახელთან.

ცხადია, რომ ყოველივე ეს მოტანილია ქართველი ტომების მიერ მათი უწინდელი სამშობლოდან, სადაც მათ აგრეთვე დატოვეს თავისი ნაკვალევი. მცირე აზიაში ერთი ტბის თანამედროვე თურქული სახელია აჯ ი-გ ი ო ლ, მისი უძველესი სახელი კი არის ტ ო ბ ა დ ა. პროფ. აკ. შანიძემ სავსებით სამართლიანად შენიშნა, რომ „ტობადა“ შეიცავს იმავე ზეგრულ-ქართულ სიტყვას ტ ო ბ ა ს, რაც ტბას ნიშნავს (თურქ. გიოლ — ტბა!). ასეთი ფაქტი მრავალია.

საქართველოში დაცულია გეოგრაფიული სახელების მრავალი დაბოლოება, რომელნიც იმეორებენ წინა აზიის გეოგრაფიული სახელების დაბოლოებებს (შეად. თბილისი — ბითლისი და მრავალი სხვა).

პროფ. პროზნი, დასავლეთ ევროპის სხვა „ორიენტალისტებთან ერთად, აკეთებს სერიოზულ საქმეს, როცა აგროვებს და აქვეყნებს წინა აზიის უძველესი მოსახლეობის კულტურისა და ენების მრავალრიცხოვან ფაქტებს. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ამ

მკვლევართა განზოგადოებანი და დასკვნები, უმეტესწილად, არ არის დამარწმუნებელი. ამ ფაქტების ახსნა, წინა აზიისა და კერძოდ მცირე აზიის უძველესი ხალხების ენების, კულტურისა და, საერთოდ, ისტორიული წარსულის მეცნიერული გაშუქება შეუძლებელია ქართველ ტომთა კულტურის ისტორიის შესწავლის გარეშე, ქართული, მეგრულ-ქანური და სვანური ენების შესწავლის გარეშე.

К ВОПРОСУ О ЯЗЫКЕ И ИСТОРИИ ХЕТТОВ¹

Первая шестидневка декабря в Тбилиси была отмечена интересными лекциями иностранных специалистов проф. Леманн-Гауита и проф. Грозного. Первый, как известно, работает над историей и языком халдов, предполагает еще некоторое время пробыть в Тбилиси, и наши научные работники будут иметь возможность неоднократно встречаться с ним и обмениваться мнениями. Проф. Грозный приехал в Советский Союз на ограниченное время и успел прочитать лишь несколько лекций.

В этой статье мы предполагаем остановиться на некоторых положениях, выдвинутых проф. Грозным в лекциях, прочитанных им в Тбилисском университете.

Проф. Грозный — один из выдающихся представителей современной европейской буржуазной ориенталистики. В настоящее время он работает в Пражском университете и занимается специально вопросами хеттологии. Советская наука, ставящая целью поднять на высшую ступень научно-исследовательскую работу во всех областях науки, считает необходимым критическое освоение всех достижений научной мысли за рубежом.

В первой лекции (2 декабря) проф. Грозный рассказал об истории хеттологии и о своих открытиях в области расшифровки хеттской клинописи. Хеттов мир знает уже давно по еврейским, греческим, египетским и ассиро-вавилонским источникам. Но особенно важную роль в этом деле сыграло откры-

¹ Недавно видный чехословацкий ориенталист проф. Фридрих Грозный прочитал в Тбилиси две лекции об истории и языке хеттов.

Редакция публикует статью проф. Джанашиа, содержащую возражения по некоторым основным вопросам, выдвинутым в этих лекциях проф. Грозного, и представляющую известный научный интерес в деле изучения истории и языка хеттов, как представителей древнейшей культуры человечества.—Ред. [Газ. „Заря Востока“, 1936 г., № 295 (4012)].

тие знаменитого ассириолога Гуго Винклера, произведшего в 1905—1907 гг. раскопки в селении Богазкеой в 150 км от столицы Турции — Анкары. Здесь были найдены богатейшая библиотека и архив, фонды которых состояли из глиняных табличек. Таблички были заполнены клинописными текстами. Среди специалистов, занятых расшифровкой этих текстов, видное место принадлежит проф. Грозному. По мнению этих исследователей, тексты табличек были составлены не на одном, а на 8 языках, из которых 2 были иностранными языками соседних народов, а остальные 6 — местными. В местных языках они указывали на наличие 2 групп. Одну группу они относили к индоевропейскому корню, а другую — к народу неизвестного им происхождения. В первой группе они усмотрели 4 языка, вторая же группа ограничивалась двумя представителями. Попытки разыскать индоевропейские элементы в хеттских языках были начаты еще раньше другими учеными (Кнутсон, Буге и др.), но особенно ярким поборником указанной выше теории в настоящее время является проф. Грозный.

По мнению проф. Грозного, первый индоевропейский язык, который он вычитал в памятниках этой письменности, принадлежал главенствующему народу хеттского государства, который именовав себя «незитами», соответственно своей столице «Незас». Настоящие хетты или, вернее хатты, сравнительно с незитами являлись древнейшим населением. Это — коренное население той страны, в которой они еще в третьем тысячелетии до нашей эры создают мощный культурный очаг. По мнению проф. Грозного, незиты переселились сюда в начале 2-го тысячелетия до нашей эры, якобы с территории современной Украины. Язык хаттов «хаттери», говорит проф. Грозный, — не индоевропейский и может быть родственным кавказским языкам. Далее проф. Грозный, согласно его же утверждениям, нашел в архиве еще один индоевропейский язык, который принадлежит народу, жившему в стране Муя (южная часть Малой Азии), и который он назвал дунским языком. Дуныты переселились в эту страну за 500 лет до незитов. Согласно этим же надписям, говорит проф. Грозный, было установлено, что в Северной Сирии и Месопотамии жило еще два народа: хурриты, язык которых является языком не индоевропейского

корня и может быть родственным кавказским языкам, и второй народ, вероятно именуемый «митани» и говоривший будто бы на санскритском языке.

Во второй своей лекции (4 декабря) проф. Грозный специально коснулся вопроса о хеттских иероглифах. Если пять вышеперечисленных народов пользовались клинописной письменностью, то 6-й народ, живший на территории хеттов, имел иероглифическую письменность. Собственное имя этого народа проф. Грозным не установлено и он условно называет их «иероглифическими хаттами», в то время как другие называют их «балаями» и этот термин сближают с названием «Пафлагонии». Проф. Грозный пытается доказать, что и этот народ — индоевропейского происхождения и имеет отдаленное родство с незиитами. Проф. Грозный уверен, что он расшифровал эту сложнейшую иероглифическую письменность и даже составил грамматику этого языка.

Наша научная общественность внимательно следила за лекциями проф. Грозного. Эти лекции были насыщены многообразным фактическим материалом. В приложенных диапозитивах были отображены хаттские памятники. Ряд положений, выдвинутых чехословацким ориенталистом, наверно войдет в позитивный фонд науки. Но наряду с этим имеются положения, страдающие необъяснимостью, вызывающие сомнения или вовсе неприемлемые. К сожалению, форма публичных выступлений проф. Грозного у нас, а именно лекции, не сопровождавшиеся приемами, лишала местных научных работников возможности обменяться мнениями с лектором. Этот пробел отчасти был заполнен Грузинским филиалом Академии наук СССР, пригласившим профессоров Грозного и Лемани-Гаулта для беседы. Кроме этого, мы имели возможность вторично встретиться с проф. Грозным при его возвращении из Еревана. Здесь в совершенно ясной форме всплыли те разногласия во взглядах, которые имеются по некоторым основным вопросам между проф. Грозным и нашими научными работниками.

В положениях, выдвинутых проф. Грозным, многое еще остается гипотетичным и необоснованным. Так, например, совершенно необъяснима его теория о переселении в Малую Азию индоевропейских племен с территории нынешней Украины.

В виде доказательства проф. Грозный приводит наличие суффикса *ОСТ* в хаттских (поздних) языках, причем этот суффикс представляется ему по своему происхождению славянским.

Это доказательство несостоятельно и не может определить ни родины соответствующих племен, ни путей их движения. Далее, весьма сомнительна теория покорения индоевропейских «хаттов» индоевропейцами. Если принять эту теорию, то останется неразрешимым ряд вопросов.

Самым очевидным и реальным из всего того, что осталось у нас от хаттов, являются их изображения на барельефах. Проф. Грозный утверждает, что господствующим типом изображенных здесь людей является не индоевропейский тип, а местный «переднеазиатский». Что это означает? Ведь ясно, что мастерам должно было быть заказано изображение не покоренных, а покорителей, которым и должны принадлежать эти памятники. По мнению проф. Грозного, индоевропейские покорители повсюду в Передней Азии составляли тонкий слой и поэтому физически легко рассосались в среде покоренных, но язык свой они сохранили. Это соображение мы считаем неубедительным. Мы знаем из истории не один случай покорения одного народа другим и всюду мы встречаем совершенно иную картину. Взять хотя бы норманнов в Европе. После покорения части французской территории они весьма быстро усвоили французский язык. Уже офранцузенные они покорили Англию. Здесь (правда, спустя некоторое время) они забыли французский язык и усвоили английский язык. Действительно, понятно, что для покорителей гораздо большее значение имело сохранение своего обособленного общественного положения (это обыкновенно достигается запрещением соответствующих браков «мезальянс»), чем сохранение языка. Сохранение своего языка и своей культуры для индоевропейцев было делом тем более трудным, если и вовсе невозможным, что племена, якобы покоренные, находились на несравненно более высоком культурном уровне (ведь пришлые племена усвоили местную письменность).

Далее: необходимо уяснить условия самого покорения. Это весьма серьезный вопрос. Если индоевропейцы были так малочислены, то как они добились покорения местного насе-

ления? Проф. Грозный отвечает: покорители в отношении военной техники стояли на более высокой степени развития. Это также несубедительно. Мы с достаточной точностью знаем, что в указанную эпоху Передняя Азия стояла на несравненно более высокой степени развития производительных сил (а стало быть, и военной техники), нежели те страны, откуда проф. Грозный и его единомышленники выводят индоевропейцев (т. е. Восточная Европа, от которой тогда по уровню своего развития не отличалась и Западная Европа). В этом отношении бесспорные факты представляет нам археология, и это считается общепризнанным.

Затем совершенно неубедительно то, что индоевропейцы в продолжение почти двух тысячелетий господствовали в Малой Азии, Северной Сирии и Месопотамии, сохранили в продолжение этого времени свой язык, создали на этом языке обширнейшую письменность и после этого вдруг совершенно исчезли (проф. Грозный заявил, что никаких следов этого населения в языке и культуре их преемников еще не обнаружено). Такие явления совершенно бесследного исчезновения народов в истории неизвестны. Следы древнейшего населения видны и сейчас, в частности, в топонимике Передней Азии, но эти следы нисколько не носят индоевропейского характера. Явно неиндоевропейский характер носит также большинство «хеттских» имен царей и богов второй (по теории проф. Грозного, индоевропейского происхождения) формации: Тутхалия, Хаттушиль (или Хаттусиль), Путухепа, Тархунд (интересно, что еще для 9-го столетия в Грузии установлено наличие имени «Тархуджи» — თარხუჯი, что, видимо, то же самое), Тешуб, Сандон, Апулунас (если такой бог действительно существовал там), Рутас и др.

Наше внимание привлекает то обстоятельство, что, по утверждению проф. Грозного, эти индоевропейцы именовали себя незитами, а язык свой — «хаттили», т. е. названием древнего неиндоевропейского языка. Каким образом случилось, что новый, сохранившийся в продолжение многих веков в своей структуре индоевропейский язык получил название древнего местного языка?

Эти противоречия и шаткость выводов проф. Грозного — с одной стороны, результат формалистического характера его

метода исследования, а с другой стороны, и того обстоятельства, что западноевропейские специалисты не могут в достаточной степени оценить или не хотят считаться с значением тех языков, которые проф. Грозный и другие недифференцировано называют «кавказскими». По нашему убеждению, без основательного знания этих языков, — в первую очередь, языкового, археологического и этнографического материала картвельских племен, — невозможно в полной мере уяснить действительную природу языков и культуры Передней Азии, а стало быть, и хеттов. В специальной литературе уже имеются определенные доводы в пользу выдвинутых нами положений. В готовящихся в настоящее время трудах наших местных научных работников будет представлен более обширный и убедительный материал в подтверждение того, что эти племена пришли на Кавказ с юга, что они имеют непосредственную связь с древнейшим населением Передней Азии. Именно поэтому особенное внимание многих ориенталистов уделяется картвельским языкам, древнейшей культуре картвельских племен.

Особенное значение имеет и то обстоятельство, что памятники грузинской письменности восходят уже к IV, V векам нашей эры, и при их помощи мы можем установить закономерность развития грузинского языка, проследить за тенденциями его эволюции и сделать определенные выводы в отношении не только исторического периода, но и эпохи, предшествовавшей писанной истории. К сожалению, мы лишены здесь возможности представить нашу точку зрения в более развернутом виде и в желательной для нас полноте. Отметим лишь несколько фактов.

Научное изучение грузинского алфавита показало, что он, вероятно, был усвоен в Малой Азии не позднее VII века до нашей эры (см. проф. И. Джавахишвили, «Грузинская палеография»). Это — весьма серьезный довод в пользу того положения, что в это время картвельские племена еще населяли Малую Азию. Если истоки современного грузинского алфавита мы должны искать в соседстве с источниками письма семитов, то в этом случае особый интерес вызывают названия наших букв.

Например: название второй буквы „дѳбѳ“ (бани), может быть, является совпадающим по значению с семитическим на

именованием этой же буквы «бет». Семитическое «бет» означает «дом» так же, как в грузинском «бани» (отсюда «да-бани» ღა-ბანი, более позднее «даба», имеющее значение деревни). Однако, алфавитная письменность могла появиться лишь на определенной ступени развития, до которой населявшие Переднюю Азию грузинские племена должны были пользоваться иероглифической или клинописной письменностью. В этом отношении особый интерес вызывает грузинский термин წერა «цера» (писать); этот термин первоначально означал «резать», «вырезать» (рубить). Отсюда происходит წერაკვი — «церакви» (кирка), т. е. инструмент для резки камня. Термин «цера» имеет еще значение «пахать» (резать землю, рубить) и отсюда — წერეული «цереули» «собранные и связанные снопы» (см. словарь Судхана Сабя). Далее საწერელი «сацерели», т. е. «разъедающий», «режущий» — один из видов заболевания пальцев и т. д.

Изложенную этимологию термина «цера» — «писать» подтверждает происхождение другого, связанного с процессом письма, важного термина „წერტილი“ «цертили» (точка), происходящего от глагола წერტა «церта». Ведь и термин «церта» означает «уколоть», «вырубить», «надрезать». Таким образом, эти оба термина относятся к той эпохе, когда процесс писания происходил на каком-нибудь твердом материале (на камне, глиняной доске, металле) путем резки, вырезывания.

Мы предполагаем, что картвельские племена принесли в Закавказье со своей древней родины не только эти термины, но и соответствующую письменность. Например, если присмотреться к сванским клеймам, собранным молодым этнографом Рус. Харадзе, мы должны признать, что здесь имеются признаки именно клинообразной письменности, хотя и утратившей свою первоначальную функцию, но вполне сохранившей свои внешние формы. По наблюдению доцента Г. Читая в связи с иероглифическим письмом должно быть находятся и весьма любопытные знаки родовой собственности в Аджарии.

Прямая связь картвельских племен с древнейшим населением Передней Азии видна во многих областях. В сфере социальных отношений наше внимание привлекает, например, древнейший термин „ძობა“ — «мона» (раб). Обыкновенно его считают термином иранского происхождения. Однако, никто

еще не показал, как иранское слово «машина» (шапуа) превратилось в грузинское «мона». То обстоятельство, что племенам, жившим гораздо ближе к Ирану, нежели картвельские племена, например, армянам, этот термин совершенно неизвестен, категорически отвергает иранское происхождение этого термина. Наряду с этим мы имеем сообщение Страбона, что на острове Крите общественный строй, находившийся в рабском состоянии, носил название «мноа». Весьма характерно, что этот термин сохранился только в этих двух странах; этот факт бесспорно указывает на то, что здесь мы имеем дело с внутренне связанными частями одной и той же эпохи и общества. Картвельские племена с населением острова Крита связаны помимо этого еще многими нитями.

В области религии мы замечаем аналогичное явление. Древнейший хеттский бог грозы называется «Таро», что бесспорно сохранено в грузинском «Тароси» (погода). В их представлении ведь погода зависела от бога грозы. Особенным распространением пользовался культ луны, как среди картвельских племен, так равно и в Малой Азии и в Месопотамии. Название древнейшей богини Передней Азии «Нана», «Нини», «Инана» сохранено в наименовании древнегрузинского идола «Азинина», а в последующее время оно превратилось в национальное (женское) имя «Нана», «Нина». Имеется еще ряд других фактов, на которых мы сейчас не останавливаемся.

Весьма знаменательные факты мы можем почерпнуть из искусства и архитектуры. В науке считается установленным, что центром искусной обработки скалы, устройства в ней жилых помещений, могильников и др. является страна хиттов. Отсюда это искусство переходит в страну ванских халдов (Урарту). Подлинными представителями того же самого искусства являются замечательные грузинские памятники Уплис-Цихе, Вардзиа и др. Недаром сохранили картвельские племена термин «дсракви» (кирка), более всего необходимого в данном случае инструмента в его древнейшей форме.

Такая обработка скалы подразумевает наличие развитой металлургии. Общеизвестно, что картвельские племена и их предки считались наилучшими металлургами. Совсем недавно выяснилось чрезвычайно интересное обстоятельство: замечатель-

ная бронзовая культура, которая раньше именовалась «кобанской культурой», в действительности оказалась собственной культурой Западной Грузии, Колхиды, и она распространялась вплоть до Малой Азии. И здесь совершенно бесспорными становятся связь и преемственность. Весьма знаменательно и то обстоятельство, что все богатые рудники и, соответственно, шахты Передней Азии находились именно на территории хеттов.

В древнейших памятниках грузинской археологии и народного творчества мы видим мотивы, показывающие теснейшую связь с Передней Азией, в частности с хеттским искусством. Таковы, например, некоторые виды грузинского орнамента. Помимо того, иногда всплывают совершенно неожиданные факты родства и преемственности. Например, главнейшая богиня хеттов и ее сын обычно изображены стоящими на тигре. Мы думаем, что на основе этой традиции возник замечательный образ Руставели, столь необычный для мировой поэзии: тигр и его шкура, которые для Тариела являются «образом» его возлюбленной, а она в свою очередь для поэта, также является частью «бога»-солнца.

Если обратиться к истории Передней Азии, мы сможем обнаружить доводы, подтверждающие наше мнение, несмотря на то, что в этой области проделана еще мало. Вся территория Передней Азии в древнейший период была населена теми народами, которые не имеют никакой связи ни с индоевропейцами, ни с семитами, ни с турецко-монгольскими племенами. Особенно значительными народами Передней Азии в этот древнейший период являются сумеры, хатты или хетты, митанни, халды-урарту (Ванского царства). Именно эти народы создали древнейший культурный очаг человечества. Например, сумеры создали впервые в истории клинописную письменность, которая в дальнейшем была усвоена вавилонянами. Особо важную роль сыграли хатты, халбы и другие в развитии и обработке металлов. Здесь же впервые становятся домашними известные культурные растения и пр. В последующее время эти народы как-будто исчезают. Но исчезают ли они бесследно? Конечно, нет. Под напором других племен они меняют свою территорию и создают новые очаги. С самых южных районов они продвигаются к Малой Азии и Месопотамии, отсюда — к южным бе-

регам Черного моря и к руй-нам Ванского озера и, наконец, к нынешнему Закавказью.

История племенных названий в этом отношении содержит весьма богатые материалы. Вероятно, существует какая-то связь между собственными именами хеттов, халдов и халибов. Древнегреческие писатели определенно заявляют, что халды раньше назывались халибами. Далее интересно отметить, что халды населяли не только южный берег Черного моря, но и берега Ванского озера. Усно, что они должны быть двумя ветвями одного и того же народа. В равной степени интересна история табалов: они уже в XI веке до нашей эры упоминаются в ассирийских надписях. Безусловно они являются тибаранами позднейших времен, переселившимися на южный берег Черного моря. Такой же интерес представляют упоминаемые в ассирийских надписях имена мусков и касков. Муски — это позднейшие мосхи или месхи, а каски — колхи, как это было уже отмечено проф. Н. Джавахишвили. В дальнейшем мы отметим весьма интересный факт: большинство из этих наименований представлено на внешней территории Грузии. История месхов и колхов всем известна. Весьма вероятна связь иберов с тибаранами и тубал-табалами. В равной степени вероятно, что термин «картвел» связан с термином «халд» и посредством этого термина с древнейшими терминами Передней Азии этого же корня. Здесь необходимо вспомнить древнейший грузинский термин «хати». Хевсуры в самом недавнем прошлом пользовались этим термином для обозначения понятия «божества», «идола», даже «креста». Этот термин, должно быть, связан с именем главного божества населения Урарту «халд».

Усно, что все это принесено картвельскими племенами со своей древнейшей родины, где они, с своей стороны, оставили свои следы. Проф. Грозный во время беседы в Грузинском филиале Академии наук СССР, между прочим, отметил, что одно из озер Малой Азии, ныне носящее турецкое название Аджи-гел в древности называлось «Тобада». Проф. А. Шанидзе справедливо объяснил, что термин «Тобада» содержит в себе мегрело-картвельское слово «Тоба», что означает озеро.

Помимо этого, мы имеем в грузинских названиях мест и населенных пунктов различные окончания, которые и по сей

день повторяют окончания географических названий стран Малой Азии, например, Тбилиси — Битлис(и), Халде (Сванетия) — Халдия (южный берег Черного моря) и т. д.

Проф. Грозный, вместе с другими ориенталистами Западной Европы, выполняют серьезное дело собирания и публикации многочисленных фактов из истории культуры древнейшего населения Передней Азии: шумеров, хеттов, митанни, халдов и др. Но, как видим, их обобщения и выводы, в большинстве своем, неубедительны. Объяснение этих фактов, научное освещение языка, культуры и вообще исторического прошлого древнейшего населения Передней Азии, и в частности — Малой Азии, невозможно без изучения истории культуры картвельских племен, без изучения грузинского, мегрело-лазского и сванского языков.

ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის წინასიტყვაობა

ქართველურ resp. კავკასიურ ენათა ფონეტიკური შესწავლა, რასაც ესოდენ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხების გადაწყვეტისათვის, რომლებიც წამოიჭრა ჩვენი ენებისა და ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ენათა უძველესი ნათესაობის მიკვლევასთან დაკავშირებით, ძნელდება იმ გარემოებითაც, რომ მკვლევარს უხდება გადასინჯოს არა ერთი ასეული გამოცემა (ჟურნალები, წიგნები) სხვადასხვა ენაზე იმისათვის, რომ გაიგოს — არსებობს თუ არა რაიმე ნაშრომი მისთვის საინტერესო საკითხის შესახებ; ამასთანავე ძალიან ხშირად ზოგიერთი ნაშრომი ხელმეორედ მოიხილია — ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა — და ან სრულიად არ მოიპოვება ადგილობრივ ბიბლიოთეკებში.

ჩვენი ენების ფონეტიკურ საკითხებზე ნაშრომები არც ისე ბევრია, მაგრამ გაბნეულია სხვადასხვა გამოცემებში და სხვადასხვა ენაზე. ამიტომ აკად. ნ. მარის სახელ. ინსტიტუტის ფონეტიკურმა კაბინეტმა წამოიწყო და შეიტანა თავის გეგმაში კავკასიურ ენათა ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენა — პირველ რიგში ქართველური ენებისა.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ როგორი დახმარების გაწევა შეუძლია, თქმულის გამო, ამ გამოცემას მკვლევრისათვის, მეტადრე — ახალგაზრდისათვის.

„ბიბლიოგრაფიის“ შემდგენლები ცდილობდნენ შეედგინათ ანოტაციები ჩვეულებრივზე უფრო სრული: ამათუიმ ნაშრომის ძირითად დებულებათა გარდა ანოტაციაში მითითებულია კვლევის მეთოდი და მოცემულია ფაქტიური მასალა. იშვიათ ან ნაკლებად ხელმისაწვდომ გამოცემათა ანოტაციები შედგენილია კიდევ უფრო მეტი სისრულით.

ანოტაციები დალაგებულია ნაშრომთა ავტორების გვარებზე — ქართული ანბანის რიგზე¹. თითოეული ანოტაცია მოყვანილია

¹ ქართული ანბანის რიგი (ინსტიტუტის მიერ მიღებულ ტრანსკრიფციითურთ): ა — a, ბ — b, გ — g, დ — d, ე — e, ვ — v, ზ — z, თ — t, ი — i, კ — k, ლ — l, მ — m, ნ — n, ა — j, ო — o, პ — p, უ — u, რ — r, ს — s, ტ — t, უ — u, ვ — y, ფ — p, ქ — k, ღ — γ, ყ — g, შ — sh, ჩ — ch, ც — c, ძ — dz, წ — ch, ჳ — x, ჳ — y, ჳ — z, ჳ — o, ჳ — f, ჳ — a, ჳ — ' , ჳ — w.

ქართ. და რუს. ენაზე ერთი და იმავე ნომრით; ანოტირებული ნაშრომის სათაური ორივე ნაწილში იმ ენაზეა, რომელზეც დაწერილია ნაშრომი. ცარილები ზოთავსებულია მხოლოდ ქართულ ნაწილში, ხოლო რუსულში მითითებულია მასზე.

დამატებებში მოთავსდა იმ ნაშრომთა ანოტაციები, რაც გამოქვეყნდა ამ წიგნის ბეჭდვის პროცესში და ან გამოგვრჩა შემთხვევით.

„ტერმინთა საძიებელი“ ორთავე ენაზე გააცნობს მკითხველს, თუ რა საკითხებია გახილული ანოტირებულ შრომებში.

„ბიბლიოგრაფია“ შეადგინეს: გ. ახვლედიანმა, ს. ჟღენტმა და (რამდენიმე ანოტაცია) ვ. ფანჩიძემ — პირველის რედაქციით.

ПРЕДИСЛОВИЕ

Фонетическое изучение картвельских геср. кавказских языков, имеющее столь существенное значение для разрешения вопросов, возникающих в связи с выявлением неоспоримого родства наших языков с культурными языками Древнего Востока, затрудняется и тем обстоятельством, что исследователю приходится перебрать не одну сотню изданий (журналов и книг) на разных языках, чтобы узнать — существует ли какая-нибудь работа по интересующему его вопросу; к тому же очень часто некоторые издания недоступны, они составляют библиографическую редкость или же их вовсе нет в местных библиотеках. Работ по фонетическим вопросам наших языков, правда, не так уж много, но они разбросаны в разных изданиях и на разных языках.

Поэтому Кабинет фонетики Ин-та им. акад. Н. Я. Марра предпринял и включил в свой план составление и издание *аннотированной библиографии* фонетической литературы по кавказ. языкам, в первую очередь — по картвельским. Излишне говорить о том, какую помощь может оказать, ввиду сказанного, это издание исследователю, в особенности, молодому.

Составители „Библиографии“ старались аннотировать работы полнее обычного: кроме основных положений данной работы, указывается метод исследования и приводится фактический материал. Аннотации редких или же малодоступных изданий даются еще полнее.

Аннотации расположены по авторам работ — в порядке грузинского алфавита¹.

განესაზღვროთ უფრო დაწვრილებით ეს ცნებები, დავიწყეთ მართლწერიდან. რა არის იგი? მართლწერა ანუ ორთოგრაფია არის საეაღდებულო დაწერილობა სიტყვისა, ან პროფ. ნ. დურნოვოს სიტყვით რომ ვთქვათ, „система правил, устанавливающих единообразные способы передачи речи в звуковом письме“ (Литературная энциклопедия, s. v.). ორთოგრაფია არის შედეგი მისწრაფებისა, ერთი მხრით, დაცულ იქნეს კავშირი ძველს, წინანდელ დაწერილობასთან და ამის საშუალებით წინა თაობათა კულტურულ მემკვიდრეობასთანაც (განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატულია ეს მომენტი ინგლისურ, ფრანგულ ორთოგრაფიებში), მეორე მხრით, განხორციელებულ იქნეს კავშირი ეთნიკურ-კულტურული კოლექტივის იმ წევრთა შორის, რომელნიც ტერიტორიულად და მეტყველების ნიუანსებით (დიალექტურად) არიან ერთმანეთს მეტ-ნაკლებად დაშორებულნი; მაგ., ძველი სომხური ორთოგრაფია გრაფიკული გზით ახორციელებდა კავშირს აღმოსავლეთისა და დასავლეთის სომხებს შორის, რომელნიც მეტყველების მხრით საგრძობლად დაშორებულნი არიან ერთმანეთს. ეს ორთოგრაფია, შექმნილი ძველის ცოცხალი გამოთქმის ნიადაგზე, იმავე დროს პირობითად ჰფარავდა ორსავე ახალ დიალექტსაც (ერთი და იგივე ასო, მაგ., ძელია მკვეთრისათვის და ახალის, ერთი მხრით, ხშულისათვის, ხოლო, მეორე მხრით, მშვინავისათვის). ასეთი მომენტი ყველა ორთოგრაფიაშია მეტ-ნაკლებად მოცემული. ორთოგრაფიის მიზანია, ვიმეორებთ, გააბას რაც შეიძლება მკიდრო და რაც შეიძლება შორეული (წინა და თანამედროვე თაობათა, ერთი მხრით, თანამედროვე თაობის სხვადასხვა ჯგუფებს, მეორე მხრით, შორის) კავშირები დროსა და სივრცეში. ასეთივე გაგება ორთოგრაფიისა მოცემულია იმ პროექტში, რომელიც რუსული მართლწერის რეფორმისათვის წარმოდგენილია რუსეთის განათლების სახ. კომისარიატის სამეცნ. დაწესებულებათა მთავარმმართველობის ნიერ (Проект Главнауки о новом правописании, Сборник, 1930)-გ. შამონოვი, მაგ., აქ წერს: „Стремление создать систему правил, устанавливающих единообразные способы передачи слова на письме, появляется вследствие общественно осознанной необходимости сохранить связь с тем, что написано раньше, и сделать

письменные произведения принятыми значительным массам людей: ведь язык постоянно меняется, да и в пределах всей территории своего распространения он не является совершенно тождественным, а орфография по самой своей природе вынуждена сохранять старое, уже не совсем соответствующее произношению написание. Вот эта то необходимость писать не так, как слышится, а так, как писали раньше или пишут в главном городе, в столице, и вызывает потребность установить правила, закрепляющие создавшийся обычай“ (Ор. с., 13). გ. დანილოვიც ამბობს: „Многие думают, что последняя (ორთოგრაფიის რეფორმა) должна избавить учащихся от мук усвоения правильного письма, что ею будет снята проблема обучения орфографии и пунктуации, что рационализация письма устранит препятствия и в обучении языку, как таковому. Такие взгляды вытекают из непонимания самой природы орфографии, всегда в известной мере условной, представляющей вчерашний день в диалектическом развитии языка“ (ib., 10—11).

ზოგჯერ ხდება, რომ ანბანის შედგენილობა და სალიტ. ენის ფონემების რაოდენობა არ შეეფარდებიან ერთმანეთს, მაგ. პირველი უფრო ღარიბია. ამ შემთხვევაში შეიძლება დაისვას ანბანის რეფორმის საკითხი. მაგრამ მართლწერის საკითხი მწვავედება იქ, სადაც ახალი, ცოცხალი მეტყველება (გამოთქმა) მნიშვნელოვნად შორდება ძველს, ჰკვდარს და ძასთან ერთად ამ უკანასკნელის გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც იმავე დროს მოწოდებულია, ტრადიციის ძალით, ახალიც გადმოსცეს. ფრანგი იმიტომ კი არ წერს femme, რომ მას ცოცხალი სიტყვის ფონემების გამოსახატავად სათანადო ნიშნები არ მოეპოვება, არამედ იმიტომ, რომ ძველი დაწერილობის ტრადიციას იცავს და ამრიგად კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას ცდილობს¹. ამ ნიადაგზე ისძის და შეიძლება დაისვას ორთოგრაფიის (და შრიფტის, ანბანის) საკითხი თანამედროვე კულტურულ ქვეყნებში, სადაც ეს საკითხი ორთოგრაფიის რეფორმის საკითხად იქცევა, რომლის მიზანია ხოლმე დაწერილობის ლიტერატურულ გამოთქმასთან

¹ ამ მოკლენის ანალოგიურ გაგებას ვხედავთ იმავე „პროექტში“, სადაც შენიშნულია ი-ს მაგიერ i-ს შემოღების წინადადების გამო: „Предложение не относится собственно к орфографии, т.е. уменью писать ту или иную букву на своем месте, а касается начертания буквы“... (50).

დააალოება (იქვე „პროექტი“ რუს. ორთოგრაფიის რეფორმის საფუძვლად უღებს „фонетический и морфологический принцип в их органической связи с неизбежным уклоном в сторону фонетики, посредством приближения письма к действительно общим установившимся нормам русского литературного произношения“... 25. ან კიდევ: „Основная цель реформы — приблизить наше правописание, упрощенное, упорядоченное и освобожденное от так называемых „искажений“, к общим нормам русского литературного произношения“, ib. 7).

როგორ დვას ქართული ორთოგრაფიის საკითხი, ან არსებობს საზოგადოდ ეს საკითხი თუ არა? გადაქრით უნდა ითქვას, რომ სალიტერატურო ენის ნორმების დადგენა არ გულისხმობს მართლწერის სადაო საკითხების გადაქრასაც. პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს მორფოლოგიურსა და სინტაქსურ ფორმებთან, ჩგორე შემთხვევაში — ფონეტიკისა და გრაფიკის ურთიერთობასთან. შეიძლება ჩვენ ესა თუ ის ფორმა ავირჩიოთ საცილობელთა შორის. მაგრამ ამით ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ იქნება მისი სავალდებულო გრაფიკული გამოსახულების საკითხი. შეიძლება, მაგ., დადებითად გადაწყდეს *О*-ს პრობლემა, მაგრამ შენდეგ წარმოიშვას ორთოგრაფიული საკითხი: მიეცეს თუ არა გრაფიკაში გამოხატულება იმ ფაქტს, რომ ამ პრეფიქსის ერთი სახე, ს., ცოცხალ გამოთქმაში, გარკვეული ფონეტიკური პირობების გამო მკლერდება (მაგ., „ზღგენ“, როგორც ეს ნახმარი აქვს დ. გურამიშვილს, გვ. 30). ორთოგრაფიისა და სალიტერ. ენის ნორმების საკითხები სულ სხედასხვა ხასიათისა და მნიშვნელობისანი არიან და მათი გათიწვა აუცილებელია. სანიმუშოდ: 1) სღგამენ || დგამენ || სღგმენ || დგმენ — ამ ოთხი პარალელური ფორმიდან ერთის შერჩევის საკითხი განეკუთვნება სალიტერატურო ენის ნორმების სფეროს, 2) ორთოგრაფიული საკითხი იქნება: სღგამენ თუ ზღგამენ, სღგმენ თუ ზღგმენ? ერთ შემთხვევაში ფორმები უპირისპირდებიან ერთმანეთს, მეორე შემთხვევაში — გამოთქმა და გრაფიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ ორთოგრაფიული საკითხები ჩვეულებრივად წყდება არა საზოგადოდ ცოცხალ მეტყველებაზე, არამედ ლიტერ. მეტყველების თავის ადგილას აღნიშნულ ელემენტზე, ლიტერატურულ გამოთქმაზე შემოწმებით. მაგრამ თუნდაც ჩვენ შევძლოთ ქართ. ლიტერ. გამოთქმის დადგენა, ჩვენ კიდევ ბევრი რან დაგვიშლის ხელს ეს ლიტერ. გამოთქმა გრაფიკულად გამო-

ვსახოთ. ავიღოთ მაგალითები: ცოცხალ გამოთქმაში, რომელ წრესაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, მიმართულებითი ბრ-ის ფორმანტი თუ მთლად -თ არ არის, უფრო მათ უსალოულება, ვიდრე -დ¹, და ამ გარემოებამ, როგორც ცნობილია, დიდი ხანია მწერლობაშიც იჩინა თავი. მიუხედავად ამისა, ჩვენ შესაძლოა გრაფიკაში ღონა ნიესცეთ უპირატესობა (ისე, როგორც დღემდე ეს უპირატესობა აღიარებულია ყველაზე ავტორიტეტულ პირთა და ორგანოების მიერ). -ებ-იანი და -ობ-იანი ზნების აწმყოა მხ. რ. I და II პირში ბოლოში, ცოცხალ გამოთქმაში, ზოგჯერ უფრო ფისის, ვიდრე ბ (ბ, მაგ., სიტყვაში „ბიკი“) და ეს გარემოებაც მწერლობაში იჩენს თავს: „ვერინოფ“, „სჯავროფ“¹, „დავისვენეთ“ (ქართული ნწერალი ქალის კერძო წერილიდან), მაგრამ წერაში, რა თქმა უნდა, ჩვენ ბანს დავაკანონებთ. განა, როცა ვამბობთ: „გაცე“, ჩვენ აქ გ-ს ისე გამოვთქვამთ, როგორც, ვთქვათ, „გორგი“-ნი? არამც თუ არა, არამედ შესაძლოა იგი ცოცხალ გამოთქმაში სრულიადაც არ არსებობდეს. უძველესი დროიდან ნაყოლებული „გ“ „უ“-ს წინ იკარგება ქართულში, მაშინაც კი, როცა იგი მორფოლოგიურ ფუნქციას ასრულებს (ხმის პრეფიქსია). განოთქმაში, თქმა არ უნდა, ეს ყოველთვის ასე დარჩება, მაგრამ წერაში შესაძლებელია მისი გამოაახვა ჩვენ საკიროდ ნიკინით (ფუჟრებ, ფუღენი..), თუ მორფოლოგიურ პრინციპს დავეყრდნობით. წერა ყოველთვის დაშორებული იქნება გამოთქმას ანა მარტო იმ ახრით, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფონეტიკური წერა პრაქტიკულად გამოუყენებელია. ჩვენ გვაქვს ზოგიერთი მტკიცე დაწერილობანი, რომელნიც ცილობის გარეშე არაან, მაგრამ რომელიც ცოცხალ განოთქმაზე ილიერ შორს დგანან. ვწერთ: კარგი, გპაღლობთ, გვაქვს, სახლში, ცეცხლს, ხელმწიფე, სახელმწიფო, ჯანმრთელობა, მკვერმეტყველება, მაგრამ განათლებული ქართველი, წარმოშობით ამერელი, მიაბლოებით ანბობს: კარკი, მაღლობთ, გვაქ, სახში, ხემწიფე, სახემწიფო (ეს ფორმა მწერლობაშიც შეიძლება შეგვხვდეს: ნ. გორგიჯანიძე), ჯამთელობა. პროფ. გ. ახვლედიანის დაკვირვებით, ცოცხალ გამოთქმაში „წიგნი“ ისინი უფრო „წინგი“ (განსაკუთრებით ირიბ ბრუნვებში). ამ დაკვირვებას საუცხოოდ ადასტურებს ფ. გორგიჯანიძე, რომელიც სისტემურად წერს: „წინგნი“ (უფრო ხშირად), „წინგი“ (იშვიათად). როგორღა უნდა იყოს დაყენებული ორთოგრაფიის საკითხი ჩვენში, თუ რომ იგი, როგორც ვნახეთ, ლიტე-

¹ ფ. გორგიჯანიძე: იაკოფ (19), შვადრ. გვარი იაკოფაშვილი.

რატურულ-ენობრივი ფორმების პრობლემაზე დამოუკიდებელია? ¹ ფიქრობენ (სპეციალურ ლიტერატურაშიც შეხედება კაცი ასეთ აზრს), რომ ქართ. მართლწერის წესების დადგენა, თუ კი სათანადო საკითხები მოიძებნება, მეტად ადვილი საქმეა, და რომ ეს სიადვილე ქართული ანბანის სრულყოფილობისაგან გამომდინარეობს. ორთოგრაფიის საკითხი ჩვენში, რა თქმა უნდა, ისე მწვევედ არა დგას, როგორც ვთქვათ, ინგლისურში ან სხვ., მაგრამ არა აღნიშნული მიზეზის გამო. ქართული ანბანის სრულყოფილობა უაღრესად მნიშვნელოვანი და მაჩვენებელი მოვლენაა. ამ ფაქტის როლი ქართული წერისათვის აგრეთვე დიდია. მაგრამ ქართ. ორთოგრაფიის საკითხისათვის ყველაზე მნიშვნელოვან პირობას ქართ. ფონემების კონსერვატული, არაჩვეულებრივად მტკიცე (რამდენადაც ეს ძირითად კილოებშია გამოხატული) ხასიათი წარმოადგენს, რაც საშუალებას გვაძლევს, თუ კი სურვილი გვექნება, ტრადიციულ დაწერილობასთან კავშირი დავიცვათ. ორთოგრაფიის პრობლემის უმთავრეს (არა ერთადერთს, ნ. ზემოთ) მომენტს სწორედ ამ კავშირის დაცვის საკითხი შეადგენს. ვიმეორებთ, ინგლისელს იმიტომ კი არ უჭირს თავისი ორთოგრაფიის რეფორმა, რომ მას გრაფიკული ნიშნები არ ჰყოფნის (ახალი ნიშნების შემოღებაზე ადვილი რა იქნებოდა!), არამედ იმიტომ, რომ მას ტრადიციასთან კავშირის გაწყვეტა ეძნელება.

ქართ. ანბანის სრულქნილობის ფაქტი ჰბადებს კიდევ უფრო მცთარ და მანე შეხედულებას, თითქოს საზოგადოდ ქართ. ორთოგრაფიის საკითხი არ არსებობდეს. მართალია, ჩვენ გვაქვს მთელი რიგი გაბატონებული დაწერილობანი, მაგრამ მთლიანად, სავალდებულო ერთსახოვან დაწერილობათა სისტემა, რაც მაღალხარისხოვან საზოგადოებრივ საკიროებას წარმოადგენს, ჩვენ დღეს აღარ მოგვეპოვება, და სწორედ ის უნდა ვეძიოთ. ქართ. ორთოგრაფიის პრობლემა მას შემდეგაც განაგრძობს არსებობას, რაც მე-19 ს-ის 70 იან წლებში ჩვენში საბოლოოდ გადაეარდა ხმარებიდან ე. წ. „ზედმეტი ასოები“ (ეს არ იყო ილ. კავკავაძის ერთპიროვნული აქტი. საზოგადოდ მოხსენებული ამბავი სულ სხვაგვარად უნდა შევაფასოთ, ვიდრე მიღებულა). ქართ. ორთოგრა-

¹ ევროპული ენების ორთოგრაფ. საკითხების სინამდვილეზე მაინც შეიძლება მართებული აზრის შედგენა. ფრანგული, მაგ., შესანიშნავად ჩამოკეთილი და ჩამოსხმული ლიტერატ. ენაა, მაგრამ ორთოგრაფიის საკითხი იქ მეტად მწვევედ დგას.

ფიის პრობლემის მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ აქ ჩვენ რეფორმაზე კი არ გვიხდება მუშაობა, არამედ ორთოგრაფიის დადგენაზე. თვით დასადგენ ორთოგრაფ. ნორმათა არსებობა ყოველ ექვს გარეშეა და არა ერთგზის ყოფილა, წინათაც და ჩვენს დროშიც, მწვავე დისკუსიების საგანი, რომელთა მიმდინარეობაში მთელი მიმართულებანიც კი იჩენდნენ ჩვენში თავს (მაგ. ქუთათური სკოლა). ასეთი გადასაწყვეტი ორთოგრაფ. საკითხებია, სანიმუშოდ: 1) მიწართ. ბრ. ფორმანტის დაწერილობა (დ თუ თ), 2) უმარცვლო უ-ს გადმოცემა (უ თუ ვ): საშვალაი თუ საშუალაი, საშვალეა თუ საშუალეა..., მაგ. ვწერთ: გოგუაძე, თუმც გამოთქმაში უ უნარცვლოა; მწერლობაში ასეთ დაწერილობათა აღრევა საკმაოდ ხშირია; იგივე ფ. გორგიჯანიძე სისტემურად წერს ვინს იქ, სადაც ჩვენ უნს დავწერდით: (მოვრავის 21, 22, ლვარსაბ 22..., მოტყვებული 22; შვალანე 23; გვხვდება: ვეჰველათ, სასწავლი და საე.)¹, 3) ზმნისართების დაწერილობა (ზემოთ, ქვემოთ, გარეთ... თუ: ზემოდ, გარედ..., აქეთ, იქეთ თუ აქით, იქით და მრავ. სხვ. უკანასკნელს ორთოგრაფიულ საკითხად იმიტომ ვთვლით, რომ ხმოვნის გამოთქმა გარკვეული გვგონია), 4) უფორმო ნაწილაკების და სიტყვების წინამავალ სიტყვასთან შეერთების საკითხი (ერთად, დეფისით თუ ცალკე: -ვე, -მე, -ც, -კი და მრავ. სხვა), 5) კომპოზიტების დაწერილობა (და-მმა || დაძმა, ან-არა-და || ანარადა || ანარადა. არა-ადამიანური || არაადამიანური და სხვ.), 6) ასიმილაციის ფაქტების გადმოცემის საკითხი ცალკეულ შემთხვევებში (მსგავსი || მზგავსი, სკამენ || შკამენ, სდგამენ || სდგმენ || ზდგმენ, სჯული || შჯული, ერთგული || ერდგული, მოსდევს || მოზდევს, ქეითკირი || ქეიტკირი, მიღწევა || მიხწევა, „მოგაკვიდი || მოგაკვიტი“ და სხვ.), 7) ცალკეული სიტყვების დაწერილობა (ტფილისი || თბილისი || თფილისი, ლეთის || ხეთის (უკანასკნელი ფორმა თითქმის გაბატონებულია ცოცხალ მეტყველებაში და მწერლობაშიც გვხვდება)..., 8) უცხოური სიტყვების გადმოცემა (ტენიკა || ტენიკა, აკტი || აქტი, რევოლიუცია || რევოლუცია, პოლიუსი || პოლუსი, ლიუბა || ლუბა...) და მრავ. სხვა.

ს. ხუნდაძის ე. წ. „კეთილზმოვანების პრინციპი“ უმეტესად სწორედ ორთოგრაფიის საკითხებს ეხებოდა (მოხდა || მოხთა...)... აქვე უნდა მივაკუთვნოთ დამარცვლისა და პუნქტუაციის

¹ „საშვალაი“-ს დაწერილობის საკითხი, სხვათა შორის, წამოყენებული იყო კომისიაში არნ. ჩიქობავას მიერ.

საკითხები (რომელნიც არსებითად ორთოგრაფიის საკითხები არ არიან). აპობენ, რომ ეს უმნიშვნელო საკითხებია. მაგრამ ყველა ქვეყანაში ორთოგრაფიის საგანს ამ ხასიათის მოვლენები შეადგენენ. მაგ., რუსული ორთოგრაფიის როგორც 1917 წლის რეფორმა. ისე ასალი „პროექტი“ სწორედ ასეთი საკითხების წრეში ტრიალებენ („პროექტ“-ში არის ერთადერთი პუნქტი (8), რომელიც ჩვენი აზრით, ლიტერ.-ენობრივ საკითხს ეხება და არა მართლწერისას: двориша ← дворище, солнушко ← солнышко..., თუმც აქაც შეიძლება მართლაც გაურკვეველ გამოთქმასთან გვეკონდგეს საქმე). საინტერესოა, რომ ყოფილა კიდევაც გამოთქმული აზრი, რომ „сведения единообразного написания во всех этих случаях будет выходить за пределы орфографии и посягает уже на язык, и потому следует писать городишко или городишка, бычище или бычища, смотря по тому, как говорящий скажет это слово: если говорит: „вижу бычищу, вижу городишку“, то писать „бычища, городишка“; если же „вижу городишко, вижу бычище“, то писать „городишко, бычище“ и т. д.“... (გვ. 41).

როგორ უნდა გადაგწყვიტოთ ქართ. ორთოგრაფიული საკითხები? ევროპულ ენებში, ცოცხალი გამოთქმის ცნებაში, ორთოგრაფიის საკითხის წამოყენებისას იგულისხმება მხოლოდ ლიტერ. გამოთქმა, ისიც შემდგომის (მაგ. ტერიტორიულის) შეზღუდვით. ლიტერ. გამოთქმა არის ლიტერ. მეტყველების ნაწილი. როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის ჩვენში დღეს საყოველთაოდ სავალდებულო ნორმები არ არსებობენ. არსებობს მრავალრიცხოვანი წრე ლიტერატურულად განათლებულ პირთა, რომლის ერთი ნაწილი, სხვათა შორის, მწერლობაშიც იღებს მონაწილეობას, მაგრამ ამ წრის მეტყველებას არ ახასიათებს არც ენობრივი ფორმების, არც განოთქმის ერთფეროვანება. ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ არც მწერლობასა და არც მართლწერაში არივ-დარევა არ გვექნებოდა. ამ წრია უდიდესი ნაწილისათვის ლიტერატურული მეტყველება იმავე დროს მშობლიური მეტყველება არ არის. იგი ბავშვობაში კუთხურს, მეტ-ნაკლებად, მეტყველებას ითვისებს და მხოლოდ შემდეგ მწერლობის საშუალებით ისწორებს ამ მეტყველებას, ისწინით სწავლობს სალიტერ. ქართულს. მისი ლიტერ. მეტყველების დასაბამი წიგნშია, დაწერილში. ჩვენ უარესად ვლაპარაკობთ, ვიდრე ვწერთ. ქართველ ინტელიგენტთა გარკვეული ნაწილის მეტყველება ყოველთვის ატარებს პროვინცი-

ულ დაღს, იმიტომ რომ ბავშვობაში შეთვისებული ფორმების აღმოფხვრა წიგნის საშუალებით ადვილი არ არის. მაგრამ თუ ეს ითქმის ფორმების შესახებ, გამოთქმის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ მისი შეთვისება წიგნის საშუალებით უკვე შეუძლებელია. ჩვენი აზრით, დასახელებულ წრეში არსებობს ერთი ფენა, რომლისთვისაც მშობლიური და ლიტერატ. მეტყველება თუ მთლად არ ჰფარავენ, ყოველ შემთხვევაში მნიშვნელოვნად უახლოვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ეს ფენა ამჟამად საკმაოდ ძლიერი არაა და მისი გამოთქმის პრიორიტეტი, ჯერჯერობით საჯაროდ აღიარებული ფაქტი არ არის (ეგულისხმობთ აღმ. საქართველოს ბარის კილოების ნიადაგზე აღმოცენებულ განათლებული წრეების მეტყველებას. აქაური პრონონსი და აქცენტუაცია კლასიკურად, სანიმუშოდ მიგვაჩნია). ამიტომ ქართ. ორთოგრაფიული საკითხების გადაჭრისას ფონეტიკური პრინციპი, რომელიც ლიტერ. გამოთქმას ეყრდნობა, შედარებით მკირე როლს ითამაშებს (თვით რუსულისთვისაც კი, სადაც სულ სხვა მდგომარეობაა, ავტორიტეტული ორგანო ფიქრობს: „правильное произношение — неизвестная величина, только один примерный принцип“ („Проект“, 11). ეს პრინციპი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სრულიად უღაო შემთხვევებში: 1) როცა ფონეტიკური ცვლილება სიტყვის ბგერით შედგენილობაში მეტად თვალსაჩინოა და ძირითად კილოებში (ამის შესახებ — ქვემოთ) სავსებით გაბატონებული, 2) ახალნასესხებ უცხო სიტყვათა დაწერილობის დადგენისას. სხვა შემთხვევებისათვის მთავარი პრინციპები ჩვენთვის იქნება: 1) ტ რ ა დ ი ც ი უ ლ ი — უფრო ხანგრძლივი ისტორიის მქონე დაწერილობის დადასტურება და 2) მ ო რ ფ ო ლ ო გ ი უ რ ი — წერა თანახმად ცოცხალი ასოციაციებისა, რომლებიც მონათესავე სიტყვების სხვადასხვა ფორმას შორის შეიძლება გაიბას (ტანად, ტანადი, ტანადობა; მწევრმეტყველება, ენამწევრი, ტანადმწევრი და სხვ.). ზოგჯერ ეს სახელმძღვანელო დებულებანი ემთხვევიან კიდევაც ერთმანეთს. ორთოგრაფიული საკითხების გადაწყვეტისას უფრო იშვიათად შესაძლოა რაციონალური, უკეთ, პრაქტიკული მოსაზრების გამოყენებაც (მაგ., კომპოზიტების ერთად წერა ეკონომიის მოსაზრებითაც და სივ.).

„რით ვიხელმძღვანელოთ სალიტ. ენის ნორმების დადგენისას?“ უნდა ითქვას, რომ ეს სრულიად თავისებური, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ქართული ამოცანაა. არსად ასეთი ნორმები დადგენილი არ ყოფილა, მხოლოდ დასტურდებოდა გაბატონებული ფორმები. ამა თუ იმ ფორმის გაბატონება ხდებოდა

სტიქიონურად, სტიქიონური შერჩევის გზით. გარკვეულ საფეხურზე ამ სტიქიონურ განვითარებას უსწრებდა უკვე საზოგადოებრივი კონტროლი (სახელმწიფო, სკოლა...), მაგრამ ამის შემდეგ იცვლებოდა თვით ხასიათი ამ ენის ევოლუციისა, მისი ტემპები ნელდებოდა. კონტროლი სახელმწიფოს მხრით ჩვეულებრივად მდგომარეობს გაბატონებული ფორმების დაცვასა და გავრცელებაში. ამასთან ერთად ანგარიშგასაწევია შეგნებული ინდივიდუალური ჩარევის აქტი სალიტ. ენაში, მაგრამ ეს ხდება გარკვეულ პირობებში და მისი შედეგების გამძლეობაც გარკვეული პირობებით არის განსაზღვრული: ეს ჩარევა გარკვეულის, ენობრივად მთლიანის, ჩვეულებრივად დაწინაურებული, განათლებული წრის მეტყველების ნიადაგზე აღმოცენებული ფაქტების შერჩევაში მდგომარეობს (უმეტესად ლექსიკიდან, ზოგჯერ ფორმებიდანაც). მაგრამ ეს ინდივიდუალურად შერჩეული ფაქტები მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებენ, თუ მათ კოლექტივი მიიღებს, ე. ი. ბოლოს და ბოლოს სალიტ. ენის განვითარება არსებითად არ განსხვავდება ჩვეულებრივი ენობრივი ევოლუციისაგან (მსჯელობა ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობა).

თანამედროვე სალიტ. ქართულში ფორმათა ერთსახეობა იმდენად არის დარღვეული, რომ მრავალ შემთხვევაში გაბატონებული ფორმის ჩვენება შეუძლებელი ხდება. ამიტომ აქ ამა თუ იმ რეალური მდგომარეობის დადასტურებისათვის ჩვენ ეგზომ აქტიური „ჩარევა“ მოგვიხდება, როგორც, ვთქვათ, უჩვეულოა ევროპული სალიტ. ენებისათვის, არსებითად ჩვენი ამოცანა ზემოთ ნაჩვენები ხასიათისა რჩება: ჩვენ ვადასტურებთ ერთ-ერთ რეალურ ფაქტს სამწერლო ენისას. რაკი ეს არ იქნება გაბატონებული ფორმა, იმიტომ რომ ასეთს ვერ ვუჩვენებთ, მაშინ რაღაც სხვა პრინციპს უნდა დავყურდნოთ. ამ პრინციპს სალიტ. ენის ცნების ანალიზი და სალიტ. ქართულის ისტორია გამოამკლავნებს.

ცნების განსაზღვრისას დავეყრდნოთ ცნობილ დებულებას (Лит. энт., ნ. დურნოვა). სალიტერ. ენა — ამა თუ იმ ერის მწერლობის საერთო ენაა. თუ ამ ერს აქვს სახელმწიფო, მაშინ იგი საერთოსახელმწიფოებრივი ენაც არის. მას საფუძვლად უძევს რომელიმე ცოცხალი კილო ან თქმა, მაგ. კილო ქალაქისა, რომელიც არის პოლიტიკური ან კულტურული ცენტრი, ან კილო მოსახლეობის ამა თუ იმ ნაწილისა, ან სხვისი ენა, სხვა ხალხისგან შეთვისებული, როგორც სამწერლო ენა. ხალხურ თქმებთან შედა-

რებით ის, ერთი მხრით, ბევრად უფრო მდიდარია, იმიტომ რომ, აერთებს რა მთელ ხალხს და მის სხვადასხვა თაობებს, მას შეთვისებული აქვს ფაქტები სხვადასხვა ცოცხალი ხალხური თქმისაგან და უცხო ენებისაგან, ამას გარდა ნეოლოგიზმებიც, ბოლო, მეორე მხრით, იგი ყველა ცოცხალ თქმაზე მყარი და კონსერვატიულია. ამასთან ერთად, დაუშვებლად ჩვენი მხრით, ჩამოყალიბდება რა ერთგზის სამწერლო ენა, ცოცხალი კილოებისა და უცხო ენებისგან იგი უმთავრესად ლექსიკურ ფაქტებს სესხულობს.

„Г. К. необходимость следовать традиции в литерат. языке сильнее, чем в народных говорах, то лит. яз. должен подчиняться известному сознательному контролю, вырабатывающему „правила“ лит. языка, отступления от которых считаются „неправильностями“. Все это делает лит. язык в известной степени искусственным. Распространению и усвоению лит. языка содействует школа, которая в то же время, наравне с литературой, препятствует изменениям в лит. языке в большей степени, чем это могла бы делать традиция живого употребления, не поддерживаемая школой и книгой“. სალიტ. ენა, თავის მხრით, კიდევ უფრო ძლიერად მოქმედებს ცოცხალ თქმებზე, უკარგავს რა მათ თანდათან ინდივიდუალურ სახეს და მიისწრაფვის რა მოცემული კოლექტივის ენობრივი ერთობის შენარჩუნებისაკენ.

6. დურნოვოს განმარტებაში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს მტკიცება იმის შესახებ, რომ კონტროლის განხორციელება სს სალიტ. ენაში მიზნად ტრადიციის დაცვა აქვს. ამრიგად აქაც, ისე როგორც ორთოგრაფიაში, დომინანტ მომენტად ტრადიციის მომენტი გვევლინება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სალიტ. ენის ფუნქცია მდგომარეობს კოლექტივის ცოცხალი შემადგენლობის გაერთიანებაში, ვნახავთ, რომ როგორც მართლწერას, ისე სამწერლო ენას ერთი და იგივე საზოგადოებრივი ინტერესი უძევს საფუძვლად: რაც შეიძლება შორეულის და რაც შეიძლება მკიდრო კავშირების გაბმა დროსა და სივრცეში.

ქართული სალიტ. ენაც, ჩანს, ერთი გარკვეული ცოცხალი კილოს ნიადაგზე წარმოშობილა. ეს უნდა ყოფილიყო თქმა ეკონომიურად და პოლიტიკურად გაბატონებული ტომისა. შემდეგში ის თანდათანობით ხდებოდა სალიტ. ენად ყველა დანარჩენ ქართველ (და ზოგჯერ აგრეთვე არაქართველ) ტომთათვის გარკვეული ისტო-

რიული პირობების წყალობით. ეს პროცესი განსაკუთრებით ჩქარი ტემპით წავიდა მან შემდეგ, რაც შეიქმნა ერთიანი ქართ. სასელ-მწიფო, იმიტომ რომ პოლიტიკ. მომენტი ამ საქმეში უაღრესად მწაშნავლად იქცა. ამავე დროს სალიტ. ქართული, წარმოიშვა რა ერთი კილოს ნიადაგზე და მიიღო გამოკვეთილი სახე, მდიდრდებოდა სხვა ცოცხალი თქმებისა და უცხო ენებისგან შეთვისებული მასალით. მაგრამ მკაფიოდ უნდა იყოს აღნიშნული, რომ ცოცხალი კილოების, მოსმე ქართველურის და, მით უმეტეს, უცხო ენების მონაწილეობა სალიტერატურო ქართულის განვითარებაში გარკვეულ ხანაზე იყო ჩვეულებრივად და უპირატესად ლექსიკური ხასიათისა. ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია, და თუ სხვების პროცესი უფრო შორს მიდის, მაშინ სალიტ. ენის გადაგვარებასთან გვაქვს საქმე, და არა განვითარებასთან.

რომ ქართ. ისტორიული პროცესი განვითარებულყოფილი ნორმალურად, მაშინ ჩვენ დღეს სადაო ძლიერ მცირე რამ გვექნებოდა. განუმარტოთ: რომ ქართულ ფეოდალურ წყობილებას შინაგანი განვითარების გზით მისცემოდა საშუალება გადასულიყო შემდგომს, უფრო მაღალ საზოგადოებრივ ფორმაციაში, რომ ახალ გაბატონებულ კლასს მისცემოდა შესაძლებლობა გაეერთიანებინა საქართველო ისეთი სიმტკიცით, როგორც ფეოდალურ საწყაროში წარმოუდგენელია, მაშინ სამწერლო ქართულიც მოიპოვებდა იმგვარ გამოკვეთილობასა და გავრცელებულობას, რომ მისი ტრადიციული ერთფეროვანობა და ერთსახეობა კი არ დაირღვეოდა, არამედ გაჭყვებოდა ბუნებრივი ევოლუციის გზას. მაგრამ ქართულმა ფეოდალურმა წყობილებამ, გარკვეული ისტორიული პირობების წყალობით, პროგრესული განვითარების ნაცვლად მოგვცა კატასტროფული დაცემის ხაზი. ეკონომიურად და პოლიტიკურად დაქსაქსულ ქვეყანაში, მრავალრიცხოვან სამეფო-სამთავროების პირობებში, რომელნიც გათიშულნი იყვნენ თავიანთ საშინაო-საგარეო საქმიანობაში, ცხადია, სამწერლო ენასაც უნდა გასჩენოდა თავისი დენეტრალისტური ტენდენციები. და პირდაპირ საოცარია სამწერლო ქართულის ტრადიციის სიძლიერე, რომელმაც ეგრერივად შეაფერა ეს დაშლის პროცესი. ისეთ ტიპურ (ამ ზხრით) ხანაში, როგორცაა XVII ს., მაინც ჩვენ ერთი მთლიანი სამწერლო ენა გვაქვს. მაგრამ ერთი ერთსახეოვანი ლიტ. გამოთქმა უკვე აღარ სწვდება, როგორც ჩანს, განათლებული წრეების პირველ მოცულობას, ლიტ. გამოთქმის დარღვევა იწვევს რყევას მართლწერაში. აღორძინების ხანის უდიდესი პოეტი დავ. გურამიშვილი ამის კარ-

გი მაგალითია. სავალდებულო დაწერილობის ნორმების დანერგვის შეგნებამ გაპოიწვია, სათანადო სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციების საერთო ნაკადში, პირველი მოფიქრებული და ორგანიზაციული ცდა ქართ. ორთოგრაფიის მოწესრიგებისა (ანტონი), რასაც სახელმწიფოებრივი სანქციაც მოიპოვა. ეს იყო უაღრესად ხელოვნური ორთოგრაფიულ-გრამატიკული სისტემა, რომელიც ლიტერ. მეტყველებასა და წერაში არსებულ ფორმებს კი არ ადასტურებდა შერჩევას გზით, არამედ უფრო ხშირად სთხზავდა ნორმება თავისებურად გაგებული რაციონალური პრინციპის ნიადაგზე, „იანუ-ლებით საბლითა მეცადინობისათა“ შემოტანილ ფაქტებს აკანონებდა. და თუ ამ სისტემამ აღიარება და გავრცელება პოვა მთელ საქართველოში, ეს მაჩვენებელია იმ დროისათვის ნონკონფორმული საზოგადოებრივი შეგნებისა — მოესპოთ ანარქია სალიტ. ენაა და დაწერილობაში და მათი სტიქიონური განვითარება სავალდებულო ნორმათა კალაპოტში მოექციათ. საბოლოო გამარჯვების უნარი ამ ხელოვნურ სისტემას, რა თქმა უნდა, ნაინც არ გააჩნდა. მისი განსაკუთრებით ხელოვნური ნაწილები ადრევე კვდება, სხვათა განადგურებას ხელი შეუწყო იმ ახალმა მდგომარეობამ, რომელიც იქმნება ჩვენში მე-19 ს-ში. ამ საუკუნის დასაწყისში დამყარებული მმართველობა თუშცა, ერთი მხრით, მოასწავებდა საქართველოს, მექანიკურს მართალია, მაგრამ მაინც, გაერთიანებას და, მაშასადაზე, უკეთეს პირობებს ენობრივის დააბლოებისათვისაც, მაგრამ, მეორე მხრით, ნიშნავდა აგრეთვე ნელინელს, მაგრამ სისტემურსა და ორგანიზაციულს. მუშაობას ძველი კულტურულის, სამწერლო-ენობრივის, ფაქტორების სრული განადგურებისათვისაც. ქართული იდეგნება სახელმწიფო დაწესებულებიდან, სკოლიდან, მას ჰრჩება საზოგადოებრიობის მეტად ვიწრო სარბიელი და ოჯახი. დიდხანს სამწერლო ენის ტრადიციებს ჩვენში ოჯახი ინახავს. მე-19 ს-ის პირველ ნახევარში ჩვენში განათლებას შინაური მწიგნობრული აღზრდა უძევს საფუძვლად. მაგრამ ოჯახი. მოკლებული სახელმწიფოსა და სკოლის ხელოქმედებაა, ბუნებრივად ექვემდებარება ეთნოგრაფიული გარემოცვის გავლენებს. ლიტერ. მეტყველება ამ ხანის განათლებულ ქართ. ოჯახში ჯერ კიდევ დარღვეული არ არის, მაგრამ გამოთქმა სულ უფრო და უფრო დიალექტურ ელფერს იღებს, რაც წერაშიც კპოულობა გამოხატულებას. მაგრამ შემდეგში, როცა რუსული სკოლა მთლიანად გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებს, რღვევის პროცესი გამოთქმიდან უკვე პეტყველების ფორმებზედაც გადადის. ამ ხანის (წარსული საუკ. ოთხმოციანი წლებიდან, მიახლო-

ებით) ქართველ მწერალს შემოაქვს მწერლობაში არა მარტო პრო-
ვინციული გამოთქმა, არამედ დიალექტური ენობრივი ფორმებიც.

ამ ნიადაგზე იქმნება ის მდგომარეობა, რომ დღეს ჩვენ არა
გვაქვს არა მარტო ჩამოყალიბებული მართლწერა, არამედ საყო-
ველთაოდ სავალდებულო ლიტერ.-ენობრივი ნორმებიც. ამ მრავალ-
სახეობის, რომელიც სრულიად შეუთავსებელია ლიტერატ. ენის
დანიშნულებასთან, სათავე, ჩაშასადაძვე, დიალექტებშია უმთავრე-
სად. მაგრამ მეტად დიდი როლი ამ მხრივ ითამაშა სხვა ენათა
გავლენამაც, რომელიც არაჩვეულებრივად დიდი იყო ჩვენში წარ-
სული საუკუნის შუა წლებიდან ნოყობებულის. ამრიგად იქმნება ის
თავისებურება, რომ თუ თანამედროვე კულტურულ ენებში ცვლილე-
ბები სამწერლო ენის ფორმებში მიჰყვებიან ასეთსავე ცვლილებებს
ლიტერატურულად განათლებული წრეების ცოცხალ მეტყველება-
ში, ხოლო ორთოგრაფია ასევე ლიტერ. გამოთქმას, ჩვენში მთლი-
ანად არც ერთი შეიძლება მოსდეს და არც მეორე. თუ რუსულის-
თვის ავტორიტეტული ორგანოები ამტკიცებენ «В перестройке
правописания следует избегать полного практицизма... нужно
равняться лишь на действительные всеобщие и устойчи-
вые нормы» (Проект, 11, იგულისხმება ცოცხალი გამოთქმა) და
თან საბუნდოდ შააჩნიათ ამ ნორმების დადგენა, რამდენად
უფრო რთული საქმე უნდა იყოს ამ ნორმების მოპოვება ჩვენს
ცოცხალ მეტყველებაში. ამავე დროს ამ ანარქიის აღკვეთას მოი-
თხოვს თვით სამწერლო ენის ბუნება. ენა საზოგადოებრივი ურთი-
ერთობის შედეგი და იარაღია. სამწერლო ენა ამ მხრით იმრიგად
განახვევდება დიალექტისაგან, რომ მისი გამოყენების არე უფრო
დიდია, მისი კავშირები — უფრო ვრცელი და შორეული. ამრიგად,
სამწერლო ენა კიდევ უფრო მოითხოვს ფორმათა ერთსახეობას
ურთიერთგაგებია უკეთესის განხორციელებისათვის. მეორე მხრით,
სამწერლო ენაც ცოცხალ საზოგადოებას ემსახურება. იცვლება
საზოგადოება, იცვლება სამწერლო ენაც.

სამწერლო ენათა ისტორიაში შეიძლება გავარჩიოთ სამი
ტიპი: ა) ევოლუცია სალიტ. ენისა ერთისა და იმავე ეთნიკურ-
კულტურული კოლექტივის შიგნით, ბ) გადასვლა ახალ სალიტ.
ენაზე (რუსული, სომხური), გ) სიკვდილი (ასურული, ლა-
თინური). სალიტ. ქართულის ისტორია პირველ ტიპს მიეკუთ-
ვნება. დღეის სამწერლო ქართულიც რომ ავიღოთ მისი საუკე-
თეაოდ წინაწული წარმომადგენლების სახით და ქართული ლიტე-
რატურის უძველესი ძეგლების ენას შევადაროთ, მაინც უნდა

დავასკენათ, რომ ჩვენ სხვადასხვა, თუნდაც უაღრესად მონათესავე, სალიტერატურო ენებთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ერთისა და იმავე ენის განვითარებასთან. ახალ სამწერლო ენას მივიღებდით იმ შემთხვევაში, თუ რომ ქართ. მწერლობა მთლიანად გადავიდოდა, ვთქვათ, გურულ ან ხევსურულ დიალექტზე. რაკი ეს უკანასკნელი არ ხდება და არც ტენდენცია ჩანს და არც შეიძლება მოხდეს, ამიტომ ვამბობთ, რომ ჩვენ წინაშე არის ხანგრძლივი ისტორიის მქონე სამწერლო ენა, რომელიც (კოცხალი კულტურულ-ეთნიკური კოლექტივის ინტერესებს ემსახურება, ოღონდ იმ შეზღუდვით, რომ მასში (ენაში) შექრილია კილოებისა და უცხო ენების გავლენის ისეთი ნაირსახეობა, რომელიც აღნიშნული ინტერესების დაკმაყოფილებას აბრკოლებს. ერთსახეობის დაწყარების ამოცანა, მიუხედავად ჩვენი მდგომარეობის სპეციფიკური ხასიათისა, ვფიქრობთ, გადაწყდება იმავე პრინციპებზე დაყრდნობით, რომლებსაც სხვა სალიტ. ენები ემყარებიან ამ შემთხვევაში, ოღონდ თავისებური ხერხების საშუალებით. პარალელურ ფორმათაგან სავალდებულოს შერჩევისას ჩვენ, რა თქმა უნდა, არჩევანს ახალ ფორმათა შორის ვაწარმოებთ. ეს არასოდეს არ ყოფილა საცილობელი და ამეამადაც დავის გარეშე დგას. საკამათოა ის, თუ რომელი ახალი ფორმა ავირჩიოთ. რაკი ჩვენ ისტორიიან სალიტ. ენას ვეხებით, რაკი ჩვენ არ გვსურს ამ ისტორიასთან კავშირი გავწყვიტოთ და ახალ სამწერლო ენაზე გადავიდეთ. გვგონია, რომ უპირატესობა შეიძლება მიეცეს არა იმ ფორმას, რომელიც „კარგია“ (როგორც არ უნდა იყოს ეს „სიკარგე“ გაგებული). არამედ იმას, რომელიც უფრო „ლიტერატურულია“ (ჩვენ ხომ სალიტერატურო ენის ნორმებს ვადგენთ), ე. ი. ახალ ფორმათა შორის უპირატესობა ენიჭება იმას, რომელსაც უფრო დიდი ლიტერატურული ტრადიცია აქვს, უფრო ხანგრძლივი ისტორია. ამ პრინციპი გამოყენებისათვის საჭირო ხდება ევოლუციის იმ მაგისტრალის დადგენა. რომელიც გაივლის მე-5, 8, 10, 12, 18, 19 საუკუნეების ქართ. მწერლობის მთავარ წარმომადგენლებზე. ის, რაც ამ მაგისტრალზე ძვეს და ევოლუციის ჯაჭვის უკანასკნელ რგოლს წარმოადგენს, იქნება სწორედ სალიტერატურო ქართული. მაგრამ განვითარების ამ პროცესს აქვს თავისი არა მარტო ვერტიკალი, არამედ ჰორიზონტალიც. უკანასკნელი, რომელიც ცოცხალ კილოებზე გადის, ძველ ქართულშიაც არის გამოხატული (ამ მხრივ მისი ისტორია სრულეობით არ განსხვავდება სხვა სალიტერატურო ენათა ისტორიისაგან),

მაგრამ შედარებით სუსტად. საქმე რთულდება მე-19 ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან, როცა ეს ჰორიზონტალი ნეტად მკაფიოდ იხატება და როცა ამდენადვე იზრდება დისპროპორცია სანწერლო ენის მდგომარეობასა და საზოგადოების ინტერესებს შორის, ვინაიდან ყოველ ახალ დღეს მოაქვს ახალი ტალღა იმ შეგნების გასაძლიერებლად, რომ საკიროა ქართ. ეთნიკურ-კულტურული კოლექტივის შემდგომი შემკიდროება და საბოლოო გაერთმთლიანება.

ერთი სიტყვით, როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როცა ახალ პარალელურ ფორმათა შორის არჩევანის მოსახდენად ისტორია არ იძლევა პირდაპირ პასუხს და იმავე დროს არც „ლიტ. მეტყველებას“ შეიძლება დავუყაროთ, უკანასკნელის გაურკვეველი სააის გამო (როცა ის მთლიანად არის აღებული). ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ჩვენ ამ პრინციპების კომბინაციას უნდა დავუყაროთ: „ისტორიის“, „ტრადიციის“ ანუ „მაგისტრალის“ პრინციპი უნდა გადაეჭდოს „ცოცხალი ლიტერატ. მეტყველების“ პრინციპს, ე. ი. ახალი სალიტერ. ფორმებიდან უნდა აღებულ იქნეს ისეთი, რომელიც ლიტერ. მეტყველებასაც ემყარება და იმავე დროს დასახელებულ მაგისტრალთან ყველაზე ახლოს დგას. ეს საკითხი არ შეიძლება თვითთული ცალკე შემთხვევისათვის ინდივიდუალურად იყოს გადაჭრილი. მოკლედ რომ მოვჭრათ, ასეთი მდგომარეობა იქნება: აუცილებელი ხდება აპელაცია ცოცხალი მეტყველებისადმი, სანწერლო ენის ბუნება მოითხოვს, რომ ეს იყოს ლიტერატურული მეტყველება; ქართული ლიტერატ. მეტყველება არ წარმოადგენს ერთსახოვან მოგონებას, რამდენადაც მასში სხვადასხვა ფენები განირჩევიან, რომლებიც მეტ-ნაკლებად ცოცხალი დიალექტებით არიან განსაზღვრულნი. მაშასადამე, ჩვენი აზრით ქართულ ლიტერ. მეტყველებაში შევარჩიოთ ისეთი ფენა, რომლის ცოცხალი ფუძე, სათავე — ერთ-ერთი თანამედროვე ცოცხალი ქართ. კილო თავისდათავად, მთლიანად აღებული, სხვა კილოებთან შედარებით, ყველაზე ახლოს იდგომება სალიტ. ქართულის განვითარების მაგისტრალთან. შევხედოთ ამ თვალსაზრისით ქართულ კილოებს.

ცნობილია, რომ ეს კილოები შეუსწავლელია, მაგრამ არსებული ფაქტების მიხედვითაც შეიძლება გარკვეული დასკვნის გამოტანა. ზოგადად რომ ვთქვათ, ქართული ენის სტიქიონი შედარებითი სიწმინდით, რა თქმა უნდა, აღმოს. საქართველოშია დაცული. ამ დებულების დანტყიკება არაენობრივი საშუალებითაც შეიძლება, თუნდაც ხალხური პოეზიის მდგომარეობის მაგალითზე. მაგრამ ეს სხვა დროისათვის გადაგვიდვია. შევჩერდეთ მხოლოდ ენობრივ

მოსაზრებებზე. მას შემდეგ, რაც სამწერლო ქართული ჩამოყალიბდა, ქართულ კილოებს, რა თქმა უნდა, თავისი ისტორიაც ჰქონდა. კილოები ვითარდებოდნენ, ქრებოდნენ, ჩნდებოდნენ ახალნი, განიცდიდნენ მეზობელი კილოების თუ ენების გავლენას. ეა ხდებოდა მთელი საქართველოს მასშტაბით, მაგრამ დას. საქართველოში ადგილი ჰქონდა ერთ თავისებურ ისტორიულ ფაქტს, რომელიც მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ენობრივი გავლენა. სახელდობრ, აქ ქართული შეერია მოძვე მეგრულ-ქანურ ენას. ამ შერევის შედეგები დას. საქართველოს კილოებში ყველგან ერთნაირად არ არის გამოხატული. შერევის მოქმედება განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს გურულსა და ქვემოიმერულში, ნაკლებ — ზემოიმერულსა და რაჭულში. მეგრული ელემენტის მოქმედების ფაქტებია ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი (სამწერლო ქართულის თვალსაზრისით) მოვლენები, როგორიცაა მოთხრ. ბრუნვის ახალი გამოყენება, ნეტყველების ახალი ტემპი (რომლის ნიადაგზე უმნიშვნელოვანესი ფონეტიკ. თავისებურებანი განვითარდნენ), შეთანხმების წესის ახალი ვარიანტი, თანხმოვანთა ზოგიერთი კატეგორიის დასუსტება, ლექსიკის თავისებურებანი (მათ შორის, ფუძეთსხვაობის უკუგდება ზოგიერთი ზმნის რიცევი) და აუარებელი სხვ. რაც უფრო აუსტია მეგრული ელემენტის გამოცხადება ანა თუ იმ დასავლურ ქართულ კილოებში, მით უფრო ახლოს დგას იგი სამწერლო ქართულთან. აღმ. საქ. კილოებშიაც შეიძლება გარჩეულ იქნეს ბარისა და მთის ჯგუფი. სადაო არ უნდა იყოს, რომ აღწოს. ბარის კილოები უფრო უახლოვდებიან სამწერლო ქართულს, ვიდრე მთისა. ამავე საზომის შემდგომი მოხმარებით ზივილებდით ქართლურის უპირატესობას კახურთან შედარებით¹. დასავლეთისა და აღმოსავლეთის კილოების შედარებისას აღებული თვალსაზრისით ყურადღება უნდა მიექცეს თანხმოვანთა ზოგიერთი ჯგუფის უკეთეს დაცულობას აღმოსავლურ კილოებში, კილოების ინდივიდუალური შეპირისპირებისას კი — მორფოლოგიური ელემენტების (კერძოდ პრეფერების) განმარტინებას. უკანასკნელი საზომი აშკარა უპირატესობას ქართლურს ანიჭებს (მაგ., ქართლ. მო- || იმერ. მე- || კახ. მა-). შემთხვევითი არ არის, თქმა არ უნდა, ის გარემოება, რომ სამწერლო ქართულთან ყველაზე ახლოს აღმოჩნდა იმ პროვინციის მეტყველება, რომელიც ყოველთვის იყო საქართველოს ცენტრალური პოლიტი-

¹ ისტორიული სხვაობა ქართლურსა და კახურს შორის ანჟამად რამდენადმე მოგლუვებულია იმ ფაქტის ზეგავლენით, რომ XVII ს-იდან ადგილი აქვს მნიშვნელოვან მოძრაობას მოსახლეობისას ქართლიდან კახეთში.

კურ-კულტურული თემი. რომ სალიტ. ქართულის უშუალო კორელატი ხალხური მეტყველების სინამდვილეში აღმოს. ბარის კილოებია. პირველ რიგში კი ქართლური, ეს ფაქტი სრულიად მოულოდნელ შემთხვევებშიც იჩენს თავს. მაგ.: ითარგმნება ქართულად უცხოურიდან ისეთი ლიტერ. ნაწარმოები, რომელშიც მხატვრული მოსაზრებით დაპირისპირებულია ლიტერ. და ხალხური მეტყველება. როგორ უნდა გამოხატოს უკანასკნელი ქართველმა მთარგმნელმა? თუ ის აიღებდა, ვთქვათ, გურულ კილოს, განათლებული ქართველი მკითხველისათვის ის შექჷმნიდა სრულიად ყალბ შთაბეჭდილებას: ქართული პროვინციის კოლორიტს უცხოურ ნაწარმოებში. საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ქართლური დიალექტი (რა თქმა უნდა, განსაკუთრებული დეტალიზაციისა და დატვირთვის გარეშე, ე. ი. ისეთი ელემენტების გარეშე, რომელნიც თვით ქართლურში „მდაბიურად“ არის განაზრებული). ეს უპირატესობა აღმ. საქართველოს (კერძოდ, ბარის) კილოებისა წარმოადგენს ქართ. სალიტ. ენის შეგნების უმეტესად მდუმარე, მაგრამ ფაქტიურად მოქმედ ელემენტს. მწერლობაში საბოლოოდ მაინც ამ კილოებს პრჩება გამარჯვება (უმთავრესად, იგულისხმება, მორფოლოგიაში; ლექსიკაში იმ შემთხვევაში, როცა თანაბარი მნიშვნელობის სიტყვები უპირისპირდებიან ერთმანეთს). დას. საქართველოს მწერლების მიერ შემოტანილს ვერც ერთ ისეთ მსხვილ დიალექტურ ფაქტს ვერ დავასახელებთ, რომელსაც საბოლოო დადასტურება მოეპოვებინოს. ისეთი ავტორიტეტული და პოპულარული მწერლის მიერ, როგორიც იყო აკაკი, ზოგიერთი დაჟინებით ნახმარი ფორმაც დღეს ისევ ისე განიაზრება, როგორც დიალექტური ფაქტები (მარა, ყოლიფერი და სხვ.)¹. იმ შემთხვევებისთვისაც, როცა „იმერელი“ გრამატიკოსები შეგნებულად უპირისპირებდნენ დასავლურ ფორმებს აღმოსავლურს და პირველთა მწერლობაში დამკვიდრებისათვის გააღმასებით იბრძოდნენ, რასაც ნაწილობრივ მიაღწიეს დასავლ. საქართველოს პრესაში, მაგ. (იგულისხმება რევოლუციის წინა ხანა), ამჟამად. ეს უეჭველია, მოედანი საბოლოოდ უკვე ამერულს ფორმებს დაპრჩათ (მრავალ შემთხვევაში ეს კომისიის მიერაც არის დადასტურებული: თფილი || თბილი, ბავში || ბაეში,

¹ „აწა“, რომელიც ძვ. ქართ. „აწ“-იდან მომდინარეობს და რომელიც აღმ. საქართველოშიც ჯერ კიდევ მე-18 ს-ში იხმარებოდა „აწა“-ს სახით. ამჟამად მაინც „იმერულ“ პროვინციალიზმად განიაზრება (პირადად ჩვენ ეს სიტყვა: ლიტერატურულად შესაწყნარებლად მიგვაჩნია, რამდენადაც მას ამჟამად ახალი სენსიონოლოგიური ნიუანსი აქვს და „ახლა“-ს მთლად არ უდრის).

ქადი || მქადი და მრავ. სავ.). დასავლური ფორმები ვერ იმარჯუებენ მაშინაც კი, როცა ისინი ისტორიულად და ეტიმოლოგიურად თითქოს უფრო მართებულნიც კი არიან (მაგ., თვარა, მარა... უკანასკნელის შესახებ უნდა შევნიშნოთ: მარა თითქოს იხმარება რუსთაველის მიერ, თუ განოცეძებს ვენდობით; მაგრამ ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს სპარს. مَر (მზგარ), რაც გაქვავებული სახით. შერჩენილად მიგვაჩნია გამოთქმაში: „მაგრამ მაგარი ის არის“... სპარს. „მაგარ“-ს შემდეგში დაემატა ქართ. ნაწილაკი „-მე“: ფორმა „მაგარამე“ დადასტურებულია ლიტერატურულად). დასავლური კილოების გავლენას უჩვენებენ იმ ფაქტზე, რომ „სასწავლო კომიტეტი“ 1920 წელს ნამყო უსრულისთვია უპირატესობა მისცა -დენ ფორმას -დენთან შედარებით (წავიდნენ...). მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ პროექტის ავტორი ისტორიული მოსაზრებიდან გამოდიოდა. ესეც რომ არ იყოს, დას. საქართველოს კილოების გავლენას აქ ვერ ვიგულისხმებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში წავიდნენის გვერდით უნდა გვქონოდა აგრეთვე: გააკეთენ, მოკლენ, აქვენ და მისთანანი. ამას გარდა, დადასტურებულია, რომ აღმოს. საქართველოს კილოებშიაც -დენ ფორმაც გვხვდება (-დენის პარალელურად). მიუხედავად ყოვლისავე ამისა, დამახასიათებელია, რომ გაზ. „კომუნისტი“-დენზე გადავიდა.

დას. საქართველოს კილოების ფაქტებს არა აქვთ გადამკრეული მნიშვნელობა ზმნის პრეფიქსების სადაო საკითხებისათვის. გადამწყვეტია ამ პრეფიქსების ფუნქციების არევა აღმ. საქართველოს ბარის კილოებისათვის და შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ეს საკითხი გადაწყდება აღბათ ამ კილოების ნიადაგზე აღმოცენებული ლიტერატურული მეტყველების ფაქტების მიხედვით.

მაშასადამე, როცა ახალ პარალელურ სალიტერ. ფორმებთან გვაქვს საქმე და არჩევანი უნდა მოვახდინოთ, უპირატესობას ვაძლევთ იმას, რომელსაც ისტორია უკერს მხარს, ხოლო თუ ისტორია საკითხს ვერ სწყვეტს, მაშინ იმ ფორმას, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოების ნიადაგზე აღმოცენებულ ლიტერატ. მეტყველებას ეკუთვნის, პირველ რიგში კი უახლოვდება ქართლურს. აღნიშნული მეტყველების ფაქტებს ჩვენს პირობებში შესაძლოა ანგარიში გაეწიოს მხოლოდ მწერლობის მეშვეობით, ე. ი. რამდენადაც ისინი გამოხატულნი არიან ლიტერატურაში. ამრიგად, მოცემული ხასიათის შემთხვევებისათვის ჩვენ საბოლოოდ ვეყრდნობით აღმ. საქართველოს ბარის კილოების (კერძოდ ქართ-

ლურას) წარმომადგენლებს ქართულ (ახალ) ლიტერატურაში¹. ამით ჩვენ სრულებით არ ვუზღავთ გზას კილოების მონაწილეობას სალიტ. ქართულის შემდგომს განვითარებაში. პირიქით, ჩვენი აზრით, ეს მონაწილეობა უაღრესად ფართო და ცხოველი იქნება და კალოებთან თანაბარი უფლებები ამ შემთხვევაში მოძმე ქართველურ ენებსაც (მეგრულ-ქანური, სვანური) ენიჭება. მხოლოდ ეს მონაწილეობა არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს მორფოლოგიისა, სინტაქსისა და გამოთქმის სფეროში. მორფოლოგიურ-სინტაქსური ფორმების სასტიკი ერთსახეობის დაცვა ხომ სამწერლო ენის მთავარი დანიშნულებაა; ასეთი ერთსახეობა კი შესაძლოა დაცულ იქნეს მხოლოდ ერთის, ენობრივად მთლიანის, მეტყველების ნიადაგზე. ამასვე გვაგალებენ ზემოთგანოთქმული სხვა ენაზრებებიც. გამოთქმის სფეროში თანაბარი უფლებების მინიჭება კილოებისათვის გართულდება ორთოგრაფიის ნორმების საკითხს (საინტერესოა, რომ დას. საქართველოს კილოების გამოთქმა, მაგ., უთუოდ მიჩნეულია ანეამად, თუმც იქნებ მდუმარედ, არალიტერატურულ გამოთქმად, ზოგიერთი, განსაკუთრებით მკაფიო შემთხვევებისათვის: ავტორიტეტულ წრეებში არაფინ დაეჭვდება ანეამად, თუ როგორ ვწეროთ—სიკეტილი || სიკედილი, წამხთარი || წამხდარი, ფხალი || მხალი, უცფათ || უცბად, დააკლტა || დააკლდა და სხვ.)... მოძმე ენებისა და კილოების მონაწილეობა სამწერლო ქართულის შემდგომს განვითარება-გამდიდრებაში შესაძლოა მართოდ ექსპერიმენტული იყოს, ე. ი. ამ ენა-კილოებიდან მწერლობაში შეიძლება შემოვიდეს ახალი სიტყვა, ან ხმარებული სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი ახალი მნიშვნელობით. ფაქტიურადაც სწორედ ასე არის: მწერლობაში მოძმე ენა-კილოებიდან შემოტანილი მხოლოდ ასეთი ფაქტები იმარჯვებდნენ, ან, ყოველ შემთხვევაში, დავას არ იწვევდნენ (მაგ. იმერული: ჟლალი, ლუში, თვინიერი, ცისდასალიერი, ნაშიერი... მეგრ.: თემშარა, მარჩხა, მარულა... და მრავ. სხვა, როგორც ძველი, ისე ახალი ფაქტი).

¹ ჩვენ ვადგენთ ქართლურის უპირატესობას კახურთან შედარებით. ამასთან გათვალისწინებული უნდა გექონდეს, რომ უკანასკნელს მე-19 ს. ჰყავდა ისეთი ლიტერ. წარმომადგენლები, რომელთაც დიდი გავლენა იქონიეს საერთოდ მწერლობაზე, პირველ რიგში „ქართლელებზე“. მაგრამ ამ „კახელების“ მიერ მწერლობაში შემოტანილი წერილობრივი დიალექტური ფაქტები დიალექტურადვე გააზრებული რჩებიან დღესაც. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა ისინი „ისტორიიან“ ფაქტებს უპირისპირდებიან (-დამ || -დან). ესევე ითქმის ქართლელებზე, განსაკუთრებით კი როცა ისინი ამ გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

ამასთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მწერლის ენას იმდენად მისი წარმოშობა არ განსაზღვრავს, რამდენადაც მისი ლიტერატურულ-ენობრივი განათლება და გაწერონილობა და გაბატონებული ფორმებისადმი მისი „შეპყება“, თუ ამ სიტყვის აქ ხმარება შესაწყნარებელია. ზოგჯერ კიდევ როლს თამაშობს მწერლის გარკვეული შეხედულებები მშობლიური კილოს მნიშვნელობის შესახებ. ვაჟა, მაგ., დიალექტურ ფორმებს ხმარობს ლექსისთვის, ხოლო ლიტერატურულს — პროზისთვის! ძალიან საინტერესო ფაქტია. მნიშვნელოვანია მიოლოდ: მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართ. მწერლობაში თავს იჩენენ ცოცხალი თქმების, გრამატიკული სკოლებისა და ლიტერატურულ-ფილოსოფიურ მიმდინარეობათა სხვაობაზე დამყარებული ფაქტები, ამ ენის განვითარების მაგისტრალი მაინც არსად გაზნეჟილა.

კუთხური არ არის ცოცხალი ლიტერატურული მეტყველება, რომელიც თანამედროვე კულტურულ ქვეყნებში მოსახლეობის უკვე მნიშვნელოვანი ნაწილის ერთადერთ მეტყველებას წარმოადგენს. თავისთავად ცხადია, სამწერლო ენა კილოებს იახლოებს (გაცილებით უფრო მეტად) და უახლოვდება (გაცილებით უფრო ნაკლებ), მაგრამ, რა თქმა უნდა, სამწერლო ენა იმიტომ კი არ ხდება საერთო, რომ სხვა კუთხეთა მეტყველებასაც (იგულისხმება გარდა იმ კუთხური მეტყველებისა, რომელიც საფუძვლად დაედო სამწერლო ენას) ანგარიშს უწევს (ლექსიც. მონაწილეობა კილოებისა სალიტერ. ენაში სრულებით არ ნიშნავს მათს დაახლოებას მორფოლოგიურად, სინტაქსურად და ფონეტიკურად), არამედ იმიტომ რომ ერთხელ მიღებული სალიტ. ენის პრიორიტეტისა და მნიშვნელობის წეგნება სულ უფრო და უფრო ფართო და საყოველთაო ხდება, რასაც თან ამ ენის გავრცელებაც მოსდევს. აღნიშნული პროცესი რომ მართებულად გამოვსახოთ, უნდა ვთქვათ, რომ სამწერლო ენა თანდათან იჭერს კილოების ადგილს. სამწერლო ენისა და ცოცხალი სალიტერატურო მეტყველების გზები ერთი და იგივეა, მეტიც: სამწერლო ენა ცოცხალი სალიტ. მეტყველების განვითარებას მისდევს, ცვლილებები პირველში გამოწვეულია ცვლილებებით უკანასკნელში.

სამწერლო ენა, რა თქმა უნდა, ცოცხალი (ლიტერატურული) მეტყველების განვითარებას მიჰყვება (აქ, ცხადია, უკუქმედებასაც აქვს ადგილი, მაგრამ არა მიმართულების შეცვლის აზრით). იქაც და აქაც ერთი და იგივე კანონები მოქმედებენ.

სალიტერატურო ენის ნორმების განსაზღვრისას ერთდერთი გამოსავალი წერტილი მწერლობის ფაქტები უნდა იყოს. საცილობელი ფორმების შერჩევისას ერთსახეობის დამყარების მიზნით უპირატესობა უნდა მიენიქოს ისტორიულ პრინციპს (აბა არა არაქაული, არამედ ისეთი ახალი ფაქტი, რომელიც სალიტერ. ენის განვითარების მაგისტრალზე ძევს და არა მის გარეთ!). როცა საჭირო ხდება აპელაცია ცოცხალი მეტყველებისადმი, უპირატესობა უნდა მიენიქოს ძირითადი კილოების (ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოების) ნიადაგზე აღმოცენებულ განათლებული წრეების მეტყველებას. კილოების მონაწილეობას ახალ სალიტერატურო ქართულში ფართო გასაქანი უნდა მიეცეს, მაგრამ ეს მონაწილეობა შესაძლოა იყოს მარტოოდენ ლექსიკური ხასიათისა (ახალი სიტყვის ან სიტყვის ფონეტიკური ვარიანტის ახალი მნიშვნელობით შემოტანა). ასეთივე მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ათა მარტო კილოებს, არამედ მოძვე ქართველურ ენებსაც (რაც ფაქტიურად ხორციელდება კიდეც).

**თანამედროვე ქართული სალიბერალური ენის
ერთიანი სავალდებულო ნორმების დადგენის
პ რ ი ნ ც ი კ ე ბ ი**

I. ქართული სალიტერატურო ენა, დამოწმებული წერილობითი ძეგლებით 15 საუკუნის მანძილზე, განუწყვეტელ განვითარებაში მყოფი ერთიანი სისტემაა, რომლის ისტორიის ახალი პერიოდი რუსთაველით იწყება.

II. ახალმა სალიტერატურო ქართულმა დღევანდელი, უაღრესი სახე თავისი, მე-19 — მე-20 სს. კლასიკოსების — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და, ნაწილობრივ, ვაჟა-ფშაველას (ნაატურული პროზა) — ძეგლში მიიღო.

III. სალიტერატურო ქართული ეყრდნობა როგორც მწერლობას, უმთავრესად, ისე ცოცხალ მეტყველებას. უკანასკნელი ყველა კილოთია წარმოდგენილი, რომელთა მონაწილეობა ენის ზრდის პროცესში თანასწორუფლებიანია იზღენად, რამდენადაც საქმე ლექსიკია სფეროს ეხება; ხოლო განააკუთრებული ადგილი კილოთა შორის უჭირავს ზოგადქართულს, რომელსაც წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება იდიომატიკისა და მართლმეტყველების მხრივ (წარმოთქმა, რიტმი, აქცენტუაცია).

IV. სალიტერატურო ენა ერთი უნდა იყოს და საყოველთაოდ სავალდებულო.

V. გადასინჯვას არ მოითხოვს ის ლექსიკონი და ისეთი ორთოგრაფიული და ენობრივ-ლიტერატურული წესები, რომლებიც ახალ სალიტერატურო ქართულში მყარი და მხოლოდ ერთი სახითაა მოცემული.

VI. ნოცილე წესების არსებობის შემთხვევაში სავალდებულო ნორმების შემუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი პრინციპები:

1. მართლწერის (ორთოგრაფიული) ნორმა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს თითოეული ცალკე შემთხვევისათვის, ხოლო ლიტერატურულ-ენობრივი მოვლენებისათვის იმ გამონაკლის შემთხვევაში, როცა კლასიკოსებთან დადასტურებულია პარალელური, გრამატიკულად კანონიერი ფორმები, მაინც საჩვენებელია უპირატესი მათ შორის (მაგ.: კანონიერია როგორც „საქირო არის“, ისე „საქიროა“, ოღონდ ამათგან უპირატესია „საქიროა“).

2. მოცილე ლექსიკური, ორთოგრაფიული და ლიტერატურულ-ენობრივი ფაქტებიდან და წესებიდან უპირატესობა უნდა ნიენიჭოს იმას, რომელიც:

ა) უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში, უფრო ეგუება სალიტერატურო ქართულის განვითარების ტენდენციას და კანონიერია გრამატიკულად;

ბ) უფრო ახალია ისტორიულად (მაგ., „ვითარცა“ გამორიცხულია როგორც არქაიზმი; ერთადერთია, ან მნიშვნელობით, „როგორც“);

გ) სავა თანაბარ პირობებში წარმოების მიხედვით უფრო მარტივია და ნათელი, რაც ზოგ შემთხვევაში დიფერენციაციასაც გულისხმობს;

დ) ეროვნულ-ხალხურია და უპირისპირდება ბარბარიზმსა და ხელოვნურ ფორმას.

მსახლვრელის შეთანხმება სახლვრულთან ბრუნებაში

თანამედროვე სამწერლო ქართულში, ძველთან შედარებით, ამ სინტაქსურ მოვლენაში ერთფეროვნება დარღვეულია. სახელდობრ, უწყებულ შეთანხმებას აამი სახე მოეპოვება, რომელნიც განსხვავდებიან მსახლვრელის გაუორმების ნხრიც.

სახ.	ახალი		კაცი
ნათ.	ახლის,	ახალი,	კაცის
მიც.	ახალს,		კაცს
მოთხრ.	ახალმა,		კაცმა
მიმართ.	ახალს,		კაცად
მოქმედ.	ახლის,	ახალი,	კაცით
წოდ.	ახლო,		კაცო

ძველ ქართულს კი სიტყვათშეუღლებების ამ ფორმისათვის მტკიცედ ჩამოყალიბებული სისტემა აქვს: წარმოებს სრული შეთანხმება მსახლვრელისა სახლვრულთან, — არსებითი სახელის სათანადო ფორმანტების შეთვლიების საშუალებით მსახლვრელის მიერ, — ბრუნებასა და რიცხვში. უკანასკნელის შესახებ ეს შეიძლება კატეგორიულად ითქვას — ნ-იანი მრავლობითის შემთხვევაში, რომელიც ძირითადი და უპირატესია ძველ ქართულიათვის, ხოლო — ებ-იანი მრავლობითისათვის შეთანხმება რიცხვში მოსალოდნელი არ არის (თუმცა სათანადო ფაქტები ნეტად მკვირვ რაოდენობით არის მოღწეული). ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ძველ ქართული ჩვეულებრივად მსახლვრელს სახლვრულას შემდეგ სვამს, მაგალითად:

მხოლ. რ.

მრავლ. რიცხვი

სახ.	კაცი	ახალი	კაცი	ახალი
ნათ.	„ -ისა	„ -ისა	„ -თა	„ -თა
მიც.	„ -სა	„ -სა	„ -თა	„ -თა
მოთხრ.	„ -მან	„ -მან	„ -თა	„ -თა
მიმართ.	„ -ად	„ -ად	—	—
მოქმედ.	„ -ითა	„ -ითა	—	—
წოდ.	„ -ო	„ -ო	„ -ნო	„ -ნო

ნერმინდელი ევოლუცია მდგომარეობდა იმაში, რომ მოხდა მსაზღვრელის გადაადგილება მომდევნოსაგან წინამორბედ ალაგას (ეს პროცესი ძალიან ადრე იწყება), ხოლო თვით შეთანხმება დარჩა იგივე¹ (აქ არას ვაპბობთ ბრუნვათა საფორმო ელემენტების ერთგვარ სახეცვლაზე: ნათესაობითის, მიცემითის და მოქმედებითის ბოლოკიდურის („ემფატიკურის“) „ა“-ს მოწყვეტასა და ნოთხოობითის ბოლოკიდური „ნ“-ს დაკარგვაზე, რაც ამ სინტაქსურ წესზე დამოუკიდებლად ხდება). საბაგიეროდ, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ახალ ქართულში. ზოგადად რომ ვთქვათ, ეს ცვლილებები ნიშნავდა არა მარტო ახ. ქართულის ერთიანი სისტემის დარღვევას, არამედ თვით შეთანხმების უარყოფას ნაწილობრივ ბრუნვასა და სავსებით რიცხვში. ფაქტიურად მდგომარეობა ასეთია: თუ მსაზღვრელი ხმოვანფუძიანია, შეთანხმება არ ხდება არც ბრუნვასა და არც რიცხვში²:

სახ.	ბრმა	კაცი	ბრმა	კაც-ები
ნათ.	ბრმა	კაცი	„	„ -ის
მიც.	„	„ -ს	„	„ -ს
მოთხრ.	„	„ -მა	„	„ -მა
მიმართ.	„	„ -ად	„	„ -ად
მოქმ.	„	„ -ით	„	„ -ით
წოდ.	„	„ -ო	„	„ -ო

ასეთსავე მდგომარეობაში არიან სხვა ხმოვნებით დაბოლოებული სახელებიც (შეად. ბრგე, ყრუ, უცხო და სხვ.).

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მსაზღვრელი აქ გვევლინება სახელობითი ბრუნვის ფორმით, მაგრამ ვინაიდან თვით სახელობითში ზედსართავი მოკლებულია ბრუნვის ფორმას (ცნობილია, რომ ახალ ქართულში ხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვის ფორმას ჩვეულებრივად, მაგრამ არა ყოველთვის, არ საუკიროებენ), ამიტომ უფრო მართებული იქნება აღნიშნული მოვლენის კვალიფიკაცია, როგორც წმინდა ფუძის გამოყენება. ამას დადასტურებს შემდგომი მსჯელობაც. შესაძლებელია სტილისტური

¹ ეს — მწერლობაში. ცოცხალ მეტყველებაში რიგის შეცვლას, საფიქრებელია, თავისი შედეგები მოჰყვა. ნ. ქვემოთ.

² ახ. ქართ. მწერლობაში იშვიათად გვხვდება ხმოვანფუძიან მსაზღვრელთა გაფორმებაც ირიბი ბრუნვებისათვის: „ცხრას ზღვასა, ცხრას მთას იქითა“ (ვ. ფშაველა, ეთერი, 1930 წ. გამოც., გვ. 124). „მეფის ძე მონას ქალსთანა“ (იქვე, 122).

მოსაზრებით არქაული წარმოებაც, მაგრამ ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ სიტყვახმარებიდან სავსებით გამორიცხულია.

არევ-დარევა იწყება მაშინ, როცა მსახლერელი თანხმობან-ფუძიანია. ზოგიერთი ბრუნვისათვის საყოველთაოდ უარყოფილია ძველი ქართულის შეთანხმების წესი. იმ შემთხვევისათვის, როცა მსახლერელი გაფორმებულია სრული საბრუნვო ფორმით, იგი საზღვრულს „ეთანხმება“ (უკეთ რომ ვთქვათ, ეულვლება): მიმართულებითში მიცემითის ბრუნვის ფორმით, ხოლო მოქმედებითში — ნათესაობითისა (ახალ-ს კაც ად, ახალ-ის კაც-ით). სამაგიეროდ სრული გაფორმებისას ძველ ქართულს ეთანხმება ნათესაობითის, მიცემითისა და მოთხრობითის ბრუნვის შემთხვევები: აქ როგორც სახლერული, ისე მსახლერელი ერთისა და იმავე ბრუნვის ფორმას ატარებენ (ახალ-ის კაც-ის, ახალ-ს კაც-ს, ახალ-მა კაც-მა). ცალკე დგას წოდებითი, რომლისთვისაც ძველი შეთანხმების ფორმა ერთადერთია (კეთილ-ო კაც-ო). ცალკე დგას, ვაშობთ, იმიტომ რომ ყველა დანარჩენის ბრუნვისათვის მსახლერელი შესაძლოა სრულიად უბრუნვისფორმოდ იყოს წარმოდგენილი, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, წმინდა ფუძის სახით:

ნათ.	ახალ	კაც-ის
მიც.	„	კაც-ს
მოთხრ.	„	კაც-მა
მიმართ.	„	კაც-ად
მოქმედ	„	კაც-ით

მეტად საყურადღებოა, რომ ზოგიერთ სპეციალურ შემთხვევაში მსგავსი „შეთანხმება“ შესაძლებელია თვით სახელობითშიაც: ასე, მაგალითად, ლიტერატურაში შეიძლება შეგვხვდეს: კეთილ კაცი-ვით. აქ მოქმედებს, საფუძვლებელია. ენკლიტიკა, და აღებული შემთხვევა უნდა განიილულ იქნეს რიტმული ფაქტორებით განოწვეულ ფაქტებთან ერთად, რის შესახებაც ქვემოთ ვიტყვი. აქ უთუოდ ანალოგიასაც უნდა ჰქონდეს ადგილი. რამდენადაც „-ვით“ მიცემით ბრუნვასაც ერთის (კეთილ კაცსა ვით).

ახალ მწერლობაში გვხვდება შეთანხმების კიდევ ერთი სახე. სახელდობრ, ნათესაობითისა და მოქმედებითის ბრუნვისათვის მსახლერელი წარმოდგენილია, თუ ფორმის თვალსაზრისით შევხვდავთ, სახელობითი ბრუნვის ფორმანტი (კეთილ-ი კაც-ის, კეთილ-ი კაც-ით). როგორ გაჩნდა ეს ფორმა, ან რას წარმოადგენს

ის სინამდვილეში? ჩვეულებრივად მიღებულია აზრი, რომ აქ ჩვენ საბჭუნეო ფორმანტების ნაშთებთან გვაქვს საქმე: ფონეტიკური გზით, პირველ შემთხვევაში ნათესაობ. ბრუნვის ფორმანტმა დაკარგა ბოლოკიდური „ს“. მეორე შემთხვევაში კი — მოქმედ. ბრუნვის ფორმანტმა ბოლოკიდური „-თ“ (-ის | -ით → ი). რა თქმა უნდა, ასეთი გზით აღნიშნული ფორმების მიღება საყსებით შესაძლებელია თეორიულად და ფაქტიურადაც. საგულვებელია, რომ ათა ერთი შემთხვევა სწორედ ამ ნიადაგზე არის წარმოშობილი. მაგრამ არადამაჯერებლად მაგეაჩნია შეთანხმების მოცემული სახია მთლიანად ოდენ ფონეტიკურ ნიადაგზე აღმოცენების შესაძლებლობა. ავილოთ. კერძოდ, მოქმედებითი ბრუნვის შემთხვევა: სრული გაფორმებისას, ახალ ქართულში, მსაზღვრელი აქ ხომ ნათესაობითის ბრუნვის ფორმით გვევლინება (კეთილ-ის კაც-ით), და არა მოქმედებითისა (კეთილ ით კაც-ით). თუ მოცემულ თვალსაზრისზე დავდებებით, ძაშინ განვითარების ასეთი რიგი გვექნება: -ით → -ი(თ) → -ის. მაგრამ როცა ჩვენ ვამბობთ, რომ მეორე წევრი ამ ჯაქეისა (-ი) წარმოადგენს მხოლოდ ფონეტიკურ სააეცვლილებას მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტისას (-ით). ამით ხომ იმასაც ვამბობთ, რომ ენობრივი შეგნება იგივე დარჩა, რომ აქ იაეე მოქმედ. ბო. იგულააბნება. და გაუვება რი იღება, რანაირად შეიგუა ძველმა მოქმედმა (მოქმ. ბრ.) შეგნებამ სრულიად ახალი, განსვავებული (ნათეს. ბრ.) ნორჟოლოგიური ელემენტი (-ის)? მაგრამ საკითხი უფრო რთულია, ვიდრე პირველი შეხედვით შეიძლება გამოჩანდეს, იმიტომ რომ განსჯად შენთხვევაში არა მარტო იველი მორჟოლოგიური შეგნებაა დარღვეული, არამედ დარღვეულია ძველი სანტაქსური შეგნებაც. უკეთ რომ ვიქვათ, პირველ ოიგში სწორედ ეს უქანასქნელი უნდა მონადარიყო, რომ მსგავსი სინტაქსური ფაქტი მიგველო. მართლაც, თუ ძველსა და ახალ ფორმებს დავუპირისპირებთ ერთმანეთს — „კეთილ-ით კაც-ით“ და „კეთილ ის კაც-ით“, — იცულებული ვიქნებით აღვიაროთ, რომ აქ პრინციპულად განსვავებულ სინტაქსურ ფორმებთან გვაქვს საქმე: თუ პირველ შემთხვევაში სიტყვათწუედლების ის სააეა, რომელსაც შეთანხმება ეწოდება, მეორე შემთხვევაში შეთანხმების შეაბებ მხოლოდ პირობითად (გავითვალისწინებთ რა ისტორიას) თუ ვილაპარაკებთ, ხოლო თუ მარტოდოდენ ფორმალურ თვალსაზრისზე დავდებებით, შეუძლებელი იქნება ასეთ კომბინაციას შეთანხმება დავარქვათ.

მოვიგონოთ, რომ ასეთივე დარღვევა შეთანხმების ძველი ფორმისა, ან შეთანხმების საერთოდ უარყოფის ანალოგიურივე შეპიბევა, ჩვენ გვაქვს მიმართულ. ბრუნვისთვისაც, როცა მსახლერელი მიმართულა. ბრუნვის ფორმანტის (-ად) ნაცვლად ნიცემითის ბრუნვის ფორმანტს (-ს) ითვისებს (კეთილ-ს კაც-ად), — ეს სალიტერატურო ენისთვის, ხოლო კილოებისთვის ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსგავს მოვლენას ყველა დანარჩენი ბრუნვისთვისაც ვხვდებით, როგორც ქვემოთ უფრო დაწვრილებით იქნება განმარტებული, და იძულებული ვიქნებით დავასკვნათ, რომ აქ არა მარტო ფონეტიკურ ცვლილებებთან გვაქვს საქმე. არამედ კიდევ უფრო არაფონეტიკურთანაც, სახელდობრ, ისეთ ცვლილებებთან, რომელნიც ანალოგიით არიან ვამოწვეულნი. კარდინალური როლი ამ ამბებში, ჩვენი აზრით, ითამაშა ანალოგიამ ხმოვანფუძიან მსახლერელთან (ბრმა კაცი და მისთ.). მაგრამ როგორ მივიღეთ თვით ამოვანფუძიან მსახლერელთა თავისებური და ზემოთაღნიშნული შეუღლება სახლერულ სიტყვებთან? აქაც. ალბათ, ანალოგია ნოქედებდა უმთავრესად: ცნობილია, რომ ახალ ქართულში ხმოვანფუძიანმა სახელებმა საზოგადოდ დაკარგეს სახელობითის ბრუნვის ნიშანი: მამა ხელი მამა-ა (← მამა-ი)-ს ნაცვლად. ასეთ სახელს არ შეეძლო ეს (სახელობითი ბრუნვის) ფორმანტი მიეღო მაშინაც, როცა იგი მსახლერელის როლში გამოდიოდა, ე. ი. ფაქტურად მსახლერელი არ ეთანხმებოდა სახლერს უკვე სახელობითსავე ბოუნვაში. ეს საფუძველი გახდა ანალოგიური წარმოებისათვის სხვა ბრუნებისთვისაც: იქაც შეთანხმება უარყოფილ იქნა და მსახლერელი ფუძის ფორმით დარჩა წარმოდგენილი. უნდა გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე ამ ნეჰანიზმის ფონეტიკური მხარე: ცნობილია, რომ ხმოვანფუძიანთა კანკლედობას უწინააღმდეგობა ახასიათებენ. თვით ნომინატივის ნიშნის დაკარგვა ხომ ფონეტიკურ ნიადაგზე მოხდა. ხმოვანფუძიანი სახელები საკმაოდ ნიშნულთან ფენას წარმოადგენენ ქართულში, და აღწერილ წარმოებას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა იმ შემთხვევებზედაც, როცა მსახლერელი თანხმოვანფუძიანი იყო. აქ ანალოგიას შეეძლო ორიგინალი შედეგი მოეცა:

1) თუ „ხმოვანფუძიანი შეთანხმება“ გაგებული იქნებოდა როგორც მსახლერელისათვის სახელობითი ბრუნვის ფორმის გამოყენება (ასეთ გაგებას ის საფუძველი აქვს, რომ, როგორც ვთქვით, ხმოვანფუძიან სახელებს საზოგადოდ დაკარგული აქვთ სახელ. ბრუნვის ნიშანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა,

ან იქნებ სწორედ ამიტომ. ეს მათი უფორმოება (ამ შემთხვევისათვის) წარმოადგენს სახელობითი ბრუნვის სპეციფიკურ ფორმას), მაშინ, ანალოგიის ძალით, თანხმომავანფუძიანი მსახლვრელი მოგვევლინებოდა ყველა ბრუნვაში თავის ნომინატივის ფორმით, ე. ი. -ი-ს დართვით (კეთილ-ი კაც-ი, კეთილ-ი კაც-ს, კეთილ-ი კაც-მა, კეთილ-ი კაც-ად და სხვ.). ასეთმა „შეთანხმებამ“ ზოგიერთ ქართველურ ენაში საესებით გაიმარჯვა, როგორც, მაგ., ნეგრულ-ქანურში. პროფ. ი. ყიფშიძე ამბობს, რომ „თუ ზედსართავი მსახლვრელია, ის არ იცვლება არც ბრუნვასა და არც რიცხვში“ (ნეგრ. გრამატიკა, 032). კიდევ უფრო მკაფიოდ გამოხატულია ეს ქანურში. უეჭველია, მეგრულისა და ქანურის გავლენით ასეთი წარმოება გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს ქართულ კილოებში, მაგალითად, ქვ. იმერულსა და გურულში; ძლიერ იშვიათად, ასეთი ფორმა, ნათ-ისა და მოქმედებითის გარდა სხვა ბრუნვაშიც შეიძლება კაცმა აღმოს. საქართველოშიც გაიგონოს. ეს შეიძლება მოხდეს (ვიმეორებთ, კანტაკუნტად) იმ შემთხვევაში, თუ საზღვრულს წინ ორი მსახლვრელი უსწრებს: მაშინ პირველი (რიგით) ამ მსახლვრელთაგან შეიძლება, მაგალ. მიცემითის ან მიმართულებითის ბრუნვის მაგიერ სახელობითის ფორმით იყოს წარმოდგენილი. ასეთი „შეთანხმება“ მიცემითის, მიმართულებითის, მოთხრობითისა და წოდებითის ბრუნვის შემთხვევებისათვის წიგნიერი წრეების მიერ არალიტერატურულ ფორმებად არის განაზრებული და კლასიკოსთა ნაწერებში არასოდეს არ გვხვდება. თანამედროვე მწერლობაში ასეთი ფაქტები შემოაქვთ დასავლ. საქართველოდან გამოსულ პირთ, ლიტერატურულად მცირედ განათლებულთ. მაგრამ გვხვდება ისეთ პირთა ნაწერებშიც, რომელნიც წარმოშობით აღმოს. საქართველოს ეკუთვნიან: „თანდათან ... ისტორიული დავით II... იქცა ... მიღია - სპარსეთის მეზობელი და მებრძოლი, ქრისტიანი „მეფე დავით-ად“ („ჯვაროსანთა დროიდან“, გვ. 136), ... „ეს ანტიოქიის ჯვაროსანი სამთავრო სწორეთ მაშინ განსაკუთრებული პირობებში იმყოფებოდა“ (იქვე. 140 და სხვაგანაც). ასეთი ფაქტები ავტორის კილოს კუთვნილებად კი ვერ ჩაითვლება, არამედ გარეშე გავლენების შედეგად უნდა იქნეს მიჩნეული. თანამედროვე მწერლობაში ასეთ ფორმებში უფრო ხშირად გვევლინება მსახლვრელი, რომელიც „ნამოქმედებითარ“ ზედსართავს წარმოადგენს, რაიცა გამოწვეულია საკიროებით გარჩეულ იქნეს ზედსართავის ფორმა საკუთრივ არსებ. სახელის ინსტრუმენტალისის ფორმისაგან: „დრო-

ებით მთავრობას დაუდგენია“—ასეთმა ფრაზამ შეიძლება გაუგებრობა დაბადოს — მთავრობაა დროებითი თუ მისი დადგენილება? ლიტერატურულად განათლებულნი ამ გაუგებრობის თავიდან აცილებისათვის მსახლერელს სრული გაფორმებით იანმარენ (დროებითს მთავრობას), ისინი კი, ვინც მსახლერელ-სახლერულს, ასე ვთქვათ, „ი“-ანი შეუღლებებისკენ იხრება, — „დროებითი მთავრობას“. შემდეგ ასეთი ფორმები გავლენას სხვა წარმოშობის მსახლერელებზედაც ახდენენ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მსახლერელ-სახლერულს შეუღლებებისას მსახლერელის ნომინატივის ფორმანტი წარმოდგენა ნიციემითის, მოთხრობითის, მიმართულებითისა და წოდებითი ბრუნების შემთხვევებისათვის, ლიტერატურული ენის მდგომარეობის თვალსაზრისით, საესებით დიალექტური ფაქტია და მსგავსი ფორმები არც ერთს ჩვენებურ ლიტერ.-გრამატ. სკოლას, გრამატიკოსს ან ცოტათი თუ მეტად ცნობილ მწერალს არ დაუცავს და არც უხმარია. ზემოთმოტანილი ან სხვა შესაძლებელი ანალოგიური მაგალითები შემთხვევითი ხასიათის შეცთომებად უნდა ჩაითვალოს.

2) თუ ხმოვანფუძიანი შეუღლება გავებული იქნება როგორც მსახლერელის წმინდა ფუძით (წრფელობ. ბრ. ფორმით) გამოყენება, მაშინ თანხმოვანფუძიანი მსახლერელიც ბრუნვის ფორმანტის მოკვეცილ დაუქაეშირდება სახლერულს ყველა ირიბ ბრუნვაში, გარდა წოდებითისა. აქ ანალოგია იმოვანფუძიანებთან ნხოლოდ ჰშველოდა იმ პროცესს, რომელიც, საფიქრებელია, თავისთავად იყო დაწყებული. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, უეკველია, მსახლერელ-სახლერულის ურთიერთმდებარეობის რიგის შეცვლას. ამ ნიადაგზე, როგორც ცნობილია, კატეგორიულად უარყოფილ იქნა ძვ. ქართ. შეთანხმების ერთი სპეციალური სახე. თუ ძვ. ქართულში იტყოდნენ: „ქელითა კაცისაჲთა“, „ქელითა კაცთა კეთილთაჲთა“ (მართვა + შეთანხმება), რიგის შეცვლისას ასეთი ფორმა უკვე შეუძლებელია და ვაშობთ: „კაცის ხელით“, „კეთილ კაცთა ხელით“. მოკმედება აგრეთვე, რა თქმა უნდა, მეტყველების ახალი ტემპი, რომელიც აღნიშნული რიგის ცვლილებასთან, თავის მხრით, კავშირში იმყოფება და რომელიც უფრო ეკონომიურ ფორმებს მოითხოვდა, ხოლო ფორმანტების თვით შეკვეცის შესაძლოება დამყარებულია ქართ. ენის აგლუტინაციურ თვისებებზე: მსგავსი ფორმალური ელემენტები ადვილად სცილდებიან თავის ფუჟს (შეადრ. წავიდ-წამოვიდნენ და მრავ. სხვ.). ასეთი წესი მსახლერელის დაკავშირე-

ბისა საზღვრულთან ფართოდ გაერცელებულია ახალ სალიტერ. ქართულში და წას ამ უკანასკნელის საუკეთესო წარმომადგენლები ხნარობენ.

როსავე ზემოთგანხილულ წესს მსაზღვრელ-საზღვრულის შეფუძვლებისას ერთი და იგივე ენობრივ-ფსიქიკური საფუძველი აქვს — წითანაწების უარყოფა. აქ შეიძლება დაეუბრუნდეთ ზემოთწამოყენებულ საკითხს მოცემული მოვლენის კვალიფიკაციის შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძველი შეთანხმების ადგილი კომპოზიტიის თავისებურება სახემ დაიჭირა (ეგულისხმობთ ირიბ ბრუნვებს, ეოკატივია გამოკლებით). კომპოზიტია იგი იმდენად, რამდენადაც ფორმის ცვალებისას მორფოლოგიურ ელემენტს მხოლოდ ერთი კომპონენტი საჭიროებს, ჩვეულებრივი კომპოზიტებისგან კი თავის წყნრთა სუსტი კავშირით განსხვავდება. ეს კავშირის სისუსტე იმასი გამოიხატება, რომ ამ კომპოზიტის შემადგენელი ნაწილები შეიძლება გადასმულ იქნეს, რაც ჩვეულებრივს კომპოზიტში შეუძლებელია. მაგრამ თვით ეს გადასმა ამასთან ერთად ააშკარავებს ამ ენობრივი მოვლენის სწორედ კომპოზიტურ ხასიათს. კავშირის სისუსტე იმაშიააც ჩანს, რომ მსაზღვრელიც შესაძლოა გაფორმებულ იქნეს ზოგიერთი ბრუნვისთვის მთქმელის სურვილისაგან, ხოლო სხვა ბრუნვებისთვის სავალდებულოდ ან უპირატეად. შემდგომი მსჯელობისათვის საჭიროა მსაზღვრელ-საზღვრულის დაკავშირების სამისავე ნაწილები საბის განცალკევებით გათვალისწინება.

1. მსაზღვრელის ფუძის ფორმით დაკავშირება საზღვრულთან. ეს იქნება შეთანხმებიდან მიღებული თავისებური კომპოზიტი. ასეთი წარმოება სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. ქართულში საკმაოდ ნოიპოვება შეთანხმების ნიადაგზე მიღებული კომპოზიტები, და მათი წარმოების ჩვეულებრივი წესი სწორედ ისეთია, რომ ერთი კომპონენტი ფუძის სახით არის წარმოდგენილი. ავილოთ ისეთი შენაწევრები, როცა მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს: ავგული, ავბედი, ავგვარი, ავდარი, ავენა, ავზნე, ავაგალი, ავკაცობა, ავმუცელა, ავპირი, ავოჯული, ავსაქციელი, ავსიტყვა, ავსულობა, ავსული. ავყია, ავხორცი, დიდვაქარი, დიდმარბვა, დიდკაციური, დიდმუცელა, დიდსულოვანი, დიდძალი, დიდგული, დიდგვარი, გოყელყურა, თეთრეკალა (მცენ.), თეთრყურძენა, კეთილდღეობა, კეთილზნობა, კეთილსახე, შავბალახა (მცენ.), შავბედი, შავფურცელა # შავწაწა (მცენ.), შავკაალა (მცენ.), შავწარბა,

შეწვერა, წითელკაბა (მცენ.), წითელირია (მცენ.), წითელყელა (ცხ.) და შრაფ. სხვა. გვაქვს რამდენიმე სიტყვა ამ რიგისა, სადაც კომპოზიტის ორივე ელემენტი გაფორმებულია. მაგრამ სალიტერ. ქართულის თვალსაზრისით უეჭველად ანომალიებად უნდა ჩაითვალოს. ასეთია, მაგ., ქალიწვილი და ვაჟიწვილი. ეს სიტყვები დას. საქართველოს დიალექტებში უნდა წარმოშობილიყვნენ, — ქართლ-კახეთში ისინი თითქმის სრულებით არ იამარბებიან, — ხოლო ჩათი წარმომშობელი კილოებისათვის ასეთი წარმოება შესაძლებელი იყო ზემოთაღნიშნულ ნიადაგზე, რომელიც მეგრულ-ქანურმა ფენამ შეამსადა, თუ ამას გარდა აუ ვიგულისამებთ ანალოგიასაც მართვით მიღებულ კომპოზიტებთან, რომლებშიც მართული სიტყვის ფორმა ფონეტიკ. გზით დაენგავსა სახელობითისას, თუნდაც იმავე ნათესაობის ტერმინებში. ბიძაწვილი, მანიაწვილი. სასლაკაცი, ოჯახიწვილი და სხვ. თორემ თუ ავიღებთ იმავე ტიპის კომპოზიტებს, რომლებშიც მსახლერელი აგრეთვე არსებითი სახელია, ოღონდ უფრო ძველთ და უფრო ფართოდ გავრცელებულთ, წინააღმდეგს დაეინახავთ: ქალწული, ვაჟკაცი, ყმაწვილკაცი, ლომკაცი, მგელკაცი, ქალშერთი, ღმერთკაცი, ცხენკაცი, ჟამჯულანი, ვაშლატამა, ნემსკავი და სხვ.

ასეთ დასრულებულ კომპოზიტებთან, რა თქმა უნდა. ჩვენ განსჯადი წესდვლების („კეთილ კაცის“) წმინტევეებს არ ვაიკვებთ. უკანასკნელთ კომპოზიტება ვუწოდებთ იმდენად, რანდენადაც აქ ორი სიტყვა იმრიგად დაუბალოცდა ერთმანეთს, რომ ერთ მათგანს გარკვეულ პირობებში გაფორნება აუარ სქირდება. რომ ეს გაუფორნებლობა სწორედ ამ დაახლოების შედეგია, ჩანს იმ წმინტევიდან. როცა მსახლერელ-სახლერული ჰმორდებთან ერთმანეთს, როცა მათ შორის ჩარაული სიტყვა (ან სიტყვები) ჩნდება: -დღე ილულავდა თვალენსა, ცი ენა დაჰბერა ნიავენა“ (ვ. ფნაველა, „სისხლის ძიება“, ტ. II, გვ. 315, 1930 წ. განოც.). უკანასკნელ ფრაზაში მსახლერელი („ციემა“) გაფორნებულია და ეთაქსება სახლერულს. მოცემული მნიშვნელობით სხვაჯარი ფორმა აქ შეუძლებელია. არ შეიძლება ვთქვათ: ციე დაჰბერა ნიავემა, ან ციეი დაჰბერა ნიავემა, და იმავე დროს შევინარაქნოთ შეგნება ციეის, როგორც ნიავეის მსახლერელის, შესახებ. მაგრამ თუ შევასწავლეს ადგილს ნოვეუცელით და მსახლერელ-სახლერული დაუბალოცდებიან ერთმანეთს, მაშინ მსახლერელმა ადვილად შეიძლება ბრუნვის ფორმანტი მოიცილოს, და იქნებ ახალი ქართულის თვალსაზრისით ასეთი წესდვლება უპირატესიც კი იყოს: ციე ნიავემა დაჰბერა.

ასევე არ შეიძლება მოვაცილოთ ბრუნვის ფორმანტი მსაზღვრელს ვაჟასავე ლექსში: „მხედარი თავმოწონებულს ჰგავს მთას შემომხდარს მთვარესა“ (იქვე, 315; პირველ მსაზღვრელს ვგულისხმობთ). ასევე აუცილებელი ხდება მსაზღვრელის გაფორმება, თუ იგი საზღვრულს შემდეგ დაისმის. აქ ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ამგვარი რიგი არქაულია და ამიტომ არქაულივე სიტყვათშეუღვლების ფორმა უფრო ადვილად აღიდგენს თავს, უმთავრესად, რა თქმა უნდა, ლიტერატურული ტრადიციის ზეგავლენით. ასეთი თავისებური კომპოზიტიური წარმოებანი ახალ ქართულში სხვა ნიადაგსა და პირობებშიც ჩნდებიან და მკვლევრისთვის დიდ ინტერესსაც შეიცავენ, — მაგრამ მათ შესახებ ვეცდებით სხვაგან წარმოვადგინოთ ჩვენი შეხედულება.

2. იმ შემთხვევაში, როცა მსაზღვრელი საზღვრულს სახელ-ბრუნვის ფორმით ეუღვლება ირიბს ბრუნვებშიაც, ჩვენ აგრეთვე „კომპოზიტებთან“ გვაქვს საქმე, და აქ სისტემა კიდევ უფრო თანამიმდევრად არის დატული. მაგრამ ასეთი წარმოება სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით არანორმალურად უნდა ჩაითვალოს: მის მთავარ პირობას წარმოადგენს ნომინატივის ფორმანტის შეგნების დაკარგვა ან დაბნელება, რაიცა სამწერლო ქართულისთვის სრულებით უცხოა. სამაგიეროდ, კანურისთვის ეს უკვე მომხდარ ფაქტად უნდა ჩაითვალოს: იქ სახელობითი ბრ. დაბოლოება შეეხორცა სავსებით ფუძეს (ნ. მარი, კან. გრამ., §§ 12 და 23). აკად. ნ. მარს ეა მოვლენა საერთოდაც კი მიაჩნია „ტუბალ-კაინური“ ენებისათვის, ე. ი. მეგრულ-კანურიასათვის (იქვე, § 12). მეგრულის შესახებ თუქ ამის თქმა კატეგორიულად არ შეიძლება, მაგრამ იქაც ეს პროცესი უკვე დაწყებული უნდა იყოს. ამით აიხსნება, რომ ამ ენებში კანკლედობისას მსაზღვრელი ან სრულიად უცვლელი რჩება (კანურში), ან თითქმის უცვლელი (მეგრულში), ე. ი. ინარჩუნებს ნომინატივის დაბოლოებას. ამ ენების გავლენით ასეთი შეუღვლება მსაზღვრელ-საზღვრულისა გავრცელდა დასავლეთ საქ. ქართულ კილოებშიც. ამ ნაკადის პროდუქტებად მიგვაჩნია, როგორც ვაშობდით, მაგავსი წარმოებანი: ქალიშვილი, ვაჟიშვილი, ბერბაცაი.

3. მსაზღვრელი ეუღვლება საზღვრულს სრული საბრუნვო დაბოლოებით გაფორმებული. აქ ძველი შეთანხმების ფორმის შეგნება სავსებით დატულია სახელობითსა და წოდებითში, საკმაოდ ძლიერია მოთხრობითში, ხოლო ნიციემითში იგი სპორადულად აღიდგენს თავს და გარეგნულად მაინც სიტყვათშეუღვლებების ფორმა

აქაც ძველია. დანარჩენი ბრუნებები ცალკე უნდა იყოს განილული. მიმართულებითისა და მოქმედებითისათვის უკვე ვამბობდით, რომ მათს შემთხვევებში შეთანხმება უარყოფილია. რა გვაქვს მის მაგიერ? ვფიქრობთ, რომ ეს ფორმებიც თავისებურ კომპოზიტებად უნდა იყოს მიჩნეული. მიმართ. ბრ. შემთხვევა ემსგავსება ისეთ კომპოზიტებს, როგორცაა: „ჩემს მეტი“ (ჩენა მეტს, ჩემს მეტმა...). ხოლო მოქმედებითისა — ასეთს: კირისუფალი, ან უფრო: რუსის მწერალი (რუსის მწერალმა, რუსის მწერლით..). მართლაც, მსახლერელ-საზღვრულის განაილვადს შემთხვევებში მიცემითისა და ნათესაობათის ბრ. ფორმანტებს დაკარგული აქვთ თავისი მორფოლოგიური და სინტაქსური ფუნქციები. ისინი რალაც ფონეტიკურ მეტაბოციებს წარმოადგენენ. და თუ გაჩნდნენ, ალბათ — ანალოგიით ზემოთ-დასახელებულ კომპოზიტურ წარმოებებთან და მას შემდეგ, რაც გაუქმებულ იქნა თვით ფსიქიკური ფორმა შეთანხმებისა. რომ ეს ასეა, ამასაც მსახლერელ-საზღვრულის გათიშვა ან გადასნა წარმოაჩენს, სადაც უკვე ასეთი გაფორმება მსახლერელისა შეუძლებელი იქნება. არ შეიძლება ვთქვათ: „კეთილსა მივიჩნიე კაცად“, ან „ხმაშალალის დაეიძახე საყვირით“, არამედ უნდა ითქვას: „კეთილად მივიჩნიე კაცად“ და „ხმაშალალით დაეიძახე საყვირით“. ასევე მიუცილებელია სრული შეთანხმება გადასნისას: „დადის და ყველას არიგებს სიტყვით იმურით და მტკიცითა“ (ვაჟა, „სისხლის ძიება“, 314). და ამიტომაც რითმის გულისათვის ნაშინარად გვეჩვენება: „ყველაზე მტრულად მერჩოლი, არვისთან მქონი ზავისა, გულამღვრეული მუდამ-ჯაშს, სახითა ფერად შავისა“ (იქვე, 313). სალიტერ. ქართულის შეგნების თანახმად აქ უნდა ყოფილიყო „შავითა“, ან საზღვრულიც გენეტიკში უნდა ყოფილიყო დასმული. რაც შეეხება ნათესაობითის მენტხევეას, აქაც, თუმცა მსახლერელი საზღვრულთან ერთად იმავე ბრუნვის ფორმანტს ითვისებს, მაგრამ შეთანხმების ფსიქიკური მექანიზმი მოწლილი უნდა იყოს. ეს ჩანს იქიდან, რომ მოსალოდნელ შემთხვევებში მსახლერელი სიტყვა არ ემორჩილება რედუქციას, ბრუნვის (ან შემთხვევაში, გენეტიკის) ფორმანტით გამოწვეულს: „მალალის გრძნობის მექონი“ (ნ. ბარათაშვილი) და სხვ. ეს იმას ნიშნავს, რომ მსახლერელის დაბოლოებას თუ მთლად დაკარგული არა, საკმაოდ გავალებული აქვს თავისი მორფოლოგ. ფუნქცია, რომ ის უფრო ლიტერატ. ტრადიციის გამოძახილია და რომ მის წარმოებისას ცნობიერებაში არსებობდა და მოქმედებდა მსახლერელის საზღვრულთან წმინდა ფუნქციის სახით შეუღლებული ფორმაც („მალალ გრძნობის“). და

როცა იწვიათად ვხედვებით შემთხვევას მსახლერელის რედუქციისას, იგი იველი შეთანხმების ფორმად უნდა მივიჩნიოთ „ნახევრის მარკკლის“ (ბ. გაბუტრის ხევა. მასალები, „წელიწდელში“, გვ. 141).

როგორ უნდა მოწესრიგდეს ეს მრავალსახეობა? წოდებითი ბრუნვის გამოკლებით, რომლის შესახებაც დავა არ არსებობს, შეთანხმების ძირითად ფორმად უნდა მიჩნეულ იქმნეს მსახლერელის ოდენფუძიანობა. უწინარეს ყოვლისა, ამას მოითხოვს სალიტერატურო ენის ფაქტიური მდგომარეობა: აღმოსავლეთ საქართველოა კილოები და აქედან გამოსული მწერლები, აგრეთვე ქართველი კლასიკოსები დასავლეთ საქართველოდან, უპირატესობას აძლევენ ამ ფორმას (განსაკუთრებით -ი-ან ფორმასთან დაპირისპირებით). ამ ფორმას მოითხოვს აგრეთვე საქიროება დაცულ იქმნეს წარმოების ერთსახეობა, რადგან იგივე ფორმა სრულიად აუცილებელია ხმოვანფუძიანი მსახლერელებისათვის და -თ-იან მრავლობითში (კეთილ კაც-თა, და არა: კეთილ ი კაც-თა). ამ ფორმას მხარს უჭერს აგრეთვე ის გარემოება, რომ ლექსში ნეტრის მოთხოვნილებით მისი ხმარება სავსებით დაკანონებულია. შეუძლებელია აგრეთვე იმის უწყურადღებოდ დატოვება, რომ თანამედროვე სამწერლო ქართულში ოდენფუძიანი მსახლერელი ზოგიერთი ბრუნვისათვის გაბატონებულია (მაგ. მიცემითისათვის, განსაკუთრებით კი მიმარაულებითისათვის), და ენის განვითარებაც იქით მიდის, რომ ასეთი ფორმა დანარჩენი ბრუნვებისათვისაც გაბატონოს (ვინაიდან, თუ მივიღებდით, რომ უწყებულ -ი-ან შემთხვევებში „ი“ ბრუნვის ფორმანტის ნაშთია, ცხადი იქნებოდა, რომ ფორმანტის სრული მოკვეცა ევოლუციის ამავე საზღვრს უფრო ახალი ფაქტი იქნებოდა: -ის || -ით → -ი → 0). ასეთ ფორმებს მხარს უჭერს ის ენობრივ-აზროვნებითი ინტენცია, რომელსაც ჰქმნიან შეთანხმების ისეთი შემთხვევები, როცა მსახლერელი არის ან ნაცვალსახელი, ან არსებითი სახელის გენეტივიდან ნაწარმოები, ან არსებითი სახელები იმავე ბრუნვის ფორმით (ოქროს, ვერცხლის, რუსის...). ასეთი ნაცვალსახელები შეთანხმებისას უფრო ადვილად ჰქარგავენ ბრუნვის ფორმანტს, ბოლო არსებითი სახელები მათ არააოდეს აო იღებენ.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა მეტად სასურველი იქნებოდა პრაქტიკულ-ორთოგრაფიული მოსაზრებითაც, რამდენადაც უაღრესად გააადვილებდა ბრძოლას ისეთ სრულიად შეუწყნარებელ ფაქტებთან, როცა შეთანხმებისას ეს „ი“ ჩნდება მიცემითის, მომარაობითისა და მოქმედებითის ფორმანტების ალაგას.

ამასთან ერთად უნდა დატოვებულ იქნეს შესაძლოება მსახურელის სრული გაფორმებისთვის იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ხმარებული და ცოცხალია და რამდენადაც მის მიუცილებლობას სტილიპტიკური, სამეტრო, ზოგჯერ ლოგიკური, მოწინებები განსაზღვრავენ.

ამ მოსაზრებათა გაზიარება გვაიძულებდა -ი-ანი ფორმების დატოვებას, როგორც შესაძლებელი ფორმებისას (I-ისა და III-ისათვის და საერთო წესი მიიღებდა შემდეგს მარტივ სახეს:

ა) შეთანხმებისას დაბოლოება -ი მსახურელს შეიძლება ჰქონდეს ხოლოდ სახელობითი ბრუნვისათვის სავალდებულოდ, ხოლო ზოგ შემთხვევაში (I-სა და II ში).

ბ) დანარჩენი ბრუნვებისათვის მსახურელი წარმოდგენილია ან ფუძის სახით, ან სრული საბრუნვეო გაფორმებით.

შენიშვნა. სრული გაფორმებისას მიმართულებითი ბრუნვისათვის (ე. ი. როცა ან ბრუნვაშია სახლურული) მსახურელი იღებს მიცემ. ბრ-ის ფორმას (კეთილ-ს კაც-ად), ხოლო მოქმედებითისათვის — ნათესაობითისას (კეთილ-ის კაც-ით).

გ) სრული გაფორმება სავალდებულოა წოდებითისათვის, ხოლო სხვა ირიბ ბრუნვებში შეიძლება იმარებელი იყოს თავისუფლად გრაპატიკულ, ლოგიკურ, სტილისტიკურ და სხვა მოსაზრებათა გამო.

ნიმუშები

აკაკი, ჩემი თავგადასავალი, თბილისი, 1903 (აკაკის წინასიტყვაობა აქვს სპეციალურად ამ გამოკვინისთვის).

„მივარდნილ მთის კალთაზე“ (1), „ახალ ფეხ-ადგმულ ბავშვით“ (1), „ვაშაკურ მედიდურობით“ (1), „შორის გზით მიმავალი“ (2), „წინასწარის ზედწარწერი“ (3), „ათი თვის ბავშვ“ (5) „გონიერულ ჩვეულები მიზეზი“ (6), „სხვადასხვა გვარ შეკამადის მომზადება“ (8), „თავის საკუთარი ნახულობით“ (11), „ბუნება მისის სავადასხვა ფერობით“ (11), „თავის თვალთ ჰაედავს“ (11), „წინააღმდეგ ჩემის მოთხოვნილებიას უნდა ნხოლოდ სხვის ბძანებით ვიმოძრაო“ (12), „თავისი სურვილით“ (13), „ერთი მხრით“ (13), „თავის ხელით აკეთებენ“ (13), „თავის ხელით“ (14), „ექვსი-შვიდი წლის ნამდვილი ბუნების შვილი ვიყავი“ (14), „დიდის ამბითა და აპალით“ (15), „ერთი კუთხიდან“ (16), „გარდა... ერთი უფროსი ვაჟისა“ (30), „ამ ევროპიულად განათლებულმა და გონება-განვითარებულ მეცნიერებმა“ (31), „რაც კი იმ დროში ქართველ-ქალის ხელიდან გამოვიდოდა“ (დეფისი გამოცემა-

შია. 31), „უსაქმურობა დედა არის ყოველ-გვარ ბოორტებისა-
(31), „ის იყო ნამეტანი ჩვილი გულის მექონი და მოყვარული“
(32), „კეთილის განზრახვით“ (32), „თავის ხელით უვლიდა“ (32),
„გრცხვენოდეს უკადრისი საქციელისო“ (33), „ამ ორს, სრულიად
ერთმანეთის წინააღმდეგ ბუნების მექონ ადამიანს“ (36), „ამგვარი
საქმიების ჩამდენი“ (38), „ძლიერი გონების კაცი იყო“ (38), „მი-
უხედავად მისი ახირებულობისა“ (39), „გამაჩემის ახირებული ხასი-
ათის“ (40), „სამი დიდი ხელმწიფის... წყალობას“ (42), ჩემი გა-
კაცებისთვის (43), „ისეთი გულმოსულობით“ (43), „მე რა ვიცი
ახალ რიგისა და წესებისა“ (43), „ჩემი ქალარისათვის“ (43), „ყო-
ველ დღესასწაულების წინ“ (44), „მისი შვილების წიგნები“ (44),
„გარდა ერთი ოთხმოცდაათი წლის მოხუცისა“ (46), „თავის სახლ-
კარის“ (47), „თავისი სახლიდან“ (47), „ჩვენი სახლის“ (50), „სამი
კუახით“ (50). „ამგვარი საქმის კეთება“ (51), „სახე... ყველა დიდ-
ოჯახებშია“ (53), „მაშინდელი ბატონ-კმობის წესი და რიგი“ (53),
„ნახევარ კვერცხის ბეგარა“ (54), „ამ ერთგული სამსახურისათვის“
(54), „ნახევარი კვერცხის გადახდა“ (54), „გამოტანილ ბურაკისა-
თვის“ (55), „ოფიშკვეთელი ნიჟარაძის ქალი“ (55), „მისი ქაკი
ცხენით“ (59), „ცალი უღვაშის აწევა“ (59), „დიდის წვერებით და
უღვაშებით“ (64), „ერთი თვის განმავლობაში“ (65), „ქართველი
ქალების მაგივრად“ (129), „რალაც უტნაური ქყვილის ხმა“ (130),
„გამართო ახალ-ახალ, უცხო სანახაობამ“ (118).

ბ. გაბუური, ქვესურული მასალები („წელიწდული“,
წ. I — II):

„შენის თექალთოს კეცება“ (ლექსი) 122

„შენის გულს კერძება“ (ibid.) 122

„ჩვენის ბთიშვილის კარზედა“ (ლექსი) 122

„დიდის ბთიშვილის“ (ibid.) 122

„ჯივეში ნარჩევის რქისასა“ (ibid.) 122

„ცალე (!) ჯელით მცემელს“ (123), „ჩვენი შუღლით“ (124),
„ჩვენის ჯვარის“ (bis) (125, 127), „თქვენის თავისა“ (126,
127), „თავ-თავის სახლებისკე“ (127), „ჩვენის ჯვარისა“ (127),
„ჩვენი ჯვარის“ (127), „თქვენი წყალობით“ (128), „ერთის
წლისა“ (130), „ნაცხენების ანგელოზების მადლი“ (130 — 131),
„მთელ სოფლის ქალი და კაცი“ (132), „ნაცხენებ ანგელოზების
მადლი“ (132). „გმირის როსტომისა ქალზედ“ (134), „ნაკვეთ
ქალის წაყვანაზე“ (136), „ნაკვეთ ქალის მაყვანას“ (136), „ჩემ
ჯორაკას ზეცდართ“ (137), „ჩემის მკვდრისა“ (137), „შენის

მკედრის“ (his 138), „რა მეკიდ შენი მკედართად შასაწირავი“ (his 138), „ბევრის ხეწენით“ (138), „აიმა-და-აიმ ხთიშვილის ძალივ“ (138), „თავის რჯულ-სამართლით“ (139), „თავის სოფლიდან“ (140), „თავის გვარეულობით“ (140), „ნახევრის მარცვლის საქონს აილებს“ (141), „დახვეირის მალალ კმით“ (143), „ჩვენის ჯვარისა“ (144), „თავ-თავის სახლის კარებზე“ (144), „ჩემის ქელისა“ (145), „ამნაირ ლხინით“ (146).

გარეკახური მეტყველება (არნ. ჩიქობავა, გარეკახეთი დიალექტოლოგიურად, „არილი“).

„ერთი ბატის საპალნე“ (81), „ერთ წყლი პირას“ (82), „ერთი თოკით ხელები უკან შიკართო“ (83), „იმათი დის სიყვარული“ (83).

ეგნ. ნინოშვილი, ჩვენი ქვეყნის რაინდი („თხზულებანი“, წ.-ქ. საზ. გამოც., ტფ. 1920, ტ. II).

„ხანგრძლივის წიგნის შემდეგ“ (3), „მცირეოდენი ხნის“ (3), „ერთი კუთხიდან“ (3), „ვაჟეკატური თვალტანადობით“ (3), „ერთს ლაზათიანის გულმკერდის ყმაწვილ ქალს“ (3), „ახოვანის ქაბუკის“ (3), „აუადმყოფი პირისახისა გახუნებული პალტოთი“ (4), „თვრამეტის თუ ცხრამეტის წლის“ (4), „ჩემ გვერდით“ (6), „თორმეტი წლის“ (6), „ერთი ლამით“ (6), „რომელი სოფლიდან“ (7), „ორი სიტყვის თქმაც“ (8), „მთელი მილეთის ხალხი“ (8), „თავის სურვილით“ (10), „ამ საწყალი კაციისთვის“ (10), „ისეთი თვალთ“ (11), „ახნაურ მკლავაძეების გვარში“ (12), „ერთგვარ ცხოვრების კალაპოტში“ (12), „მისი გვარის რაინდი“ (13), „ასეთი შემთხვევების დროს“ (13), „დიდი ღონის პატრონი“ (13), „ექვსი წლის“ (14), „ჩერქეზული ტანისამოსით“ (14), „დიდი პატივისცემით“ (14), „თავისი ფიზიკური ღონით“ (14), „ერთი პატივცემული ქართველი თავადის სასახლეში“ (14 — 15), „ნაცნობი თავადების სასახლეებში“ (15), „ამგვარი გმირული ამბების ტრფიალს“ (16), „კარგა დიდი ხნის ვადით“ (16), „ნაცნობი დიდკაცობის შემწეობით“ (17), „ერთი გლეხის ცოლი“ (17), „ერთი ძეზობელი გლეხკაცის“ (17), „თორმეტის წლის“ (17), „მთელი ერთი კვირის“ (17), „დიდი ხარჯით“ (17), „ერთი გლეხის ცოლს“ (17), „მოკლული გლეხკაცის“ (18), „თავისი განაჩენით“ (18).

ა. ე. კი, ბაში-აჩუკი („რჩეული ნაწერები“, ტ. I, 1925).

„თვალმიუწედომელ სიშორიდან“ (221), „უფრო მეტის სიბრ-
თხილითა და კვნესა-დუღუნით“ (221), „ქვემოატეხილ ჰალეებისაკენ“
(221), „იმ კლდოვან კიღის თავზე“ (221), „ყოველი მხრით შეუვალ
გალანათ შემოხლულულ შენობას“ (221), „ერთის მხრით“ (221),
„ათრთოლებულის ხმით“ (222), „მისი შიშით“ (222), „რომელ კუთ-
ხიდანაც კი მოადგებოდა“ (223), „სამივ მხრით“ (229), „საზარელი
სიმყრალის სუნი“ (223), „ცის ერთი კიდიდან“ (224), „გაჩეჩილი
თმით და გაწკვერტილის უღვაშებით“ (227), „ღვთისა და თქვენის
მოწყალებით“ (228), „თქვენი სიტყვის შებრუნებას“ (229), „ორი-
ათასი კაციით“ (230), „ბატონი მეფის“ (230), „ნაღვლიანის ღიმი-
ლით“ (230), „თავის თვალთ“ (231), „ქარგი კაცის ნათქვამია“
(232), „თავის წინდახედულობით“ (232), „ამდენი ხნის მეცადი-
ნეობანი“ (232), „ჩემის მხრით“ (232), „ჩემი საყნოდანი“ (233), „სიზ-
მრით გამზნევებულსა და დაიმედებულ ერისთავეების სიხარულს
საზღვარი აღარ ჰქონდა“ (234).

ი. ქავჭავაძე, აი ისტორია („ნაწერების სრული კრე-
ბული“, გამომც. „ქართული წიგნი“, ტ. V).

„წლევანდელ თებერვლისა და მარტის ნომრებში“ (3), „სუ-
ლიერის და ნივთიერის ცხოვრებისა“ (3), „ეხლანდელ ყოფა-მდგო-
მარეობის ფორმებში“ (3), „ამ ჩემის სუსტის ღვაწლით“ (3),
„თავის ღონისაგან“ (4), „გამოკვლევას... ძველის-ძველ ცხოვრები-
სას“ (4), „მომცდარის კაცის“ (5), „იმ მთელ კაცობრიობის
აბრთა წყაროში“ (7), „ჩვენის ფიქრით“ (7), „ამ ორგვარ რწმენი-
საგან“ (8), „სრულის ინტენსიურ ცხოვრებისათვის“ (8), „სრუ-
ლის ინტენსიურის ცხოვრებით“ (8, შენ.), „ინტენსიურ ცხოვრე-
ბის“ (9), „ათასის წლობით“ (9), „დაუღალავ და დაუძინებელ
ჯაფით“ (9), „კულტურულ, ინტენსიურ ცხოვრებისათვის“ (10),
„აქვე ინტენსიურ ცხოვრებისათვის“ (10), „მისის რეცეპტით“ (10),
„ინტენსიურ ცხოვრებისაგან“ (12), „სრულის ინტენსიურის ცხოვ-
რებისა“ (12), „ერთისა და იმავე კაცისაგან“ (12), „თავისის წე-
რილებისათვის“ (12), „ერთი ათასიოდ წელიწადი“ (12), „შორეულ
შერმისისათვის“ (12), „ჩვენის ავტორის“ (13), „ინტენსიურ ცოდ-
ნით“ (14), „ერთის სიტყვით“ (14), „ძირეულ და თავ-და-თავ საგ-
ნამდე“ (14), თავ-და-თავ საგნად“ (15), „თავის ახირებულ საგ-
ნის-“ (15), „ჩვენის ლიტერატურისათვის“ (15), „მთელის მისის
ერცელის მნიშვნელობითა“ (16), „ჩვენის პირდაპირის საგნიდამ“

(16), „თვითოეულის ერისა და აქედამ მთელის კაცობრიობისა“ (17), „ყოველ იმ ძალ-ღონისა“ (18), „რომელისაჲმ დროის“ (18), თავისის პეტნაკლებობით“ (18), „რომელისაჲმ ყოფილის საქმისა“ (19), „ძველის-ფველია დროებისა“ (19), „ყოელის (ქალკე თესლისა“ (19), „აზრი დღევანდელის ველურის კაცისა“ (19), „განათლებულის კაცის“ (19), „წინანდელის მდგომარეობისა“ (19), „ყოველის მისის თავგადასავალისა“ (20), „ჩვენის საუკუნისა“ (20), „მისის სიტყვით“ (20), „შინაგანის საბუთებით“ (21), „შედარებითის ფალოლოჟიისა“ (21).

ნ. ბარათაშვილი, წერილები (გამომც. „ქართული წიგნი“, ტფ. 1930).

„წენის სახლის“ (92), „ჩემის თხოვნით“ (92), „ჩემი სურვილის აღსრულება“ (92), „თქვენის წიგნით“ (94), „წლაპრული გმირობის ხმა“ (95), „ბუნებითა ენის“ (96), „აქასის სწავდასწვა უცნაურის ფიქრებით“ (99), „შენი მტერ-მოყვარე ქალებისაგან“ (100), „მისის თხოვნით“ (100), „ამდენის ხნის“ (100), „ასლანდელის მდგომარეობისათვის“ (101), „მომავლის დიდების ფიქრს“ (102), „თავისის კენიანათი“ (102), „ამდენის მარტობით“ (107), „მაღალის გრძნობის მექონი“ (107), „მშვენიერის სულისა“ (107), „საშინელის საწამლავისა“ (107), „სანოცია წლის მოხუცი“ (107), „თავის კმრისაგან“ (110), „თორმეტის წლისა“ (110), „შენის იმის (111), „ერთის მხრით“ (111), „ოთამოცის წლია“ (111), „ის რაფერი ლაქით დავებეჭდა შენი წიგნი“ (111).

ვ. ბარნოვი, ისნის ცისკარა („ტუილისის აზრდლები“, გამ. „ქართული წიგნი“, 1929).

„ჯავნარი ტყით“ (131), „მაღალი ჯავნარით“ (132), „იმათ დუქნებისაგან“ (133), „ბატონი შეფის სახლობა“ (134), „დახურულ ბაზრისაგან“ (136), „საამი დიდი ოატატის ნაბატონარი იყო“ (136), „ურიცხვი მტრის შესაგუბებლად“ (137), „დაიარილი მზის სხივები“ (137), „იმათი მურიდანაც“ (138), „ჩვენი მხრივ“ (138), „ოცდახუთი მხედრის“ (139), „დარგი ლეთაებრივი არსებისა“ (140), „ბუნება ყოველთვის ვერა ჰქმნის ქვეყნიურ მძიმე და ბნელ ნივთიერებისაგან ზეციურ ნათლის შესაბან სახეს“ (140).

ივ. ჯავახიშვილი, ძვ. ქართული საისტორიო მწერლობა, ტფ. 1916.

„ერის უძველეს-დროინდელ ყოფა-ცხოვრების ნაშთი“ (306), „ქართველ ერის პირვანდელ ხანის დამსურათებელ საისტორიო

თხზულების“ (306). „უძველეს-დროინდელ ხანის ნაშთად“ (306), „...ვაიჟტი... ქართველთა უძველეს კულტურულ მდგომარეობის განოსარკვევად“ (306), „ერის ძველისძველ მდგომარეობის“ (306), „ქართველთა თავდაპირველ სარწმუნოების“ (306), „თავიანთ ნეკდრების სისხლი“ (305, წენ.), „ქართულ ისტორიულ ჩაცმადახურვის გამოსარკვევად“ (307). „გადანეიტებული ნდობით იყო გამსკვალული“ (309), „ჩვენ სახელოვან მეცნიერ ისტორიკოსის ვახუშტია“ (283), „მეფე ვახტანგ VI მიერ შეყრილ სწავლულ კაცებმა შეადგინეს“ (287).

ილია ქავკავაძე, მგზავრის წერილები („ქართ. წიგნი“, ტ. II, ტფ. 1926).

„ჩემის ქვეყნის ფერი“ (6), „ერთის სიტყვით“ (8), „შევიძლებ გასაგონის სიტყვის თქმასა“ (9), „იმისი სახის მეტყველება“ (9), „მგზავრს განათლებული ქვეყნიდამ“ (10), „ეთი სომხის სოვდაგრის დაბლიდარი“ (10), „გარდა ამ გადარეულის ლაპარაკისა არა შევატყე-რა“ (11), „განათლებულის ქვეყნიდამ მოსული“ (12), „მდაბიურის ენით“ (13, 14), „მეცნიერიისა და ქკვიანის კაცის ნამოქმედებში“ (17), „ერთის მუქის ოდენი“ (18), „მთელის თავის დიდებულებით“ (18), „შავის კლდის გულიდამ“ (18), „თერგი სახეა ადამიანის გავიძებულის ცხოვრებისა“ (18), „მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა“ (18), „თერგისა და მყინვარის ყურებაში და ზოგიერთ ფიქრების გართვაში“ (19), „თერგის თავზედ ხელალებულის დენის ხუილსა“ (20), „ჩემის ფიქრებისა“ (20), „მისის დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნი“ (20), „ამ ბნელ ფარდის ქვეშ“ (21), „იმის უფერულის ცხოვრების“ (22), „თავის (!) სიმალლიდამ“ (22), „სრულის მძულვარებით“ (22), „დიდის პატივით“ (22), „მგლურის ძენძულით“ (22), „ისეთის დამშვიდებით“ (22), „ცარბალ სტვამპტი“ (23), „იმის აზრისათვის“ (30), „იმის სიტყვისათვის“ (30), „თავისის სიტყვით“ (30).

ილია ქავკავაძე, კაცია-ადამიანი?! (ibid.)

„ამ გონიერის სიტყვის მთქმელო“ (145), „თავად თათქარისის სახლ-კარი“ (146), „ერთის ფურცლის ხის სიახლოვეს“ (146), „ერთ მხრე“ (147), „გრძნობის აღმტაცის ხრუტუნით“ (147), „თავის ფაფუკის დინგით“ (147), „ისეთის სინაზით“ (147), „უწმინდური... როგორც ძველი ჩინოვნიკის გული“ (147), „უგემურ დღის

დასალევად“ (148), „მის ბრწყინვალეობის“ (149), „განათლებულ ნე-
ბატონისათვის“ (149), „თავის განუშორებელ მეუღლითურთ“ (150),
„დარბაისელის კაცის შეხედულება“ (150), „თავად ლუარსაბის
„ცით მონაბერის სულის“ ... სამკაული“ (150), „მისის აზრით“
(151), „თავის ბრწყინვალე გონიერებით“ (151), „ქართველ კაცის
ხეირი“ (151), „ამგვარ ყმების მონამარების ცოდნისაგან“ (163),
„ჩვენის ოფლით“ (163), „ოცი წლისა შესრულდა“ (195), „პტყელის
ბუხმენტებით“ (195), „პატიოსანის გვარის და კაი ოჯახის შვილს“
(195), „რაც ქვარი მოქედომოდა, ამ პატიოსანის ხელობით თავს
ირჩენდა“ (195), „დიდი ენაპეტყელობის სახელი“ (195), „თავის
თვალით“ (209), „ჩენი ოჯახის დაღუპვა“ (209), „ერთის სიტყვით“
(215), „თავის ხელით“ (215), „მეტის სიხარულისაგან“ (215), „ამის
ჩივილმა“ (235), „საშინელის ხმითა“ (235).

ნ. ლორთქიფანიძე, პანაშეიდი (წ. I, ტფ.-ქუთ. 1924).

„ზარდამცემ ამბისა, საშინელი სურათისა და აუტანელ მდგო-
მარეობის“ (7), „აშუორებული ტბისადმი“ (7), „მისი სახელით“
(8), „ახალი დასის“ (8), „ლამაზი სიტყვით“ (8), „საშინელის საი-
ღუმლოებისა“ (8), „გამიმარ მალალ მუხის წყერზე“ (9), „ჩემი
გულის“ (10), „ჩემის ცრემლებით“ (11), „დაკვეთილი გულის
სისხლი“ (11), „ნაწეწის თმით“ (11), „ჩვენ ორი ადამიანისთვის
ამის მეტი არა არის რა“ (12), „ჩვენი ტანჯვის“ (12), „ჩემი თავქა-
რიანობის“ (12), „ორ ავადმყოფისაგან ჯანმრთელი არ დაიბადე-
ბოდა“ (12), „ათის წლას სიყვარულის“ (12), „მთელის ცხოვრ-
ბის“ (12), „დამალული ქმუნვის“ (13), „დაცრეცილ ტუჩების“ (14),
„საშინელის სიწრაფით“ (15), „ერთის ხელით“ (16), „მტანჯველი
მიწიძღველობით შეპქული, სევდანარევ საამოვნებით“ (16), „თა-
ვის სიმკაცრისა“ (17 — 18), „ყოველის მარიდან“ (18), „ყოველივე
მტვერისაგან“ (18), „ადიდებულ წყლის“ (19), „დამტყრულ ნუხის
ნაფლეთებში“ (20).

მსაზღვრელის უმთანხმება საზღვრულთან ¹

(წითელი დროშის თუ წითელ დროშის?)

1. ძველ ქართულში მსაზღვრელი შეიძლება ყოფილიყო დასმული საზღვრულის წინაც და შემდეგაც. ადრინდელ ძეგლებში მსაზღვრელი მეტწილად მოსდევდა საზღვრულს: ორივე შემთხვევაში მსაზღვრელი. უსწრებდა იგი საზღვრულს, თუ მოსდევდა მას, იღებდა სრულ დაბოლოებას, ე. ი. ერთნაირად იბრუნებოდა მსაზღვრელიცა და საზღვრულიც.

სახ.	დადი	სიხარული	სიხარული	დიდი	მთაჲ	მაღალი
მოაზრ.	დიდმან	სიხარულმან	სიხარულმან	დიდმან	მთამან	მაღალმან
მიცემ.	დიდსა	სიხარულსა	სიხარულსა	დიდსა	მთასა	მაღალსა
ვითარ.	დიდად	სიხარულად	სიხარულად	დიდად	მთად	მაღლად
ნათეს.	დიდისა	სიხარულისა	სიხარულისა	დიდისა	მთისა	მაღლისა
მოქმედ.	დიდითა	სიხარულითა	სიხარულითა	დიდითა	მთითა	მაღლითა
წოდებ.	დიდო	სიხარულო	სიხარულო	დიდო	მთაო	მაღალო

2. ახალ ქართულში მსაზღვრელი ჩვეულებრივ წინ უსწრებს საზღვრულს და ბრუნებისას ძველ ქართულთან შედარებით მას რიგი თავისებურებები ახასიათებს; სახელდობრ:

ა) თუ მსაზღვრელი ბოლოხაოვნია (ე. ი. ბოლოში მოუდის ხმოვანი ა, ე, ო, უ) და უსწრებს საზღვრულს, იგი უცვლელი რჩება ყველა ბრუნვასა და რიცხვში (მრავლობით რიცხვში ნაკარაუდევია -ებ ბოლოსართათ ნაწარმოები საზღვრული); მაგ.:

სახ.	რკინა კაცი	გამრჯე ქალი	ფარაო ველი	ყრუ მოხუცი
ნათეს.	რკინა კაცმა	გამრჯე ქალმა	ფარაო ველმა	ყრუ მოხუცმა
მიცემ.	რკინა კაცს	გამრჯე ქალს	ფართო ველს	ყრუ მოხუცს
ვითარ.	რკინა კაცად	გამრჯე ქალად	ფართო ველად	ყრუ მოხუცად
ნათეს.	რკინა კაცის	გამრჯე ქალის	ფართო ველის	ყრუ მოხუცის
მოქმედ.	რკინა კაცით	გამრჯე ქალით	ფართო ველით	ყრუ მოხუცით
წოდებ.	რკინა კაცო	გამრჯე ქალო	ფართო ველო	ყრუ მოხუცო

¹ განხილულია და დამტკიცებულია „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დანდგენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის“ მიერ. რედ.

მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ რ ი ც ბ ე შ ი

სახ.	რკინა	კაცები	გამრჯე	ქალები	ფართო	ველები	ყრუ	მოხუცები
მოთხრ.	რკინა	კაცებმა	გამრჯე	ქალებმა	ფართო	ველებმა	ყრუ	მოხუცებმა
მიცემ.	რკინა	კაცებს	გამრჯე	ქალებს	ფართო	ველებს	ყრუ	მოხუცებს
ვითარ.	რკინა	კაცებად	გამრჯე	ქალებად	ფართო	ველებად	ყრუ	მოხუცებად
ნათეს.	რკინა	კაცების	გამრჯე	ქალების	ფართო	ველების	ყრუ	მოხუცების
მოქმედ.	რკინა	კაცებით	გამრჯე	ქალებით	ფართო	ველებით	ყრუ	მოხუცებით
წოდებ.	რკინა	კაცებო	გამრჯე	ქალებო	ფართო	ველებო	ყრუ	მოხუცებო

შენიშვნა. ასეთივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა საკუთარ სახელებს მოსდევს გვარი, თანაზღვრობის ან პროფესიის გამომხატველი სიტყვა, განურჩევლად იმისა, ბოლოთანდობიანი თუ ბოლომდობიანი ეს სახელი; მაგალითად:

სახ.	დავით	დროიძე	გლახა	პრიაშვილი	თამარ	მეფე
მოთხრ.	დავით	დროიძემ	გლახა	პრიაშვილმა	თამარ	მეფემ
მიცემ.	დავით	დროიძეს	გლახა	პრიაშვილს	თამარ	მეფეს და სხვ.

ბ) თუ მსახლერელი ბოლოთანამდობიანი და წინ უსწრებს სახლერულს, იგი იცვლება ყველა ბრუნვაში. ამ შემთხვევაში შეიძლება გვექნეს ოთხი სახეობა; სახელდობრ:

I. სრული, როდესაც მსახლერელი ყველა ბრუნვაში დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, ოღონდ ვითარებითში იღებს მიცემითის ნიშანს, ხოლო მოქმედებითში — ნათესაობითისას;

II. გარდამავალი, როდესაც მსახლერელს სრული დაბოლოება აქვს მხოლოდ სახელობითსა, მოთხრობითსა და წოდებითში, ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია მიცემითსა და ვითარებითში ხოლო ნაწილობრივ (თანამდობითი ელემენტი) მოკვეცილია ნათესაობითსა და მოქმედებითში;

III. შეკვეცილი, როდესაც სახელობითის, (ზოგჯერ) მოთხრობითისა და წოდებითის გარდა სხვა ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია, და

IV. ვულგარული, როცა ყველა ბრუნვაში სახელობითის ფორმა გვაქვს.

ნიმუშები

I. სრული სახეობა

სახ.	დიდი	საქმე
მოთხრ.	დიდმა	საქმემ
მიცემ.	დიდს	საქმეს

II. გარდამავალი სახეობა

დიდი	საქმე
დიდმა	საქმემ
დიდ	საქმეს

ვითარ.	დიდს	საქმედ	დიდ	საქმედ
ნათეს.	დიდის	საქმის	დიდი	საქმის
ნოქვედ.	დიდის	საქმით	დიდი	საქმით
წოდებ.	დიდო	საქმევ	დიდო	საქმევ

III. შეკვეცილი სახეობა

სახ.	დიდი	საქმე
მოთხრ.	დიდ(მა)	საქმემ
მიცემ.	დიდ	საქმეს
ვითარ.	დიდ	საქმედ
ნათეს.	დიდ	საქმის
ნოქმედ.	დიდ	საქმით
წოდებ.	დიდო	საქმევ

IV. ვულგარული სახეობა

დიდი	საქმე
დიდი	საქმემ
დიდი	საქმეს
დიდი	საქმედ
დიდი	საქმის
დიდი	საქმით
დიდი	საქმევ

შენიშვნა. მრავლობით რიცხვში -ებ ბოლოსართით ნაწარმოებ საზღვრულთან მსაზღვრელი მხოლოდობით რიცხვშია დასმული (საზღვრულს რიცხვში არ ეთანამება) და ბრუნვაში ისე იცვლება, როგორც მხოლოდობითში: დიდი საქმეები, დიდმა საქმეებმა, დიდ საქმეებს და სხვ.

3. ზემონაჩვენები ოთხი სახეობიდან ვულგარული სახეობა მხოლოდ დასაჯლურ კილოებში გვხვდება, ლიტერატურულ ენაში არ გავრცელებულა და, ამდენად, როგორც არალიტერატურული ფორმა სავსებით უკუგდებულ უნდა იქნეს (იგულისხმება დიდი საქმემ, დიდი საქმეს, დიდი საქმედ და მისთ.; ასევე: მიცემითი ბრუნვაა, ნოქმედებითი ბრუნვაში და მისთ.).

დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის ძირითადია გარდამავალი სახეობა.

ძირითადი სახეობის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის, რომ

ა) გარდამავალი სახეობა ყველა სახეობაზე უფრო გავრცელებულია დღევანდელ სალიტერატურო ქართულსა და ცოცხალ მეტყველებაში;

ბ) კუთვნილებითი ნაცვალსახელები, როგორც მსაზღვრელები, მხოლოდ გარდამავალი სახეობით იხმარება (არ გვხვდება: ჩემ გზით, წენ სიტყვით; ბუნებრივია: ჩემი გზით, შენი სიტყვით და სხვ.).

გ) როდესაც მსაზღვრელად ისეთი სახელია წარმოდგენილი, რომლის ფუძედ მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმებია

გამოყენებული, აუცილებელია მსაზღვრელთა შეკვეცილი სახით ხმარებისას მოსალოდნელი ორაზროვნება (მაგ., დროებითი მთავრობის დადგენილება მოქმედებდა, შეადარეთ ამას: დროებით მთავრობის დადგენილება მოქმედებდა).

დ) ერთმარცვლიანი მსაზღვრელები ჩვეულებრივ მხოლოდ გარდამავალი სახეობით იხმარება (ერთი კაცის, ორი სახლით და სხვ.).

4. ამგვარად, ა) თანხმოვანფუთიანი მსაზღვრელის ბრუნებისას როგორც მხოლოდობით რიცხვში, ისე -ებ ბოლოსართიან მრავლობითში ძირითად ფორმებად უნდა მიჩნეულ იქნეს გარდამავალი სახეობა:

	მხოლოდობითში		მრავლობითში	
სახ.	წითელი	დროშა	წითელი	დროშები
მოთხრ.	წითელმა	დროშამ	წითელმა	დროშებმა
ნიცემ.	წითელ	დროშას	წითელ	დროშებს
ვითარ.	წითელ	დროშად	წითელ	დროშებად
ნათეს.	წითელი	დროშის	წითელი	დროშების
მოქმედ.	წითელი	დროშით	წითელი	დროშებით
წოდებ.	წითელო	დროშავ	წითელო	დროშებო

ბ) ძირითადი სახეობის გვერდით დასაშვებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს სრული სახეობა მიცემითსა და ნათესაობითში (დიდს საქმეს, დიდას საქმის), აგრეთვე მოქმედებითსა და ვითარებითში (მოქმედებითში — ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, ხოლო ვითარებითში — მიცემითი ბრუნვის ფორმით: დიდის საქმით, დიდს საქმედ). ეს უკანასკნელი ფორმები განსაკუთრებით საჭიროა იმ შემთავებაში, როდესაც მსაზღვრელად ისეთი საიელია წარმოდგენილი, რომლის ფუძედ მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმებია გამოყენებული (მაგ.: მოქმედებითს ბრუნვაში. პირველადს პარტორგანიზაციას და სხვ.).

გ) თუ მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელია, მაშინ ერთადერთ ფორმად სრული სახეობა უნდა იქნეს მიჩნეული მიცემითსა და ვითარებითში (ჩემს ამხანაგს, შენს ამიანაგს, ჩვენს ამხანაგს, თქვენს ამიანაგს, მათს ამხანაგს; ჩემს ამხანაგად, შენს ამხანაგად, ჩვენს ამიანაგად, თქვენს ამხანაგად, მათს ამიანაგად).

დ) თუ მსაზღვრელად პროფესიის აღმნიშვნელი სახელია, ძრ-
რიოდ ფორმად ბრუნვის ნიშანმოკვეცილი სახეობა უნდა იქნეს
მიჩნეული ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში (გენერალ
ჩანჩიბაძის, გენერალ ჩანჩიბაძით; პროფესორ პელიქიშვილის,
პროფესორ მელიქიშვილით).

ე) თუ გვართან ერთად ბრუნებისას ადამიანის თანხმოვან-
ფუძიანი საიელია და წინ უსწრებს გვარს, იგი არც ერთ ბრუნვაში
არ ნეიცვლება:

სახ.	გრიგოლ	ორბელიანი
მოთხრ.	გრიგოლ	ორბელიანმა
მიცემ.	გრიგოლ	ორბელიანს
ვითარ.	გრიგოლ	ორბელიანად
ნათეს.	გრიგოლ	ორბელიანის
მოქმედ.	გრიგოლ	ორბელიანით
წოდ.	გრიგოლ	ორბელიანო

ვ) თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იშვიათია შე-
ზთხვევები, რომ ადამიანის საკუთარი სახელი მოსდევდეს გვარს.
თუ მოსდევს, ორივეს უნდა ერთოდეს ბრუნვის ნიშნები მთლიან-
ნად, გარდა საკუთარი სახელისა სახელობითსა და წოდებითში.

სახ.	ორბელიანი	გრიგოლ
მოთხრ.	ორბელიანმა	გრიგოლმა
მიცემ.	ორბელიანს	გრიგოლს
ვითარ.	(არ გვხვდება)	
ნათეს.	ორბელიანის	გრიგოლის
მოქმედ.	(არ გვხვდება)	
წოდებ.	ორბელიანო	გრიგოლ

ზ) გათიშულ მსაზღვრელს, მიუხედავად იმისა, ხმოვანფუძი-
ანია იგი თუ თანხმოვანფუძიანი, ბრუნვის ნიშნები ყოველთვის
სრულად უნდა დაერთოს:

ქ რ ე ლ ს ჩ ა ვ ი ც ო მ დ ი კ ა ბ ა ს ა (ვაჟა)

მ წ ვ ა ნ ე ს ე წ ვ დ ე ბ ა ფ ო თ ო ლ ს ა ხ არ ი ი რ ე მ ი რ ქ ი ა ნ ი (ვაჟა).

თ) სიების ნედგენისას, როცა ჩვეულებრივ ჯერ გვარი იწე-
რება და შემდეგ საიელი, სახელი ფუძის სახით უნდა იქნეს წარ-
მოდგენილი.

აბაშიძე ვახტანგ
ბერიძე გურამ
გაბუნია თამარ
ლიასამიძე ქეთევან
ერისთავი თენგიზ
ვარდოსანიძე მარიამ
ზვიადაძე ნოდარ
თარგაძაძე იოსებ და ა. შ.

ფუძინასნსხები ზედსართავების გაფორმებისათვის ქართულში

სიტყვა ებება ისეთ წარმოებით, რომელთა ფუძე ევროპული ენებიდან არის ნასესხები. შეთვისება ხდებოდა რუსულის გზით და ჩვეულებრივად იმ სახით, რომ სიტყვის ნაწილი, რომელიც შეგნებული იყო როგორც რუსული ფორმანტი, ეკვეცებოდა სიტყვას და მის ადგილს იკერდა ქართული ზორფოლოგიური ელემენტი: *реал-изм* — რეალ-ური (რუს. ფორმანტის გამოყოფას ფუძისაგან ხელს უწყობდა ალბათ იმავე ფუძის მქონე, მხოლოდ განსხვავებულად გაფორმებული, დერივატების არსებობა, მაგ. *реал-изм* და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ხალხურ მეტყველებაში ზოგჯერ სათანადო კომპლექსი გადმოდოდა მთლიანად, ე. ი. რუსულივე გაფორმებით: „სერიოზნი“ || „სურიოზნი“ ← *серьёзным*, „ლაკიროვანი“ ← *лакровоным*, „ემალიროვანი“ ← *эмалированым* და სხვ. ისინი წმინდა რუსულფუძიან ნასესხობათა თანდართვით ერთ რიგს ჰქმნიან („ნეენი“, „ატჩაინი“ და სხვ.). მწერლობას არც ერთი ასეთი ფორმა არ შეჰპოვნია და ისინი ამჟამად განიაზრებიან, როგორც უცილობლად არალიტერატურული წარმოებანი. სანაგებოდ პირველი რიგის წარმოებათა (რეალური...) რიცხვი სანწერლო ქართულში შეუჩერებლად იზრდება. იმავე დროს, მათი დაწერილობა დიდ რყევას განიცდის მერყეობას სხვადასხვა მიზეზი იწვევდა და იწვევს: ა) ზედსართავთა სხვადასხვა ჯგუფისათვისა ლოგიკურად შესაბამ ფორმანტთა შერჩევა¹. ამ მხრით ქართული გაფორმება ყოველთვის და ერთსა და იმავე დროსაც კი ერთი და იგივე არ ყოფილა; ბ) გრამატიკული შეგნების ზრდა, რომელიც კრიტიკული ნიშნის ქვეშ აყენებდა უკვე მიღებულ ფორმებს; გ) ევროპული ენების უმეშვეოდ გაცნობა, რაც რუსულზე დამოუკიდებელ წარმოებას იწვევდა; დ) რუსული და ქართული ფონეტიკის თავისებურებანი, რომელნიც უწყებული ფორ-

¹ რუსულში ამ ფორმანტებს ლოგიკურად განსხვავებული ფუნქცია არ ჰქონიათ: *-изм* მიერთვის ზედსართავი ფორმით ნასესხებ სიტყვებს, *-изм* და *-(из)-е-изм* სუბსტანტივის ფორმით ნასესხებს.

მების გაქართულებისას სადაო საკითხებს ჰქმნიდნენ და სხვ. ზოგადი მნიშვნელის გარემოებად, რომელიც ხელს უწყობდა ასეთ არევ-დარევას და ინდივიდური წარმოების შესაძლოებას, უნდა მიჩნეულ იქნეს, რა თქმა უნდა, სავალდებულო ნორმების არარსებობა საერთოდ ახალ სალიტერატურო ქართულში. განვიხილოთ სათანადო შემთხვევები.

ჩვენთვის საინტერესო სესება რუსულის გზით იწყება მე-18 ს-ში და სისტემაურ ხასიათს იღებს ანტონ პირველის სკოლის შემთხვევით. თავდაპირველად, ჩანს, ზედსართავი წარმოებისათვის უმთავრესად ისეთ ფუძეებს სესხულობენ, რომელნიც იმავე დროს შეთვისებულ არსებით სახელებშიც გვხვდება. გაფორმება ხდება შემდეგი წესით: ნასესხები არსებითი სახელის ნათესაობით-მოკმედებითი ბრუნვის (იგულისხმება, ცხადია, ქართული კანკლელობა) ფუძეს, მხოლოდობით რიცხვში, ერთვის ქართული მორფოლოგიური ელემენტები სათანადო კატეგორიისა: ებრ-ი || ებრივ-ი (განსაკუთრებით ხშირად), -ურ-ი || -ულ-ი, -ელ-ი, სა- — -ო.

მაგალითები: -ებრ-ი: „თეორეტიკები და პრაქტიკები ფილოსოფიაჲ“ (გვ. 211), „სხოლასტიკებრნი ფილოსოფოანი“ (გვ. 211), „ჭისიკაჲ თეორეტიკები“ (გვ. 220), დოღმატიკებრცა და ისტორიებრ აღრევით იცნობებოდეს“ (გვ. 166, ეს ზმნისზედის ფორმებია, რომლებიც საფუძვლად უძევს ზედსართავებს)¹... „პრაქტიკები ფილოსოფია“ (გვ. 3), „თეორეტიკები ნაწილი“ (5), „იპოტეტიკები წინადადება“ (21), „მეტაჭისიკები, ითიკები და ლოღიკები კეშმარიტება“ (54)²...

შემდეგში -ებრ-ის ადგილი დაიჭირა -ებრივ-მა და პარალელურად გაჩნდა -ობრივ-იც. მაგ.: თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელიც იმავე ანტონის სკოლას ეკუთვნის, ნახმარი აქვს -ებრივ-იც: „პოლეთიკებრივი“ -ებრ'თან ერთად: „მეხანიკებრთა საქმეთა მეცნიერი“ (90)³...

ურ-ი || ულ-ი: „ჭრანციული, გერმანიული“ ენები (2)⁴, „მეთოდოლოღიური“, „აზიური“ (17), „ენა გერმანიული“ (18), „მილი გერმანიული“ (28), „გეოგრაფიული აღწერა“, „ჭიხიკურთა... საქმეთა მეცნიერი“ (90)⁵...

¹ ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, ტფ. 1885.

² ლოღიკა, წ.-კ. სახ.-ებისეული ხელნაწერი, № 2584.

³ ისტორია დაწეებითან ივერიისა... ს.-პბ. 1848.

⁴ ანტონი, Op. c.

⁵ თეიმურაზი, Op. c.

სა- — -ო: „სასინტაქსო განკარგვა“ (4), „სალრამმატიკოსო ჯელოვნება“ (4)¹, „საპოლეთიკონი კავშიონი“ (12), „საასტროლოლიო“ (90)²...

-ელ-ი: „ვეროპიელნი“ (17), „გერმანიელნი“ (17, 36, 63), „ვიზანტიელნი ისტორიკოსნი“ (69), „ალვანიელნი“ (126)³...

ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების ფორმანტებით: „ლრამმატიკოსობითი ჯელოვნება, სუნტაქსი“ (4), „კატილორიანი არისტოტელითნი“ (220)⁴, „ნათესაენი... ვეროპიისანი“⁵...

მოტანილი მაგალითებიდან ცხადია, რომ ფორმდება არსებითი სასელის აღნიშნული ბრუნვის ფუძე.

ხედსართავის ფორმა	გამოსავალი ფუძე (სახელის ნათ.-მოქმ. ბრ. ფუძე)	რუსული შესატყვისობა
თეორეტაქებრი	თეორეტყ-ისა/-ითა (← თეორეტყა)	теоретический
პრაქტიკებრი	პრაქტიყ-ისა/-ითა	практический
სხოლასტიკებრი	სხოლასტიყ-	схоластический
ისტორიკებრი	ისტორი-	исторический
დოღმატიკებრი	დოღმატიყ-	догматический
ითიკებრი	ითიყ-	этический
ფრანცუელი	ფრანცი-	французский
გერმანიული	გერმანი-	немецкий
სალრამმატიკოსო	ლრამმატიყ-	грамматический
ვეროპიელნი	ვეროპი-	европейцы
ლრამმატიკოსობითი	ლრამმატიკოსობით	грамматический
ვეროპიისა	ვეროპიისა ⁶	европейский

აწეთ გადმოქართულებაში ქართული სიტყვათწარმოების თვალსაზრისით უწესო არაფერია, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ქართ. სივადასხვა ფორმანტის ფუნქცია მკაფიოდ განიჯნული არაა; მაგ.:

ლრამმატიკოსობითი და სალრამმატიკოსო ჯელოვნება (ანტონი) პოლეთიკებრივი და საპოლეთიკო (თეიმურაზი)

„საასტროლოლიოსა ჭიზიკურთა და მეხანიკებრთა საქმეთა მეცნიერი“ (თეიმურაზი, Op. c., გვ. 90).

¹ ანტონი, Op. c.

² თეიმურაზი, Op. c.

³ ibid.

⁴ ანტონი, Op. c.

⁵ თეიმურაზი, Op. c.

⁶ შეადრ. „ვეროპია“: ანტონის მოხსენ. ლრამმატიკა, გვ. 9

მაგრამ იმავე დროს, თუმცა ნეტად იწვიათად, მაინც გვხვდება წარმოებანი, რომელნიც აღნიშნულ წეას უხვევენ:

„იტალიანური“ ენა (ანტონი, (პ. ე. 2), „ფილოსოფიური ცნობა“ (დასახ. „ლოლიკა“, 2), „პონტიური ზღვა“ (თეინ. (პ. ე., 27). ამ ფაქტების გაფორმება რუს. სიტყვათწარმოებით არის განსახლვრული:

მოცემ. ფორმა	მოსალოდნელი ფორმა	მოცემული ფორმის გამოსავალი ფუძე
იტალიანური	იტალიური	ИТАЛЬИИ-СКИИИ
ფილოსოფიური	ფილოსოფოსებრა ან: ფილოსოფიებრა	ФИЛОСОФ-СКИИИ ¹
პონტიური	პონტოს (ზღვა)	ПОНТИ-ИНСКОЕ, ПОНТИ-ЧЕСКОЕ (морс)

მსგავს ფუძენასესებ ზედსართავთა რიცხვი განსაკუთრებით მრავლდება ქართულში XIX ს-ის მეორე ნახევრიდან. ამასთანავე ხდება რუსულსავე საშუალებით ისეთი ზედსართავების შეთვისებაც, რომელნიც თვით რუსულში ნასესხები არიან ადიქტიური ფორმით, რადგან არსებითი სახელის ფუძე, რომელიც საფუძვლად დასდებია ამ წარმოებას დედაენაში (ეთქვათ, ლათინურნი), რუსულში (და ამიტომ ქართულშიც) დამოუკიდებლად შეთვისებული არ ყოფილა. ანიტომ ასეთ წარმოებათ მრჩობლი, ზოგჯერ სამკეცი, სუფიქსაცია აქვთ; მაგ.:

სპეცი-ალ-ური ← СПЕЦИ-АЛ-ИИИ

სოცი-ალ-ური ← СОЦИ-АЛ-ИИИ

კაუზ-ალ-ური ← КАУЗ-АЛ-ИИИ...

სათიქრებელია, ასეთი ფორმების ანალოგიით რუსული სიტყვათწარმოების ზემოქმედების ქვეშ მოექცა ზედსართავი წარმოება ისეთ შემთხვევებშიაც, როცა საპირო ფუძის მოცემა შეეძლო დამოუკიდებლად ნასესხებ არსებით სახელს (ობიექტიური ← ობიექტივ-ური ← ОБЪЕКТИВИИИ, ნაცვლად ო ბ ი ე ქ უ რ-ისა ობიექტ-ისაგან).

უწყებული რუსული ზედსართავი წარმოებანი, რომლებზედაც შესატყვისი ქართული ფორმებია დამოკიდებული, შეიძლება დაიყოს სამ მთავარ ჯგუფად: 1) -ИИИ, 2) -СКИИ და უკანასკნელის სახეცვლილება 3) -ИЧЕСКИИ. უკვე აღნიშნული გვქონდა,

¹ საევეთა, რომ ეს ფორმა პ რ ა კ ტ ი კ ე ბ რ 'ისა და მისთ. ანალოგიით იყოს ნაწარმოები.

რომ ვადმოქართულება ასეთ შემთხვევებში მდგომარეობდა რუსული ფორმანტის, მისი შეცნობის კვალობაზე, ქართულით შეცვლაში. ჯგუფების მიხედვით ეს შემდეგნაირად ხდება.

ი. -იანი ტიპის წარმოებათა ვადმოქართულება ყველაზე ნაკლებ გაუგებრობას იწვევს: а) националь-იანი → ნაციონალ-ური, эмирональ-იანი → ემბრონალ-ური, лаборатор-იანი → ლაბორატორ-ული, актуаль-იანი → აქტუალ-ური, курсы-იანი → კურიოზ-ული, индивидуальные-იანი → ინდივიდუალ-ური...

ბ) როცა ფუძეს -ივ- დაბოლოება აქვს, მაშინ სიტყვათწარმოებისას ქართულისათვის ჩვეულ ფონეტიკურ მოვლენას აქვს ადგილი: ვ'ს დაკარგვას ხმოვანთა შორის, განსაკუთრებით ი—უ ჯგუფში: объектив-იანი → ობიექტივ-ური → ობიექტი-ური, субъектив-იანი → სუბიექტივ-ური → სუბიექტი-ური, кооператив-იანი → კოოპერატივ-ული → კოოპერატი-ული, административ-იანი → ადმინისტრაცი-ული → ადმინისტრაცი-ული, актив-იანი → აქტივ-ური → აქტი-ური...

II. -ский ტიპის წარმოებათა რიცხვი (ვადმოვლების შემთხვევებში) შედარებით მცირეა: пролетар-ский → პროლეტარ-ული, швед-ский → შვედ-ური, гигант-ский → გიგანტ-ური (გვხვდება ანალოგიით ნაწარმოები გიგანტ-ი-ურ'იც, მაგრამ მსგავსი შემთხვევების შესახებ ჭკვემოთ).

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი კი არის

III. [-иц]-ე-ский-ის ჯგუფი, რომელიც იმავე დროს უმართებულო წარმოებათა მთავარი სათავეა: ყველა აქედან გამომდინარე შეცთომის წყარო არის ის ვაგება, რომლის მიხედვითაც ფორმანტად -ческий ნაკვეთია მიჩნეული. ამის გამო შესაბამი ქართ. ფორმანტი წინამავალ ი'ს მიერთო. შედეგები მივიღეთ სულ სხვადასხვაგვარი და სხვადასხვა ფასისა.

ა) უმართებულო წარმოებამ შემთხვევით მოგვცა წესიერი ფორმები, რადგან აღებული ფუძე დაემთხვა სათანადო არსებითი სახელის ნათეს. ბრ. ფუძეს (რომელიც, როგორც ვნახეთ, გამოსავალი წერტილია უწყებულო წარმოებისათვის): эмпири-ческий → ემპირი-ული (← ემპირი-ა), перифери-ческий → პერიფერი-ული (← პერიფერი-ა)...

ბ) უმართებულო წარმოებამ მოგვცა სადაო ფორმები: эконом-ический → ეკონომი-ური (საიდან უნდა გამოვიდეთ: ეკონომი-იდან თუ ეკონომიცი-იდან?), психи-ческий → ფსიქი-ური (? „ფსიქე“ ზომ დამოუკიდებლად შეთვისებული არ არის. გამოსავალია:

ფსიქიკა), генети-ческий → გენეტი-ური (თუ: გენეტ ური ან გენე-ზური?)...

გ) უმართებულო წარმოებას მოჰყვა უმართებულო ფორმები: стати-ческий → სტატი-ური (უნდა იყოს სტატიკური — სტატიკ-იდან), динамн-ческий → დინამი-ური (უნდა იყოს დინამიკური ← დინამიკა), шри-ческий → ლირი-ული (უნდა იყოს და გვხვდება კიდევაც: ლირიკული), графн-ческий → გრაფი-ული (უნდა იყოს გრაფიკული), фактн-ческий → ფაქტი-ური (უნდა ყოფილიყო: ფაქტური)...

ამ ჯგუფის ფორმებმა პირველი ჯგუფის „ობიექტიური“ (← ობიექტივური) ტიპისა და წმინდა ქართულის „მზიური“ ტიპის (ციური, დლიური, ღვთიური...) წარმოებებთან დაკავშირებით შექმნეს შეგნება, თითქოს ჩვენთვის ამჟამად საინტერესო „მენტალებში“ -იურ ფორმანტი გვექონდეს. ამან გამოიწვია ანალოგიით, უკვე სრულიად უწესო, წარმოებანი: კლას-ი-ური (კლასობრი-ვის მნიშვნელობით), ნერვ-ი-ული, გიგანტ-ი-ური...

